ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო ჟრომების კრებული

№10

2016

UDC (უაკ)378.4(479.22)(063)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2015 წლის 16 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

2015 წლის 16 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. ნოდარ მირაზანაშვილი
წევრები: პროფ. მზია ზანგალაძე, ასოც. პროფ. ციური ბაქრაძე, ასოც. პროფ. თამუნა ხეთაგური

სექცია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა“
თავმჯდომარე: პროფ. მალხაზ მუმლაძე
წევრები: პროფ. ლევან მიდოდაშვილი, პროფ. ზურაბ ზერაკიძე

სექცია: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია)
და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. თინათინ იოსებიძე
წევრები: პროფ. ალექსანდრე იაშვილი, პროფ. ზურაბ ტიელიძე, პროფ. ნელი გოგინაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი მძინარაშვილი

სექცია: „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: პროფ. თამარ მაკასარაშვილი
წევრები: პროფ. თეა ხორგუაშვილი, ასოც. პროფ. მაკა სოსანიძე, ასოც. პროფ. ლალი ოსაძე

სექცია: „ტურიზმი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მაია აზმაიფარაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. ნანული ქოქაშვილი, ასოც. პროფ. გია ედიშერაშვილი, ასოც. პროფ. გელა შაქარაშვილი

სექცია: „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: პროფ. კლარა ელჩიბეგაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. იოსებ ჭუმბურიძე, უფ. მასწ. ივანე ბალახაშვილი

სექცია: „ქართული ენა“
თავმჯდომარის მ/შ: პროფ. ვიანორ ახალაია
წევრები: პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი, პროფ. მარიამ კობერიძე, ასოც. პროფ. ნიკოლოზ ოთინაშვილი

სექცია: „ქართული ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. თამარ გოგოლაძე
წევრი: პროფ. მარინე ცერცვაძე, ასოც. პროფ. ქეთევან ბარბაქაძე, ასოც. პროფ. გიორგი ხორბალაძე

სექცია: „უცხო ენა და ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. ანა მესხი
წევრები: პროფ. ზურაბ ჩხიკვაძე, პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ბაქრაძე

სექცია: „ისტორია“
თავმჯდომარე: პროფ. ოთარ ჯანელიძე
წევრები: პროფ. ვაჟა ჩოჩია, პროფ. მამუკა ჯოლბორდი, ასოც. პროფ. იოსებ ალიმბარაშვილი

ISSN 2233-3320
შპს „ჯეოპრინტი“
თბილისი 2016 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

მარნაძე ნინო – *მოსწავლეთა სასკოლო მზაობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები* – 6

მარქაროვი ნინო – *Роль лингвострановедческого аспекта при обучении русского языка в школе* – 8

სარქისიანი ნინო, სარქისიანი მარიამ – *მარია მონტესორის სწავლების მეთოდები* – 11

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

პაპიაშვილი დათო – *ჰოლოგრაფიის პრაქტიკაში გამოყენება* – 14

რაზმაძე რუსუდან – *ფიბონაჩის რიცხვები* – 17

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

ელიაშვილი ელენე, სარქისიანი მარიამ – *ნივთიერებათა ცვლის ციკლური პროცესები* – 22

მარიამიძე რატი – *მშრალი თვალის სინდრომი - XXI საუკუნის პრობლემა* – 23

მარიამიძე რატი – *ზედაპირული წყლების ზოგიერთი ჰიდროქიმიური მაჩვენებელი (გორის რაიონში)* – 24

მახოხაშვილი ნინო, მეხრიშვილი თამთა – *მოლუსკები და მათი პრაქტიკაში გამოყენება* – 27

სალია ვლადიმერ – *სასწავლო-საწვრთნო პროცესის პროგრამირება თავისუფალ ჭიდაობაში* – 29

სალია ვლადიმერ, ქვრივიშვილი ალეკო – *ფეხბურთელთა ტაქტიკური მომზადება, როგორც თანამედროვე ფეხბურთში წარმატებების მოპოვების აუცილებელი პირობა* – 31

სარქისიანი ნინო, სარქისიანი მარიამ – *ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, როგორც ჯანმრთელობის მთავარი გარანტი* – 34

შატაკიშვილი რუსუდან – *ღვინო და ქიმია* – 38

ბიზნესი და მართვა

ამბრიაშვილი თინათინ, კლდიაშვილი გიორგი – *ოფშორული ბიზნესი და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში* – 41

ბოლოკაძე მარიამ, მაზიაშვილი დარინა – *ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა* – 45

გიგაური სოფიკო, სოხატერი ხატია – *ინფლაციის არსი, ტიპები და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში* – 47

გოლოშვილი ანნა, დემურიშვილი რუსუდან – *შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ - გზა ეკონომიკური თანამშრომლობისკენ* – 51

თამლიანი გიორგი, შოშიაშვილი ნონა – *საქართველოს სახელმწიფოს ვალი და მისი მართვის პერსპექტივა* – 54

ინდუაშვილი მირიან – *ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში* – 59

კობერიძე სოფიკო, გნოლიძე ნათია, ოქროპირიძე მარიამ – *კომპანია „სარაჯიშვილის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები* – 62

მეზვრიშვილი სოფიკო – *მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში* – 65

მელაძე მზია, თურაზაშვილი ქეთევან – *საქართველოს მოსახლეობის აღწერების ისტორია* – 67

მთიულიშვილი მარიამ – *ევროინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში* – 70

პაპიაშვილი დათო – *ლარის კურსის ცვლილების მიზეზები და მასზე ზემოქმედების ფაქტორები* – 73

ტატულაშვილი თამუნა, ცოტნიაშვილი გიორგი – *ჯანდაცვის სისტემის ეკონომიკური რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში* – 77

ტლაშაძე მარიამ – *ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში - პოზიტიური და ნეგატიური მხარეები* – 81

ფოლადაშვილი თეონა – *საერთაშორისო ვაჭრობა და საბაჟო რეჟიმი საქართველოში* – 85

ღვინიაშვილი ნინო, ჩადუნელი მაკა – *გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები* – 91

ყაჩლავაშვილი მირანდა – *ლარის გაუფასურების ასპექტები* – 97

ჩოჩიშვილი ნატალია – *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკისათვის* – 99

ხაჩიძე მეგი, აჩელაშვილი ლელა – *გარე მიგრაციის როლი საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში* – 103

ტურიზმი

თინიკაშვილი თამარ, მეტრეველი ქეთი – *სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმი ქ. გორში (კურორტ გორიჯვრის მაგალითზე)* – 107

მაღლაკელიძე დიმიტრი – *შავი ზღვის რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პრობლემები და პერსპექტივები* – 109

ნაოჭაშვილი ბექა – *ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და მისი ეკონომიკური შედეგები* – 111

რატიანი რუსუდან – *სვანეთი - გარდასულ დღეთა მემატიანე* – 116

სამადალაშვილი თამარ – *თომას კუკის როლი ტურიზმის განვითარებაში* – 118

ღონღაძე ნინო, ჯოლბორდი ქეთინო – *ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი ძამას ხეობაში* – 120

ჩადუნელი მაკა – *საქართველოს კულტურული ტურიზმი* – 124

ჯულაბაშვილი ნატო, ბარჯაძე მარიამი – *სურამის ტურისტული პოტენციალი* – 127

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ანესაშვილი თამუნა – *ადამიანის უფლებები – რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება* – 131

არათანაშვილი მადონა, ქრისტესიაშვილი ელიზა – *ტელევიზიისა და ელექტრონული მედიის გავლენა საზოგადოების მეტყველებაზე* – 134

ბუჭუხიშვილი ნინო – *ქართული გაზეთის ისტორიიდან* – 137

ივანიშვილი დარეჯან – *ფილოსოფიის წარმოშობა* – 141

მეცხვარიშვილი ავთანდილ, ლომიძე თამარ – *თავისუფლების ქრისტიანული გაგება* – 143

მოსიაშვილი ალექსანდრე – *წარდობის ხელშეკრულება* – 145

მღებრიშვილი გიორგი – *ჩუქების ხელშეკრულება* – 149

ქერდიყოშვილი თამარ – *პატივი და ღირსება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება* – 151

ქართული ენა

დოლიაშვილი ლამარა – *„რა ენა წახდეს“...* – 159

ეცადაშვილი ნანული – *კავშირები და ნაწილაკები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მიხედვით* – 162

ლელაშვილი მარიამ – *სოფელ ხოვლეს ანთროპონიმები და ტოპონიმები* – 164

მეზვრიშვილი ციური – *სიტყვათწარმოება ნუგზარ შატაიძის პროზაში* – 168

ოქროპირიძე მარიამ – *ჰ, ს პრეფიქსებთან დაკავშირებული სირთულეები ქართულ სალიტერატურო ენაში* – 170

ქართული ლიტერატურა

კვაღნიძე მარიამ – *„დიდი გოდების მცირე ნაკადი“ (ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებების მიხედვით)* – 175

ტერტერაშვილი ნათია, საზანდრიშვილი ნათელა – *რამდენიმე ქართულ-უცხოური (აფრიკული) ზღაპრის ტიპოლოგიური ანალიზისათვის* – 177

ტოტიკაშვილი მარი – *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო იარაღები და ობიექტები (დავითფერული, ორმო, მარანი, ქვა-კლდე)* – 180

ღვინიაშვილი მარიამ – *ბიბლიური დავითი და ქართველი მწერლები* – 184

ცხოვრებაშვილი ლელა – *ქადაგის ინსტიტუტი საქართველოში* – 187

ხმიადაშვილი მარიამ – *სულიერების დეფიციტი და უღმერთობის ნაკადი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში* – 189

უცხო ენა და ლიტერატურა

ბეგლარაშვილი ნათია – *თვალი პატიოსანი და ფერთა სიმბოლიკა ოსკარ უაილდის ზღაპრების მიხედვით* – 194

თინიკაშვილი ანა – *Процесс заимствования как источник пополнения современного русского языка на примере информационно-аналитического агентства «ГРУЗИНФОРМ»* – 195

ლომინაძე ლანა – *ძველი ინგლისური ენის ō - ხმოვანფუძიანი სახელების დეკლინაციური თავისებურებანი* – 197

სადაღაშვილი მთვარისა – *წარმართული და ქრისტიანული მსოფლმხედველობების შერწყმა ანგლო-საქსურ პოემაში „ბეოვულფი“* – 202

ქარელი მარიამ – *რომან „ჯინჯერ კოფის წარმატების“ კომპოზიციური თავისებურებები* – 206

ისტორია

ბიძინაშვილი დემურ – *საბჭოთა ყოველდღიურობა* – 208

დანიელოვი ნანი – *ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა* – 211

დოლიაშვილი სოფიკო – *დირბის ისტორიიდან* – 215

პავლიაშვილი ეთერ, კასრაძე ნანა – *ათონის სამონასტრო ცხოვრება და ქართველები* – 219

შავლოხაშვილი თეონა – *იოსებ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა* – 223

მოსწავლეთა სასკოლო მზაობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები

ნინო მარნაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

სკოლაში სწავლის დაწყება ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. პირველი კლასიდანვე ჩნდება ახალი ვალდებულებები და წესები, რომლებსაც ის უნდა დაემორჩილოს: გაატაროს უფრო მეტი დრო მერხთან, ვიდრე ამის სურვილი აქვს, ყურადღებით უსმინოს მასწავლებელს დაემორჩილოს მის ინსტრუქციებს და ა.შ. მრავალი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სასკოლო მზაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლაში ბავშვის მომავალი წარმატებისათვის როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ-ემოციურ სფეროში. სასკოლო მზაობაზე მსჯელობისას, თანამედროვე მკვლევარები და პრაქტიკოსები ხაზს უსვამენ მის კომპლექსურ ხასიათს და ბავშვის სასკოლო მზაობას განიხილავენ იმ გარემოსთან კავშირში, რომელშიც ბავშვი ვითარდება.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა სხვადასხვა უნარებს გულისხმობს. აღნიშნული უნარები შეგვიძლია პირობითად რამდენიმე კატეგორიად დავყოთ:

- **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება,** რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზრდას, შეზღუდული შესაძლებლობების მსხვილ და წვრილ მოტორულ უნარებს.
- **სოციალური და ემოციური განვითრება,** იგი გულისხმობს სხვებთან ურთიერთობის უნარს, ისეთ სოციალურ უნარებს, როგორიცაა რიგობითობის დაცვა და თანამშრომლობა. საკუთარი თავის აღქმა და გრძნობების გააზრება-გამოხატვა.
- **სწავლისადმი მიდგომა:** გულისხმობს მოტივაციას, ცნობისმოყვარეობას, ყურადღების კონცენტრაციას, შემოქმედობითობას.
- **ენობრივი განვითარება:** გულისხმობს ვერბალური და წიგნიერების საწყისი უნარების განვითარებას. [1; 6] ვერბალური უნარები მოიცავს მოსმენას, ზეპირ მეტყველებას და ლექსიკას. წიგნიერების საწყისი უნარები კი გულისხმობს ნაბეჭდი მასალის მიმართ ინტერესს. მოთხრობის პრინციპის აღქმასა და წერის საწყის უნარებს (მაგ. იდეების ხატვით ან ასოების მსგავსი ფორმებით გამოხატვას).
- **შემეცნება და ზოგადი ცოდნა:** გულისხმობს შემოქმედების აღქმასა და გაგებას, შემოქმედებით გამოხატვას, საგნებსა და მოვლენებს შორის მიმართების წვდომას.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა ერთი და იგივე ასაკისაა, ბავშვთა მზაობა განსხვავებულია ინდივიდუალური გამოცდილების, ცოდნის, უნარებისა და გენეტიკური მემკვიდრეობის გამო. კვლევები ადასტურებს, რომ სწავლის პირველ წლებში წარმატება, ხშირ შემთხვევაში, უფროს კლასებში წარმატების განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ დაწყებით კლასებში ნაკლები მზაობის მქონე მოსწავლეების ხელშეწყობა უკიდურესად მნიშვნელოვანია.

რა ასაკშია ბავშვი მზად სკოლისათვის? ამ კითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხები არსებობს, რაც სხვადასხვა ქვეყანაში სკოლაში შემსვლელთა მინიმალურ ასაკზე აისახება. [1; 6] გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის სკოლისათვის მზაობა უნდა შეფასდეს სასკოლო პროგრამის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ცხადია, სასკოლო პროგრამა ქმედითი და მართებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება თუ ის შეესაბამება მოცემულ ეტაპზე ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სავალდებულო დაწყებით განათლებას ბავშვებში სხვადასხვა ასაკში, განსხვავებული სასწავლო პროგრამით იწყებენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიის ზოგიერთ შტატში სწავლის დაწყების ასაკი 5 წელია, სინგაპურში, ნორვეგიასა და საფრანგეთში 6, შვედეთში 7 წელი, აშშ-ს სხვადასხვა შტატში სწავლის დაწყების ასაკი 5-დან 8 წლამდე მერყეობს. ზოგიერთ სახელმწიფოში/შტატში სავალდებულო განათლების ასაკი მკაცრად არ არის განსაზღვრული და მშობლებს ეძლევათ არჩევანის უფლება, ერთი წლით ადრე ან გვიან შეიყვანონ ბავშვი სკოლაში. ასეთ შემთხვევაში მშობლები თავად წყვეტენ, არის თუ არა მათი შვილი მზად სკოლისათვის, მიუხედავად სასკოლო ასაკისა. მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად მშობელთა მიერ ბავშვის სასკოლო მზაობის

შეფასება ხდება შემეცნებითი და წიგნიერების საწყისი უნარების საფუძველზე, ხოლო არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიზიკური და სოციალურ-ემოციური მზაობა ყურადღების მიღმა რჩება.

2011 წელს სკოლაში სწავლის დაწყების მინიმალურ ასაკად საქართველოში 5 წელი გამოცხადდა, რაც მშობლებს საშუალებას აძლევდა ბავშვი სკოლაში სურვილისამებრ 5 ან 6 წლის ასაკში შეეყვანა. [2; 12] განათლების ზოგიერთმა სპეციალისტმა დაასკვნა, რომ ადრეულ ასაკში სკოლამდელი და დაწყებითი განათლების ეტაპზე, შერეული ასაკობრივი ჯგუფები, რაც ხშირად ბავშვებს შორის 1 წელზე მეტ სხვაობასაც გულისხმობს პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვთა სწავლასა და განვითარებაზე. ეს ზეგავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალურ- ემოციური სფეროს განვითარების თვალსაზრისით: შედარებით პატარები უფროსებისაგან სწავლობენ, ხოლო უფროსებს პატარებზე მზრუნველობისა და მათი დახმარების სურვილი უჩნდებათ. მეორე მხრივ, არაჯანსაღ გარემოში უფროსი ბავშვები ჩაგრავენ უმცროსებს შედეგად უმცროსებს დაბალი თვითშეფასება უყალიბდებათ, რადგან უფროსებს მეტად აქვთ განვითარებული სწავლისათვის საჭირო უნარები. [2; 13]

იმის გასარკვევად თუ რომელი ასაკია შედარებით ყველაზე ოპტიმალური ბავშვის სკოლაში მისასვლელად, ხაშურის რაიონის სოფელ ბეკამის საჯარო სკოლაში არასასწავლო (კლასგარეშე პერიოდში) ჩავატარე დაკვირვება 5 და 6 წლის ბავშვებში. დაკვირვებამ აჩვენა რომ 5 წლის ბავშვისათვის სტატიკური დაძაბულობა განსაკუთრებით დამღლელია. მას შეუძლია ხანგრძლივი დროით ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში როგორიცაა: სირბილი, თამაში, მაგრამ გაუნძრევლად დგომა ან ჯდომა მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან ერთად 5 წლის ბავშვის აღქმა საკმარისად დანაწევრებული არა არის, ამიტომაც ერევა მას ერთმანეთში მსგავსი მოხაზულობის ასოები და ციფრები. ამ ასაკის ბავშვს არ შეუძლია ერთდროულად გაითვალისწინოს საგნის რამდენიმე ნიშანი (მაგ., საგნის ფერი და ფორმა), მას სუსტად აქვს განვითარებული ნატიფი მოტორული უნარები: წერა, კალმის ხმარება და ა.შ. [2; 13]. რასაც ვერ ვიტყვით 6 წლის ბავშვზე. 6 წლის ბავშვს შეუძლია საკმაო ხანს იჯდეს მერხზე, ისმენდეს საუბარს, მარჯვედ ეჭიროს საწერკალამი თუ ფანქარი და ასოების, ციფრების მოხაზულობას თანდათან ამსგავსებდეს მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ ნიმუშებს. [3; 39] მრავალი წლის გამოცდილებით დამტკიცებულია ისიც რომ ამ ასაკის ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა ძლევს პირველკლასელთათვის განკუთვნილ სწავლების შინაარსა. [4; 1] ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე 6 წლის ბავშვი, ძირითადად მზად არის სასკოლო სწავლებისათვის. მაგრამ ვინაიდან სხვადასხვა ფაქტორის გამო, ბავშვები ერთნაირად „მომზადებულები“ არ მიდიან სკოლაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის შესაძლებლობას, უზრუნველყოს თითოეული ბავშვის განვითარებისა და სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები. კვლევების საფუძველზე, განათლების სპეციალისტები გვთავაზობენ სკოლის მზაობის სამ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს. ესენია:

- **ბავშვის აუცილებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.** აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს მოტივირებულ მასწავლებლებს რომლებიც მზად არიან შეიმუშაონ თითოეული ბავშვისათვის შესაფერისი პროგრამა.
- **სწავლებისა და სწავლის პროგრამები.** რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. [4; 1] ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, სწავლების მეთოდების მოდიფიკაციის მნიშვნელობასა და მშობლების ჩართულობის ხელშეწყობაზე.
- **სკოლის ადაპტირების უნარი**. რომელიც გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობას.

ის, რაც სკოლაში ხდება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვისა და მისი ოჯახის დამოკიდებულებას სკოლისადმი, მათ ჩართულობას როგორც სკოლაში შესვლის დროს, ისე მომდევნო წლებში. დიდია ალბათობა იმისა, რომ სკოლები, რომლებიც ითვალისწინებენ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს, მზად არიან არა ზოგიერთი, არამედ ყველა ბავშვის მისაღებად. სკოლის ცხოვრებაში ბავშვის წარმატებული ჩართვა ითხოვს ოჯახისა და სკოლას შორის აქტიურ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემას.

სკოლის მზაობისათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სათანადოდ მომზადებული მასწავლებელი, რომელსაც ხელი მიუწვდება პროფესიული განვითარების პროგრამებზე. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბავშვთა უნარების განვითარებასა და თითოეული მოსწავლის მიმართ მაღალი მოლოდინების შენარჩუნებას. ურთიერთპატივისცემით გაჯერებული პოზიტიური ურთიერთობები და ძლიერი მენეჯმენტი სკოლის მზაობის ერთ-ერთი საფუძველია.

ბავშვისა და სკოლის მზაობასთან ერთად მნიშვნელოვანია ოჯახის მხარდაჭერა, რომლის ძირითადი ელემენტია **განვითარების ეტაპის შესაბამისი, ხარისხიანი სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა,** რომელიც ხელს უწყობს ბავშვის სკოლისათვის მომზადებას. კვლევები ადასტურებს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის სოციალური და აკადემიური კომპეტენციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლამდელი განათლება. [1; 8] აშშ-სა და ევროპაში ჩატარებული

კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელი განათლება განსაკუთრებით პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე რომლებიც არიან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებიდან.

ერთი მხრივ, სკოლაში ბავშვის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სასწავლო გარემოს დაძლევისა და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარების ფლობაზე. მეორე მხრივ, აუცილებელია სკოლა ბავშვს სთავაზობდეს მისი ასაკისათვის ადეკვატურ სასწავლო პროგრამასა და სასწავლო გეგმას.

ამრიგად, მოსწავლეთა სასკოლო მზაობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია: ბავშვის მიერ სკოლისათვის საჭირო უნარების ფლობა, სკოლამდელი განათლება და რაც მთავარია სკოლისა და ოჯახის მზაობა შეუქმნას მას განვითარებისა და სწავლისათვის სათანადო პირობები.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი „მასწავლებელი“ (მასწ. პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №4, 2010.
2. ჟურნალი „მასწავლებლი“ (მასწ.პროფ. განვითარების ეროვნული ცენტრი), №4, 2011.
3. მალაზონია შ., „პედაგოგიკა“, თბ., 2001.
4. ინტერნეტ რესურსი: mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=2&id=92

РОЛЬ ЛИНГВОСТРАНОВЕДЧЕСКОГО АСПЕКТА ПРИ ОБУЧЕНИИ РУССКОГО ЯЗЫКА В ШКОЛЕ

Нино Маркарова
ст. 1 к. спец. образование преподавателей
фак. образования и естественных наук
рук. проф **Н. Хинчагашвили**

Развитие международных контактов и связей в политике, экономике, культуре обуславливает ориентацию современной методики обучения иностранным языкам на реальные условия коммуникации, воспитание у школьников положительного отношения к языку и культуре народа, говорящего на изучаемом языке, передачу знаний о культуре, истории, реалиях и традициях страны изучаемого языка, осознание роли разговорного языка и культуры в зеркале культуры другого народа.

На современном этапе развития межкультурных отношений значимость изучения иностранного языка возрастает, возрастает потребность в овладении иностранным языком как средством общения. Начиная с 90-х годов все большее значение приобретают элементы лингвострановедения, вводимые в курс обучения русскому языку в средней школе. Если раньше страноведческие сведения сопровождали базовый курс русского языка лишь как комментарий при изучении того или иного материала, то в настоящее время лингвострановедческий аспект (ЛСА) становится неотъемлемой частью уроков русского языка. Все более ощущается необходимость обучать и тому, что «лежит за языком» – культуре страны изучаемого языка. Использование ЛСА способствует формированию мотивации учения, что в условиях школьного обучения важно, т.к. само иноязычное общение не подкреплено языковой средой.

В государственном стандарте уровня обученности по русскому языку отмечается, что формирование коммуникативной компетенции неразрывно связано и с социокультурными и страноведческими знаниями. Без знания социокультурного фона нельзя сформировать коммуникативную компетенцию даже в ограниченных пределах.

В практическом плане ЛСА направлен на реализацию конечных целей обучения русскому языку, а именно, на обучение общению. Подготовить же учащихся к иноязычному общению, сформировать коммуникативную способность без привития им норм адекватного речевого поведения и в отрыве от знаний ими невозможно. Это определяет важность и актуальность вопросов, связанных с разработкой ЛСА в обучении русскому языку в средней школе. Данная актуальность определяет цели нашего исследования: определить условия влияния лингвострановедческого аспекта на обучение русскому языку. Т.о., предметом нашего исследования является процесс влияния лингвострановедческого материала на мотивацию изучения русского языка в школе.

Аспект методики преподавания иностранного языка, в котором исследуются приемы ознакомления изучающих язык с новой для них культурой, называется – лингвострановедением. Широкий культурологический фон способствует как развитию лингвистических навыков и умений (обогащение лексики,

навык переводческой деятельности, умение работать с фразеологизмами), так и знакомит обучаемого с конкретными аспектами иноязычной культуры.

Предметом ЛСА является специально отобранный однородный языковой материал, отражающий культуру страны, изучаемого языка, также – это безэквивалентная фоновая лексика, невербальные языки жестов, мимики и повседневного поведения. Особое место занимает безэквивалентная лексика. Она существует, поскольку обозначает национальные реалии. Знание этих реалий немаловажно при изучении культуры и языка страны. Постоянным признаком принадлежности слова к лингвострановедческому материалу остается наличие у них национально-культурного компонента, отсутствующих в других языках. Реалии – название присущие только определенным нациям и народом предметом материальной культуры, фактов истории, имена национальных героев, мифологических существ.

Итак, чему же мы учим, когда обучаем иностранному языку?

Иностранная культура — это то, что способен принести учащимся процесс овладения иностранным языком в учебном, познавательном, развивающем и воспитательном аспектах.

На взаимосвязь языка и культуры философы и лингвисты обращали своё внимание ещё в XVIII веке. Однако целенаправленное изучение данной проблемы началось только в конце XX века. Целью языкознания было изучение языка как системы, а главной методикой обучения иностранным языкам было обучение этой системе и её элементам.

В начале 70-х годов XX века методисты и лингвисты, среди которых особое место занимают Е.М. Верещагин и В.Г. Костомаров, убедили преподавателей-практиков в том, что причиной коммуникативных неудач в иноязычном общении является отсутствие знаний о реалиях. В обиход вошёл термин "лингвострановедение". В изучении лингвострановедения в то время доминирует исторический подход.

В 90-х годах осознание того, что язык - это не только система разноуровневых единиц, но и история, культура, дух народа, привело к формированию новой учебной дисциплины - лингвокультурологии, возникшей на стыке лингвистики, страноведения и культурологии и исследующей проявление культуры народа, отражённой и закреплённой в языке. Лингвострановедение наполняется данными социологии, становится дисциплиной о жизни современного общества.

Обращая внимание на изменившийся статус иностранного языка как средства общения и взаимопонимания в мировом сообществе, современная методика особо подчеркивает необходимость усиления прагматических аспектов изучения языка. Это значит, при обучении будет важно не только достижение качественных результатов в овладении иноязычным общением, но и поиск реального выхода на иную культуру и его носителей. Речь идет не просто о знании языка, а об умении использовать его в реальном общении, то есть о практическом владении языком и, следовательно, о развитии «прагматической межкультурной компетенции».

Для современной методики обучения иностранному языку характерно стремление включать страноведческие сведения из географии, истории, социальной жизни в содержание обучения - в речевой материал и, в частности, в тексты для аудирования и чтения. Лингвострановедческое преподавание помогает учащимся знакомиться с природными, историческими реалиями, духовными ценностями и таким образом осуществлять воспитательное воздействие на школьников, помогает формированию языкового сознания.

Хотелось бы отметить, что для иностранного языка, ведущей функцией которого является речевое общение, основными единицами содержания выступают виды речевой деятельности: выражение мысли в устной форме (говорение); в письменной форме (письмо); восприятие и понимание на слух (аудирование); восприятие и понимание письменной речи, текстов (чтение). Каждый вид речи - сложная и своеобразная система умений творческого характера, основанных на знаниях и навыках, направленная на решение различных коммуникативных задач.

Вычленение лингвострановедческого аспекта предполагает уточнение его места в содержании обучения. Содержание обучения состоит из трех компонентов:

1) языкового материала и речевого (лингвистическая информация);

2) передаваемая с его помощью определенное предметное содержание (экстралингвистическая информация);

3) действия по приему, переработке и передаче этого содержания, реализуемые через упражнения, в результате выполнения которых формируется знания, умение и навыки, и способность осуществлять иноязычное общение.

Благодаря последнему упражнения выполняют функцию прямых средств. Под средством имеется в виду как бы “материальное орудие, с помощью которого осуществляется деятельность” (преподавание и учение) достижения целей. При таком понимании содержания обучения экстралингвистической информации отводится соответствующее место. Эта информация представлена в темах (тематическом плане). Ее основными носителями являются тексты для чтения и аудирования.

В связи с развитием и изменением образовательной системы, разработке новых методик, многие учителя в наши дни начинают перестройку и в обучении иностранному языку. Естественно, возникает вопрос: “В чем она заключается?”.

Прежде всего, в большом внимании к детям, в стремлении развить у них мотивацию, интерес к овладению русского языка, в попытках преодолеть формализм при организации учебно-воспитательного процесса и оценке деятельности учащихся, перейти от авторитарного стиля общения с учениками к

подлинному общению, диалогу. Учителя стараются привлекать интересные дополнительные страноведческие материалы, побуждают учащихся к самостоятельному поиску таких материалов значительно раньше, чем предусмотрено программой, организуют на уроках работу с газетой, заботятся о создании благоприятного психологического климата на уроке. Песни, стихи, театрализация из внеклассной работы все больше проникают на урок, становятся обязательными его элементами. Предпринимается немало для того, чтобы "сделать обучение более информативным, содержательным, чтобы усилить воздействие на личность школьника средствами учебного предмета, чтобы развивать не только его мировоззрение, но и мироощущение".

Этому служит, и стремление в большей мере опираться на сознательность в овладении русским языком, развивать мышление, память, формировать общеучебные и специфические учебные умения (например, умение пользоваться словарем, учебником).

Нет сомнения, что все выше перечисленное стимулирует учащихся изучать русский язык. Действительно, учителю нужно создать все условия повышения мотивации. Как нам кажется, важнейшим мотивационным стимулом изучения иностранного языка является стремление к расширению своего общего кругозора, причем ведущую роль играет, желание познакомится с жизнью страны изучаемого языка, с ее географией, историей, бытом. В самом деле, иностранный язык вносит значительный вклад в расширении общеобразовательного кругозора учащихся. Его роль можно усилить за счет еще более последовательной и более широкой реализации лингвострановедческого аспекта, которая является частным случаем осуществления межпредметных связей. Русский язык соприкасается со многими школьными дисциплинами и, прежде всего, открывает школьникам путь к дополнительным знаниям по географии, истории, литературе и другим предметам. Поэтому важно так построить обучение, чтобы учащиеся овладели умением пользоваться русским языком для пополнения своих знаний по этим предметам.

Образование средствами иностранного языка предполагает, знание о культуре страны изучаемого языка. При обучении русской культуре можно выделить следующие важные задачи: определить минимальный объем культурологического материала; выявить, какого рода культура соответствует целям изучения русского языка в конкретной ситуации; отобрать и предъявлять соответствующий этим целям материал; формировать у обучающихся "навыки культурного осознания", понятие о том, что ни одна культура не является статичной; вовлекать их в "культурную" деятельность. Чтобы решить эти задачи, учителю следует ознакомиться с соответствующими словарями, книгами, пособиями, энциклопедиями. Сегодня страноведческую информацию можно получить отовсюду: из программ телевидения, газет, уроков русского языка, радио.

Основной целью ЛС как раз и является изучение языка с одновременным соизучением культуры страны изучаемого языка в том виде, как она опосредована языком.

ЛСА находит отражение как в программе средней школы по иностранному языку, так и УМК. Важно, что в целевых установках учитывается формирование фоновых знаний во всех видах речевой деятельности.

Изучение русского языка в школе направлено на достижение не только общеобразовательных целей, но и на приобщение детей к новому социальному опыту с использованием русского языка: знакомство младших школьников с миром зарубежных сверстников, с зарубежным фольклором и доступными образцами художественной литературы; воспитание дружелюбного отношения к представителям других стран.

В результате изучения русского языка ученик должен уметь использовать приобретенные знания и умения в практической деятельности и повседневной жизни для устного общения с носителями языка, развития дружелюбного отношения к представителям других стран, преодоления психологических барьеров в использовании иностранного языка как средства общения, ознакомления с детским фольклором и доступными образцами детской художественной литературы на русском языке, более глубокого осознания некоторых особенностей родного языка.

В результате изучения русского языка на базовом уровне ученик должен знать страноведческую информацию из аутентичных источников, обогащающую социальный опыт школьников. Ученик также должен уметь использовать приобретенные знания и умения в практической деятельности и повседневной жизни для общения с представителями других стран, ориентации в современном поликультурном мире, получения сведений из русских источников информации, необходимых в образовательных и самообразовательных целях, расширения возможностей в выборе профессиональной деятельности, изучения ценностей мировой культуры, культурного наследия и достижений других стран, ознакомления представителей других стран с культурой и достижениями России.

Изучение русского языка в старшей школе на профильном уровне направлено на расширение объема лингвострановедческих и страноведческих знаний за счет новой тематики и проблематики речевого общения с учетом специфики выбранного профиля. В результате ученик должен знать лингвострановедческую и страноведческую информацию, расширенную за счет новой тематики и проблематики речевого общения, с учетом выбранного профиля. Кроме того ученик должен уметь использовать приобретенные знания и умения в практической деятельности и повседневной жизни для успешного взаимодействия в различных ситуациях общения, в том числе профильно-ориентированных, соблюдения этикетных норм межкультурного общения, расширения возможностей трудоустройства и продолжения образования, участия в Интернет-форумах, межкультурных проектах, конкурсах, олимпиадах, обогащение своего мировосприятия, осознания места и роли родного и русского языков в сокровищнице мировой культуры.

Таким образом, выпускник средней школы должен понимать роль владения иностранными языками в современном мире; особенности образа жизни, быта, культуры стран изучаемого языка (всемирно известные достопримечательности, выдающиеся люди и их вклад в мировую культуру), сходство и различия в традициях своей страны и стран изучаемого языка.

Введение на занятиях РКИ элементов лингвострановедения играет большую роль в поддержании мотивов к изучению русского языка: эффективность использования ЛСА в процессе обучения иностранному языку очевидно. Это ведет к более полному, глубокому осмыслению специфических явлений изучаемого языка, незнание которых ведет к недостаточному пониманию явлений, реалий, собственно языка, что затрудняет проникновение в культуру другого народа. ЛСА открывает широкую дорогу для достижения этой цели.

Сейчас разрабатываются и другие интересные приемы и методы, с помощью которых учителя стараются противостоять неблагоприятным условиям обучения, выйти за жесткие рамки программы и учебников, для того чтобы хоть как-то приблизиться к поставленным целям обучения. Так как одной из актуальных проблем в обучении русского языка является разработка лингвострановедческого аспекта, весьма полезным нам представляется использовать ЛСА в виде разнообразного методического арсенала: репродукции, раздаточный материал, таблицы, схемы, особенно слайды, диа- и кинофильмы, кассеты с записью текстов страноведческого содержания. Мы считаем, что реализация таких подходов в обучении позволит повысить мотивацию, активность, инициативу ребенка на уроке, а значит возникает потребность, необходимость в получении знаний и в овладении умениями и навыками по русскому языку.

ЛИТЕРАТУРА:

1. Брагина А.А. Лексика языка и культура страны в лингвострановедческом аспекте. М., 2001.
2. Лингвострановедческий словарь. М., 2000.
3. Просянкина М. Лингвострановедение и его роль в обучении иностранным языкам., М., 2002.
4. Райхштейн А.Д. Лингвистика и страноведческий аспект в преподавании иностранных языков. // Иностранные языки в школе № 6, 2012..
5. Томахин Г.Д. Фоновые знания как основной предмет лингвострановедения. М., 2009.

მარია მონტესორის სწავლების მეთოდები

ნინო სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
მარიამ სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

მარია მონტესორი დაიბადა 1870 წელს იტალიაში. მიუხედავად უამრავი ბარიერისა, რომელსაც იმდროინდელი იტალიის დისკრიმინაციული გენდერული შეხედულებები წარმოშობდა, იგი მაინც გახდა პირველი ექიმი ქალი თავისი ქვეყნის ისტორიაში. მარია მონტესორი მუშაობდა რომის უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც ის დაინტერესდა ბავშვებთან მოპყრობისა და ურთიერთობის საკითხებით და რამდენიმე წელიწადი სწორედ ამ საკითხზე მუშაობაში გაატარა.

28 წლის ასაკში მონტესორი გახდა გონებრივად შეზღუდული ბავშვების სკოლის დირექტორი. სწავლების მისეული თეორია დაიბადა მას შემდეგ, რაც მონტესორიმ შეძლო მენტალური სირთულეების მქონე ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება, რასაც მან მიაღწია ორწლიანი მუშაობის შედეგად. ბავშვებმა, რომლებიც ფაქტობრივად მიჩნეულები იყვნენ, როგორც სწავლის უნარის არ მქონეები, წარმატებით ჩააბარეს სკოლის გამოცდები და საშუალოზე მაღალი ქულები მიიღეს. ეს მოვლენა მაშინდელ იტალიაში სასწაულად შერაცხეს. მონტესორიმ აღმოაჩინა, რომ ამ ბავშვებს შეეძლოთ სწავლა პრეცეპტუალური სისტემის

დახმარებით. მან შეიმუშავა ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი ვარჯიშების მთელი სისტემა და უჩვეულო სათამაშო მოწყობილობები და დაკვირვებების საფუძველზე აღმოაჩინა თანამედროვე მეცნიერების მიერ დადასტურებული კანონზომიერება: რაც უფრო სხარტი ხდება ბავშვის ნატიფი მოტორიკა და რაც უფრო მეტი საგნის დახმარებით – მგრძნობელობით გამოცდილებაზე დაყრდნობით ეცნობა გარე სამყაროს, მით უფრო სწრაფად და ადვილად სწავლობს მეტყველებასა და წერა-კითხვას.

1907 წელს მას სთხოვეს პასუხისმგებლობა აეღო უსახლკარო ბავშვებზე, რასაც შედეგად რომის ერთ-ერთ გარეუბანში ბავშვთა სახლის დაარსება მოჰყვა. სწორედ ასე დაიბადა მონტესორის სწავლების მეთოდი. „ბავშვის სახლში“ მას ჰყავდა ღარიბი, უსახლკარო და პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვები, რომლებსაც მან თავისი მეთოდის გამოყენებით ძალიან მალე შეასწავლა წერა-კითხვა და სამაგალითონი გახადა.

მაინც რაში მდგომარეობს მისი უნიკალური სწავლების მეთოდი?

მონტესორის მეთოდის ძირითადი მიზანი იყო ბავშვის განვითარების ხელშეწყობა ისე, რომ მომხდარიყო სრულყოფილი პიროვნების ფორმირება. ამისათვის მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა სწავლების პროცესში ბავშვის ფსიქიკური განვითარების კრიტიკული პერიოდების გათვალისწინება, როდესაც ყალიბდება ბავშვის ესა თუ ის კონკრეტული უნარი, მაგ. მეტყველების განვითარების კრიტიკული პერიოდია 1-3 წელი და ზუსტად ამ დროს საჭიროა მისი წახალისება. მონტესორისეული აღმზრდელი არის დამხმარე ბავშვის ბუნებრივი განვითარების პროცესში. მისი აზრით, არ არსებობს ზარმაცი და არასასურველი ქცევების მქონე ბავშვი. სიზარმაცე და ქცევითი პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.

სპეციალურად ბავშვისათვის შექმნილი გარემო

მარია მონტესორიმ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, და შემდგომში პრაქტიკულად განახორციელა კიდევაც, იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვის შესაბამისი ზომის ავეჯი. პირველად მან დაამზადებინა პატარა კარადები და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რათა ბავშვებს დამოუკიდებლად შემლებოდათ მათით სარგებლობა. გარემომ უნდა უპასუხოს ბავშვის განვითარების თითოეული საფეხურის სენსიტიურ პერიოდებს. ეს „სპეციალური გარემო“ სხვადასხვა საფეხურისათვის სხვადასხვაგვარია, თუმცა დაფუძნებულია ერთ პრინციპზე. სწორედ ეს გარემო და მონტესორისეული მასწავლებელი განასხვავებს მის თეორიას სხვებისაგან, მისი თეორიის მიხედვით, ბავშვის თავისუფალი აქტივობა მოიცავს სწავლების 80%-ს, მხოლოდ დანარჩენი 20% ეკუთვნის მასწავლებელს, რაც უცხოა ტრადიციული სწავლების მეთოდისათვის, სადაც წამყვანი ადგილი მასწავლებელს უჭირავს. პატარებზე მორგებული გარემო მათ საშუალებას აძლევს შეასრულონ განსხვავებული მოქმედებები დამოუკიდებლად, ასევე ამ გარემოში ისინი თვითონ აღმოაჩენენ თეორემებს, რომლებიც არის არა წარმოდგენილი, არამედ „აღმოსაჩენია“.

სასწავლო მასალები - ეს მასალები არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომლის მეშვეობითაც ბავშვს უყალიბდება დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, უვითარდება სივრცეში კოორდინაციისა და წონასწორობის დაცვის მექანიზმები. სწავლება აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს შეგრძნების ყველა არხის გათვალისწინებით – მხედველობით, სმენით, ყნოსვით, შეხებით. ბავშვები მასალებით მანიპულაციის დროს ეცნობიან სხვადასხვა კატეგორიებს: დიდი-პატარა, გლუვი-პრიალა და ა.შ. აფიქსირებენ მათ შორის განსხვავებებს და ამით ეუფლებიან ანალიზისა და სინთეზის უნარს.

მაგ. ბავშვებმა უნდა ააგონ ვარდისფერი კოშკი სხვადასხვა ზომის კუბებისაგან, ყველაზე დიდი კუბი საფუძველში უნდა მოაქციონ და ყველაზე პატარა – კენწეროში. ყველა კუბის ფერი და მასალა ერთნაირია, განსხვავება არის მხოლოდ ზომაში. ამ შემთხვევაში, ბავშვებმა უნდა მოახერხონ ზომის მიხედვით დიფერენცირება. არის დავალებები, როდესაც ბავშვები ნივთებს ახარისხებენ ფერის, ფორმის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. სკოლამდელ ასაკში, როდესაც ბავშვის აღქმაში წამყვანია სწორედ სენსორული ინფორმაცია, ეს მასალები ეხმარება მას შეიცნოს სამყარო. მონტესორისეული სწავლების მიხედვით, წერა-კითხვის, თვლის და ანგარიშის ცოდნა არ არის სკოლამდელი განათლების მიზანი, ის მხოლოდ თანმხლები პროცესია. სენსორული ინფორმაციის საფუძველზე ბავშვს თანდათანობით უჩნდება ინტერესი იმისა, თუ რამდენით დიდია მაგ. ზემოთ ნახსენები ერთი კუბი მეორეზე და სწორედ ამ დროს ჩნდება ელემენტარული მათემატიკური ცოდნის მიწოდების საშუალება. მსგავსი მეთოდით

ხდება ენის ათვისება, ამ შემთხვევაშიც ბავშვს ეტაპობრივად მიეცემა წერა-კითხვის დასაუფლებლად წინაპირობა – სიმღერების, ლექსების, მოთხრობებისა და ასევე, ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი სხვადასხვა დავალების სახით. ამ ყველაფრის კომბინაცია ბავშვს ნელ-ნელა, ძალდატანების გარეშე, შეუმჩნევლად ასწავლის წერა-კითხვას. მონტესორის განათლების სისტემა უკვე 100 წელზე მეტია, წარმატებით იყენებს ენის სწავლების საკმაოდ ეფექტურ მეთოდს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია მყარ ზედაპირზე დამაგრებული ზუმფარის ქაღალდისაგან გამოჭრილი ასოების გამოყენება. ბავშვები ერთდროულად ხედავენ, შეიგრძნობენ და გამოთქვამენ მათ, ასე რომ, სწავლება მიმდინარეობს კომბინირებულად, 3 სენსორული არხის დახმარებით.

შერეული ასაკობრივი ჯგუფები. ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახსა თუ სამსახურში ვიმყოფებით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისაგან შემდგარი ადამიანების გარემოცვაში. ჩვეულებრივ, ტრადიციული სკოლებისაგან განსხვავებით, სადაც კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასაკობრივი ჯგუფი, მონტესორის სკოლაში შერეული ასაკობრივი ჯგუფი გვხვდება. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებს სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე სჭირდებათ სხვადასხვა გარემო, მონტესორის კლასები დაყოფილია შემდეგნაირ ჯგუფებად: 0-3 წელი, 3-6 წელი, 6-12 წელი და 12-15 წელი. თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ყველაზე პატარა წარმომადგენელი გარშემორტყმულია თავისზე ოდნავ მეტად გამოცდილი და ასაკით უფროსი ბავშვებით, რომლებიც მისთვის მოდელებს წარმოადგენენ. ასევე, უფროსი ბავშვებიც, პატარებით გარშემორტყმულნი, გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას და მეტად თავდაჯერებულნი საკუთარ თავსა და ცოდნაში, აჩვენებენ პატარებს საკუთარ შესაძლებლობებს. შეჯიბრი ჩანაცვლებულია თანამშრომლობით და სწორედ ეს არის ამ პატარა სოციუმების მამოძრავებელი ძალა. წინასწარ მომზადებული გარემოთი ხელშეწყობილი თვითგანათლება ნიშნავს იმას, რომ თითოეული ბავშვი სწავლობს და ვითარდება.

თავისუფლება და დისციპლინა. სპეციალურად შექმნილი გარემოს ზემოქმედების შედეგები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც – თვითონ ეს გარემო. იგი ბავშვებს აძლევს მათთვის აუცილებელ „იარაღებს“, თუმცა მათ უნდა შეძლონ ამ „იარაღების“ საშუალებით ცოდნის აღმოჩენა და მათით მანიპულირება.

ბავშვის გარემოსთან ინტერაქცია ინდივიდუალური განვითარებისათვის ყველაზე მეტად პროდუქტულია მაშინ, როდესაც ის დაფუძნებულია არჩევანის თავისუფლებასა და პირად ინტერესზე. მონტესორისეულ საკლასო ოთახში ბავშვი თვითონ ირჩევს მისთვის სასურველ აქტივობებს და ამ აქტივობების შესასრულებლად არ არის დროში შეზღუდული, აგრეთვე, ბავშვს საშუალება აქვს ერთი და იგივე აქტივობა იმდენჯერ გაიმეოროს, რამდენჯერაც ამის სურვილი ექნება. ეს აქტივობები შესაძლოა იყოს, როგორც თამაში, ისე ჭურჭლის რეცხვა, დალაგება და ა.შ.

პარადოქსულია, მაგრამ სწორედ ამ თავისუფლებას მიჰყავს ბავშვები დისციპლინამდე. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ბავშვები არსებითად უწესრიგოები და თავაშვებულები არიან, მხოლოდ დასჯით არის შესაძლებელი მათი სიჯიუტისა და იმპულსურობის დათრგუნვა. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბავშვისაგან სასურველი ქცევა რომ მივიღოთ, აუცილებელია მისი დასჯა ან წახალისება კონტექსტის შესაბამისად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ამ მეთოდს ხშირად მიმართავს, პრობლემა აქტუალობას არ კარგავს. როდესაც გარეგანი მოტივი ჩამოშორებულია, ადამიანში რჩება საკუთარი ქმედებებისა და განზრახვების გაკონტროლების მხოლოდ სუსტი სურვილი, სუსტი ზნეობრივი საზღვრები და ადამიანის მოთხოვნილება ითანამშრომლოს სოციუმთან, მხოლოდ იმაზეა დამყარებულია, რომ მან „უნდა“ გააკეთოს ეს და არა იმაზე, რომ მას „უნდა“ სოციუმთან ურთიერთობა.

მონტესორის მეთოდებთან დაკავშირებული კვლევების უმეტესობამ (რომლებიც 1960-იან და 1970-იან წლებშია ჩატარებული) აჩვენა, რომ ტრადიციული სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, მონტესორის სკოლის მოსწავლეები მეტად კრეატიულები და შემოქმედებითები არიან. მონტესორის პედაგოგიკა აქტუალობას არ კარგავს 21-ე საუკუნეშიც და აქტიურად გამოიყენება როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს მონტესორის სახელობის უამრავი სკოლა უმეტესად აშშ-სა და იტალიაში, რომლებიც გარკვეულწილად იყენებენ მის მეთოდს, თუმცა მცირე ინტერპრეტაციებით.

მონტესორის სწავლების მეთოდი ფართოდ გამოიყენება ბაგა-ბაღებშიც, მარიას უნიკალური პედაგოგიური სისტემა სკოლამდელი აღზრდის ერთ–ერთ ყველაზე მოთხოვნად და ელიტურ მეთოდად ითვლება მსოფლიოში. (ერთ-ერთი ასეთი ბაგა-ბაღია - ''KINDERVILLE'' საქართველოში, რომლის მთავარი პრესტიჟი სწავლის ამ მეთოდით განისაზღვრება).

მონტესორის სწავლების თეორიას ჰყავს მომხრეებიც და კრიტიკოსებიც. კრიტიკის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში, რომ უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური

მზაობა სწავლების პროცესში. არ უნდა ვაიძულოთ ბავშვებს ისწავლონ კითხვა ადრეულ ასაკში, როცა მონტესორის სკოლის აღსაზრდელები 4 წლის ასაკში გამართულად კითხულობდნენ სხვა ბავშვებს მათ თანამედროვეებს (და ახლაც) ამ ასაკში უჭირდათ კითხვა.

აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ მოსწავლეები დროს კარგავდნენ ისეთ საქმიანობაში, როგორიც მაგიდის წმენდაა, დავალებას არ აძლევდნენ და მოსწავლე თუ სხვა სკოლაში გადავიდოდა, ძალიან ძნელად შეეგუებოდა ახალ გარემოს. მონტესორის სკოლებს დიუიც აკრიტიკებდა. მისი აზრით, ამ სკოლებში არ ექცეოდა ყურადღება სოციალურ ინტერაქციას, რაც მისი განათლების ფილოსოფიის მთავარი პოსტულატი გახლდათ.

არც ერთ სწავლების მეთოდში არ ვხვდებით ჩვენ (გარდა მონტესორისა) გარდატეხის ასაკში (12-15 წელი) მსგავსს თანადგომას მოსწავლეებთან, რომ მათ ნაკლები სიმკაცრით ეკიდებოდნენ სასწავლო პროცესში.

ამდენად, მონტესორის სწავლების სისტემა არსებითად განსხვავდება ტრადიციული პედაგოგიკისგან. პირველ ყოვლისა, ის გულისხმობს ბავშვის, როგორც უნიკალური, განუმეორებელი პიროვნების, აღქმას, რომელსაც აქვს განვითარების ინდივიდუალური გეგმა. მეორე ფაქტორი გახლავთ პედაგოგის როლი. მთავარი ადგილი სივრცეში ბავშვს ენიჭება, მასწავლებელი მხოლოდ დამხმარეა, მისი ამოცანაა პატარას ასწავლოს სწორი მუშაობა საგნებთან და თვალყური ადევნოს მის მიღწევებს. სწორედ ამით ვლინდება ბავშვის არჩევანის თავისუფლება – მას აქვს საშუალება ავიდეს თვითგანვითარების კიბის ზედა საფეხურისკენ საკუთარი ტემპით. დამოუკიდებლობა ხომ წარმატებისა და ბედნიერი ცხოვრების საწინდარია.
„იმისათვის, რომ აღვზარდოთ ბავშვი – უნდა ვიცოდეთ მისი ბუნება, იმისათვის, რომ მისი ბუნება შევისწავლოთ, უნდა ვაკვირდებოდეთ მას, ხოლო იმისათვის, რომ ვაკვირდებოდეთ – უნდა მივცეთ მას თავისუფლება.“

ლიტერატურა:

1. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები; დამხმარე სახელმძღვანელო, I, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
2. http://edu-child.ge
3. www.gypa.ge

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

ჰოლოგრაფიის პრაქტიკაში გამოყენება

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე სწრაფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად უმნიშვნელოვანესი პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით. ტექნოლოგიებმა ძირეულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. არაერთი ტექნოლოგიური სიახლე დაინერგა მრავალი მიმართულებით. მათ შორის ერთ-ერთია ჰოლოგრაფიაც, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა პრაქტიკაში.

ჰოლოგრაფია ბერძნული სიტყვაა (ბერძ. holos მთელი, სრული და (ფოტო) გრაფია, გრაფოს – აღწერა) და ობიექტის მოცულობითი გამოსახულების მიღების მეთოდს გულისხმობს. [1]

ჰოლოგრაფია შედარებით ახალი ტექნოლოგიაა, რომელიც ჩვენ ცხოვრებაში დამკვიდრდა. ჰოლოგრაფიის აღმოჩენა უკავშირდება უნგრელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის დენის გაბორის (1900-1979 წწ.) სახელს. [2; 3] 1947 წელს მან აღმოაჩინა ტექნოლოგია, რომელიც გამოსახულების დატანის ახლებურ და უჩვეულო მეთოდს გულისხმობდა. 1948-51 წლებში მან შეიმუშავა ჰოლოგრაფიის ზოგადი თეორია და მიიღო პირველი ჰოლოგრამები. 1958 წელს მან შექმნა პირველი ჰოლოგრაფიული მიკროსკოპი. [2] 1960 წელს გამოიგონეს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ტექნოლოგიურ საოცრება – ლაზერი, მოწყობილობა, რომელიც გარდაქმნის ტუმბვის ენერგიას კოჰერენტულ, მონოქრომატულ, პოლარიზებულ და მიმართულ სინათლის სხივად. [4] ლაზერმა შესაძლებელი გახადა დამზადებულიყო უნიკალური ჰოლოგრამები, მაგრამ პირველ ხანებში ლაზერების დამზადებაზე დიდი დანახარჯებისა და, შესაბამისად, მისი სიძვირის გამო ხელი შეეშალა აღნიშნული ტექნოლოგიის ფართო გავრცელებას. თუმცა მოგვიანებით კვანტურ ელექტრონიკაში მომუშავე მეცნიერების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ლაზერების სრულყოფა და ჰოლოგრაფია ფართოდ გავრცელდა. დღეისათვის ჰოლოგრამის დატანა შესაძლებელია საყოფაცხოვრებო DVD პლეერში არსებული ლაზერითაც კი. [5]

1962 წელს რუსმა მეცნიერმა იური დენისიუკმა პირველმა აღბეჭდა პირველი 3D გამოსახულება ჰოლოგრამაზე. პირველი მაღალი ხარისხის ჰოლოგრამები კი ინგლისელმა ფიზიკოსმა ნიკოლას ჯონ ფილიპსმა მიიღო. დღეს ყველაზე გავრცელებულია ე.წ. ცისარტყელის გადამტანი ჰოლოგრამები, რომელთაც შეუძლიათ მონოქრომატული სინათლის ზემოქმედებით გამოსახულება სხვადასხვა ფერებში წარმოაჩინონ. ამ ტიპის ჰოლოგრამები ყველაზე ხშირად საკრედიტო ბარათებზეა დატანილი.

ჰოლოგრაფიის პროცესის მარტივი აღწერა შემდეგში მდგომარეობს: სივრცეში მოთავსებულია ობიექტი, რომლისკენაც მიმართულია სინათლის წყაროს (ლაზერი) სხივები. ობიექტსა და სინათლის წყაროს შორის მოთავსებულია ე.წ. გამოსხივების გამხლეჩი ფირფიტა, რომლის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ სხივების ნაწილი მიმართოს ობიექტისკენ, ხოლო ნაწილი კი მის ქვემოთ მოთავსებული ამრეკლავი სარკისკენ, რომელიც, თავის მხრივ, არეკლილ სხივებს მიმართავს ობიექტის ქვემოთ მოთავსებული ფოტო ფირისკენ. სხივების მეორე ნაკადი, რომელიც მიმართულია ობიექტისკენ, ასევე ირეკლება და ეცემა ფოტო ფირზე. ამგვარად იქმნება ჰოლოგრაფიული გამოსახულება ანუ ჰოლოგრამა. ხშირად ჰოლოგრაფიას 3D ფოტოგრაფიას ადარებენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ჰოლოგრამის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მასზე აღიბეჭდოს გამოსახულება, რომლის რეპროდუქციაც შემდგომში იქნება შესაძლებელი. ფოტოგრაფია გულისხმობს სურათის გადაღებას, რომელიც მოექცევა ობიექტივში ჩამონტაჟებული ლინზების მოქმედების არეალში, მაშინ, როცა ჰოლოგრაფია არის ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს შექმნას სისტემა – ჰოლოგრამა, რომელიც არ წარმოადგენს სურათს და უზრუნველყოფს დატანილი გამოსახულების რეპროდუქციას. [5]

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე (იხ. ნახ. 1) წარმოდგენილია ჰოლოგრაფია ლაზერული განათებით.

ნახ. 1. ჰოლოგრაფია ლაზერული განათებით [7]



მაშასადამე, ჰოლოგრაფია ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ნაზავია. ჰოლოგრაფია ყველაზე რეალური კონტურების მიმღები ტექნოლოგიაა. ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო აღმოჩენიდან, მაგრამ მის კომერციულ წარმატებას ახალ-ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენებით მომდევნო წლებში უნდა ველოდოთ.

განვიხილოთ ჰოლოგრაფიის პრაქტიკაში გამოყენების ცალკეული მაგალითები.

დღეისათვის ჰოლოგრაფია წარმატებით გამოიყენება მრავალი მიმართულებით: ბიზნესში, მედიცინაში და ა.შ.

წლების წინ, წინა თაობის ქირურგების ტვინში „პატარა ელექტრიკოსები“ - ანუ, ნეირონები მუშაობდნენ, რომ ბიოდენების ტყორცნით პირველი „სადენები“ ლაპაროსკოპიული ტექნიკის ასათვისებელი მიმართულებით ჩაედოთ (ლაპაროსკოპიული ტექნიკის კამერით აღნუსხულ ობიექტს ქირურგი ეკრანზე უცქერს და თვალის და ხელის მოძრაობის კოორდინაციას იმ აბსტრაქციულ გამოსახულებით ცდილობს). მომავლის ოპერაციებზე კი ჩვენს „ცენტრალურ დისპეჩერს“ ნეირო-კაბელების მეშვეობით ჰოლოგრაფიული სურათით დახარისხებულ-დაზუსტებულ ინფორმაციები გაეგზავნება, რათა ექიმების ხელები სოპერაციო ველზე ტვინიდან მიღებული სრულიად ახალი ტიპის დავალებათა შესასრულებლად აამოქმედოს. ასე რომ, ციფრულსა და რეალურს შორის მიჯნას, ტექნოლოგიები, სავარაუდოდ, მედიცინაშიც გააქრობს. [6]

დეველოპერულ ღონისძიებაზე „Build 2015“ Microsoft-მა უნივერსალური ოპერაციული სისტემის საკუთარი ხედვა წარმოადგინა, საიდანაც გამოჩნდა, რომ Windows 10 იმუშავებს პლანშეტებზე, სმარტფონებზე, Xbox One-ზე, IoT მოწყობილობებსა და ჰოლოგრაფიკულ კომპიუტერებზეც კი. Microsoft-ის ყველაზე ინოვაციური პროდუქტი - ჰოლოგრაფიკული რეალობის სათვალე HoloLens-ი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. კორპორაციამ სათვალის რამდენიმე დემონსტრაცია წარმოადგინა. პირველ შემთხვევაში ადამიანი სათვალეს საშინაო გარემოში იყენებდა: ამინდი, Skype, ბრაუზერი და, რაც ყველაზე საინტერესოა, ვიდეოს ყურების შესაძლებლობა მასშტაბირებით, რომლის ფანჯარა მომხმარებელს ნებისმიერ სწორ საფარზე შეუძლია მოათავსოს. მეორე შემთხვევაში HoloLens-მა იმუშავა როგორც მნიშვნელოვანმა მოწყობილობამ მეცნიერებასა და საგანმანათლებლო სისტემაში: ადამიანის სხეულის დეტალური შეთვალიერება, შესწავლა და სხვ. მესამე დემონსტრაცია ეხებოდა რობოტის გამოჩენას, რომელიც Raspberry Pi-ს და Windows 10-ის გამოყენებით იყო აგებული. გამოსული ქალბატონი ამ რობოტს HoloLens-ის მეშვეობით აკონტროლებდა, თვითონ რობოტი კი სათვალის მეშვებით ჩანდა. ეს რობოტი წარმოადგენდა Windows 10-ის უნივერსალურ აპლიკაციას. Microsoft-მა დაადასტურა, რომ ყველა უნივერსალური აპლიკაცია ასევე იმუშავებს HoloLens-ზე. [8]

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ქვეყანაში ჰოლოგრაფიის შექმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტრადიციები ჩამოყალიბდა და მისი განვითარების პერსპექტივები არსებობს. ამის მაგალითია სავაჭრო სახლი „გოლეთიანი“, რომელსაც გააჩნია საკუთარი დამცავი ჰოლოგრამა მობილურ ტელეფონებზე. გარდა ამისა, ჰოლოგრაფია შეიძლება წარმატებით იყოს გამოყენებული ქართული კულტურის, ხელოვნების წარმოსაჩენად, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ჰოლოგრაფია ექსპონირების საუკეთესო საშუალებაა და იგი დიდ სამსახურს გაუწევს ქართული კულტურის უნიკალური ძეგლების საზღვარგარეთ ექსპონირების უმნიშვნელოვანეს საქმეს. საზღვარგარეთის ქვეყნებში ხშირად იმართება ხელოვნების უნიკალური ნიმუშების ჰოლოგრაფიული გამოფენები. ეს ჰოლოგრამები საკმაოდ შთამბეჭდავი და ორიგინალთან მიახლოებულია.

გარდა იმისა, რომ ქართულ კომპანიებს შეუძლიათ წარმატებით დანერგონ და გამოიყენონ ჰოლოგრაფიის მეთოდი საკუთარ ბიზნეს საქმიანობაში, იგი ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, ხელოვნებაში, კულტურაში და სხვ.

ხელოვნების ნიმუშების ჰოლოგრაფირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დასაფასებელი ქართველი ფიზიკოსისა და მეცნიერის შერმაზან ყაყიჩაშვილის ღვაწლი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე 1963 წლიდან მუშაობდა, რათა შეექმნა სახვითი ხელოვნების ნიმუშების ჰოლოგრაფიული გალერეა. მის მიერ სხვადასხვა დროს გადაღებულია სხვადასხვა ტექნიკით დამზადებული ჰოლოგრაფიული შედევრები: ხატები, საკიდები, სამაჯურები, ცნობილი თრიალეთის ოქროს თასი და სხვ. [9] შ. ყაყიჩაშვილი ითვლება პოლარიზაციული ჰოლოგრაფიის ფუძემდებლად. მან პირველმა შექმნა წრიული ჰოლოგრამა, რომელზეც თავისი თავი ასახა. შ. ყაყიჩაშვილი დიდი წვლილი მიუძღვის ჰოლოგრაფიის განვითარებაში. მისი ავტორობით გამოცემულია 250-მდე სტატია. მის სახელს უკავშირდება 22 გამოგონება. მეცნიერი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე შუა აზიის ქვეყნებშიც. მის მიერ შექმნილი ჰოლოგრამები გამოფენილი იყო მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე, მათ შორის საფრანგეთში, რუსეთში, ჩეხეთში,

ავსტრიაში, ირანში, ვიეტნამში, სირიაში, ესპანეთში. მისი ჰოლოგრამები გამოფენილია პარიზის ჰოლოგრაფიის მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაზეც. [10]

მიგვაჩნია, უნდა მოხდეს საქართველოს მუზეუმებში დაცული ყველა პირველხარისხოვანი ძეგლის ჰოლოგრაფირება, რათა შთამომავლობას ისინი დღევანდელი სახით შემოვუნახოთ, ხოლო რაც შეეხება მათ საექსპოზიციოდ გაგზავნას, ძეგლების ნაწილი შესაძლებელია გაიგზავნოს ორიგინალების სახით (რომლებიც აშკარად კარგ მდგომარეობაში არიან), ხოლო ნაწილი კი ჰოლოგრამებით გავაცნოთ უცხოელებს. მით უმეტეს, რომ დარგის სპეციალისტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ რიგი ძეგლებისა არ გაიგზავნოს საზღვარგარეთ, მაგალითად ხახულის ხატი.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ჰოლოგრაფიული ექსპოზიციების საზღვარგარეთ რეგულარულად მოწყობა მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა ქართული კულტურის უცხოეთში პოპულარიზების საქმეში, ვინაიდან ჰოლოგრაფია იგივე ლაზერული ფოტოგრაფირებაა. იგი მომავლის ტექნოლოგიაა და გამოფენაზე მისი წარმოჩენით არა მარტო ბრწყინვალე წარსულს გავაცნობდით უცხოელებს, არამედ ვაჩვენებდით იმასაც, რომ ჩვენ, ქართველები, XXI საუკუნის ტექნოლოგიების შემქმნელი ერიც ვართ, რაც, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოზე დადებითი იმიჯის ჩამოსაყალიბებლად.

ლიტერატურა:

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=46439
2. http://pvp.do.am/news/denis_gabori_dennis_gabor/2010-10-24-129
3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=46864
4. https://ka.wikipedia.org/wiki/ლაზერი
5. http://www.navigator.ge/ArticleView.aspx?Id=2298
6. http://www.media.ge/ge/portal/articles/301761/
7. http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_colier/6771/ГОЛОГРАФИЯ
8. https://www.wintimes.ge/ყველა-სიახლე-build-2015-დან/
9. https://ilianadimashvili.wordpress.com/ჰოლოგრაფია/
10. https://ka.wikipedia.org/wiki/შერმაზან_ყაყიჩაშვილი

ფიბონაჩის რიცხვები

რუსუდან რაზმაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** პროფესორი

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, აღსავსეა საოცრებებით. სწორედ ამ საოცრებებით აღსავსე სამყაროსგან ყოველდღიურად მდიდრდება ადამიანი ახალი და ზოგჯერ გასაოცარი ცოდნით. ამის ნათელი მაგალითია ლეონარდო პიზელი, ფიბონაჩი.

ფიბონაჩი ცნობილია, როგორც შუა საუკუნეების „უდიდესი მათემატიკოსი“. მან დაგვიტოვა საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი ცნობები „ოქროს კვეთასა“ და ღვთიურ მიმდევრობაზე. ბუნებაში არსებობს უფრო საინტერესო და ღრმა მიმდევრობა, ვიდრე ციფრების ერთად დაწყობაა. ფიბონაჩის რიცხვები, ეს არის მიმდევრობა, რომლის ყველი მომდევნო წევრი წინა ორის ჯამს წარმოადგენს 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89.... ანუ ზოგადი ფორმულა ასეთია $F[n] = F[n-1] + F[n-2]$.

1202 წელს გამოვიდა ფიბონაჩის წიგნი, სახელწოდებით „გამოთვლების წიგნი“ (Liber Abacci), სადაც სხვა მასალებთან ერთად მოცემული იყო მისი ერთ-ერთი თავსატეხი ამოცანა კურდღლების შესახებ. სწორედ ამ კურდღლების ამოცანის მიხედვით დაიმკვიდრა მან ადგილი მათემატიკის

ისტორიაში. ამოცანის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა, ფიბონაჩის ფერმაში ახალდაბადებული წყვილი კურდღელი დაბადებიდან ორი თვის შემდეგ აჩენს ახალ წყვილს, ხოლო შემდეგ ყოველ თვეს თითო-თითოს. რამდენი კურდღელი გვეყოლება 12 თვის შემდეგ? ცხადია, რომ პირველ თვეში გვეყოლება ერთი წყვილი ბოცვერი, მეორე თვეშიც, რა თქმა უნდა, ერთი წყვილი, რადგანაც მხოლოდ ორი თვის მერე იწყებს ნამატის მოცემას კურდღელი. მესამე თვეში უკვე ორი წყვილი გახდება კურდღლების რაოდენობა, მეოთხეში-3, მეხუთეში-5 და ა.შ. თუ ამ მსჯელობას მივყვებით მივიღებთ ფიბონაჩის რიცხვებს და 12 თვის შემდეგ კურდღლების რიცხვი იქნება 144. ამოცანის პასუხიც იყო სწორედ 144.

ფიბონაჩის რიცხვებში ყოველი მომდევნო უფრო მყარადაა დაკავშირებული წინასთან ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიმდევრობებშია. ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობის ყოველი რიცხვის ფარდობა მის შემდგომ რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 0.618-ის. აი მაგალითად 55/89 დაახლოებით 0.618–ის ტოლია, ხოლო ყოველი რიცხვის ფარდობა მის წინა რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 1.618-ის ანუ 0.618-ის ინვერსიის. რაც უფრო იზრდება რიცხვები მით უფრო ზუსტად უახლოვდება ფარდობა 0.618034…-ს, რიცხვს, რომელსაც ვუწოდებთ φ-ს (ფი).

ფიბონაჩის რიცხვებს ხშირად ბუნების ნუმერაციის სისტემასაც უწოდებენ , რადგან სამყაროში თითქმის ყველაფერი მასა და ოქროს კვეთის პროპორციას ემყარება, ეს ორი საკითხი კი საკმაოდ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ტრადიციულადაა მიღებული, რომ ცნება - „ოქროს კვეთა“ პირველად შემოიღო პითაგორამ და ეს ცოდნა მან ძველი ბაბილონელებისა და ეგვიპტელებისგან შეიძინა. მართლაც, ფარაონი ხეოფსის პირამიდის ტაძრების აგებულობა, სამკაულებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების პროპორციები ცხადყოფენ, რომ უძველესი ეგვიპტელი ოსტატები კარგად ფლობდნენ და აქტიურად იყენებდნენ ოქროს კვეთის პრინციპებს.

სხვა ვერსიით ტერმინი „ოქროს კვეთა“ შემოიღო ლეონარდო და ვინჩიმ. მან აღმოაჩინა, რომ ამ პროპორციის პირობებში სისტემის ელემენტები ქმნიან ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს და აღწევენ უმაღლეს ჰარმონიას ფერწერის, ქანდაკებისა თუ არქიტექტურის შედევრებში. მაგრამ, „ოქროს კვეთის“ მათემატიკური თეორიის სისტემატიზებულ საფუძვლებს მაინც უკავშირებენ შუა საუკუნეების ევროპელი მათემატიკოსის - ფიბონაჩის სახელს.

ოქროს კვეთის თეორემა ასე გამოითქმის: ოქროს კვეთა არის მთელის ისეთი გაყოფა ორ ერთმანეთის არატოლ ნაწილად, როდესაც დიდი ნაწილი ისე შეეფარდება მთელს, როგორც მცირე ნაწილი - დიდს. გეომეტრიაში ოქროს კვეთას საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფასაც უწოდებენ. უფრო გასაგები რომ იყოს, განვიხილოთ მონაკვეთი.

$$AB:AC=AC:CB=1{,}618$$

თუ C წერტილი AB მონაკვეთზე ისეა შერჩეული, რომ AB/AC=AC/CB, მაშინ ვიტყვით, რომ C წერტილი AB მონაკვეთს ოქროს კვეთის პროპორციით ყოფს. ალგებრულად ოქროს კვეთა დაიყვანება შემდეგი განტოლების ამოხსნამდე:

$$\frac{a+b}{a}=\frac{a}{b}=\frac{1+\sqrt{5}}{2}=\varphi\ ,$$

სამყაროში, ყველაფერი გარკვეული კანონზომიერებით, პროპორციითაა აგებული, მიუხედავად მისი ქაოსური ბუნებისა და მრავალფეროვნებისა, თუ შევეცდებით ყველაფერი კონკრეტულ სიმარტივემდე, ციფრების სისტემაში გადავიყვანოთ, სამყაროს გენიალურობა დადის ერთ მარტივ ციფრამდე და როგორც უკვე ვთქვით ეს არის 1,618 (PHI), რომელსაც მეცნიერები სრულყოფილ რიცხვსაც უწოდებენ.

მცენარეების, ცხოველების და ადამიანების აგებულებაში იმდენად ხშირად ვხვდებით 1,618–ს, რომ ანტიკური ხანის მეცნიერებმა მას „ღვთაებრივი პროპორცია“ უწოდეს. მაგალითად, ფუტკრების სკაში მდედრების და მამრების რაოდენობა ყოველთვის დაბალანსებულია, მდედრი ფუტკრები

რაოდენობრივად სჭარბობენ მამრებს, მაგრამ თუ მდედრების რაოდენობას გავყოფთ მამრი ფუტკრებისაზე, ყოველთვის, მსოფლიოს ნებისმიერი სკისათვის, შედეგად მივიღებთ 1,618–ს.

თუნდაც მანძილი ადამიანის თავის წვეროდან იატაკამდე, რომ გავყოთ მანძილზე ჭიპიდან იატაკამდე, ეს ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება 1,618.

ალბათ, ყველას გვინახავს პენტაგრამა, რომელსაც ბევრი კულტურა მიიჩნევს ღვთაებრივი და ჯადოსნური ძალის მატარებელ გამოსახულებად, მასში ყველა სეგმენტის შეფარდება PHI-ს ტოლია. თუ სწორად დავხაზავთ ამ სიმბოლოს, მაშინ წრფის მონაკვეთები ავტომატურად დაიყოფიან „ღვთაებრივი პროპორციის“ მიხედვით.



ფიბონაჩის რიცხვების პროპორციები გვხვდება ბუნებაში, ცოცხალ ორგანიზმებში, მუსიკაში, არქიტექტურაში და „ვეფხისტყაოსნის“ რითმწყობაშიც კი. ატომის სტრუქტურები, დნმ-ის ჯაჭვი, მცენარეთა აგებულება, ტვინის ხვეულები, პლანეტების ორბიტები, გალაქტიკები, ბუნება ყველგან იყენებს ოქროს პროპორციას.

ფიბონაჩის გეომეტრია

ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება გაიყოს ისე, რომ გაყოფილიდან, პატარა ნაწილის ფარდობა დიდთან ტოლი იყოს დიდი ნაწილის ფარდობის მთლიან მონაკვეთთან. ეს კი უდრის 0.618-ს.

ოქროს სამკუთხედი

ოქროს სამკუთხედის გვერდების ფარდობა ტოლია 1.618-ს. რომ ავაგოთ ოქროს სამკუთხედი კვადრატის კუთხიდან დავუშვათ მონაკვეთი გვერდის შუა წერტილამდე.



ძალიან რომ არ გადავიტვირთოთ, შემდეგი ნახაზი აჩვენებს როგორ მივიღოთ **ოქროს მართკუთხედი**.



შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია ოქროს მართკუთხედების საშუალებით მიღებული **ოქროს სპირალი**:



შემდეგ ნახაზზე კი ჩანს, პუნქტირით ნაჩვენები ოქროს სპირალის ზომები ერთმანეთთან თანაფარდობაშიც იძლევა φ-ს, 0.618-ს.



$$\frac{r_2}{r_1} = \frac{r_3}{r_2} = \frac{r_4}{r_3} = \ldots = \frac{r_n}{r_{n-1}} = 1.618$$

$$\frac{d_2}{d_1} = \frac{d_3}{d_2} = \ldots = \frac{d_n}{d_{n-1}} = 1.618$$

(where $d_1 = r_1 + r_3$, $d_2 = r_2 + r_4$, etc.)

$$\frac{\text{arcXY}}{\text{arcWX}} = \frac{\text{arcYZ}}{\text{arcXY}}, \text{etc.} = \frac{\text{arcXZ}}{\text{arcWY}} = 1.618$$

$$\frac{\text{arcWY}}{\text{diam. (WY)}} = \frac{\text{arcXZ}}{\text{diam. (XZ)}}, \text{etc.} = 1.618$$

ოქროს სპირალს საზღვარი არ აქვს, დაიშლება უსასრულოდ. სპირალის ნებისმიერ წერტილში მისი რკალის სიგრძის ფარდობა დიამეტრთან ტოლია 1.618-ის.

ამ სპირალის კანონით მრავლდებიან ბაქტერიები, ახვევს თავის ბუდეს ობობა, ახვევს კუდს კომეტა, დედამიწასთან შეჯახებისას მეტეორიოტები ქმნიან ღრმულს ამ სპირალის შესაბამისად. ამასთან ერთად მისი საშუალებით ფორმირდება ჩვეულებრივი გირჩის აგებულება, ახვევს ნიჟარას ლოკოკინა, ეხვევა ზღვის ტალღა, ეხვევა ცხოველების რქები, განლაგდება ყვავილის ფოთლები და მზესუმზირას მარცვლები, ეხვევა ქარბორბალა და გალაქტიკური მოძრაობები.

ელიოტის ტალღური ანალიზის ერთ-ერთ საყრდენს ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობა წარმოადგენს. ასევე, სავაჭრო ტერმინალებში, ანალიზის გასაიოლებლად, დამატებულია ფიბონაჩის რიცხვების მიხედვით შექმნილი ხაზები და რკალები.

დროთა განმავლობაში ფიბონაჩის პიროვნება კაცობრიობამ ნელნელა დაკარგა მხედველობის არიდან. არსებობს ერთადერთი ძეგლი, იტალიაში, პიზის კოშკის პირდაპირ, მდინარის გაღმა, რომელიც ეძღვნება ლეონარდო ფიბონაჩის.

ლიტერატურა:

1. Gareth E. Roberts The Golden Ratio and Fibonacci Numbers, Montserrat Seminar Spring 2012
2. Kenneth H. Rosen. Discrete Mathematics and its applications; 7th edition. 2011

ნივთიერებათა ცვლის ციკლური პროცესები

ელენე ელიაშვილი, მარიამ სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარინე ქურიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

როგორც ცნობილია, ცოცხალ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესები მიმდინარეობს ურთულესი გზებით, მრავალი ბიოქიმიური რეაქციების გავლით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული ბიოქიმიური პროცესი ძირითადად საჭიროებს ენერგიას, სპეციფიკურ ფერმენტებს, კოფერმენტებს, ტრანსპორტერებს და მრავალ სხვა დამხმარე ფაქტორებს.

ცოცხალ ორგანიზმებში ბიოქიმიური რეაქციები მიმდინარეობენ ინდივიდუალურად, თუმცა მათ შორის ყოველთვის არსებობს გარკვეული კავშირები. განსაკუთრებული სირთულით, ბიოქიმიური რეაქციების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩევა უჯრედში მიმდინარე ისეთი პროცესები, რომლებსაც აქვთ ციკლის სახე და რომლებშიც მიმდინარეობს თითქმის ყველა ტიპის ბიოქიმიური რეაქცია.

საინტერესოა ის ციკლური პროცესები, რომელთა საშუალებით ხდება სხვადასხვა გზებით ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების მეტაბოლიზმი, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის ტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებლობა. უჯრედში მიმდინარე ციკლური პროცესებიდან განვიხილავთ კრებსის ლიმონმჟავა ციკლს, პენტოზების, კალვინის ციკლებს, ორნიტინის ანუ შარდოვანას ციკლს. ზოგიერთი ციკლური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული და იყენებენ ერთმანეთის პროდუქტებს. მაგ., კრებსის ლიმონმჟავა ციკლი და შარდოვანას ციკლი.

ზოგიერთი ციკლური პროცესი დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან, ხოლო სხვა - ენერგიის მობილიზაციასთან. ასეთი პროცესები განსხვავდებიან მიმდინარეობის ლოკალიზაციით და პირობებით. ციკლური პროცესები არ ფუნქციონირებენ განცალკევებულად - ისინი ყოველთვის არიან არაციკლური რეაქციების გაგრძელება და ასევე ხშირად მთავრდება სწორხაზოვნად მიმდინარე რეაქციებით.

უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ კრებსის ლიმონმჟავა ციკლს, რომელიც წარმოადგენს სუნთქვის შუალედურ საფეხურს და სადაც მობილიზდება ყველა ენერგეტიკული ნივთიერებების დაჟანგვის პროდუქტი ძმარმჟავა. ციკლის პროდუქტებია ნახშირორჟანგი და წყალბადის ატომები, რომლებიც ერთვებიან სუნთქვის ჯაჭვში, სადაც ხდება ენერგიის მობილიზება ATP-ს მოლეკულებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გლუკოზის დაჟანგვის პენტოზფოსფატური ციკლი, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედებს რიბოზით, რომელიც აუცილებელია ნუკლეოტიდების სინთეზისათვის.

სინთეზური ტიპის ციკლებიდან განვიხილავთ ფოტოსინთეზის კალვინის ციკლს - სიბნელის რეაქციების ერთობლიობას. კალვინის ციკლი შედგება 13 რეაქციისაგან, რომელთაგან პირველი (ნახშირორჟანგის ფიქსაცია) და ბოლო - რიბულოზოდიფოსფატის სინთეზი მიმდინარეობენ მაფოტოსინთეზირებელ უჯრედებში, ხოლო დანარჩენი ყველა უჯრედში. ამ ციკლით ხდება ყველა მონოსაქარიდის სინთეზი.

სინთეზური ტიპის ციკლებს მიეკუთვნება ცხოველური ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი შარდოვანას (ორნიტინის) ციკლი, რომლის საშუალებითაც ხდება ორგანიზმში აზოტშემცველი ნაერთების დაშლის საბოლოო პროდუქტის ტოქსიკური ამიაკის გაუვნებლობა. ამიაკი ციკლში ერთვება კარბამოილფოსფატის სახით, რაც მოითხოვს ATP-ს ენერგიას. ორი მოლეკულა ამიაკიდანსინთეზირდება ერთი მოლეკულა შარდოვანა, რომელიც გამოიყოფა ორგანიზმიდან.

როგორც განხილული მასალიდან ვხედავთ, ციკლური პროცესები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა პროცესებში და წარმართავენ ენერგიის მობილიზაციის, მნიშვნელოვანი ნაერთების სინთეზის რეაქციებს.

ლიტერატურა:
1. ნ. კოშორიძე, ბიოქიმია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
2. ვ. პ. კრეტოვიჩი, მცენარეთა ბიოქიმია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
3. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, გამომცემლობა „ვესტა“, 1955.

მშრალი თვალის სინდრომი - XXI საუკუნის პრობლემა

რატი მარიამიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ უბირია,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

მშრალი თვალის სინდრომი დღესდღეობით არის თვალის დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგია. თვალების სიმშრალის დროს თვალის ზედაპირზე აღარ არის საკმარისი რაოდენობით ცრემლი, რათა მოხდეს თვალის სრულფასოვანი დატენიანება და კვება. ცრემლი წარმოიქმნება საცრემლე ჯირკვალში, რომელიც მდებარეობს თვალის გარეთა კუთხესთან. ის ასველებს და ათბობს თვალს, აცილებს მასზე მოხვედრილ უცხო სხეულებს. თვალის შიგნითა კუთხესთან არის საცრემლე არხი, რომლის მეშვეობითაც ცრემლი ჩაედინება ცხვირის ღრუში. მშრალი თვალის სინდრომის დროს ირღვევა ცრემლის აპკი თვალის ზედაპირზე, შესაბამისად არასაკმარისად ტენიანდება თვალი, ნაკლებად ჩამოირეცხება და გამოიდევნება უცხო სხეულები და ირღვევა რქოვანა გარსის კვების პროცესი. გარდა ამისა ცრემლი შეიცავს ლიზოციმს, რომელსაც დამცველობითი მოქმედება ახასიათებს, ებრძვის დაავადების გამომწვევ მიკრობებსა და ვირუსებს. როდესაც ცრემლი დამცველობით ფუნქციას ვეღარ ასრულებს შესაძლებელია განვითარდეს ანთებითი პროცესი.

თვალების სიმშრალე იწვევს თვალების დაძაბვასა და ადვილად გადაღლას. მხედველობითი დისკომფორტი, რომელიც ახლავს ამ პათოლოგიას, განაპირობებს შრომისუნარიანობის დაქვეითებასა და დეპრესიას. თვალების სიმშრალის ხანგრძლივმა არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის სერიოზული დარღვევები.

მშრალი თვალის სინდრომი სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. მათგან აღსანიშნავია კომპიუტერთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობა, ტელევიზორისა და მონიტორის დიდხანს ყურება. ამ მიზეზის გამო თვალების სიმშრალე ხშირია ოფისში მომუშავე ადამიანებისთვის, რომლებსაც დიდხანს უწევთ კომპიუტერის მოხმარება. ელექტრომაგნიტური გამოსხივება არღვევს ცრემლის გამოყოფის პროცესს. გარდა ამისა მონიტორზე დიდხანს ყურების დროს მხედველობა იძაბება და ქვეითდება თვალების ხამხამის სიხშირე, ქუთუთოები იშვიათად ასველებენ რქოვანას ცრემლით, რაც იწვევს ცრემლის სწრაფად აორთქლებას, შესაბამისად ირღვევა თვალის წინა ნაწილების ქსოვილების დატენიანება და ვითარდება თვალების სიმშრალე.

მშრალი თვალის სინდრომი შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიურად დაბინძურებულმა გარემომ, სადაც უხვადაა მანქანის გამონაბოლქვი და მტვერი. ყოველივე ეს იწვევს რქოვანა გარსის გაღიზიანებას, რასაც თვალების სიმშრალე მოყვება. ასევე მოქმედებს კონდიცირებული ჰაერი, რომელიც აჩქარებს ცრემლის აორთქლებას. თვალების სიმშრალის გამომწვევი სხვა ფაქტორებია: სიგარეტის კვამლი, ზოგიერთი მედიკამენტების ხანგრძლივად მიღება (მაგ: ანტიდეპრესანტები, სედატიური, ანტიჰისტამინური და სხვა), ასაკი, ჰორმონალური ფონი, თვალის გადატანილი ინფექციური დაავადებები, კონტაქტური ლინზები, უხარისხო კოსმეტიკური საშუალებები. ასევე შეიძლება განვითარდეს ზოგიერთი დაავადების (მაგ; რევმატოიდული ართრიტის) დროს.

თვალების სიმშრალის დროს ადამიანს აღენიშნება:

- საერთო მხედველობითი დისკომფორტი.
- თვალებში სიმშრალის, სიმძიმის და დაღლილობის შეგრძნება.
- თვალების დროდადრო წვა და საღამოობით თვალებში ჭრის შეგრძნება.
- სინათლის შიში ან მხედველობის პერიოდული ბუნდოვნება.

- თვალის არეში სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილის შეგრძნება, განსაკუთრებით თვალის ხამხამის დროს.
- მხედველობის სიმახვილის პერიოდული დაქვეითება და გაუმჯობესება დასვენების შემდეგ.
- თვალის ხამხამის გახშირება (ნორმა 20-25 წუთში).
- ცრემლდენა ქარში, სიცხეში, კონდიცირებულ გარემოში.
- თვალების ლორწოვანის შეწითლება.
- მცირე რაოდენობით ლორწოვანი გამონადენი ქუთუთოების კუთხეში.

თვალების სიმშრალისას დროდადრო კომპენსაციისთვის ცრემლის რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს, ამიტომ ხშირად ცრემლდენას უჩივიან.

მშრალი თვალის სინდრომის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება „შრიმერის ტესტი". ამ ტესტით განსაზღვრავენ ცრემლის გამომუშავებას. ქვედა ქუთუთოს თაღში ათავსებენ სპეციალურ ქაღალდის ფირფიტას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში უნდა დასველდეს შესაბამის დანაყოფამდე. დანაყოფის მიხედვით განისაზღვრება ცრემლის გამოყოფის ხარისხი.

თვალების სიმშრალის სამკურნალოდ ძირითადად გამოიყენება ხელოვნური ცრემლის პრეპარატები, რომლებიც სხვადასხვა სიბლანტისაა. მათი გამოყენება ცრემლის აპკს აღადგენს, თვალს უქმნის ნორმალურ ფიზიოლოგიურ გარემოს, აუმჯობესებს თვალის წინა მონაკვეთის ქსოვილების კვებას და ხსნის ზემოთ აღნიშნულ ჩივილებს. არსებობს ქირურგიული მკურნალობის მეთოდიც. თვალიდან ცრემლის გადინების შესამცირებლად საცრემლე გზებში ათავსებენ სპეციალურ საცობებს, ცრემლი ნაკლები რაოდენობით გადადის ცხვირის ღრუში, უფრო დიდხანს რჩება თვალში და უფრო მეტად დაატენიანებს მას. საცობების იმპლანტაცია უმტკივნეულო და უსაფრთხოა, არ ქმნის დისკომფორტს და კოსმეტიკურად შეუმჩნეველია.

სჯობს საქმე მკურნალობამდე საერთოდ არ მივიყვანოთ, ამისთვის უნდა ვერიდოთ ყველა იმ ფაქტორს, რომელიც თვალების სიმშრალის გამომწვევია. აუცილებელია დავიცვათ კომპიუტერთან და მონიტორებთან მუშაობის წესები. რეკომენდირებულია თვალების ხშირი ხამხამი და დროდადრო დასვენება მონიტორის ყურებისას, დღის განმავლობაში საკმარისი რაოდენობით სითხის მიღება, ბალანსირებული კვება, ჰაერის მუდმივი დატენიანება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თვალის დასრესვა, ამ დროს უფრო ღიზიანდება თვალი. თუ ადამიანის შრომითი საქმიანობა კომპიუტერთან მუშაობას უკავშირდება აუცილებელია სპეციალური დამატენიანებელი წვეთების ჩაწვეთება. გავუფრთხილდეთ გარემოს. ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო თვალების სიმშრალის გარდა სხვა ბევრ პათოლოგიასაც აგვარიდებს თავიდან.

ლიტერატურა:
1. მაია მუხიგული, დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია, გამომცემლობა „პალიტრა L", 2015.

ინტერნეტ რესურსები:
1. http://www.eyeclinic.ge/?m=show_text&id=13&rec=38&line=0
2. http://eyeclinic.ge/?m=show_text&id=3&rec=29&line=2

ზედაპირული წყლების ზოგიერთი ჰიდროქიმიური მაჩვენებელი (გორის რაიონში)

რატი მარიამიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** პროფესორი

წყალი ბიოსფეროს შეუცვლელი კომპონენტია. აკადემიკოს ვ. ვერნადსკის განმარტებით (ციტირებულია ა. ვორონცოვის და ნ. ხარიტონოვას მიერ, 1985) „ჩვენი პლანეტის ისტორიაში წყალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არ არსებობს ბუნებრივი სხეული, რომელიც შეედრებოდეს წყალს ყველაზე გრანდიოზული გეოლოგიური პროცესების მსვლელობაზე გავლენის მხრივ".

ბიოსფეროს თითქმის ყველა ორგანული ნივთიერება ფოტოსინთეზის პროდუქტია. წყლის გარეშე კი შეუძლებელია ფოტოსინთეზი ანუ უდიდესი კოსმოსური, პროცესი, რომელსაც უნდა უმადლოდეს სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე. წყალი ერთადერთი წყაროა ჟანგბადისა, რომელიც ფოტოსინთეზის დროს ატმოსფეროში გამოიყოფა.

წყალი სიცოცხლის აკვანია, უჯრედებისა და ქსოვილების აუცილებელი შემადგენელი ნივთიერებაა და განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმების არსებობას დედამიწაზე. წყალი შედის ადამიანის, ცხოველის და მცენარის ორგანიზმის შემადგენლობაში. ადამიანის ორგანიზმში ის ასრულებს თერმორეგულაციის, გამხსნელის, ჰორმონების, ფერმენტების, მინერალური ნივთიერებების ტრანსპორტირების და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს. ადამიანის მასის 60-65% წყალზე მოდის და მისი 10%-ით გაუწყლოება მწვავე ინტოქსიკაციას იწვევს, 20-ის დაკარგვა კი სიკვდილს.

წყალი წარმოადგენს თავისებურ მინერალს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი პლანეტის ბუნებრივ რესურსებს შორის, რადგან ის წარმოადგენს ისეთ ბუნებრივ-ისტორიულ სხეულს, რომლის შეცვლაც შეუძლებელია ხელოვნური გზით (შესაძლებელია ზოგიერთი ბუნებრივი რესურსების გარკვეულ ფარგლებში შეცვლა).

განუსაზღვრელია წყლის როლი ატმოსფეროს, ნიადაგური საფარის, ჰავის და საერთოდ, ბიოსფეროს ჩასახვა-განვითარებაში. უწყლოდ დედამიწა წარმოგვიდგებოდა როგორც „შიშველი ქვის ბურთი“ ნიადაგისა და ატმოსფეროს გარეშე. ხატოვნად შეიძლება ითქვას, რომ წყალი არის „სიცოცხლის ელექსირი“ პლანეტის მასულდგმულებელი“, „დიდი მოქანდაკე“, „პლანეტის ზედაპირის მაფორმირებელი“.

წყალი ბუნებაში ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკულად ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც სამივე აგრეგატულ მდგომარეობაში გვხვდება. დედამიწაზე მისი მთლიანი მარაგი $1{,}40 \cdot 10^{18}$ ტ შეადგენს, რომლის - 94% ზღვებსა და ოკეანეებზე მოდის. მტკნარი წყლის მარაგი არქტიკისა და ანტარქტიდის გამოკლებით, უმნიშვნელოა. მისი პოტენციური მარაგის ძირითადი განმსაზღვრელი მდინარეებია, რომლებიც თავის მხრივ, ატმოსფერული ნალექებით იკვებებიან და ამიტომ განახლებად რესურსთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

პლანეტის ერთ მცხოვრებზე წელიწადში საშუალოდ 11 ათასი $მ^3$ წყალი მოდის, რაც საკმარისზე მეტია. მიუხედავად ამისა, კაცობრიობას ემუქრება არა მტკნარი, არამედ მტკნარი სუფთა წყლის დეფიციტი. ცნობილია, რომ მოხმარებული წყლის ნახევარზე მეტი დაბინძურებული სახით უბრუნდება ბუნებას. ამასთან, 1 ტ ჩამდინარე წყალს 5-7 ტ და მეტი სუფთა წყლის დაბინძურება შეუძლია.

როგორც აღვნიშნეთ, ზედაპირული წყლები (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) მტკნარი წყლის ძირითადი, რეალური განახლებადი რესურსია. მათი მინერალიზაცია და ქიმიური შედგენილობა ფართო ზღვრებში იცვლება. გახსნილი ნივთიერებების რაოდენობის მიხედვით არჩევენ მცირე, საშუალო, ზომიერი და მაღალი მინერალიზაციის მქონე წყლებს. ჩვეულებრივ ზედაპირულ წყლებს აქვთ მცირე და საშუალო მინერალიზაცია, რაც დაკავშირებულია მათ ბალანსში ატმოსფერული ნალექების მნიშვნელოვან რაოდენობასთან.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა გორის და გორის რაიონის ძირითადი მდინარეების ზოგიერთი ჰიდროქიმიური მაჩვენებლის, კერძოდ: არეს რეაქციის, მშრალი ნაშთის, ამონიუმის, ნიტრატების, სულფატების, ქლორიდების შემცველობის და წყლის სიხისტის შესწავლა.

კვლევის ობიექტია აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი მდინარე მტკვარი და გორსა და გორის რაიონში მისი მთავარი შენაკადები: დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ტანა. მდინარე მტკვრის შენაკადებიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსანიშნავია დიდი ლიახვი (1,4 $კმ^3$), ქსანი (0,4 $კმ^3$), არაგვი (1,8 $კმ^3$),, ფარავანი (0,6 $კმ^3$), ალაზანი (3,1 $კმ^3$), იორი (0,6 $კმ^3$), ხოლო გორსა და გორის რაიონში - ლიახვი, მეჯუდა და ტანა.

მტკვარი საქართველოს დედა მდინარეა, მისი სათავეები განლაგებულია თურქეთში 2720 მ-ზე ზ.დ-დან მთა ყიზილ-გიადიქის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე. მტკვარი ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მისი საერთო სიგრძე 1364 კმ-ია, ხოლო აუზის საერთო ფართობით - 188 ათასი $კმ^3$ და ყველაზე დიდი აუზის მქონე მდინარეა. საქართველოს ფარგლებში მტკვრის სიგრძე 351 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზის საერთო ფართობი - 34670 $კმ^3$. მართალია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აუზის წილი მხოლოდ 19%-ია, მაგრამ აქ ყალიბდება მტკვრის საერთო ჩამონადენის 42% (ჩამონადენი შედგება თოვლის მდნარი, წვიმის და მიწისქვეშა წყლებისაგან).

ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად წყლის სინჯები აღებული იქნა მდ. მტკვრის და მისი შენაკადების, ლიახვის, მეჯუდას, ტანას წყლებიდან, მიმდინარე წლის ივნისის თვეში.

ანალიზური სამუშაოები ჩატარდა შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გორის სერვისის ცენტრის“ ლაბორატორიაში. განისაზღვრა არეს რეაქცია ინდიკატორით, მშრალი ნაშთი - გამოწვით, ამიაკი - ნესლერის, რეაქტივით, ნიტრატები - გრისის რეაქტივით, სულფატები - დალექვის და ქლორიდები - გატიტვრის მეთოდებით, სიხისტე - ქრომოგენების გამოყენებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოტანილია პირველ ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ წყლების P^H ნაკლებად დინამიურია და 7,3-7,8-ის ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 1

გორისა და გორის რაიონის ზედაპირული წყლების ქიმიური შედგენილობა

მდინარე, ადგილი	P^H	მშრალი ნაშთი, %	სიხისტე, მგექვ/ლ	მგ/ლ			
				NH_3	NO_3^-	SO_4^{2-}	Cl^-
მტკვარი - გორი	7,8	0,16	7,7	2,7	11,4	55,2	14,1
პატარა ლიახვი - ტყვიავი	7,6	0,12	6,9	1,3	3,2	38,0	9,3
მეჯუდა - გორი	7,7	0,15	7,3	2,0	8,0	41,5	12,0
ტანა - ატენი	7,3	0,09	6,0	0,90	2,5	15,2	3,4
ლიახვი - გორი	7,7	0,17	7,5	2,5	7,6	47,0	16,2

არეს რეაქციისაგან განსხვავებით მშრალი ნაშთის შემცველობა ფართო ფარგლებში (0,09-0,17%) ცვალებადობს. ამასთან, მისი რაოდენობა შედარებით მაღალია გორის ტერიტორიაზე -მტკვრის, მეჯუდას და ლიახვის წყლებში - საშუალოდ 0,16%, რომლის ერთ-ერთი მიზეზია ქალაქის საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყლები.

როგორც მონაცემებიდან (ცხრილი 1) ჩანს, ამიაკური და ნიტრატული აზოტის შემცველობა საკმაოდ მობილურია და მდინარეების წყლების მიხედვით შესაბამისად შეადგენს: 0,90-2,7 და 2,5-11,4 მგ/ლ. უნდა აღინიშნოს, რომ ნიტრატების რაოდენობა საგრძნობლად დაბალია მის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით. ეს დაკავშირებული უნდა იყოს იმ ფაქტთან, რომ მცენარეთა უმეტესი სახეობები აქტიური ვეგეტაციის ფაზაში დიდი რაოდენობით იყენებენ აზოტიან სასუქებს, რის გამოც ნიტრატების წყალში მოხვედრის შესაძლებლობა ნაკლებია. სულფატების შემცველობის ცვალებადობა მდინარეთა წყლების მიხედვით თითქმის ოთხჯერადია, ქლორიდების - ხუთჯერადი. რაც შეეხება წყლის სიხისტის მონაცემებს, შედარებით სტაბილურია და შეადგენს 6,0-7,7 მგექვ/ლ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გორის და გორის რაიონის ზედაპირული წყლები (მდ.: მტკვარი, ლიახვი, მეჯუდა, ტანა) მინერალური ნივთიერებების მაღალი შემცველობით არ გამოირჩევა (განსაკუთრებით მდინარე ტანა, რაც დამახასიათებელია მთის მდინარეებისათვის), თუმცა, ამ ნივთიერებათა კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მატულობს გორის ტერიტორიაზე ანთროპოგენური დატვირთვის გზით (ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად).

გამოვლინდა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება წყლებში მშრალი ნაშთის შემცველობასა და მინერალურ ნივთიერებათა კონცენტრაციებს შორის, რაც გარკვეულ ორიენტაციას იძლევა წყლის გაბინძურების ხარისხზე.

ლიტერატურა:

1. თ. ურუშაძე, ლ. მაჭავარიანი, გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თსუ, თბილისი, 2013.
2. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თსუ, თბილისი, 2008.
3. გ. სუპატაშვილი, გ. ქაჯაია, გარემო და ადამიანი, თსუ, თბილისი, 2001.
4. მ. გორდეზიანი, გ. კვესიტაძე, ეკოლოგიური ქიმიის საფუძვლები, თსუ, თბ., 2000.
5. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია, მთავარი რედაქტორი - საქ. მეც. აკად. წევრ-კორ., პროფ. ზ. ტატაშიძე, „მეცნიერება“, თბილისი, 2000.
6. ა. ვორონცოვი, ნ. ხარიტონოვი, ბუნების დაცვა, „განათლება“, თბილისი, 1985.
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, 1984.

მოლუსკები და მათი პრაქტიკაში გამოყენება

ნინო მახოხაშვილი, თამთა მეხრიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

მოლუსკები ცხოველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ტიპია, მასში გაერთიანებულია 100 000-ზე მეტი სახეობა. მოლუსკები ტიპობრივი წყლის ცხოველებია, ისინი ბინადრობენ ოკეანეებში, ზღვებსა, მდინარეებსა და მტკნარ წყლებში. ხოლო შედარებით მცირე ჯგუფი შეგუებულია ხმელეთზე ცხოვრებას. საქართველო ხმელეთის მოლუსკებით განსაკუთრებით მდიდარია, გვხვდება დაახლოებით 230 სახეობა და ქვესახეობა.

მოკუსკები ბილატერული სიმეტრიის მქონე ცხოველებია, მაგრამ ზოგ მათგანს ასეთი სიმეტრია დარღვეული აქვს და გამოხატულია ასიმეტრიულობა.

მოლუსკების სხეული იყოფა 3 ნაწილად: თავი, ტანი, ფეხი. ფეხის საშუალებით მოლუსკები ცოცავენ და სუბსტრატს ემაგრებიან.

მოლუსკების სხეული დაფარულია ერთშრიანი ეპითელიუმით. მოლუსკების უმრავლესობას აქვს კარგად განვითარებული, ეპითელიუმის მიერ გამოყოფილი მფარავი ნიჟარა, უფრო ხშირად მთლიანი, უფრო იშვიათად ორსაგდულიანი ან შემდგარი რამდენიმე ნაჭრისგან. კანის საფარველიდან გამოიყოფა განსაკუთრებული ორგანო - მანტია, რომელშიც გახვეულია მოლუსკის სხეული. ნიჟარის ფუნქციას მოლუსკის სხეულის დაცვა წარმოადგენს.

ნიჟარა შედგება სამი შრისგან, რომლებიც გამოიყოფა მანტიის უჯრედებისაგან. ნიჟარის გარეგან შრეს წარმოადგენს პერიოსტრაკუმი. იგი შედგება ორგანული ნივთიერება - კონქიოლინისაგან და თავისი შედგენილობით ახლოსაა რქოვან ნივთიერებასთან, შუა შრე, ანუ ოსტრაკუმი უფრო განვითარებულია და შედგება ნახშირმჟავა კირისაგან. შინაგან შრეს წარმოადგენს ჰიპოსტრაკუმი, ესეც ძირითადად კიროვანია, შეიძლება იყოს სადაფის ან ფაიფურის. სადაფის შრეს ახასიათებს ცისარტყელის ყველა ფერი, რაც დამოკიდებულია სხივების ინტერფერენციაზე. მოლუსკის ზრდასთან ერთად იზრდება მისი ნიჟარაც.

მოლუსკების ტიპი იყოფა ორ ქვეტიპად:

1. გვერდნერვიანები;
2. ნიჟარიანები.

გვერდნერვიანები შედგება ორი კლასისაგან:

1. ჯავშნიანები;
2. ღარმუცლიანები.

ნიჟარიანები შედგება ოთხი კლასისგან:

1. მუცელფეხიანები;
2. ნიჩაბფეხიანები;
3. ფირფიტლაყუჩიანები;
4. თავფეხიანები.

აქედან საინტერესოა ფირფიტლაყუჩიანები. ისინი ბილატერული სიმეტრიის მქონე მოლუსკებია, მათი ნიჟარა შედგება ორი საგდულისაგან და სხეულს გვერდებიდან ფარავს. ისინი ბინადრობენ ზღვებსა და მტკნარ წყლებში. ცნობილია 15 000-მდე სახეობა.

ფირფიტლაყუჩიანების კლასი იყოფა 4 რიგად:

1. პირველადლაყუჩიანები;
2. ძაფლაყუჩიანები;
3. ნამდვილფირფიტლაყუჩიანები;
4. ძგიდელაყუჩიანები.

დიდია ფირფიტლაყუჩიანების მნიშვნელობა. მრავალი მათგანი სასარგებლოა, გამოყენებულია საკვებად: ხამანწკა, რომელსაც არა მარტო იჭერენ, არამედ ხელოვნურადაც ამრავლებენ ზღვებში.

მრავალი ფირფიტლაყუჩიანის ნიჟარისგან ამზადებენ ღილებსა და სხვადასხვა სამკაულებს. ზოგს იჭერენ მარგალიტის მოპოვების მიზნით. მტკნარი წყლის მარგალიტი მოიპოვება ყოფილ სსრკ-ის ტერიტორიაზე, შოტლანდიაში, გერმანიაში, ჩინეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

მარგალიტი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ქვაა მსოფლიოში. იგი გავრცელებულია ავსტრალიის, სპარსეთის ყურის, იაპონიის, ტაილანდის და სხვა თბილ წყლებში. *მტკნარი* მარგალიტები საკმაოდ მოკლე ვადით - 150 წლამდე ცოცხლობს. მარგალიტებს გამოიმუშავებენ მოლუსკები [კლასი ორსაგდულიანები]. ასეთ სახეობას წარმოადგენს მემარგალიტე (ზღვის — გვარი Pinctada ან მტკნარი წყლის — გვარი Margaritifera). ის ზღვის ბინადარია. აქვს ორსაგდულიანი ნიჟარა. ეს ნიჟარები ერთმანეთთან მხოლოდ ერთი გვერდით არიან დამაგრებულები. ამ მოლუსკების შინაგანი ორგანოები გახვეულია ე.წ. მანტიაში, რომელიც გამოყოფს ორგანულ ნივთიერებას კონხიონიდას. უფრო სიღრმეში განლაგებულია ზონა, რომლის უჯრედები გამოყოფენ კალციტს, ანარაგონიტს და მოლუსკს გააჩნია მესამე ზონაც, სადაც ხდება კალციუმის კარბონატის უმცირესი ზომის ქერცლების გამომუშავება. ყველა ეს მასალა თანმიმდევრობით ეფინება მოლუსკის კედლებს და წარმოქმნის სადაფს. თუ ნიჟარაში მოხვდება უცხო სხეული, მაგალითად ქვიშის მარცვალი, ნივთიერებები დაიწყებენ მას ზედა ფენას და რამდენიმე წელიწადში წარმოიქმნება მარგალიტი. იმისათვის რომ მარგალიტის დიამეტრი 5 მილიმეტრამდე გაიზარდოს საჭიროა 20 წელიწადი, ამიტომაც გასაკვირი არაა თუ რატომ ფასობს ასე ძვირად და რატომ შეეძლოთ საუკუნეების მანძილზე მისი ტარება მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრებს. მარგალიტი რამოდენიმე ფერისაა, მაგალითად: ინდოეთის მარგალიტი ნაზი ვარდისფერია, ავსტრალიის - თეთრი, ვერცხლის ფერი ელვარებით და ციმციმით. პანამის მარგალიტს ოქროსფერი ელვარება აქვს, ხოლო იაპონიის მარგალიტი მომწვანო ელფერით გამოირჩევა. არსებობს სპეციალური ნაგებობები, ე.წ „მარგალიტის ფერმები“, სადაც ხდება მისი აგროვება და დასუფთავება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მარგალიტების იაპონელმა მძებნელმა ამოიცნო მარგალიტის დაბადების საიდუმლო და გადაწყვიტა მათი ხელოვნურად გამრავლება და მოშენება. აღმოჩნდა რომ მოზრდილ მოლუსკს შეიძლება შევუყვანოთ უცხო სხეული, რათა თავდაცვისთვის რამოდენიმე წელიწადში მან თვითონ შეძლოს სადაფის ფენის წარმოშობა. ასე გამოყვანილი მარგალიტის ხარისხი მკაცრად კონტროლდება. მისი კედლების სისქე გარკვეული ზომისა უნდა იყოს. მიუხედავად მცდელობების მარგალიტი მაინც ვერ აქციეს მასიური მოხმარების საგნად ვინაიდან მისი დაბადება მაინც ბუნების პრეროგატივაა. დედა მოლუსკს შეუძლია განდევნოს უცხო სხეული ან ვერ გაუძლოს მის არსებობას და დაიღუპოს კიდეც. მოლუსკები რომლებიც მარგალიტებად იქცევიან ძალიან მგრძნობიარენი არიან კლიმატურ ცვლილებებზე და ამიტომ გლობალური დათბობა და გარემოს დაბინძურება მათზე დამღუპველად მოქმედებს.

იაპონურ მარგალიტს უბირთვო მარგალიტს უწოდებენ და რენტგენის აპარატის მეშვეობით ნებისმიერი სხვა წარმოშობის ეგზემპლარისგან იოლი გასარჩევია - დასხივების დროს მარგალიტის შიგნით არანაირი უცხო სხეული არ გამოჩნდება. იაპონიაში გამოყვანილი ეს ძვირფასი ქვა, გარდა ტრადიციული ფერებისა, შეიძლება იყოს მოოქროსფრო და მომწვანო. ასევე, გამოჰყავთ ძვირფასი ვარდისფერი და სპილენძის ფერი.

ნატურალური არის ის, რომელიც თავისთავად, ადამიანის ჩაურევლად იბადება წყალში. გამოყვანილსაც იგივე ფორმულა და შემადგენლობა აქვს, ოღონდ მისი გამოყვანა ადამიანის დახმარებითაა შესაძლებელი, იმიტირებული კი მთლიანად ადამიანის ხელითაა შექმნილი. მისი ზომა, ფორმა და ფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წყალში (მლაშე, მტკნარი) წარმოიქმნა და რა დრო დასჭირდა მის ჩამოყალიბებას.

არსებობს მოსაზრება, რომ ის სამკურნალოდაც გამოიყენება. მარგალიტი, რომელიც დღეს სამკურნალოდ, გამოიყენება გამოყვანილია.

ნატურალური მარგალიტი ყველაზე ძვირფასი და ძვირადღირებულია. ერთნაირი ზომის და წონის ნატურალური მარგალიტის მძივის ასაკინძად ათეულობით წელია საჭირო. მაგ: ოთხი მმ -ის ჩამოყალიბებას 20-25 წელი სჭირდება. ის უნიკალური საიუველირო ნაწარმია, რომელსაც დამუშავება არ სჭირდება. ის ოდითგანვე სიმდიდრის მომტანად ითვლებოდა. იგი უნიკალურია ვინაიდან მის მსგავს ბუნებაში ვერსად ნახავთ.

ცნობილია, რომ ვარდისფერი მარგალიტი, რომელიც ყველაზე ძვირფასია, კურნავს მელანქოლიას და ასევე მისი ტარება სასარგებლოა ალერგიული ადამიანებისთვის. შავი მარგალიტი კი მარგალიტების დედოფლად ითვლება. აგრეთვე ცნობილია, რომ მას შეუძლია უმკურნალოს ღვიძლს, თირკმელებს და ასევე აქვს უნარი გამოიტანოს კენჭი თირკმელებიდან. მედიცინაში ის VII საუკუნიდან მელანქოლიისა და სიგიჟის სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ასევე ოდითგანვე აქტიურად მოიხმარდნენ კოსმეტოლოგიაში.

მდინარეში მოპოვებული მარგალიტი მუშავდებოდა და მას „აკვაპერლატა“ – მარგალიტის წყალი ერქვა. ეს ქვა ძალიან დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ მორთულობა და ლამაზი ნივთი. ძალიან ბევრი ცნობილი ფარმაკოლოგიური ფირმათავის პროდუქციაში იყენებს „მარგალიტის ფხვნილს“. ის შეიცავს ამინომჟავებს, მიკროელემენტებს და გლუკოზას, რომელიც ჭიმავს სახის კანს. მარგალიტს აქვს უნარი ნივთიერებათა ცვლის პროცედურების დარეგულირებისა, აუმჯობესებს კანის სტრუქტურას, ჭიმავს და აახალგაზრდავებს კანს, მატებს ჯანსაღ იერს და იგი თავისი უნიკალური თვისების გამო ხშირად გამოიყენება ანტი-ასაკობრივ კოსმეტიკაში, ასევე გამოიყენება აჭრელებულ სახის კანთან საბრძოლველად და ხელს უწყობს მზის მოკიდებას. უწესო, მარგალიტი შეიძლება გამუქდეს, ან სულაც დაიმსხვრეს. ქვის გამუქება ასევე შეიძლება იყოს ჯანმრთელობის პრობლემების სიგნალიც.

საქართველოში ამ ძვირფასი მინერალის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაზეც მიგვითითებს თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც შემკული იყო ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით. აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ყურადღებას ამახვილებს სწორედ ამ ქვაზე: „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“. ამ დროიდან ქართულ სამოსსაც ამშვენებს სწორედ ეს ქვა. და ასევე ირთვებოდა ხატები და საეკლესიო ნივთები.

მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტია „La Regente”, რომელიც თითქმის 21 გრამს იწონის. თავის დროზე ის ნაპოლეონმა აჩუქა თავის ცოლს ვაჟის დაბადებასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში სხვადასხვა ფორმის მარგალიტები მოჰყავთ, ზოგს გულის ფორმა აქვს, ზოგს ცრემლის და ა.შ. ნამდვილი მარგალიტის ფასი საკმაოდ მაღალია. 1992 წელს მარგალიტის ყელსაბამი 2.3 მილიონ დოლარად გაიყიდა. ყველაზე ძვირადღირებული ყალბი მარგალიტების ყელსაბამი ჟაკლინ კენედის ჰქონდა და ის 112 000 დოლარად გაიყიდა.

მარგალიტი იოლად კარგავს ბზინვარებას, ამიტომ მისგან დამზადებული სამკაულები აუცილებლად ცალკე უნდა მოათავსოთ. კარგი იქნება თუ მათ შესანახად გამოიყენებთ შიგნიდან ზამშით გამოკრულ ზარდახშას. ის ორგანული ნივთიერება, რომელსაც ბუნებრივი მარგალიტი შეიცავს, დროთა განმავლობაში შრება, მკრთალდება და იყოფა შრეებად, ამიტომ მარგალიტის არსებობა რომ გავახანგრძლივოთ, არ უნდა მივცეთ მას დაბერების საშუალება.

ამრიგად მრავალმხრივია, მოლუსკების გამოყენების სფერო. მას როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მედიცინაში, კოსმეტიკაში, იყენებენ, როგორც საკვებს, მისგან ამზადებენ ღილებს და მარგალიტის სხვადასხვა სამკაულებს.

ლიტერატურა:

1. ბ. ყურაშვილი, უხერხემლოთა ზოოლოგია, თბილისი, 1996.
2. В.Ф. Натали, Зоология беспозвоночных, Москва, 1975.
3. http://www.bookland.ge/pearl/
4. https://www.google.com/search?client=opera&q=მარგალიტი&oe=UTF-8&um=1&ie=UTF-8&hl=ka&tbm=isch&source=og&sa=N&tab=wi&ei=qV2RVebfK4PWU4G_p9gP

სასწავლო-საწვრთნო პროცესის პროგრამირება თავისუფალ ჭიდაობაში

ვლადიმერ სალია
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **გიორგი მძინარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი
მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ბოლო წლების მანძილზე სპორტულ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სპორტული წვრთნა ეს არის სპორტსმენების ფიზიკური მდგომარეობის მართვის პროცესი (ზაციორსკი ვ. მ., ვერხოშანსკი ი. ვ., ოზოლინი ნ. გ., ნოვიკოვი ა. ა.).

მართვის პროცესი შეიძლება დაკმაყოფილებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის მჭიდრო და ჰარმონიული კავშირი სპორტსმენსა და მწვრთნელს (მეთოდისტ) შორის. სპორტულ-პედაგოგიურ პრაქტიკაში უკუკავშირის ანალოგი არის პედაგოგიური კონტროლი.

სპორტული მომზადების სისტემების სრულყოფა მიდის დიფერენციაციის ამაღლების გზით. თანამედროვე სპორტული მომზადების დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტული ფიზიკური ვარჯიშების მოცულობისა და ინტენსიურობის მონაცემებს ყველა ვარჯიშზე, ყოველ დღე, ყოველ კვირას და ყოველ თვე.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩანს წვრთნის რაციონალური სისტემა და ვარჯიშის პროცესში შედეგის ზრდის დინამიკა. (ოზოლინი ნ. გ., ხომენკოვი ლ. ს., 1980).

წვრთნის დატვირთვის დადგენაში და დაგეგმვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწვრთნო ვარჯიშების განაწილებას ჯგუფებად და მათი შედარება საშეჯიბრო ხასიათის ვარჯიშებთან.

საწვრთნო საშუალებები იყოფა როგორც: სპეციფიკური ასევე არასპეციფიკურ საშუალებებად. სპეციფიკური ვარჯიშების კატეგორიაში შედიან ისეთი ვარჯიშები, რომლებიც მოიცავენ საშეჯიბრო მოქმედებების ელემენტებს, ან მოქმედებები, რომლებიც შინაარსობრივად ფორმითა და ხასიათით ამ ვარჯიშების მსგავსია (მატვეევი ლ. პ., ნოვიკოვი ა. დ., 1976).

თუ დამწყებ სპორტსმენებზე ან სპორტსმენებზე, რომლებსაც აქვთ დაბალი კვალიფიკაცია, პრაქტიკულად ყველა საწვრთნო ვარჯიში ახდენს საწვრთნო მოქმედებას და ზეგავლენას, არასპეციფიკური ვარჯიშების გამოყენება მაღალი დონისა და რანგის სპორტსმენებზე სარგებლობას და ეფექტს არ მოიტანს.

სპეციფიკური ვარჯიშები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ინტენსიურობით, შეიძლება იყოს მიზანმიმართული, როგორც ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის ამაღლებაზე ასევე, ფუნქციონალური შესაძლებლობებისა და მომზადების ზრდაზე.

აქედან გამომდინარე აუცილებელია კონტროლი მომზადების საშუალებებზე და მათი შემდგომი კლასიფიკაცია კოორდინაციული სირთულის, დატვირთვის სიდიდის და სპეციალიზაციის გათვალისწინებით.

სპორტულ ჭიდაობაში საკმაოდ ძნელია საწვრთნო დატვირთვის დადგენა, როგორც საშეჯიბრო შეხვედრების მსვლელობისას, ასევე წვრთნის პროცესში.

საწვრთნო ვარჯიშის სიდიდე მოიცავს ორ შემადგენელს: მოცულობას და ინტენსიურობას.

ილეთის შესრულების სირთულე შეიძლება დავახასიათოთ იმით თუ როგორ წინააღმდეგობას გიწევს პარტნიორი ილეთის შესრულების დროს არსებობს შემდეგი შემთხვევები:

1. როდესაც პარტნიორი არ გიწევს წინააღმდეგობას მთელი ტექნიკური მოქმედების შესრულების პროცესში;
2. ნახევრად გეწინააღმდეგებათ: პარტნიორი გაძლევს საშუალებას მოვლების შესრულებისათვის, მერე კი გიწევს წინააღმდეგობას;
3. მთელი წინააღმდეგობით გეჭიდავებათ: პარტნიორი მთელი დავალება გიწევთ მაქსიმალურ წინააღმდეგობას.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ამ სამივე რეჟიმში ილეთების შესრულების ტემპის აღნიშვნა დროის გარკვეულ მონაკვეთში (1 წთ).

ვარჯიშის პროცესში სპორტსმენებს უხდებათ ჭიდაობა პარტნიორებთან, რომლებიც წონით 3-6 კილოგრამით დიდები არიან. ამ დროს სპორტსმენების ორგანიზმი იღებს ორმაგ დატვირთვას. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ამ შემთხვევაში გულის ცემის სიხშირე იზრდება წუთში საშუალოდ 15-25 დარტყმით.

საწვრთნო დატვირთვის სიდიდე ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენის საერთო მდგომარეობაზე, მაგალითად მის ავადმყოფობაზე, რის შედეგადაც ამ სპორტსმენების პულსი შეიძლება გაიზარდოს 20-25 ერთეულით წუთში.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას, იმისათვის, რომ სპორტსმენი შეჯიბრისათვის იყოს მომზადებული და სპორტული ფორმის პიკში.

1. იმისთვის, რომ დავადგინოთ, თუ რა გავლენას ახდენს საწვრთნელი ვარჯიში სპორტსმენის ორგანიზმზე აუცილებელია, გავითვალისწინოთ: შესასრულებელი ვარჯიშის ხასიათი და ტემპი, პარტნიორის წონა, ჯანმრთელობის მდგომარეობა.
2. საწვრთნელი სპეციალური ვარჯიშები, რომლებიც იყოფა თავისი ხასიათით და ტემპით ახდენს სხვადასხვა გავლენას სპორტსმენის ორგანიზმზე.

3. აუცილებელი საწვრთნელი ვარჯიშების სწორი შერჩევა და იმის გათვალისწინება თუ რა გავლენას ახდენენ ისინი სპორტსმენის ორგანიზმზე და რა არის ვარჯიშის უმთავრესი ამოცანა.

ლიტერატურა:

1. Купцов А. П., „Спортивная борьба“, ФиС, М., 1978.
2. Борзунов А. В. ВНИИФК. ,, Прогрммирование в спортивнои борьбе.“ В Ежегодн. ,,Спортивная борьба,“ ФиС, М., 1983.
3. Галковский Н. М., Катулин А. З., Спортивная борьба, ФиС, М., 1968.
4. Матвеев Л. П., Новиков А. Д., Теория и методика физического воспитания, ФиС, М., 1976.
5. Озолин Н. Г., Хоменков Л. С., Проблемы объема и интенсивности нагрузок, Научно-спортивный вестник, № 1, 1980.

ფეხბურთელთა ტაქტიკური მომზადება, როგორც თანამედროვე ფეხბურთში წარმატებების მოპოვების აუცილებელი პირობა

ვლადიმერ სალია, ალეკო ქვრივიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** პროფესორი

დღეს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სპორტული გუნდების მომზადების დონე (ფიზიკური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ.) თითქმის ერთნაირია. ასეთ, შედარებით თანაბარ, პირობებში საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამარჯვებას ხშირ შემთხვევაში ტაქტიკური მომზადება წყვეტს.

სპორტულ ტაქტიკას განიხილავენ როგორც ბრძოლის წარმართვის ხელოვნებას, გუნდის მიერ შეჯიბრების წარმოების ყველა მეტ-ნაკლებად მიზანშეწონილ ხერხს, რომელიც ემორჩილება გარკვეულ ჩანაფიქრსა და საშეჯიბრო მიზნის მიღწევის გეგმებს.

ტაქტიკის არსი მდგომარეობს შეჯიბრების წარმართვის ისეთი ხერხების გამოყენებაში, რომლებიც შესაძლებელს გახდის გუნდმა ფიზიკური, ტექნიკური, ფსიქიკური და სხვა შესაძლებლობები, რაც შეიძლება დიდი ეფექტურობით გამოიყენოს მეტოქის წინააღმდეგობის ნაკლები დაძაბულობით დასაძლევად. ტაქტიკური აზროვნება განაპირობებს სპორტსმენის უნარს, სწრაფად აღიქვას, შეაფასოს, გამოყოს და გადაამუშაოს ინფორმაციები, რომლებიც არსებითია მომავალ შეჯიბრებაში ტაქტიკური ამოცანების გადაჭრისთვის. ასევე, წინასწარ განჭვრიტოს მოწინააღმდეგის მოქმედება, საშეჯიბრო სიტუაციის შედეგი და, რაც მთავარია, მრავალი შესაძლებელი ვარიანტიდან შეარჩიოს უმოკლესი გზა, სწორედ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამარჯვებას მოუტანს.

სპორტული ტაქტიკის მთავარი მიზანია ძალთა და შესაძლებლობათა მიზანშეწონილი გამოყენება გამარჯვების მისაღწევად.

ტაქტიკის სწავლების და სრულყოფის პროცესი წვრთნის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული მხარეა. თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მოპოვების აუცილებელი პირობაა. პროგრესული ტაქტიკური მეთოდების დაუფლება და ფეხბურთელთა მიერ ტაქტიკური ოსტატობის სრულყოფა მთელი საწვრთნელი პროცესის ქვაკუთხედია.

ტაქტიკური მომზადება პირობითად ორ - საერთო და სპეციალურ ნაწილებად იყოფა. საერთო ტაქტიკური მომზადება გულისხმობს ფეხბურთის ტაქტიკის საერთო თეორიული საფუძვლების ცოდნას, სხვადასხვა პირობებში მისი გამოყენების პრაქტიკულ ხერხებს და ფეხბურთელების ტაქტიკური აზროვნების განვითარებას.

სპეციალური ტაქტიკური მომზადება უშუალოდ დაკავშირებულია ფეხბურთთან და მიმართულია ტაქტიკური უნარის, ჩვევების და ხერხების გაღრმავებული სრულყოფისაკენ.

ფეხბურთელის ტაქტიკური მომზადება ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების დახმარებით, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან.

ტაქტიკური მომზადების პროცესში წყდება შემდეგი ამოცანები:

1. ტაქტიკური აზროვნების განვითარება, მოედანზე ორიენტირება, სხვადასხვა სათამაშო სიტუაციებში შემოქმედებითი ინიციატივის დემონსტრირება;

2. ინდივიდუალური მოქმედებების და პარტნიორებთან მარტივი ურთიერთქმედებების შესწავლა, ცალკეული ტექნიკური ხერხებისა და ტაქტიკური მოქმედებების ეფექტურად გამოყენება;

3. ისეთი უნარის განვითარება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ფეხბურთელს, სათამაშო მდგომარეობიდან გამომდინარე, სწრაფად გადაერთოს ერთი სახის გუნდური მოქმედებიდან მეორე სახის გუნდურ მოქმედებაზე.

ტაქტიკის სწავლებისა და წვრთნის ძირითად მეთოდს ათვისებული და შესწავლილი ვარჯიშების მრავალჯერადი გამეორება წარმოადგენს, რომლებიც ფეხბურთელთა ტაქტიკური უნარ-ჩვევების სრულყოფაზეა ორიენტირებული. ასეთი წვრთნის შედეგად ხდება სათამაშო სტერეოტიპების ჩამოყალიბება, რაც ფაქტიურად ტაქტიკური მომზადების მთავარი მოთხოვნაა.

ტაქტიკური მომზადება გულისხმობს ინდივიდუალური, ჯგუფური და გუნდური ტაქტიკური მოქმედებების ათვისებას. ძირითადი ტაქტიკური ხერხების დაუფლება და მათი სრულყოფა ხორციელდება თამაშების, სათამაშო და სპეციალური ვარჯიშების დახმარებით.

ტაქტიკის სრულყოფის ვარჯიშები უმრავლეს შემთხვევაში იმავდროულად თამაშის ტექნიკის სრულყოფასაც უწყობს ხელს. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ვარჯიშს მივცეთ ტაქტიკური ხასიათი, საკმარისია შევცვალოთ მისი შესრულების მეთოდი. ასე მაგ., გადაცემებზე ვარჯიშისას ყურადღება ექცევა არა დარტყმების ტექნიკას, არამედ გადაცემების მიმართულებას და მის დროულად შესრულებას.

ძალიან მნიშვნელოვანია ტაქტიკური გეგმის მიხედვით თამაშის უნარის დაუფლება და ტაქტიკური ამოცანის შესაბამისად სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან დაკავშირებით, სპეციალურ სათამაშო ვარჯიშების პარალელურად ტარდება ორმხრივი თამაშები, რომელთა მსვლელობისას წყდება განსაზღვრული გუნდური ტაქტიკური ამოცანები. ფეხბურთელებმა უნდა შეძლონ ათვისებული კომბინაციების გამოყენება, როგორც ნაცნობი, ასევე უცნობი გუნდების წინააღმდეგ.

თამაშის პროცესში ფეხბურთელების წინაშე ორი ძირითადი ამოცანაა გადასაჭრელი: რაც შეიძლება მეტი ბურთი გაიტანონ მოწინააღმდეგის კარში და ნაკლები მიიღონ საკუთარში. ამისათვის ფეხბურთელთა პარტნიორების დახმარებით და თამაშის წესებით ნებადართული მოქმედებით ორ - დაცვით და შეტევით ფუნქციას ასრულებს. თითოეული ამ ფუნქციის რეალიზება ფეხბურთელისაგან მოითხოვს სპეციფიკური ტაქტიკური მოქმედებების შესრულებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

გარკვეული თანმიმდევრობით ვარჯიშების მრავალჯერადი გამეორების შედეგად ხდება ტაქტიკური მოქმედებების და კომბინაციების სრულყოფა, მყარდება მჭიდრო კონტაქტი, როგორც ფეხბურთელებს, ასევე გუნდის ცალკეულ რგოლებს შორის.

ფეხბურთელების ტაქტიკური მომზადების ძირითადი ამოცანებს წარმოადგენს:

ა) შეჯიბრებებში ძალების განაწილების უნარი;

ბ) ბურთის ფლობის ტექნიკის მიზანდასახულად გამოყენება;

გ) გუნდის ყველა რგოლის ურთიერთმოქმედებათა სრულყოფა;

დ) შეჯიბრების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ტაქტიკური კომბინაციებისა და თამაშის სისტემის ცვლა.

შეჯიბრებაში ძალების სწორად განაწილების მიზნით იყენებენ შემდეგ მეთოდურ ხერხებს:

1. მეცადინეობის დროს ფეხბურთელებს უნდა მიეცეთ დავალება - იმოქმედონ ზუსტად განსაზღვრულ ტემპში. ასეთი დავალების შედეგად ვითარდება ტემპის გრძნობა, მოცემული დროის განმავლობაში შევინარჩუნოთ აღებული ტემპი და თამაშის პროცესში შევძლოთ რეგულირება - საჭიროების მიხედვით გავზარდოთ, ან პირიქით, შევამციროთ;

2. გამოვიყენოთ თამაშში „შეუალედური ფინიში“ - თამაშის მსვლელობისას გამოცხადდეს, რომ მის დამთავრებამდე დარჩა მინიმალური დრო, ანგარიში კი საყაიმოა, ან ერთ-ერთი გუნდი მარცხდება. ასეთი სიტუაცია აიძულებს ფეხბურთელებს მკვეთრად გაზარდონ აქტივობა და მოქმედებათა ინტენსიობა;

3. ფეხბურთელებისათვის მოულოდნელად ხდება ცნობილი, რომ თამაშისათვის განკუთვნილი დრო ხანგრძლივდება. ასეთივე მიზანი აქვს სასწავლო თამაშებს, როცა განდიკაპის არსი გასაიდუმლოებულია და ფეხბურთელები იძულებულნი არიან ითამაშონ მაქსიმალური მონდომებით, მიუხედავად უკვე მიღწეული უპირატესობისა;

4. თუ ერთი გუნდი იოლად მიღწეული უპირატესობის შემდეგ მნიშვნელოვნად აქვეითებს მოქმედებათა ინტენსიობას, მაშინ იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მარცხდება, ხდება დასვენებული ფეხბურთელების ჩართვა, რასაც მოჰყვება სპორტული ბრძოლის გამწვავება.

ბურთის ფლობის ტექნიკის სრულყოფისა და მისი მიზანდასახული გამოყენებისათვის რეკომენდებულია შემდეგი მეთოდური ხერხების გამოყენება:

1. ვარჯიშების გართულებულ პირობებში შესრულება და ტექნიკური ხერხების სწორად შერჩევა რთულ გარემო პირობებში. იგულისხმება არამარტო სველი მოედანი, ძლიერი ქარი, ჰაერის დაბალი ტემპერატურა და ა.შ., არამედ ფეხბურთელზე მაყურებლის უარყოფითი რეაქცია; საფეხბურთო მოედანზე მხედველობითი ორიენტირების გაძნელებით და შეჯიბრების შედეგის განსაკუთრებული მნიშვნელობით განპირობებული ზემოქმედებაც;

2. ტაქტიკაში მეცადინეობისას ვარჯიშების შესრულებისას ისეთი წინააღმდეგობრივი მომენტების ჩართვა, რომლებიც მაქსიმალურად ახლოსაა შეჯიბრების პირობებთან წინააღმდეგობა შეიძლება იყოს პასიური და აქტიურიც, მაგრამ მათი რეალიზაციის ხერხები მაქსიმალურად მისაწვდომი. აქტიური წინააღმდეგობის მომენტი დგება მაშინ, როცა ფეხბურთელთა მოქმედებების ადგილი აღარ აქვს ძირითადი ხასიათის შეცდომებს. აქტიური წინააღმდეგობის ინტენსიობა, როგორც წესი, სათამაშოზე დაბალია;

3. სასწავლო თამაშების ჩატარება ისეთ გუნდებთან, რომლებიც პოტენციური მოწინააღმდეგის მსგავს ტაქტიკურ გეგმასა და სისტემას იყენებს. ეს შესაძლებელს ხდის, რომ რეკომენდირებული ტაქტიკური ხერხები და სისტემები გამოყენებულ იქნას ისეთ სათამაშო პირობებში, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებულია შეჯიბრებასთან;

4. ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს ფეხბურთელს, ტაქტიკური ამოცანის შესაბამისად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, შეჯიბრების მსვლელობისას ხშირია ისეთი მომენტები, როცა გარემოება ფეხბურთელისაგან მოითხოვს შემოქმედებით უნარის გამოვლინებას იმ მოქმედებების ჩატარებისას, რომლებიც სრულებითაც არაა განსაზღვრული თამაშის კონკრეტული ტაქტიკური სქემით.

შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით მიზანშეწონილია ტაქტიკური ამოცანის რაღაც ნაწილის განხორციელების საშუალება თვითონ ფეხბურთელს მივცეთ.

ურთიერთმოქმედებების სრულყოფისათვის საჭიროა შემდეგი მეთოდური ხერხების გამოყენება:

1. გარემო პირობების გართულება, კერძოდ კი, დროისა და სივრცის შეზღუდვა. ასე მაგ., ტაქტიკური კომბინაციის ჩასატარებლად დროის შემცირება. სივრცის შეზღუდვა ნიშნავს მოქმედებას მოედნის რაღაც ნაწილში (შემცირებული), რომლის ფარგლებშიც ურთიერთმოქმედებენ ფეხბურთელები. სამოქმედო რადიუსის შემცირება აძნელებს სათამაშო სიტუაციებში ორიენტაციას და მათ შეფასებას. ასეთი ექსტრემალური პირობები ფეხბურთელისაგან მოითხოვს დამატებით შესაძლებლობებს და უნარ-ჩვევების მობილიზებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთმოქმედებათა სრულყოფას დაღლილობის განვითარების ფონზე;

2. პერიოდულად საჭიროა გუნდის ძირითად შემადგენლობაში სათადარიგო ფეხბურთელების შეყვანა და ტაქტიკური გეგმის შესაბამისად მათი პარტნიორებთან ურთიერთმოქმედების რეგულირება. ძირითად შემადგენლობაში სათადარიგოთა უმტკივნეულოდ ჩართვისათვის აუცილებელია მოსამზადებელ პერიოდში ორმხრივ და ამხანაგურ შეხვედრებში მათი პერიოდულად გამოყენება;

3. ახალი ტაქტიკური მოქმედებების, კომბინაციების და თამაშის სისტემების ათვისება.

ტაქტიკური მოქმედებები და კომბინაციები ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული გუნდის მიერ შერჩეულ ტაქტიკურ სისტემებთან.

კონკრეტული სისტემის ჩარჩოებში ფეხბურთელთა მიერ ათვისებულ ურთიერთმოქმედებათა საფუძველზე თანმიმდევრულად და გამუდმებით მიმდინარეობს ტაქტიკური უნარ-ჩვევების არსენალის გაფართოება.

ახალ სისტემაზე გადასვლისას ხდება ტაქტიკური ხერხებისა და კომბინაციების გადახალისება და ფეხბურთელთა ურთიერთმოქმედებათ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მოწესრიგება.

შეჯიბრებების პროცესში თამაშის ერთი სისტემიდან მეორეზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის იყენებენ შემდეგი სახის მეთოდურ ხერხებს:

1. ფეხბურთელთა მიერ ერთი სახის ტაქტიკური დავალებებიდან სხვა სახის დავალებებზე გადართვა წინასწარდათქმული სიგნალების საშუალებით ხდება. შეჯიბრების პროცესში ხშირად ჩარევის თავიდან ასაცილებლად ერთი სახის ტაქტიკური მოქმედებებიდან მეორეზე გადასვლა მიზანშეწონილია

ხორციელდებოდეს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე თამაშის მიმდინარეობის განსაზღვრულ მომენტში;

2. თამაშში ტაქტიკური მოქმედებების შეცვლისას მოულოდნელობის ელემენტების რეალიზაცია გარკვეული თანმიმდევრობის დაცვას მოითხოვს:

ა) ტაქტიკური გეგმიდან გადახვევით თამაშში მოულოდნელად ახალი სისტემებისა და ვარიანტების გამოყენება;

ბ) ახლად ათვისებული ტაქტიკური მოქმედებების, კომბინაციების, ან თამაშის სისტემების მოულოდნელად გამოყენება;

გ) თამაშში, საერთოდ უცნობი ტაქტიკური კომბინაციის, ან სისტემის გამოყენება.

3. სასწავლო და ამხანაგური შეხვედრების ჩატარება ისეთ გუნდებთან, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სტილით და თამაშის წარმართვის ხერხებით.

ტაქტიკური მომზადების დროს აუცილებელია შეჯიბრება ისეთ მეტოქეებთან, რომლებიც თამაშის სხვადასხვა ტაქტიკურ სისტემებს იყენებენ. ეს კი ფეხბურთელებს უვითარებთ განსხვავებულ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად ახალი ტაქტიკური მოქმედებების ათვისებას და შესაბამისი ჩვევების სრულყოფის უნარს.

ლიტერატურა:

1. სპორტის თეორია. თბილისი, 2007.
2. თ. რატიანი, თ. ჯაში, ფეხბურთი, თბილისი, 2008.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, როგორც ჯანმრთელობის მთავარი გარანტი

ნინო სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
მარიამ სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით - ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ით განსაზღვრავს სამედიცინო სამსახურის ორგანიზაცია, 15%-ით გენეტიკური თავისებურებები , ხოლო 70%-ით ცხოვრების წესი და კვება.

სწორი კვება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და მომხიბვლელი გარეგნობა, გამოვიყურებოდეთ ახალგაზრდულად. ბალანსირებული რაციონი - ეს არის პროდუქტების მიღება ოპტიმალური თანაფარდობით, რომლის თანამედროვე მოდელს პირამიდის სახე აქვს და მასზე ორიენტაციით შეგვიძლია შევადგინოთ ყოველდღიური ბალანსირებული რაციონი. კვების პირამიდა, რომელიც 1992 წელს ჰარვარდის ჯანმრთელობის ცენტრში შეიმუშავეს, მრავალ ქვეყანაშია მიღებული. პროდუქტები, რომელიც პირამიდის ფუძეშია უფრო ხშირად უნდა იყოს გამოყენებული დღის განმავლობაში, ხოლო პროდუქტები მწვერვალზე შეზღუდული უნდა იყოს - ცხიმები, ალკოჰოლი და ტკბილეული.

კვების პირამიდის პროდუქტები იყოფა 6 ძირითად ჯგუფად:

- პური, მაკარონის ნაწარმი, ბრინჯი, წიწიბურა, შვრია, ფეტვი, ქერი - წარმოადგენს ენერგიის, ნახშირწყლების, ცილების, B ჯგუფის ვიტამინების, რკინის და სხვა წყაროს.
- ბოსტნეული და ხილი - წარმოადგენს უჯრედისის, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების წყაროს.

- ხორცი, ფრინველი, თევზი, პარკოსნები, კვერცხი, ნიგოზი, თხილი - წარმოადგენს ცილების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების წყაროს.
- რძის პროდუქტები: რძე, კეფირი, იოგურტი, ხაჭო, ყველი - წარმოადგენს ცილებისა და კალციუმის წყაროს, რომელიც უზრუნველყოფს ძვლის სიმტკიცეს.
- ცხიმები - წარმოადგენს ენერგიის, A და E ვიტამინების წყაროს.
- პროდუქტები, რომელთა მიღება უნდა შეიზღუდოს: მარილი, რომლის საერთო რაოდენობა (პურში, სხვა პროდუქტებში) არ უნდა აღემატებოდეს 1 ჩაის კოვზს (6 გრ) დღეში. ალკოჰოლი (არაუმეტეს 2-3 ჭიქა დღეში) შაქარი და ტკბილეული.



პირამიდიდან როგორც ჩანს, ჩვენი ყოველდღიური კვების რაციონიდან რთულია გამოვყოთ რომელიმე საკვები, რომელიც უმთავრესია, ვინაიდან ყველა პროდუქტს თავისი დატვირთვა აქვს ჩვენს ორგანიზმში, მაგრამ ამ შემთხვევაში გვსურს განვიხილოთ რძის ნაწარმიდან ყველი, როგორც კალციუმისა და ცილების მნიშვნელოვანი წყარო.

სწორი კვება, რა თქმა უნდა, თავისთავად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს მოიაზრებს. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს ჰიგიენური პირობები საკვებთან მიმართებაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა საქართველოში ერთერთი პოპულარული პროდუქტი ყველი; გაგვერკვია ოჯახის და ქარხნულ პირობებში, რა პირობებში მზადდება და სად უკეთ არის დაცული ეკოლოგიური და სანიტარული ნორმები, რეალიზაციის დროს ვართ თუ არა დაცულები რომელიმე ბაქტერიული დაავადებებისგან.

კვლევის ობიექტად ავიღეთ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული რძის გადამამუშავებელი საწარმო „ნებიერა“, სადაც იღებენ ყველს, მაწონს, ხაჭოს, ნადუღს. რძის მიწოდება ხორციელდება გორის რაიონის სოფლებიდან. ოჯახის პირობებში კი (მეზობელთან) ერთი კვირის განმავლობაში ვაკვირდებოდით რძის დასამუშავებლად საჭირო ელემენტარულ სანიტარულ ნორმებს.

„ნებიერაში“ ჩაბარებული რძე გადის შემდეგ პროცედურებს: თავდაპირველად რძე ვიზუალურად მოწმდება ლაბორანტის მიერ, ხდება ე.წ ორგანელოპტიკური შემოწმება. რძე უნდა იყოს თეთრი, ოდნავ მოყვითალო. უნდა ჰქონდეს რძისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი, მოწმდება მისი კონსისტენცია, უნდა იყოს:

- ოდნავ ბლანტი;
- არ უნდა იყოს წელვადი;
- არ უნდა ჰქონდეს ფიფქები;
- გემო უნდა ჰქონდეს ოდნავ მოტკბო;

თუ ოთხივე პირობა დაკმაყოფილებულია, შემდეგ გადის ქიმიურ და ფიზიკურ შემოწმებას. პირველი, რაც მოწმდება, მისი მჟავიანობაა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 16-18 ტერნერს

(ახლად მოწველის შემთხვევაში) ერთგვარად რძის სიახლის მაჩვენებელია მისი მჟავიანობა, თუ ნაკლებია, მაშინ შესაძლებელია ცხოველი იყოს დაავადებული. თუ მომატებულია, მაშინ დიდი ხნისაა რძე. მოწმდება ასევე, მისი ცხიმიანობა, ცილების, ნახშირწყლების შემოწმება. ამ ყველაფრის შემოწმება შესაძლებელია ცალ-ცალკეც და ერთიანადაც. არსებობს თანამედროვე, სპეციალური ხელსაწყო, რომელსაც აქვს უნარი განსაზღვროს ერთიანად რძის ქიმიური შემადგენლობა, ეს არის ლაქტოსკანი, რომელიც 3 წუთში იძლევა პასუხს. ამ ხელსაწყოთი მოწმდება აგრეთვე ისიც, თუ რამდენად სუფთაა რძე, ხომ არ არის დამატებული წყალი. დგინდება მიკრობების რაოდენობა. ხდება ე.წ. რედუქტაზული სინჯი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა, ამიტომ 10 დღეში ერთხელ ტარდება.

მიკრობების საერთო რაოდენობის და შესაბამისად ხარისხის მიხედვით, რძე იყოფა 4 კლასად. მიკრობების მიერ რძეში გამომუშავდება ფერმენტი - რედუქტაზა, რაც მეტია იგი, მით ბევრი ბაქტერიაა.

საწარმოში ყოფნისას ვაწარმოეთ კვლევა, ვიკვლიეთ რძის რომელი ნიმუში იყო უფრო მეტად დაბინძურებული ბაქტერიებით?

ცდის მიზანს კი წარმოადგენდა: რძის ბაქტერიოლოგიური დაბინძურების ხარისხის განსაზღვრა.

ცდისთვის საჭირო მასალები:

კოლბები (რძის ნიმუშების რაოდენობის გათვალისწინებით (F0246)), სინჯარები (F0177), სინჯარების სადგამი (F0579), კოლბისა და სინჯარების საცობები (F31/25X30), (F8/4X20), 600 მლ მოცულობის ქიმიური ჭიქა (F0088) ცხელი წყლის აბაზანისათვის, თერმომეტრი (F0332), პიპეტები (F0461), საკვლევი რძის რამდენიმე ნიმუში, 1%-იანი მეთილენის ლურჯის ხსნარი.

ცდის მსვლელობა:

1. საკვლევი რძის ნიმუშები ჩავასხით სტერილურ კოლბებში და დავახურეთ სტერილური საცობი.
2. სინჯარებში ჩავასხით 1 მლ მეთილენის ლურჯი. თითოეულ სინჯარაში დავამატეთ 20 მლ სხვადასხვა საკვლევი რძის ნიმუში, დავახურეთ საცობები.
3. თითოეული სინჯარა სამჯერ ფრთხილად გადავატრიალ-გადმოვატრიალეთ და შემდეგ ფრთხილად შევანჯღრიეთ.
4. სინჯარები მოვათავსეთ ცხელი წყლის აბაზანაში, 38°C-ზე (გაითვალისწინეთ, რომ სინჯარების ჩაშვების შემდეგ წყალი აბაზანაში უნდა იყოს სინჯარებში სითხის დონის ტოლი ან მასზე ოდნავ მეტი). ცდის განმავლობაში წყლის ტემპერატურა შევინარჩუნეთ 38°C-40°C ფარგლებში. სინჯარების აბაზანაში ჩაშვება ჩავთვალეთ ანალიზის საწყის ეტაპად და დავიწყეთ დროის ათვლა.
5. დავაკვირდით სინჯარებში რძის ფერის ცვლილებას ანალიზის დაწყებიდან 20 წთ-ის, 2 სთ-ის და 5.5 სთ-ის შემდეგ. ცდის დასასრულად მივიჩნიეთ რძის სრული გაუფერულების მომენტი.

ცდის შედეგად კი მივიღეთ დასკვნა:

გაუფერულებაზე დახარჯული დრო	1 მლ რძეში ბაქტერიების რაოდენობა	რძის ხარისხი
20 წთ-ზე ნაკლები	20 მლნ-ზე მეტი	ძალიან ცუდი
20 წთ - 2 სთ	4 მლნ - 20 მლნ	ცუდი
2 სთ - 5.5 სთ	500 000 - 4 მლნ	დამაკმაყოფილებელი
5.5 სთ-ზე მეტი	500 000-ზე ნაკლები	კარგი

შენიშვნა: ანალიზისთვის იღებენ სინჯს რძის შუა ნაწილიდან. მიკრობიოლოგიური კვლევა უნდა გაკეთდეს სინჯის აღებისთანავე, ან არაუგვიანეს 4 საათისა - იმ პირობით, რომ დროის ამ პერიოდში რძე შეინახება 4-6°C ტემპერატურაზე.

ცდის განმარტება: მოცემულ ცდაში რძის გაუფერულების დრო წარმოადგენს ნედლი რძის (არაპასტერიზირებული რძის) ბაქტერიული დაბინძურების არაპირდაპირ მაჩვენებელს: რძის ბაქტერიული დაბინძურების ხარისხის განსაზღვრა ეფუძნება ფერმენტის - რედუქტაზას მოქმედებას, რომელიც ბაქტერიული მეტაბოლიზმის ერთ-ერთი პროდუქტია. რედუქტაზას შეუძლია რძეში დამატებული მეთილენის ლურჯის აღდგენა, რაც იწვევს რძის გაუფერულებას. რაც უფრო მაღალია რძის დაბინძურების ხარისხი, მით უფრო მაღალია რედუქტაზას აქტივობა და შედეგად, მით უფრო სწრაფად უფერულდება რძე. შესაბა-

მისად, გაუფერულებისათვის საჭირო დროის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა რძის ბაქტერიული დაბინძურების ხარისხზე.

თუ რძე 5,5 საათს და მეტ ხანს შეინარჩუნებს ფერს ის პირველი კლასის ყოფილა ხარისხით, მასში რაოდენობრივად, დაახლოებით 500 000-მდე ბაქტერიაა.

კლასობრივად დაყოფილი რძისგან შესაბამისად სხვადასხვა რძის ნაწარმი მზადდება, მაგალითად:

I - კლასის რძისგან მზადდება რძემჟავა პროდუქტები: მაწონი, რძე, არაჟანი;

II - კლასის რძისგან: ხაჭო, ყველი;

III - კლასის რძისგან სეპარირდება კარაქი;

IV - კლასის რძისგან ხდება ცხოველებისათვის საკვები პროდუქტების დამზადება, არ გამოიყენება ადამიანებისთვის საკვებად.

თუ ჩვენ 10 გრადუს ტემპერატურაზე დაბლა გავაციებთ რძეს ბაქტერიები წყვეტენ გამრავლებას, თუ 65გრადუსზე გავაცხელებთ , ამითაც შესაძლებელია ბაქტერიციდული ფაზის გახანგრძლივება, მაგრამ უკეთესია, მაინც გაცივება, რადგან რძეში შემავალი ნივთიერებების შენარჩუნება ხდება. ამ პროცედურების გავლის შემდეგ, რძე იფილტრება, ხდება მექანიკური მინარევების მოცილება (ბეწვის, საკვები ნარჩენების და სხვ.) შემდეგ გადის თერმულად დამუშავებას, საჭიროა, პასტერიზების შერჩევა 72-74 გრადუსი. დაახლოებით ყოვნდება 15-20 წთ-ის განმავლობაში, ამ პერიოდში ხდება ავტოგენური მიკრობების განადგურება, იგულისხმება როგორც სასარგებლო, ისე უსარგებლო მიკრობების გაუვნებლობა. შემდეგ რძეს ვაციებთ შედედების ტემპერატურამდე. შედედება ხდება, ე.წ მაჭიკის ფერმენტით (32-34 გრადუსი). შეგვაქვს Ca-ის ქლორიდი, რათა რძეში აღდგეს Ca-ის ბალანსი. ეს არის კრისტალური ნივთიერება, რომელიც ზავდება წყალში და 40%-იანი ხსნარის სახით შეგვაქვს რძეში. გვაქვს ასევე მომზადებული დედოები. დედო არის სუფთა კულტურა, რადგან მასში ყველა ის ბაქტერიაა მხოლოდ, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. დედოების დამზადება შესაძლებელია ადგილობრივად, დედო უნდა იყოს არსებული რძის 0.5%-1%-მდე ყველში. დედოში არის რძემჟავა ბაქტერიები (სტრეპტოკოკები). მაჭიკის ფერმენტი არის ფხვნილი, რომლისგანაც ვამზადებთ 1%-იან ხსნარს (თბილ წყალში იხსნება) და წვრილი ჭავლის დახმარებით შეგვაქვს მთელ მასაში და ვურევთ. დაახლოებით, 30-35 წთ-ში რძე დედდება.

ყველის შენახვისა და მომწიფების რეჟიმია 8-12 გრადუსი. ამის შემდეგ ყველი მზადაა სარეალიზაციოდ, ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური მანქანით, სადაც ტემპერატურა იქნება 6 გრადუსი.

ბევრი დიასახლისი, ელემენტარულ სანიტარულ ნორმებს არ იცავს, მიკრობიოლოგიური საფრთხეც გაცილებით მეტია, ხშირია შემთხვევა, როდესაც ელემენტარულად ხელებს არ იბანენ წველის დაწყებამდე, საჭიროა ცხოველის ცურის გასუფთავებაც, რადგან მასზე შესაძლებელია მრავალი პათოგენური მიკროორგანიზმის არსებობა. თუ პირუტყვი დაავადებულია ისეთი მძიმე დაავადებებით, როგორიცაა დიფტერია, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები, აუცილებლად იქნება რძეშიც, ასეთ შემთხვევაში , თუ არ გაკეთდა პასტერიზაცია და შევიყვანეთ პირდაპირ კვეთი, ზემოთ ხსენებული პათოგენები აუცილებლად იქნება ყველშიც.

თუ კი პირუტყვს აცრა აქვს გაკეთებული, არ შეიძლება ამ პერიოდში რძის არც დალევა და არც მისგან პროდუქტების დამზადება.

ყველის გაკეთების დროს რძეს 40 გრადუსამდე ათბობენ, რაც არ არის საკმარისი ამ პროდუქტის უვნებლობისთვის. დღეს ოჯახში დამზადებული რძის ნაწარმიდან შედარებით უსაფრთხოდ ითვლება სულგუნი, რადგან მისი დამზადების ტექნოლოგია გულისხმობს 80-85 გრადუსამდე რძის თერმულად დამუშავებას.

სურსათის უვნებლობის სააგენტოს თქმით, 2020 წლამდე არ შემოწმდება რძის ნაწარმის უვნებლობა, რადგან ლაბორატორიები არ არის ხელმისაწვდომი.

რეკომენდაცია, რა უნდა ვიცოდეთ ყველის არჩევისას:

- ყველი, როგორც წესი, აუდუღარი რძისგან მზადდება, ამიტომაა საშიში, ახლადმომზადებულ ჭყინტ ყველში, რძიდან სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები შეიძლება მოხვდეს. ყველის წათხში მომწიფებისას ეს ბაქტერიები იღუპება.
- ყველის გადანაჭერის ოდნავ მოყვითალო ფერი მის ცხიმიანობაზე მიუთითებს, სამწუხაროდ, მომხმარებლის მისაზიდად ყველს ღებავენ საღებავებით, ასეთი ფალსიფიკაციის ამოცნობისთვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: საღებავით დამუშავებულ ყველს, კიდე უფრო მუქი აქვს, ვიდრე შუაგული, ხოლო ბუნებრივად ცხიმიან ყველში ეს პირიქითაა.

• კარგი ხარისხის ქარხნულ ყველს გადანაჭერზე ერთგვაროვანი სტრუქტურა აქვს, იგი არ უნდა იყოს ფაშარი და ფშვნადი. ზედაპირი უნდა იყოს ერთგვაროვანი, ნახეთქების და თეთრი ფიფქიოს გარეშე. მისი ზედაპირი არ უნდა იყოს ტენიანი და წებოვანი.

• არ შეიძინოთ ყველი, რომელსაც ზემოდან ობი აქვს, ან კანი აქვს ჩამოჭრილი

• იმერული ყველი და სულგუნი, რბილი, პლასტიკური და დრეკადი უნდა იყოს. სულგუნზე თითის დაჭერისას უნდა ჩნდებოდეს რძის წვეთები.

ყველის შენახვა სახლში:

ქართული ყველი ისე უნდა შევინახოთ, რომ არ მოეკიდოს ობი ან სოკო და არ განვითარდეს ლპობის პროცესი. ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს:

• თუ ყველი 1 კვირის განმავლობაში გვინდა რომ შევინახოთ, იგი მშრალ , დახურულ კონტეინერში უნდა მოვათავსოთ და მაცივარში შევინახოთ, ქვედა თაროზე.

• ხანმოკლე პერიოდით (1-2 დღე) შენახვისათვის შეიძლება გავახვიოთ მარილწყალში დასველებულ ტილოში და შევინახოთ მაცივრის გარეთ.

• 1 კვირაზე მეტ ხანს შესანახად უნდა მოვათავსოთ წათხში;

• თუ შენახვისას ყველის ზედაპირზე ობის თხელი ფენა გაჩნდა, გარეცხეთ ყველი, გააშრეთ, წაუსვით მარილი და შეეცადეთ სწრაფად მოიხმაროთ იგი.

ამრიგად, ჩვენს მიერ დაფიქსირებული იქნა, რომ საწარმოში „ნებიერა“ ყველა საჭირო პროცედურა დაწყებული რძის ხარისხის შემოწმებით, დამთავრებული მისი რეალიზაციით, აბსოლუტურად დაცულია. აქედან გამომდინარე აქ მიღებული ყველა სახის პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ოჯახის პირობებში დამზადებული ყველი არავითარ ლაბორატორიულ შემოწმებას არ გადის. ხშირ შემთხვევაში მისი რეალიზაციისას საშინელი ანტისანიტარიაა გორის ბაზრის ტერიტორიაზე. ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ ყველის წარმომავლობა და უპირატესობა მივანიჭოთ ქარხნულ ყველს.

ლიტერატურა:

1. www.netgazeti.ge
2. ა. ხარაზიშვილი, რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, თბილისი, 2009.
3. ზ. ცქიტიშვილი, ნ. ლიპატოვი, რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, თბილისი, 1985.
4. ზ. ცქიტიშვილი, რძე, თბილისი, 2010.
5. О.А. Шеифель, Виохимя молоко из продуктов, Кемеров, 2010.

ღვინო და ქიმია

რუსუდან შატაკიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ესმა წკრიალაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

1887 წელს ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ღვინის ქართულად დაყენება“ წერდა: „ჯერ მინამ შევუდგებოდეთ იმის გარჩევას, თუ რომელი კეთება ღვინისა უმჯობესია, ჩვენებური, თუ სხვაებური, ...საჭიროა ვიცოდეთ, რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. იგი სანელებელია და თანაც ყველაზე უკეთესი სანელებელი, რომელიც კარგად ჰმოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზე...“

ქართული ღვინოების უმრავლესობაში მოცულობის 13% ანუ წონის 10% ალკოჰოლია. სუფრის ღვინისთვის ალკოჰოლის ასეთი შემცველობა დიდად მიიჩნევა. თუმცა, 11% ალკოჰოლის შემცველი ღვინოებიც არსებობს. ალკოჰოლის სიჭარბე თურმე ღვინოს „ავადმყოფობისაგან" ანუ დაძმარებისა და აპკის მოკიდებისგან იცავს. ალკოჰოლი ღვინოში შაქრის დუღილის შედეგად წარმოიქმნება. მიკრობიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლუი პასტერის მონაცემებით 100 წონაწილი შაქრიდან - 48 წონაწილი ალკოჰოლი მიიღება. დუღილს იწვევენ განსაკუთრებული სოკოები Saccharomyces, რომლებიც საკვებად შაქრის 5%-ს იყენებენ. დანარჩენი შაქარი კი, დუღილის დროს

ალკოჰოლის წარმოქმნაზე იხარჯება. ამას და ბევრ სხვა რამეს ამოვიკითხავთ ვრცელი სტატიიდან, ცნობილმა ქართველმა ქიმიკოსმა პეტრე მელიქიშვილმა რომ დაწერა ქართულ ღვინოზე...

ისევე, როგორც ნებისმიერი ალკოჰოლი, ღვინოც ადამიანის ორგანიზმში დაჟანგვისას ნახშირორჟანგსა და წყალს წარმოქმნის. ღვიძლის პარენქიმული უჯრედების ციტოპლაზმაში არსებული ფერმენტის, ალკოჰოლდეჰიდროგენაზას ზემოქმედებით ეთანოლი აცეტალდეჰიდამდე იჟანგება. აცეტალდეჰიდი კი მეორე ფერმენტის, ალდეჰიდდეჰიდროგენაზას მეშვეობით ძმარმჟავად გარდაიქმნება. სწორედ ძმარმჟავა წარმოქმნის საბოლოოდ ნახშირორჟანგსა და წყალს. ეს ქიმიური პროცესი ზოგადად შეიძლება ასე გამოისახოს:

$$\underset{\text{ეთანოლი}}{CH_3\text{-}CH_2OH} \xrightarrow{[0]} \underset{\text{აცეტალდეჰიდი}}{CH_3-C(=O)H} \xrightarrow{[0]} \underset{\text{ძმარმჟავა}}{CH_3-C(=O)OH} \xrightarrow{[0]} CO_2 + H_2O$$

თუ ეს პროცესი ორგანიზმში ფერმენტების პასიურობის გამო ან სხვა მიზეზით ნელა წარიმართა, ადამიანი თავს უსიამოვნოდ გრძნობს, თავი სტკივა, პირი უშრება, გამუდმებით სწყურია. ალკოჰოლის გადაჭარბებულად მიღების შემთხვევაში კი იზრდება ფსიქიკური აშლილობისა და ფიზიკური დეგრადაციის რისკი. აცეტალდეჰიდის დაგროვება ზრდის ონკოლოგიური დაავადებების წარმოშობის ალბათობას, შლის ღვიძლს.

იმავე ქიმიურ პროცესს, ანუ ეთილის სპირტის დაჟანგვას, ნასვამი მძღოლების გამოსავლენადაც იყენებენ. ლაბორატორიაში რეაქცია შემდეგნაირად წარიმართება: სინჯარაში ათავსებენ 6 მლ ქრომის ნარევს (100 მლ 30%-იან გოგირდმჟავას ხსნარში კალიუმის ბიქრომატის ფხვნილის დამატებით ნარინჯისფერი ხსნარი მიიღება) და 2 მლ სპირტს, ნარინჯისფერი ხსნარი მწვანდება. მიიღება დამახასიათებელი სუნის მქონე ძმრის ანუ აცეტალდეჰიდი:

$$3CH_3\text{-}CH_2OH + K_2Cr_2O_7 + 4H_2SO_4 \rightarrow \underset{\text{მწვანე}}{3CH_3-C(=O)H} + Cr_2(SO_4)_3 + K_2SO_4 + 7H_2O$$

ნარინჯისფერი

ნასვამი მძღოლების გამოსავლენ აპარატშიც იგივე რეაქცია ხდება. თუ მძღოლი ნასვამია, სპეციალური ფირფიტა ფერს იცვლის, მწვანდება.

ღვინო უნიკალური მკურნალია. სამედიცინო სტატისტიკაში ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება. მაგალითად, ფრანგები, რომლებიც სადილობისას ყოველთვის სვამენ თითო ჭიქა ღვინოს, გაცილებით იშვიათად იღუპებიან გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით. ამ დაავადებების სიხშირე მთელ დასავლეთ ევროპაში საფრანგეთშია ყველაზე დაბალი. ეს ფენომენი ცნობილია როგორც „ფრანგული პარადოქსი“. ბურგუნდიაში ღვინით მკურნალობის სპეციალური ცენტრებიც კია გახსნილი. მათ ენოთერაპიის ცენტრებს უწოდებენ. იქ მკურნალობის შემდეგი პრინციპია დანერგილი: **სვით თითო ჭიქა ღვინო ყოველდღე!**

ღვინის დადებით ზემოქმედებას ადასტურებენ ამერიკელებიც. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის, ვინც ყოველდღე 200-300 მლ ღვინოს სვამს, ლოთებსა და არამსმელებზე უფრო მეტხანს ცოცხლობს.

ღვინო ორგანიზმს ამარაგებს მაკრო- და მიკროელემენტებით, ვიტამინებით, ამინომჟავებით. იგი მდიდარია მთრიმლავი, საღებავი, პექტინური, ფენოლური ნივთიერებებით. წითელი ღვინის პოლიფენოლებს 50-ჯერ უფრო მძლავრი ანტიოქსიდანტური (ანუ თავისუფალი რადიკალების შემბოჭავი) მოქმედება აქვს, ვიდრე E ვიტამინს, რომელიც, როგორც ცნობილია, ანტიოქსიდანტური მოქმედების ეტალონად არის მიჩნეული. წითელ ღვინოში შემავალი პოლიფენოლები რადიაციის დროს წარმოქმნილ თავისუფალ რადიკალებსაც კი თავისუფლად უმკლავდებიან.

ენოთერაპიას (ღვინით მკურნალობა) და ამპელოთერაპიას (ყურძნით მკურნალობა) საქართველოში ღრმა ფესვები აქვს. ქვეყანაში, სადაც პირველად გააცნობიერეს ველური ყურძნის კვებითი თვისებები, მოხდა ვაზის კულტურაში გადმოტანა და შემდგომ თანდათანობით ღვინის დაყენების ხელოვნების ჩაწვდომა-დაუფლება. ბუნებრივია, საფუძველი უნდა ჩაჰყროდა ყურძნისა და ღვინის სამკურნალო თვისებების შეცნობა-გამომზეურებასაც. ასეთ ქვეყანად, ძველი დროის მოგზაურთა, მწერალთა თუ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, საქართველოს მიიჩნევს. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის 8 000-წლიანი ისტორია აქვს. ასეთია მსოფლიოს ავტორიტეტულ მეცნიერ-სპეციალისტთა აზრიც, რაც არქეოლოგიურ აღმოჩენებს ეყრდნობა. ამის ნათელ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ 1999 წელს ლონდონში გახსნილი მსოფლიოში უდიდესი და მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელსაც „ვინოპოლისი“ (ღვინის ქალაქი) ეწოდება და რომელიც ქართული პავილიონით იწყება, სახელწოდებით ,,ღვინის აკვანი". საქართველოდან მევენახეობა-მეღვინეობა ინდოელებს შეუთვისებიათ, აქედან კი თანდათანობით გავრცელებულა ხმელთაშუა ზღვის აუზში (ჯერ ეგვიპტეში, შემდგომ საბერძნეთში, იტალიაში და ა.შ.).

ღვინის თერაპიის მარგებლობის შესახებ წარწერა შემონახულია ეგვიპტეში, პლა-ხოტეპის საფლავის ქვაზე (ძვ. წ. 1V ათასწლეული). ასეთივე წარწერა აღმოაჩინეს ქალაქ ნიპურის გათხრებისას. ის ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება. მედეას (ძვ. წ. XIV ს.) სამკურნალო 40 მცენარის ნუსხაში ვაზიც არის მოხსენიებული. ცნობილია, რომ ჰიპოკრატე (ძვ. წ. 372-287 წწ.) ჭრილობებისა და რევმატული ტკივილების მოსაშუშებლად ღვინის კომპრესებს იყენებდა და ა.შ.

ქრისტიანობის გავრცელებამ უფრო მეტად შეუწყო ხელი ენოთერაპიის განვითარებას. ღვინო, ქრისტიანული ტრადიციით, არა მხოლოდ სიცოცხლისა და მშვიდობის წყაროა, არამედ ღვთიური და ადამიანური კავშირის სიმბოლური მოციქულიც. ალბათ, ამიტომაც არის იგი 450-ჯერ მოხსენიებული ბიბლიაში [3].

დღევანდელ ცივილიზებულ ქვეყნებში ენოთერაპია აღმავლობის გზაზეა. საფრანგეთში, ბორდოს პროვინციაში XX საუკუნეში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ენოთერაპიული ცენტრი. აქ პაციენტებს მკურნალობენ ღვინისა და ვაზის აბანოებით, ღვინისა და თაფლის სახვევებით, ღვინის ნიღბებით, ყურძნის დაფქული წიპწებით... ანალოგიური ცენტრები გაიხსნა სხვა ქვეყნებშიც. თუმცა, ენოთერაპიას უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, ცნობილია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში გერმანელი სწავლული სიდენგამი ღვინოს, როგორც მინერალური ნივთიერებებით მასაზრდოებელ საშუალებას, დედათა და ბავშვთა სამკურნალოდ იყენებდა სისხლნაკლებობისას. ამ მიზნით იგი რაინის წითელ ღვინოებში 0,5-1 გ/ლ-მდე რკინის ფხვნილის დამატებას ურჩევდა. ღვინოზე დამზადებული მრავალი წამალია აღწერილი ქართულ სამკურნალო უსწორო კარაბადინში (X - XI სს.).

სამწუხაროა, რომ ჩვენ მსოფლიო „ენოთერაპიულ ბუმს“ მხარი ვერ ავუბით. 2003 წ. როგორც იქნა, კუს ნაბიჯი გადაიდგა და მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში შეიქმნა ენოთერაპიულ საკითხთა შემსწავლელი ჯგუფი, რომლის ძირითადი მიზანია ვაზის პროდუქტებიდან ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამკურნალო ღვინის მარკების შექმნა-აპრობაცია. ამ მხრივ საინტერესო ძვრები გვაქვს და გვჯერა, რომ ვაზის ჯვრით გაქრისტიანებულ ქვეყანას, კვლავაც ვაზ-ღვინომ უნდა შეუწყოს ხელი გაჯანსაღების გზაზე.

მაინც რით არის განპირობებული ღვინის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ეფექტი? ღვინო რთული შემადგენლობის პროდუქტია, რომელიც უამრავ სამკურნალო თვისებების მქონე კომპონენტს შეიცავს, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას ცალკეულად თუ კომპლექსურად განაპირობებენ: კარდიო და რადიოპროტექტორულ, ბაქტერიოციდულ, ანტიოქსიდანტურ, ანტივირუსულ, ანტისტრესულ, ანტისიმსივნურ და სხვა მოქმედებებს. ღვინო ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტსა და ტონუსს, ეხმარება საჭმლის შეთვისება-მონელებაში, გამოაქვს ტოქსინები, ხელს უწყობს შარდში შაქრის კონცენტრაციის შემცირებას, რის გამოც დადებით გავლენას ახდენს დიაბეტით დაავადებულებზე. ღვინის რეგულარულად და სათანადო დოზით მიღება აფერხებს ათეროსკლეროზული პროცესების განვითარებას, ახდენს ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინების ფიზიოლოგიური ნორმით დაბალანსებას.

ღვინო საკმაოდ ფართო სპექტრის ბაქტერიციდული სითხეა. მისი მოქმედების არეალი ერთდროულად მოიცავს გრამუარყოფით და გრამდადებით ბაქტერიებს. მის ანტიბაქტერიულ მოქმედებას პოლიფენოლები (და არა სპირტები, როგორც ადრე მიაჩნდათ) განაპირობებენ. 2-3-ჯერ განზავებული ღვინოც კი თრგუნავს და ერთ საათში მთლიანად ანადგურებს შავი ჭირის, ტიფისა და დიზენტერიის გამომწვევ ბაცილებს. აღსანიშნავია ღვინის სადეზინფექციო-პროფილაქტიკური ეფექტიც - თუ დაბინძურებულ წყალს 50%-ით განვაზავებთ წითელი ღვინით, ის უკვე სასმელად ვარგისი ხდება. რაც შეეხება ანტივირუსულობას, ღვინის მოქმედებას ტანინი განაპირობებს. იგი ახდენს პროტეინული ბადის ბლოკირებას და ვირუსებს უჯრედებამდე აღარ ატარებს. ამიტომაცაა, რომ წითელი ღვინო თუნდაც განზავებული სპობს პოლიმიელიტის, კოკსაკისა და ჰერპეს-ვირუსებს.

რა არის ტანინი? ტანინი მცენარეული პოლიფენოლია, რომელსაც მწარე გემო აქვს. იგი შეიძლება იყოს ჰიდრირებული და კონდენსირებული (პროანთოციანიდი). ღვინოში უპირატესად კონდენსირებული ტანინი გვხვდება, განსაკუთრებით წითელ ღვინოში. იგი ყურძნის კურკაში და კანშია. ღვინის დაყენების დროს (დაწურვისას) ძირითადად კონდენსირებული ტანინი გადადის ღვინოში. სწორედ ამ ნივთიერების არსებობა განაპირობებს ღვინის სარგებლიანობას. პირველად ეს ნივთიერება აღწერა პროფესორმა ჯაკ მასკელიერმა 1936 წელს და ვიტამინი P უწოდა. მანვე შეიმუშავა პროანთოციანიდების გამოყოფის ტექნიკა. ჟურნალ "Nature"-ში გამოქვეყნებულ ახალ კვლევაში პროციანიდები თრგუნავენ ენდოთელინ-1-ის გამომუშავებას, რომლის შედეგად ხელს უშლიან სისხლძარღვის კედლის შევიწროებას. ექიმთა დაკვირვებით ღვინისმსმელი და არამწეველი ადამიანები ნაკლებად ავადდებიან გრიპით, ვიდრე არამსმელები და არამწეველები. უკვე მეცნიერულად არის დამტკიცებული, რომ ღვინო გარკვეულწილად გრიპის პროფილაქტიკასაც უზრუნველყოფს.

მედიცინაში ენოთერაპიის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ამპელოთერაპია (ყურძნით მკურნალობა). ყურძენი მდიდარია გლუკოზით, რომელიც თითქმის სისხლის ფორმულას აუმჯობესებს. ამპელოთერაპია ამარცხებს გულის უკმარისობას, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებებს (ბრონქიტს, პნევმონიას, ასთმას) და ორგანიზმში სისხლის ნაკლებობას. ყურძენი შეიცავს ორგანულ მჟავებს, რკინას, ალუმინს, B, C, A ვიტამინებს, ფერმენტებსა და ფიტონციდებს. იგი ასევე მდიდარია ბიოტინებით, რომლებიც ძალიან სასარგებლოა კანის, თმისა და ფრჩხილებისათვის. შავ ყურძენს კი სადეზინფექციო ფუნქციაც აქვს - ანგინისა და ყელის ტკივილის დროს ტკივილს ანელებს. ყურძნის სამკურნალო თვისებებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ იგი არეგულირებს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს მადას და აწესრიგებს ძილს, გაციების შემთხვევაში ამცირებს სისველეს და ხველას, ამაგრებს იმუნურ სისტემას და ინფექციებს განდევნის ორგანიზმიდან. მკურნალობის გადაწყვეტისას ყურძენი უნდა მიიღოთ დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე 30-40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსს მცირე დოზებით (300 გ) იწყებენ და ნელ-ნელა დოზას ზრდიან დღეღამეში 2-3 კგ-მდე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამპელოთერაპიას შესაძლოა უკუჩვენებაც ჰქონდეს. მაგალითად, ჭარბ წონასთან დაკავშირებული პრობლემების, ჰიპერტონიის, დიაბეტის, კუჭის წყლულის დროს.

ენოთერაპიას და ამპელოთერაპიას საქართველოში დიდი წარსული აქვს. მეეჭვება, ვინმეს კიდევ ჰქონდეს ვაზის სადიდებელი ისეთი მდიდარი ხალხური სიტყვიერება, როგორიც ჩვენ გვაქვს: „ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისაო“, „ვაზო, შვილივით ნაზარდოო...“, „შეგარგოს ვაზის ნაჟური...“ და ა.შ. წმინდა ნინოსაც ხომ ვაზის ჯვარი ეპყრა ხელთ...

ქართველებმა ვიცით ვაზისა და მისი ნაჟურის ფასი, ხუთასი ჯიშის ყურძენი მოდის ამ პატარა მიწაზე. მე-17 საუკუნეში ფრანგი მოგზაური შარდენი აღნიშნავდა, რომ არც ერთ ქვეყანაში იმდენ და ისეთ დიდებულ ღვინოს არ სვამენ, რამდენსაც საქართველოშიო. თუმცა... კონსტანტინე გამსახურდია ერთგან წერდა: „თუ ნადირი დაინდე, თვითონ არ დაგინდობსო. იგივე ითქმის ღვინოზეც - თუ სმა დროზე არ შეწყვიტე, არ დაგინდობს, მოგსპობსო...“

მე კი ასე დავამთავრებ ჩემ მოხსენებას:

რეგულარულად და ზომიერად, საკვებთან ერთად ღვინის მიღება სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის!

ლიტერატურა:

1. მ. ხარბედია, ქართული ღვინის გზამკვლევი, თბილისი, 2012.
2. ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბილისი, 1972.
3. http://www.mkurnali.ge/rchevebi90/1131-ghvino-unikaluri-mkurnali.html
4. www.gcc.org.ge/files/wine%20and%20Health.pdF
5. Crenia Stockley The benefits of wine, in Australian Wine – Styles and Tastes, Patrick Iland and Peter Gago, Patrick Iland Wine Promotions, Adelaide 2002 The Australian Wine Research Institute (Creina Stockley).

ბიზნესი და მართვა

ოფშორული ბიზნესი და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში

თინათინ აბრიაშვილი, გიორგი კლდიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ინტეგრაციის და ლიბერალიზაციის პროცესების გაძლიერებით, ასევე ეროვნული ეკონომიკის კარგახსნილობით. თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მსოფლიო ეკონომიკისა.

იგი იქმნება ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, ექსპორტის გასაფართოვებლად, ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისათვის, საგადასახადო ბალანსის გასაუმჯობესებლად, შემოსავლის გასაზრდელად და საბოლოო ჯამში ეროვნული ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. თეზ-ებს მრავალი სახესხვაობა გააჩნიათ. თეზ-ების განსაკუთრებით გავრცელებული და მნიშვნელოვანი სახეა ოფშორული ზონები. აქ, ძირითადად, კონცენტრირდება საბანკო და სადაზღვევო ბიზნესი. მათი საშუალებით ხორციელდება საინვესტიციო საქმიანობა, საექსპორტო ოპერაციები, კონსალტინგური საქმიანობა, ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ოფშორული ზონები იზიდავენ კლიენტებს მისაღები საფინანსო-სავალუტო კონტროლით, შეღავათიანი გადასახადებით, კონფიდენციალურობის დაცვით.

სახელმწიფოებს, სადაც თავმოყრილია ოფშორული ზონები, როგორც წესი, არ გააჩნიათ დანახარჯები სამხედრო სფეროზე და ინახავენ სახელმწიფო მოხელეების მინიმალურ რაოდენობას. ეს კი საშუალებას აძლევს განახორციელონ შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა. მათი შემოსავლის ძირითადი წყაროებია: მოსაკრებელი ოფშორული ფირმების რეგისტრაციისათვის, ყოველწლიური ფიქსირებული გადასახადი მოქმედი ორგანიზაციებიდან, ყოველწლიური სალიცენზიო გადასახადი. ამ წყაროებიდან ხდება ბიუჯეტის 80%-ის ფორმირება. ამასთანავე, ოფშორული იურისდიქციის რეჟიმი ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, უცხოური კაპიტალის შემოდინებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას სახელმწიფოში.

ექსპერტთა შეფასებით, ყოველწლიურად 15000 კომპანია ფუძნდება ჰონკონგში ოფშორული მიზნით და კიდევ 50000 სხვა ოფშორულ ზონებში. კონსალტინგური ფირმების მონაცემებით, რომლებიც საქმიანობენ ამ ბაზრებზე, მხოლოდ 2000-2005 წლებში მთელს მსოფლიოში დაფუძნდა ნახევარი მილიონი ოფშორული კომპანია. მათი რიცხვი დღესაც დიდი სისწრაფით იზრდება. დღეისათვის მსოფლიოში 50-მდე ქვეყანაა სპეციალიზებული ოფშორული იურისდიქციით.

ოფშორი“ (of-shore) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სანაპიროდან დაშორებით“, „საზღვრებს გარეთ“. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ნებისმიერი საქმიანობის მიმართ გამოიყენება, რომელიც ხორციელდება გარკვეული ტერიტორიის - ოფშორული ზონის საზღვრებს გარეთ. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს „ოფშორული ზონების“ შემდეგი სინონიმები: „საგდასახადო სამოთხე“, „საგადასახადო ოაზისი“, „საგადასახადო თავშესაფარი“. ტერმინი „ოფშორი“ პირველად XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ში გამოიყენეს. ეს, უპირველესად, აიხსნება ადამიანების მიერ გადასახადების თავიდან აცილების სურვილით, აგრეთვე, საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციისა და ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მიზიდვის მცდელობით. ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ასევე საწარმოო ინვესტიციების მოძრაობაში.

ოფშორული ზონა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისგან იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმი განისაზღვრება სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალობით. თუმცა, მხოლოდ ზოგიერთ ოფშორულ ზონაში მოქმედებს ნარკობიზნესთან, ტრეფიკინგთან და იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საეჭვო ოპერაციებზე ინფორმაციის მოთხოვნის აუცილებლობა.

ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიას, რომელსაც პრეტენზია აქვს საგადასახადო და სხვა შეღავათებზე, ძირითადად, არ მოეთხოვება, იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მდებარეობს ოფშორული ცენტრი და არ მიიღოს მისი ტერიტორიისაგან მოგება.

ოფშორული ბიზნესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა XX ს-ის 50-იანი წლების შემდგომ პერიოდში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე საკმაოდ მაღალი გადასახადები იქნა დაწესებული. არსებული მდგომარეობა გადასახადის გადამხდელს უბიძგებს, ამა თუ იმ მექანიზმით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოს ხარჯების მინიმიზაცია, რაც თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მეწარმეთა მიერ ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიების საკითხში. ამგვარმა სიტუაციამ გაამწვავა კონკურენცია სახელმწიფოებს შორის სამეურნეო სუბიექტებისაგან გადასახადის აკრეფის უფლებაზე. ასეთ ვითარებაში ცალკეულმა სახელმწიფოებმა მეწარმეობრივ სუბიექტებს მისცეს საშუალება, კანონის ფარგლებში თავი აერიდებინათ მძიმე საგადასახადო წნეხისათვის და შექმნეს ახალი ფინანსური ცენტრების ქსელი, ანუ შეღავათიანი საგადასახადო გარემო. ტერიტორიები, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო გარემო, უმეტესწილად, განლაგებული არიან კუნძულებზე, რამაც გავლენა მოახდინა მათ სახელწოდებაზე.

ოფშორული ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებაში აქტიური როლი შეასრულა დიდმა ბრიტანეთმა, რომლის კოლონიურ სახელმწიფოებსა და მასზე დამოკიდებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა

ოფშორული ცენტრები. განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მაღალი საგადასახადო განაკვეთების გამო მათი მოქალაქეები ფულს ძირითადად უცხოეთში მალავენ. XX საუკუნის 60-იან წლებში დიდ ბრიტანეთში გადასახადები 80-90%-ს შეადგენდა, ამიტომ მდიდარმა ბრიტანელებმა თავიანთი ფული ბრიტანულ ოფშორულ ცენტრებში გადაიტანეს.

ოფშორული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. მათი გამოყენებით ამაღლდა ოფშორული სტრუქტურების ფუნქციონირების ეფექტიანობა, რადგან ინტერნეტის მეშვეობით ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული, მეორე (ან რამდენიმე) ქვეყანაში მოქმედი, მესამე ქვეყანაში საბანკო ანგარიშის მქონე და მეოთხე ქვეყანაში მცხოვრები მესაკუთრის ურთიერთობა 24 საათის განმავლობაში უპრობლემოდაა შესაძლებელი.

ამჟამად, ოფშორული ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად იქცა.მისმა მასშტაბებმა განაპირობა ე. წ. „ოფშორული ინდუსტრიის“ ჩამოყალიბება, რომელიც ოფშორული რეჟიმის მქონე ქვეყნებისთვის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად იქცა. ოფშორული ბიზნესი განსაკუთრებულ როლს თამაშობს კაპიტალის მსოფლიო წრებრუნვაში და არსებითად აფართოებს საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობებს.

არსებული ოფშორული ზონები დაყოფილია სამ ჯგუფად:

1. კლასიკური ოფშორული ზონები, რომლებსაც ახასიათებს გადასახადებისა და ანგარიშგების არარსებობა და კონფიდენციალობის მაღალი დონე. ამ ჯგუფში შედიან: ბრიტანული ვირჯინიისა და სეიშელის კუნძულები, ნევისი, პანამა, დომინიკა, ბელიზი და სხვ.

2. დაბეგვრის ზომიერი დონის ოფშორული ზონები. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კვიპროსი, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ურუგვაი და სხვ.

3. სხვა ზონები, რომლებშიც დაბეგვრისა და ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით გარკვეული შეღავათებია გათვალისწინებული. ამ ჯგუფში შემავალი სახელმწიფოები ფორმალურად ოფშორულ ზონებს არ მიეკუთვნებიან (მაგალითად, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, კანადა, შვეიცარია და სხვ), მაგრამ მათი საგადასახადო კანონები ზოგიერთი ოპერაციისა და ინვესტორთა ჯგუფისთვის ითვალისწინებს შეღავათიან (მასტიმულირებელ) დაბეგვრას, ან კომპანიების შემოსავლების დაბეგვრის დონის შემცირება ხდება საერთაშორისო შეთანხმებებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ.

კაპიტალის მოძრაობის პროცესი ოფშორულ სისტემებში ე.წ. „გამტარი“ კომპანიების საშუალებით მიმდინარეობს, რომლებიც მოგების შემქმნელ ან გამსაღებელ კომპანიას ოფშორული ზონის ფირმებთან აკავშირებენ. ოფშორული ზონების ყველაზე გავლენიან კლიენტებად ტრანსნაციონალური კომპანიები სახელდებიან. ტერმინი „ოფშორული კომპანია“ ახასიათებს კომპანიის იურიდიული სტატუსის თავისებურებებს, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთ შეღავათიან საგადასახადო გარემოში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადასახადების ტვირთის მაქსიმალურად კლებას, ხოლო, რიგ შემთხვევაში, თითქმის ნულამდე დაყვანას.

ოფშორული კომპანიების პრინციპი – „მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, შეღავათიან საგადასახადო გარემოში გადანაცვლება“ – მოითხოვს მნიშვნელოვანი გათვლების გაკეთებას, კერძოდ: საგადასახადო თავშესაფრის არჩევისას დიდ მნიშვნელობას ენიჭება ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, განვითარებულ ტექნიკურ და საქმიან ინფრასტრუქტურას, აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობას. მეტი უპირატესობა ისეთ საგადასახადო რეჟიმებს ენიჭებათ, როდესაც კომპანია თავისუფლდება ყველა გადასახადისგან, ფიქსირებულის გარდა. აუცილებელია კარგად განვითარებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების არსებობაც. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმას, რომ ინფორმაცია კომპანიის ბენეფიციალური მესაკუთრის შესახებ ხელმიუწვდომელი იყოს ფართო საზოგადოებისათვის, ხოლო კლიენტთა სამართლებრივი მისამართი ხელმიუწვდომელი იყოს სახელმწიფო ორგანოებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. ბოლო პერიოდში დაადანაშაულეს ცხრა ქვეყანა, მათ შორის, კაიმანისა და სეიშელის კუნძულები, რომ ისინი აწარმოებდნენ არასასურველ საგადასახადო პოლიტიკას.

თანამედროვე მსოფლიოს ზეწოლამ ოფშორულ ბიზნესზე გარკვეული, მათთვის სასურველი გარკვეული შედეგები გამოიღო. თანამედროვე მსოფლიოს კრიტიკული ანალიზი ოფშორული ზონების მიმართ, გასაგებია, რადგან ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები კარგავენ მრავალმილიონიან საგადასახადო შემოსავლებს. ყველა ეს თანხა თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ უკვე როგორც „უცხოური ინვესტიცია“ საგადასახადო და სხვა შეღავათები. რატომღაც ისე მოხდა, რომ ქართულ სინამდვილეში, სიტყვა ოფშორი „დაფარულის“ და „საიდუმლოს“ სინონიმებად იქცა და ითვლება, რომ ყველა კომპანია, რომელიც ოფშორშია რეგისტრირებული, გასაიდუმლოებულ საქმიანობას ეწევა.

საქართველოში დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების უკან საეჭვო რეპუტაციის ან საქმიანობის ადამიანები უნდა იდგნენ, ისინი ვინც რაღაცას მალავს, ვისი ვინაობაც არ უნდათ რომ გამჟღავნდეს. ეს დამოკიდებულება ძირითადად 90-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, როდესაც საქართველოში პირველად გამოჩნდა მსგავსი კომპანიები და ხშირად ირკვეოდა, რომ მათ უკან მთავრობის მაღალჩინოსნები, ან მათთან დაახლოებული პირები იდგნენ. ასეთ ფაქტებს ადგილი დღესაც აქვთ, ამიტომ საქართველოში ოფშორული კომპანიებს კრიმინალთან აიგივებენ.

საქართველოში ინვესტორების უმრავლესობა მოქმედებს ოფშორული ზონიდან შემოსული ინვესტიციებით. ისინი აფუძნებენ საქართველოში კომპანიას, რომელიც მთლიანად მოქცეულია საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, იხდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს და მისი დამფუძნებლის შესახებ ინფორმაცია ღიაა. რაც შეეხება ოფშორული კომპანიების პრაქტიკას, ეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში და განვითარებად ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა, რაც ზრდის ინვესტიციების დაცულობის ხარისხს და მისი დაკარგვის რისკებს ამცირებს.

ხუდონჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“ საქართველოშია რეგისტრირებული და ყველა გადასახადს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხდის. ოფშორში კი მხოლოდ მის მფლობელ ერთ-ერთ კომპანიას აქვს რეგისტრაცია გავლილი, რაც მხოლოდ საგადასახადო ფაქტორებს უკავშირდება. ეს ყველაფერი რისკების შემცირებისთვის სრულდება.

საქართველოში „თელასიც“ ოფშორულ რეჟიმში მუშაობს დღესდღეობით და სხვა ენერგეტიკული კომპანიებიც. მაგალითად „სოკარსაც“ ოფშორული თანადამფუძნებელი ჰყავს. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. მთავარია, გადასახადის გადამხდელი ქართულ იურისდიქციაში მოექცეს და მისი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე.

რაც შეეხება „კავკასუს ონლაინს“, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ფიქტიური კომპანია International Online Networks Limited ფლობს. ამ უკანასკნელის აქციების 50% ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კიდევ ერთი კომპანია Nelgado Limited-ს ეკუთვნის, რომლის ბენეფიციარი მფლობელების ვინაობაც უცნობია;[1] აქციების 19.994%-ს კუნძულ ჯერზიზე რეგისტრირებული ბრიტანული საინვესტიციო ფონდი Growth Master Holdings ფლობს;[2] დანარჩენი 30.006% კი „კავკასუს ონლაინის“ დამფუძნებლებს ეკუთვნის.

„სილქნეტი“ 2010 წლის მარტში „ვანექსის,“ „აჭარის ტელეკომის“ და „გაერთიანებული ტელეკომის“ შერწყმის შედეგად შეიქმნა. „სილქნეტს“ მალტაზე რეგისტრირებული კომპანია Rhinestream Holding Limited ფლობს. „ახალი ქსელები“ ტელეფონის და ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერია და თბილისში, ქუთაისში, გორში, ფოთში, ზესტაფონში, ზუგდიდში, თერჯოლაში, კასპსა და ქსანში მუშაობს. კომპანიის უმსხვილესი აქციონერი ბელიზში რეგისტრირებული ფიქტიური კომპანია Alpha System Transit Corp-ია (46.2%), რომელსაც, თავის მხრივ, პანამური ფიქტიური კომპანია Cascado AG აკონტროლებს.

ოფშორებზე კამათი და აზრთა სხვადასხვაობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, თუმცა ფაქტია, რომ ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. სულ უფრო მეტი რაოდენობით კომპანიები რეგისტრირდებიან ოფშორულ ზონებში. ფაქტია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრმა ამერიკულმა კორპორაციამ სისტემატურად მოიზიდა უზარმაზარი შემოსავლები ოფშორიდან. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, 48 კორპორაციამ 518 მილიარდი დოლარი დაამატა ოფშორის შემოსავლებს, რომელთა შორისაა ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა: Apple, Microsoft, და Google. თანდათანობით ქართული კომპანიებიც ოფშორული ზონების აქტიური მომხმარებლები ხდებიან.

და ბოლოს, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, რისკებისა და ზედმეტი დანახარჯებისგან თავიდან აცილების მიზნით, ოფშორულ ბიზნესში ამკრძალავი ღონისძიებების შემოღების ნაცვლად უნდა გაიზარდოს ოფშორული კომპანიების საქმიანობის გამჭვირვალობა. რამდენადაც მოცემულ მომენტში ქართველი ბიზნესმენებიც აქტიურად სარგებლობენ ოფშორებით, ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, ჩვენთანაც შეიქმნას ის ეკონომიკური კლიმატი, რომელიც ქართველი ბიზნესმენებს შეუმცირებს ოფშორებით სარგებლობის მოტივაციას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ყორღანაშვილი ლ., ოფშორული ბიზნესი, თბ., 2004.
2. Ломакин В. К., Мировая Экономика, Москва, 2007.
3. Ливенцева Н. Н., Международные Экономические отношение, Москва, 2006.
2. Воронина А.М., Эволюция оффшорного бизнеса // Финансы и кредит, 2006.
3. http://www.taxcons.com
4. http://www.offshore.su/index.php?action-showcat&catid=11
5. www.oecd.org

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა

მარიამ ბოლოკაძე, დარინა მაზიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა შედარებით ახალ ტენდენციას წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, იგი უპრეცედენტო ყურადღების საგანია სამთავრობო და კერძო სექტორების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მხრიდან.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც კომპანია ნებაყოფლობით ითვალისწინებს საკუთარი მომხმარებლების, მომწოდებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და ზოგადად, საზოგადოების ინტერესებს ბიზნეს ოპერაციების განხორციელებისას. ეს, არსებითად, არის ბიზნესის კეთილი ნება საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში. ,,ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა ეს არის ორგანიზაციის კეთილი ნება გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით“ - ამერიკელი მეცნიერის გორდონ ფიტჩის ეს განმარტება ყველაზე უკეთ ასახავს მის არსს.

დღეს, თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. ეს უკვე გახდა ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა, აქტიური მარკეტინგული ინსტრუმენტი გაძლიერებული კონკურენციის პირობებში ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად, რადგან პროდუქცია იძენს დამატებით სოციალურ ღირებულებას.

საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის გამოკვლევით, ევროპულ კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ამერიკულ კომპანიებში და ეს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ევროპულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი წილი სკანდინავიურ ქვეყნებს უჭირავთ, რომლებიც ცხოვრების და კეთილდღეობის დონით ლიდერები არიან მსოფლიოში. ანალიტიკოსების შეფასებით მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მათზე „ზეწოლა“, მოთხოვნების თვალსაზრისით, სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მზარდია. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ წარმატებულთა რიცხვში ხვდებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას.

უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნეს საქმიანობაზეც, რადგანაც ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან და ა.შ. ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს თავიანთ ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან კავშირში, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ამის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს.

თუმცა, სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი.

სოციალური პასუხისმგებლობის თემა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე იმყოფება. თუმცა უკვე არსებობს პრეცენდენტები სოციალური ანგარიშების წარმოების. კომპანიებმა - „გუდვილი“,

„საქართველოს ბანკი'', „ვისოლი'', „ნატახტარი", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" და ა.შ – უკვე შექმნეს პირველი ქართული სოციალური ანგარიშები.

საქართველოში მოქმედი ბიზნესი თავისი მასშტაბების და შესაძლებლობებთან შეფარდებით საკმაოდ დიდი ფულს ხარჯავს სოციალურ პროექტებზე და ქველმოქმედებაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის სოციალური საქმიანობა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომპანიის პრიორიტეტებთან და სტრატეგიასთან. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვა საქართველოში აუცილებელია ბიზნეს სექტორის აუცილებელი განვითარებისთვის. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის, სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნეს რეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში საზოგადოებისთვის სოციალური პროექტების მონაცემების წარდგენა ნებაყოფლობით პრინციპზეა აგებული. რაც უფრო გამჭვირვალეა კომპანიის საქმიანობა, მით უფრო მაღალი რეპუტაციით სარგებლობს იგი საზოგადოებაში და უფრო მიმზიდველი ხდება ინვესტორებისათვის.

ქართული კომპანიები დიდი სოციალური პროგრამების განხორციელებას ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობენ, მაშინ, როდესაც, დასავლეთში სოციალური პროექტების განხორციელება, ძირითადად, არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. ქართული კომპანიების ქმედებას, ხშირ შემთხვევაში, ერთჯერადი საქველმოქმედო სახე უფრო აქვს, ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის. „საქართველოს ბანკი" აქტიური სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციაა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს კულტურული, გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელებას. 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შედეგად „საქართველოს ბანკი" იყო პირველი, ვინც შექმნა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდი (ამჟამად მომავლის ფონდი) და თვითონვე გააკეთა პირველი შენატანი ერთი მილიონი ლარის ოდენობით. ფონდში შეგროვილი თანხა მოხმარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა გადაუდებელ დახმარებას. ფონდის დახმარებით კონფლიქტის ზონაში დაიწყო ინფრასტრუქტურის და საცხოვრებელი სახლების, მათ შორის სამი საშუალო სკოლის აღდგენა.

2009 წლიდან 2011 წლამდე „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა" გარკვეული თანხები გამოყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოვლისა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისთვის. ეს არის იმ სოციალური პროექტების მცირე ჩამონათვალი, რასაც „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი" ახორციელებს.

ქართული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" დიდი სოციალური პასუხისმგებლობით გამოირჩევა. 2013 წელს იგი შევიდა ყველაზე გამჭვირვალე და ყველაზე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამეულში. „კრისტალის" მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კარგი მაგალითია მისი სურვილი, დააფინანსოს მოსწავლეთა, პედაგოგთა და სკოლების მიერ წარმოდგენილი პროექტები. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას მათი სკოლისა თუ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების პროცესში. „კრისტალის" მიერ გამოყოფილი თანხებით ფინანსდება პროექტები თბილისის, დუშეთის, წალენჯიხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

კომპანია „გუდვილიც" მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამოირჩევა და გახსნის დღიდან აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო პროექტებში. მაგალითად, იგი არის შიდსით დაავადებულთა სამკურნალოდ დაგეგმილი კამპანიების თანაორგანიზატორი, ჯანსაღი კვების პროპაგანდისტული კამპანიების მხარდამჭერი და ორგანიზატორი და აგრეთვე, ახორციელებს უსინათლო ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ნებისმიერი ორგანიზაციისა და ფირმისათვის მისი სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება არსებით პროცესს უნდა წარმოადგენდეს. იგი ორიენტირებული არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციაზე, მათ, ასევე, უნდა იზრუნონ იმ ქვეყნის, იმ გარემოს განვითარებასა და სრულყოფაზე, რომელში მოღვაწეობაც უხდებათ. ეს მათი მორალური ვალდებულებაცაა. ორგანიზაციების მიერ გარემოსდაცვითი, კულტურული თუ საგანმანათლებლო კუთხით განხორციელებულ პროექტებს უკეთესი იქნება თუ არ ექნება ერთჯერადი ხასიათი, რადგანაც ასეთი ქმედებები დროებითი ეფექტების მომტანია. ხანგრძლივვადიანი სოციალური მხარდაჭერები, მსხვილი თუ საშუალო ორგანიზაციების მხრიდან ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობის შექმნის პერსპექტივას იძლევა. რაც მთავარია, აქტიური სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება ბიზნესში მოღვაწე ნებისმიერი ფირმისთვის წარმატების და უფრო მეტი აღიარების მოპოვების საწინდარია.

ინტერნეტ-რესურსები:
1. www.forbes.ge
2. www.24saati.ge
3. www.marketer.ge
4. www.initiatives.ge
5. www.conferences.ge

ინფლაციის არსი, ტიპები და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში

სოფიკო გიგაური, ხატია სოხატერი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

ინფლაცია, როგორც ეკონომიკური მოვლენა, ხანგრძლივი პერიოდია არსებობს. ითვლება, რომ მისი აღმოცენება ნაწილობრივ კავშირშია ფულის წარმოშობასთან, რომლის ფუნქციონირებაში განუწყვეტლივ მონაწილეობს.

ტერმინი ***„ინფლაცია"*** პირველად გამოყენებულ იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში, სამოქალაქო ომის პერიოდში, 1861-1865 წლებში და ნიშნავდა ფულადი მიმოქცევის პროცესის გაბერვას. XIX საუკუნეში ეს ტერმინი გამოიყენებოდა ასევე ინგლისსა და საფრანგეთში, თუმცა ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის გაგებამ დიდი გავრცელება XX საუკუნეში - პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი მხოლოდ 20-იან წლებში გამოჩნდა.

ინფლაცია - ეს არის ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველთუნარიანობის დაქვეითება, დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. პირდაპირ თარგმანში ტერმინი „ინფლაცია" ნიშნავს „გაბერვას", ე.ი მიმოქცევის არხების გადატვირთვას მოჭარბებული ქაღალდის ფულით, რომელიც არაა უზრუნველყოფილი შესაბამისი საქონლის მასის ზრდის ნორმით.

ინფლაციის ბევრად ლაკონური განმარტებაა - ფასების საერთო დონის ზრდა, უფრო ზოგადი - მიმოქცევის არხების ფულადი მასით გადატვირთვა საქონელბრუნვის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას და, შესაბამისად, საქონელზე ფასის ზრდას. ინფლაცია არის წმინდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც იბადება საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმოების დისპროპორციით. ინფლაცია თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ყველაზე მწვავე პრობლემაა.

თავდაპირველად ინფლაცია, როგორც წესი, ჩნდებოდა საგანგებო შემთხვევებში. მაგალითად, სახელმწიფოთა შორის ომის პერიოდში. ქვეყნები ხშირად დიდი რაოდენობით ქაღალდის ფულს უშვებდნენ, რათა საომარი ხარჯები დაეფარათ. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად იქცა.

არსებობს ინფლაციის სხვადასხვა ტიპები, ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ:

- ***მცოვავი ინფლაცია,*** რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით ფასების ზრდის დაბალი ტემპი, დაახლოებით 10 % ან ცოტა მეტი წელიწადში. ასეთი ტიპის ინფლაცია დამახასიათებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობისათვის და არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულოს.
- ***გალოპირებული ინფლაცია*** - ფასების ზრდის 20-200 %-ით.
- ***ჰიპერინფლაცია,*** რომლის დროსაც ფასები ასტრონომიულად იზრდება, კატასტროფულად განსხვავდება ფასები და ხელფასები, საზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობა ინგრევა, მსხვილი კომპანიები მოგების გარეშე რჩებიან და წამგებიანი ხდება მათი საქმიანობა. წარმატებული ბიზნესის ქონა ჰიპერინფლაციის პირობებში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საუბარი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ გადარჩენის სტრატეგიას, რომლის რეცეპტიც ასეთია: წარმოების გამარტივება, შიდა კავშირების შემცირება, ფირმის შიდა ელემენტების ბაზის

ნატურალიზაცია და ა.შ. ყველაზე ხშირად კომპანიებს უწევთ საკუთარი სათბურების, ფერმების შექმნა, რასაც აქცენტი გადააქვს ბარტერულ გაცვლაზე.

ფასების ბალანსირებული ზრდის დონის მიხედვით განასხვავებენ:

- ***ბალანსირებულ ინფლაციას,*** რომლის დროსაც სხვადასხვა საქონელთა ფასები უცვლელია ერთმანეთთან მიმართებაში.
- ***არაბალანსირებულ ინფლაციას,*** რომლის დროსაც სხვადასხვა საქონელთა ფასები ერთმანეთთან მიმართებაში განსხვავებული პროპორციით განუწყვეტლივ იცვლება.

მოლოდინის რეჟიმიდან გამომდინარე გამოყოფენ ასევე:

- ***მოსალოდნელ ინფლაციას,*** რომელიც შეიძლება წინასწარ განსაზღვრო, დააპროგნოზო დროის გარკვეულ პერიოდში, იგი წარმოადგენს მთავრობის მოქმედების პირდაპირ რეზულტატს.
- ***მოულოდნელი ინფლაციისათვის*** დამახასიათებელია ფასების სწრაფი, უეცარი აწევა, რაც უარყოფითად მოქმედებს გადასახადებსა და ფულის მიმოქცევაზე.

თუ არსებობს მოსახლეობაში ინფლაციის მოლოდინი, მაშინ ასეთი სიტუაცია იწვევს მოთხოვნის გაზრდას, რაც თავის მხრივ ეკონომიკაში სირთულეებს წარმოშობს და საზოგადოების მოთხოვნის რეალურ სურათს ცვლის. მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც ამყარებს ინფლაციის მოლოდინს, ამას კი მოჰყვება ფასების ზრდა. თუმცა იმ შემთხვევაში , როცა ეკონომიკაში ფასების უეცარი ზრდა ხდება, რომელიც არც კი მოიაზრებოდა ანუ არ იყო ინფლაციის მოლოდინი, ჩნდება ე.წ. ***„ფიგუს ეფექტი“*** ე.ი. მოსახლეობაში მოთხოვნის სწრაფი ვარდნა ხდება იმ იმედით, რომ ფასები შემცირდება. შედეგად მოთხოვნის შემცირება მწარმოებელს აიძულებს ფასების შემცირებას, რითაც ყველაფერი წონასწორობაში დგება.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია:

- ***დისპროპორციულობა*** - სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების არაბალანსირებულობა ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში იფარება ***„მბეჭდავი დაზგის“*** გამოყენებით, რაც საბოლოოდ ფასების დონის ზრდას იწვევს ანუ ინფლაციასთან მივყავართ.
- ***ინფლაციურ-სახიფათო ინვესტიციები*** - ძირითადად ეკონომიკის მილიტარიზაციას გულისხმობს.
- ***თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა*** - თანამედროვე ბაზარი გარკვეულ დონეზე ოლიგოპოლიზირებულია. ოლიგოპოლისტი ისწრაფვის რა შეინარჩუნოს ფასების მაღალი დონე დაინტერესებულია დეფიციტის შექმნით. (წარმოების შემცირებით და საქონლის შეთავაზებით).
- ***იმპორტირებული ინფლაცია*** - მისი როლი ეკონომიკის ღიაობის ზრდასთან ერთად იზრდება, სახელმწიფოს ბრძოლის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია.
- ***ინფლაციური მოლოდინი*** - ამის მაგალითები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეინიშნება.
- დასავლეთელი ეკონომისტები გამოყოფენ კონცეფციებს: ინფლაციის მოთხოვნა და ხარჯები.
- ***ინფლაციის მოთხოვნა*** - ეს არის წონასწორობის დარღვევა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მოთხოვნის მხრიდან, რომლის ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო შეღავათების გაზრდა და ა.შ. შედეგად კი მიიღება ფასების ზრდა.
- ***ინფლაციის ხარჯები*** - ფასების დონის ზრდის შედეგად წარმოების ხარჯების ზრდა, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა და ა.შ.

ზოგადად, ეკონომისტები 4 ტიპის ინფლაციას გამოყოფენ:

1. ***მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია,*** როდესაც მთლიანი მოთხოვნა ეკონომიკაში აჭარბებს არსებულ მიწოდებას ანუ სხვაგვარად ეს არის ე.წ. ***მონეტარული ინფლაცია.***

2. ***ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია,*** როდესაც მზა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები იმატებს ნედლ მასალებზე ფასების ზრდის გამო ან როდესაც ხელფასების მატება წარმოებული პროდუქციის ერთეულ ფასს ზრდის.

3. ***ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაცია*** ანუ დაწესებული ფასის ინფლაცია, როდესაც რამდენიმე ბიზნესი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ***ოლიგოპოლიური ინფლაცია.*** ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ეს ფასები, როდესაც მოესურვებათ - ე.წ. კარტელური გარიგებებით.

4. ***სექტორული ინფლაცია,*** როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორში ზრდის ფასებს, მაგალითად, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს. ინფლაციის ამ ტიპების გარდა, იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპორტზე დამოკიდებულები არიან, ***იმპორტირებული ინფლაცია*** არსებობს (მოწოდების შოკები), რომელიც სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ფაქტორია, რომელიც ინფლაციის დონის ზრდას იწვევს.

პრაქტიკაში ძნელია ინფლაციის ერთი ტიპი მეორისგან განვასხვავოთ, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან კავშირში.

ინფლაციის შედეგებია:

- შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება;
- ეკონომიკური ინფორმაციის არასტაბილურობა;
- რეალური პროცენტის დაცემა და ა.შ.

ინფლაციასთან დაკავშირებული ტერმინებია:

- ***დისინფლაცია*** - ინფლაციის დონის შემცირება, ან ეფექტი, რომელიც ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას.
- ***დეფლაცია*** - ფასთა საერთო დონის ვარდნა.
- ***რეფლაცია*** - დეფლაციის რევერსისთვის სტიმულის გამოყენება.
- ***ჰიპერინფლაცია*** - სწრაფი ინფლაცია წონასწორობისკენ ტენდენციის გარეშე.

ინფლაცია არის იმ საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდა, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაცია, თავისი უარყოფითი შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია:

- ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს
- ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში
- რეალური მოგების კლება ბიზნესში
- ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება
- საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტებს აძვირებს და ა.შ.

ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას. [1]

საქართველოში ინფლაციის რეგულირება კანონმდებლობით ეკისრება ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკი საზოგადოებისათვის წარსადგენად ამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაციის მიმოხილვას“, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზები. „ინფლაციის მიმოხილვაში“ ასევე მოცემულია ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ: სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა. [2]

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმს წარმოადგენს ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება <u>ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი</u>, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მტკიცდება პარლამენტის მიერ. 2015-2016 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 5%-ს, 2017 წლისათვის კი - 4 პროცენტს. გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებელი თანდათან შემცირდება და დაუახლოვდება 3 პროცენტიან დონეს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი შედარებით ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და 90–იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ წარმატებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული რეჟიმი პირველად ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა დანერგა 1990 წელს.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი - ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ. [3]

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2015 წლის პირველ კვარტალში მოსალოდნელზე დაბალი იყო ინფლაცია. აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2.5% შეადგინა და ეროვნული ბანკის 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა შენარჩუნდა. ნომინალური გაცვლითი კურსის გავლენას ინფლაციაზე, სუსტი ერთობლივი მოთხოვნა ზღუდავს, ასევე დაბალ ინფლაციას უწყობს ხელს საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების გაიაფება.

პროგნოზის მიხედვით, ზომიერად გაიზრდება ინფლაცია და 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს 2015 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს. ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის შემცირებული ფასი. ამის საპირისპიროდ, ინფლაციის ზრდის ფაქტორს მიწოდების მხარე წარმოადგენს. კერძოდ, სესხების

დოლარიზაციის ფონზე, ლარის დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად უცხოური ვალუტის სესხების მომსახურების გაზრდილი დანახარჯები და ხანგრძლივი მოხმარების იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდა ინფლაციის ზრდაზე მოქმედებს. პროგნოზის თანახმად, რომელიც მიმდინარე
ინფორმაციაზე დაყრდნობით ყველა ამ ფაქტორს ითვალისწინებს, ინფლაცია 2016 წლის პირველ კვარტალში სამიზნე მაჩვენებელს მცირედით გადააჭარბებს, ხოლო შემდგომ შემცირდება სამიზნე მაჩვენებლამდე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლის მაისში 2014 წლის მაისთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 3,5 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 3,9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,19 პროცენტული პუნქტი შეადგინა.
- ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,6 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,64 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა.
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 11,9 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,62 პროცენტული პუნქტით აისახა.
- ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 3,2 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0,38 პროცენტული პუნქტით აისახა. [4]

სოსო არჩვაძე, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, თვლის, რომ: „ჩვენს სამომხმარებლო ბაზარსა და ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორი. ეს ტრადიციულად ასეა, რადგან ჩვენი წარმოების, ეკონომიკის, სამომხმარებლო კალათის პროფილი ისეთია, რომ სურსათს მაღალი წილი უკავია. იყო დრო, როცა ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი თითქმის 60%-ს აღემატებოდა, შემდეგ ნელ-ნელა მცირდებოდა და ახლა 30%-ის ფარგლებშია, მაგრამ ეს მაინც დიდი წილია. ევროზონაში ეს მაჩვენებელი 15%-ს არ აღემატება. ამიტომ სურსათზე ფასების ზრდა ყოველთვის განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება.“ [5]

ბოლო პერიოდის განსაკუთრებულ პრობლემას საქართველოში წარმოადგენს ლარის კურსის ვარდნა, რასაც ექსპორტ-იმპორტის დისბალანსს, ფულადი გზავნილების შემცირებას და ტურიზმის სტატისტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება. ცალკეულ ექსპერტთა შეფასებით, ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში არა მარტო გარეშე ფაქტორებმა, არამედ, დიდწილად, შიდა ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას დაშვებულმა შეცდომებმაც (ბიუჯეტის მაღალი დეფიციტი და ბიუჯეტის არათანაბრი ხარჯვა, გამკაცრებული სავიზო რეჟიმი, სხვადასხვა რეგულაციების გამკაცრება ან გამკაცრებაზე საუბარი, უცხოელებზე მიწის მიყიდვის ფაქტიური აკრძალვა, ბიუროკრატიის ზრდა და სხვა) განაპირობა. ლარი 2014 წლის 19 ნოემბრიდან (1 აშშ დოლარი – 1.76 ლარი) დღემდე, დაახლოებით 60 თეთრით გაუფასურდა და დევალვაციის ტენდენცია ბოლო თვეებშიც შეინარჩუნა.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამოსვლისთვის საჭიროდ მიგვაჩნია: სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, ექსპორტის წახალისება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მაქსიმალური შემცირება. ეროვნულმა ბანკმა კვლავაც უნდა გააგრძელოს პარლამენტის მიერ დადგენილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში მისი პოლიტიკა და უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.lari.ge/149-ekonomika-da-biznesi/454-inflacia-misi-arsi-da-tipebi.html
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=349
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538
4. http://www.geostat.ge/
5. http://www.kvirispalitra.ge/economic/23155-sursathis-fasebis-inflacia-arasasursatho-saqonelze-25-jer-metia.html

შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ - გზა ეკონომიკური თანამშრომლობისკენ

ანნა გოლოშვილი, რუსუდან დემურიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის.“ ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- პოლიტიკური თანამშრომლობა;
- დარგობრივი თანამშრომლობა;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA).

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) **ასოცირების შესახებ შეთანხმების** უმნიშვნელოვანესი ნაწილია (**ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები**), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი:

საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის

ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი-კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართულ, მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალება უმეტეს სექტორებში:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 6-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული ზრდა განპირობებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული ლიბერალური სავაჭრო რეჟიმით: დაბალი ტარიფები იმპორტზე, ექსპორტზე/იპორტზე ლიცენზიების და ნებართვების მცირე რაოდენობა, იმპორტზე/ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა, ექსპორტზე/რეექსპორტზე საბაჟო ტარიფების არარსებობა, ექსპორტზე დამატებითი ღირებულების გადასახადის არარსებობა და სავაჭრო პროცედურების გამარტივება 1 . თუმცა, შედეგად, ლიბერალურმა სავაჭრო რეჟიმმა უფრო მეტად იმპორტის ზრდა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსში რეკორდულად მზარდი დეფიციტი განაპირობა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები დააფიქრა. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტსა და ექსპორტს შორის არსებული სხვაობა, მათი მზარდი მაჩვენებლების ფონზე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათანობით მცირდება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზეა. 1997 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP + სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახადა საგარეო ვაჭრობის პირობები და წაახალისა ექსპორტის ზრდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

სავაჭრო ბარიერები

ვაჭრობის დამაბრკოლებელი ყველაზე გავრცელებული ბარიერია ე.წ. გადასახადი იმპორტზე - ტარიფი. "ტარიფები უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელთან შედარებით და შესაბამისად, წარმოადგენს შემოსავლის ზრდის წყაროს ქვეყნებისთვის".5 მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) ცდილობს, ნულამდე დაიყვანოს აღნიშნული ტარიფები.

მსო-ს პრინციპების თანახმად, წევრ ქვეყნებს ეკრძალება შერჩევითი მიდგომის გამოყენება სავაჭრო პარტნიორების მიმართ და რომელიმე მათგანისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება, ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტზე დაბალი ტარიფების მინიჭების გზით. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) და წარმოადგენს DCFTA-ს განუყოფელი ნაწილის - ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT)-ის ნაწილს. თუმცა, ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადების შემთხვევაში ამგვარი შერჩევა ახსნადია. აღნიშნულ შეთანხმებათა მიხედვით, ქვეყნებმა, შესაძლოა, უპირატესობა მიანიჭონ კონკრეტულ ქვეყნებს თავიანთ ბაზრებზე დაშვებისას, ან დააწესონ ბარიერები იმ პროდუქტების მიმართ, რომელთა იმპორტიც კონკრეტული ქვეყნიდან, სავარაუდოდ, არასამართლიანად ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნული ბარიერების გარდა, არსებობს აგრეთვე რიგი ე.წ. ტექნიკური სავაჭრო ბარიერებისა (TBT), როგორიცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიცირების პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა სატარიფო ბარიერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აგროსასურსათო პროდუქტებს ეხება, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ შემუშავებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, რომლებიც არცთუ იშვიათად გვევლინება, როგორც დაბრკოლება აღნიშნული პროდუქტებით ვაჭრობისას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც მომხმარებელთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოში საერთაშორისო სერტიფიკატი მხოლოდ რამდენიმე დასახელების საწყის და საბოლოო აგროსასურსთო პროდუქტზე გაიცემა, ხოლო სარეალიზაციოდ განკუთვნილი კვების პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა მრავალ კითხვას ბადებს.6 თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონმდებლობა სრულიად ჰარმონიზებულ იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ტექნიკური სავაჭრო ბარიერები (TBT) ასევე გაუქმდება. რასაკვირველია, ეს პერსპექტივა დროის ხანგრძლივ პერიოდთან ასოცირდება.

როგორც მსო-ს წევრები, საქართველო და ევროკავშირი იყენებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით დადგენილ სატარიფო განაკვეთს.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ რეჟიმი გაუქმდება და ჩანაცვლდება DCFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ორმხრივ და ეტაპობრივ გაუქმებას. საქართველოს თავისუფალი წვდომა ბაზარზე იქნება „ყოვლისმომცველი", ვინაიდან იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს და „ღრმა", ვინაიდან გამიზნულია ყველა სავაჭრო ბარიერის მოსახსნელად „საზღვრის მიღმა" ბარიერების ჩათვლით. შეთანხმება ითვალისწინებს 95%-მდე ტარიფის მოხსნას, ნავარაუდევია სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს ასევე შეეხება მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რიგი გამონაკლისის გარდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ტენდენციები ევროკავშირი, დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის (დსთ) შემდგომ, საქართველოს მეორე უმსხვილეს პარტნიორს წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო ტვირთბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა; თანმიმდევრულად იზრდებოდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები.

ქართული საექსპორტო პროდუქციის წამყვან 10 დანიშნულების ქვეყანას შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიცაა: გერმანია, საფრანგეთი და იტალია. ამ ქვეყნებში ძირითადი საექსპორტო პროდუქტი თხილია, თუმცა საფრანგეთის შემთხვევაში ჭარბობს სპირტიანი სასმელები, რაც შეეხება ნატურალური ყურძნის ღვინოებს, აქ უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენს რუსეთი და უკრაინა (შესაბამისად, 44% და 23% პროცენტი). წამყვან ათეულში ევროკავშირის სხვა ქვეყნებიცაა: პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. პარტნიორ ქვეყნებში იმპორტი უფრო დივერსიფიცირებულია ექსპორტთან შედარებით.

სავაჭრო ბალანსი სასოფლო-სამეურნეო და მომიჯნავე პროდუქტებით ვაჭრობასა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლების მიხედვით ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიდი პროცენტულობით უარყოფითია. ევროკავშირი ბოლო დრომდე განსაკუთრებით მკაცრად იცავდა საკუთარი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების დარგებს, აწესებდა რა ტარიფებს და არასატარიფო ბარიერებს ვაჭრობაზე. DCFTA-ს ძალაში შესვლის შედეგად არაერთი ტარიფი გაუქმდება, თუმცა მათი შეკვეცა პროდუქტების კატეგორიების მიხედვით, სხვადასხვა განაკვეთით მოხდება.

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რომელთაც ექნებათ წვდომა უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენების წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვაჭრობა ცალსახად იხრება იმ პროდუქტებისკენ, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შეღავათები.

ლიტერატურა:

1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი.
2. Joint Declaration of the Eastern Partnership Vilnius Summit-Vilnius, 28-29 November 2013 - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია.
3. www.economy.ge
4. www.eu-nato.gov.ge
5. www.parlament.ge

საქართველოს სახელმწიფოს ვალი და მისი მართვის პერსპექტივა

გიორგი თამლიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ნონა შოშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

საქართველოს საგარეო დავალიანებები წარმოექმნა ეკონომიკური კავშირების მოშლის, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის, ექსპორტის შემცირებისა და იმპორტის გადიდების, ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო სახსრების მოზიდვის შედეგად. ასევე, წლების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების, საკუთარი სავალუტო რეზერვების შევსებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სესხების ანგარიშზე დაფინანსების გამო. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიემართა საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისთვის. საქართველოს მთავრობამ საგარეო სესხების გამოყენება 1992 წლიდან დაიწყო. დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში საქართველოს საგარეო დავალიანება არ ჰქონია, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის დროს საერთო საკავშირო საგარეო დავალიანების გადახდა მთლიანად რუსეთს დაეკისრა. საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე შიდა ვალების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო. საქართველო, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, დარჩა მხოლოდ იმ ფულის ამარა, რომელიც იმ დროისთვის ქვეყანაში იყო მიმოქცევაში. პრაქტიკულად, მეანაბრეთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ბანკიდან ფულადი ნაშთების გამოტანა, რის გამოც დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ხალხის უზარმაზარი ვალი წარმოექმნა. საქართველოს მიერ საგარეო სესხების

აღება დაიწყო: 1992 წელს აღებული იქნა 1 კრედიტი, 1993 წელს – 2, 1994 წელს – 5, 1995 წელს – 4, 1996 წელს – 14, 1997 წელს – 12, 1998 წელს – 9, 1999 წელს – 2 და ა.შ. 2003 წლის დასაწყისისათვის, გამოყოფილი სესხების ყველა ტრანშის მიღების შემდეგ, საქართველოს დაუგროვდა საგარეო ვალის საკმაოდ სოლიდური თანხა – 1774.64 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს შიდა ვალის მოცულობა 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 14 მილიარდ 977,4 მილიონ მანეთს უდრიდა. 1993 წლის აპრილში – კუპონის მანეთზე ერთი-ერთზე ჩანაცვლებით ვალები მექანიკურად კუპონით განაღდებას დაექვემდებარა.

2003-2007 წლებში საგარეო ვალის ვადადამდგარი გადასახდელების სრული დაფარვისათვის საჭირო იყო დაახლოებით 1750.0 მლნ ლარი (843.82 მლნ დოლარი), ანუ 2003-2007 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 35-40%. ბუნებრივია, საქართველოს ამის შესაძლებლობა აღნიშნულ წლებში არ ჰქონდა. ამიტომ ხელისუფლებამ 2003-2007 წლებში კრედიტორებთან აწარმოა მოლაპარაკება ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რის შემდეგაც განხორციელდა მოკლევადიანი ვალების გრძელვადიანი ვალებით ჩანაცვლება. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო მხოლოდ ვალების საპროცენტო თანხას იხდიდა და არა მის ძირითად ნაწილს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომით დაზარალებულ საქართველოს მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებმა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე გამოუყვეს 4,5 მლრდ დოლარზე მეტი კრედიტი და გრანტი. აღნიშნული 4.5 მლრდ აშშ დოლარიდან კრედიტი შეადგენს 2 მილიარდს, გრანტი _ 2,5 მლრდ აშშ დოლარს.

ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი 2006 წლიდან 2013 წლამდე 3.5-ჯერ გაიზარდა, ხოლო კერძო სექტორის ვალის ზრდის ტემპმა კი 400%-ს გადააჭარბა. საინტერესოა სტატისტიკა წლების მიხედვით:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მშპ. საბაზრო ფასებში გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ, ექსპორტი 2006 წელთან შედარებით 2,6-ჯერ, მთლიანი საგარეო ვალი - 3,2-ჯერ, ხოლო კორპორატიული სექტორის საგარეო ვალი კი - 3,3-ჯერ. ამდენად, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის არარეზიდენტების მიმართ ვალდებულებების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის, ისე ექსპორტის ზრდის ტემპებს, ანუ ეკონომიკა ყოველწლიურად ხდებოდა ვალებით უფრო და უფრო დატვირთული. ეკონომიკის დავალიანება საბანკო

სექტორის მიმართ 2006 წლიდან 2012 წლამდე 3-ჯერ გაიზარდა და 2012 წლის დეკემბრისთვის 8.7 მილიარდ ლარს მიაღწია. საინტერესოა, რომ საგარეო სექტორის კორპორატიული სექტორის შიდა ვალის ზრდის ტემპი ჩამორჩება საგარეო ვალის ზრდის ტემპს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქართულ კომპანიებს და მათ შორის ყველაზე მეტად ბანკებს, საგარეო რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაეზარდათ.

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის პირველი კვარტლიდან სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა - საქართველოს საგარეო ვალი შემცირდა, რაც სახელმწიფო საგარეო ვალის კლებით იყო გამოწვეული. 2007–2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც საგარეო ვალის ზრდით იყო შენიღბული. საგარეო ვალი იმდენად სწრაფად იზრდებოდა, რომ ქმნიდა ეკონომიკური ზრდის ილუზიას. საქართველოს საგარეო ვალების გადახდის პერიოდი 2013 წლიდან ეწყებოდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა $13,1 მილიარდს შეადგენს. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს საქართველოს სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალს, კერძო სექტორის საგარეო ვალს და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს. სახელმწიფო საგარეო ვალი 30 სექტემბრის მონაცემებით $5,3 მილიარდს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 32%-ია. სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების მთლიანი ვალი $874 მილიონია, ხოლო ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები კი $262 მილიონს შეადგენს.

როგორც წესი, სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ხმარდება. სახელმწიფო საგარეო ვალი საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური ვალუტის მოზიდვის ერთ-ერთ ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს. სახელმწიფო საგარეო ვალი საშინაო ვალზე უფრო ხელმისაწვდომია, რადგანაც ერთწლიანი საშინაო ვალის საპროცენტო განაკვეთი 6,5%-იდან იწყება, ხოლო ათწლიანი ვალის საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს. გრძელვადიანი საგარეო ვალის საპროცენტო განაკვეთი კი 1-2%-ის ფარგლებში მერყეობს. საგარეო ვალის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ საგარეო ვალი უცხოურ ვალუტაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემოდინება ლარის გამყარებაზე დადებით გავლენას ახდენს. საგარეო ვალისგან განსხვავებით, საშინაო ვალი ინფრასტრუქტურულ პროექტებს არ ხმარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საშინაო ვალი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას არ ახდენს, ის ეროვნულ ვალუტაშია და, შესაბამისად, არც ლარის გამყარებაზე ახდენს გავლენას.

აღებული სესხების ძირითადი თანხის (1774.64 მლნ დოლარის) დაფარვა 2003 წლიდან უნდა დაწყებულიყო, ამიტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტმა 2003-2014 წლების (კრედიტის დაფარვის ვადების) საგარეო ვალების გადასახდელების გრაფიკი შეადგინა, რომლის მიხედვით გადასახდელი იყო საგარეო დავალიანების ძირითადი თანხა 1246.84 მლნ დოლარი და სესხის მომსახურების პროცენტის თანხა 317.98 ათასი დოლარი (მთლიანად, 1.564.82 მლნ დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი თანხის 88,2%).

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით



სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 70% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 52% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის შეღავათიანი რესურსების დიდი წილის გამო.

განვიხილოთ, როგორია საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა:

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა

2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			**4,169,929**	**6,928,337**		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,901,449**	**4,820,758**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	751,830	1,139,232	1,892,835	0.75%	0.205%
		96,036	145,522	241,784	2.00%	0.070%
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	216,690	216,690	360,031	0.47%	0.024%
		54,840	54,840	91,117	0.67%	0.009%
		10,000	10,000	16,615	0.90%	0.002%
		33,388	33,388	55,475	0.90%	0.007%
		45,829	45,829	76,146	0.87%	0.010%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	13,824	20,948	34,805	0.75%	0.004%
		2,937	4,450	7,393	0.43%	0.000%
IMF PRGF (NBG)	SDR	54,600	82,734	137,463	0.50%	0.010%
IMF SBA (NBG & MOF)	SDR	297,275	450,455	748,431	1.07%	0.116%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	USD	2,580	2,580	4,286	1.39%	0.001%
	EUR	895	1,185	1,969	1.34%	0.032%
		74,322	98,378	163,456		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	131,270	198,911	330,491	1.00%	0.048%
		38,464	58,283	96,838	1.60%	0.022%
		46,879	71,035	118,024	1.00%	0.017%
	USD	100,000	100,000	166,150	0.74%	0.018%
		6,514	6,514	10,823	1.04%	0.002%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	83,533	110,571	183,714	1.09%	0.029%
	EUR	34,700	45,932	76,316	1.16%	0.013%
	EUR	3,000	3,971	6,598	1.20%	0.001%
ორმხრივი კრედიტორები			**765,482**	**1,271,848**		
ავსტრია	EUR	6,558	8,681	14,423	1.00%	0.002%
აზერბაიჯანი	USD	12,353	12,353	20,525	3.00%	0.009%
თურქმენეთი	USD	211	211	351	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	23,610	23,610	39,228	3.00%	0.017%
ირანი	USD	9,651	9,651	16,035	3.00%	0.007%
რუსეთი	USD	101,632	101,632	168,861	4.00%	0.097%
სომხეთი	USD	14,673	14,673	24,378	3.00%	0.011%
უზბეკეთი	USD	304	304	505	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	277	277	461	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	46,147	4.00%	0.027%
ჩინეთი	CNY	27,000	4,412	7,330	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	42,490	56,244	93,449	2.00%	0.027%
		75,000	99,276	164,948	6.06%	0.144%
		1,197	1,584	2,633	4.20%	0.002%
		134,764	178,385	296,387	0.75%	0.032%
იაპონია	JPY	3,767,912	38,366	63,746	2.30%	0.021%
		1,121,043	11,415	18,966	0.01%	0.000%
		5,062,126	51,544	85,641	0.65%	0.008%
		264,515	2,693	4,475	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	6,183	21,696	36,048	3.00%	0.016%
ნიდერლანდები	EUR	710	940	1,562	1.34%	0.000%
		204	269	448	4.20%	0.000%
		1,265	1,674	2,782	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	12,700	2.25%	0.004%
		651	651	1,081	1.50%	0.000%
		11,486	11,486	19,083	2.50%	0.007%
		12,321	12,321	20,471	2.00%	0.006%
საფრანგეთი	EUR	11,766	15,575	25,878	1.10%	0.004%
		37,879	50,139	83,307	2.14%	0.026%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**830,750**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	830,750	6.875%	0.824%
გარანტირებული კრედიტები			**2,998**	**4,981**		
გერმანია (KfW)	EUR	2,265	2,998	4,981	0.75%	0.001%
					საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	**1.934%**

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 692,800.0 ათასი ლარი, საიდანაც 505,200.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 187,600.0 ლარი - პროცენტის თანხას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგრძელებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების გამოშვებას შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით. ამჟამად ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. საპროცენტო განაკვეთები სტაბილურად კლებადი ტენდენციით ხასიათდება - საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 12 თვიან სახაზინო ვალდებულებებზე შეადგენს 4.95%, 2 წლიანზე - 5.9%, 5 წლიანზე - 7.9%, 10 წლიანზე - 9.6%.

2014 წლის 30 აპრილისთვის საგარეო ვალის მოცულობა 4,13 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2015 წლის 31 მარტისთვის – 3,988 მლრდ აშშ დოლარს. 2014 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის მოცულობა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენდა დაახლოებით 32.0%, აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 24.4%, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი დაახლოებით 7.7%-ს.

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 13.5 მლრდ აშშ დოლარი (25.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2014 წლის მშპ-ს 81.4 პროცენტია; აქედან, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 5.9 მლრდ აშშ დოლარი (11.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 35.8 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.2 მლრდ აშშ დოლარი (7.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 25.7 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 251.8 მლნ აშშ დოლარი (469.2 მლნ ლარი; მშპ-ს 1.5 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად - 829.3 მლნ აშშ დოლარი (1.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.0 პროცენტი) და 578.7 მლნ აშშ დოლარი (1.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 3.5 პროცენტი). საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.7 მლრდ აშშ დოლარი (5.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 16.2 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 3.5 მლრდ აშშ დოლარი (6.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 20.9 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 2.8 მლრდ აშშ დოლარი (5.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.1 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 93.6 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.5 მლრდ აშშ დოლარი (15.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2014 წლის მშპ-ს 51.7 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.2 მლრდ აშშ დოლარია (5.9 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 19.2 პროცენტია.

ვალის მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია. საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს მშპ-სთან მიმართებაში კრიტიკულ ზღვრამდე არ მიუღწევია, თუმცა მისი მუდმივი ზრდა 2012 წლამდე ცხადყოფს, რომ საჭიროა სტრატეგიის განსაზღვრა. ევროკავშირი ევროზონის წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს სახელმწიფო ვალი არ აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60 პროცენტს. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, ქვეყნის საგარეო მდგრადობის უზრუნველსაყოფად საგარეო ვალის მოცულობა ქვეყნის ექსპორტის 150 პროცენტს, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლების 250 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. თუ საქართველოს ვალის მონაცემებს ამ მაჩვენებლებს შევადარებთ, ცხადია, რომ ჯერჯერობით გამოუვალ სიტუაციაში ქვეყანა შესული არ არის.

საქართველოს საგარეო ვალი 2015 წლის 30 აპრილისთვის 4,04 მლრდ დოლარია. ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვალდებულებები ერთ თვეში 52 მლნ ლარით გაიზარდა, ერთი წლის განმავლობაში კი 90 მლნ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ქვეყანას 2,8 მლრდ დოლარი მართებს. კრედიტორ საფინანსო ინსტიტუტებს შორისაა მსოფლიო ბანკი; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი; აზიის განვითარების ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი. მათგან ყველაზე მსხვილი კრედიტორი საფინანსო ინსტიტუტი მსოფლიო ბანკია. საქართველოს 17 ორმხრივი კრედიტორი სახელმწიფო ჰყავს და მათ წინაშე არსებული დავალიანება 709,203 მლნ დოლარამდეა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საგარეო ვალის მოცულობა 500 მლნ დოლარია.

კორპორატიული სექტორის ვალდებულებების ზრდის ტემპი და მისი შედარება სხვადასხვა ეკონომიკურ პარამეტრებთან არ არის სახარბიელო, თუმცა იმედია, რომ ეს სესხები წარმატებულ ინვესტიციებად გადაიქცევა და ქართული კორპორატიული სექტორისთვის ზრდის ხელშემწყობი გახდება და არა შემაფერხებელი ფაქტორი. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის შიგნით საკრედიტო რესურსი ძვირია, ადგილობრივი ეკონომიკური აგენტები უცხოურ ბაზარზე უფრო იაფი სახსრების მოძიებას ცდილობენ, შესაბამისად თუ ეკონომიკაში ფულის დეფიციტი არ აღმოიფხვრა (საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის მასა მთლიანი შიდა პროდუქტის 27%-ია, მაშინ, როდესაც

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 100%-მდე ადის), დიდი ალბათობით, კორპორატიული სექტორის საგარეო ვალის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდება, რითაც ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხი არარეზიდენტებზე გაიზრდება.

დღეს, მრავალ ქვეყანას გააჩნია საგარეო ვალი. მნიშვნელოვანია ის, რომ ვალის აღება და გამოყენება მიზნობრივი და სტრუქტურიზებული იყოს, რათა სახსრები გამოყენებულ იქნეს განვითარებისთვის და არ მიგვიყვანოს დეფოლტის მდგომარეობამდე. მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გარკვევა, როგორიცაა: ვალის აღებისა და მართვის ორგანიზაციული პროცედურების უზრუნველყოფა, ვალის დაფინანსების წყაროს მოძიება და გრაფიკის განსაზღვრა, ასაღები ვალის ოდენობის განსაზღვრა, რისკების შეფასება, მართვა და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების წარმოება. მთავრობის მიერ სესხის აღება აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სამთავრობო დაწესებულებასთან და აუცილებლად შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებთან.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2184
2. https://www.radiotavisupleba.ge/content/sagareo-vali/26936353.html
3. http://www.tabula.ge/ge/story/91315-saqartvelos-sagareo-vali-131-miliards-sheadgens
4. http://financierblog.blogspot.com/2014/05/blog-post.html
5. www.parliament.ge/files/2014-budg-2.../informacia-valis-shesaxeb.docx
6. http://bpi.ge/index.php/saqartvelos-sagareo-vali-2015-wlis-30-aprilistvis-404-mlrd-dolaria/
7. http://newposts.ge/?l=G&id=70444
8. forbes.ge
9. http://onn.ge/index.php?id=30469&lang=geo

ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში

მირიან ინდუაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლალი ოსაძე,** ასოცირებული პროფესორი

ლოგისტიკა (ფართო გაგებით) არის მატერიალური და მისი შესაბამისი ნაკადების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა, ორგანიზაცია, შესრულება და კონტროლი შესყიდვის მომენტიდან საბოლოო მომხმარებლამდე, ბაზრის მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, მინიმალური დანახარჯებითა და საშუალებების რაციონალური გამოყენებით. ლოგისტიკის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, წარმატებით გადავწყვიტოთ ნებისმიერი დონის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ და საინფორმაციო ნაკადებთან. კერძოდ, ესაა: წარმოების და სასაწყობო ქსელის განლაგება და განვითარება მომსახურების სფეროში, მატერიალური ნაკადის რაციონალური მიმართულების შემუშავება და სტრატეგიის განსაზღვრა, ლოგისტიკური ჯაჭვის აგება და კომპლექსური მართვა, ტრანსპორტირებისა და სასაწყობო მოცულობის განსაზღვრა, ნედლეულის და მასალების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მიწოდების ობიექტების შერჩევა, ტრანსპორტისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია, მათი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა.

ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის ლოგისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ეფექტური სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემის შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს.

ლოგისტიკა გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ლოგისტიკის ბაზრის მოცულობა ევროკავშირში 900 მლრდ. ევროს აღემატება, მისი საშუალო წლიური ზრდა 5 პროცენტზე მეტია, აღმოსავლეთ ევროპაში ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს შეადგენს, რაც 3-4-ჯერ მეტია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდაზე. ლოგისტიკური სერვისისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოგისტიკური სერვისის პროვაიდერების მიერ მაღალი ხარისხის ლოგისტიკური სერვისის უზრუნველყოფა, რომლის მთავარ ამოცანას პროდუქტის მიწოდება განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ მდგომარეობაში და განსაზღვრულ ფასად წარმოადგენს. ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებსა და ეფექტურ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას, ახერხებენ მოიზიდონ კომპანიები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. გლობალიზაციის პროცესში აღნიშნული კომპანიები ღებულობენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, თუ სად განალაგონ მათი საწარმოები, სად გაასაღონ წარმოებული პროდუქცია და როგორ და რა პირობებში მოახდინონ მათი ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე. ამ გადაწყვეტილებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, ლოგისტიკური სერვისის ხარისხი და მისი დანახარჯი. ამისთვის აუცილებელია მზა პროდუქციის სწრაფი, უსაფრთხო და იაფი ტრანსპორტირება.

ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებაზე.

განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის. საქართველოს, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის.

ლოგისტიკის განვითარება საქართველოში წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის სავაჭრო-ლოგისტიკურ ჰაბად. ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰაუს მოზიდვა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები.

ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ლპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობითა და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე. გარდა სოფლის მეურნეობისა, ლოგისტიკა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში. ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

2009 წლიდან 2012 წლამდე საქართველოში ტვირთბრუნვა დინამიურად გაიზარდა. საშუალო წლიური ზრდა დაახლოებით 5-7 პროცენტს შეადგენდა. 2013 წლიდან შეიმჩნევა მთლიანი ტვირთბრუნვის კლება საქართველოში, რაც ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნილებისა და გარკვეულ წილად ტრანზიტული ტვირთების კლებასთან არის დაკავშირებული. შემცირებულია ზრდის ტემპი საკონტეინერო გადაზიდვებშიც. 2013 წელს ფოთისა და ბათუმის პორტებმა 370 ათასი კონტეინერი (TEU) გადაამუშავა, რაც საშუალოდ 20 პროცენტით ჩამოუვარდება 2010-2012 წლების საშუალო წლიურ ზრდას.

საქართველოს სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზრის სტრუქტურიდან ჩანს, რომ საავტომობილო გადაზიდვებს საქართველოში მაღალი პროცენტული განაკვეთი უჭირავს და სარკინიგზო გადაზიდვების როლი თანდათანობით მცირდება საქართველოში. ამის ძირითადი მიზეზი გადაზიდვების მაღალი ტარიფები, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არაეფექტურობაა, რაც კიდევ უფრო მოუქნელს და არაკონკურენტულს ხდის ქართულ რკინიგზას საავტომობილო ტრანსპორტთან შედარებით. საჰაერო სატვირთო გადაზიდვები უმნიშვნელო როლს თამაშობს არსებულ ბაზარზე, რაც საჰაერო ტვირთებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეფიციტით და სერვისის მაღალი ფასებითაა გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ლოგისტიკის ბაზარი მეტად ფრაგმენტულია. მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ექსპედიტორული კომპანიები წარმოადგენენ, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნიათ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. ტვირთმფლობელებს, ექსპედიტორებსა და გადამზიდავებს შორის კოორდინირების დეფიციტია, რაც განაპირობებს არაოპტიმალურ მიწოდების ქსელს, მაღალ ფასებს და ტვირთის გადაზიდვის მაღალ ხანგრძლივობას. დღესდღეობით ადგილობრივ ბაზარზე თითქმის არ არსებობს კვალიფიცირებული ლოგისტიკური ოპერატორები, რომლებსაც კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოება შეუძლიათ. ქართული მწარმოებლები და მსხვილი დისტრიბუტორები ძირითადად თავისი ძალებით ცდილობენ გადაწყვიტონ ლოგისიტკური პრობლემები. მოცულობის სიმცირისა და მაღალი ფიქსირებული დანახარჯების გამო, მათი ლოგისტიკური ხარჯები ძალიან მაღალია.

ქართული ლოგისტიკური ბაზრის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ პირობას სასაწყობო მეურნეობების დაბალი დონე და არასაკმარისი რაოდენობა წარმოადგენს. დღეს საქართველოს ლოგისტიკურ ბაზარზე არ არსებობს A კლასის სასაწყობო მეურნეობა, არსებული B და C კლასის საწყობები, ძირითადად, წარმოადგენენ საბჭოთა სტილისა და სტრუქტურის ინფრასტრუქტურას. დღეს კონკურენცია არა მარტო კომპანიებსა თუ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, არამედ რეგიონები და სატრანსპორტო დერეფნები ეპაექრებიან ერთმანეთს. კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა განაპირობებს. საქართველო, მისი ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის საშუალებით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და შესძენს ქვეყანას ეფექტური სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს.

ლოგისტიკისა და ტრანსპორტის სექტორის განვითარებისათვის საქართველოს სჭირდება ლოგისტიკური ნოუ-ჰაუ. დღეს უკვე აშკარა ხდება ის მოთხოვნები, რომლებსაც უცხოელი მომწოდებლები და მწარმოებლები უყენებენ წარმატებულ ქართულ სავაჭრო და საწარმოო კომპანიებს. მოთხოვნები მოიცავს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პროცესების მართვის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია გახდა აშშ-ს ორგანიზაცია Supply Chain Council (SCC) -ის წარმომადგენელი საქართველოში და დაიწყო მიწოდების ჯაჭვის საერთაშორისო სტანდარტების - SCOR® (Supply Chain Operations Reference)-ის დანერგვა საქართველოში მოქმედ კომპანიებში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია რეალური შანსი იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ლოგისტიკურ ჰაბად. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა:

• საქართველოში ტრანსპორტისა და ლოგისტიკის გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება საქართველოს, როგორც ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა და მისი გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში ინტეგრაცია.

• სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რომელიც გულისხმობს ეფექტური ინტერმოდალური ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც შესძენს სატრანსპორტო სისტემას ქსელურ ეფექტს და გაზრდის მისი ეფექტურობის ხარისხს.

• სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა ინტერმოდალურ და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის (Public Privete Partnership) მოდელის გამოყენებით.
• ტრანსპორტსა და ვაჭრობაში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის გამარტივებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.
• სატრანსპორტო გადამზიდავებს, ლოგისტიკურ კომპანიებსა და ინფრასტრუქტურის ოპერატორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და ახალი პარტნიორობის მოდელების ჩამოყალიბება.
• ლოგისტიკასა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში მოწინავე აკადემიური პროგრამების განვითარება და ლოგისტიკაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივ კომპანიებში.

საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია (GLA) 2011 წელს დაარსდა და წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას ლოგისტიკური, სატრანსპორტო და მიწოდების ჯაჭვის მართვის სფეროში. მისი წევრები არიან სატრანსპორტო/ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის სფეროებში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიები. 2013 წლის ბოლოდან GLA აშშ-ს ორგანიზაცია - Supply Chain Council-ის (SCC) წარმომადგენელია საქართველოში, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოში მოღვაწე კომპანიებში ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის პროცესების ეფექტიანობის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და მსოფლიოში არსებული მოწინავე გამოცდილების გაზიარებით.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., ლოგისტიკა, ელ. სახელმძღვანელო, თბ., 2013.
2. ოსაძე ლ., ლოგისტიკური სისტემის როლი ფირმების სამეურნეო საქმიანობაში, ჟ. „ბიზნესი და მენეჯმენტი“, №1, ბათუმი, 2009.
3. ოსაძე ლ., ცეცხლაძე ს., მარკეტინგული საქმიანობის მართვის პროცესი და ლოგისტიკა, საერთ. კონფ. მასალები, ჟ. „გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა“, თბ., 2009.
4. ოსაძე ლ., ლოგისტიკის განვითარების აუცილებლობის შესახებ საქართველოში, გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემია, სამეცნიერო შრომების კრებული, 2008.
5. ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვ., ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება, „დიზაინ პრინტექსექსპრესო“, თბილისი, 2010.
6. www.gla.ge
7. www.supply-chain.org
8. http://www.interpressnews.ge

კომპანია „სარაჯიშვილის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სოფიკო კობერიძე, ნათია გნოლიძე, მარიამ ოქროპირიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბიზნეს კომპანიების არსებობა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საწინდარია. შესაბამისად, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქცია, თავის მხრივ, ექვემდებარება ექსპორტირებას სხვადასხვა ქვეყნებში, საიდანაც მილიონობით შემოსავალს ღებულობს სახელმწიფო. უძველესი დროიდან ქართულ მეღვინეობა-მევენახეობას ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და ფოლკლორის დედაბოძად მოიხსენიებენ. ამ სტატუსის საფუძვლიანობას უამრავი საბუთი ამტკიცებს. თუმცა, ღვინის პრიორიტეტმა არ უნდა დაგვავიწყოს, რომ საქართველოში ყველა პირობა არსებობს ალკოჰოლური სასმელების თითქმის მთელი სპექტრის წარმოებისთვის. ძირითადი ფაქტორები: ჰავა; სასმელების, მეხილეობისა და მარცვლეული კულტურების მდიდარი ტრადიციები; ძლიერი სასტარტო პოზიცია რეგიონში (ჩვენს არცერთ მეზობელს, კლიმატური თუ კულტურული მიზეზებით, ალკოჰოლურ სასმელებში მსგავსი წინაპირობები არა აქვს). 131 წლის წინაც, ალბათ, ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ დიდი ქართველი მეცენატისა და მეცნიერის,

დავით სარაჯიშვილის, წამოწყება – ტრადიციული ფრანგული სასმელის საწარმოს საქართველოში დაარსება – ქვეყანაში ერთ–ერთ ყველაზე მყარად ფესვგადგმულ ბიზნესად გადაიქცეოდა. დღეს „ქართული კონიაკი – ქართული ბრენდის“ გარეშე ქართული მეღვინეობის სურათი არასრულყოფილი იქნებოდა. ყველაფერი ოდესღაც გაბედული პირველი ნაბიჯით დაიწყო.

კომპანიის ისტორია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1884 წელს დავით სარაჯიშვილმა, საფრანგეთში განათლების მიღების შემდეგ, თბილისში დააარსა ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელი ფირმა და პირველი ქართული კონიაკის წარმოება დაიწყო. გამოშვებულმა პროდუქციამ ბიძგი მისცა ქართული კონიაკის წარმოების განვითარებას და აუცილებელი გახდა დავით სარაჯიშვილისეული ქარხნის მნიშვნელოვნად გაფართოება. 1994 წლიდან, თბილისის კონიაკის ქარხნის ბაზაზე, შეიქმნა სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“, რომლის საქმიანობასაც საქართველოში ალკოჰოლური სასმელების - კონიაკის, არყის და ლიქიორის წარმოება წარმოადგენს. მისი სახელწოდება კი საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებლისა და ქართული კონიაკის ყველაზე პოპულარული მარკის სახელისგან შეიქმნა. საუკუნოვანი ტრადიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით ს. ს. „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ ალკოჰოლური სასმელების მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას სთავაზობს.

2005 წელს სააქციო საზოგადოება კონიაკის მწარმოებელი პირველი კომპანია გახდა ამიერკავკასიაში, რომელსაც ISO 9001 ხარისხის მართვის სერტიფიკატი მიენიჭა. ამით სერტიფიკაციის საერთაშორისო ქსელმა IQ NET-მა ს. ს. „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ მსოფლიოს იმ საუკეთესო კომპანიათა რიცხვში ჩააყენა, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციაც წარმოების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა.

საინტერესო აღმოჩნდა წარმოების პროცესი და ტექნოლოგიები კომპანიაში. საწარმოს საცავებში მუხის კასრებში ინახება უნიკალური ქართული საკონიაკე სპირტები, რომელიც მიღებულია ქართული ღვინომასალებიდან კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენების გზით. ეს სპირტები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ასაკით, ისე გეოგრაფიული ადგილწარმოშობით, ზოგიერთი საკონიაკე სპირტის ასაკი კი 110 წელს აღემატება. გადამუშავება და უშუალოდ პროდუქტის შექმნა ხდება მუხის კასრებში, რომელიც დღესდღეობით კომპანიას 11000 აქვს შემონახული. მათგან, ყველაზე ძველი კასრი 130 წლის არის.

უშუალოდ, კონიაკის დამზადების ყველა პროცედურის გავლისთვის 3 წელია საჭირო. 1 ლიტრ კონიაკში 600 გრამი წყალია, შემდეგ ერევა სპეციალური სითხე, რომ მიიღოს ფერი კონიაკმა. შეფერილობის შემდეგ 1 წელი საჭიროებს დასვენებას, რომ გადავიდეს კონიაკში. საბოლოოდ კი ინახება 2 წელი მაინც, მინიმუმ, მუხის კასრში.

რაც შეეხება დამზადების ტექნოლოგიას, კომპანიას რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი არ გააჩნია, მაგრამ ქარხანაში სპირტების ძალიან მდიდარი ბაზა არსებობს და სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს კომპანიაში წარმოებული პროდუქციის უნიკალურობის საიდუმლოს. „თუ გინდა, ტექნოლოგიურად უმაღლესი ხარისხის კონიაკი მიიღო, უნდა გქონდეს სპირტების ძალიან მდიდარი ბაზა - ეს არის ნომერ პირველი პირობა კარგი პროდუქტის მისაღებად“.

აქვე აუცილებელია განიმარტოს, რომ სარაჯიშვილი არ არის „კონიაკი“ კლასიკური გაგებით. ტექნოლოგია აბსოლუტურად კლასიკურია, მაგრამ მოგეხსენებათ ფრანგების აროგანტული ხასიათი – შანსს არ უშვებენ, საკუთარი განსაკუთრებულობა წარმოაჩინონ – განსაკუთრებით მაშინ, თუკი საქმე სასმელს უკავშირდება. შედეგად, „კონიაკის“ იურიდიული სტატუსი არავის აძლევს უფლებას, ეს სახელდება გამოიყენოს, თუკი ბრენდი ყურძნის იმ მოსავლით არ გამოიხადა, რომელიც ქალაქ კონიაკის მიმდებარე რეგიონში მოდის. „სარაჯიშვილიც“ არა კონიაკის, არამედ ბრენდის სახელით გადის ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგში, მიუნხენში, ჰაიდელბერგში, ჰოენჰაიმში, ჰალეში, და ბოლოს, საფრანგეთის მევენახეობა-მეღვინეობის უმაღლეს სკოლაში განათლებამიღებულმა დავით სარაჯიშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ შესაბამის ნიადაგზე და კლიმატურ პირობებში მოყვანილი ზოგიერთი ქართული ყურძნის ჯიში თავისი მახასიათებლებით ძალიან ახლოსაა იმ ფრანგულ ჯიშებთან, რომელთაგანაც საკონიაკე სპირტი იხდება. მაშ რატომაა „სარაჯიშვილი“ ბრენდი და არა კონიაკი? საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივი კლიმატურ-ნიადაგური თავისებურებები, აბორიგენული ვაზის ჯიშები, ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ყველა იმ აუცილებელ პირობას აკმაყოფილებს, რაც უმაღლესი ხარისხის კონიაკის წარმოებას სჭირდება, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ ისტორიულ ბრენდს ეხება, როგორიც „სარაჯიშვილია“.

კომპანია „სარაჯიშვილის“ სამარკო კონიაკების თარო 6-წლიანი დაძველების „ეგრისით“ იწყება, შემდეგია „ვარციხე“ 7-წლიანი დაძველებით, „არმაზი“ 8-წლიანი დაძველებით, „გრემი“ 9-წლიანი დაძველებით, „გელათი“ 10-წლიანი დაძველებით და სხვა.

კონიაკი „ძალიან ძველი“ კომპანიის განსაკუთრებული მარკაა, რადგან, როგორც ბრენდი, მხოლოდ ის შემორჩა პირადად დავით სარაჯიშვილის მრავალრიცხოვანი ასორტიმენტიდან, რომელიც მან 1901 წელს 12-წლიანი დაძველების სპირტებისაგან შექმნა.

ფირმის სიამაყეს წარმოადგენს კონიაკი „ენისელი“, რომელსაც საერთაშორისო დეგუსტაციებზე 29 ჯილდო, მათ შორის 20 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.

თვალსაჩინო მაგალითია მარკა „XX საუკუნე“. აღნიშნული მარკის კუპაჟში მონაწილეობას იღებენ მეოცე საუკუნის ყველა ათწლეულის ქართული საკონიაკე სპირტები, რომელთაგან ყველაზე ძველი 1905 წელს, თვით დავით სარაჯიშვილის უშუალო მონაწილეობით არის გამოხდილი, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა 1993 წელს შეიქმნა. სულ 17 სხვადასხვა ასაკის სპირტია გამოყენებული. კონიაკი „XX საუკუნე“ კომპანიის ექსკლუზიურ პროდუქციას წარმოადგენს, მსგავსი კუპაჟის დამზადება სხვა კომპანიებს არ ძალუძთ, რადგან ასეთი ასაკის სპირტები, უბრალოდ, ფიზიკურად არავის გააჩნია. ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსზე აღნიშნულ მარკას შეარქვეს „XX საუკუნის მატიანე ბოთლში“.

გარდა „XX საუკუნისა“, 2003 წელს, დავით სარაჯიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, დაამზადეს 100-წლიანი დაძველების კონიაკი „სარაჯიშვილი საიუბილეო“, რომლის კუპაჟში შევიდა დავით სარაჯიშვილის მონაწილეობით 1893 და 1905 წლებში გამოხდილი ორი სახის სპირტი. აღნიშნული მარკა წარდგენილ იქნა საერთაშორისო დეგუსტაციაზე და დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო – „სუპერ გრან-პრი“.

„XX საუკუნე“ სულ 500 ბოთლია ჩამოსხმული, ყოველ მათგანს საკუთარი ნომერი აქვს და თითოეულს ანალოგი არ მოეძებნება.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს იწყება კომპანიის რებრენდინგი და „სარაჯიშვილის“ სახელის გაძლიერება. უკანა პლანზე გადაიწია ისეთმა მეორადმა ბრენდებმა, როგორიცაა „ენისელი“, „ვარციხე“, „გრემი“. ეს სახელები შეესატყვისებოდა საქართველოს მეღვინეობის მიკროზონებს. აღნიშნული დასახელებები ხშირ შემთხვევაში გაუგებრობას ქმნიდა საერთაშორისო ასპარეზზე, რის გამოც გადაწყდა, ისინი მთლიანად ამოღებულიყო პროდუქციის ხაზიდან. სამაგიეროდ, კომპანია მიჰყვა საერთაშორისოდ აპრობირებულ პრაქტიკას და აბრევიატურები VS, VSOP და XO შემოიღო.

დღეს კომპანია „სარაჯიშვილი“ კონიაკის ინდუსტრიის ლიდერია ქვეყანაში და ბაზრის 70% უჭირავს. რაც შეეხება ექსპორტს, პროდუქცია 20-მდე ქვეყანაში გადის, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში.

სს „სარაჯიშვილის“ კომერციული დირექტორი გიორგი შარვაშიძე აცხადებს, რომ რუსეთში კონიაკის ექსპორტი უპრობლემოდ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ხორციელდება. კომპანიამ დეკემბრის ბოლოს დაახლოებით 60 000 ბოთლის ექსპორტი განახორციელა. რუსეთში ქართულ კონიაკი ძალიან მოსწონთ და, შესაბამისად, ინტერესიც დიდია.

კომპანია „სარაჯიშვილმა“ გაიმარჯვა კანადის სახელმწიფო მონოპოლიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომლის შედეგადაც 2015 წლის გაზაფხულიდან კანადელ მომხმარებელს შეუძლია დააგემოვნოს მისი პროდუქცია. იგეგმება აზიური ქვეყნების მიმართულებით კიდევ უფრო გააქტიურება. „ჩინეთი არის ძალიან საინტერესო ბაზარი. სწრაფად ვითარდება. ცოტა გვეშინია კიდეც, სულ არ დაგვცალონ, – ხუმრობს კომპანია „სარაჯიშვილი“-ს ახალგაზრდა დირექტორი ზურაბ ბაბუტეიშვილი – ძირითადად VSOP და XO მიდის იქ. უცნაურია, ასეთი მაღალი რანგის კონიაკებს „სპრაიტში“ ურევენ და ისე სვამენ”. ჩინეთში “სარაჯიშვილმა” დაახლოებით 25 000 ბოთლი XO გაიტანა შარშან, მომავალ წელს კი ამ მიმართულებით ზრდას ელოდებიან. რაც შეეხება საექსპორტო და შიდა ბაზრების მოცვას, თუკი რუსეთის ემბარგომდე ბაზარზე 2,5 მილიონი ბოთლი „სარაჯიშვილი“ გადიოდა, დღეს რიცხვი 5 მილიონს აღემატება. მათ შორისაა განსაკუთრებულად ძვირფასი მარკებიც, რომელთა თითო ბოთლის ფასიც რამდენიმე ათას აშშ დოლარს უტოლდება.

პარალელურ რეჟიმში „სარაჯიშვილმა“ დაიწყო არყის წარმოებაც. - ჩვენ დავიწყეთ მაგარი სასმელების წარმოება, რომლებიც უფრო სწრაფად მზადდება, ვიდრე კონიაკი. კონიაკს, იცით, რომ დრო უნდა. გავაკეთეთ ჩვენი სადისტრიბუციო კომპანია საქართველოში და დღეს, არყის მიმართულებითაც, ადგილობრივ წარმოებაში უკვე მეორე ადგილი გვიჭირავს“ - განაცხადა კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა . გასათვალისწინებელია, თუ რაოდენ მოკლე დროში მიაღწია კომპანიამ ამ შედეგს – არყის წარმოება მხოლოდ 2009-2010 წლებში დაიწყო.

მოკლედ, უდავოა რომ კომპანია სარაჯიშვილი მართლაც ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია მსოფლიო ბაზარზე, რაზეც ზემოთ ნახსენები არაერთი ფაქტი მოწმობს და მათ შორის საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე ს.ს. "დავით სარაჯიშვილი და ენისელის” კონიაკებს მოპოვებული აქვთ სულ 17 გრანპრი, 109 ოქროს მედალი, 44 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი.

ინტერნეტ-რესურსები:
1. www.commersant.ge
2. www.forbes.ge
3. http://www.gwa.ge/?50/198/&lan=ge
4. www.sarajishvili.com
5. http://vinoge.com/koniaki/brendi/qarTuli-koniaki-saukunovani-uberebeli-tradicia

მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სოფიკო მეზვრიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, მცირე ბიზნესს თავისი ისტორიული წარსული და განვითარების ტენდენციები აქვს. მცირე ბიზნესი ჩაისახა და განვითარდა აშშ-ში, რაც გამოიწვია ევროპიდან ემიგრაციის დიდმა ტალღამ. ევროპიდან წამოსულ ხალხს აუთვისებელ მიწებზე სჭირდებოდათ მომსახურება. ასე გაჩნდა პირველი რესტორნები, საოჯახო თონეები და სხვა. დღეს მცირე საწარმოები მსოფლიოს ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა, ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. თუკი საქართველოში გვსურს, რომ ახალი ტიპის ეკონომიკა ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა მოხდეს. ასეთი მასშტაბების ბიზნესის განვითარება მთავარ პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს. საქართველოში 2013 წლის 3 დეკემბერს შეიქმნა მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტო, მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტოს შექმნის ერთ-ერთი საფუძველი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცია. სააგენტო უახლეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას და მოხდება დამწყები მეწარმეების დაფინანსება 150 მილიონი დოლარით. სააგენტოში დამწყები მეწარმეების იდეები განიხილება, ხოლო მისაღები იდეები კი პროფესიონალი თანამშრომლების მიერ ბიზნესიდეებად შეიფუთება და მათი დაფინანსების საკითხს საბანკო დაწესებულებები განიხილავენ. ამასთან ერთად, სააგენტო განიხილავს ნებისმიერი ახალგაზრდის ინოვაციურ იდეას და, რომელიც იქნება სიცოცხლის უნარიანი, ასეთ იდეას დააფინანსებს. საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარებაში ეხმარება და კონსულტაცია უწევს სხვადასხვა უცხოური კომპანიები: UNDP, USAID, GIP, IFC. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს დროის გარკვეულ მონაკვეთებში კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას.

საქართველოში 2014 წელს დაინერგა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ და მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე - სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექნის, არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა. ამასთანავე „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. ეს პროგრამა დაიწყეს საქართველოს

ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა. „აწარმოე საქართველოში“ მისია – საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარების მხარდაჭერა. ხედვა – კონკურენტუნარიანი და სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის ჩამოყალიბება. მიმართულება – საკონსულტაციო მხარდაჭერა; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია. პროგრამის მიხედვით თანხის გაცემა ხდება ოთხი კომპონენტით. კომპონენტი I ახალი საწარმოს შექმნა. ბანკი სესხს გასცემს პირველი 24 თვის განმავლობაში 10%–ით თანადაფინანსებით. კომპონენტი II არსებული ბიზნესების გაფართოება/გადაიარაღება. ბანკი გასცემს კრედიტს 24 თვის განმავლობაში 10%–ით თანადაფინანსებით, ოღონდ სესხის 80% განკუთვნილი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების შესაძენად. კომპონენტი III ლიზინგი. სალიზინგო პროექტის საწყისი ღირებულება, ბენეფიციარის თანამონაწილეობის გამოკლებით, განისაზღვრება 50 000$, ხოლო მაქსიმუმი 2,000,000 $ ოდენობით. კომპონენტი IV მიკრო და მაკრო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონებში მიკრო და მაკრო ბიზნესის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, რეგიონული ბაზრების განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. პროგრამის ფარგლებში მოხდება უსასყიდლოდ თანხის გაცემა მეწარმე სუბიექტებზე, ვინც გამოთქვამს სურვილს და წარმოადგენს პირველად ბიზნესგეგმას. დამწყებ მეწარმეზე გაიცემა 5000 ლარი, მეწარმეთა ჯგუფზე გაიცემა 15000 ლარი, კერძო თანამონაწილეობა მინიმუმ 20% დაფინანსებით. ბანკების მხრიდან მხოლოდ მეწარმეობის მიმართულებით დამტკიცებულმა ჯამურმა ინვესტიციამ მიახლოებით 41,500,000 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო გაცემული სესხების და ლიზინგის მომსახურეობის ოდენობა 28,963,000 აშშ დოლარს აღწევს. 2014 წელს ფინანსური მხარდაჭერა 29 კომპანიას გაეწია. პროგრამის განვითარებაზე სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოც ზრუნავს და პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმეთათვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ამოქმედებიდან, ფინანსური მხარდაჭერის, უძრავი ქონებით უზრუნველყოფისა და სოფლის მეურნეობის კომპონენტში უკვე დამტკიცებულია 59 პროექტი და არსებული საწარმოები საერთო ჯამში დაახლოებით 111 700 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ.

მცირე ბიზნესის განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, თუ საქართველოში განვითარდება ეს სფერო, ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, რადგან მცირე ბიზნესი ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს. დღეს თუ ქვეყანა არის ეკონომიკურად ძლიერი, იქ მცირე ბიზნესი არის განვითარებული. მცირე ბიზნესის განვითარება ასევე შეამცირებს უმუშევართა რაოდენობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ძალზედ აქტუალური საკითხია. დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ისევ უმუშევარია და მოსახლეობის 11.6% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება 2014 წლის მაჩვენებლებით. წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია. ამავდროულად, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით წინა წლებთან შედარებით უმუშევრობა შემცირებულა 2%-ით. მაგრამ ეს ყველაფერი ხალხის მდგომარეობაზე არ არის ასახული. მცირე ბიზნესის განვითარება და გაძლიერება ქვეყნიდან ადამიანების წასვლას შეუშლის ხელს, ემიგრანტების რაოდენობა შემცირდება. ეს თემა ყველაზე აქტუალურია დღეს საქართველოში, რადგან ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად ათასობით და ათიათასობით ადამიანი ტოვებს, რადგან არ არის სამუშაო ადგილი, რომელიც ყველა ადამიანს დააკმაყოფილებს. სამწუხაროდ, წასული ხალხის რაღაც ნაწილი იმ ქვეყანაში იღუპება კიდეც. უმეტესი ნაწილი კი საქართველოში აღარც ჩამოდის, იღებს იმ ქვეყნის მოქალაქეობას და საქართველოს მოქალაქეობაზე ამბობს უარს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უნდა იყოს ისეთი გარემო შექმნილი, რომ ადამიანებმა არ დატოვონ ჩვენი ქვეყანა. უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ მცირე ბიზნესი უფრო განვითარდეს. ამისათვის ხელისუფლებამ უნდა მოიძიოს ყველა ფინანსური სახსრები, რომლებსაც ამ სფეროს განვითარებას მოახმარს. ასევე ბიზნესის მფლობელი პირი უნდა იყოს ყველანაირი ზეწოლისგან თავისუფალი, რომ მას ჰქონდეს ინტერესი, რომ გააფართოვოს და განავითაროს თავისი ბიზნესი. მცირე ბიზნესის დაფინანსებაში უფრო მეტად უნდა მონაწილეობდეს საბანკო სექტორი, ბანკებმა უნდა გასცენ თანხები ისე, რომ მსესხებელს მალევე არ უწევდეს თანხის დაფარვა, რადგან შეიძლება მეწარმემ თავიდანვე ვერ ნახოს ვერანაირი მოგება. ამიტომ როგორც მთავრობამ, ასევე საბანკო სექტორმა უნდა განახორციელოს ისეთი პროექტები, რომლებიც როგორც ქვეყნის მოსახლეობისათვის იქნება სასიკეთო, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. თეიმურაზ შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2013.

2. დიმიტრი ჯაფარიძე, საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012.
3. http://www.doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%2520disertacia/disertacia_gogiashvili.pdf;
4. http://qartuli.ge/%3Fmenuid%3D98%26id%3D21%26lang%3D1.

საქართველოს მოსახლეობის აღწერების ისტორია

მზია მელაძე, ქეთევან თურაზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** პროფესორი

საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერაში არა ერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა და მათ შორის ვიყავით ჩვენც. ამის შემდეგ, სტატისტიკის კურსში შევისწავლეთ მოსახლეობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა წყაროები, კერძოდ, მოსახლეობის აღწერები. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება საქართველოს მოსახლეობის აღწერების ისტორიით და, ვფიქრობთ, მსმენელთა ინტერესსაც გამოიწვევს, რადგანაც საკითხი არის მეტად საინტერესო და უნიკალური.

ლიტერატურაში მოსახლეობის აღწერის ბევრი სხვადასხვა განმარტება არსებობს, რომელთა შორის ვგონებ ყველაზე მოკლე შემდეგია: მოსახლეობის აღწერა ესაა მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მონაცემების შეგროვების მეცნიერულად ორგანიზებული ოპერაცია.

თუ როდის შემოიღეს პირველად საქართველოში მოსახლეობის აღწერები, დადგენილი არ არის, რადგან მრავალი ქართული საისტორიო წყარო განადგურდა. ცნობილია, რომ სიტყვა აღრიცხვა და აღწერა საქართველოში უძველესი დროიდანვე იხმარებოდა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გამოკვლევის თანახმად, უკვე VII საუკუნის I ნახევარში აღუწერიათ ქართლი - შეუდგენიათ მიწის კადასტრი. რამდენადაც იმ პერიოდში მიწის აღწერასთან ერთად ხალხის აღწერაც ხდებოდა, ამდენად საქართველოში აღწერების დასაწყისად VII საუკუნე მაინც უნდა მივიჩნიოთ.

ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მოსახლეობის აღწერები დავით აღმაშენებლის დროს, XI საუკუნეშიც მიმდინარეობდა. ცნობილია მონღოლების მიერ საქართველოს აღწერის ფაქტი 1254 წელს.

მოსახლეობის აღწერა საქართველოში გარკვეული წესით (7 წელიწადში ერთხელ) ტარდებოდა, თუ მას რაიმე გართულებები ხელს არ უშლიდა. მომთაბარე მოსახლეობა, რომელიც თურქული ტომების, „ელი“-ს სახელით იყო ცნობილი, სამ წელიწადში ერთხელ აღიწერებოდა, რამდენადაც მათი რიცხოვნობა მეტად ცვალებადი იყო. ქალაქის მოსახლეობის აღწერას ატარებდნენ სოფლის მოსახლეობისაგან განცალკევებით. ასეთი ქალაქები იყო თბილისი, გორი და თელავი.

მოსახლეობის აღწერის მიზანი სამხედრო და ფისკალური ინტერესებით განისაზღვრებოდა. სახელმწიფო კანონი აწესრიგებდა აღწერის ჩატარების ორგანიზაციას. ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ მოცემულია აღწერის ჩატარების წესი.

მოსახლეობა აღმწერ მოხელეებს გარკვეულ გასამრჯელოს უხდიდა, რომელსაც „აღსამწერლო“ ეწოდებოდა. ამასთან, მოსახლეობას აღმწერი მოხელეების კვებაც ევალებოდა, რომელსაც „ულუფა“-ს ეძახდნენ.

ყველა აღწერა მეფის ბრძანებით ხორციელდებოდა და თან ახლდა გარკვეული ინსტრუქციული მითითებები, რომელშიც განისაზღვრებოდა ის, თუ ვინ ჩაატარებდა აღწერას და აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები.

აღწერის დავთარში ყოველი მოსახლის შესახებ აღნიშნულია წოდებრივი, ქონებრივი, ოჯახური და სოციალური მდგომარეობა, როგორიცაა აზნაური, ყმა, მეკომლე, ბოგანო, უმამულო, ხიზანი.

აღწერის წესიდან ჩანს, რომ დავთარში არ შეიტანებოდნენ ბავშვები, ქალები და მოხუცები, რადგან მათ სამხედრო ბეგარის მოხდა არ შეეძლოთ. დავთარში შეიტანებოდნენ მხოლოდ მამაკაცები სრულასაკოვნობიდან მოხუცებულობამდე. სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში საქართველოს

მოსახლეობა ორად იყოფა: შემძლებელნი, რომელსაც სრულასაკოვანი მამაკაცები მიეკუთვნებიან და შეუძლებელნი - ქალები, ბავშვები, მოხუცები და ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მეორე ჯგუფის მოსახლეობის სიები ცალკე დგებოდა.

ცხადია, აღწერის ფისკალურ და სამხედრო მიზნებს არ შეიძლება არ გამოეწვია მოსახლეობის აღწერისგან თავის არიდების ცნება. აღნიშნული ფაქტი ცნობილი იყო სამეფო ხელისუფლებისათვის, რომელიც მკაცრად ებრძოდა ასეთ ფაქტებს. ცნობილია მეფე ერეკლე მეორეს ბრძანება „წერულს რომ მთელი სამეფო აღვწერეთ, იმ აღწერაში, რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცი დაუმალავს და არ დაუწერინებია, თავისმა ბატონმა და მოხელემ ამ აღდგომამდის თუ არ გამოაჩინა და მას უკან სხვაგან ვიპოვეთ ის კაცი იმას წაერთმევა - ან სახასოდ დაიდება ან სხვას მიეცემა“.

საქართველოს ისტორიაში ცნობილია რიგი აღწერების ჩატარების ფაქტები. ოსმალების მიერ 1595 წელს აღიწერა დაპყრობილი ტერიტორიები, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელწოდებით არის ცნობილი. 1655 წელს ელისე ამილახვარმა ქართლის მეფის როსტომის ნებართვით აღწერა თავისი სადროშო. 1689 წელს ერეკლე პირველისაგან ბოძებული საბუთიდან ჩანს, რომ თითოეული სადროშოს სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ აღეწერა თავისი სადროშოს ხალხი. ივანე ჯავახიშვილს აღწერილი აქვს XVII საუკუნის მეორე ნახევრის ხალხის აღწერის დავთარი. 1715 წელს 1 აპრილს როველი ეპისკოპოსის ორბელის - ძის ნიკოლოზის ბრძანებით შედგენილი იყო როველის სამწყსოს დავთარი. აღმოჩენილია XVIII საუკუნის დამდეგის ზემო ქართლის დავთრის ნაწყვეტი. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1721 წელს აღწერეს ქართლის ოთხივე სადროშე.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული აღწერებიდან შემორჩენილია XVII საუკუნის შუაწლების ლიახურა ხეობის უთარიღო დავთრის ნაწყვეტი, არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერის დავთარი, 1781 წლის ქსნის საერისთავოს აღწერის დავთარი. ქართული სახელმწიფო სამართლის კანონების თანახმად შემდეგი აღწერა 1788 წელს უნდა მომხდარიყო, ხოლო მომდევნო აღწერა 1795 წელს.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფის მიერ უკანასკნელი აღწერა მეფე გიორგი XIII განკარგულებით მოხდა 1799 წელს. როგორც ირკვევა, მთელი სამეფოს აღწერა ვერ მოუსწვრიათ. ჯერჯერობით ამ წლის არც თბილისის და არც საქართველოს სხვა ადგილების დავთრები მიკვლეული არ არის. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის აღწერებს, მისი ჩატარების ორგანიზაციას და ტექნიკას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს.

აღწერების არსებობის ფაქტები დასავლეთ საქართველოში მიკვლეული არ არის. არ არის აღმოჩენილი არც იმერეთის, არც სამეგრელოს ან გურიის მოსახლეობის აღწერის დავთრები. როგორც ჩანს ეს საბუთები განადგურდა ხშირი შემოსევებით, ასევე, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „სამწუხაროდ, ერთის მხრივ ქართული საზოგადოებრიობისა და ეროვნული მაჯისცემის დაძაბულობამ და შეუგნებლობამ, მეორეს მხრით რუსეთის მთავრობის და მისი ორგანოების პოლიტიკამ ქართული ეროვნული კულტურის გასანადგურებლად და ჩასაკლავად, დასასრულ რუსეთის მთავრობის სათანადო ადგილობრივ დაწესებულებათა მხრით სრულმა გულგრილობამა და უპატრონობამ ამ დიდი კულტურული განძის, ქართული დემოგრაფიული ძეგლების განადგურებას ხელი შეუწყო. რაც საქართველოს მტრების შემოსევასა და მტარველობას გადაურჩა, იმის უდიდესი ნაწილი სწორედ XIX ს-ში დაიღუპა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების წყალობით. ის ზიანი, რომელიც ამით საქართველოს კულტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას მოუვიდა, რასაკვირველია, აუნაზღაურებელია.“

1801 წელს რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო. რუსეთის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ შეუდგა საქართველოს ეკონომიკურ-სტატისტიკურ შესწავლას. რუსეთის რევიზიისაგან (აღწერებს რუსეთში რევიზიები ეწოდებოდა, რადგან მიმდინარეობდა აღწერის მასალების შემოწმება-რევიზია) განსხვავებით, საქართველოში შემოიღეს კამერალური აღწერების პრაქტიკა.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს მოსახლეობის პ ი რ ვ ე ლ ი კამერალური აღწერა განხორციელდა კავკასიის მთავარმმართველის გენერალ პავლე ციციანოვის (ციციშვილის) განკარგულებით.

მ ე ო რ ე კამერული აღწერა ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში ჩატარდა 1816-1817 წლებში, ხოლო ყოფილი იმერეთის სამეფოში 1823 წელს - გადასახადის თანაბრადზომიერად გაწერის მიზნით.

1831-1832 წლებში ჩატარდა მ ე ს ა მ ე კამერალური აღწერა. აღსანიშნავია, რომ სამივე კამერალური აღწერა საქართველოს ყოფილი სამეფოს ყოფილმა მოხელეებმა ჩაატარეს. აღწერის მასალები ითარგმნებოდა რუსულად. მესამე კამერალური აღწერა არ შეხებია სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთსა და სამაჩაბლოს.

მ ე ო თ ხ ე კამერალური აღწერა ჩატარდა 1841-1843 წლებში. იგი შეეხო მხოლოდ რუსეთის შეერთებული კავკასიის ზოგიერთ ტერიტორიას: თბილისის და ქუთაისის გუბერნიას და კასპიის ოლქს. აღწერის გარეშე დარჩა აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, სამურზაყანო, რომლებიც უშუალოდ არ შედიოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და სარგებლობდნენ გარკვეული ავტონომიით. მეოთხე კამერალური აღწერის შემდეგ ნატურალური გადასახადი, რომელიც საერთოდ გადასახადების ნახევარზე ცოტა მეტს შეადგენდა, გაუქმდა, და მოხდა გადასვლა მხოლოდ ფულად გადასახადზე.

მ ე ხ უ თ ე კამერალური აღწერა ჩატარდა 1850 წელს ქუთაისის გუბერნიაში. მ ე ე ქ ვ ს ე - 1861861 წლებში სიღნაღის, თელავის, თიანეთის დუშეთს, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ახალციხის მაზრებში. მ ე შ ვ ი დ ე - 1864 წელს - ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ახალციხის მაზრებში. მ ე რ ვ ე - 1867 წელს, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში და მ ე ც ხ რ ე კამერალური აღწერა ჩატარდა 1868 წელს სოხუმის განყოფილებაში.

ქალაქ თბილისში ვხვდებით ერთდღიანი აღწერების პრაქტიკასაც. ასეთი აღწერა ჩატარდა - 1864, 1865, 1876 წლებში.

ბოლო, მ ე ა თ ე კამერალური აღწერა ჩატარდა 1873 წელს, ხოლო აფხაზეთში 1874 წელს.

კამერალურ აღწერებს რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა, რომელიც იგრძნობოდა უკვე იმ დროისთვის. 1867 წელს შექმნილი კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის რედაქტორი ნ.კ. ზეიდლიცი აღნიშნულის შესახებ წერს: კამერალური აღწერა არ გვაძლევს მთლიანი მოსახლეობის ციფრებს. მასში ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მეტნაკლებად ზუსტი ცნობები გადამხდელი ფენის პირებზე, მდედრობითი სქესი განისაზღვრება ხელაღებით - ცალკეული კომლის მიხედვით. მემამულეები, სასულიერო წოდება და არგადამხდელი ფენა საერთოდ აღირიცხება არასრულად. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მონაცემები მოსულ, ჩაუწერელ (სახეზე მყოფ) მოსახლეობაზე, შტაბ-ბინებზე, არმიაზე და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე.

1886 წელს რუსულმა ადმინისტრაციამ სამხედრო ვალდებულების კანონის განსახორციელებლად და გადასახადის გაწერის მოსაწესრიგებლად ჩაატარა მოსახლეობის აღწერა, რომელიც საოჯახო სიების სახელწოდებით არის ცნობილი. საოჯახო სიები შედგა საკმაოდ კარგი პროგრამით, მაგრამ, ხარჯების შემცირების მიზნით, რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კომლების კლასიფიკაცია მოსაქმეობის საფუძველზე, მამაკაცთა განაწილება ასაკის, სალაპარაკო ენისა და განათლების მიხედვით - არ დამუშავებულა.

საქართველოში 1922 წელს ჩატარდა ქალაქის მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგები გამოიცა 1923 წელს კრებულში: „სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია“. კრებულში მოტანილია მონაცემები მოსახლეობის სქესის, წლოვანების, ეროვნების, დაბადების ადგილის, ბინადრობის ხანგრძლივობის და მოქალაქეობრვი მდგომარეობის მიხედვით.

საბჭოთა აღწერები, რომლებშიც საქართველოც იყო ჩართული, ჩატარდა: 1926, 1927, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში, რის შემდეგ საბჭოთა იმპერია დაიშალა და 1991 წელს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო აღწერა ჩატარდა 1799 წელს. მას შემდეგ გავიდა 203 წელი, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველო 2002 წელს ჩაატარებდა მოსახლეობის პირველ ეროვნულ აღწერას. 2002 წლის აღწერა შესულია საქართველოს სტატისტიკისა და დემოგრაფიის ისტორიაში.

დღესდღეობით საქართველოს ყველა რეგიონში ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. აღწერის ჩატარების მიზანია - აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესახებ ძირითადი მაჩვენებლების მისაღებად.

მოქალაქეთა ვალდებულებებია - „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ „საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არ მქონე პირი ვალდებულია გაიაროს აღწერა.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მოცემული ინსტრუქცია ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციებს აღწერის ჩატარების მეთოდოლოგიურ საკითხებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ლიტერატურა:
1. მ. ხმალაძე, „დემოგრაფია“, თბ., 2009.
2. ნ. ახალაია, „გორის მოსახლეობა“ (მონოგრაფია), თბ., 2010.
3. ვ. ბორისოვი, „დემოგრაფია“, თბ., 2000.

ევროინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

მარიამ მთიულიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ირმა მახარაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ევროპასთან ვაჭრობა ძალიან რთულია ბევრი ქვეყნისთვის, საუბარია იმ ქვეყნებზე, რომელთაც ძალიან მაღალ დონეზე აქვთ საექსპორტო წარმოება განვითარებული. მათთვის არსებობს ლიმიტირების ცნება – ევროპის ბაზარზე იმ ოდენობის საქონელს ვერ შეიტანენ, რისი წარმოებაც შეუძლიათ, რადგან მათთვის გარკვეული ბარიერები არსებობს, მაგრამ თუ ისინი მოიხმარენ საქართველოს, როგორც საწარმოო სივრცეს („აწარმოე საქართველოში“ Made In Georgia ნიშნით) მათ უფრო გაუადვილდებათ შესვლა ევროპის ბაზარზე. სავარაუდოდ, ინვესტიციების დიდი ნაკადი წამოვა საქართველოში, რომ მათ მოახდინონ წარმოების განვითარება და ისარგებლონ იმ ლიმიტებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია.

ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი – ეს არის სიმყარე, როცა ჩვენ ვართ ევროპასთან ასოცირებულები და როცა ევროპული ბაზარი არის ჩვენი მეორე საპირწონე პინაზე, უცხოელმა იცის, რომ მას შეუძლია 5-10-20 წელი გათვალოს ბიზნეს გეგმა და ჩადოს ინვესტიცია, რადგან ამ ქვეყანაში ბევრი რამე ცუდისკენ არ შეიცვლება. რა თქმა უნდა, მოძრაობა იქნება ყოველთვის, ბაზარი მგრძნობიარე და მერყევია, ასევე პოლიტიკური გარემოც, მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სიმყარე შემოვა ჩვენს ეკონომიკაში. ეს ცნება საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის, რადგან ბიზნესი 1 და 2 წლით არ წყდება, ის გრძელვადიან გეგმებზეა გათვლილი.

გარდა ამისა, ნებისმიერმა მაღალი კლასის ბიზნესმენმა იცის ერთი რამ – დღეიდან საქართველო იქნება გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმული. დემოკრატიის ჩარჩოები იქნება ეს, თუ რეგულირების ჩარჩოები, საქართველო ევროპულ გზას ვერ გადაუხვევს. ეს ბიზნესისთვის არის ძალიან კარგი ნიშანი. ეს 1200-გვერდიანი ხელშეკრულება არის სწორედ ის მოთხოვნები, იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური, რომელშიც უნდა ვიმოძრაოთ ჩვენ იმისათვის, რომ ვიყოთ ევროპის პარტნიორი. ამავე დროს, ინვესტორისთვის ეს არის ძალიან მყარი გარანტია იმისა, რომ საქართველოში სერიოზული, რევოლუციური რყევები აღარასოდეს აღარ იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს გარდაუვლად მოუწევს რეფორმების განხორციელება თითქმის ყველა სფეროში. რეფორმა გულისხმობს საკანონმდებლო ნაწილსაც, სტანდარტების ნაწილსაც, ბიზნესის მენეჯმენტსაც, ხარისხსაც და აბსოლუტურად ყველა იმ რეგულაციას, რომელსაც ევროპული ბაზარი ითხოვს ნებისმიერი ექსპორტიორისგან.

2015 წლიდან დაიწყო სერიოზული იმპლიმენტაცია, ინვესტორების განწყობაა, ნაკლები გადასახადის გადახდით საქართველოდან შეიტანონ ევროპაში პროდუქცია. ყველა საქონლისთვის იხსნება ევროპის ბაზარი. აქ არ არის რაიმე ჩამონათვალი, მაგრამ არის რამდენიმე სახის საქონელი, რომელზეც ყურადღებაა გამახვილებული, მაგალითად – ნიორი. ბრიუსელმა მიიღო რეგულაციები ნიორთან, შაქრის ჭარხალთან, ხორბალთან და რძესთან დაკავშირებით. ეს არის სუბსიდირებული დარგები და განსაკუთრებით აკონტროლებენ მათ. მაგალითად, ნიორს თუ გარკვეულ რაოდენობაზე მეტს შევიტანთ ევროპაში, იწყება დემპინგური ფასების შემოწმება, რადგან ევროპა იცავს თავის ბაზარს. წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტია ნიორი. აღნიშნული კვოტა 220 ტონას შეადგენს, რომელზე გადაჭარბების შემთხვევაშიც, საქართველოს საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, 28 დასახელების პროდუქტი ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული (ტვირთების გადაზიდვის გადახდაზე, საბაჟო

გადასახადებზე და სხვა გადასახადებზე, რომელიც ირიცხება არა ტვირთის ერთეულისთვის, არამედ მისი ღირებულების პროცენტებში) კომპონენტის გარეშე. ამასთან, ცალკე ჩამოთვლილია გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული პროდუქტები, რომელზეც იმპორტის ზღვრული დონეა დაწესებული. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ასოცირების მთელი რიგი პუნქტების თანახმად, განახლებას საჭიროებს საგადასახადო, ეკონომიკური, მიგრაციის, სტანდარტების საკითხები, პროდუქციის და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების და ხარისხი, მისი კონტროლის საკითხები. ბუნებრივია, პროდუქციის მომსახურების საკითხი არ არის მხოლოდ ადმინისტრირების საკითხი, ეს, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას საჭიროებს, იგივე შეგვიძლია ვთქვათ სტანდარტებთან და თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებითაც. სამოქმედო გეგმაში მხოლოდ და მხოლოდ სფეროების დასახელებაა მოცემული და არა კონკრეტული კანონების და ნორმების მუხლები, რომელიც უნდა შეიცვალოს. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ საკითხების საკანონმდებლო სრულყოფა დროშია გაწერილი. ეს გახდება მსჯელობის საგანი და იმ ვადებში შესრულდეს, რაც ასოცირების ხელშეკრულებით უკვე გაწერილია. მოცემულია ორი ძირითადი ვადა, არაუგვიანეს 5 და არაუგვიანეს 10 წლისა.

საკანონმდებლო ცვლილებების მზადება, როდის მიიღებენ განახლებულ კანონებს, ეს უკვე კონკრეტულ პოლიტიკურ მოცემულობაზე იქნება დამოკიდებული და კონკრეტული საკითხის მომზადების ხარისხზეც.

- თავისუფალი ვაჭრობის სატარიფო განაკვეთების კვოტების ფარგლების კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი, ახალი ან გაცივებული.

კოდი	პროდუქტის აღწერილობა	რაოდენობა	2013 წელს საქართველოს ექსპორტი ყველა ქვეყანაში (ტონა)	2013 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ტონა)
07032000	ნიორი ახალი ან გაცივებული	220 ტ	400	0

2013 წელს საქართველოს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პროდუქტი არ შეუტანია ევროკავშირში, თუმცა, გასულ წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 400 ტონა ნიორი, რაც ნიშნავს, რომ 220 ტონა წარმოადგენს ზღვრულ ნიშნულს, რომლის შენარჩუნება გართულდება. მიზეზი, თუ რატომ არის დაწესებული შეზღუდვა პროდუქტის ამ კატეგორიაზე, არის ის, რომ ჩინეთი აწარმოებს ნიორის მსოფლიო წარმოების 80 პროცენტს.

2012-2013 წლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაჩნდა ახალი პროდუქტები, როგორიცაა გადამუშავებული და გაყინული ბოსტნეული, გაყინული თევზი, ზეთები, ბოსტნეულის წვენები და ექსტრაქტები. როგორც ჩანს, GSP+ რეჟიმით სარგებლობისა და იმპორტზე გადასახადის გაუქმების შედეგად გაიზარდა იმ პროდუქტების ექსპორტი, რომლებზეც ვრცელდება სავაჭრო რეჟიმი. ზოგადად, ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რეალურად რა დატვირთვა აქვს ტარიფს - ემპირიული ნაშრომების მნიშვნელოვანი რაოდენობა ასკვნის, რომ სატარიფო ბარიერები სავაჭრო ტვირთბრუნვის მხოლოდ ერთი პროცენტით ვარირებას განაპირობებს. რაც შეეხება სხვა ბარიერებს, განსაკუთრებით, ტექნიკურ ბარიერებს და არასატარიფო დაბრკოლებებს - მათ უფრო მეტი გავლენა აქვთ ვაჭრობის მოცულობაზე.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ მოსალოდნელია საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლების ზრდა 12%-ით, ხოლო იმპორტისა - 7.5%-ით. თუმცა, გათვლებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტები სექტორულ ლიდერს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან 60%-ზე მეტი მაჩვენებლით გაიზრდება შხამ-ქიმიკატების, რეზინისა და პლასტიკური მასალების წარმოების და ექსპორტის პოტენციალი. ექსპორტის პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გამო. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის გართულდება კოოპერატივებთან შედარებით, ისევე როგორც გაძნელდება მათთვის რისკების აღება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქტის გატანის თვალსაზრისით, ევროკავშირის მაღალკონკურენტული ბაზრების გათვალისწინებით. 2015 წლის 26 იანვარს, საქართველოს მთავრობის №59 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

2015 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის DCFTA ნაწილთან დაკავშირებულ 2015 წლის სამოქმედო გეგმას. ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგიები: სურსათის უვნებლობის სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა; სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში და შესაბამისი პროგრამა; კონკურენციის პოლიტიკის არსებობა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დომინირებს პირველადი წარმოების პროდუქცია, ფერმერული მეურნეობები პროდუქციას ძირითადად თავიანთი მოხმარებისთვის ან ქაოსური გზით სავაჭროდ აწარმოებენ. ამდენად, კომპლექსური ღირებულებითი ჯაჭვის შექმნის გარეშე DCFTA-ს პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გათვლით გაჭირდება ყველაზე მეტად შესამჩნევი ზრდა ნავარაუდევია მსხვილფეხა პირუტყვის გამრავლებისა და ხორცის პროდუქტების წარმოების (60%-ზე მეტი) და ბოსტნეულის, ხილის, თხილის და ზეთოვანი მარცვლეულის მოყვანის თვალსაზრისით (20%-ზე მეტი). მესაქონლეობის არსებული სტრუქტურა წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ინდივიდუალური ფერმერით, რომლებიც ძირითადად, პროდუქტს თავიანთი მოხმარებისთვის აწარმოებენ; ასევე შედარებით მცირე რაოდენობით კომერციალიზებული საოჯახო მეურნეობებით და მსხვილი საწარმოთი. სექტორის განვითარების სტიმულირებისთვის, დასაწყისისთვის, უნდა შეიქმნას ისეთი ძირითადი ინსტიტუტები, როგორიცაა საქონლის რეესტრი და ვეტერინარული სამსახურის განყოფილება. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე, პირუტყვის გამრავლებაზე, კვებაზე და ზოგადად, პირუტყვის ჯანმრთელობის დაცვაზე. რაც შეეხება სხვა სექტორებში წარმოების მაჩვენებლების გაზრდის მიზნით მიღებულ სახელმწიფო ზომებს, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა და მინიმალური ჩარევა. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. შეთანხმება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად გადაჭარბებულად დიდი იმედები იმისა, რომ ქართული პროდუქცია დაიპყრობს ევროპულ ბაზარს, არ უნდა გვქონდეს. გარდა ევროკავშირის მიერ საკუთარი ბაზრის დაცვისა, ჩვენი ამჟამინდელი პოტენციალი ევროპულ ბაზარზე დასამკვიდრებლად მეტისმეტად სუსტია იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის უსუსტესი რგოლი, ამ დარგში საქართველოში შრომის მწარმოებლურობა 60-ჯერ და მეტად ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელს. თავად საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი თითქმის 4/5-ით ოკუპირებულია იმპორტირებული საქონლით და პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს არა საგარეო ექსპანსია, არამედ შიდა სამომხმარებლო ბაზრის „რეკონკისტა“ – სამამულო წარმოების პროდუქციის მიერ წამყვანი როლის დამკვიდრება შიდა სამომხმარებლო სასურსათო ბაზარზე. მაგალითად, ევროკავშირში, შეთანხმებით, შესაძლებელი გახდება 4.4 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და 0.5 ათასი ტონა ფრინველის ხორცის შეტანა. მაგრამ თავად საქართველოში ხორცის მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების ხორცის წილი მხოლოდ 36 პროცენტია და ყოველწლიურად ხორციელდება 60 ათას ტონაზე მეტი ხორცის იმპორტი.

საქართველოში ისედაც დაბალი იმპორტის (საბაჟო) გადასახადებია და მათი მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად მობილიზებული თანხა მხოლოდ დაახლოებით 90 მლნ ლარია – ამჟამინდელი საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 1.2 პროცენტი. შესაბამისად, ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების კლება დაახლოებით 25-30 მლნ. ლარი იქნება. მისი კომპენსირება შესაძლებელი იქნება იმით, რომ ექსპორტის ყოველწლიური მატება ბოლო წლებში 400 მლნ. აშშ დოლარს აღემატება და მხოლოდ აღნიშნული ნამატის წარმოებით მიღებული მოგების გადასახადი მნიშვნელოვნად აღემატება ბიუჯეტის მოსალოდნელ კლებას ევროკავშირიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადების შემცირებით.

ევროკავშირში მოკლე დროში და დიდი რაოდენობით ვერ მოხდება ქართული პროდუქციის შეტანა. დღეისათვის ევროკავშირის ბაზარი, სტრუქტურირებული, გაჯერებული და საკმაოდ დაცულია იმისათვის, რომ მასში შესვლა და დამკვიდრება, მნიშვნელოვანი სეგმენტის მოპოვება შეძლონ ახალმა მოთამაშეებმა. ეს გარკვეულ წილად წააგავს იმ მოლოდინს, რაც საქართველოს წინა ხელისუფლებას გააჩნდა ჩინეთის ბაზრისადმი ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით. – ფაქტობრივად კი, ჩინეთის 1.5 - მილიარდიანი მოსახლეობის მქონე ბაზარმა 2006-2012 წლებში შეიძინა იმ ქართული ღვინის მხოლოდ 10%, რაც რუსეთის 143-მილიონიანმა ბაზარმა – მხოლოდ 2006 წლის პირველი 4 თვის მანძილზე (ემბარგოს გამოცხადებამდე). ამიტომ, ზოგადად 500 მლნ-იანი ბაზარი საინტერესო და მომხიბვლელია ქართული ეკონომიკისთვის, თუმცა იქ დამკვიდრება გულისხმობს თამაშის შესაბამის წესის, ადეკვატური ხარისხისა და მიწოდების პირობების დაცვას, უმკაცრესი კონკურენციის დაძლევას, რა მხრივაც ქართულ მხარეს ჯერ კიდევ მოუწევს სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობა. თუ პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი საერთო ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის საგრძნობი ექსპანსიით ვერ მოხდება, მაშინ საბოლოო ჯამში, რა კონკრეტული სარგებლის მომტანი იქნება აღნიშნული შეთანხმება ზოგადად ქართული ეკონომიკისათვის და, კონკრეტულად, რიგითი ქართველი მომხმარებლისთვის?

შეთანხმების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი იქნება სავიზო რეჟიმის გაიოლება, აგრეთვე ქართული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ზრდა, საშუალო და მცირე საწარმოების მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ახალგაზრდებისთვის ევროპული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ენერგეტიკის სფეროში ენერგოეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს, გამყარებული სამართლებრივი ფონისა და კანონის უზენაესობის, ნებისმიერი ინსტიტუტის, სამსახურის და საჯარო მოხელის საქმიანობის ტრანსფარეტულობისა და პასუხისმგებლობის ზრდის ფონზე. ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნას როგორც მთავარი ლაიტმოტივი არა იმდენად ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების, საქართველოდან ექსპორტის წახალისების სტრატეგიაში, რამდენადაც საქართველოს შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული სამამულო პროდუქციის წარმოებისა და დამკვიდრებისათვის, იმპორტირებული საქონლის ქართული პროდუქციით ჩანაცვლებისათვის.

ინტერნეტ-რესურსები:

1) http://eeas.europa.eu/
2) http://www.hwngo.org.ge/
3) www.slideshare.net
4) http://gfsis.org/
5) ekonomist.ge
6) http://news.ge/
7) http://www.geostat.ge/

ლარის კურსის ცვლილების მიზეზები და მასზე ზემოქმედების ფაქტორები

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

საქართველოში ლარის გაცვლით კურსზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ გავლენას. მნიშვნელოვანია კავშირის განსაზღვრა ვალუტის რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებს შორის და მათზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა გრძელვადიან, საშუალო და მოკლევადიან პერიოდებში. მშპ-თან, ინფლაციასთან და საპროცენტო განაკვეთებთან ერთად, გაცვლითი კურსი მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. გაცვლითი კურსისადმი განსაკუთ-

რებულ ინტერესს ეკონომიკური აგენტების მიერ სპეკულაციური ინტერესიც ქმნის, ამიტომ გაცვლითი კურსის პროგნოზი ყველასთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. გაცვლითი კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების ფარდობით ფასს, რაც კურსის თავისუფალი ცურვის რეჟიმის პირობებში ბაზარზე უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. გარდა ფუნდამენტური ფაქტორებისა, მოკლევადიან პერიოდში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და სხვა მოკლევადიანი ფაქტორები ახდენს მნიშვნელოვან გავლენას და იწვევს მის მერყეობას. მეორე მხრივ, თვით მოლოდინები და კურსის პროგნოზი, გავლენას ახდენს ვალუტის მიმდინარე ფასზე.

მნიშვნელოვანია ვფლობდეთ ინფორმაციას სავალუტო პოლიტიკის და რეზერვების მართვის შესახებ. მცურავი გაცვლითი კურსი მთლიანად განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა–გაყიდვა შედის. ეროვნული ბანკი არანაირ გავლენას არ ახდენს გაცვლითი კურსის განსაზღვრის პროცესზე. ბუღალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის ხშირად გამოიყენება ლარის ოფიციალური კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით. ბანკთაშორის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში („ბლუმბერგი“). დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც ცხადდება ოფიციალურ გაცვლით კურსად შემდგომი დღისთვის. სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე (დღის სამი საათისათვის) არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. გადაანგარიშებისთვის საჭირო გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ინფორმაცია ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქცია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვაა, რომელიც მისი ბალანსის ყველაზე მსხვილ აქტივს წარმოადგენს. საერთაშორისო სარეზერვო აქტივები გაანგარიშდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით და ქვეყნდება თვის დამთავრებიდან მე-7 დღეს, ეროვნული ბანკის საიტზე. საერთაშორისო რეზერვების მართვის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიებს ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. ძირითადი პრინციპებია პირველ რიგში უსაფრთხოება, შემდეგ ლიკვიდურობა და ბოლოს შემოსავლიანობა.

საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად, ვიდრე ეს ფიქსირებული კურსის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის ფიქსაცია, შესაბამისად, არ ხდება ბანკის ჩარევა სავალუტო ბაზრის პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კურსის მკვეთრ ცვლილებას.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება. ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისათვის, რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი ეს წინაპირობები არ არის. აშშ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილ სავაჭრო პარტნიორია, თუმცა ჩვენი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობები ვრცელდება ბევრს სხვა ქვეყანაზე, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ვალუტები და გაცვლითი კურსის რეჟიმები. შესაბამისად, ლარის კურსის დოლარზე მიბმა გამოიწვევს მის ფიქსირებას ერთი ვალუტის მიმართ და დარჩება ცვალებადი სხვა ვალუტების მიმართ. აქედან გამომდინარე ლარის კურსის დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ფერხდება ეფექტური და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. მაგალითად, რეცესიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის წახალისება და ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2008-2009 წლებში, დოლარზე მიბმული კურსის არსებობა შეზღუდავდა ეროვნული ბანკისა თუ მთავრობის ღონისძიებების არეალს და

შეამცირებდა მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორ აგრეგატზე - ფულის მიწოდებასა და გაცვლით კურსზე ზემოქმედება. გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს მაშინ, როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. მაგალითად, 2010 წელს დაფიქსირებული ფასების მატება, რაც ძირითადად გარე მიწოდების ფაქტორებით იყო გამოწვეული, კიდევ უფრო გამწვავდებოდა ფიქსირებული კურსის პირობებში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი და, შესაბამისად, არასასურველია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა საქართველოში. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობას გლობალური მონეტარული თანამშრომლობის, საერთაშორისო ვაჭრობის, მაღალი დასაქმებისა და სიღარიბის შემცირების გზებით. ამჟამად, საერთაშორისო სავალუტო ფონდში 187 ქვეყანაა გაწევრიანებული. საქართველოში სსფ-ის მისია 1992 წლის 5 მაისიდან მოქმედებს.

ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის პირობებში, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 20%-ზე მეტად იზრდება და თანაც ცვლილებები რამდენიმე დღეში ხდება, საკითხის აქტუალობა სრულიად ბუნებრივია. ყველაზე ხშირად ლარის კურსის ცვლილების მიზეზებზე და პროგნოზებზეა საუბარი. თუმცა ორივე ამ მიმართულებით ბუნდოვანება საკმაოდ დიდია. გამომდინარე იქედან, რომ ლარის დოლართან მიმართებაში დაცემის უამრავი მიზეზი სახელდება, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რთულია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, თუ რამ გააუფასურა ლარი. საგადასახდელო ბალანსის უახლესი სტატისტიკა, რომელიც ლარის კურსის ცვლილების ფუნდამენტურ ფაქტორების გაანალიზების საშუალებას იძლევა, ჯერ მხოლოდ გასული წლის მესამე კვარტლის სურათს ასახავს. ლარის სტაბილურობა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უცხოურ კრედიტებზე და გრანტებზე, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს იმ მოცულობის უცხოური ვალუტის მოზიდვას, რომელიც ლარის სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

თუ გადავხედავთ საგადასახდელო ბალანს, რომელიც ქვეყანაში შემოსულ და ქვეყნიდან გასულ უცხოურ ფულად მასას ასახავს, ნათლად იკვეთება, რომ 15 წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა არ შეცვლილა ისე, რომ მოეზიდა უცხოური ვალუტა ექსპორტის ზრდის და სხვა წყაროების გზით. სავაჭრო ბალანსი იყო და რჩება მკვეთრად დეფიციტური, რის გამოც ინვესტიციების, გზავნილების და სხვა წყაროებით მიღებული უცხოური ვალუტის მასა, მხოლოდ და მხოლოდ ანეიტრალებს, აბათილებს ქვეყნიდან გადინებულ უცხოურ ვალუტას.

15 წლის განმავლობაში, რეალურად, კრედიტების და გრანტების გარეშე მოზიდული უცხოური ვალუტის მასა 100 მილიონ დოლარს ოდნავ აღემატება. 15 წლის განმავლობაში მხოლოდ 8-ჯერ გადააჭარბა ქვეყანაში შემოსულმა უცხოური ვალუტის მოცულობამ, ქვეყნიდან გასული ვალუტის მოცულობას.

გავაანალიზოთ როგორ ვითარდებოდა ლარის კურსი ასეთ პირობებში. დიაგრამა #3 სწორედ ლარის დოლართან მიმართებაში ბოლო 15 წლის ტრენდს ასახავს. ტრენდს თუ დავაკვირდებით, იმ ფონზე, როდესაც ეკონომიკა ვერ იზიდავდა უცხოურ ვალუტას და მიმდინარე ანგარიში იყო მკვეთრად დეფიციტური, ლარი დოლართან მიმართებაში მყარდებოდა.



ამ ტენდენციების შემხედვარე, ჩნდება კითხვა - როგორ ხდებოდა ლარის გამყარება და სტაბილურობის შენარჩუნება, თუ ეკონომიკა ვერ ახდენდა უცხოური ვალუტის მოზიდვას? ამ კითხვაზე ნათელი პასუხი საგარეო ვალის სტატისტიკაშია.

საგარეო ვალის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ბოლო 15 წელიწადში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) თითქმის 6-ჯერ გაიზარდა და 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 13 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სამთავრობო სექტორის სახელმწიფო ვალი დროის იგივე პერიოდში 3.5-ჯერ გაიზარდა. თუმცა საინტერესოა ვალის ზრდის ტემპი წლების მიხედვით. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს დიაგრამა #4-ზე.



როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი 2006-2012 წლებში იყო. ანუ ეკონომიკა, რომელიც განვითარებით ვერ იზიდავდა უცხოურ ვალუტას, იზიდავდა მას ვალებით, რაც იყო ლარის სტაბილურობის და უცხოური რეზერვების ზრდის წყარო.

რეზერვების და ლარის სტაბილურობის წყარო მომდინარეობდა არა ეკონომიკის წინსვლიდან, არამედ საგარეო კრედიტების შემოდინებიდან. ვინაიდან, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის 75% 2006-2012 წლებში იქნა აღებული. სწორედ, ეს კრედიტები უზრუნველყოფდა რეზერვების ფორმირებას და ლარის მხარდაჭერას, მაგრამ 2013 წლიდან ქვეყანამ საგარეო ვალის დიდი მოცულობით დაბრუნება დაიწყო და როგორც დიაგრამაზე 3-ზე ჩანს, საგარეო ვალმა ზრდა პრაქტიკულად შეწყვიტა. თუმცა, ეს არის საკითხის ერთი მხარე, გარდა უცხოური ვალუტის შემოდინებისა, მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის მასის ზრდის დინამიკაც.

ამრიგად, საქართველოში უცხოური და ადგილობრივი ფულის მასების მსგავსი დინამიკა ქმნიდა ლარის გამყარების და რეზერვების გაზრდის შესაძლებლობას. თუმცა, როდესაც საგარეო ვალის ზრდის

ტემპი განულდა, ფულის მასის ზრდის ფონზე ეროვნულმა ბანკმა კრედიტებით შევსებული რეზერვების ხარჯვა არ დაიწყო და ლარის დევალვაციის გზას დაადგა. ლარის კურსის ვარდნის რამდენი მიზეზიც არ უნდა ვეძებოთ, რეალობა ერთია, ლარის სიმყარე დაფუძნებული იყო უცხოურ ვალებზე და როდესაც დიდი მოცულობით დავიწყეთ ვალების გადახდა, ლარიც გაუფასურდა. არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი გზა: პირველი, ლარის სტაბილურობის მხარდაჭერა კვლავ საგარეო კრედიტებით, რაც წლების მანძილზე ხდებოდა და მეორე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიღწევა ეკონომიკური ზრდით, რომელიც წლების მანძილზე არ ხდებოდა და დღეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს საქართველოსათვის.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://bfm.ge/index.php?newsid=8557
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521
3. commersant.ge/?m=5&news_id=17135
4. www.ambebi.ge/.../96905-laris-gamyarebas-fasebis-shemcireba-ar-mohyveba.html

ჯანდაცვის სისტემის ეკონომიკური რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

თამუნა ტატულაშვილი, გიორგი ცოტნიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

1989 წლამდე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათივე სახელმწიფო, ჯანდაცვის სფეროს საბჭოთა მოდელთან დაკავშირებით, მსგავსი პრობლემების წინაშე იდგა. ჯანდაცვის სისტემა აგებული იყო სახელმწიფო მართვის ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. ჯანმრთელობის დაცვა მხოლოდ ცენტრალური სტრუქტურების დაგეგმვით ხორციელდებოდა. ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურება სრულიად უფასო იყო. ჯანდაცვის სფერო ფინანსდებოდა ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ძალიან მალე სისტემა ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. შედეგად, გაჩნდა მომლოდინეთა გრძელი რიგები, სამედიცინო აპარატურა დაძველდა ან დაიკარგა, დაიწყო არალეგალური გადახდები უკეთესი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და ა.შ.[1] ვიდრე ტრანსფორმაციის პერიოდში ფუნდამენტურად იცვლებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ჯანდაცვის სისტემების დაფინანსებისა და ორგანიზების სქემები, მაქსიმალურად შენარჩუნდა უნივერსალური დაფარვის პრინციპი. უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაშია განსაზღვრული.

ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების პროგრამის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა რეფორმები, პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემების საშემოსავლო სფეროში გაატარეს (1990–იან წლები). ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების სისტემის ახალ პრინციპს ეწოდებოდა ბისმარკის სავალდებულო დაზღვევა, რომელიც დამსაქმებლებისა და დასაქმებულ პირთა შენატანებს ეფუძნებოდა (იხილეთ ცხრილი 1.). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჯანდაცვის სექტორის შემოსავლებში ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანების წილი მაღალი არ არის. პირიქით, ზოგადი შემოსავლები იყოფა სახელმწიფო დაზღვევის შენატანებად, საგადასახადო შემოსავლებად, დამატებითი დაზღვევის პრემიებად, ოფიციალურ და არაფორმალურ, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილ თანხებად. დაფინანსების აღნიშნული კაპიტალური წყაროების თვალსაზრისით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

[1] Mossialos, M. McKee L. MacLehose. (2003): Social Protection in the 13 Candidate Countries. A Comparative Analysis. Luxembourg: European Communities.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მაგ: ბულგარეთში გადასახადების შემოსავლების წილი 69.2 %-ია, ხოლო ჩეხეთში სოციალური უზრუნველყოფის დაზღვევის შენატანები - 81.5%.[1] ჯანმრთელობის დაცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათივე სახელმწიფოში უნივერსალურ საფუძველზე ხდება და დამოკიდებულია მოქალაქეობაზე, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე. გამომდინარე იქიდან, რომ პასიური მოსახლეობის შენატანებს აფინანსებს სახელმწიფო, გავრცელებულია მოსახლეობის 90 და 100 პროცენტიანი დაფარვის მაჩვენებლები.

ცხრილი 1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებში ბისმარკის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაზე გადასვლის წელი

BG	CZ	EE	HU	LV	LT	PL	RO	SK	SI
1998	1992	1992	1991	-	1997	1999	1998	1994	1992

წყარო: Baum-Ceisig et al. 2008

დასავლეთ ევროპელ მეზობლებთან შედარებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაბალი ეკონომიკური წარმოება და საბიუჯეტო შენატანებთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, კორუფცია და ორგანიზაციული სირთულეები გახდა ფინანსური შემოსავლების შეზღუდვის მიზეზი. შედეგად, შეუძლებელი იყო სამედიცინო ინფრასტრუქტურის უფრო სრულყოფილი მოდერნიზება ან სახელმწიფო გარანტიით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მეორე რეფორმის ფარგლებში, შეიცვალა ჯანდაცვის სისტემების ხარჯვითი მხარე. ცვლილება გულისხმობდა:

– ფინანსური რეფორმების მოპოვებისა და გადანაწილების პასუხისმგებლობების მზარდ დეცენტრალიზაციას ავტონომიურად მოქმედი რეგიონალური ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდების საშუალებით;

– პირველადი ჯანდაცვის სექტორში დაზღვევის ფონდებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის ხელშეკრულებებზე დაფუძნებული კერძო ურთიერთობების დამყარების ტენდენცია;

- ზოგადი სპეციალიზაციის მქონე პრაქტიკოსი ექიმების გამოყენება სხვა მეორად ან სპეციალიზირებულ დაწესებულებებში გადასაყვანად;

– საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობის შემცირება და ზოგადი სპეციალიზაციის მქონე პრაქტიკოსი ექიმების ამბულატორიული მომსახურების გაზრდა;

– ახალი, ხარჯეფექტური შემწეობების და ანგარიშგების სისტემების შექმნა, თანხების გაერთიანებით, ფასიანი მომსახურებების და დიაგნოსტიკის ჯგუფების დაფუძნებით.

ჯანმრთელობის დაზღვევის ავტონომიამ შექმნა მნიშვნელოვანი გართულებები ფინანსური რესურსების გამოყოფის კუთხით. პოლონეთში განხორციელდა 17 ავტონომიური ჯანმრთელობის დაზღვევის (რომელიც 1999 წელს, ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიანი ფონდის დაქვემდებარებაში შეიქმნა) დეცენტრალიზაცია[2]. საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის სოციალისტური მემკვიდრეობა მკაფიოდ ჩანს, ერთი მხრივ, დაზღვევის პროვაიდერთა და, მეორე მხრივ, ექიმებისა და პაციენტების მაგალითზე. პაციენტებს კომუნისტურ პერიოდში პირდაპირ საავადმყოფოში მკურნალობდნენ. უზარმაზარი საავადმყოფოების მომარაგება მომსახურების ხარისხის ხარჯზე ხდებოდა. ძალიან რთულია შეცვალო მყარად გამჯდარი ტრადიციები და დაარწმუნო ადამიანი, რომ ჯანმრთელობის პრობლემას ზოგადი პრაქტიკის ექიმიც მოუგვარებს და სულაც არ არის საჭირო საავადმყოფოში წასვლა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არასოდეს იჩენდნენ სიფრთხილეს ჯანდაცვის სისტემებში კერძო ელემენტების დანერგვისას. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 10 სახელმწიფოში კერძო დაფინანსების წილი, დაახლოებით, 29%–ია და ეს მაჩვენებელი მზარდ ტენდენციას ავლენს. ეს ფაქტი კერძო სადაზღვევო ბაზრის სიდიდეს კი არ უკავშირდება, არამედ, ტარიფების ზრდასა და სამედიცინო მომსახურებებისთვის მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილ თანხებს. ბულგარეთში, ესტონეთში, სლოვაკეთსა და სლოვენიაში პაციენტები ზოგადი პრაქტიკის ექიმის ხშირი მონახულების ან საავადმყოფოში დარჩენისთვის სავალდებულო ტარიფს იხდიან. ათივე სახელმწიფოში პაციენტები რეცეპტით გამოწერილ მედიკამენტებს თანადაფინანსებით იძენენ. განსხვავებულია ტარიფები და

[1] S. Koulaksazov, S. Todorova and E. Tragakes et al. (eds.) (2003): Health-CareSystems-in-Transition.-Bulgaria. Copenhagen: WHO.

M. Rokosová and P. Háva. (2005): *Health-Care-Systems-in-Transition.-CzechRepublic.* Copenhagen: WHO.

[2] K. Kuszewski and C. Gericke. (2005): Health Care Systems in Transition.

Poland. Copenhagen: WHO.

ჰონორარები. ძალიან ბევრი ქვეყანა, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, ზრდის მოსახლეობის ჯიბიდან გადასახდელ თანხებს[1]. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროს მთლიანი დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილი არაფორმალური გადასახადებისგანაც შედგება. ეს არის ისტორიული ტენდენცია. ამ გადასახადების არსებობის ერთ–ერთი მიზეზი ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის დაბალი ხელფასებია.[2] ინდივიდუალური პასუხისმგებლობების გაზრდა პაციენტების მიერ გადახდილი თანხების საშუალებით, როგორც ჩანს, ჯანდაცვის სექტორში ხარჯების შემცირების ყველაზე ეფექტური გამოსავალია. პაციენტის მიერ მომსახურების ღირებულების პირდაპირ გადახდა, პოლიტიკოსებისთვისაც საკმაოდ კომფორტული პარამეტრია იმისათვის, რომ ნელ-ნელა შეამცირონ ულიმიტო სამედიცინო მომსახურება უფრო მცირე სახელმწიფო გარანტიის უფასო პაკეტზე. ინდივიდუალიზაციის ამ მზარდი რისკის უკან, აშკარად დგას კერძო უზრუნველყოფის სისტემების შექმნის საჭიროება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, ჯანდაცვის დანახარჯების მთლიან მოცულობაში, ჯიბიდან გადახდილი თანხები 20%-ზე მეტს შეადგენს, მაშინ როცა, ევროკავშირის სახელმწიფოებში ეს მაჩვენებელი 15%-ია. ამ ტიპის თვითდაფინანსების მოდელი ძირეულად ცვლის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ზოგად უნივერსალურ პრინციპს (იხილეთ ცხრილი 1.2.4), როგორიცაა, მაგ: ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი. ღარიბი მოსახლეობა ნელ-ნელა ჯანდაცვის მომსახურების გარეშე რჩება. ოფიციალურად, კერძო დაზღვევა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული არაა, გამონაკლისია პოლონეთი და სლოვაკეთი, სადაც ეს ალტერნატივა არსებობს იმ პაციენტებისთვის, რომლებიც არ არიან დაზღვეულნი სავალდებულო სახელმწიფო სისტემით. ქვეყნების მთავრობები ორმაგი ჯანდაცვის სისტემების წარმოშობის წინააღმდეგ გამოდიან. ასეთი სისტემა არსებობს გერმანიაში, სადაც შეინარჩუნეს სახელმწიფო დაზღვევის უნივერსალური სისტემა. გარდა ამისა, ათივე სახელმწიფოში მოქმედებს დამატებითი კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა, თუმცა, მათი წილი საერთო დანახარჯებში მინიმალურია (0.1–2%), გამონაკლისია სლოვენია (12%) და ლატვია (3–4%). მიუხედავად იმისა, რომ საერთო სადაზღვევო სისტემაში (იგი ვერ ანაცვლებს სახელმწიფო დაზღვევას) კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა უფრო მეტად დამხმარე როლს ასრულებს, მთელ რეგიონში მისი მასშტაბები მაინც საკმაოდ სწრაფად იზრდება.[3] კერძო დაზღვევის განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს დასაქმების გაზრდამაც[4]. შემოსავლებისა და გასავლების სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა საგრძნობლად შეარყია უნივერსალური ჯანდაცვის პრინციპი, რის გამოც, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო პოლიტიკური განხილვები იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ჯობდა მემკვიდრეობით მიღებული საყოველთაო დაზღვევის სისტემის მოშლა. დღესდღეობით, ამ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს დისკუსია, შეინარჩუნონ თუ არა მოსახლეობის ძლიერი გავლენა ჯანდაცვის სექტორზე თანაბარი ბენეფიტების უზრუნველყოფის საშუალებით, თუ განავითარონ ორკლასიანი ჯანდაცვის სისტემა, სადაც სახელმწიფოს შედარებით ნაკლები კონტროლი ექნება. პრინციპში, სამედიცინო მომსახურებისთვის არაფორმალურად გადახდილი თანხების გამო, უკვე დაიწყეს ორსაფეხურიან სამედიცინო მომსახურებებზე გადასვლა. მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილ ოფიციალურ თანხებთან დაკავშირებული რისკი გახდა საფუძველი ორეტაპიანი სადაზღვევო ბაზრის განვითარებისთვის და უნივერსალური ჯანდაცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მიუწვდომელი გახდა[5].

---

[1] A. Baum-Ceisig, K. Busch, B. Hacker and C. Nospickel. (2008): *Wohlfahrtsstaaten- in- Mittel-- und- Osteuropa.- Entwicklungen,- Reformen- undPerspektiven- im- Kontext- der- europäischen- Integration*, Baden-Baden: Nomos (forthcoming).

[2] E. Mossialos, M. McKee L. MacLehose. (2003): *Social- Protection- in- the13- Candidate- Countries.- A- Comparative- Analysis.-* Luxembourg: European Communities.

[3] H. R. Waters et. al. (2008): "Health Insurance Coverage in Central and Eastern Europe: Trends and Challenges," *Health-Affairs* 27, 2: 478-486.

[4] Bent Greve (2007): *Occupational-Welfare.-Winners-and-Losers,* Cheltenham/ Northampton: Edward Elgar Publishing.

[5] A. Baum-Ceisig, K. Busch, B. Hacker and C. Nospickel. (2008): *Wohlfahrtsstaatenin-Mittel--und-Osteuropa.-Entwicklungen,-Reformen-und-Perspektiven-im-Kontextder-europäischen-Integration*, Baden-Baden: Nomos (forthcoming).

ცხრილი 1.2.4. ჯანდაცვის ხარჯები და სიცოცხლის ხანგრძლივობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (2005 წ.)

	ჯანდაცვის სფეროს საერთო ხარჯების წილი (%)		ჯიბიდან გადახდილი თანხები (%) საერთო ხარჯების მოცულობაში	ჯანდაცვის სფეროს ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე (PPS)	სიცოცხლის ხანგრძლივობა (წლებში)	
	სახელ-მწიფო	კერძო			მამაკაცი	ქალი
BG	60.6	39.4	38.0	734	69	76.3
CZ	88.6	11.4	10.9	1,447	73	79.3
EE	76.9	23.1	20.5	846	67.3	78.2
HU	70.8	29.2	25.3	1,329	68.8	77.2
LV	60.5	39.5	38.6	860	65.4	76.6
LT	67.3	32.7	32.2	862	65.4	77.4
PL	69.3	30.7	26.1	844	70.8	79.4
RO	70.3	29.7	25.3	507	68.8	75.8
SK	74.4	25.6	22.6	1,130	70.3	78.2
SI	72.4	27.6	12.4	1,959	74	80.9
EU-15	76.8	23.2	15.0	2,883	77.1	82.7
EU-27	75.5	24.5	17.2	2,468	75.6	81.7

წყარო: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2010 წ.[1]

სლოვენიასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ჯანდაცვის სისტემების განვითარების ისტორია აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არსებობს ინდივიდუალიზაციის მზარდი რისკი და რომ პრივატიზაცია გარდაუვალია. ორივე სახელმწიფოში თერაპევტები საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ. შესაბამისად, ქვეყანაში არ ხდება არაოფიციალური თანხების აღება. რაც შეეხება ოფიციალურ გადასახადებს, ისინი შედარებით დაბალია (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დაბალი). თითოეულ სახელმწიფოში მათი წილი ჯანდაცვის სფეროს საერთო დანახარჯებში 10 პროცენტსაც არ აჭარბებს. ამ დამატებითი თანხების დასაფარად, სლოვენიამ შექმნა ჯანმრთელობის დამატებითი დაზღვევა, რომელსაც მოსახლეობის 94 პროცენტი იყენებს.[2] უფრო მეტიც, ორივე სახელმწიფოში სიცოცხლის ხანგრძლივობის საუკეთესო და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებული მაჩვენებლები ფიქსირდება. ჯანდაცვის კრიტერიუმების მიხედვით, ამ ქვეყნებში გენდერული უთანასწორობაც მაღალია.[3] ეკონომიკური განვითარების სწრაფი მაჩვენებელი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რათა სლოვენიასა და ჩეხეთში ჯანდაცვის სფეროს დანახარჯის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაუთანაბრდეს დასავლელ მეზობლებს და გაცილებით გადაუსწროს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფს (იხილეთ ცხრილი 1.2.4). საპირისპირო ვითარებაა ეკონომიკური განვითარებით შედარებით დაბლა მდგომ სახელმწიფოებში, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი და ბალტიის ქვეყნები. აქ ჯანმრთელობის დაცვის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე ძალიან დაბალია და ჯანმრთელობის ინდიკატორებიც მუდმივად უარყოფითია.[4]

---

[1] WHO (2010): Health for all Database, http://data.euro.who.int/hfadb (Accessed 21 May 2010).

[2] T. Laursen (ed.) (2005): *Current-Issues-in-Fiscal-Reform-in-Central-Europeand-the-Baltic-States-2005.* Vol. II: Annexes and Country Case Studies. World Bank Report Number 35846.

[3] B. Hacker. (2008): „"Langsamer Abschied von der Universalität?
Gesundheitsreformen in Mittel- und Osteuropa und ihre geschlechterspezifischen Folgen." In C. Klenner and S. Leiber (eds): *Wohlfahrtsstaaten- undGeschlechterverhältnisse- in- Mittel-- und- Osteuropa,-* Wiesbaden: VS Verlag (forthcoming).

[4] ლატვიასა და ლიტვაში მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა ყველაზე დაბალია, კერძოდ, 65 წელი, რაც თითქმის ათწლიან სხვაობას აჩვენებს ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (EU-27). ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 76 წელია ბულგარეთსა და რუმინეთში, მაშინ, როცა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 82–ია.

ლიტერატურა:
1. Mossialos, M. McKee L. MacLehose. (2003): Social Protection in the 13 Candidate Countries. A Comparative Analysis. Luxembourg: European Communities.
2. S. Koulaksazov, S. Todorova and E. Tragakes et al. (eds.) (2003): Health-CareSystems-in-Transition.-Bulgaria. Copenhagen: WHO.
3. M. Rokosová and P. Háva. (2005): *Health-Care-Systems-in-Transition.-CzechRepublic.* Copenhagen: WHO.
4. A. Baum-Ceisig, K. Busch, B. Hacker and C. Nospickel. (2008): Wohlfahrtsstaaten- in- Mittel-- und- Osteuropa.- Entwicklungen,- Reformen- undPerspektiven- im- Kontext- der- europäischen- Integration, Baden-Baden: Nomos (forthcoming).
5. H. R. Waters et. al. (2008): "Health Insurance Coverage in Central and Eastern Europe: Trends and Challenges," *Health-Affairs* 27, 2: 478-486.
6. Bent Greve (2007): *Occupational-Welfare.-Winners-and-Losers,* Cheltenham/ Northampton: Edward Elgar Publishing.
7. WHO (2010): Health for all Database, http://data.euro.who.int/hfadb (Accessed 21 May 2010).
8. T. Laursen (ed.) (2005): *Current-Issues-in-Fiscal-Reform-in-Central-Europeand-the-Baltic-States-2005.* Vol. II: Annexes and Country Case Studies. World Bank Report Number 35846.
9. B. Hacker. (2008): „"Langsamer Abschied von der Universalität?
10. Gesundheitsreformen in Mittel - und Osteuropa und ihre geschlechterspezifischen Folgen." In C. Klenner and S. Leiber (eds): *Wohlfahrtsstaaten- undGeschlechterverhältnisse- in- Mittel-- und- Osteuropa,-* Wiesbaden: VS Verlag (forthcoming).

ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში - პოზიტიური და ნეგატიური მხარეები

მარიამ ტლაშაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

დაზღვევა არის რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება (სადაზღვევო საზოგადოებაზე გადაცემა).

კლიენტსა (დამზღვევი) და სადაზღვევო საზოგადოებას (მზღვეველი) შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებისას დამზღვევის მიერ ხდება რისკის მზღვეველისათვის გადაცემა, რის შემდეგაც შესაძლო ზარალის დროს მზღვევლი დამზღვევს სრულად აუნაზღაურებს ფინანსურ ზარალს იმ ოდენობით და იმ პირობებით, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაშია ჩადებული.

დაზღვევის ძირითადი პრინციპი ასეთია: ყოველწლიურად უამრავ ადამიანს გარკვეული თანხა შეაქვს საერთო ფონდში, საიდანაც კონპენსაცია მიეცემათ ცალკეულ დაზღვეულ პირებს.

დაზღვევის პირობები განისაზღვრება საბუთით – პოლისით, რომელსაც სადაზღვევო კომპანია გასცემს. ყველას შეუძლია ნებისმიერი უსიამოვნებისაგან დაეზღვიოს – სახლისა თუ ავტომობილის დაზიანებით დაწყებული და სამსახურის დაკარგვით დამთავრებული. სპორტის ბევრი დიდი ვარსკვლავი ეზღვევა სერიოზული ტრავმის წინააღმდეგ, რომელსაც შესაძლოა კარიერა შეუწყვიტოს.

ადამიანი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გახდეს ავად. ავადმყოფობის ალბათობა განსხვავდება და დამოკიდებულია ასაკზე, სქესზე, გარემო პირობებზე, ცხოვრების წესზე, საქმიანობაზე და ბევრ სხვა ფაქტორზე. ცნობილია, რომ ბავშვების და მოხუცების ავადობის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდების. ავად გახდომისას ადამიანს უწევს გარკვეული ხარჯების გაწევა, რომელიც

საჭიროა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღსადგენად. სწორედ ასეთი ფინანსური რისკებისგან იცავს ჯანმრთელობის დაზღვევა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან სადაზღვევო სისტემაში დღემდე მომხდარი ცვლილებები პირობითად შეიძლება ოთხ პერიოდად დავყოთ:

სადაზღვევო სისტემის მშენებლობის პერიოდი – მოიცავს 1990-1997 წლებს. ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი სადაზღვევო სისტემის მშენებლობას, გაჩნდნენ პირველი სადაზღვევო კომპანიები;

სადაზღვევო რეგულირების მოწესრიგების პერიოდი – მოიცავს 1997 წლიდან 2003 წლამდე დროის მონაკვეთს. ამ პერიოდში მიღებულ იქნა დაზღვევის რეგულირების საკანონმდებლო ბაზა. საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში ცივილიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებას.

სადაზღვევო ბაზრის გაფართოებისა და ზრდის პერიოდი – მოიცავს პერიოდს 2003 წლიდან 2013 წლამდე, როდესაც დაიწყო კერძო სადაზღვევო ბაზრის ჩართვა სახელმწიფო პროგრამებში და მისი შემდგომი ზრდა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება საქართველოში ერთ-ერთი (ერთადერთი თუ არა) ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმაა, რომელიც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ განახორციელა. სხვა, ვიწრო დარგობრივი თუ ინსტიტუციონალური რეფორმებისგან განსხვავებით მისი შედეგები საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქისთვის ხელშესახებია. ოფიციალური ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 2 წელიწადში 2 882 238 მოქალაქე დაეზღვია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამაზე, ჯამში, 358 166 527 ლარი დაიხარჯა.

საქართველოში ბევრი სადაზღვევო კომპანიაა, რომლებიც ერთმანეთისგან მომსახურეობითა და ფასით განსხვავდებიან. საქართველო დაბალი/საშუალო შემოსავლების ქვეყანაა, სადაც ჯანმრთელობის დაცვაზე მთლიანი ეროვნული დანახარჯი მშპ-ის მხოლოდ 8,7%-ია.

დღესდღეობით საქართველოში ბევრი სადაზღვევო ფირმაა, მაგრამ მათგან ყველაზე ცნობილი ფირმებია:

1) „ალდაგი ბისიაი“,
2) „ირაო“,
3) „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“,
4) „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“,
5) „იმედი ელი“,
6) „ალფა“,
7) „ტაო“,
8) „ვესტი“,
9) „უნისონი“,
10) „აი სი ჯგუფი“.



საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მხოლოდ რამდენიმე. ესენია:

1) „ალდაგი ბისიაი“ - 450 000 კლიენტს მთელ საქართველოში (ინდივიდულური პირებისთვის - ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტომობილი დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, საპენსიო ფონდი, სამოგზაურო დაზღვევა, იურიდიული მომსახურების ხარჯების დაზღვევა, კორპორაციული კლიენტებისთვის - ქონების დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, ტრანსპორის დაზღვევა, პოცესის ხარჯების დაზღვევა, ფინანსური რისკების დაზღვევა, საპენსიო ფონდი, აგრო დაზღვევა);

2) „ირაო“ - (კერძო პირები - ავტო დაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, იურიდიული პირები - ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა);

3) „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“ - (ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტო. დაზღვევა, სახლის დაზღვევა, საპენსიო, ორგანიზაციებისათვის და სხვა დაზღვევა).

გთავაზობთ სადაზღვევო კომპანიების რეიტინგსა და ბაზრის კვლევის შედეგებს: გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ სოციოლოგიურმა ჯგუფმა და სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრმა IPL-მა სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და სადაზღვევო პროდუქტებისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულება შეისწავლა. სათანადო კითხვარის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქალაქ თბილისში გამოკითხულ იქნა 485 რესპონდენტი, 27-29 დეკემბერს. სადაზღვევო კომპანიებს შორის ნდობის და, შესაბამისად, ცნობადობის რეიტინგში „ალდაგი ბისიაი“ ლიდერობს.

1. „ალდაგი ბისიაი“ – 26,6%
2. „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 19,7%
3. „ირაო“ – 12,9%
4. „იმედი L International“ – 9,4%
5. „აი სი ჯგუფი“ – 7,2%
6. „ტაო“ – 5,6%
7. „ვესტი“ – 3,2%
8. „ქართუ“ – 2,8%
9. „პარტნიორი“ – 1,6%
10. „AIG-Europe SA“ – 0,6%
11. „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ – 0,4%
12. „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ – 0,4%
13. არცერთს – 9,6%

ბოლო წლებში ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების წილი კიდევ უფრო შემცირდა. ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხა მთელი ამ ჩვენი გაზრდილი ბიუჯეტის მხოლოდ 2,8 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებისთვის იგივე მაჩვენებელი, საშუალოდ, 14-15 პროცენტია (უფრო მეტიც, ამ მაჩვენებლით, საქართველო არა მხოლოდ ევროპის, დსთ-ის ქვეყნებს შორისაც კი ბოლო ადგილზეა). არანაკლებ საინტერესოა მეორე პარალელიც: საქართველოში ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაში სახელმწიფო წილი 30 პროცენტს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებისთვის კი იგივე მაჩვენებელი 75-80 პროცენტია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში უმწეო მოსახლეობა 25,3 პროცენტია, რაც ციფრებში მილიონ 100 ათასზე მეტ ადამიანს ნიშნავს. უმწეოთა პროგრამაში კი მხოლოდ 700 000 ბენეფიციარია (ანუ, ოფიციალური მონაცემებითაც კი, 400 000 უმწეო ადამიანის ჯანმრთელობა და, შესაბამისად, სიცოცხლე სრულიად დაუცველია). გამოიკვეთა აშკარა ტენდენცია, რომ ავადმყოფობა საქართველოში ოჯახების გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

სახელმწიფო დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზრის დაახლოებით 75%-ს შეადგენს. ამდენად, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობის გადაწყვეტილებებზე არა მხოლოდ სადაზღვევო ბაზრის განვითარებაა დამოკიდებული, არამედ ბაზრის არსებობაც. ამასთანავე სადაზღვევო სექტორის განვითარების გარეშე მოსახლეობის ჯანდაცვა, ფაქტობრივად, გამორიცხულია. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ინფორმაციით, ქართული სადაზღვევო ბაზრის წილი დაზღვევის სახეობების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ყველაზე დიდი მოთხოვნა ჯანმრთელობის დაზღვევაზეა და მისი წილი მთლიან სადაზღვევო სისტემაში 73,18 პროცენტია, შემდეგ ადგილზეა ქონების დაზღვევა (9 პროცენტი), მას მოსდევს მანქანის დაზღვევა (6,39 პროცენტი) და ასე შემდეგ. საერთო ჯამში, საქართველოში მილიონ-ნახევარი მოქალაქეა დაზღვეული. როგორც მოგახსენეთ, მილიონ 100 ათასი – სამთავრობო პროგრამებით, მათგან 900 000 სოციალურად დაუცველია, 100 000 მასწავლებელი, ხოლო დანარჩენებს თბილისის მუნიციპალური

პროგრამა აზღვევს. 400 000 მოქალაქე დაზღვეულია საკუთარი ხარჯით, ინდივიდუალურად ან კორპორატიულად.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა თემაზე რამდენად კმაყოფილია საზოგადოება საყოველთაო ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტით. კვლევა მიმდინარეობდა 2014 წლის 25 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით. მასში მონაწილეობა პირისპირი და ინტერნეტ გამოკითხვებით 453 მოქალაქემ მიიღო, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის უმრავლესობა სრულად თუ არა კმაყოფილებას მაინც გამოთქვამს.

ჩემს მიერ ჩატარებული სოციალური კვლევა თემაზე, თუ რამდენად კმაყოფილია საზოგადოება სტუდენტური ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტით (გამოკითხვა ჩატარდა 2015 წლის 17 ივნისს, გამოკითხულთა რაოდენობა 50 კაცი) შედეგები შემდეგნაირია:



და ბოლოს, საიდან უნდა მონახოს სახელმწიფომ საყოველთაო ჯანდაცვისთვის აუცილებელი, მუდმივად მზარდი სახსრები?

- პირველ რიგში აუცილებელია ადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის წარმოება. შეუძლებელია ფინანსთა სამინისტრო მოგების გადასახადის შემცირების კანონპროექტს ამზადებდეს (როგორც დღეს), და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას დაფინანსება გაეზარდოს. თუმცა, რა თქმა უნდა, პასიურ მდგომარეობაში, მხოლოდ გადასახადების იმედად ყოფნა საქმეს ვერ უშველის. აუცილებელია სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევითა და ხელშეწყობით ქვეყანაში შიდა საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი განვითარება. გაზრდილი წარმოებიდან ამოღებული გადასახადების გარდა, ადგილობრივი წარმოების განვითარება ჯანდაცვის ხარჯებს სხვა მხრივაც შეამცირებს. შესაძლებელი გახდება, წარმოების განვითარების დონის შესაბამისად, ჯანდაცვის სფეროში საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის ადგილზე წარმოება იმპორტირების ნაცვლად, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს ამ სფეროში განსახორციელებელ დანახარჯებს. ამ მხრივაც, სახელმწიფოს მხრიდან არაფერი განსაკუთრებულად ქმედითი ნაბიჯები არ იდგმება.
- სამედიცინო მომსახურებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობა უნდა იყოს დამცავი მექანიზმი საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განსაკუთრებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისთვის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სოფლის მოსახლეობისთვის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფთათვის.
- ჯანდაცვის სისტემა უნდა იყოს ორიენტირებული პაციენტის საჭიროებაზე და არა მის გადახდისუნრიანობაზე.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.sazogadoeba.ge
2. https://heconomic.wordpress.com
3. http://life.mediamall.ge
4. http://www.tavisupali.ge
5. http://www.ambebi.ge/

6. http://ssa.gov.ge/
7. https://ka.wikipedia.org

საერთაშორისო ვაჭრობა და საბაჟო რეჟიმი საქართველოში

თეონა ფოლადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** პროფესორი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მათ განსხვავებული, მეტ-ნაკლები რაოდენობის და თვისებების წარმოების ფაქტორები გააჩნიათ. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ მათ ეს რესურსები სწორედ ასეთი განსხვავებული სახით აქვთ ბოძებული, რასაც, ერთი მხრივ, მოსდევს შრომის საერთაშორისო დანაწილება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ფაქტორების ქვეყნებს შორის გადაადგილება. სწორედ ეს არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარების და მათი განვითარების უმთავრესი მიზეზი.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციული და უფრო მეტად განვითარებული ფორმა საერთაშორისო ვაჭრობაა. „საერთაშორისო ვაჭრობა“ არის სხვადასხვა ქვეყნის მყიდველთა, გამყიდველთა და შუამავალთა შორის განხორციელებული ყიდვა-გაყიდვის პროცესი“.

საერთაშორისო ვაჭრობის მაღალი ტემპებით ზრდა განპირობებულია მრავალი ფაქტორით მათ შორისა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპებით ზრდა, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია, კაპიტალის გატანის მაღალი ტემპები და დიდი მასშტაბები, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია...

საერთაშორისო ვაჭრობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საბაჟო რეჟიმები და სტრუქტურები.

საბაჟო ორგანოების ფუნქციონირებისათვის კი მნიშვნელოვანია საბაჟო რეჟიმების სრულყოფილად ჩამოყალიბება, მათი ფუნქციებისა და ამოცანების განსაზღვრა. ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოში. შეიცვალა, როგორც საკანონმდებლო, ისე სტრუქტურული მდგომარეობა.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ნაშრომის აქტუალურობა. საქართველოს წინაშე არა ერთი პრობლემა დგას საბაჟო საკითხების მართვის შესახებ, რაც თავის მხრივ მოითხოვს განხილვასა და გაანალიზებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაჟომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, სანამ დღევანდელი სახით ჩამოყალიბდებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანოს ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მნიშვნელოვანი რეფორმების წინაშე დგას.

ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოში საბაჟო სისტემის შესწავლა, როგორ მიმდინარეობს ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას დღეს საქართველოს საბაჟო. აქედან გამომდინარე ნაშრომში დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- საბაჟოს არსის განსაზღვრა, მისი როლის განხილვა საერთაშორისო ვაჭრობაში;
- საქართველოს საბაჟო სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი ასპექტების შესწავლა;
- საბაჟო რეჟიმების შესწავლა;
- ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;

„საბაჟო“-ში (საბაჟო - თურქ. ტანგა, ტამგა - საკუთრების ნიშანი, რომელიც ვაჭრობიდან ფულად გადასახადს ადასტურებს) იგულისხმება სახელმწიფო სამსახური, რომელიც პასუხს აგებს საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფაზე და საიმპორტო და საექსპორტო ბაჟისა და გადასახადების აკრეფაზე, აგრეთვე სხვა კანონებისა და წესების გამოყენებაზე, რომლებიც ეხება ტვირთის შემოტანას, ტრანზიტსა და გადატანას.

საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს საქონელგაცვლით ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგარეო სავაჭრო ნაკადების მოძრაობის მიმართულება კი დგინდება ე.წ. საბაჟო რეჟიმების მიხედვით. საბაჟო რეჟიმი წარმოადგენს იმ დებულებათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესსა და მიზნებს.

სხვაგვარად, ეს არის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის გარკვეული სტატუსის მინიჭება, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო პროცედურების სტანდარტულ, ამ რეჟიმისათვის დამახასიათებელ ფორმებს, თავისებურებებს და თანმიმდევრობას.

სტანდარტული საბაჟო რეჟიმები იყოფა შემდეგ შვიდ ჯგუფად:

1. დამოუკიდებელი და საბაჟო გაფორმების პროცესშივე დამთავრებული რეჟიმები: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) და ექსპორტი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აერთიანებს ის, რომ ანგარიშსწორების და საბაჟო ფორმალობების შემდეგ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაეცემა ბენეფიციარს სრულ განკარგვაში და საბაჟო ორგანოებს ამ საქონელთან ან სატრანსპორტო საშუალებასთან აღარაფერი აკავშირებს;
2. იმპორტის და ექსპორტის რეჟიმების მსგავსი რეჟიმები: რეიმპორტი და რეექსპორტი, რომლის დროსაც გაფორმების შემდეგ, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება ასევე გადაეცემა ბენეფიტს სრულ განკარგვაში. აღნიშნული რეჟიმები ორეტაპიანია – იმპორტირებული საქონლის ექსპორტი ან ექსპორტირებული საქონლის იმპორტი;
3. საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმები (ტრანზიტი). ტრანზიტი (ლათ. Transitus – გატარება) – ტვირთების გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა იმ პუნქტის გავლით, რომელიც წარმოადგენს შუალედურს, გადასატვირთს, გადასაჯდომს გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტებს შორის. ეს რეჟიმი იწყება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლით და მთავრდება საქართველოს საბაჟო საზღვრის დატოვებით. რეჟიმის დამთავრების შემდეგ საქონელი ბენეფიციარს გადაეცემა სრულ განკარგვაში. საქონლის მიერ საქართველოს დადგენილ ვადაში დაუტოვებლობის შემთხვევაში ტრანზიტის რეჟიმი საქონელს ავტომატურად ეცვლება იმპორტის რეჟიმით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით;
4. დასაწყობების რეჟიმები (საბაჟო საწყობი, თავისუფალი საწყობი). ეს რეჟიმები შეიძლება ჩაითვალოს შუალედურ რეჟიმებად, როცა საქონელი შეინახება შეუცვლელი სახით, მოუხმარებლად და გამოუყენებლად. ამ რეჟიმში მყოფი საქონელი რეჟიმის დამთავრებისას არ გადაეცემა ბენეფიციარს განკარგვისათვის, არამედ ბენეფიციარის სურვილისამებრ გადაიყვანება რომელიმე სხვა რეჟიმში;
5. გადამუშავების საბაჟო რეჟიმები. ამ რეჟიმში მოთავსებული საქონელი მოიხმარება, ოღონდ საბაჟო ორგანოების მიერ წინასწარ დათქმული პირობებით და მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ წინასწარ დათქმული მიზნით. დასაშვებია საქონლის გადამუშავებისა და დამუშავების შედეგად სრული ან ნაწილობრივი სახეცვლილება, მაგრამ მიღებული პროდუქცია ან მისი ნაწილი, რომელიც ამ რეჟიმში რჩება, რაოდენობრივად უნდა შეესაბამებოდეს საბაჟო ორგანოებთან წინასწარ შეთანხმებულ გამოსავლიანობას.
6. რეჟიმები, რომლებიც ითვალისწინებენ მათში მოთავსებული საქონლის მოხმარების უფლებას (დროებითი შემოტანის და დროებითი გატანის რეჟიმები). ამ რეჟიმის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ გაიტანება საბაჟო საზღვრის გარეთ ან პირიქით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ შემოიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ე.ი. არ ხდება რეალიზაცია არც საბაჟო ტერიტორიის შიგნით და არც საბაჟო ტერიტორიის გარეთ.
7. ბრუნვიდან საქონლის ამოღების რეჟიმები (საქონლის განადგურების რეჟიმი და საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის რეჟიმი). აღნიშნული რეჟიმისათვის დამახასიათებელია საბაჟო რეჟიმების დამთავრება კომერციული შედეგების გარეშე.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა ხდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან, მათ შორის 2014 წლის უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნებია: თურქეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა.



წინა წელთან შედარებით გაიზარდა თურქეთიდან და ჩინეთიდან იმპორტის წილი. გასული წლის მონაცემები იყო შემდეგი:



ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან იმპორტში 2014 წელს არის შემდეგი სახით წარმოდგენილი:



უმსხვილესი საიმპორტო პროდუქცია მთლიან იმპორტში არის ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ელექტროენერგია.

მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2011 წლიდან უმსხვილესი საიმპორტო პროდუქცია მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის. 2014 წელს წინა წლებთან შედარებით ზრდა დაფიქსირდა სამკურნალო საშუალებების იმპორტზე.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი არის საქონლის საქართველოდან გატანა - უკან დაბრუნების პირობის გარეშე. ის სხვა საბაჟო რეჟიმებისაგან, რომლებითაც შეიძლება გატანილი იქნეს საქართველოდან საქონელი, განსხვავდება სწორედ იმ ნაწილით, როგორიცაა გატანა უკან დაბრუნების გარეშე. ამით ექსპორტის რეჟიმი საპირისპიროა იმპორტის რეჟიმისა.

პრაქტიკაში საქონლის ექსპორტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, რასაც განსაზღვრავს ე.წ. ოპერაციის ხასიათი, ანუ ის თავისებურება, რითაც ერთი ოპერაცია განსხვავდება მეორისაგან. საქონლის ექსპორტის მიზანი შეიძლება იყოს მისი ყიდვა - გაყიდვა, ანუ საგარეო ვაჭრობა, ჩუქება, პირდაპირი ინვესტირება, იჯარა და სხვა.

საქართველოში ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, შემოსავლების სამსახურს ასევე მიენიჭა უფლებამოსილება გასცეს საერთაშორისო ვეტერინალური, ფიტოსანიტარული და ჰიგიენური სერთიფიკატები. დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარადგენს ნებართვის მისაღებად აუცილებელ დოკუმენტაციას. პროგრამის მეშვეობით ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეგზავნება აუცილებელი დოკუმენტები, ხოლო სანაცვლოდ, გადამხდელი იღებს მისთვის საჭირო ნებართვას სხვადასხვა უწყებებში ფიზიკურად მისვლის გარეშე.

საქართველოდან საექსპორტო საქონელი გადის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის 2014 წელს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, აშშ. უნდა აღინიშნოს, ის რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა პროცენტული მონაცემები, მაგ. აზერბაიჯანის წილი 23% -დან 19%- მდე შემცირდა. აშშ 17%- დან 7% -მდე. იტალიის 6% შეიცვალა რუსეთის 10%-ით.





ქვეყნების ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2014 წელსაც ყველაზე დიდი პროცენტული წილი დსთ-ს ქვეყნებს უკავიათ.





უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას (მლნ. აშშ დოლარებში) მიეკუთვნება: მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი, ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქები, სპილენძის მადნები, ნედლი ნავთობი.

მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2014 წელს შემცირებულია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი, ხოლო დანარჩენი უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით გაზრდილია.

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე უარი თქვა სახელმწიფო მონოპოლიაზე წარმოებისა და მომსახურების სფეროში, მათ შორის, საგარეო ვაჭრობაში. საქართველომ აღიარა თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპები. აქედან გამომდინარე საბაჟო დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზღვარზე საქონლის გადაადგილების შემოტანისა თუ გატანის მაქსიმალური ხელშეწყობა საბაჟო კონტროლის გამარტივების, პროცედურების დაჩქარების, თანამედროვე ტექნიკისა და კომპიუტერიზაციის საშუალებით.

სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს შორის საბაჟო გადასახადზე დაახლოებით 2% მოდის.



მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მძიმე საბიუჯეტო კრიზისმა საბაჟო ორგანოების ამოცანებიდან პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული

საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო მოსაკრებლების მობილიზაციას და ბიუჯეტში ჩარიცხვას. თუ მანამდე ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელებისაგან გათვალისწინებულ შემოსავლებს საპროგნოზო მაჩვენებლის ფორმა ჰქონდა რამაც თანდათანობით სავალდებულო მაჩვენებლის ფორმა მიიღო. სავალდებულო გეგმის შესრულება სირთულეს წარმოადგენდა რასაც თან სდევდა ორგანიზაციული ცვლილებები. საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმალურობის ძიებამ საბაჟო დეპარტამენტს რამდენჯერმე შეუცვალა ზემდგომი ორგანოები და პირები. 2007 წლიდან საბაჟო დეპარტამენტი სსიპ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურის ერთეულია და უკვე ამ უწყების ზემდგომობით ახორციელებს შესაბამის საქმიანობას.

საბაჟო ორგანოებს მიეცა საქონლის იმპორტ-ექსპორტზე დაწესებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პარალელური უფლება. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით ასევე ისარგებლებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემაზე აქამდე ავტორიზებული სხვა სახელმწიფო უწყებები, რომ კერძო სექტორს საშუალება ექნება თავად აირჩიოს თუ რომელ უწყებას მიმართოს ლიცენზიის ან ნებართვის მისაღებად.

პოზიტიური სიახლე არის საბაჟო საწყობების კონტროლის კუთხით განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც საწყობში შენახული საქონლის ფიზიკურ კონტროლზე უარის თქმისა და აუდიტის დანერგვას გულისხმობს, როგორც კონტროლის ალტერნატიულ ფორმას. ასევე, საკანონმდებლო და პროცედურულ დონეზე გასწორდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების დღგ-ით და დაბეგვრის საკითხი. შემოღებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტულ პრაქტიკაში არსებული პროცედურები, როგორიცაა საქონლის წინასწარი დეკლარირება და ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი შეუერთდა ინტერფეისის საჯარო წევრებს (IPM - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ინიციატივა). IPM-ი შედგება „ნამდვილი/ყალბი საქონლის მონაცემთა ბაზისაგან“, რაც შესაძლებლობას აძლევს უფლების მფლობელებს, რომ ეკონომიკური საზღვრის ოფიცრებს წარუდგინონ მათი პროდუქციის ნამდვილი მონაცემები, ასევე ინფორმაცია, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას განასხვავონ „ნამდვილი“ და „გაყალბებული“ პროდუქცია. ასევე აღსანიშნავია ისიც რომ საბაჟო და სასაზღვრო პოლიციას შორის საზღვრის კონტროლთან დაკავშირებული ფუნქციები გადანაწილდა.

შემოსავლების სამსახურმა წინასწარი საბაჟო დეკლარირების პრაქტიკა დანერგა. წინასწარი საბაჟო დეკლარირება გულისხმობს კომპანიის მიერ საქონლის საბაჟოზე წარდგენამდე დეკლარირებას და ყველა აუცილებელი საბაჟო ფორმალობის გავლას. ხოლო საქონლის საქართველოში შემოტანისა და საბაჟოსადმი ფიზიკური წარდგენის შემდეგ, მისი გაშვება მოხდება მაქსიმალურად მოკლე დროში.

ლიტერატურა:

1. მესხია ი., „საერთაშორისო ვაჭრობა“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2011.
2. საქართველოს საბაჟო კოდექსი.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №302013

ინტერნეტ-რესურსები:

1 . http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4971&lang=1#
2. http://rs.ge/5972#
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები

ნინო ღვინიაშვილი, მაკა ჩადუნელი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანული ქოქაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების თვისობრივად ახალ მოვლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ გლობალიზაციისათვისაა დამახასიათებელი ეროვნული და გლობალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილების გადანაცვლება. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი, პრიორიტეტული როლი. დღეს უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური სისტემების ერთიანი წესის შემუშავება და მისი დანერგვა-გატარება თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთულია და ძლიერი ქვეყნების ეკონომიკური სისტემებიც ძნელად ეგუება გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს.

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას. ეს შეიძლება იყოს ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დასადგენად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ეკონომიკური ინდექსები. ინდექსების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ჩამოყალიბდა. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოების მთავრობებს სთავაზობენ სხვადასხვა ინდექსებით შეაფასონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა. მათი გამოყენება არ ცვლის ცხოვრების დონის ან ცხოვრების ხარისხის შეფასების ფუნდამენტალურ მაჩვენებლებს, ისეთებს, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ან ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვა.

საერთაშორისო ბიზნესის არსის სრულყოფილად გაგებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სრულად გვესმოდეს ტერმინ „ბიზნესის“ მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს რისკის პირობებში მოგების ან სხვა რაიმე შემოსავლის მისაღებად განხორციელებულ საქმიანობას. თუ ეს საქმიანობა ხორციელდება ორი ან მეტი ქვეყნის პარტნიორის მიერ, ან საქმიანი ოპერაციები სრულდება ერთი ან რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით, წარმოიშობა საერთაშორისო ბიზნესი. საერთაშორისო ბიზნესის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს: სხვა ქვეყანაში ან ქვეყნებში საქონლის გატანა გასაყიდად; ერთ ქვეყანაში ნედლეულის და მასალების შესყიდვა და მეორე ქვეყანაში (ეროვნულ ქვეყანაში) შემოტანა მოსახმარად ან შემდგომი გადამუშავების მიზნით; ერთი ქვეყნიდან მეორეში არამატერიალური ღირებულების (ნოუ-ჰაუ, პატენტი და ა.შ.) გატანა მისი რეალიზაციის მიზნით და პირიქით; ერთი ქვეყნიდან კაპიტალის გატანა მეორე ქვეყანაში (მოგების) მისაღებად; ერთი ქვეყნისგან მეორესთვის კრედიტის გადაცემა და ა.შ.

გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის, რომ ისინი თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას, რაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილში ბადებს მათდამი ნიჰილისტურ განწყობას. საქართველოს ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში, თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

ამდენად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან. ისტორიის გაკვეთილები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში უმუშევრობისა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევის ძირითადი გზა არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური აქტიურობის გადიდება. ამ თვალსაზრისით ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკრძალებულია. ამიტომაც

არის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგანაც საქართველოს მცირე ოდენობით გააჩნია ის სტრატეგიულ ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, გაზი), რომლებიც მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. ამითაა მოტივირებული ის, რომ ქვეყანა მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნების გამოცდილებიდან, რომლებიც XX-ს 60-იანი წლებიდან განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან. იგულისხმება „აზიური ვეფხვები“ - ტაილანდი, სინგაპური, ჰონგკონგი, რომელთა ეკონომიკური წარმატების საწინდარია ღია ეკონომიკური პოლიტიკა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დასადგენად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ეკონომიკური ინდექსები. ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, მისი მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. იგი რაღაც რიცხვია და არ შეიცავს საკვლევი ობიექტის თვისებრივ განსაზღვრებებს, ანუ თვისებრივად ვერ ახასიათებს შესასწავლ ობიექტს. ინდექსი მხოლოდ გარკვეულწილად იძლევა თვისებრივი მახასიათებლის რაოდენობრივ განსაზღვრულობაზე დაყვანის საშუალებას და ხასიათდება ტერმინებით: მეტი, ნაკლები, უფრო ძლიერი, უფრო სუსტი. გლობალურ ინდექსებს ქმნიან მკვლევარები და საკვლევი ცენტრები, რათა ერთმანეთს შეადარონ მსოფლიოს ქვეყნები განსაზღვრული ნიშნების: ეკონომიკის განვითარების ხარისხის, კონკურენტუნარიანობის დონის, კეთილდღეობის მიხედვით და სხვ. გლობალური სამყაროს გასაზომი გლობალური ინდექსები სხვადასხვაგვარია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი; ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი; კორუფციის აღქმის ინდექსი;

საქართველოში ყოველწლიურად ანგარიშობენ ამ ინდექსებს. ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს ადგილს საერთაშორისო რეიტინგებში.

ბიზნესის კეთება

ბიზნესის კეთება – 2014

საქართველოს რეიტინგი 2014 წელს საქართველოს პოზიცია 2006 – 2014 წლებში 2014 წელი - მე-8 ადგილი 189 ქვეყანას შორის 2006 წელს 112-ე ადგილიდან გადაინაცვლა (გაუმჯობესება 104 ქულით)

2005 წლიდან - ქვეყანაში განხორციელდა 36 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით და გაუმჯობესებული პოზიცია ყველა მაჩვენებელში.

მნიშვნელოვანი რეფორმები:

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება;
- გამარტივებული საგადასახადო კოდექსით გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი;
- ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება შემცირდა.

მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას. მათ შორის არის ბიზნესის კეთების დაწყების სიმარტივე, ინვესტიციების დაცვა, გადასახადების გადახდა, კრედიტის აღება, ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სხვა.

ცხრილი 1 საქართველოს ადგილი ბიზნესის სიმარტივის მიხედვით 2011 წელს

	ადგილი 183 ქვეყანას შორის
ბიზნესის დაწყების სიმარტივე	7
ლიცენზიის მიღება	4
თანამშრომელთა დაქირავება	89
ქონების რეგისტრაცია	1
კრედიტის მიღება	8
ინვესტორთა დაცვა	17
გადასახადების გადახდა	42
საგარეო ვაჭრობა	54
კონტრაქტების აღსრულება	41
ბიზნესის დახურვა (გაკოტრება)	109
ბიზნესის კეთება (საერთო ინტეგრირებული ინდექსი)	16

მსოფლიო ბანკის რეიტინგით, ბიზნესის სიმარტივის მიხედვით, საქართველო მე-7 ადგილზეა, თუმცა დგას მისი შენარჩუნების პრობლემა, რადგან ძლიერი პოლიტიკური რისკების პირობებში ძალიან იოლია ბიზნესის დაკარგვა. ამ კვლევაში არის ნეგატიური მომენტებიც, მაგალითად, მსოფლიო ბანკის რეიტინგი უარყოფითად აფასებს გაკოტრების პროცედურას და ამ მხრივ საქართველო 109-ე ადგილზეა.

Fraser Institute - მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს ფრეზერის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს. ანგარიში მოიცავს მსოფლიოს 152 ქვეყანას.

მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზომავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას ხუთი ძირითადი სფეროს მიხედვით: მთავრობის ზომა, სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა, მყარი ვალუტა, საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება და რეგულაციები.

- მთავრობის ზომა (6,92 ქულა, დაწინაურდა 0,68 ქულით);
- მყარი ვალუტა (9,03 ქულა, დაწინაურდა 0,23 ქულით);
- საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება (8,52 ქულა, დაწინაურდა 0,02 ქულით);
- რეგულაციები (7,89 ქულა, დაწინაურდა 0,27 ქულით).

რეიტინგში პირველ ადგილზე ჰონკონგი, ხოლო ბოლოზე ვენესუელა იმყოფება.

ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) 2013 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (Economic Freedom of the World, 2013) მიხედვით, საქართველო გასულ წელთან შედარებით 16 საფეხურით დაწინაურდა და 152 ქვეყანას შორის 25 ადგილზე (7,61 ქულით) იმყოფება.

2013 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, საქართველოს პოზიცია 5-დან 4 მაჩვენებელში გაუმჯობესდა:

Heritage Foundation - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის შესაძლებლობის შეფასებას ახდენს. ეკონომიკური თავისუფლების ამსახველ სხვა ინდექსშიც, რომელსაც Fraser Institute აქვეყნებს, საქართველომ დაკავებული ადგილი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა, წლების მიხედვით საქართველოს რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2002-2011 წწ.

წლები	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ადგილი	96	83	79	93	43	31	32	32	26	26

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველომ 2011 წელს მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის 26-ე ადგილი დაიკავა.

კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ხანგრძლივი დროით, როცა ეკონომიკური სისტემა ინდივიდის არჩევანს სცემს პატივს და მასში მთავრობის ჩარევა მინიმუმამდე არის დაყვანილი. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ინდივიდებს მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ყოველდღიური ცხოვრება დამოუკიდებლად გააკონტროლონ. ამდენად, ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც.

2011 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა „ძირითადად თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების მთლიანი ინდექსი საქართველოში არის 70,4. აღნიშნული მაჩვენებლით იგი მსოფლიოში 29-ე, ხოლო ევროპის რეგიონის 43 ქვეყნიდან მე-11 ადგილზეა. მისი მთლიანი მაჩვენებელი (70,4) მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე (59,7)

მაღალია. რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის მიუხედავად, ეკონომიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში განიცდის საშუალოდ 4,8%-იან წლიურ ზრდას. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოსგან თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; საკუთრების უფლება; კორუფციისგან განთავისუფლება; შრომის თავისუფლება.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გამოკვლეულია შემდეგი მაჩვენებლები: ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიები, ბაზრის სიდიდე, ბიზნესი და ინოვაციები.

ცხრილი 3 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2004-2015 წწ

	2004-2005	2005-2006	2006-2007	2007-2008	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015
ადგილი	94	86	85	90	90	90	93	88	77	72	69
ქულა	3,14	3,25	3,73	3,83	3,89	3,81	3,86	3,95	4,07	5,15	4,22

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა 72-ე ადგილიდან 69-ზე გადმოინაცვლა.

ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი

ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების მართვის შესახებ სახელმწიფო, სამოქალაქო და განვითარებად ორგანიზაციებში.

ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი არის საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც ანალიზებს და შეფასებას უკეთებს ქვეყანაში განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს.

გერმანიაში არის Bertelsmann Foundation ყველაზე დიდი, კერძო, მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაცია რომლის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს რეფორმებსა და დემოკრატიის განვითარებას, განსაკუთრებით სახელმწიფო, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში.

ტრანსფორმაციის ინდექსი არის საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც აანალიზებს და შეფასებას უკეთებს ქვეყანაში განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს იგი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების მართვის შესახებ სახელმწიფო, სამოქალაქო და განვითარებად ორგანიზაციებში.

ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი მოიცავს 128 ქვეყანას. რაოდენობრივი მონაცემები ქვეყნებს რანგირებას უკეთებს ორი მიმართულებით:

- მენეჯმენტის ინდექსი;
- მდგომარეობის ინდექსი.

მენეჯმენტის ინდექსი განიხილავს და აფასებს ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებს, რომელიც იძლევა ინფორმაციას სახელმწიფოების წარმატებებისა თუ წარუმატებლობების შესახებ. მენეჯმენტის ინდექსის ქულა წარმოადგენს ოთხი ძირითადი კრიტერიუმის საშუალ მაჩვენებელს, რომელიც დაფუძნებულია 14 შეკითხვაზე და გამოიყენება პოლიტიკური მენეჯმენტის ხარისხის შეფასებისას. ინდექსი ზომავს სირთულის ხარისხს:

- მართვის უნარები;
- რესურსების ეფექტიანობა;
- კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობა

სირთულის ხარისხი აფასებს ტრანსფორმაციის მენეჯმენტის ხარისხის ფორმირებას თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურული მდგომარეობის გათვალისწინებით სტრუქტურული მდგომარეობებია:

- სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციები;
- კონფლიქტთა ინტენსივობა და განათლების დონე;
- ეკონომიკური მდგომარეობა;
- ინსტიტუციური შესაძლებლობა.

რაც უფრო მცირეა ქვეყნის სტრუქტურული მდგომარეობა და შეზღუდულია მისი შესაძლო რესურსები, მენეჯმენტის ინდექსში მით უფრო მაღალი ქულით ფასდება კარგი მმართველობა.

მდგომარეობის ინდექსი უჩვენებს ქვეყნის მიერ მიღწეულ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების დონეს.

მდგომარეობის ინდექსის ქულა წარმოადგენს „პოლიტიკური ტრანსფორმაციისა“ და „ეკონომიკური ტრანსფორმაციის“ ინდექსების საშუალო ქულას ამ ორი კრიტერიუმისათვის საჭირო საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება ზუსტი, დაუმრგვალებელი ქულების მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, მიიღება ხუთი პოლიტიკური და შვიდი ეკონომიკური კრიტერიუმისგან.

პოლიტიკური ტრანსფორმაცის სტატუსის ინდექსი: დემოკრატია გამოითვლება 5 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც დამყარებულია ტრანსფორმაციის პროცესის შემფასებელ ინდიკატორზე:

- სახელმწიფოებრიობა;
- პოლიტიკური ჩართულობა;
- კანონის უზენაესობა;
- დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობა;
- პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის სტატუსის ინდექსი საბაზრო ეკონომიკა - გამოითვლება 7 კრიტერიუმის მიხედვით:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე;
- ბაზრისა და კონკურენციის სტრუქტურა;
- სავალუტო კურსი და ფასების სტაბილურობა;
- კერძო საკუთრება;
- კეთილდღეობის რეჟიმი;
- ეკონომიკური მდგომარეობა;
- მდგრადი განვითარება.

კორუფციის აღქმის ინდექსი

კლასიკური გაგებით კორუფცია განმარტებულია როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მისაღებად. კორუფციამ, როგორც უკანონო ქმედებამ ახალი თვისებები და ფორმები შეიძინა, შეიძლება ითქვას, იგი გლობალიზაციის პარალელურად განვითარდა, უფრო „სრულყოფილი“ და მრავალწახნაგოვანი გახდა. კორუფციად ითვლება ყველა ის ქმედება, რომელიც მიმართულია დაუმსახურებელი, უკანონო ნებისმიერი სახის ეკონომიკური და ინტელექტუალური სარგებლის მიღებასთან. ასეთ ქმედებებად მიჩნეულია ქრთამის აღება და მიცემა, ნეპოტიზმი, ანგარებითი ლობიზმი, ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა, პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსება, გამოძალვა, სახელმწიფო მოხელეებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემა, სახელმწიფო

შესყიდვების განხორციელება ნეპოტიზმის ნიშნით, ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა და სხვა ქმედებები, რომლითაც შესაძლებელია არაკანონიერი მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა სახის სარგებლის მიღება. დღეისათვის კორუფციის ოთხ ძირითად სახეს განიხილავენ:

- საყოფაცხოვრებო კორუფცია,
- საქმიანი კორუფცია,
- უმაღლესი ხელისუფლების (ელიტარული) კორუფცია,
- პოლიტიკური კორუფცია.

კორუფციის აღქმის ინდექსი მოიცავს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობა) როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანგირებას კორუფციის აღქმის მიხედვით.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ (Transparency International) – 2005 წელს 130-ე ადგილიდან 2014 წელს 52-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ცხრილი 4 „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (Transparency International) – 2005-2014 წწ

წლები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ქულა	130	99	79	67	66	68	64	52	49	52

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ (Transparency International) – 2005 წელს 130-ე ადგილიდან 2014 წელს 52-ე ადგილზე გადაინაცვლა. როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოში კორუფციის აღქმის დონე ბოლო სამი წლის მანძილზე სტაბილურია და ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი ან უკუსვლა არ მომხდარა. 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, კორუფციის აღქმის მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დაბალია დანიაში (92 ქულა), ახალ ზელანდიასა (91 ქულა) და ფინეთში (89 ქულა), კორუფციის აღქმის ყველაზე მაღალი დონე კი ჩრდილოეთ კორეასა და სომალიში დაფიქსირდა (8 ქულა).

საქართველოს მაჩვენებელი (52 ქულა და 50-ე ადგილი) საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის. ამავე დროს, საქართველოს უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოს: ჩეხეთს, სლოვაკეთს, ხორვატიას, ბულგარეთს, საბერძნეთს, იტალიას და რუმინეთს. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს შორის საქართველოზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ ესტონეთს, პოლონეთს, ლიტვას, სლოვენიას, ლატვიას და უნგრეთს.

ზემოთ ჩამოთვლილი ინდექსების გამოყენება არ ცვლის ცხოვრების დონის ან ცხოვრების ხარისხის შეფასების ფუნდამენტალურ მაჩვენებლებს, ამ ინდექსების არსებობა პირველ რიგში აიხსნება სურვილით დაანახონ სხვადასხვა სახელმწიფოებს მათი რეალური პრობლემები და ამდენად, პოლიტიკური ნება და ძალისხმევა მიმართული იქნას სწორედ ამ პრობლემების მოგვარებაზე. სხვა საკითხია თუ როგორ დასკვნებს გააკეთებენ სხვადასხვა სახელმწიფოები და როგორი მიმართულებით წარმართავენ თავიანთ ძალისხმევას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012.
2. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ., 2010.
3. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009.
4. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა, თბ., 2011.
5. ჯოლია გ., საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2005.
6. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, 4-е изд., Пер. сангл., под ред. А. Г. Медведева, СПБ.: Питер, 2006.
7. www. heritage foundation bec.ge/images/doc/information
8. www.geostat.ge
9. www.economy.ge
10. www.nbg.gov.ge

ლარის გაუფასურების ასპექტები

მირანდა ყაჩლავაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

თანამედროვე სამყაროში, როდესაც ეკონომიკური სიტუაცია სულ უფრო და უფრო იცვლება, რთული გახდა კონტროლის მექანიზმების სწორად შერჩევა და ეროვნული ეკონომიკის სისტემის დაცვა. დღეს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა და, შესაბამისად, მისი ვალუტა მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე. წარმოუდგენელია ღია ეკონომიკა იმპორტის და ექსპორტის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების და ვაჭრობის გარეშე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის კურსზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთი საერთაშორისო ვალუტას, როგორიცაა დოლარი. მოგეხსენებათ რომ იგი მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობაში წამყვანი ანგარიშსწორების ვალუტაა და მისი გამყარება ან პირიქით ინფლაცია დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის დონე მაღალია. შესაბამისად, დოლარის მიმართ ლარის გაუფასურებას დიდი გავლენა აქვს სხვადასხვა ეკონომიკურ პროცესზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამიტომ წარმოდგენილ თემაში შევეცდები წარმოვადგინო ის ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო და გააღრმავა ეს პროცესი.

საქართველოში ლარის ინფლაციის პროცესი 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც გრძელდება. ინფლაცია არის ბაზარზე არსებული ფულის მასისა და ქვეყანაში ბაზარზე არსებულ პროდუქტებს შორის თანაფარდობის დარღვევა, ფულის მასის ზრდის, ან პროდუქტების რაოდენობის შემცირების შედეგად. ვითარების დასარეგულირებლად ხელოვნური ჩარევა გახდა საჭირო, 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა მიმოქცევაში არ გავიდა, რათა ეს პროცესი უფრო არ გაღრმავებულიყო. არაერთხელ დასახელდა ინფლაციის გამომწვევი მიზეზები. ინფლაცია სხვადასხვა ფაქტორს დაბრალდა - საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობსა და ხორბალზე ფასის ზრდას, რასაც, შესაბამისად, სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვა. რეალურად კი, საერთაშორისო სტანდარტებით და განმარტებებით, ინფლაციის მიზეზი ფულის მასის ზრდაა. ანუ, როდესაც ბაზარზე ფულის მასა იზრდება, მოსახლეობას მეტი ფული უჩნდება. თუ პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდება იმდენად არ გაიზრდება, რამდენადაც გაიზარდა ფულის მასა, მაშინ ფასები მოიმატებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ეროვნული თუ ნაციონალური ბანკის ძირითადი ამოცანაა და მან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ყველა დასაშვები და შესაძლებელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს.

საქართველოს ეროვნულ ვალუტად ლარი 1995 წლის 2 ოქტომბერს გამოცხადდა. ამ ხნის განმავლობაში ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თავისი ბიოგრაფიის მანძილზე, 1999 წელს, ლარის ისტორიაში გაუფასურების მაქსიმუმი დაფიქსირდა. 1 დოლარი ორი ლარი და 45 თეთრი ღირდა. ლარი დოლართან მიმართებაში ყველაზე მყარი მიმოქცევაში ჩაშვებიდან პირველი სამი წლის მანძილზე იყო. (1995,1996, 1997 წლებში) მაშინ ასი დოლარი 128 ლარი ღირდა. ლარი საწყის ნიშნულს თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია. დღეს კი, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ მისი გაუფასურება წარმოადგენს. 2015 წლის მაისში წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან), 3.5 % იყო, რაც ჯერჯერობით 2015 წლის ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 2.7 % შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, 3.9%-ით გაძვირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი. ამ ჯგუფში ფასების ზრდამ ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1.19%-ული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასებმა ყველაზე მეტად მოიმატა ხილსა და ყურძენზე - 27%. ასევე, ზეთისა და ცხიმის ქვეჯგუფზე - 9.1%. 6.6%-ით გაიზარდა ფასები ჯანმრთელობის დაცვის სექტორზე, სადაც ყველაზე მეტად - 13%-ით ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე. ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ღირებულება კი 4.9%-ით არის გაზრდილი.

ჩვენი ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკიდან გამომდინარე იგი მტკივნეულ საკითხად რჩება, რადგან მან უკვე დააზარალა მოსახლეობა. დღეს, როდესაც კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებში დოლარს საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს, მისი გამყარება ტვირთად აწვება მოსახლეობას.

ლარის კურსის გაუფასურება ფასებზეც უარყოფითად მოქმედებს, რაც განსაკუთრებით აზარალებს მოსახლეობას.

გასული წლის ბოლო კვარტალში ექსპორტის და ფულადი გზავნილების კლების, იმპორტის ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ამ ყველაფერმა იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ზრდა გასულ წლებთან შედარებით გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, ლარი დევალვაციის რეჟიმში გადაიყვანა. ამას დაემატა დოლარის ინდექსის მნიშვნელოვანი ზრდა და მისი გამყარება მსოფლიოს ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ.

ინფლაციას, ჩვეულებრივ, მაღალი უმუშევრობა იწვევს, რასაც შედეგად მოთხოვნის კლება მოჰყვება და შესაბამისად, რეცესიის წინაპირობას აჩენს. უმუშევრობა, უფრო სწორად ფორმალური დასაქმება, ხანგრძლივი პრობლემაა საქართველოს რეალობაში. მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ 32%-ია ფორმალურად დასაქმებული, ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს. საერთაშორისო საგარეო ვაჭრობა, ქვეყნის მწარმოებლურობის დონე, ინვესტიციები, ტურიზმი, საგარეო ვალის მართვა - ეს ის მთავარი ფაქტორებია რამაც ჩემი აზრით ხელი შეუწყო ეროვნული კურის ინფლაციას. განვიხილოთ თითოეული ფაქტორი.

ზოგადად, ქვეყანა მაშინ უმკლავდება ეკონომიკურ პრობლემებს, როდესაც მისი მწარმოებლურობის დონე მაღალია,. რა თქმა უნდა, შორის ვარ იმ აზრისგან, რომ ლარი ამ ეტაპზე ჰიპერინფლაციას განიცდის, მაგრამ მისი გაუფასურება უფრო მეტ ტვირთად აწვება მოსახლეობას. 2015 წლის მაისში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 271,6 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 14.2 ლარით მეტია. განვიხილოთ თითოეული ფაქტორი, რამაც გავლენა მოახდინა ლარის კურსის ცვლილებაზე.

დღეს წარმოუდგენელია ისეთი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც არაა ჩაბმული საგარეო ვაჭრობაში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, მეტიც, ქვეყანა ცდილობს სულ უფრო მეტი ბაზრების ათვისებას. ამის მაგალითია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“. თუმცა, ჯერჯერობით, მთელი რიგი პრობლემების გამო, ვერ ახერხებს თავისი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანას. ამ ეტაპზე კი იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს. საქსტატის მონაცემებით, 2015 წლის მაისში იმპორტი გაიზარდა და შეადგინა 707.4 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა კი 194.9 აშს დოლარი.

ლარის კურსზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ინვესტიციების რაოდენობაც. 2015 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ $175 მილიონი შეადგინა, რაც 2014 წლის მონაცემებთან შედარებით 34%-ით ნაკლებია. ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი, $59 მილიონი, აზერბაიჯანიდან შემოვიდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 20%-ით აღემატება. აზერბაიჯანის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 34%-ს შეადგენს. ინვესტიციების ნაკადი შემცირებულია: ნიდერლანდებიდან (-72%), თურქეთიდან (-10%) და გაერთიანებული სამეფოდან (-65%).

სტატისტიკური ინფორმაციით 2015 წლის I კვარტალში საქართველოში 798.6 ათასი ტურისტი შემოვიდა, აღნიშნული მაჩვენებელი კი 2014 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებზე ნაკლებია. ტურიზმის სფეროს განვითარება და ტურისტების რაოდენობის ზრდა, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არაა ის სფერო, რასაც ქვეყნის ეკონომიკა უნდა ემყარებოდეს. არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ტურიზმის ზრდა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკონომიკას, გამოსავალი ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდაში, სწორ ფინანსურ პოლიტიკასა და ჯანსაღი გარემოს შექმნაში უნდა ვეძიოთ.

2015 წლის პირველი კვარტლის ბოლო ინფლაციის დონემ 2,6% შეადგინა. საერთო ჯამში, სამ თვეში ფასების დონემ 1.5%-ით იმატა. აპრილის თვეში კი წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ 0,3%-ით შეადგინა, ანუ 2015 წლის პირველ 4 თვეში ფასების დონე 1,8%-ით გაიზარდა. 2014 წლის აპრილთან შედარებით ინფლაციის დონე 2,5%-ით განისაზღვრა. საქართველოს ეროვნული ბანკი წლის ბოლომდე ინფლაციის მაჩვენებლის 5%-მდე გაზრდას პროგნოზირებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი პროგნოზს 3%-ის დონეზე აკეთებს. 2015 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილების წმინდა შემოდინებამ 207 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 27%-ით ნაკლებია 2014 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე (285 მლნ.). მიმდინარე წელს, იანვრიდან აპრილის ჩათვლით ლარის ნომინალური ეფექტური კურსი გაუფასურდა 4,7%-ით. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი იანვარ-მარტის პერიოდში 3,2%-ით გაუფასურდა.

მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- ტრანსპორტი: წინა თვესთან შედარებით ფასები გაიზარდა 1,8 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,20 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (1,7 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (2,1 პროცენტი);
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 1,0 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,06 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელების ქვეჯგუფზე (1,7 პროცენტი);
- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0,3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,08 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა რძის, ყველის და კვერცხის ქვეჯგუფზე (-2,7 პროცენტი) და ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-2,6 პროცენტი). ამასთან ფასები გაიზარდა ხილსა და ყურძენზე (5,2 პროცენტი).
- ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,65 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (8,9 პროცენტი), ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებასა (5,6 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურებაზე (4,6 პროცენტი);
- ფულადი გზავნილების სახით ყოველწლიურად დიდი მოცულობის უცხოური ვალუტა შემოედინება ქვეყანაში, რაც ადგილობრივი ვალუტის სიმყარის მნიშვნელოვანი გარანტიაა. გასული წლის ბოლოდან ამ მაჩვენებელმა კლება დაიწყო, დიდწილად რუსეთის ხარჯზე, სადაც ვალუტის დევალვაციის გამო მნიშვნელოვანი პრობლემა შეიქმნა გადმორიცხვების კუთხით.

რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველ კვარტალს, იმ ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება, რომლებმაც ლარის კურსზე მოახდინეს და ახდენენ გავლენას, მნიშვნელოვნად შერბილებულია. კერძოდ:

1) არ არის გაზრდილი ფულის მასა;
2) იმპორტის კლების ტემპი ზრდადია, ანუ მცირდება უცხოური ვალუტის გადინების ტემპი;
3) არ ღრმავდება ექსპორტის კლება;
4) რუსული რუბლის ბოლოდროინდელი სტაბილიზაციის შედეგად გარკვეული გაუმჯობესებაა გზავნილების კუთხით;
5) არ ფიქსირდება საბიუჯეტო ზეწოლა ლარზე;
6) მიმდინარე ეტაპზე დოლარის ინდექსი აღარ იზრდება, მცირედით შემცირდა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი ახლა გაუფასურებულია, შეიძლება ითქვას, რომ ეს არაა ჰიპერინფლაცია. ეროვნული ბანკის და მთავრობის სწორი მონეტარული და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას გადაჭრას ეს პრობლემა. ინვესტიციების მოზიდვა, სწორი მონეტარული პოლიტიკა, ექსპორტ-იმპორტი, მწარმოებლურობის ზრდა, ეს ის ძირითადი მიმართულებებია. რამაც ჩემი აზრით უნდა გაამყაროს ლარი. მართალია საგარეო ფაქტორებს ვერ უგულებელვყოფთ, მაგრამ მისი გავლენის შემცირება ეკონომიკის გაჯანსაღებით არის შესაძლებელი.

ინტერნეტ-რესურსები:
1. www.geostat.ge
2. http://www.tabula.ge
3. http://forbes.ge
4. www.nbg.gov.ge

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკისათვის

ნატალია ჩოჩიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. 2012 წლის მეორე კვარტლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011

წლის მონაცემთან შედარებით, 252 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა. ბოლო წლების სტაბილური გაუმჯობესების შემდეგ, ეს კლება სერიოზული შეშფოთების საგანია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2003-2012) წყარო: www.geostat.ge



ფულადი გზავნილებისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მგრძნობიარეა შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ. საერთაშორისო ექსპერტების უმეტესობის აზრით, 2008 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს შორის. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დანაკარგების თვალსაზრისით, ეს კრიზისი ბევრად უარესი იყო 1980-იანი წლების ლათინური ამერიკის სავალო კრიზისზე, 1990-იანი წლების აზიის ფინანსურ კრიზისზე და იმ ჩავარდნაზე, რომელიც საფინანსო ბაზრებზე 9 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ აღინიშნა. კრიზისის შემდგომი რეცესიის ერთ-ერთი შედეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ვარდნა იყო მსოფლიო მასშტაბით. ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საგარეო ინვესტიციებისთვის - 2008 წლიდან მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელებამ მიმზიდველობა დაუკარგა მნიშვნელოვან ბაზრებს უცხოელი ინვესტორებისთვის და შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა. თუმცა, 2011 წელს, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ანგარიშში გლობალური ტენდენციების გაუმჯობესება აღინიშნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 17%-ით გაიზარდა, რამაც UNCTAD-სა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს საფუძველი მისცა ევარაუდათ, რომ ეს გლობალური რეცესიის დასასრულის დასაწყისი იყო. ეს ტენდენცია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27%-იანი მატებით გამოიხატა, წინა, 2010 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით. თუმცა 2012-ში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიო მასშტაბით ისევ შემცირდა - 18%-ით, აღმოსავლეთ ევროპის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ეკონომიკებსა და საქართველოში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ 28% შეადგინა.

ეკონომიკის ყველა სექტორს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბოლოდროინდელი კლება თანაბრად არ შეხებია. წარმოდგენილ გრაფიკში ჩანს მნიშვნელოვანი ზრდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორსა (18%) და მრეწველობაში (59%). მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება პოსტ-კრიზისულ პერიოდშიც გაგრძელდა, თუმცა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ამ ნაკადებმა 2012 წელს მხოლოდ 2008 წლის მოცულობის 35% შეადგინა. ყველაზე დიდი ვარდნა სამთო-მომპოვებელ, უძრავი ქონებისა და საკონსულტაციო მომსახურების სექტორებში აღინიშნა: 2011 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითოეულ ამ სექტორში 50%-ზე მეტით შემცირდა. 2012 წელს უძრავი ქონების სექტორში შემოსულმა ინვესტიციებმა 2008 წლის მოცულობის მხოლოდ 10% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ ჭრილში წყარო: www.geostat.ge



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მგრძნობელობის გათვალისწინებით გლობალური შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ, ადვილი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება გლობალური ტენდენციების შედეგია; რომ, როგორც UNCTAD-ი განმარტავს, განვითარებული ქვეყნები საკუთარ პრობლემებთან გამკლავებაზე არიან ფოკუსირებულები და გარდამავალი ეკონომიკები უბრალოდ სუსტი საგარეო მოთხოვნის შედეგად ზარალდებიან. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში, ეკონომიკურმა დაღმასვლამ სხვადასხვაგვარად იმოქმედა განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკებში ჩადებულ ინვესტიციებზე. 2011 წელს ზრდა საყოველთაო იყო, მაგრამ 2012-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება არათანაბრად მოხდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გლობალური შემცირება ძირითადად აშშ-ში და იმ ევროპულ ქვეყნებში აღინიშნა, რომლებსაც ევროზონის კრიზისი ყველაზე მეტად შეეხო. ეს კლება, ერთად აღებული, იმდენად სერიოზული იყო, რომ გლობალური აგრეგირებული მონაცემები შეამცირა. ამასობაში, და პირველად ისტორიაში, განვითარებადი სამყაროს წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში განვითარებული ქვეყნებისას აღემატებოდა, ხოლო საქართველოს მეზობელ თურქეთში (რომელიც საქართველოში ფულადი გზავნილების ერთ-ერთი მსხვილი წყაროა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები თანმიმდევრულად მატულობდა.

ყველა ინვესტიცია, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომავალზე ორიენტირებული აქტივობაა, რომელიც ემყარება მომავალი მოგების მოლოდინს და ამ მოგების მიღების რწმენას. ამიტომ, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებაზე გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის გულისხმობს ამ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური მომავლის შეფასებას. მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა ორი მთავარი რისკის არსებობას ნიშნავს, რომლებიც ინვესტორმა ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტის ანალიზის დროს უნდა გაითვალისწინოს. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში. პირველი რისკი შიდა არასტაბილურობას ან კონფლიქტს უკავშირდება, რამაც, შესაძლოა, საქმიანობის მომგებიანობა შეამციროს იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ტიპის რისკი არსებობს, ვინაიდან შეიძლება საფრთხე შეექმნას გაყიდვებსა და ექსპორტს, შეჩერდეს წარმოება, ანდა დაზიანდეს რესურსები. მეორე რისკი არის ის, რომ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, შესაძლოა, ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე იმოქმედოს, რაც შეამცირებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებული აქტივების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ მოსალოდნელ მოგებას ინვესტიციაზე. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალურ ბაზარზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებასთან ერთად, საქართველოს პოლიტიკური მომავლის გაურკვევლობამ, რაც 2012 წლის არჩევნებითა და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობებით

იყო გამოწვეული, პოტენციური ინვესტორები კიდევ უფრო დააფრთხო. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება განსაკუთრებით 2012 წლის მესამე და მეოთხე კვარტლებში შემცირდა.

სულ უფრო მეტი ნაკლებგანვითარებული ქვეყანა ახორციელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდ პოლიტიკას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კონკურენციას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას ისწრაფვიან. ამრიგად, საქართველოს მოუწევს ბევრად უფრო აგრესიული პოლიტიკის განხორციელება ინვესტიციების მოსაზიდად და, ამ შემთხვევაშიც, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზრდება სანამ დასავლეთი რეცესიაშია. ამასობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალმა დონემ, შესაძლოა, ადგილობრივი დანაზოგების ზრდა წაახალისოს, რაც მთლიანი კაპიტალის ფორმირებას დაემატება; მთლიანი კაპიტალის ფორმირება კი დადებით კორელაციაშია ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან. როდესაც კაპიტალის შემოდინება მცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნა ფულზე ნარჩუნდება ან იზრდება, იზრდება ფასი რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი დანაზოგების სტიმულირებას ახდენს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი კაპიტალის ფორმირება
წყარო: www. geostat.ge



გარდა ამისა, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთჯერად, მსხვილ ინვესტიციებზე. გრაფიკიდან ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი კონტრიბუტორი გერმანიაა, თუმცა წინა წლებში ეს ასე არ იყო. 2005–2011 წლებში გერმანიის წლიური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში საშუალოდ 26 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გერმანიის მიერ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებული 142 მილიონი აშშ დოლარის 18%-ს შეადგენს. 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50% საქართველოში ოთხი სხვადასხვა წყაროდან შემოვიდა, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49% ხუთი წყაროდან, მაგალითად, 2011 წელს ისევე, როგორც 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 22% მხოლოდ ერთ ქვეყანაზე მოდიოდა - ჰოლანდიასა (2011-ში) და გაერთიანებულ არაბთა საემიროებზე (2009-ში). ჰოლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი იშვიათად ყოფილა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 5%-ზე ნაკლები, ამ ქვეყნების წილი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მერყეობდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით
წყარო: www.geostat.ge



ლიტერატურა:
1. ქ. ჯღანჯღავა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გლობალურ ბიზნესში, თბ., 2013.
2. გ. ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, მონოგრაფია, თბ., 2013.

ინტერნეტ-რესურსები:
1. HTTPS://IDFI.GE/GE/GEORGIA-2020-AND-FOREIGN-DIRECT-INVESTMENTS
საქართველო 2020 და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 6 იანვარი 2015
2. HTTP://WWW.EPRC.GE/INDEX.PHP?A=MAIN&PID=221&LANG=GEO
პირდაპირი ინვესტიციები, როგორც საზომი 14 მაისი, 2013
3. HTTP://WWW.GEOSTAT.GE/?ACTION=PAGE&P_ID=124&LANG=GEO
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015 წლის იანვარი-მაისი 2015-06-22

გარე მიგრაციის როლი საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში

მეგი ხაჩიძე, ლელა აჩელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** პროფესორი

ადამიანის ისტორია არცერთ მოვლენას არ შეუცვლია ისე მკვეთრად, როგორც მიგრაციას. მისი გავლენა აშკარაა ჩვენს ტურბულენტურ, მულტი-ეთნიკურ საზოგადოებაში. იმიგრაცია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე იყო ახალი იდეების, დემოგრაფიული ენერგიის, მეცნიერული და სულიერი ფასეულობების გადამტანი - რაც იწვევდა ადამიანის ყოფიერების უკეთესობისაკენ შეცვლას. მიგრაცია

კაცობრიობის პროგრესის საფუძველია, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კონტინენტების, კუნძულების ათვისება, არ შეიქმნებოდა ცოდნა თავდაპირველი ოიკუმენეს გარეთ არსებულ გეოგრაფიულ გარემოზე, ადამიანი ვერ შეიქმნიდა უკეთეს საცხოვრებელ პირობებს, ვერ განვითარდებოდა. მიგრაციული ნაკადები დედამიწის ცალკეული უბნების კლიმატის გაუარესების, მომთაბარეთათვის რეგიონის რესურსების ამოწურვის პერიოდებს ემთხვეოდა - მის აუცილებელ პირობას საზღვრების გახსნილობა წარმოადგენს, თუმცა მიგრაციული პროცესები არასოდეს შეწყვეტილა. კაცობრიობის ისტორიაში მიგრაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების დამადასტურებელი უამრავი ფაქტი მოიძებნება - ზოგიერთი მიგრაციული ნაკადი უბრალოდ ფიზიკურად ანადგურებდა განვითარებულ ცივილიზაციებს, რომელიც ხშირად წინ ვერ აღუდგებოდა ხისტ და უზარმაზარი დემოგრაფიული შესაძლებლობების ძალას.

გარე მიგრაციას დიდი როლი აქვს შესრულებული საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში. ჩვენ საშუალება გვაქვს გავეცნოთ ამ პროცესის ტენდენციებს XIX საუკუნის დასაწყისიდან. ამ პერიოდისათვის, ქვეყანა საუკუნეების მანძილზე, მტრის გამუდმებული შემოსევებისაგან იყო გაპარტახებული და სისხლისაგან დაცლილი. ტერიტორიების საკმაო ნაწილი წარმოადგენდა მცირედ დასახლებულს, ან საერთოდ დაუსახლებელს, რაც შესაფერის პირობას ქმნიდა სხვა ქვეყნებიდან მოსახლეობის ჩამოსახლებისათვის. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობა 1800 წლისთვის პ. გუგუშვილის მიერ შეფასებულია 675,0 ათასი მცხოვრებით, ვ. ჯაოშვილის მიერ - 784,7 ათასით, ხოლო კ. ანთაძის მიერ - 850,0 ათასით.

საქართველოს ანექსიის შემდეგ, XIX საუკუნის განმავლობაში, რუსეთის იმპერიის მიგრაციული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში გამოიხატებოდა რუსეთიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან მოსახლეობის ჩამოსახლებაში. შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, ბუნებრივი და მიგრაციული მატების შედეგად, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში მილიონ მცხოვრებზე მეტით გაიზარდა და საუკუნის ბოლოს, 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით 1894,0 ათასს მიაღწია.

არსებობს საქართველოს XIX საუკუნის მოსახლეობის ფორმირებაში გარე მიგრაციის გავლენის შეფასების მეთოდი: მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება მოსახლეობის გარედან შემოსვლის შედეგად. XIX საუკუნეში შემცირდა სატიტულო (ქართველები, აფხაზები) და გაიზარდა არატიტულოვანი მოსახლეობის როგორც აბსოლუტური რიცხოვნობა, ისე ხვედრითი წილი. პ. გუგუშვილის მონაცემებით, 1800-1897 წლებში, ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში, 89,0-დან 67,9%-მდე, ხოლო აფხაზების ხვედრითი წილი 6,6-დან 2,2%-მდე შემცირდა. სამაგიეროდ, ოსების ხვედრითი წილი 3,7-დან გაიზარდა 4,2%-მდე, სომხების - 6.0-დან 10,3%-მდე, აზერბაიჯანელების (თურქების და სპარსელების ჩათვლით) – 3,8-დან 4,2%-მდე, ბერძნების - 0,1-დან 2,0%-მდე (500-დან 38,5 ათასამდე). შესაბამისად, ბერძნების რიცხვი საქართველოში XIX საუკუნეში გაიზარდა 77-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ რუსების და გერმანელების რიცხოვნობა საქართველოში სტატისტიკურ მნიშვნელობას აღწევს XIX საუკუნის შუა ხანებში. 1865-1897 წლებში 25,9 ათასიდან გაიზარდა 101,0 ათასამდე, ე.ი. 4-ჯერ, ხოლო გერმანელების რიცხოვნობა 4,2-დან 7,4 ათასამდე, ე.ი. 1,8-ჯერ.

იმავდროულად, XIX საუკუნეში, საქართველომ დაკარგა მოსახლეობა ემიგრაციის შედეგად. 1866 წლის აფხაზეთის აჯანყების, ასევე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომის შემდეგ, თურქეთთან კავშირის ბრალდებით აფხაზების დაახლოებით ნახევარს, 22 ათასს, რუსებმა აიძულეს დაეტოვებინა სამშობლო, რაც საქართველოს ისტორიაში მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. თუ 1800-1865 წლებში აფხაზების რიცხოვნობა საქართველოში 52,0 ათასიდან გაიზარდა 60,0 ათასამდე, მუჰაჯირობის შედეგად ის შემცირდა 38,0 ათასამდე. ვ. ჯაოშვილის ცნობით, „იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზების დაახლოებით ნახევარი 1866-1878 წწ. თურქეთში გადასახლდა, მთელი რიგი სოფლები სრულიად დაცლილი იყო. მალე დაიწყო ამ მიწებზე გარედან მოსული ემიგრანტების ჩასახლება. მნიშვნელოვან კონტინგენტებს ჩასახლებულებიდან შეადგენდნენ თურქეთიდან მოსული სომხები და ბერძნები, რომლებიც სახლდებოდნენ დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის და გაგრის რაიონების ტერიტორიაზე; ჩამოსახლდნენ რუსები და ესტონელები, შეივსო აგრეთვე მკვიდრი ქართველების რიცხვი სხვადასხვა კუთხიდან, უპირატესად სამეგრელოდან და სვანეთიდან.“

1990-იან წლებში, აფხაზების გარუსებულმა მცირე ნაწილმა, აღნიშნული ფაქტები ქართველებს აფხაზეთის დემოგრაფიულ ანექსიად ჩაგვითვალეს. ამ პერიოდის (1992) კონფლიქტში, აფხაზების სახელს ამოფარებულმა რუსეთმა კი მოახდინა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდა. 300 ათას ქართველს დაატოვებინეს აფხაზეთის ტერიტორია, გაწმინდეს ქართველებისაგან. 2008 წელს

რუსეთმა აღიარა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და, ფაქტობრივად, მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია.

XIX საუკუნის პირველ მესამედში მოსახლეობის აბსოლუტური მატების 25,0% მოდიოდა მიგრაციულ მატებაზე. შემდგომში, მიგრაციის როლი გაიზარდა. XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული მატების შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველების რიცხოვნობა იზრდებოდა მხოლოდ ბუნებრივი მატების, ხოლო **არაქართველების** რიცხოვნობა - როგორც ბუნებრივი, ისე მიგრაციული მატების ხარჯზე. შესაბამისი გაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

ქართველი და არაქართველი მოსახლეობის მატება XIX საუკუნეში

	რიცხოვნობა, ათასი მცხოვრები		1800-1897	
	1800	1897	აბსოლუტური მატება	ზრდის ტემპი
ქართველები არაქართველები	600 75	1310 619	710 544	2,2 8,3
სულ	675	1919	1244	2,8

ვხედავთ, რომ საუკუნის მანძილზე ქართველების რიცხოვნობა გაიზარდა 2,2-ჯერ, ხოლო არაქართველების 8,3-ჯერ. XIX საუკუნეში, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული მატება 454 ათასი მცხოვრების ტოლია, რაც ამ პერიოდის მოსახლეობის საერთო მატების 36,5% შეადგენს.

საქართველოს დემოგრაფიული ათვისება-კოლონიზაცია გარედან მოსახლეობის ჩამოსახლების საშუალებით, განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის 30-იან წლებში, რაც რუსეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა.

1897-1939 წლებში, საქართველოს მოსახლეობა მიგრაციული მატებით გაიზარდა 314,2 ათასით, რაც ამ პერიოდის მოსახლეობის მთელი მატების, 1611 ათასის - 19,5% შეადგენს. ამის შედეგად, ქართველების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში, 67,9%-დან 1897 წელს, შემცირდა 61,4%-მდე 1939 წლისთვის. ეს არის ქართველების ხვედრითი წილის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს მთელ ისტორიაში.

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის შესაფასებლად 1939 წლიდან 1950 წლის ჩათვლით, არანაირი მეტ-ნაკლებად სანდო სტატისტიკა არ გაგვაჩნია. მართალია, 1941-1945 წლებში საქართველოში ევაკუირებული იყო გარკვეული რიცხოვნობის მოსახლეობა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ომის დამთავრების შემდეგ მათი უდიდესი ნაწილი უკან დაბრუნდა. შესაბამისად, საქართველოს მიგრაციული მატება 1939-1950 წლებში შეიძლება მივიღოთ 0-ის ტოლად, თუმცა რუსების ხვედრი წილი საქართველოში 1939-1959 წლებში 8,7-დან 10.1 %-მდე მიგრაციით მაინც გაიზარდა, მაგრამ შემცირდა სხვა არასატიტულო ერების ხვედრი წილი, ხოლო ქართველების ხვედრი წილი - 61,4-დან გაიზარდა 64,3%-მდე.

გასულ საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება საქართველოდან მოსახლეობის უფრო ინტენსიური გასვლა, ვიდრე შემოსვლა. აღნიშნულის მიზეზი იყო საქართველოში ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი დაცემა. ქართველ მეცნიერთა გამოთვლებით 1955-1985 წლებში, ცხოვრების დონის იმდროინდელი ძირითადი მაჩვენებელი, ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, საბჭოთა კავშირში დაახლოებით 30.0%-ით აღემატებოდა საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს, რაც საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული კლების ძირითადი მიზეზი გახდა.

წლები	მიგრაციული კლება (ათასი, მცხოვრები)
1950-1959	-81
1960-1970	-67,0
1971-198	-148,9
1981-1990	-93,3
1991-2000	-1082,4
2001-2008-38,9	
სულ 1950-2008	-1512,4

შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული კლება ასახავს საქართველოს ეკონომიკური დაცემის ტენდენციებს. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, საქართველოდან ემიგრაციის მიზეზად, ეკონომიკური ჩამორჩენილობის გარდა მიუთითებენ II მსოფლიო ომთან შედარებით, სოფლის მოსახლეობის ქალაქად თითქმის ორჯერ გაზრდილი ინტენსივობით გადასვლაზე, რის შედეგადაც საქართველოს ქალაქები უზრუნველყოფილნი იქნენ სამუშაო ძალით და მათი შემოსვლა სხვა რესპუბლიკებიდან აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.

1990-იანი წლების შემდეგ, საქართველოში გამეფდა საყოველთაო კრიზისი. შედეგად მივიღეთ თავისი მასშტაბებით საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის არნახული ემიგრაცია. 1991-2000 წლებში, საქართველოს მიგრაციულმა კლებამ შეადგინა 1082,4 ათასი მცხოვრები, რაც 1950-2007 წლების მიგრაციული კლების 71,6% შეადგენს. საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის პიკი მოდიოდა 1992-1995 წლებზე. თავდაპირველად, ემიგრაციის ვექტორი გადიოდა რუსეთზე და თურქეთზე. რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ, ხოლო თურქეთში სამუშაო ძალის დაბალმა ფასმა, გამოიწვია მისი თანდათან შეცვლა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ.

ცხადია, რომ 1990 წლის შემდეგ 5.4 მილიონიანი ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანის წასვლას ქვეყნის მიგრაციული პოტენციალი უნდა შეესუსტებინა. მაგრამ, 2000-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის სტუდენტ ახალგაზრდობას, გააჩნია მაღალი ემიგრაციული განწყობა.

1800-2008 წლებში საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში გარე მიგრაცია მოქმედებდა როგორც მოსახლეობის ზრდის, ისე კლების მიმართულებით. კერძოდ, 1800-1939 წლებში საქართველოს მიგრაციული მატება შეადგენდა 858,2 ათას მცხოვრებს, 1993-1950 წლებში - 0-ს, 1950-2008 წლებში, მიგრაციული კლება შეადგენდა 1512,4 ათას მცხოვრებს. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულმა კლებამ 1800-2008 წლებში, შეადგინა 654.2 ათასი ადამიანი.

ისტორიულად, ქართველები საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა ერებისაგან გამოირჩეოდნენ ყველაზე დაბალი მიგრაციული მობილურობით. 1897 წელს, საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა ქართველების 1,4 ხოლო 1989 წელს - 4,9% რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ერს შორის.

1990-იანი წლების კრიზისის შემდეგ ქართველების გარე მიგრაციული მობილურობა ამაღლდა, ქართველები მრავლად წავიდნენ რუსეთში, როგორც ეს სურდა რუსეთს 1980-იანი წლებში. რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი შეერთების შემდეგ მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ ისე განვლო, რომ გასული საუკუნის მიწურულისათვის - 1897 წელს, საქართველოს გარდა, მთელი რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 18 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მაშინ როდესაც ამავე წელს რუსების რაოდენობამ საქართველოსი 98 ათასს გადააჭარბა. ასე გრძელდებოდა მეოცე საუკუნეშიც. მოსახლეობის 1979 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 361.6 ათასი რუსი, ხოლო რუსეთში ცხოვრობდა 89 ათასი ქართველი.

1990-იანი წლების შემდეგ, ემიგრაციაში, ძირითადად, მონაწილეობდა არაქართველი მოსახლეობა. ჩვენი შეფასებით, 1989-2002 წლებსი ქართველების მიგრაციულმა კლებამ 263,5 ათასი მცხოვრები შეადგინა, რაც საერთო მიგრაციული კლების 24,3%-ის ტოლია.

1989-2002 წლებში, საქართველოდან საზღვარგარეთ მუდმივად გადასახლდა ერთი მლნ. მიგრანტი, ამათგან ქართველია 29,5 %

1990-იანი წლების შემდგომმა მიგრაციულმა პროცესებმა არსებითად შეცვალა საქართველოს ეთნოდემოგრაფიული სურათი. 1989-20002 წლებში, მოსახლეობის რიცხოვნობა ყველაზე ნაკლებად შემცირდა ქართველებსა და აზერბაიჯანელებში, 126,2 ათასი (4,7%) და 22.8 ათასი (7,4%) შესაბამისად. ამავე პერიოდში, სომხების რიცხოვნობა შემცირდა 188,3 ათასი (43.1%), რუსების 273,5 ათასით (80.0%). ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრები რუსებიდან დარჩა მეხუთედი, სხვანაირად, რუსების რიცხოვნობა 1989-2002 წლებში შემცირდა 5-ჯერ. ამავე პერიოდში, ოსების რიცხოვნობა შემცირდა 126 ათასით, ე.ი. 77,0%-ით, ფაქტობრივად ხუთჯერ.

შესაბამისად, ქართველებისა და აზერბაიჯანელების გარდა, შემცირდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხვედრი წილი. კერძოდ, სომხების 8,1-დან 5,7%-მდე, რუსების 6,3-დან 1,6%-მდე, ოსების 3,0-დან 0,9%-მდე და ა.შ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, 1989-2002 წლებში, აზერბაიჯანელების ხვედრი წილი 5,7-დან გაიზარდა 6,5%-მდე, ხოლო საქართველოს 70,1-დან 83,8-მდე, რომელიც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით ითვლება დემოგრაფიულ ოპტიმუმად, ე.ი. მოსახლეობის ოპტიმალურ ეროვნულ შემადგენლობად და დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მიგრაცია კაცობრიობის პროგრესის საფუძველია. სხვადახვა პერიოდში მას დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰქონდა ქვეყნებისათვის. საზღვრების რღვევამ და ბარიერების შემცირებამ, რამაც გლობალიზაციის პროცესი დააჩქარა, ხელი შეუწყო საერთაშორისო მიგრაციის ახალი ნაკადების წარმოშობას - შრომით და ტვინების, აგრეთვე არალეგალურ მიგრაციას. პროცესი შეუქცევადი ხასიათისაა და თანდათან ხდება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

ლიტერატურა:
1. თ. კავლელაშვილი, გ. ჩაფიძე, „გლობალიზაცია და მიგრაცია“, თბ., 2012.
2. მ. ხმალაძე „დემოგრაფია“, თბ., 2009.

ტურიზმი

სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმი ქ. გორში (კურორტ გორიჯვრის მაგალითზე)

თამარ თინიკაშვილი, ქეთი მეტრეველი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

სამკურნალო ტურიზმის პერსპექტივები რომ ძალიან დიდი აქვს საქართველოს, ამაზე უკვე ბევრი საუბრობს. საქართველოში მინერალური თუ გოგირდოვანი წყლების სასიკეთო თვისებებზეც ბევრს ლაპარაკობენ. იმაზეც აღარ დაობენ, რომ საქართველოში თუ განვითარდება სამკურნალო ტურიზმი, ამით მკვეთრად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და სახელმწიფოს ბიუჯეტისთვისაც სარფიანი იქნება.

საქართველოს ტერიტორიაზე 2000-ზე მეტი სამკურნალო წყალია აღმოჩენილი, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა სამკურნალოდ იყენებდა. სამკურნალო მინერალური წყლები სხვადასხვა დაავადებებს ყველაზე ძლიერ წამალზე უფრო ეფექტურად კურნავს, თანაც მინერალური წყლების ზემოქმედება რამდენჯერმე იზრდება, თუ კი მათ, თან ახლავს მთის ჰაერი, მზის სხივები და ტყის მაცოცხლებელი სიმწვანე.

საქართველო მდიდარია მთის კლიმატური კურორტებით, სადაც მზის სპექტრის, განსაკუთრებით კი მისი ულტრაიისფერი ნაწილის მაღალი აქტივობა, ჯანსაღი ჰაერი და ზაფხულში ზომიერი ტემპერატურა მკურნალობისა და დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

გვინდა ვისაუბროთ ქ. გორის კურორტ გორიჯვარზე, რითია გამორჩეული და რა თვისებები გააჩნია ადამიანის ორგანიზმის საკეთილდღეოდ.

საქართველოში რომ ბევრი ისეთი ადგილია, სადაც სამკურნალო წყლები წლების განმავლობაში კურნავდა ადამიანებს, ახლა მივიწყებულ-მიტოვებულია. მათ შორისაა, ოდესღაც განთქმული გორიჯვრის გოგირდის წყლებიც, რომელიც ადრე რესპუბლიკური დანიშნულების ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენდა. იქ სამკურნალოდ არა მარტო საქართველოს ყველა კუთხიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სტუმრობდნენ. ახლა კი, სეზონზე თითო-ოროლა ადგილობრივ მოსახლეს თუ მასპინძლობს.

გორიჯვარი ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი გორის რაიონის სოფ. დიდ გორიჯვარში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 600 მეტრზეა. მას მთიდან გადმოჰყურებს გორიჯვრის მონასტერი. ჰავა რბილია და იქ ჩასული დამსვენებლისთვის სასიამოვნო.

ამ ადგილზე მკურნალობა დღესაც სეზონურია ივნისიდან სექტემბრამდე, რადგან სასიცოცხლო წყალი სხვა მინერალური წყლებისგან განსხვავდება, ისაა მცირე მინერალიზაციის ჰიდროსულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყალი და ბუნებრივად ცივი მოედინება. დღესაც იყენებენ აბაზანებისათვის.

გორიჯვარში წლების განმავლობაში მკურნალობდნენ:

1. ინფექციური, რევმატიული, ტრავმული და ენდროკრინული წარმოშობის ქრონიკული ართრიტები;
2. მსუბუქი წარმოშობის სპონდილოზები და სპონდილოართროზები;

3. მიოკარდიოდისტროფია კომპენსირებულ სტადიაში;
4. კარდიოსკლეროზები: მიოკარდიული და ათეროსკლეროზული წარმოშობის კომპენსირებულ სტადიაში;
5. ჰიპერტონული დაავადებების I სტადია;
6. ანგიონერვოზები;
7. ტრომბოპლებიტები (მწვავე პერიოდის გავლის შემდეგ არა უადრეს სამი თვისა);
8. პერიფერული ნერვიული სისტემების დაავადებები (ნევრიტები, ნევრელგიები, რადიკულიტები და სხვ.);
9. ნერვიული სისტემის ფუნქციონალური დაავადებები;
10. საშვილოსნოს და მისი დანამატების ქრონიკული ანთებადი პროცესი.

კურორტზე, დღემდე, სააბაზანო მკურნალობა ამბულატორულია.

ძველად აქ მოწყობილი იყო აბანო 8 აბაზანით, რომელიც ერთ სამუშაო დღეს მომსახურეობას უწევდა 100 ავადმყოფს. აბანოსთან მოწყობილი იყო 20 ადგილიანი სასტუმრო. როდესაც გორიჯვრის სამკურნალო დაწესებულებას ვესტუმრეთ, შორიდანვე დავინახე ტალავრის მიღმა მოცისფრო გარედან შელახული შენობა, რომელიც დღეს აშკარად ვერ მიიღებს იმ სიამაყით პაციენტ-სტუმრებს, როგორც ადრე.

მისი დირექტორის დავით მოციქულაშვილის თქმით, პაციენტების მიღება შეუძლებელია, ისეთ გარემოში, სადაც ელემენტარული კომფორტი არაა. იმისთვის, რომ გორიჯვრის კურორტი კეთილმოეწყოს და პაციენტები სრული დატვირთვით მიიღოს, ბევრი თანხაა საჭირო.

კურორტზე ამჟამად ინფრასტრუქტურა არ არსებობს. კურორტი არაა გაზიფიცირებული, არაა გათბობა, შესაკეთებელია მისაღები და სამკურნალო ოთახებიც. გასაკეთებელია არა მარტო სამკურნალო დარბაზები, არამედ დამსვენებელთათვის განკუთვნილი შელახული ქვის მაგიდები და სკამები.

დავით მოციქულაშვილის თქმით, პაციენტთა რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ საკუთარი ხარჯებით კურორტის რეაბილიტაცია შეუძლებელია, ორგანიზაცია მიწის გადასახადსაც ვერ აუდის. თუმცა კურორტ „გორიჯვრის“ ადმინისტრაციამ მრავალჯერ მიმართა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, კურორტ გორიჯვრის რეაბილიტაციისთვის. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეაბილიტაცია საკმაოდ სარფიანი შემოსავლის გარანტიას იძლევა მომავალში, დღემდე არავის არაფერი გაუკეთებია, ამ დრომდე დაინტერესება არ ჩანს, არც სახელმწიფოს და არც კერძო ინვესტორთათვის არ აღმოჩნდა საინტერესო დიდი პოტენციალის მქონე კურორტი „გორიჯვარი“.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა სტრატეგიულად მიიჩნევს სამკურნალო ტურიზმის განვითარებას, მხოლოდ ცალკეული ტურისტული დანიშნულების ობიექტებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ალბათ ყველაზე უპრიანი იქნებოდა, გლობალურად ხედავდეს ამ დარგში არსებულ პრობლემებს და მათ გადაჭრასაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ეცადოს, რათა არ დაიკარგოს და ლეგენდად არ იქცეს ოდესღაც საქვეყნოდ ცნობილი კურორტები.

ადგილის მონახულების, პრობლემის დაზუსტებისა და შესწავლის შემდეგ, გაგვიჩნდა სურვილი არსებული ობიექტის განახლების მიზნით შეგვემუშავებინა გეგმა, რაც საშუალებას მისცემს ქალაქში გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. ეს პროექტი საშუალებას მისცემს როგორც გორის, ასევე ახლომახლო არსებული რაიონების მოსახლეობას მისცეს გაჯანსაღებისა და დასვენების საშუალება.

ჩვენ გვსურს განვაახლოთ მთლიანი ტერიტორია. ჩავურთოთ სიახლეები. ავაშენოთ ორკაციანი 10 კოტეჯი, ეზოში განვაახლოთ ინტერიერი, გავაწყოთ საფეხმავლო ბილიკები, განვაახლოთ მინერალური აბანოების ადგილები, ბავშვებისთვის და მოხუცებისთვის გავაწყოთ დასასვენებელი ადგილები. ყველაფერი მოეწყობა თანამედროვე დონეზე რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეთ თავი იგრძნონ კომფორტულად.

ამჟამად ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრია ხელახლა ვითარდება, ყურადღება ექცევა კურორტების აღორძინებას, ძველი ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ახლის შექმნას. სამწუხაროდ, არსებული საკურორტო პოტენციალის უმეტესი ნაწილი აუთვისებელია, გამოუყენებელია ასობით უნიკალური სამკურნალო წყარო და მიწის წიაღიდან ამოსული ბუნების საჩუქარი ისევ მიწაში იკარგება. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ინვესტორი ინტერესდება საქართველოს ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით. ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო მეტად დაინტერესებთ ადამიანებს უნიკალური სარეკრეაციო ფაქტორებით მდიდარი ბევრი მივიწყებული ადგილის შეხსენება ან გაცნობა.

ლიტერატურა:

1) დ. გვრიტიშვილი, „გორის ისტორია“, 1954.
2) http://ekofact.com/

შავი ზღვის რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პრობლემები და პერსპექტივები

დიმიტრი მაღლაკელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

შავი ზღვა აჭარის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. მრავალფეროვანი და განუმეორებელი ფლორა, სანაპირო პლაჟები, რეკრეაციული დაწესებულებების მშენებლობა, აჭარის ტურისტული ბაზები და ქ. ბათუმის აღმშენებლობა ქმნის დიდი ტურიზმის პერსპექტივებს რეგიონში. შავი ზღვა არის წყლის უნიკალური ობიექტი. აუზის ფართობი შეადგენს 2 მლნ კვ. კმ და ფარავს ევროპის კონტინენტის თითქმის ერთ მესამედს.

შავ ზღვას ესაზღვრება თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქერჩის სრუტით უკავშირდება აზოვის ზღვას, სამხრეთ-დასავლეთით ბოსფორის სრუტით — მარმარილოს ზღვას, შემდეგ დარდანელის სრუტით — ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებს. ფართობი 422 000 კმ². შავი ზღვა გარშემორტყმულია ქვეყნებით, რომელიც საფრთხეს უქმნის შავი ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობას. მაგალითად, რუსეთი უახლოეს მომავალში აფხაზეთის აკვატორიაში, შავი ზღვის ფსკერზე ნავთობმომპოვებელი სამუშაოების დაწყებას აპირებს. ასევე თურქეთის ტერიტორიულ წყლებში, საქართველოს საზღვრის მახლობლად, „ბრიტიშ პეტროლიუმი“ ზღვაში ნავთობის მოპოვების დაწყებას გეგმავს. ნავთობის მოპოვებაზე ლიცენზია გაცემულია საქართველოშიც.

შავი ზღვის მნიშვნელობა საქართველოსთვის ფასდაუდებელია. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ წარმონაქმნს ქვეყნის ზოგადგეოგრაფიული მდებარეობისათვის, რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო ურთიერთობების ძირითად არტერიას. სუბტროპიკული კლიმატი, საუკეთესო სამკურნალო თვისებების მქონე თბილი შავი ზღვა, სანაპირო ზოლში არსებული ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა, მთისა და ზღვის ჰავის უნიკალური ურთიერთშეხამება ქმნის საუკეთესო პირობებს აჭარაში დასვენებისათვის.

გეოგრაფიული მდებარეობისა და სპეციალიზაციის შესაბამისად აჭარაში გამოიყოფა ორი რეკრეაციული ქვერაიონი: ბათუმის და ქობულეთის. პირველი მოიცავს ბათუმს, მახინჯაურს და სამთო კლიმატურ კურორტ ცისკარას (მტირალას). მეორეში გაერთიანებულია ქობულეთისა და ციხისძირის კომპლექსები.

აჭარის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, შიდა ტურიზმთან ერთად, ჩაერთოს საერთაშორისო ტურიზმის ერთიან ქსელში და იგი აქციოს ფინანსური შემოსავლების მიღების სტაბილურ წყაროდ. ამ რეგიონს გააჩნია როგორც ტურისტული (ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურული), ისე საკურორტო (მინერალური წყლები, ზღვა, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა) რესურსები. აგრეთვე მაღალია აჭარის ეკოლოგიური პოტენციალიც, რომელიც ნიშნავს ვიზიტების რაოდენობის იმ მაქსიმუმს, რომელზეც გადამეტება იწვევს უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს და უცხოელი ტურისტების მხრიდან ადგილობრივ კულტურასთან მიმართებაში ნეგატიურ დამოკიდებულებას.

ზღვისპირა ექვსი ქვეყნის მედია წერს, რომ "შავ ზღვაში სიცოცხლე კვდება" და ამის საილუსტრაციოდ ათასობით დაღუპული თევზისა თუ დანაგვიანებული სანაპიროების ამსახველ ფოტორეპორტაჟს აქვეყნებს. ფაქტია, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება აშკარად შემცირებულია. ეს უკავშირდება როგორც შავი ზღვის მზარდ დაბინძურებას, ასევე უცხო სახეობების გავრცელებას და ჭარბ მოპოვებას. რამდენიმე ათეული სარეწაო სახეობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შავ ზღვაში უბრალოდ გადაშენდა.

შავი ზღვის მაქსიმალური სიღრმე 2210 მ, საშუალო სიღრმე 1240 მ. ამჟამად მისი მხოლოდ ზედა 100 მეტრიანი ფენაა ჟანგბადის შემცველი და მაშასადამე სიცოცხლის მატარებელიც. ქვედა ფენა კი ფაქტიურად მკვდარია-მოწამლულია გოგირდწყალბადით. 1980-ანი წლებიდან ყოველწლიურად გოგირდწყალბადის დონე ზღვაში იწევს ორი მეტრით, თანაც რაც უფრო იზრდება მისი დონე, მით უფრო ჩქარდება ეს პროცესი. თუ არ მოხდება ზემოთხსენებულ საბედისწერო პროცესში ხელოვნური ჩარევა, რამდენიმე ათეულ წელიწადში არნახული ეკოლოგიური კატასტროფის მომსწრენი გავხდებით. შავი ზღვა მოიწამლება გოგირდწყალბადით და მასში სიცოცხლე შეწყდება. ზღვის სიკვდილი კი თავისთავად ეკოლოგიური კატაკლიზმია, ხოლო თუ ამას ზედ დაერთო კიდევ გოგირდწყალბადის აფეთქებაც (რაც შესაძლოა მოყვეს ძლიერ მიწისძვრას), მაშინ ატომური აფეთქების მაგვარი უბედურება დაგვატყდება

თავს. ამ დროს წარმოიშობა ცად ატყორცნილი უდიდესი მასა გოგირდ მჟავასი, რომელიც მომაკვდინებელ წვიმად მოევლინება დედამიწას.

1996 წლის 31 ოქტომბერს ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის გარემოს დაცვის მინისტრები ერთმანეთს სტამბულში შეხვდნენ, სადაც ხელი მოეწერა შავი ზღვის დაცვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას. სტრატეგიულ გეგმაზე ხელის მოწერით ქვეყნებმა მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება - იმუშაონ მთელს რეგიონში 160 მილიონი ადამიანის კეთილდღეობისათვის. ამ მოვლენის აღსანიშნავად 31 ოქტომბერი გამოცხადდა „შავი ზღვის საერთაშორისო დღედ“. ეს დღე გარემოსდამცავი ორგანიზაციების ინიციატივით დაწესდა, თუმცა, მათივე განცხადებით, შავი ზღვის ქვეყნები ზღვის დაბიძურებისგან დაცვაზე მეტად მის ეკონომიკურ გამოყენებაზე ფიქრობენ.

შავ ზღვასთან დაკავშირებით შემდეგი ძირითადი პრობლემები დგას მწვავედ:

- აზოტისა და ფოსფორის ნაერთები
- კანალიზაციის წყალი
- ნავთობით დაბინძურება
- ტოქსიკური ნივთიერებები
- რადიოაქტიური ნივთიერებები
- უცხო სახეობები ,
- მყარი ნარჩენები.

ზღვისპირა კურორტებზე კი, ყველაზე მნიშვნელოვანია ზღვა, პლაჟი და მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მაგრამ რატომღაც ამ ყველაფერს დიდი ყურადღება არ ეთმობა. შავი ზღვის დაბინძურების არანაკლებ საფრთხეს შეიცავს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობგადამამუშავებელი საწარმო და პორტი, ასევე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნავთობის სავარაუდო მოპოვება და სხვ. ზღვების ნაპირების ნგრევისა და უკანდახევის პრობლემა დღეს თითქმის ყველა ზღვისპირა ქვეყანას აწუხებს. წლების განმავლობაში სერიოზული პრობლემა იყო ადლიის სანაპიროზე, სადაც 500 მეტრამდე ხმელეთის ნაწილი ზღვამ წაიღო. შემდეგ დაიწყო სერიოზული ნაპირგამაგრებითი სამუშაოები და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ზღვის მიერ ხმელეთის მიტაცების შემთხვევებმაც იკლო.

საქართველოში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ადლიის წყლის გამწმენდი ნაგებობის გარდა, სხვა გამწმენდი ნაგებობა არსადაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელს სანაპირო ზოლზე კანალიზაცია პირდაპირ მცირე მდინარეების ან სანიაღვრე სისტემების გავლით ზღვაში იღვრება ასევე საგანგაშოა ის გარემოებაც რომ ადლიის გამწმენდ ნაგებობაზე ქალაქის მხოლოდ 50%-ია მიერთებული, დანარჩენი 50% კი ზღვაში ჩადის.

ბათუმის მერიის მონაცემებით, შავ ზღვაში ქალაქიდან დღე-ღამეში 130-150 ათასი კუბური მეტრი კანალიზაციის წყალი იღვრება, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლორა და ფაუნას“ მტკიცებით კი - გაცილებით მეტი შავი ზღვის წყლის დაბინძურებამ უკვე კატასტროფული მასშტაბები მიიღო. რაც ახლო მომავალში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს და რაც შემაშფოთებელია შავი ზღვის ბიოსფეროს მომავლისათვის - გამოსავალი ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვაა, რაც მიმართული იქნება შავი ზღვის დაბინძურების შემცირებისაკენ.

დღეისათვის, სახელმწიფოსა თუ სხვადასხვა კერძო ინვესტორების მხრიდან ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნით ერთის მხრივ ხელი ეწყობა ბათუმში ტურისტების ნაკადის ზრდას, თუმცა მეორეს მხრივ ბათუმის ზღვის სანაპირო ზონის მიმდებარე ტერიტორიების მაქსიმალურად ათვისება საგრძნობლად ამძიმებს ბათუმის ზღვისპირა ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ეკოლოგიური თვალსაზრისით ტურიზმის სწორი განვითარების შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ პოზიტიური გავლენის მოხდენა:

- დაეხმაროს გარემოს ხარისხის ამაღლებაში რადგან ტურისტებს მოსწონთ სუფთა, მიმზიდველი, დაუბინძურებელი ადგილები.
- გარემოს ხარისხის გაუმჯობესება თავის მხრივ ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის სრულყოფას, განსაკუთრებით წყალმომარაგება და კანალიზაცია და ა.შ.

საჭიროა მიზანმიმართულად ჩამოვაყალიბოთ ბუნების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება, აღვზარდოთ ადამიანებში მადლიერების გრძნობა იმ როლისათვის, რომელსაც იგი ასრულებს ახლანდელი და მომავალი თაობების ცხოვრებაში. ამ მიმართებით კი ეკოლოგიურ ტურიზმს რეალური პოტენციალი გააჩნია.

აუცილებელია:

- მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი რესურსები ბუნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე;

- ცოცხალი რესურსებით სარგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიომრავალფეროვნებას და დასახული იქნას გზები მისი აღწარმოების და გამრავალფეროვნებისა.

შავი ზღვის რეგიონის კულტურა, გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორია, ტურიზმის სფეროში, განვითარების ძირითადი ბუნებრივად მასტიმულირებელი ელემენტებია. ამდენად, პოზიტიური ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით, ტურიზმს აქვს პოტენციალი გახდეს თანამშრომლობის ლიდერი სფერო რეგიონის ფარგლებში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ტურიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეკონომიკური გავლენა საგადამხდელო ბალანსზე, დასაქმების სფეროზე, მთლიან ერთობლივ შემოსავალზე და წარმოებაზე, ასევე შესაძლებელია ჰქონდეს უარყოფითი გავლენაც, მაგალითად, ეკოლოგიაზე.

ტურიზმი წარმოადგენს აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას. იგი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში. მისი დახმარებით სწრაფად ვითარდება სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, აგრო-სამრეწველო კომპლექსი და, აქედან გამომდინარე, აგრარული სექტორი. იგი უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, დასაქმებისა და სავალუტო შემოსავლების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას.

ლიტერატურა:

1. ქართველიშვილი ლ., რეკრეალოგიისა და კურორტოლოგიის საფუძვლები, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 2011.
2. მეტრეველი მ., „ტურიზმი და გარემო“, თბ., 2008.
3. კლიმატურ ცვლილებებზე საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება, პროექტი, ექსპერტი საშა ხორავა, ბათუმი, 2012.
4. შუბლაძე ვ., საქართველო და ტურიზმი, 2004.
5. http://www.ucnauri.com/2010/
6. http://www.tourismadjara.ge
7. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&item=166

ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და მისი ეკონომიკური შედეგები

ბექა ნაოჭაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში ძირითადად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკის განვითარების დონე. საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკა არის მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დარგის სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, კულტურულ, საგარეო-პოლიტიკურ და სხვა ხასიათის ღონისძიებების რეგულირებას სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მხრიდან. ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმის შემუშავებაა, რომელიც მხარს დაუჭერს დარგის აღორძინება-განვითარებას. ამავე დროს ტურისტული პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. [1:56]

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო საზოგადოების, მთავრობის, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო

სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი პოლიტიკით, რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ტურიზმის განვითარებისთვის.

ქვეყნის ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. ტურიზმი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ტურისტულ დატვირთვას, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, რასაც თავის მხრივ განსაკუთრებული წილი აქვს ეროვნული ვალუტის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით აკისრია საერთაშორისო ტურიზმს.

საქართველო ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა. ქვეყანას გააჩნია ბუნებრივ-გეოგრაფიული წანამძღვრები იმისათვის, რომ განვითარდეს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმი. ტურიზმის სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის შემოსავლების 2/3-ზე მეტი შიდა ტურიზმზე მოდის და მხოლოდ 1/3-ია საერთაშორისო ტურიზმიდან. ტურიზმის განვითარება საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტორებს სხვადასხვა სტიმულებს სთავაზობს, მათ შორისაა სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა და თავისუფალი ტურისტული ზონები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს მისიაა:

- გაიზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე;
- უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება;
- ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება. [1: 62]

2013 წლისათვის ქვეყანაში მოქმედებდა ტურიზმის 18 საინფორმაციო ცენტრი. მათი მიზანია საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება

ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია. საჯარო რეესტრის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 2 ათასამდე ტურისტული სააგენტო. ისინი მუშაობენ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ლიბერალურ პოლიტიკას წარმართავს, ტურიზმის ინდუსტრია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანაში ამ დარგის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს: კერძოდ, კონფლიქტური ზონების არსებობა; მაღალი საბანკო განაკვეთები კრედიტებზე, საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა მაინც არ არის ქვეყანაში სათანადო ინფრასტრუქტურა; დაბალია სერვისის ხარისხი; შეუსაბამოდ მაღალია ფასები, რაც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას; არ არსებობს მოწესრიგებული სტატისტიკური აღრიცხვა; ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი კანონმდებლობა.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სავიზო პოლიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ 2005-2014 წლებში საქართველოში მოქმედი სავიზო ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგად, ცალმხრივი უვიზო რეჟიმით სარგებლობდა 121 ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები. დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებს ვიზის მიღება გამარტივებული წესით საქართველოს საზღვარზევე შეეძლოთ. ვიზის გაგრძელების პროცედურა საქართველოშივე ხორციელდებოდა. აღნიშნული პოლიტიკის მიზანი საქართველოში ტურისტული მოგზაურობისა და ხანგრძლივი ბინადრობის წახალისება იყო, ქვეყანაში ინვესტიციების ჩადების, ბიზნესის წარმოების, მუშაობისა და სწავლის მიზნით.

სავიზო ლიბერალიზაციის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა ტურისტულმა ნაკადებმა, რამაც ხელი შეუწყო სექტორის სწრაფ ზრდას. კერძოდ: საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა, UNWTO World Tourism Barometer-ის მიხედვით, აღიარებულ იქნა ევროპაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად: 2009 წელი – 1,500,049 ვიზიტორი; 2010 წელი – 2,031,717 ვიზიტორი, 2011 წელი – 2,822,363 ვიზიტორი, 2012 წელი – 4,428,221 ვიზიტორი, 2013 წელი – 5,392,303 ვიზიტორი.

2013 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში ტურიზმის მაჩვენებელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ მიმართულებად საქართველოს ეკონომიკაში. [2]

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონი შევიდა ძალაში - საქართველოში შეცვლილი საიმიგრაციო წესები ამოქმედდა. ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. ამ ცვლილებების აუცილებლობა, ძირითადად, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით აიხსნა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პროცესში სავიზო შეზღუდვების დაწესებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სექტორის განვითარება. მოსალოდნელი შედეგი ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე, ვინაიდან ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა.

ახალი სავიზო პოლიტიკის ფარგლებში, ცალმხრივი უვიზო რეჟიმის ქვეყნების სია 94-მდე შემცირდა, სავიზო შეზღუდვები იმათაც შეეხოთ, ვისაც ადრე საქართველოში შემოსასვლელად და ქვეყანაში 360 დღემდე გაჩერებისთვის ვიზა არ სჭირდებოდათ, ახლი კანონით, უვიზო მოკლევადიანი ვიზიტის შემთხვევაში, ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 დღით შეეძლოთ ქვეყანაში დარჩენა, ხოლო უფრო ხანგრძლივი დროით დარჩენისთვის მათ საემიგრაციო ვიზის აღება უწევდათ. აღსანიშნავია, რომ უვიზო რეჟიმის სიაში ვეღარ მოხვდნენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნები – ირანი და ერაყი, ასევე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების დიდი ნაწილი. სავიზო პოლიტიკაში შესული ცვლილებები გავრცელდა საქართველოსთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების მქონე ქვეყნებზეც, რომლებთანაც ქვეყანაში დარჩენის ვადები, წინა რეგულაციებით, განუსაზღვრელი იყო. ესენია: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, უკრაინა, უზბეკეთი, ყირგიზეთი. გაუქმდა ვიზის საზღვარზე აღების შესაძლებლობა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა: ჩინეთი, ჰონკონგი, ინდოეთი, სინგაპური, ავღანეთი, ფილიპინები, ჩილე და სხვა (70 ქვეყანა). საზღვარზე ვიზის აღების შესაძლებლობა, როგორც ტურისტისათვის ხელსაყრელი პირობა, აღარ იყო გათვალისწინებული ახალ რეგულაციებში, რითაც ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობა მნიშვნელოვნად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ეს ქვეყნები მზარდ ტურისტულ ბაზრებს წარმოადგენენ და მათი უმრავლესობა წამყვან ადგილს იკავებდა საქართველოს ვიზიტორთა ბოლო წლების მონაცემებში.

ახალი სავიზო პოლიტიკის გატარებამ ასევე გაართულა გრძელვადიანი ვიზის მიღების პროცედურები. იმისათვის, რომ ცალმხრივი უვიზო რეჟიმის მქონე 94 ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოში 90 დღეზე მეტი პერიოდით დარჩენის უფლება მიიღონ, მათ უნდა მიმართონ საქართველოს საკონსულოს თავიანთ ქვეყანაში და გადაიხადონ 50 აშშ დოლარი. ამასთან, საქართველოს საკონსულო ყველა ქვეყანაში არ არის, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის ვიზის მისაღებად. მაგ: ერაყის მოქალაქეები საქართველოს ვიზის მისაღებად უნდა გაემგზავრონ იორდანიაში, ავღანელები – თურქმენეთში და ა.შ.

ოფიციალური ცნობით, 2 000-მდე უცხოელს შეექმნა სავიზო და ბინადრობის პრობლემები ამ რეგულაციების შედეგად და ისინი ქვეყნიდან გაძევების საფრთხის წინაშე დადგნენ. საქართველოს სავიზო პოლიტიკამ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაში ვიზიტორთა საერთო რაოდენობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობამ 5 493 492-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით მხოლოდ 1.88%-იანი ზრდაა. ამ მონაცემების მიხედვით, ვიზიტორები, რომლებიც საქართველოში შემოდიან და 24 საათის განმავლობაში ჩერდებიან ქვეყანაში, „ტურისტებად“ არიან კვალიფიცირებულები. 5.49 მილიონი ვიზიტორიდან 2014 წელს 2 218 050 „ტურისტი“ იყო, რაც 2013 წელთან შედარებით 7.39%-იანი ზრდაა. [3]

2013 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა საქართველოს მშპ-ის 6.5% შეადგინა (3 მილიარდი ლარი); 2014 წლის მონაცემებით კი შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან მხოლოდ 2,4 მილიარდი ლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (3 მილიარდი ლარი) 0,6 მილიარდი ლარით ჩამორჩა.

საქართველომ დაკარგა პოტენციური ტურისტები, რომლებიც მოგზაურობის დროს საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, 1 450 აშშ დოლარს ხარჯავენ ერთ ადამიანზე.

ამერიკაში, ტეხასის შტატში, დალასის და ბექსლის უნივერსიტეტებში (Cox School of Business, Southern Methodist University; Capital University) ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაედგინათ, რა ზეგავლენას ახდენს ვიზის მოთხოვნების გამკაცრება ტურისტულ აქტივობაზე. მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით მათ შეიმუშავეს უცხოელი

ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის ინდექსი(EOTF – Ease of travel for inbound foreign visitors) და მისი ურთიერთქმედება სავიზო ბარიერებთან მიმართებით. EOTF ინდექსი ქვეყნებს აფასებს 0-100-ქულიანი სისტემით. რაც უფრო ნაკლები სავიზო ბარიერები აქვს ქვეყანას, მით უფრო მაღალი ქულები ეწერება მას შეფასებისას. მაგალითად, აშშ-ს EOTF ინდექსში 20-ქულიანი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ მას მსოფლიოს 20%-მდე ქვეყანასთან აქვს მარტივი ან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, ხოლო დანარჩენ 80%-თან აქვს სავიზო რეჟიმი. კვლევის საფუძველზე, ავტორების გამოთვლით, ქვეყნის მიერ EOTF ცვლადის 2%-ით გაზრდა, რაც საშუალოდ 3 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას გულისხმობს, იწვევს ტურისტული ნაკადის საშუალოდ 5%-ით ზრდას ერთი ქვეყნისთვის; ეს კი უდრის 90 000-მდე ვიზიტორს. სავიზო ლიბერალიზაცია ტურიზმის ზრდას იწვევს იმ შემთხვევაშიც, თუ ქვეყანა უვიზო რეჟიმის დაწესებასთან ერთად მნიშვნელოვნად ამკაცრებს სასაზღვრო კონტროლს. სწორედ ამიტომ ქვეყნები ტურისტული აქტივობის გაზრდისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების ინსტრუმენტებს მიმართავენ. EOTF მაჩვენებლის კლება კი იწვევს უკუპროპორციულ ეფექტს. კერძოდ, ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მოსახლეობისთვის სავიზო რეჟიმის შემოღება განაპირობებს მეორე ქვეყნიდან პირველში ტურისტების ნაკადის 33%-ით შემცირებას ყოველწლიურად. ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდიკას თუ საქართველოს რეალობის შესაფასებლად გამოვიყენებთ, 2014 წლის სექტემბრამდე საქართველოს EOTF ინდექსით შეფასება შეიძლება 100 ქულით განვსაზღვროთ, ვინაიდან 121 ქვეყანა სარგებლობდა უვიზო რეჟიმით, ხოლო დანარჩენი 70 ქვეყანა გამარტივებული პროცედურებით საქართველოს საზღვარზე იღებდა ვიზას. ახალი სავიზო პოლიტიკით კი საქართველოს EOTF მაჩვენებელი არის 49 ქულა.

საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის ინდექსი					
2014 წლის 1 სექტემბრამდე			2014 წლის 1 სექტემბრიდან		
სულ ქვეყანა	191	100%	სულ ქვეყანა	191	100%
უვიზო რეჟიმი	121	63%	უვიზო რეჟიმი	94	49%
ვიზა საზღვარზე	70	37%	სავიზო რეჟიმი	97	51%
EOTF ინდექსი	0/191	100 ქულა	EOTF ინდექსი	97/191	49 ქულა

საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის მაჩვენებლის 51%-ით შემცირება აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით ეფექტს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. კერძოდ, 2013 წლის მონაცემებით იმ ქვეყნების ვიზიტორების რაოდენობა, რომელთანაც აღდგა სავიზო რეჟიმი და გაუქმდა ვიზის საზღვარზე მიღების შესაძლებლობა, შეადგენს 300 000-მდე ადამიანს. შესაბამისად, ამ სამომხმარებლო სეგმენტიდან საქართველოში ტურისტული ნაკადი შემცირდება 100 000-მდე ვიზიტორით ყოველწლიურად. [2]

საქართველოსთვის, ტურისტულ სექტორში შექმნილი პრობლემები ყველაზე მწვავედ ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსზე აისახა. აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურება ლარმა 2014 ნოემბრიდან დაიწყო, რასაც ექსპერტები და პოლიტიკოსები ექსპორტ-იმპორტის დისბალანსს, ფულადი გზავნილების შემცირებას და ტურიზმის სტატისტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებენ. ამჟამად, ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში 100 დოლარის ყიდვა 228-229 ლარად არის შესაძლებელი, მაშინ როცა გასული წლის ნოემბერში 180 ლარი საკმარისი იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა, ტურისტების რაოდენობის არასაკმარისი ზრდა, როგორც წესი ამცირებს უცხოურ სავალუტო ნაკადს და უარყოფითად აისახება სავალუტო კურსზე. შეაჩერებს თუ არა ლარის მცურავ კურსს ტურისტული სეზონის დაწყება, შეუძლია თუ არა ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა, შემოვა თუ არა ქვეყანაში იმდენი ტურისტი, რომ მათ მიერ გაწეულმა ხარჯებმა ეკონომიკური პროცესები შეცვალოს, ან საერთოდ, რამდენი ტურისტი უნდა შემოვიდეს, რომ რეალურად შესამჩნევი შედეგი მივიღოთ? - ეს კითხვები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში.

ტურიზმის, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგების, პრიორიტეტად გამოცხადება მისი რეალური ეკონომიკური სურათის ცოდნის გარეშე არასწორია და, ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, შეუძლია საპირისპირო ეფექტის მოტანა. ტურიზმის განვითარებისათვის სწორი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ანალიზის ჩატარება. ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიაზე მსჯელობა გასული საუკუნის მეთოდით - საზღვრის გადმომკვეთთა რაოდენობის თვლით, ვერავითარ წარმოდგენას ვერ ქმნის მის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. არადა, მთელი რიგი ემპირიული კვლევებით დადგენილია, რომ ტურიზმს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, რეგიონული ასიმეტრიულობის შემცირებაში, სამუშაო ადგილებისა და პოზიტიური გარე ფაქტორების შექმნაში, რაც ზეგავლენას ახდენს (პირდაპირ, თუ არაპირდაპირ) სხვა ეკონომიკურ აქტივობებზე. ამისათვის აუცილებელია ტურიზმის წილის დადგენა ეროვნულ ეკონომიკაში,

მოგზაურობასა და ტურიზმზე მოთხოვნის აღრიცხვა, მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკის წილის განსაზღვრა მშპ-ში; დასაქმებას დარგში; და ა.შ. ეკონომიკური პარამეტრების შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა. ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შეფასების ტიპური, სწრაფი და მარტივი მიდგომა უნდა ეყრდნობოდეს ტურისტული აქტივობის, ხარჯებისა და მულტიპლიკატორების განსაზღვრას. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოწესრიგდეს ქვეყანაში ტურიზმის სტატისტიკა და დაინერგოს დანახარჯები-გამოშვების მოდელი, შეტანილი იქნას ცვლილებები ეროვნული ტურიზმის განვითარების გეგმებში.[4]

შექმნილი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და გამკაცრებული სავიზო და საიმიგრაციო რეგულაციების გამარტივების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ჯერ 2014 წლის 14 ნოემბერს, მოგვიანებით კი 2015 წლის 8 მაისს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. ახალი რეგულაციით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზოდ დარჩენის ვადის გაზრდა არსებული 90 დღიდან 360 დღემდე. სავარაუდოდ, ცვლილება შეეხება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, აშშ-ს და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანას. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის შესაძლებლობას იმ უცხოელებისთვის, რომლებსაც იმ ქვეყნებში, რომელთა ჩამონათვალსაც მთავრობა განსაზღვრავს, ბინადრობის ნებართვა ან ვიზა გააჩნიათ.

სავიზო პოლიტიკის სრულყოფისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი გამოიღო: 2015 წლის მაისის თვეში საქართველოს 454 545 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, ზრდა 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 14,7 %-ია. რაც შეეხება 2015 წლის ხუთი თვის მონაცემებს, საქართველოს 1 835 545 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 2%-ია.

2015 წლის მაისში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+0,5%), აზერბაიჯანიდან (+8,7%), სომხეთიდან (+33%), რუსეთიდან (+42,5%) და უკრაინიდან (-5,8%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მაისშიც გამოირჩნენ ლიტვა, გერმანია, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები (შესაბამისად 44%, 27%, 26%, 24% და 14%), შუა აზიის ქვეყნებიდან უზბეკეთი (104%) და ყაზახეთი (29%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსიის და მოლდოვას მოქალაქეები 42% და 43%–იანი, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან – არაბათა გაერთიანებული საემიროები 639 %-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 15%-იანი ზრდა. [5]

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროგნოზით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის გასაზრდელად აქტივობები გაგრძელდება, მათ შორის ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოს ცნობადობის ამაღლებს, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე, ტურისტული პროდუქტების განვითარება და სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად ტრენინგების ორგანიზება. 2015 წელს საქართველოში დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიების, მათ შორის: ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის და უეფას სუპერთასის მატჩის ჩატარება. რაც კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობას.

მთავრობა კმაყოფილია მიღებული შედეგებით, „საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ, 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით, 13 500 000 კაცი შეადგინა, ანუ 2,5 წელიწადში ჩვენ მივიღეთ იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე იყო განვლილი 7 წლის განმავლობაში“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის სხდომაზე განაცხადა. ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით კი, ბოლო პერიოდში სპეციალური სარეკლამო კამპანია ჩატარდა 9 მიზნობრივ ბაზარზე; საქართველოში ჩამოვიდა 200-ზე მეტი ცნობილი სააგენტოს ჟურნალისტი, რომელთათვის გაიმართა სპეციალური ტურები; 70-ზე მეტი წამყვანი ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლისთვის მოეწყო სპეციალური საინფორმაციო კამპანიები. მთავრობა 2015 წელს აქტიურ ტურისტულ სეზონს ელოდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, სახელმწიფო პოლიტიკა სწორედ ტურისტების რაოდენობის გაზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის წინაპირობას წარმოადგენს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ერქომაიშვილი გულნაზ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თსუ 2013, გვ. 56, გვ. 62.
2. http://commersant.ge/old1/?lang=1&menuid=94&id=17466

3. http://www.civil.ge/geo/article.php?id=29009
4. ამერიკული გამოცდილება ქართული ტურიზმის განვითარებისთვის http://online.tsu.edu.ge/ge/science/10284/?p=7
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - http://gnta.ge/

სვანეთი - გარდასულ დღეთა მემატიანე

რუსუდან რატიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

სვანეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს და მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემო წელს. ისტორიულ სვანეთში შედიოდა აგრეთვე ე. წ. აფხაზეთის სვანეთი (მდინარე კოდორის ზედა ნაწილი), სამეგრელოს, ზემო რაჭისა და ლეჩხუმის მოსაზღვრე რეგიონები.

ადრინდელ საუკუნეებში სვანეთი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ ეგრისის სამეფოსი. XI-XV საუკუნეებში ერთიანი საქართველოს საერისთავო იყო. როდესაც საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად, სვანეთიც რამდენიმე ნაწილად გაიყო: თავისუფალ, სადადეშქელიანო და სადადიანო სვანეთად.

ამჟამად სვანეთი ორ ნაწილად იყოფა, ზემო და ქვემო სვანეთად. მათ ჰყოფს მაღალი სვანეთის ქედი ლატფარის ზეკარით. ზემო სვანეთი შეიცავს მდინარე ენგურის ხეობას სათავიდან სამეგრელოს საზღვრამდე, ხოლო ქვემო სვანეთი — ცხენისწყლის ხეობას სათავიდან მურის ხიდამდე (ქ. ცაგერის სიახლოვეს).

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ზემო სვანეთი შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მესტიის რაიონში, ქვემო სვანეთი — რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის ლენტეხის რაიონში. სვანეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია, კერძოდ მათი ეთნოგრაფიული ჯგუფი — სვანები.

სვანეთი - სვანთა სავანე, სწორედ აქ აერთებს კავკასიონი თავისი მხარეებით ცისა და ქვეყნის უსაზღვრო საზღვარს და სვანეთს. ულამაზესი ამაყი მწვერვალები - თოვლის საუფლო-შხარა, ნისლის ჩადრით დამშვენებული უშბა და თეთრი პირამიდა - თეთნულდი, შესდგომიან ცას საიმედო სვეტებად. აქ ისეთი შეგრძნება გეუფლება, გგონია ცას ხელებით მისწვდები, მასთან საუბარსაც შეძლებ და ვარსკვლავებსაც შეეხები.

ზამთარში კი თოვლით გასპეტაკებული სვანეთი თეთრი ზღაპარია..

სვანეთის ტურისტულ ცენტრებად მიჩნეულია მესტია და უშგული. ამ ადგილებში უკეთაა განვითარებული მომსახურების დონე და აქედან უფრო მოსახერხებელია გადაადგილება და რაიონის დათვალიერება. აქ მაღალ დონეზეა უსაფრთხოების საკითხი: დაყენებულია ღამის განათებები, კეთილმოწყობილია საოჯახო სასტუმროები. მრავალფეროვანია მომსახურების სახეობები. მესტიაში არის ადმინისტრაციული, კულტურის, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი, მიხეილ ხერგიანის ძეგლი და სახლ-მუზეუმი, განათლების, ჯანდაცვის და ტურიზმის დაწესებულებები. 2010 წლის 24 დეკემბერს მესტიაში გაიხსნა თამარ მეფის სახელობის აეროპორტი.

უშგული - ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია ევროპის მასშტაბით. აქ ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე თითქოს მყინვართა ცივი სუნთქვა იგრძნობა. უშგულის თემი ოთხ უბნად იყოფა, ესენია: ჟიბიანი, ჩვიბიანი, ჩაჟაში, მურყმელი. ჩაჟაში, რომელიც კოშკების სიმრავლით გამოირჩევა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. უშგულის ღირსშესანიშნაობებია: უშგულის ლამარია, უშგულის არეოლოგიური მუზეუმი, თამარ მეფის საზამთრო და საზაფხულო კოშკები, მაცხოვრისა და წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიები სოფ. მურყმელში, მაცხოვრის სახელობის ეკლესია სოფ. ჩვიბაინიში,

მაცხოვრის სახელობის ეკლესია სოფ. ჩჟაშში, მაცხოვრისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები სოფ. ჟიბიანიში.

უშგული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებით უკავშირდება მესტიასა და ლენტეხს. ლენტეხთან დამაკავშირებელი გზა გადის ზაგაროს უღელტეხილზე, რომელიც წელიწადში მხოლოდ სამ თვესაა გახსნილი, ხოლო დანარჩენი დროის მანძილზე თოვლით იფარება.

უშგული ბუნებრივი მდებარეობის გამო მოწყვეტილი იყო დანარჩენ სვანეთს. უახლოეს თემში, კალაში, რომელიც 7 კილომეტრში მდებარეობს, გადასვლაც კი საკმაო სირთულეს წარმოადგენდა. ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილია ლეგენდა დევის ნაშენზე, ეს არის კლდე, რომელსაც, ლეგენდის თანახმად, ენგურის ხეობა ჩაუკეტავს და სოფელი იტბორებოდა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად უშგულიდან და კალიდან დაძრულა ორი ვერძი, რომლებიც საპირისპირო კუთხეებიდან დასჯახებიან კლდეს და დაუნგრევიათ.

უშგულის ეტიმოლოგიას "უშიშარ გულს" უკავშირებენ. ისტორიულად, უშგული უბატონო თემი იყო. უშგულში გაბატონების მსურველი 7 თავადი მოკლეს. მათ შორის უკანასკნელი იყო ფუთა დადეშქელიანი, რომელიც უშგულის ლამარიაში მთელმა სოფელმა ერთად მოკლა. ერთიანი სვანეთის დაშლის შემდეგ უშგული ე. წ. „თავისუფალი სვანეთის" ნაწილი იყო, მაგრამ უკანასკნელ დრომდე (1810) იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (რაჭასთან ერთად). უშგულის თემმა თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი მოძალადე მოიგერია, მათ შორის ფუთა დადეშქელიანი (XVII საუკუნის II ნახევარი). უშგულში შემორჩენილია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული სვანეთის ერთ-ერთი უდიდესი ციხესიმაგრის (XII-XIII სს) ნაშთები; საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი (მათ შორის 37 კოშკი); ერისთავთა ხელისუფლების ნიშნები — სკიპტრა და სავარძელი.

გადმოცემის თანახმად თამარ მეფე ზაფხულს ხშირად ატარებდა სვანეთში და მას განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა სვანთა მიმართ, აგებდა ეკლესიებს და კოშკებს.

სვანური კოშკი 20-25 მ სიმაღლის ორფერად სახუროვნი ნაგებობაა. კოშკებს რიყის ქვითა და ლოდებით აშენებდნენ და გარედან განსაკუთრებული სიმტკიცის ბათქაშით ლესავდნენ. სვანური კოშკები უმეტესად ხუთსართულიანია.

ლემი - თავისუფალი სვანეთის დროშას ეწოდება, იგივეა რაც - ლომი. ლემი სვანეთის უძლეველობის განსახიერებაა, დროშა მედროშეს - მელომეს განკარგულებაში იყო და ყველა ბრძოლაში წინ მიუძღვოდა მებრძოლებს.

სვანეთი ცოცხალი მუზეუმია, აქ ეროვნულთან ერთად ინახება უძველესი უცხოური ხელოვნების არაერთი ნიმუში: იტალიური ჯვარი, გერმანული ვერცხლის ფიალა, სირიული თასი, სასანიდური სურა, ჯვრები, მედალიონები, მონეტები, აქ მართლაც ერთიანი საქართველო ატანილია მთაში.

ეკლესიები IX-XVII საუკუნეების მონუმენტური კედლის მხატვრობითაა შემკული, სვანეთში დაცულია IX-XVI საუკუნეების მრავალი ქართული ფერწერული ხატი. სვანეთში არსებული მცირე ზომის, მწყობრი პროპორციების დარბაზული ტიპის ეკლესიები დაბალი შესასვლელი კარი აქვთ. ალბათ იმიტომ, რომ იქ შესვლისას ყველამ თავი დახაროს, ერთგვარად ქედი მოიხაროს სვანეთის გმირული წარსულის თუ იქ დავანებული სიწმინდეთა წინაშე. სულის ამონათქვამია სვანური საგალობელი „ლილეო", ყოველი სიმღერა დიდი იდუმალების მატარებელია.

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია მსოფლიო ტურიზმში ცნობადი სახის შესაქმნელად. ამ მხარის კოლორიტი ხიბლავს ქართველსაც და უცხოელსაც. უძველესი კოშკები და ბუმბერაზი მთები პირველივე წუთიდან ატყვევებენ მნახველს. ძველი ტრადიციები და ყოფითი წეს-ჩვეულებები, მრავალფეროვანი და უნიკალური მენიუ, ხიბლავს სოფლად ცხოვრების მესვეურთ. ეთნოგრაფიით დაინტერესებულებს საშუალება აქვთ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ ძველ ტრადიციებსა და რიტუალებში, რახის გამოხდაში, ხალხური რეწვის ნაკეთობათა შექმნაში, როგორიცაა მაგ.: სვანური ქუდი.

სვანურ ქუდს ნამუსის ქუდსაც უწოდებენ. მამაკაცის სვანური ქუდი ნაბდისგან მზადდება, ის ერთნაირად იცავს სიცხეში და სიცივეშიც. სვანური ქუდი როგორც წესი რუხია, შავ ქუდს მხოლოდ მგლოვიარეები ატარებენ. ქუდი სადაა და მასზე აბრეშუმის სირმით და ბამბის ზონრით ჯვარია გამოსახული.

სვანური სოფლების კოლორიტი და დღემდე შემორჩენილი ისტორიული სიძველე აგროტურიზმის განვითარების წინაპირობაა. ეკოტურიზმი ერთ-ერთი სახეობაა, რომლითაც სვანეთს შეუძლია უფრო გაითქვას სახელი. ღრმა ხეობები, მრავალფეროვანი ბუნება, საოცარი ბუნების ძეგლები და მოვლენები, ენდემური და შემოსული ცხოველები და ფრინველები, მდინარეები, ჩანჩქერები ეს ყველაფერი კარგ შესაძლებლობას იძლევა აქ სალაშქრო თუ საცხენოსნო ტურების ხელშეწყობისა და გამრავალფეროვნებისათვის. სვანეთს დიდი პერსპექტივა აქვს ტურიზმის ისეთი სახეობების

განვითარებაში, როგორიცაა მაგ: სპორტული ტურიზმი, მეკლდეურობა, სათხილამურო ტურიზმი და ა.შ. მესტიიდან 8 კმ-ში მდებარეობს სამთო-სათხილამურო ტრასა **„ჰაწვალი“**, რომელსაც წელიწადის ყველა დროს უამრავი ადამიანი სტუმრობს.

სვანური სამზარეულო ძალიან პოპულარული და გამორჩეულია მთელ მსოფლიოში, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ სვანური პროდუქტების ადგილზე დამზადება ხდება, რაც უდავოდ ძალიან ნატურალური და სასარგებლოა. სვანური კუბდარი, ჭიშტვარი, ხაჭაპური, ელარჯი, ხაწამწვარი, პიტნიანი სულგუნი, კალმახი და ა.შ. გულგრილს არავის ტოვებს. სვანური სუფრის განუყოფელი ატრიბუტია სვანური მარილი და მინერალური წყალი. სვანეთი მინერალური წყლებით მდიდარია. უშგულში, მდინარე ენგურის სათავეში მოდის მინერალური წყალი, რომელიც ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

სვანეთი ერთ-ერთი უმშვენიერესი და უძველესი კუთხეა საქართველოში, სადაც ადამიანები და ბუნება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სვანეთი მთიანი რეგიონია და კავკასიის ფერდობზე მდებარეობს. იზოლირებულია თავისი სოფლებით, ადგილობრივი მოსახლეობით – სვანებით.

სვანეთი თავისი განსაცვიფრებელი მთებით, მინდვრებით, მყინვარებითა და ტყეებით თავგადასავლებისა და აღმოჩენების ოაზისია.

„ყველაფერს ეშინია დროის, დროს ეშინია მხოლოდ პირამიდების“ - თქმულა ერთხელ მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებაზე - ეგვიპტის პირამიდებზე. ფრთიან გამოთქმად ქცეული ეს სიტყვები სვანურ ფენომენს - აქაურ ციხე-კოშკებსაც მიესადაგება. ვინ მოსთვლის ჟამთა რამდენ სიავეს გაუძლეს ამ გოლიათებმა, მაგრამ კვლავ ამაყად დგანან სვანი კაცივით შეუვალნი და გაუტეხელნი, გარდასულ დღეთა უტყვი მემატიანე.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.tetnuldi.ge/ge/svaneti.html
2. https://ka.wikipedia.org/wiki/სვანეთი
3. https://ka.wikipedia.org/wiki/უშგულის_თემი

თომას კუკის როლი ტურიზმის განვითარებაში

თამარ სამადალაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

მსოფლიო ისტორიაში პირველი „ტურისტული კომპანიის“ დამაარსებელია ინგლისელი მეწარმე და ბიზნესმენი თომას კუკი (1808-1892 წწ.). იგი ბავშვობიდან მკაცრ ბაპტისტად გაიზარდა, შემდეგ კი ადგილობრივ არამსმელთა ორგანიზაციას შეუერთდა. ერთ დღესაც, როდესაც თომასი ლონდონის გზაზე, ქალაქ კიბვორთთან ეტლს ელოდებოდა, მას მოუვიდა იდეა, რომ თავისი აქტივისტებისთვის ექსკურსია შეეთავაზებინა. 1841 წლის 5 ივლისს მოეწყო პირველი ორგანიზებული მოგზაურობა, როდესაც კუკმა ქალაქ ლესტერიდან რამდენიმე მილით დაცილებულ ლაფბოროში გასამგზავრებლად არამსმელთა მოძრაობის 570 აქტივისტი შეკრიბა, „ანტიალკოჰოლურ მიტინგზე“ დასასწრებად. მან სარკინიგზო კომპანიის მეპატრონეებისგან თითო ბილეთი 1 შილინგად იყიდა. ეს იყო ისტორიაში პირველი კერძო დაქირავებული ექსკურსია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის მოეწყო. პირველი ტურისტები აღფრთოვანებული იყვნენ ამ მოგზაურობით და მალე ასეთმა მოგზაურობებმა რეგულარული სახე მიიღო.

თომას კუკმა გააკეთა უბრალო ადამიანური აღმოჩენა - მან მოიფიქრა ტურიზმი და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული: მარშრუტი, ბილეთები, სასტუმროების დაჯავშნა, გზამკვლევი, საგზაო ჩეკები. მოგზაურობა გახადა ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და კომფორტული, თვითონ ტურისტული ბიზნესი კი მომგებიანი.

თომას კუკი დაიბადა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქის დასაწყისში, როდესაც ცხოვრებაში ინერგებოდა ტექნიკის სიახლეები, დაიწყო რკინიგზის მშენებლობა, რამაც დიდი გავლენა იქონია საზოგადოების ცხოვრების სტილზე მისი მოძრაობის და მოგზაურობის შესაძლებლობის კუთხით.

თომასი იყო ნოვატორი ადამიანების სამოგზაუროდ მოზიდვაში, სწორად შეაფასა რა მშენებარე რკინიგზის შესაძლებლობები, მან 1844 წელს კონტრაქტი გააფორმა სარკინიგზო კომპანიასთან მგზავრთა მუდმივად მიწოდების თაობაზე, რის ნაცვლადაც მან მიიღო ფასდაკლებები რკინიგზის ბილეთებზე. უკვე თავის პირველ ტურში დანერგა ორგანიზებული ტურიზმის საბაზო პრინციპები. აღნიშნა მოგზაურობის მიზანი, დრო, ადგილი, ხანგრძლივობა, შეუძინა ბილეთები ყველა მონაწილეს, ორგანიზება გაუწია კვებას და გართობას. 1841 წლის 5 ივლისი ითვლება ტურიზმის დაბადების დღედ. მოგზაურთა მოსაზიდად კუკი იყენებდა, როგორც ადამიანების ინტერესს და ცნობისმოყვარეობას, ასევე ამ ინტერესების ფორმირებას თავისი მოულოდნელი იდეებით. პირველი წარმატების შემდეგ ის გეგმავს მასიურ გასვლებს. ამასთან ერთად იგი არ განიზრახავს არანაირ სარგებელს თავისთვის - მის მიერ ორგანიზებულ ყველა მოგზაურობას ჰქონდა იდეოლოგიური დატვირთვა უალკოჰოლო ცხოვრების წესის პროპაგანდის სახით.

1851 წელს ლონდონში ჩატარდა კაცობრიობის ტექნიკური და სხვა მიღწევების პირველი მსოფლიო გამოფენა. ამჯერად კუკს ტურისტები მიჰყავდა არა ლონდონიდან, არამედ ლონდონში. მსურველები ინგლისის ყველა კუთხიდან მიემართებოდნენ დედაქალაქისკენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ მსოფლიო მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები. კუკის ძალისხმევის წყალობით ეს გამოფენა მოინახულა 165 000-მა ადამიანმა.

თომას კუკმა შეძლო კიდევ ერთი ორიგინალური იდეის რეალიზება - „სასახლის კარი საჯარო დათვალიერებისათვის“. იგი მოელაპარაკა სასახლეთა მეპატრონეებს, რომ გარკვეულ ფასად შეეშვათ ექსკურსანტები დასათვალიერებლად. არისტოკრატული საზოგადოების ცხოვრებისადმი ინტერესი ყველა დროში დიდი იყო და კუკმა პირველმა გახსნა ეს გზა, რითაც ორივე მხარემ სარგებელი მიიღო.

თავის ვაჟთან, ჯონთან პარტნიორობის დაწყების შემდეგ, კუკმა სააგენტოს სახელი შეუცვალა და ”Thomas Cook and Son” უწოდა. ჯონის კომერციული ნიჭის წყალობით კომპანია მალე კიდევ უფრო გაფართოვდა. 1855 წელს მოეწყო პირველი საზღვარგარეთული გასვლა მეორე მსოფლიო გამოფენაზე პარიზში. 1865 წელს სააგენტო ტურებს აშშ-ის მიმართულებით ახორციელებდა. 1872 წლიდან დაიწყო ტურები მთელი მსოფლიოს გარშემო. მათ შორის იყო მთელი ამერიკის კონტინენტი, იაპონია, ტურნე ჩინეთსა და ინდოეთში.

კიდევ ერთი სიახლე რასაც სთავაზობდა ტურისტებს თომას კუკი იყო სამგზავრო ჩეკი, რომელიც ძალიან მოსახერხებელი და პრაქტიკული აღმოჩნდა მგზავრებისთვის იგი იცავდა მფლობელს მოგზაურობის დროს ფულის დაკარგვისგან. ბუკლეტები და გზამკვლევები - ჯერ კიდევ თავისი პირველი (არაკომერციული) ტურებისათვის მან მოამზადა სპეციალური ბუკლეტები, სადაც აღწერდა მოგზაურობას და უამბობდა იმ ღირსშესანიშნაობების შესახებ, რომელთა დათვალიერებაც იგეგმებოდა. შემდგომ, შიდა ტურიზმიდან საერთაშორისო ტურიზმზე გადასვლისას კუკმა დაიწყო გზამკვლევების გამოშვება. მათში უკვე სრულად აღიწერებოდა ქვეყნის ღირსშესანიშნაობები და ადათ-წესები.

კუკის ნოვატორობებს შორის გამოირჩევა მომლოცველობითი ტურიზმი. ჭეშმარიტად მორწმუნენი ყოველთვის მიისწრაფოდნენ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოენახულებინათ წმინდა ადგილები. კუკმა ყურადღება მიაქცია ადამიანების ამ სურვილს და 1868 წელს შეიმუშავა და მოქმედებაში მოიყვანა ქრისტიანი მომლოცველების უსაფრთხო მოგზაურობის გეგმა იერუსალიმში. შემდეგი ნაბიჯი იყო მუსლიმების გადაყვანა მექაში. მის მიერ დაარსებული რელიგიური ტურიზმი წარმატებული მიმართულება გახდა.

მან ასევე პირველმა გაუწია ორგანიზება საზღვაო მოგზაურობებს. ერთ-ერთი პირველი იყო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, რომელიც 222 დღე გრძელდებოდა. ტურისტები ჩერდებოდნენ სხვადასხვა პორტებში, ეცნობოდნენ მათ ღირსშესანიშნაობებს. ცხოვრება ასეთ „საკრუიზო ლაინერში“ წარმოადგენდა სასიამოვნო გართობას. ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ დიდ მოგზაურობაში დედამიწის გარშემო.

თომას კუკის წარმატების მიზეზი გახდა მისი კარგი ორგანიზატორული ნიჭი და დამოკიდებულება საქმისადმი. თავის პირველ მარშრუტებს იგი პირადად გადიოდა, პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ყველა მხარესთან. ძალიან უფრთხილდებოდა სახელს, რომელიც წარმატების გარანტი, რაც ხელს უწყობდა რეპუტაციის ზრდას და კლიენტების ნდობის მოპოვებას. მიზნად ისახავდა მოგზაურობა და დასვენება ხელმისაწვდომი გაეხადა მასობრივი მომხმარებლისთვის. მასობრიობის წყალობით ხდებოდა მნიშვნელოვანი ფასდაკლებების მიღება ტრანსპორტზე,

სასტუმროებსა და კვების ობიექტებზე. ეს ამცირებდა ტურების ფასს და ხელმისაწვდომს ხდიდა სულ უფრო მეტი ადამიანისთვის.

თითქმის ყველაფერი იქიდან, რაც გააკეთა და გამოიყენა თომას კუკმა თავის პრაქტიკაში, იყო გამოგონებული და გამოყენებული პირველად. თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის ყველა ძირითადი შემადგენელი იყო ჩადებული თომას კუკის მიერ და გამოიყენება დღემდე პრაქტიკულად შეუცვლელად.

თომას კუკის მიერ დაარსებული ტურისტული სააგენტო დღემდე უმსხვილესი კომპანიაა. 2007 წლიდან "Thomas Cook Group"-ის სახელით არის ცნობილი. მისი რეპუტაცია ისევე მაღალი და ურყევია, როგორც წარსულში. დღეს უკვე კომპანია ახორციელებს ტურებს მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით. იგი ფლობს კურორტებს, სასტუმროებს, ვილებს მთელს მსოფლიოში, ასევე საკუთარ ავიაკომპანიას - "Thomas Cook Airlanes". ავიაკომპანია ფლობს 100-ზე მეტ თვითმფრინავს. ემსახურება დაახლოებით 7 200 000 მგზავრს წელიწადში.

კომპანია მომხმარებლებს მუდმივად სთავაზობს განახლებულ სერვისს და მომსახურებას, სანდო და ინოვაციურ პროდუქტს. მაგალითად მომხმარებელს რომელსაც პერსონალური ტურის შერჩევა სურს, შესაძლებლობა აქვს 3d ტექნოლოგიის საშუალებით ვირტუალურად იმოგზაუროს მისთვის სასურველ ადგილზე, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://ka.wikipedia.org
2. http://bibliofond.ru/
3. http://www.thomascookgroup.com/
4. https://en.wikipedia.org/wiki/Thomas_Cook_Group
5. http://tur-plus.ru/cook/cook.htm

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი ძამას ხეობაში

ნინო ღონღაძე, ქეთინო ჯოლბორდი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქარელის რაიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ზნაური, სამხრეთით - ბორჯომის, აღმოსავლეთით - გორის, დასავლეთით -ხაშურის რაიონები. ფართობი - 687,7 კვ. კმ. რაიონული ცენტრი - ქალაქი ქარელი. რაიონში შედის 1 საქალაქო (ქარელი), 1 სადაბო (აგარა) და 15 სასოფლო საბჭო, 82 სოფელი. რაიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია შიდა ქართლის ვაკეს, სამხრეთი ნაწილი კი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ძამა, დასავლეთი, შუა და აღმოსავლეთი ფრონე. ჰავა გარდამავალია კონტინენტურ-სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულზე. ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული - თბილი, ხანგრძლივი. საშუალო წლიური ტემპერატურა 11 გრადუსი. წიაღისეული სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია კოდმანისა და ძაძვის მანგანუმის საბადოები, მდინარე ძამის ხეობაში ნახშირმჟავა, სოფელ აბანოსთან წყალბადგოგირდოვანი წყაროები. არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობს, რომ რაიონის ტერიტორიაზე ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე. ქალაქ ქარელში არაა განვითარებული ტურიზმი, არაა არცერთი ტურისტული კომპანია და არც საინფორმაციო ცენტრი. ინფორმაცია ტურისტებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ქარელის გამგეობის სამსახურში, არაა სასტუმროებიც, სადაც ტურისტები შეძლებენ განთავსებას. წელს პირველად აპირებენ, რომ ჩაატარონ „ქარელის დღეები" და ასევე „ზაზაობა". თუმცა ჩატარების დრო უცნობია. ქალაქში აღსანიშნავია ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც ნაკლებად ყავს დამთვალიერებელი. მუზეუმის დაფუძნების თარიღია 1973 წელი. მუზეუმის იურიდიული სტატუსია

ააიპ ქარელის კულტურის ცენტრი. მუზეუმის ტიპი (პროფილი) არის ისტორიული. ექსპონატების რაოდენობაა 1235, რომლების უმეტესობაც დღეს გადანაწილებულია საქართველოს მუზეუმებში, ნაწილიც შეფუთული დევს მუზეუმში, რადგან არ არის საშუალება და პირობები, რომ გამოიფინოს. მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს და რკინის ხანის მასალები: კაჟის ქვის ნაკეთობები, საბრძოლო და სამეურნეო ნივთები, რკინის ხმლები, ბრინჯაოს ბალთები, შუბისპირები, სამკაული, ნუმიზმატიკა, კერამიკული ნაწარმის ნიმუშები, XIX ს-ის საყოფაცხოვრებო ნივთები, წერილობითი დოკუმენტები და ფოტომასალები. მუზეუმის რეაბილიტაცია მოხდა 2013 წელს, მუზეუმის პერსონალს შეადგენს 8 კაცი დირექტორის ჩათვლით და ყავთ ერთი გიდი. 2014 წლის მონაცემებით მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი კი ასე გამოიყურება: ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რიცხვი - 33 კაცი, საექსკურსიო დამთვალიერებელთა რიცხვი - 1009 კაცი, გამოფენების რიცხვი - 2.

ძამას ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში, ზღვის დონიდან 1000-1400 მეტრზე, რელიეფი უმეტესად მთაგორიანია, ოდესღაც მჭიდროდ იყო დასახლებული, გამოირჩევა თავდაცვითი ნაგებობების და ეკლესია -მონასტრების სიუხვით. ამჟამად აქ აქტიური სამონასტრო ცხოვრებაა. ძამის ხეობა 36 კილომეტრზეა გადაჭიმული. მდინარე ძამა სათავეს თორის მთებში იღებს, ქარელში იგი უერთდება მტკვარს. ხეობას ციციშვილები ფლობდნენ, რომლებიც ფანასკერტელებად იწოდებოდნენ. ხეობა უძველესი ნაქალაქარის ადგილასაა გაშენებული. ძამის ხეობა იწყება სამწევრისის კომპლექსით. იგია ხეობის ცენტრალური კარიბჭე. აქედან ადვილი იყო ხეობის შესასვლელის კონტროლი. მის შემადგენლობაში შედის: ეკლესია-მონასტრები და ციხე-დარბაზი. მიმდინარეობს სამონასტრო ცხოვრება. ციხე-დარბაზი ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალურ ისტორიას უკავშირდება.

ძამის ხეობა გამოირჩევა ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების სიმრავლით:

აბუხალო - მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ძამის სათავეში. ქარელიდან 35 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელი უკვე დაცარიელებულია. აბუხალოში დაცულია კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულები. აბუხალოს გამოქვაბული თავდაცვითი ნაგებობა ყოფილა - განსაცდელის ჯამს მოსახლეობა თავს აფარებდა. კომპლექსი თარიღდება XVII-XVIII სს-ით. იგი წარმოადგენდა კლდეში ნაკვეთ რვა სხვადასხვა ზომის ქვაბულისგან შემდგარ მონასტერს. კედლები მოხატული ყოფილა. 2005 წლის 1 მაისიდან სოფელში მოქმედებს აბუხალოს დავით გარეჯელის სახელობის მონასტერი.

გვერძინეთი - მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ძამის ნაპირზე, ქარელიდან 21 კმ-ზე. სოფლის განაპირას, დას-ით, მდ. ძამის აღმ. ნაპირზე ფერდობზე დგას კოშკი. თარიღდება 16 საუკუნით, იცავდა გზას. შემორჩენილია ხუთი სართული.

ზოვრეთი - სახელწოდება მოდის სიტყვა „საზეურიდან“ (ზეურის ადგილი), რაც საბაჟოს ნიშნავს. მძოვრეთის ციხე დარბაზის კომპლექსი - მდებარეობს სოფლის დასაწყისში, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო კოშკი, აბანო და სასახლე. ციხე დარბაზს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, დღეს იგი სანახევროდ დანგრეულია და მიწითაა დაფარული. მძოვრეთის მთელ ნაგებობებს შორის გამოირჩევა მძოვრეთის იგივე ძამის ციხე. მიმდინარეობს რესტავრაცია, შეტანილია კულტურულ მემკვიდრეობათა სიაში. ამ ციხის მიუვალობას ერთი ხალხური თქმულებაც ამტკიცებს. ერთხელ ციხეს შემოესივნენ ოსმალები, მათ ის ვერ აიღეს. მტერი ალყის მოხსნას აპირებდა, როდესაც ერთი დედაბერი მოისყიდეს ორ თუმნად. დედაბერმა მტერს ურჩია: სახედარს მარილი აჭამეთ და რამდენიმე დღე უწყლოდ ამყოფეთ, შემდეგ გაუშვით და სადაც მივა წყალსადენი იქ იქნებაო. მტერმა წყალსადენი იპოვა და ციხე აიღო. აქედან მოდის სახელწოდება ორთუბანი ანუ ორ თუმნად გაყიდული ციხე. აქ მოღვაწეობდა ზაზა ფარნასკერტელიც და დაიწერა მისი წიგნი „კარაბადინი“.

კეხიჯვარი - ერთ-ერთი უძველესი სოფელია ხეობაში. ქარელიდან 6 კმ-შია. კეხიჯვრის წმ. გიორგის ეკლესია გვიანი ფეოდალური ხანის დარბაზული ტიპის ტაძარია, ნაგებია რიყის ქვით და ტუფის გათლილი ქვებით. მდებარეობს სასაფლაოზე.

სანებელი - წმ. ნიკოლოზის მამათა მონასტერი სოფლის ცენტრში მდებარეობს. აღადგინეს რამდენიმე წლის წინ.

ქოზიფა - მამათა მონასტერი განახლდა 1997 წელს მეუფე იობის ხელმძღვანელობით. მდებარეობს 1400 მეტრზე ზღვის დონიდან, ქარელიდან 35 კმ-ში. სახელწოდება იერუსალიმის მახლობლად მდებარე ქოზიფას წმ. გიორგის სახელიდან არის გადმოღებული. კომპლექსში შედის 5 ეკლესია. მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია იმ სასულიერო პირთა საძვალე, რომლებიც მოღვაწეობდნენ მონასტერში სავარაუდოდ XVII საუკუნემდე. ეკლესიები სხვადასხვა დროსაა აგებული. მონასტრისკენ მიმავალ გზაზე გვხვდება „მჟავე წყალი“.

ტბეთის მამათა მონასტერი - მონასტერი ფუნქციონირებს 2004 წლიდან. ეზოში დგას მონასტრის თანადროული აგურის სამნავიანი ბაზილიკა. სახელი ადგილმდებარეობის გამო დაერქვა. (ბატეთის ტბის ძირში)

ქარმელის მონასტერი -სახელწოდება მოდის ბიბლიური სიუჟეტისგან. ორი ტაძრიდან ერთი ელია წინასწარმეტყველის სახელს უკავშირდება. მონასტერი საკმაოდ მაღალზეა საიდანაც მოჩანს მუხილეთი, მძოვრეთი, გვერძინეთის სათვალთვალო და საყარაულო კოშკები.

ბატეთის ტბა - მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე 1313 მეტრზე ზღვის დონიდან. ტბის სიღრმე 12 მეტრია, ზედაპირის ფართობია 0.02 მეტრი. ტბა გაჩნდა კლდეზვავისგან მდ. ბატეთის წყლის შეგუბების შედეგად. არის გამდინარე. გარშემორტყმულია შერეული ტყით. იგი ცივია ზაფხულშიც. ტბაში არ არის თევზები, მხოლოდ გვხვდება ამფიბიები (იშვიათი ჯიშის ტრიტონები - კუდიანი ამფიბიების გვარი სალამანდრისებრთა ოჯახისა). მათი სხეულის სიგრძე 18სმ -ს აღწევს. ცნობილია 10 სახეობა. ზამთარს ატარებენ ხმელეთზე. გაზაფხულობით გადადიან წყალსატევებში, სადაც მრავლდებიან. იკვებებიან მცირე ზომის კიბოსნაირებით, მწერებითა და მათი მატლებით, ჭიებით. საქართველოში გვხვდება 3 სახეობა, შეტანილია წითელ წიგნში.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ტურისტული მარშრუტები ძამის ხეობაში:

სამწევრისის ციხე-დარბაზის კომპლექსი, ჯვრის სახელობის მამათა და მთავარანგელოზის სახელობის მონასტრები - შესაძლებელია კულტურული და მომლოცველობითი ტურიზმის განვითარება. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხსნო, საცხენოსნო, მსუბუქი ავტომობილით.

„ძამჰესი“ და მცირე ჩანჩქერი მდინარესთან-ადგილმდებარეობა-ძამის ხეობა. რაიონული ცენტრის მახლობლად 10კმ-ზე. სოფ. ვედრება. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ველოსიპედით, მსუბუქი ავტომობილით.

ზაზა ფანასკერტელი -ციციშვილის კოშკი, მძოვრეთის ციხე დარბაზი - შესაძლებელია საექსკურსიო, მომლოცველობითი და კულტურული ტურიზმის განვითარება. ადრე იმართებოდა „ზაზაობა“ - შრომისა და ჯანმრთელობის დღესასწაული, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის სოფლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები და უამრავი ტურისტი. „ზაზაობა“ რამდენიმე წელი აღარ ჩატარებულა, მაგრამ 2015 წელს უკვე იგეგმება მისი განახლება. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ჯიპით, კვადროციკლით, ველოსიპედით და მსუბუქი ავტომობილით.

ძამის ხეობის მონასტრებიდან აღსანიშნავია: ზღუდერის, იმერხევის ღვთისმშობლის, წიფლოვანას, ქართას, ქარმელის, ბანას, კოდმანის, ორხევის, მუხილეთის, ქოზეფას, ველისციხის, ქვათეთრის, ტბეთის. შესაძლებელია კულტურული, სანახაობრივი, მომლოცველობითი, ჯიპტურების, საცხენოსნო, საფეხოსნო ტურიზმის განვითარება. აგრეთვე შესაძლებელია ეკოტურიზმის, ველური ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებაც. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ჯიპით, კვადროციკლით, ველოსიპედით.

„ბატეთის ტბა“ - შესაძლებელია ჯიპტურების, საცხენოსნო, საფეხოსნო ტურიზმის განვითარება. აგრეთვე შესაძლებელია ეკოტურიზმის, ველური ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებაც. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ჯიპით, კვადროციკლით, ველოსიპედით .

შუანოს მთა და აბუხალოს ჩანჩქერი - შესაძლებელია სანახაობრივი ჯიპტურების, საცხენოსნო, საფეხოსნო ტურიზმის განვითარება. აგრეთვე შესაძლებელია ეკოტურიზმის, ველური ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებაც. მომავლისთვის შუანოს მთა პერსპექტიულია სათხილამურო ტურიზმისთვის. აგრეთვე ამ მთის ჰაერი იდენტურია ბაკურიანისა და ბორჯომის ჰაერისა, ამიტომ შესაძლებელია აქ ბევრი დამსვენებლის მოზიდვა. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ჯიპით, კვადროციკლით.

ეგრეთწოდებული სამკურნალო „მჟავე წყლები“ - აქვს სამკურნალო თვისებები, გამოირჩევა სპეციფიკური გემოთი. შესაძლებელია ჯიპტურების, საცხენოსნო, საფეხოსნო ტურიზმის განვითარება. ადგილმდებარეობა - ძამის ხეობა. სოფ. ზღუდრის საკრებულო. ადგილამდე მისვლა შესაძლებელია საფეხოსნო, საცხენოსნო, ჯიპით, კვადროციკლით.

SWOT ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხერხია, რომელიც ძალზე ეფექტურია ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასების შედეგების ანალიზისათვის, რასაც საბოლოოდ მივყავართ ტურისტული პოტენციალის ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბებისაკენ. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ძამის ხეობის შეფასებისთვის. ტურისტულ-რეკრეაციული ანალიზის მეთოდი. შედეგი შემდეგშია:

ძამის ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული მდგომარეობის SWOT ანალიზი

ტერიტორიის ტურისტული ღირსშესანიშნაობები	
პოზიტიური ფაქტორები	ნეგატიური ფაქტორები
მრავალფეროვანი რელიეფი	არასათანადო რეკლამა
შენარჩუნებული ეთნოკულტურა	ტურების არასეზონურობა
მიმზიდველი პეიზაჟი	-
სამკურნალო წყლები და ჰავა	-
კარგი შესაძლებლობა ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისთვის	-
ტურისტული ძეგლების სიმრავლე	-

ტურისტული ინფრასტრუქტურა	
პოზიტიური ფაქტორები	ნეგატიური ფაქტორები
შესაძლებელია აუთვისებელი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ათვისება და მისი განვითარება	სასტუმროების განუვითარებელი ბაზა
-	სანიტარული ობიექტების უქონლობა
-	კვების ობიექტების უქონლობა
-	სასმელი წყლის უკმარისობა (ბატეთის ტბა)
-	ტერიტორიის განვითარების გეგმის უქონლობა ხეობაში
-	გზების მოუწესრიგებლობა
-	გადასასვლელი ხიდების უქონლობა
-	ტურისტული ცენტრების უქონლობა
-	მაღაზიების არარსებობა
-	სუსტი ფიჭური და ელექტრონული კომუნიკაციების
-	მოძველებული ნიშნები და ასევე მხოლოდ ქართულ ენაზე

სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა	
პოზიტიური ფაქტორები	ნეგატიური ფაქტორები
ქარელთან სიახლოვე	მოძველებული ავტობუსები
მოსახერხებელია ყველანაირი ტრანსპორტის გამოყენება	საჭირო ტრანსპორტის დაქირავების შეუძლებლობა
ტრანსპორტის სიიაფე ქარელიდან	პარკინგის არარსებობა
რკინიგზასთან ხელსაყრელი მდებარეობა	ველოსიპედის გზების არარსებობა

კულტურული და ეკოლოგიური პირობები	
პოზიტიური ფაქტორები	ნეგატიური ფაქტორები
ტრადიციული სტუმართმოყვარეობა	მოსახლეობის გაუცხოვება ტურიზმის როლსა და მნიშვნელობაზე ეკონომიკის აღორძინების საქმეში.
წყნარი გარემო	რეგიონული კულტურის რეკლამირების არ ქონა
ზედაპირული და ჩამონადენი წყლების სიუხვე	ზედაპირული წყლების დაბინძურება
ჩანჩქერების და მდინარეების სიუხვე	ბუნების დაცვის ტრადიციის არ ქონა (არაა პარკები, ნაკრძალები)
ველური, ხელუხლებელი ბუნების არსებობა	ხე-ტყის მოჭრის მონიტორინგის არ ქონა
მდიდარი ფლორა და ფაუნა	მოსახლეობის ეკოლოგიური თვითშეგნების დაბალი დონე
ჩანჩქერების და მდინარეების სიუხვე	ზოგიერთ ადგილებზე დაბინძურებული გარემო ნარჩენებისგან (სანაგვე ურნების არ ქონა)

ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონს აქვს უნიკალური ტურისტული პოტენციალი. ძლიერი მხარეებია: ბუნებრივი გარემო, სარეკრეაციო ტყის რესურსები, ტყის ფართობი 23400 ჰა-ია. სასმელი (მათ შორის მინერალური) წყლის რესურსების სიუხვე მდიდარი და მრავალფეროვანია. შესაძლებელია გოგირდოვანი წყლების ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების სამკურნალო გამაჯანსაღებელი ცენტრის შექმნა. აქ არის საკურორტო ზონა და საჭიროა განვითარდეს საკურორტო და ტურისტული მეურნეობა. ტურისტული საქმიანობა მნიშვნელოვნად წაადგება რეგიონის განვითარებას.

ლიტერატურა:

1. მ. უკლება, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, შეფასება-ტრანსფორმაცია, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი, თბ., 2009.
2. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა, ქარელის მუნიციპალიტეტი, 2013.
3. რ. გელდნერი, ჯ. რ. ბრენტ რითჩი, ტურიზმი - საფუძვლები - პრაქტიკა - თეორია, ბსუ, 2013.
4. ნ. ალხანაშვილი, ეკოლოგიური ტურიზმი, თბ., 2010.
5. http://www.ucnauri.com/2010/ საქართველოს ტურიზმი.
6. http://www.tourismadjara.ge
7. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&item=166

საქართველოს კულტურული ტურიზმი

მაკა ჩადუნელი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

თანამედროვე ტურიზმი, რომელიც კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროცესების სფეროდ გადაიქცა, რომელმაც ულტრათანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებითა და მომსახურებით სულ სხვაგვარი წარმოდგენები შექმნა დროსა და სივრცეზე, ძალზე ფაქიზად რეაგირებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად ჩნდება ახალი ტენდენციები, მოძრაობები, მიმართულებები. სწორედ აქედან გამომდინარე „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმს განიხილავს, როგორც:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;
- მდგრადი განვითარების ფაქტორს;
- სფეროს, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;
- საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის განსახლების სისტემას, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. საქართველოს ნებისმიერი მხარე, აღნიშნული კუთხით რესურსული პოტენციალის სიმცირეს არ უჩივის. ტურიზმის განვითარების დაგეგმვის დროს პოტენციური შესაძლებლობების

შეფასებისას აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას - რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისთვის? საერთაშორისო ექსპერტები ამ კომპონენტის ქვეშ გულისხმობენ:

· **ღირსშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები** - სანახავი ადგილები და ის, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას;

· **მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა** - დაბინავებისა და კვების ადგილები;

· **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება** - საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალება;

· **ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა** - წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;

· **მოგზაურობების ორგანიზება** - ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;

· **ტურისტული პროდუქციის წინ წამოწევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა** - ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- არსებობს თუ არა ამ ქალაქში (რეგიონში) ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;
- არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა;
- ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა ქალაქს (რეგიონს) ტურიზმის განვითარება;
- არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე;
- გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფარასტრუქტურის განვითარებისათვის;
- შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა არსებული ან შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში.

1992 წლის გაეროს ცნობილი სამიტის (რიო დე ჟანეირო) შემდეგ, ნებისმიერი ქვეყნისა და დარგის განვითარებას საფუძვლად უდევს ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“, რომელშიც გაცხადებული იქნა მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ტურიზმის განვითარებას სწორედ ეს პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად რამდენადაც მდგრადი ტურიზმი:

- ხელს უწყობს ტურიზმის ზემოქმედების გზების გაგებას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე;
- ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივი ტურიზმისა და მის მონათესავე სფეროებში;
- ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას - სასტუმროები და სხვა სარეკრეაციო ობიექტები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა და საექსკურსიო-საინფორმაციო საქმე;
- ხელს უწყობს რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლას და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას. ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება ჰქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი;
- მოითხოვს სივრცით დაგეგმვასა და ზონირებას, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი ეკოსისტემის გამტარუნარიანობას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში რთავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს;
- ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას;
- ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ტურისტებს;
- **ბუნებრივი ტურიზმი** ხელს უწყობს იმ მიწების პროდუქტიულ გამოყენებას, რომელთაც არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა;
- **კულტურული ტურიზმი** ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას;
- **ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი** ნათლად გვიჩვენებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მის დაცვას.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. კულტურული ტურიზმის პროგრამას ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს:

1. კულტურული ტურიზმის ეკონომიკა (ბაზრის შესწავლა, დაგეგმვა, ანალიზი);

2. შინაარსობრივი (შემეცნებითი მოგზაურობებისათვის ფორმების, სახეების, თემატიკის, სამოგზაურო მარშრუტების და ექსკურსიების შედგენა).

კულტურული ტურიზმის ტურისტული პროდუქტის - კულტურული ტურის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული საჩვენებელი ობიექტის ღირსებებზე და მის ინფრასტრუქტურაზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში ძეგლების, როგორც მთავარი საჩვენებელი ობიექტის, გარშემო არსებობს. ამდენად საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება უნდა დაიგეგმოს ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ღირსებებისა და მათ გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, რომელიც გაკეთდა კომპანია „კუპერსი და ლიბრანდტის“ საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების მხრივ კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. დასკვნაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, „ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოვლილი, რათა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარსდგნენ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთვალიერებელთა წინაშე. მუზეუმებში არსებული ექსპონატების პრეზენტაციისა და მათი ინტერპრეტაციის მხრივ მთელი ათწლეულით თუ მეტით არა უკან არის დასავლეთთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ექსკურსიამძღოლები უნივერსალური კვალიფიკაციის არიან, საკითხის ცოდნით და მისი დამოკიდებულებით კულტურასთან, მათ მიერ ენის ცოდნისა და პროფესიონალური მანერის გამო.“

სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს საქართველოს, როგორც ტურიზმის ქვეყნის, გაცნობიერების სფერო ძირითად პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელმიუწვდომელია კერძო სექტორისათვის, შემდეგი საშუალებების გამოყენებით: მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებზე და გამოფენებზე, უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში მოწვევა, უცხოეთის პრესაში და ინტერნეტის ქსელში საქართველოს ტურიზმზე ინფორმაციის გავრცელება, თემატური კონფერენციების ორგანიზება და სხვ.

საქართველოს ტურისტული ბაზრის კვლევა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთისა და ტუროპერატორებისათვის სწორი რეკომენდაციების გასაცემად.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე და ზოგადად დარგის მდგომარეობის გაანალიზებისას უნდა გამოიყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, რა სახის ტურები ხორციელდება და როგორია მათზე მოთხოვნა.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა. შ. ესე იგი თუ ლოგიკას მივყვებით და არსებული პოტენციალის რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურურტო, ეკო და ა. შ. საქართველოს კურორტები, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირა კურორტები ძალიან მოკლე სეზონურობით გამოირჩევიან, რაც თავისთავად საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს მეზობელი თურქეთის ზღვისპირა კურორტები, რომლებიც იდეალური სეზონურობით გამოირჩევიან მომხმარებლებს სთავაზობენ თვისობრივად და ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის სამოგზაურო ტურებს შედარებით დაბალ ფასებში. ტრადიციულად 2003-2015 წწ-ში ტუროპერატორთა თანაბარი რაოდენობა აწარმოებდა და აწარმოებს შემდეგი სახის ტურებს: სპორტული ტურები, რელიგიური/პილიგრიმული ტურები, სპეციალიზებული ტურები (არქეოლოგებისათვის, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანებისათვის და ა. შ), აგროტურები, სამკურნალო ტურები, ეთნიკური და ნოსტალგიური ტურები.

საქართველოში ტურიზმის მდგომარეობის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორია სეზონურობა ტურიზმის სახეების მიხედვით. თუკი პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალი სეზონურობის ტურებს, მაშინ მივიღებთ ასეთ შედეგებს: ძალიან მაღალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული/საქმიანი ტურები, ვინაიდან იგი წელიწადის ოთხივე სეზონს მოიცავს, მაღალი სეზონურობის ტურებია: კულტურული და სპეციალიზებული ტურები, ვინაიდან ისინი წელიწადის სამ სეზონს მოიცავენ, საშუალო სეზონურობის ტურებს განეკუთვნებიან: რელიგიური/პილიგრიმული ტურები, ეთნიკური/ნოსტალგიური ტურები, ისინი წელიწადის ორ სეზონს მოიცავენ. დაბალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნებიან: დასვენება

კურორტებზე, აგროტურები, ეკოტურები, სამკურნალო ტურები, სათავგადასავლო ტურები, სპორტული ტურები, ღვინის ტურები, „შოპ“ ტურები.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოში ტრადიციულად არსებული შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები, რომლებსაც უახლოეს წარსულში სთავაზობდნენ უცხოელ, მათ შორის საბჭოთა ტურისტებს, ამ მარშრუტების შედგენის პრინციპები და ტურისტთა მოგზაურობების მოტივაციები, აგრეთვე სადღეისოდ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნილება, რის შედეგადაც განისაზღვრა იმ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ნუსხა, რომლებიც პროგრამის პირველ ეტაპზე უნდა შევიდნენ ტურისტულ მარშრუტებში. ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა-მოწესრიგებაზე.

ჩამოსული ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე უსაფრთხოების პრობლემები, როგორიცაა:

- კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა;
- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი;
- ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობისათვის და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის დასაკავებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეკლამირება, საქართველოს როგორც, ახალი ქვეყნის, აქტიურად წარმოჩენა და დანარჩენი მსოფლიოსთვის გაცნობა.

საქართველო ტურიზმის ქვეყნად ჩამოყალიბდება მაშინ, როდესაც ტურიზმი განვითარდება საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე და ქვეყანაში დამყარდება ეკონომიკური და სამართლებრივი სტაბილიზაცია, როდესაც მოსახლეობა გახდება გადახდისუნარიანი. ამჟამად საქართველოში ტურიზმის განვითარების მრავალი ფაქტორი უკვე მოგვარებულია.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. შუბლაძე ვ., „საქართველო და ტურიზმი“, თბ., 2004.
2. მეტრეველი მ., „ტურიზმი“, თბ., 2003.
3. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბ., 2011.
4. http://www.geostat.ge/
5. http://gnta.ge/

სურამის ტურისტული პოტენციალი

ნატო ჯულაბაშვილი, მარიამი ბარჯაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

საქართველოს საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი აქვს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. მთელ მსოფლიოში არც ისე ბევრი ადგილი მოიძებნება, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია ამდენი განსხვავებული ლანდშაფტი ნოტიო სუბტროპიკებიდან მუდმივ თოვლამდე და მყინვარებამდე. საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია. საქართველო კურორტების ქვეყანაა. ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შიდა ქართლში ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში, საამისოდ საჭიროა კარგად დაგეგმილი და გააზრებული გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. განვიხილოთ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილი - სურამი.

სურამს და მთლიანად საქართველოს გააჩნია ტურიზმის განვითარების უზარმაზარი პოტენციალი, რომლის ათვისებაც უნდა მოხდეს ეტაპობრივად. საჭიროა თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც უპასუხებენ საერთაშორისო ტურიზმის მაღალ მოთხოვნებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელების შემდეგ სურამში შესაძლებელი იქნება ტურიზმის, როგორც ტრადიციული ისე არატრადიციული და ახალი დარგების დანერგვა-განვითარება, რადგან ამ მხარეს გააჩნია საამისოდ ყველა რესურსი და პირობა.

სურამი, დაბა, სამთო-კლიმატური კურორტი ხაშურის მუნიციპალიტეტში ლიხის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. სარკინიგზო შტოხაზით შეერთებულია ხაშურთან.

დაბის სტატუსი მიენიჭა 1926 წელს. მოსახლეობა 9,8 ათასი. სურამში დასახლების კვალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე არის ნავარაუდევი. ამ ადგილებში ადამიანს ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია, რაზედაც მეტყველებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც აქ არის მიკვლეული. სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. შორეულ წარსულში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა ინდოეთიდან ფაზისამდე, რომლის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III საუკუნის ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების არისტოტელეს, პატროკლესა და ერატოსთენეს შრომებში გვხვდება. სტრატეგიულმა მდებარეობამ, საერთაშორისო და საშინაო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიურმა ჩართვამ განაპირობა აქ ქალაქის წარმოშობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ სურამში ციხე-სიმაგრე სწორედ მისი ქალაქად გადაქცევისთანავე აიგო, რადგან ეს აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ სურამი ფეოდალური ხანის ბოლომდე ქალაქი იყო და გასულ საუკუნეებში ისე მოშლილა ყველაფერი, რომ ახლა ნაქალაქარი აღარ ჩანს. ქალაქი სურამი XII საუკუნიდან მოიხსენება ზოგიერთ ისტორიულ წყაროებში. სურამში დიდ ფეოდალთა საგვარეულო სურამელები XII–XIII საუკუნეში ცხოვრობდნენ. სახელწოდება წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან – სურამი. სურამის წარმოშობაზე ხალხური თქმულებაც არსებობს: სურამში ცხოვრობდა ორი ახალგაზრდა, ქალ-ვაჟი, ქალს – სუ რქმევია, ვაჟს – რამი. მათ ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ, რადგან მშობლები ერთად ყოფნას უშლიდნენ, მაინც გადაწყვიტეს ჩუმად დაქორწინებულიყვნენ და იმ უბანს, სადაც ისინი დასახლებულან, მათი ერთობლივი სახელი – სურამი დარქმევია, ხოლო მოგვიანებით ამ სახელით მთელ დაბას მოიხსენიებდნენ.

სურამში არის კულტურული (ლესია უკრაინკას მუზეუმი) და საგანმანათლებლო დაწესებულებები. დაბაში მდებარეობს სურამის ციხე და რამდენიმე ეკლესია: სურამის წმინდა გიორგის ეკლესია, სურამის ამაღლების ეკლესია, სურამის კვირაცხოვლის ტაძარი, იტრიის მონასტერი, ჩუმათელეთის წმინდა გიორგის ეკლესია, სურამის ღვთაების ეკლესია, სურამის ღვთისმშობლის ეკლესია, სურამის წმინდა მარინეს ეკლესია, სურამის წმინდა ბარბარეს ეკლესია და ებრაული სალოცავი სურამის სინაგოგა. სურამში 1996 წლიდან არის რუის-ურბნისის საეპისკოპოსო რეზიდენცია. სურამის ციხე შუა საუკუნეების ციხესიმაგრე შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე სურამულის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე მდებარეობს. ციხე მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ნიმუში.

ყველას, ცოტად თუ ბევრად განათლებულს და საქართველოს ისტორიასთან გაცნობილს ქართველს კარგად მოეხსენება ისტორიული მნიშვნელობა და დიდებული წარსული სურამის ციხისა. იგი ამაყად სდარაჯობდა თურმე ზემო ქართლის ხეობას ქ. გორიდან დაწყებული, ვიდრე ლიხის მთებამდე. თუ როდისაა აშენებული სურამის ციხე, ისტორიულად არაა ცნობილი. ქართული საისტორიო წყაროები ამის შესახებ დუმან. XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით, სურამი და მისი ციხე-სიმაგრე აშენებულია მეფე ფარნავაზის (ძვ. წ.აღ-ის II-ის I ნახევარი) მიერ, 200 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, სურამის ციხის აგებასთან საინტერესო ცნობებია დაცული სპარსულ და თურქულ საისტორიო წყაროებში, XVII ს-ის ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები სურამის ციხის აშენებას სპარსეთის მეფე ანუშირვანის სახელს მიაწერს. სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ციხის აშენებას შაჰ აბასს უკავშირებს. თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები (შ. მესხია, პ. ზაქარაია და სხვა) აზრით, ციხე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში აიგო (XI ს.). სურამის ციხე ორი მთავარი გზის შესაყარზე მდებარეობს; ერთი მიემართება ლიხის გადასასვლელებით დასავლეთისაკენ, მეორე კი ბორჯომის ხეობით სამხრეთისაკენ. ვახუშტი ბაგრატიონი ციხის შესახებ წერს: „...არს საშუალს ციხე, მაღალ კლდესა ზედა, მტკიცე“. სურამის ციხის აგების ასეთ განსხვავებულ დათარიღებას ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მხოლოდ პლატონ იოსელიანი იძლევა. XVIII საუკუნის შუა წლები მძიმე პერიოდია სურამის ციხის ისტორიაში. მასთან დაკავშირებული ბევრი მოვლენა სწორედ ამ პერიოდის „შავ ჭირს“ ყიზილბაშობას განეკუთვნება. ამრიგად, ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში სურამის ციხე XVI-

XVII საუკუნეებიდან იხსენიება და ქვეყნის თავდაცვის საქმეში უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა XIV ს-ის დასაწყისამდე. იგი იმართებოდა სამეფო ხელისუფლებისაგან. სურამის ციხე ძნელად მისადგომ ციხედ ითვლებოდა. იგი კლდოვან კონცხზეა აგებული, მისი კედლები საკმაოდ სქელი და მყარია. სურამის ციხით ერთ დროს დაინტერესებულა იტალიელი მხატვარი, რომლის მიერ შესრულებული გრავიურა არსებობს XVIII ს-ით დათარიღებული, თურქი მოგზაური ევლია ჩელები, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, გერმანელი მოგზაური იაკობ რაინგერი, ალექსანდრე ამილახვარი. სურამის ციხის უძლეველობაზე ყველა ერთხმად მიუთითებს. მან საუკუნეების მანძილზე მთელი რიგი ცვლილებები განიცადა გარეგნული თვალსაზრისით, ჩვენამდე მოაღწია თითქმის ისე, როგორც XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის გამოიყურებოდა. 1898 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავდა: „ეხლა სურამის ციხე აღარას წარმოადგენს, სამხრეთით სულ ჩამონგრეულია. შერჩენოდა აღმოსავლეთ ჩრდილო დასავლეთით კედლები, ისინიც ძალიან დაზიანებული, შიგ კიდევ ეკლესიის მეტი აღარა გადარჩენილა რა. ისიც ძალიან ჩქარა დაინგრევა. ეკლესიის კედლები, ეტყობა დახატული უნდა ყოფილიყო, მაცხოვრის სახე ოდნავადღა ეტყობა”. სურამის ციხე-სიმაგრეში შედის გალავანი-ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, კოშკი და სასახლე. ციხეს ჰქონდა გვირაბი, რომელიც დაბლა ეშვება 12-16 მეტრზე, შემდეგ ქვემოთაა ჩახერგილი. შესასვლელი ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილშია. აქ კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. გალავნის ამ მონაკვეთის ზედა ნაწილში ვიწრო სათოფურებია, ჩრდილო-დასავლეთით ყრუ კედელია. გალავნის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 8 მ. სიგრძის და 2 მ. სიმაღლის კედელი, რომელზეც ეზოს მხრიდან სასახლე იყო მიშენებული (აღადგინეს 1980-იან წლებში). გალავანში აღმოსავლეთით ჩართულია შიდა ციხის კედელი, რომელიც ნაკლებადაა დაზიანებული. გვიანდელი სამშენებლო ფენა (XVII ს.) თხელია, მის აღმოსავლეთ კედელში ერთ რიგად განლაგებულია სათოფურები. იგი 1991 წლის აპრილის მიწისძვრამ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები. გადმოცემის თანახმად ციხე უკავშირდებოდა ამაღლების ეკლესიას და მდ. სურამულას, საიდანაც სასმელი წყალი შეჰქონდათ ციხეში. სურამის ციხის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს თქმულება, თითქოს მისი უძლეველობის მიზეზი იმაშია, რომ მის კედლებში ცოცხლად არის ჩაკირული დედისერთა ვაჟი, რომლის შესახებ დღესაც მღერიან ხალხში. ამ ლეგენდას მიუძღვნა დ. ჭონქაძემ თავისი ნაწარმოები „სურამის ციხე“, რომელიც მოგვითხრობს, რომ სურამის ციხე რომ აშენებულიყო დედისერთა ვაჟი – ზურაბი უნდა ჩაეტანებინათ კედელში, ამბობენ იმ მხარეს სადაც ზურაბი ჩააშენეს, დღესაც წვეთ-წვეთად მოჟონავსო დედის ანკარა ცრემლი. იმასაც ამბობენ, რომ ყოველ მთვარიან ღამეს სურამის ციხესთან გამოდის შავებში გახვეული ქალი და ტირილით შეჰღაღადებსო ციხის ნანგრევებს.

სურამში მნიშვნელოვანია ასევე ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი. ლარისა პეტროვნა კოსაჩ-კვიტკაუკედ ცნობილი, ლიტერატურული ფსევდონიმით - ლესია უკრაინკა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უკრაინელი პოეტი და წამყვანი მწერალი ქალი იყო უკრაინულ ლიტერატურაში. იგი საქართველოს პირველად 1903 წელს ესტუმრა. აქ ჩამოვიდა მეორე წელსაც ზამთარში და თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები მან მეუღლესთან ერთად გაატარა თელავში, ხონში, ქუთაისსა და სურამში.

სურამსა და მის შემოგარენში უამრავი ეკლესია-მონასტერია, რომელთა უმრავლესობა წლების განმავლობაში უმოქმედო იყო. 1996 წლის 21 ოქტომბრის წმინდა სინოდის დადგენილებით, ურბნისისა და რუისის ეპარქია აღდგა. სურამის ღვთისმშობლის ეკლესია არქიტექტურული ძეგლია ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში, საავტომობილო გზის პირას, წმინდა გიორგის ტაძრის ეზოში მდებარეობს. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. დარბაზული ეკლესია ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. სურამის წმინდა მარინეს ეკლესია ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის დასავლეთ ნაწილში, სოფელ ბუღაურის ყოფილ სასაფლაოზე მდებარეობს. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. სურამის წმინდა გიორგის ტაძარი დაბა სურამში, თბილისი-ქუთაისის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს მდებარე ტაძარია. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. 1968 წელს გაუკეთდა რესტავრაცია. სურამის ამაღლების ეკლესია დგას დაბა სურამის დასავლეთით 1,5 კილომეტრზე, ე.წ. კვართისას მთაზე. თარიღდება ფეოდალური ხანით. სურამის კვირაცხოვლის ეკლესია გუმბათიანია, მდებარეობს დაბა სურამში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის გვერდით შემაღლებულ ბორცვზე, იმ ადგილას სადაც უწინაც ტაძარი ყოფილა. აგებულია 1998 წელს. სურამის წმინდა ბარბარეს ეკლესია მდებარეობს დაბა სურამში. თბილისი-ქუთაისის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. სურამის სინაგოგა დაბა სურამში (ხაშურის მუნიციპალიტეტი), ე. წ. ებრაელების უბანში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირას. აგების თარიღი უცნობია. დღეისათვის სინაგოგა მოქმედია. ჰყავს ხახამი და გაბაია.

სურამი სამთო-კლიმატური კურორტია. ჰავის განსაკუთრებული თვისებების გამო, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურორტია საქართველოს მასშტაბით 1926 წლიდან. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი. იანვრის საშუალო ტემპერატურა – 2, ივლისის + 20 გრადუსია, სურამი გარშემორტყმულია ტყით, რაც სუფთა ჰაერის საწინდარია განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰავას ბავშვებისათვის აქვს, რომელთაც სასუნთქი გზების დაავადება აწუხებთ, აგრეთვე რეკომენდირებულია ტუბერკულიოზის სამკურნალოდ და ორგანიზმის იმუნიტეტის უნარის ასამაღლებლად. სურამში ამჟამად ფუნქციონირებს დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი „საპოვნელა“ და „ნაკადული“. სურამი ულამაზესი ბუნებით გამოირჩევა დაბას გარშემო ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეები და ბუჩქები აკრავს, წიწვოვანი მცენარეების უმრავლესობა ხელოვნურადაა გაშენებული, რაშიც დიდ ღვაწლი მიუძღვის პროფესიონალ მეტყევეს, ტყის ქომაგს, საქართველოში ტყეების გაშენების ერთ-ერთ ორგანიზატორს მიხეილ მურვანიშვილს. მან ამ საქმეს 28 წელი მოანდომა. მურვანიშვილი თავისი სურვილით დაკრძალულია მის მიერ გაშენებული ბაიანთხევის ფიჭვნარში, თავის საყვარელ ადგილას. ფართოფოთლოვანი ხე-მცენარეებიდან გვხვდება მუხა, ნეკერჩხალი, წიფელი, რცხილა, ვერხვი, მურყანი. ტყეებში ბევრია ზღმარტლი, კუნელი, შინდი, ასკილი, მაყვალი, იელი, გვიმრა, თხილი. ზოგგან ტყის პირას გვხვდება ხელოვნურად გაშენებული აკაცია. დაბის ტერიტორიაზე ხარობს წითელ წიგნში შეტანილი მცენარეთა ზოგიერთი სახეობა. მაგ: უთხოვარი, ბზა, ქართული ნეკერჩხალი, დაბაში კარგად ხარობს ხეხილი, კაკალი, თხილი. სურამის ცენტრში ვხვდებით სხვადასხვა სახეობის ნაძვებს, ნეკერჩხალს, ფიჭვს, ვერხვებს, რომლებიც ალამაზებენ ცენტრალურ ქუჩას. საინტერესოა ფაუნის წარმომადგენლებიც, ტყეებში ბინადრობს ფოცხვერი, მელა, ტურა, კვერნა, ციყვი, დედოფალა, ზღარბი. მაღალი მთიდან ჩამოდის მგელი. ფრინველებიდან გვხვდება ყვავი, ჩხიკვი, ქორი, შაშვი, ბულბული, ბეღურა, ნისკრტმარწუხა, გვრიტი, კვირიონი, ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია გველი, ხვლიკი, კუ. ყველგანაა მწერების სხვადასხვა სახეობა. გვხვდება ობობების ათეულობით სახეობა. მდ. სურამულაში მტკვრიდან შემოდის ქაშაყი, მურწა, გველანა. სურამის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს მის ტერიტორიაზე არსებული განსაკუთრებული შემადგენლობის წყლები, რომელთაც სამკურნალო თვისებები გააჩნიათ, მაგ.: „რკინის წყალი“, რომელსაც სახელი რკინის ჟანგის შემცველობის გამო დაერქვა და შემჩნეულია ერთი საუკუნის წინათ. ეს წყალი სურამის ცენტრთან ახლოსაა და კეთილმოწყობილია. იგი გამოიყენება ანემიის ანუ სისხლნაკლებობის დროს, ასევე რეკომენდირებულია თვალის დაავადებების, ნერვული სისტემის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს მედიკამენტებთან ერთად. მნიშვნელოვანი და ადრიდანვე ცნობილია ჩუმათელეთის გოგირდოვანი წყალი, რომელიც გამოიყენება სახსრების დაავადების დროს. იქ სადაც წყალი ამოდის 1950 წლიდან ფუნქციონირებდა აბანო, სადაც დამსვენებლები იღებდნენ აბაზანებს. დამსვენებელთა 90% რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ადამიანები იყვნენ, აბანოში წყალი მილებით შედიოდა, თბებოდა და შემდეგ ჩაედინებოდა, ამჟამად აბანო აღარ ფუნქციონირებს. ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება სურამულას საამშენებლო სილა, კირქვა, ცარცი. ბუნებრივ რესურსს მიეკუთვნება სურამის გარშემო არსებული ტყეები და მისი ჰავაც. ტყეების ჭრა აკრძალულია. თუმცა დამტვრეული ტოტების, გირჩების, წიწვის გამოტანა მოსახლეობას შეუძლია. დაბის აღმოსავლეთით არის ხელოვნური წყალსაცავი, რომელსაც „სურამის ტბასაც“ უწოდებენ ადგილობრივები, ტბაში მტკვრიდან შემოდის თევზიც, რომელსაც ანკესით იჭერენ.

ვფიქრობთ, რომ დაბის ინფრასტურქტურისა და მომსახურების განვითარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მხარე მაღალი შესაძლებლობის მქონე და დიდი პოტენციალის მატარებელი ადგილია. იმედი გაქვს, რომ სურამს მომავალში სათანადოდ მიხედავენ და მას კვლავ საუკეთესო სამკურნალო, ბალნეოლოგიური და დასასვენებელი კურორტის სახელი დაუბრუნდება. მრავალფეროვანია რეგიონის ბუნება და ბუნებრივი რესურსები, რომელიც როგორც დაბას, ისე ქვეყანასაც სარგებელს მოუტანს მომავალში, თუ სწორად იქნება გათვლილი მისი ტურისტული პოტენციალი.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.infotourism.ge/?page_id=563
2. http://www.ambioni.ge/suramis-cixe
3. https://sal4you.wordpress.com
4. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/1692-surami.html
5. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0-
6. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%
7. http://natoesartia2.blogspot.com/p/blog-page.html

ადამიანის უფლებები – რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება

თამუნა ანესაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლია მერებაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

ადამიანის უფლებები სამართლებრივი სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ადამიანის ძირითადი უფლებების საფუძველია ბუნებითი სამართალი. ჯონ ლოკის მიხედვით ადამიანის უფლებები „ადრესახელმწიფოებრივი“ უფლებებია, რომლებიც „ბუნების კანონიდან“ გამომდინარეობს. ამ უფლებებს ადამიანი ფლობს დაბადებისთანავე – უფლებების ფლობისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობა ადამიანად ყოფნაა, ამიტომ სახელმწიფოს ამ უფლებების არც მინიჭების და არც ჩამორთმევის უფლება არ აქვს.

იდეა ადამიანის უფლებათა განვითარების შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩაისახა. ადამიანის უფლებათა საფუძვლის „ფორმალური თანასწორუფლებიანობის“ ჩანასახი პირველყოფილ საზოგადოებაში გვხვდება, რომელიც გამოხატულებას პოულობდა „მონონორმების“ სახით. „მონონორმები“ ქცევის წესებია, რომლებიც გამოხატავენ მდგრად ჩვევებს. ისინი აყალიბებს წარმოდგენას ბოროტებასა და სიკეთეზე, გვარისა და ტომისათვის მისაღებ და მიუღებელ წესებზე. „მონონორმა“ გვარის ერთ წევრს მეორეზე უპირატესობას არ აძლევდა. ეს „პირველყოფილი თანასწორობის“ გამოვლენაა. „მონონორმათა“ მიზანი გვაროვნული წესწყობილების შენარჩუნება გახლდათ.

ადამიანის უფლებების შემდგომ განვითარებას ვხვდებით შუა საუკუნეებში. გავრცელებული მეცნიერული შეხედულების მიხედვით, ადამიანის უფლებები პირველად ინგლისში ჩამოყალიბდა 1215 წლის „თავისუფლების დიდი ქარტიის“ დოკუმენტით. ეს დოკუმენტი დიდგვაროვანთა ფენის მიერ მეფის ხელისუფლებისაგან მიღებულ უფლებათა დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტის 63 მუხლიდან ნახევარზე მეტი ფეოდალთა პრეტენზიების აღიარებაა, თუმცა არის მუხლები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის უფლებების ჩანასახად. მაგალითად, 39–ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „დაუშვებელია თავისუფალი ადამიანის დაპატიმრება, საკუთრების ჩამორთმევა ან მისი გაძევება ქვეყნის კანონის საფუძველზე მიღებული კანონიერი განაჩენის გარეშე“. ეს უფლებები ყოველთვის იდგა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების საფრთხის ქვეშ, რის შედეგადაც შეიქმნა უფლებების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი: ეს უფლებები ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული რევოლუციების დროს წარმოიშობოდა და გამარჯვების შემთხვევაში მტკიცდებოდა.

მოგვიანებით, ინგლისში მიიღეს ორი დოკუმენტი: „ჰაბეას კორპუსი“ (1679) და „უფლებათა ბილი“(1689).

„ჰაბეას კორპუსი“ ადგენდა ადამიანის საპროცესო უფლებებს თავისუფლების აღკვეთის დროს და მიუთითებდა, რომ ადამიანი დაკავებისთანავე უნდა წარედგინათ მოსამართლისათვის. ამ დოკუმენტის შექმნის საფუძველი 1621 წელს ინგლისში მომხდარი ცნობილი შემთხვევა გახდა. (ინგლისელ არისტოკრატთა წრეში ზღვარგადასული გართობითა და დროსტარებით ცნობილი ქალბატონის, ალისა რობინსონის, ვილაში მიმდინარეობდა ხმაურიანი საღამო. როცა ხმაურმა და გართობამ ძალიან მოიმატა, ვილაში მივიდა პოლიციელი, რომელმაც ალისა რობინსონსა და მის სტუმრებს სთხოვა თავშეკავება და საღამოს წყნარად გაგრძელება. მასპინძელმა უშვერი სიტყვებით გალანძღა პოლიციელი, რის გამოც მან დააპატიმრა ქალბატონი და ადგილობრივი ადმინისტრატორის ბრძანებით იმავე ღამეს ციხეში მოათავსა. ალისა რობინსონი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ წარუდგინეს სასამართლოს. სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა ციხეში მის მიმართ სასტიკი მოპყრობის დეტალები, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. გაირკვა რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალბატონი რობინსონის საკვები მხოლოდ მშრალი პური და წყალი იყო, ეძინა სველ მიწაზე, ერთხელ კი გააშიშვლეს და 50 როზგით სცემეს. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ალისა რობინსონი ფეხმძიმედ იყო).

საზოგადოების პროტესტი იმდენად მწვავე იყო, რომ სასამართლომ რობინსონი უდანაშაულოდ ცნო, პოლიციელი დააპატიმრეს და ორდერის გარეშე ადამიანის საკუთრებაში შესვლისა და დაკავების გამო საპყრობილეში მოათავსეს.

რაც შეეხება „უფლებათა ბილს“, ის აღიარებდა რამდენიმე ინდივიდუალურ უფლებას. მაგალითად, პეტიციის უფლებას. (მეფისათვის პეტიციით მიმართვის შემთხვევაში ადამიანის ყოველი დაპატიმრება და სამართლებრივი დევნა უკანონოდ ითვლებოდა და უნდა შეჩერებულიყო მეფის მიერ პეტიციის განხილვამდე).

საქართველოში ადამიანის უფლებებს არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად ის აღიარებული იქნა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციით. ამ კონსტიტუციაში მოცემული იყო შემდეგი უფლებები: კანონის წინაშე თანასწორობა, პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება, აზრის თავისუფლება და სხვ. სამწუხაროდ, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციას ერთი დღეც არ უმოქმედია, რადგან 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მე–11 წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს ანექსია. ქვეყნის სათავეში მოვიდა ბოლშევიკური მთავრობა და მისი მმართველობის პერიოდში მიღებული საქართველოს კონსტიტუცია საბჭოური კონსტიტუციის ანალოგს წარმოადგენდა (1922, 1927, 1937, 1978). საქართველოში ადამიანის უფლებების განვითარების მეორე ტალღა იწყება მე–20 საუკუნეში , 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებით.

ადამიანის უფლებები მოიცავს სამ ასპექტს:

- ხელისუფლება ადამიანის უფლებებით ფლობს შეზღუდულ ძალაუფლებას;
- ყველა ადამიანი დამოუკიდებლობის განსაზღვრულ საფეხურზე იმყოფება;
- თითოეული ადამიანი ულებამოსილია დაიცვას საკუთარი უფლებები.

ადამიანის უფლებებით იზღუდება როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ადამიანის უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ძალაუფლებისაგან პიროვნების თავდაცვის თავდაცვის საშუალებაა. („ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს, ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელთაც კანონი არ უკრძალავს“ ე.ი. ადამიანისთვის „ყველაფერი დაშვებულია, რაც კანონით არ არის აკრძალული“).

ადამიანის უფლებებთან მიმართებაში სახელმწიფოსაც აქვს კონკრეტული ვალდებულებები. არსებობს სახელმწიფო ვალდებულებათა სამი დონე:

1. პატივისცემის ვალდებულება – სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, მის ღირსებას;
2. დაცვის ვალდებულება – სახელმწიფო ვალდებულია საკანონმდებლო დონეზე აღიაროს ადამიანის უფლებები;
3. შესრულების ვალდებულება – სახელმწიფო ვალდებულია საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებული ადამიანის უფლებების დასაცავად ჩამოაყალიბოს გარკვეული მექანიზმები.

ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფება ხდება სახელმწიფო ხელისუფლებაზე ორიენტირების პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არსებობს შემდეგი უფლებები:

1. სამოქალაქო უფლებები. ამ უფლებებით ხორციელდება სახელმწიფოზე ზემოქმედება. მაგალითად, პარლამენტი უნდა შეეგუოს ახალი არჩევნების დანიშვნას, მიუხედავად იმისა, რომ ამით შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი არსებობის საკითხი. სამოქალაქო უფლებებს მიეკუთვნება: საარჩევნო უფლება, აზრის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება...
2. სოციალური უფლებები. ეს უფლებები ავალდებულებს სახელმწიფოს რომ უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები იმ ადამიანებისათვის, ვინც ამას საჭიროებს. აქ იგულისხმება საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი. სოციალური უფლებებია: განათლების, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სხვ.
3. თანასწორობის უფლებები წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო თანასწორად მოეპყრობა თავის მოქალაქეებს და არ მიანიჭებს რომელიმეს უპირატესობას.
4. საპროცესო უფლებები. მას „მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც: უწოდებენ. ეს უფლება უზრუნველყოფს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, დაცვის უფლებას და ასევე განსაზღვრავს დაკავებისას და თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძველს.
5. თავისუფლების უფლებები. ისინი ადამიანისთვის უზრუნველყოფს საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო ან საერთოდ არ ერევა ან ერევა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით.

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (საქართველოს კონსტიტუციის მე–14 მუხლი)

განვიხილავ „რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას“ ჩვენს ქვეყანაში.

„რელიგია“ ლათინური სიტყვაა და განიმარტება როგორც „კავშირის აღდგენა“. რელიგია არის იმ იდეათა და ქმედებათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე, რომ არსებობენ ზებუნებრივი ძალები, რომლებიც ზემოქმედებენ სამყაროსა და ადამიანზე.

დღესდღეობით საქართველოში 5000–მდე აღმსარებლობაა. საქართველოში მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო ძველთაგანვე ერთმანეთს კვეთდა სხვადასხვა კულტურა და რელიგია. ჩვენს ქვეყანაში მრავალი სწირავდა თავს თავის სარწმუნოებას. მისი გადარჩენა მუდმივი დაპირისპირების შედეგად მოხდა. სწორედ ამ ძალადობის მოსასპობად შეიქმნა ისეთი კანონები, რომლებიც განამტკიცებდნენ „რწმენისა და აღმსარებლობის“ თავისუფლებას. „ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორის უფლება“ ამიტომ ვალდებულნი ვართ პატივი ვცეთ სხვის შეხედულებებს, იმის მიუხედავად, ვიზიარებთ თუ არა მათ.

საქართველოს კონსტიტუციის მე–9 მუხლის მიხედვით: „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას“.

საქართველოს კონსტიტუციის მე–19 მუხლით კი განმტკიცებულია შემდეგი უფლებები: ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება; დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის ან აღმსარებლობის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ; დაუშვებელია ამ უფლებების შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

რწმენის თავისუფლება ნიშნავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს თავისი რელიგიური და არარელიგიური რწმენა. ასევე ნიშნავს ადამიანის გარეგან თავისუფლებას, რომ აღასრულოს, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს იგი. ეს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიზმზე მეტყველებს, როცა რომელიმე აღმსარებლობის ადამიანი საჯაროდ აფიქსირებს საკუთარ აზრს, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა მისი რელიგიური მრწამსი ქვეყანაში მცხოვრებ სხვა სარწმუნოების მიმდევარს. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები ცდილობენ ძალადობით განდევნონ ის ადამიანები, რომელთა შეხედულებები მათთვის მიუღებელია.

2005 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილება, რომლითაც სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცათ საშუალება დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც არაკომერციული იურიდიული პირები. ამ ცვლილების შემდეგ მართლმადიდებელმა მოსახლეობამ მოაწყო მანიფესტაცია და მოითხოვა ცვლილებების გაუქმება, თუმცა ეს მოთხოვნა ვერ შესრულდება, რადგან კანონი იცავდა მათ უფლებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ნებისმიერ რელიგიურ აღმსარებლობაში ჩარევას, პიროვნების დევნას რელიგიური ნიშნით. ამის მიუხედავად, საქართველოში განსხვავებული რელიგიური ორგანიზაციების უფლებები ხშირად იზღუდება. მაგალითად: 2009 წლის 16 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში, რომელიც მთლიანად აზერბაიჯანელი მუსლიმებითაა დასახლებული, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და სასულიერო პირების ხელმძღვანელობით შევიდა მართლმადიდებელ მორწმუნეთა აგრესიულად განწყობილი 50–70 კაციანი ჯგუფი, რომლებმაც სოფლის მოსახლეობისგან ძველი მეჩეთის ნანგრევების რეკონსტრუქციის შეჩერება მოითხოვეს. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ შეუწყნარებლობის გამოვლენის ობიექტი რამდენჯერმე გახდა კათოლიკე მრევლი. თბილისში გაიმართა ერთდღიანი აქცია. მანიფესტანტებმა გაშალეს პლაკატები, რომლებზეც კათოლიკეთა შეურაცხმყოფელი შინაარსის წარწერები იყო გაკეთებული.

ამით იმის თქმა მინდა, რომ განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანები თითქმის განკვეთილნი არიან საზოგადოებიდან და მათ მიმართ ხორციელდება როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლა, ისე ფიზიკური შეურაცხყოფა. ამიტომ საზოგადოების არატოლერანტულობა რელიგიური უმცირესობების მიმართ მხოლოდ კანონების მიღებით არ შეიცვლება. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან საკითხის ჯანსაღად აღქმას, როგორიცაა რელიგიური და სხვათა უფლებების პატივისცემა, იმის მიუხედავად ვიზიარებთ თუ არა მათ შეხედულებებს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2014.
2. საქართველოს კონსტიტუცია 2015 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით
3. სისხლის სამართლის კოდექსი
4. დემოკრატია და მოქალაქეობა – საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის (IFES - 2011)
5. www.lawportal.com

ტელევიზიისა და ელექტრონული მედიის გავლენა საზოგადოების მეტყველებაზე

მადონა არათანაშვილი, ელიზა ქრისტესიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** პროფესორი

ხშირად ამბობენ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ახალი სიტყვებით ივსება. ქართული კულტურა ძალზე ახლოს იყო ბერძნულ-რომაულ, სპარსულ კულტურებთან, შესაბამისად, თანამედროვე ქართულში შემორჩენილია ამ ენებიდან შემოსული სიტყვები. ამაში საოცარი არაფერია, ეს ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ბევრი კარგიც აქვს. ენა რომ გამდიდრდეს და განვითარება განაგრძოს, ზოგჯერ სესხება და საერთაშორისო სიტყვების შემოტანა აუცილებელიც კია, მაგრამ ეს ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს - თუ გადავაჭარბეთ, საბოლოოდ იქამდე მივალთ, რომ ქართული ენა ნელ-ნელა გაქრება.

ბოლო ხანს მოდური გახდა უცხო, გადაპრანჭული და რთული სიტყვებით საუბარი. ადრე წარჩინებულ ოჯახებში მეტყველებისას რუსულ ფრაზებს იყენებდნენ, რაც მათ „განსწავლულობასა“ და „კეთილშობილ წარმომავლობას“ უსვამდა ხაზს. დღეს რუსული ინგლისურმა შეცვალა. თუ გსურთ, უცხო საზოგადოებაში თავი გამოიჩინოთ და სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოთ, მეტყველებაში რამდენიმე ინგლისური ფრაზა გაურიეთ. ან, მაგალითად, თუ გსურთ, თქვათ „შთაგონება“, მის ნაცვლად „ინსპირაცია“ გამოიყენეთ - ლათინური წარმოშობის (inspiratio) სიტყვა, რომელიც თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ ახლახან აღმოაჩინა და ისე შეიყვარა, დაავიწყდა კიდეც, რომ ქართულ ენაში მისი შესატყვისი არსებობს.

ჩვენს ხალხს დედაენა რომ არ უყვარდეს, ძეგლს არ დაუდგამდა, არც ქუჩაში გამოვიდოდა პროტესტის გამოსახატავად და არ იბრძოლებდა მისი სტატუსის გადასარჩენად, როცა ჩვენი დედა ქართულის ყოფნა–არყოფნის ბედი ბეწვზე ეკიდა. მიუხედავად ამისა, თვალშისაცემია ჩვენი დაუდევარი, ზოგჯერ სულაც უდიერი, უსულგულო დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი. ამას ცხადყოფს ჩვენი ზეპირი თუ წერითი მეტყველება. სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით ქართულის დამახინჯების ფაქტებს. ენას ვანაგვიანებთ ბარბარიზმებით, ჟარგონით, სხვადასხვა ენობრივი კალკით, გარმიანული გამოთქმებით (ილიას სიტყვა რომ ვიხმაროთ); იმღვრევა ქართულის ბუნება, ვარღვევთ სწორმეტყველების წესსაც.

ჩვენ სალიტერატურო ქართულის სახით უმდიდრესი და უძვირფასესი საგანძური გვაქვს. ეს საგანძური შეგვიქმნეს რუსთაველმა, სულხან-საბამ, გურამიშვილმა, ბარათაშვილმა, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, გრიგოლ რობაქიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გერონტი ქიქოძემ… მას, როგორც უკვდავების წყაროს, ისე უნდა ვეწაფებოდეთ, დღენიადაგ უნდა ვიმაღლებდეთ წერითი თუ ზეპირი მეტყველების კულტურის დონეს. დედაენა უნდა იყოს ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის, მოვლა-პატრონობის საგანი.

ენას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა. ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია ეროვნებისა. იცავდე შენი ენის სიწმინდეს, ეს ნიშნავს, იცავდე ვინაობას, შენს მეობას, ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას.

დამახინჯებული მეტყველება დამახინჯებული აზროვნების, დეფორმირებული ცნობიერების გამოხატულებაა.

აღრეული, წარყვნილი მეტყველება უწიგნურობის, უკულტურობის პირველი ნიშანია. მეტიც, ილია ამბობდა: „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“. კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოისა“.

თუ როგორ ვწერთ და ვლაპარაკობთ სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, ეს საკითხი რომ განვიხილოთ, უნდა შევეხოთ ტელევიზიის, პრესის, წიგნის ენას; ამჯერად ტელევიზიით შემოვიფარგლებით. ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ყველაზე უფრო მძლავრი საშუალებაა დღესდღეობით და ძლიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების, ხალხის მეტყველებაზე. ადრე ხალხის მეტყველება იყო ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო სალიტერატურო ქართულისა, ამ გზით ივსებდა სამწერლო ენა ლექსიკურ მარაგს, ამ გზით მდიდრდებოდა ხატოვანი სიტყვა-თქმებითაც. ახლა, პირიქით, ბევრწილად ტელევიზია აყალიბებს, ქმნის ხალხის მეტყველებას, რომელიც სულ უფრო მეტად ემჩნევა

გაღარიბებისა და გაუსახურების ტენდენცია. ასევე, დედაენის სიწმინდესთან დაკავშირებული საუბარი, მართებული იქნება, ხელისუფლების უმაღლეს პირებისგანაც დავიწყოთ, რადგან მათი მეტყველება მაგალითია სხვებისთვის, განსაკუთრებით – ახალგაზრდობისთვის და მოზარდებისთვის.

შესრულებადი, მიღწევადი, დასჯადი, გაკეთებადი, გაყიდვადი, მოთხოვნადი, გამოსწორებადი და მისთანანი ხშირად გვესმის ტელეეკრანიდან. ეს ტენდენცია დღითი დღე ძლიერდება. სიტყვა გრამატიკული წესის მიხედვით შეიძლება სწორედ იყოს ნაწარმოები, მაგრამ მაინც ხორკლს აჩენდნენ ენაში, ეხამუშებოდეს სმენას.

ენა მხოლოდ ურთიერთობის, ურთიერთგაგებინების საშუალება როდია, იგი ესთეტიკური ფენომენიცაა. მართალია, გვაქვს ,,ად“ სუფიქსიანი სახელზმნები (ვითარებით, ბრუნვის ნიშანი ასრულებს სუფიქსის ფუნქციას), მაგ: ცვლა – ცვლადი, ხრწნა-ხრწნადი, განვითარება-განვითარებადი და სხვ. მაგრამ ქართული, მისი ბუნება, მეტწილად ზმნის ხმარებას ამჯობინებს სახელზმნას, ზმნა არის ჩვენი ენის ღერძი. ,,ეს ვალდებულებები შესრულებადია“. განა უფრო ბუნებრივი არ იქნება, თუ ვიტყვით: ამ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელია, ან სულაც: ეს ვალდებულებები შესრულდება.

პირველად ქ-ნმა ნინო ბურჯანაძემ იხმარა სიტყვა „პოზიტივი“, ფოტოგრაფიასა და კინემატოგრაფიაში გამოყენებული ეს ტერმინი, იმ მნიშვნელობითა და ფორმით, რომ აშკარად ეხამუშება ყურს. აი, ეს ფრაზა: ,,ქართულ-რუსულ ურთიერთობაში პ ო ზ ი ტ ი ვ ი შეინიშნება“. მას უნდოდა ეთქვა: ქართულ-რუსული ურთიერთობის გაუმჯობესება, ან ერთგვარი გაუმჯობესება შეინიშნებაო. მეორემ გაიგონა ეს სიტყვა, კაჭკაჭივით გაიმეორა, მესამემ პოზიტივს ნეგატივიც შეუწყვილა და დატრიალდა სიტყვათხმარებაში: პოზიტივი – ნეგატივი, ნეგატივი – პოზიტივი. აქაც, ამ შემთხვევაშიც, ეტყობა, თავს იჩენს უცხო–ენის ზეგავლენა, ჩვენი მიმბაძველობა, ჩვენი წამხედურობა.

,,არაადეკვატური“. პოლიტიკოსებიც და პოლიტოლოგებიც თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ვინ უფრო ხშირად იხმარს ამ სიტყვას. არავინ ცდილობს, მოიშველიოს სინონიმი – შეუსაბამო, შეუფერებელი, კონტექსტის კვალობაზე.

სვანეთში დიდთოვლობაა. ტელეჟურნალისტი ეკითხება ოჯახში ახალდაბრუნებულ თავკაცს, რამდენი ხანია შინ არ ყოფილხართო. პასუხი: „ორი სუტკაა, სახლში არ ვყოფილვარ“. ქართველ კაცს ვერ უთქვამს: ორი დღე-ღამეა შინ არ ვყოფილვარო. (თენგიზ ჩხაიძის ბლოგი).

ახლახან დამკვიდრდა სიტყვა „კოჰაბიტაცია“, არადა, მშვენიერი ქართული სიტყვები გვაქვს - „თანაცხოვრება“, „თანაარსებობა“. როცა გაქვს სიტყვა „მგრძნობიარე“, რატომ უნდა გამოიყენო „სენსიტიური“? ილია ჭავჭავაძემ ლელთ ღუნიას შემოატანინა სიტყვა „საბჭო“, მთაში ნაპოვნი ბროლივით სუფთა სიტყვაა - ჟღერადი და ტევადი, დღეს კი მის ნაცვლად „ბორდს“ ამბობენ. ასეთ რაღაცებს უნდა მიექცეს ყურადღება. ენას გაფრთხილება და ამაღლებული დამოკიდებულება სჭირდება,“ - აცხადებს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და სენსაციების მოყვარულებს სთხოვს, ენის სიწმინდის დაცვას სახუმარო თემად ნუ აქცევენ.

ლამის შევითვისოთ ასეთი გარმიანული გამოთქმები:

რეკლამაზე გავიდეთ - ქართულად ითქმის: რეკლამა ჩავრთოთ, რეკლამის დროა.

დამნაშავის კვალზე გავიდნენ - დამნაშავის კვალს მიაგნეს.

კავშირზე გავიდნენ - კავშირი დაამყარეს. სხეულის დაზიანება მიიღო - დაშავდა.

პოლიტიკაში წასვლა - პოლიტიკაში, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა, ჩაბმა, პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა, გამოჩენა, როგორც კონტექსტი მოიხდენს.

დებატებში არ შემოდის - დებატებს თავს არიდებს, დებატებს გაურბის, დებატები არ სურს. (www.for.ge).

ზოგი ჩვენი სწავლულისგან, ალბათ, მეტისმეტი გულმოდგინების გამო, გაიგონებთ: ურთიერთობს, ვურთიერთობთ, ვიურთიერთოთ. გვაქვს სიტყვა ურთიერთობა. მისგან წარმოებულ ზმნურ ფორმებს კი არ იცნობს, არ ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ამგვარ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ვამბობთ: ურთიერთობა აქვს, ურთიერთობა გვაქვს, ურთიერთობა ვიქონიოთ.

ნეოლოგიზმების შექმნას, ახალი სიტყვების შემოშვებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ სადავო ენობრივი ფორმების გარკვევასაც. (თენგიზ ჩხაიძის ბლოგი).

ახალ-ახალი უცხო სიტყვები, უმთავრესად – ინგლისურ-ამერიკული, ჟარგონი, დამახინჯებული ქართული მღვრიე ნაკადად მოედინება ყოველი მხრიდან. გასარკვევი და განსასაზღვრავია, რომელი უცხო სიტყვაა შემოსაშვები, რომელს მოეძებნება შესატყვისი ან თარგმნა შეიძლება, რომელი უთარგმნელია და საერთაშორისო სიტყვად დამკვიდრებულა. უნდა ვიცოდეთ, ყოველთვის სწორი

მნიშვნელობით იხმარება თუ არა ზოგიერთი ამოჩემებული უცხო სიტყვა, მაგ.: ბრენდი, ექსკლუზივი, მესიჯი და სხვა...

ჩვენს ქალაქში, ქუჩებსა და დაწესებულებებში, უცხო აღარ არის ინგლისურენოვანი წარწერები ,,NO SMOKING“, „OPEN“, „EXIT“, „XEROX“ ყოველგვარი ქართული თარგმანის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ სიტყვების ქართული შესატყვისები (NO SMOKING - არ მოწიო, OPEN - ღიაა, EXIt - გასასვლელი, XEROX - ასლი) მოდურობის გამო გვირჩევნია ნახევრად ინგლისური მეტყველება, ვიდრე ქართული.

ხშირად გაიგონებთ: ,,პახმელია“, ,,პახმელიაზე“. არადა, ამ რუსული სიტყვის ,,Похмелье“ არაერთი შესატყვისი მოგვეპოვება ქართულში: ნაბახურევი, ნაბახუსევი, ნამთვრალევი, ნაღვინევი, ნაქეიფარი, ნასმურევი, ნასვამი და სხვა. (თენგიზ ჩხაიძის ბლოგი). განა რა ძნელია, მაგალითად, ვთქვათ: ზუთხი, ლუდი, ძეხვი, არაჟანი, წიწიბურა, მუხუდო (ბარდა), შაქარი, ოხრახუში… რატომ უნდა გვიტრიალებდეს ენის წვერზე: „ასეტრინა“, „პივა“, „კალბასი“, „სმეტანა“, „გრეჩიხა“, „გაროხი“, „პესოკი“, „პეტრუშკა“…

რაღა მაინცდამაინც ბარბარიზმს ჩავჭიდებივართ, რად არ ვწყალობთ ქართულ სიტყვებს, რატომ ვივიწყებთ სინონიმებს, რატომ ვაძვალტყავებთ და ვაუსახურებთ ჩვენს ენას, რატომ უნდა დავამსგავსოთ იგი ესპერანტოს (ხელოვნური საერთაშორისო დამხმარე ენა)?

ქართულში გვაქვს ასო-ნიშანი „ფ“ („ფარ“). უცხო სიტყვათა ხმარებისას მას თვითნებურად ვუნაცვლებთ ,,ф“-ს. ვამბობთ: კაფე, პრესკონფერენცია, კონფლიქტი, ოფისი და ა.შ. ქართული, მოგეხსენებათ, ინდოევროპული ენა როდია, იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. მას აქვს თავისებური სინტაქსი, თავისებური ფონეტიკაც. ამ თავისებურებას გათვალისწინება უნდა. ქართულად იწერება და გამოითქმის: კაფე, პრესკონფერენვია, კონფლიქტი, ოფისი და ა.შ.

ბლოგერი ხატია მიქავა აღნიშნავს: „ვინ და რატომ საუბრობს დამახინჯებული სიტყვებით და 5 მარგალიტი, რომელიც მხვდება ყოველდღიურად წერით თუ ზეპირ მეტყველებაში:

1. კარქი, ანუ „კარგი“, არის ის დამახინჯებული ფორმა, რომელიც ჩემში ყველაზე მეტ გაღიზიანებას იწვევს და არ არსებობს სიტუაცია, როდესაც მე ამას მოსაუბრეს არ ვუთითებ.

უნდა ვაღიარო, რომ ამ სიტყვის გაგონებისას პირველი მახსენდება პროექტი „ჯეოსტარი“ და ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მარინა ბერიძე, რომელმაც გაუწია ამ სიტყვას აბსოლუტური პოპულარიზაცია საზოგადოებაში და ჩვენც ავიტაცეთ, რადგან დავინახეთ მასში რაღაც ახალი, საინტერესო და რაც მთავარია „სვეცკური“.

2. რა ხთება? ანუ „რა ხდება?“ - ეს არის იმ მარგალიტთაგანი, რომელიც ასევე აქტუალურობას ინარჩუნებს ახალგაზრდა გოგონებში.

3. არაფელი ანუ არაფერი, არის ის შეცდომა, რომელიც ეპარება საკმაოდ კარგი სტატიებისა და ბლოგ პოსტების ავტორებსაც და არანაირი კავშირი არ აქვს ზემოთ აღნიშნული ორი სიტყვის გამოყენების მიზეზებთან, ეს არის სტილისტურად დამახინჯებული სიტყვა, რომელიც უხეშად გხვდება თვალში ან ესმის ყურს.

4. არ შემილია, ანუ „არ შემიძლია!“, ანუ, როდესაც გამოვხატავთ აღშფოთებას და ამ დროს „შემილია“ უფრო მძაფრად გამოხატავს ჩვენს შინაგანს, ვიდრე „შემიძლია“. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან.

5. და ბოლოს, კარგათ - „ანუ კარგად“, არის ყველაზე გავრცელებული სიტყვა, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ხვდება ყოველდღიურად და სიტყვა, რომელიც ხაზს უსვამს პრობლემას, რომ ჩვენთვის „დ“ ასოს ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში მოსახერხებელია ასო „თ“-ს გამოყენება.“ (ხატია მიქავას ბლოგი - http://khatiaamikava.blogspot.com/2015/02/blog-post.html)

ენის ნორმათა დამდგენი კომისია, ენის სახელმწიფო პალატა - სტრუქტურები, რომელთა ძირითადი ფუნქციაც სახელმწიფო ენის ნორმირება და ამ ნორმების დაცვის უზრუნველყოფაა, აღარ არსებობს.

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მშობლიური ენის წინაშე მაინც თითოეულ ჩვენგანს გვაკისრია. ყველას მოგვეთხოვება, გამართულად ვწეროთ და ვილაპარაკოთ.

საჭიროა მხოლოდ მონდომება, მოწადინება, მტკიცე შინაგანი განწყობა.

თუ ჩვენი ვინაობის შენარჩუნება გვინდა, თუ საქართველოს გადარჩენა გვსურს, უწინარეს ყოვლისა უნდა მივხედოთ მშობლიურ ენას; გვახსოვდეს, ენა ბურჯია ეროვნებისა. გულში დავდოთ ჰანიბალისებური ფიცი: ვწეროთ და ვილაპარაკოთ მხოლოდ ქართულად!

გრიგოლ ორბელიანი - „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.

ლიტერატურა:
1. თენგიზ ჩხაიძის ბლოგი - https://tengizchkhaidze.wordpress.com/
2. ხატია მიქავას ბლოგი - http://khatiaamikava.blogspot.com/2015/02/blog-post.html
3. www.for.ge
4. ინტერნეტ გაზეთი - www.mastsavlebeli.ge
5. www.regions.ge
6. www.liberali.ge
7. www.wikipedia.org

ქართული გაზეთის ისტორიიდან

ნინო ბუჭუხიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე**, პროფესორი

ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისათვის საქართველოში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწენი ზრუნავდნენ. 1705 წელს არჩილ მეფის ინიციატივით მოსკოვში დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. 1709 წელს კი თბილისში უკვე გაიხსნა სტამბა.

მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწენი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდნენ რუსულ და უცხოურ პრესას, ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემას ვერ ახერხებდნენ. მას შემდეგ, რაც ახალი მმართველობა იძულებული გახდა ოფიციალური განკარგულებები გაეცნო ქართველი ხალხისთვის, საჭირო გახდა ქართულ ენაზე ბეჭდვითი საქმის მოგვარებაც. 1804 წელს კავკასიის ცალკე კორპუსთან უკვე გაიმართა კარგად მოწყობილი სტამბა. 1818 წელს კი ქართველ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა, რომ მომავალი წლიდან გამოვიდოდა ქართული გაზეთი, რომლის სახელწოდებაც „საქართველოს გაზეთი“ იქნებოდა, ანალოგიით რუსული სახელწოდებისა “Грузинская газета”.

„საქართველოს გაზეთით“ იწყება ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია. ეს გაზეთი მთელ იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი პერიოდული ორგანო იყო.

საკითხი იმის შესახებ, თუ როდის გაჩნდა პირველი ქართული გაზეთი, დიდხანს იწვევდა დავასა და გაუგებრობას ჩვენს ლიტერატურაში. მკითხველმა საზოგადოებამ საკმაო ხანს არ იცოდა, თუ „საქართველოს გაზეთი“ ნამდვილად როდის აღმოცენდა. პირველი ქართული გაზეთის გამოცემის დროდ მრავალი ავტორი სხვადასხვა თარიღს ასახელებდა.

პროფესორ ალ. ხახანაშვილის აზრით, პირველი ქართული გაზეთი 1821 წელს გამოიცა, ხოლო ზ. ჭიჭინაძე „საქართველოს გაზეთის“ გამოცემის თარიღის შესახებ 1897 წელს წერდა:

„პირველი ქართული გაზეთი ქართულ ენაზე გამოიცა ქ. თბილისში 1817 წელს, რომელსაც სახელად „საქართველოს გაზეთი“ ეწოდებოდა. გაზეთი პატარა ზომისაა, საწერი თაბახის ქაღალდის ტოლა. ჩვენ ვიშოვეთ მხოლოდ ორი ნომერი. შიგ მოთავსებულია სხვადასხვა წვრილი ამბები და განცხადებანი. რამდენ წელიწადს არსებობდა ეს გაზეთი და ვინ იყო ამის რედაქტორი, ამაზე არაფერი ცნობა არ ჩანს.“ (გოცაძე 1954: 44-45)

1901 წელს გრ. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ მას თითქოს 1818 წლის ერთი გაზეთი უნახავს, რომელიც 25 აგვისტოს თარიღით ყოფილა. ეს გაზეთი -დასძენს ავტორი, - საეკლესიო მუზეუმში ინახებაო, ხოლო ჯერ კიდევ ადრე გამოითქვა აზრი, რომ პირველი ქართული გაზეთი 1830 წელს გამოვიდა.

გრ. ყიფშიძის ცნობის მცდარობა ადრევე დადასტურდა. აღნიშნული გაზეთი 1818 წლის კი არა, 1819 წლის აღმოჩნდა. აგრეთვე უარყოფილია ისიც, რომ პირველი ქართული გაზეთის გამოცემის თარიღად 1821 წელი მივიჩნიოთ.

სინამდვილეში პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს გამოიცა. „ივერიის“ 1887 წ. 156-ე ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია: „სოფიო გრიგოლის ასულმა დოდაშვილმა შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პირველი ნომერი უწინდელი გაზეთისა, რომელსაც ეწოდებოდა

„საქართველოს გაზეთი“. ეს გაზეთი დაბეჭდილია თბილისში 1819 წელს, მარტის ცხრასა [უნდა იყოს: რვასა], სივრცით საწერ თაბახიან ქაღალდის ზომისა, ოთხივე გვერდი დაჭერილია სხვადასხვა წერილებით. გაზეთში მოთავსებულია წვრილ-წვრილი ამბები რუსეთისა, საქართველოსი და უცხოეთისა. რედაქტორის ხელი არ უწერია, არც ამბებია ხელმოწერილი, თითო გვერდი გაზეთისა ორ-ორ სვეტზეა გაყოფილი და ქართული ასოები საკმაოდ შნოიანებია." (კალანდაძე 1977: 48-49)

„საქართველოს გაზეთის“ გამოცემის სამზადისი ადრევე დაიწყო. მისი გამოცემის იდეა 1818 წელს წამოიჭრა და მაშინვე შეუდგნენ მზადებას როგორც შესაფერისი მუშაკების მონახვა-შერჩევისათვის, ასევე გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებისათვის.

თანახმად იმ დროს გამოქვეყნებული განცხადებისა, რომელიც 1819 წელს დაიბეჭდა, საზოგადოებას ემცნო, რომ ქართული გაზეთი 1819 წლის 1 მარტს გამოვიდოდა. მაგრამ სინამდვილეში დაპირება არ შესრულდა. გაზეთი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. (გოცაძე 1954: 46-47)

პირველი ქართული გაზეთის აღმოჩენას რომ ახარებდა თანამემამულეებს „დროების“ რედაქცია გულისტკივილით დასძენდა: „არ არის მოხსენებული თუ ვინ ყოფილა რედაქტორი ან გამომცემელი ამ გაზეთისა.“

მას შემდეგ თითქმის 2 საუკუნე გავიდა, მაგრამ „საქართველოს გაზეთის“ თაოსანთა და თანამშრომელთა შესახებ არაფერი ვიცით ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით.

პროფესორი პ. გუგუშვილი ვარაუდობდა, ქართულ გაზეთს ენთუზიასტთა მთელი ჯგუფი ედგა სათავეშიო, და სხვათა შორის, ასახელებდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალს კონსტანტინე ბაგრატიონს, კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს ბუკრინსკის და სხვა.

მ. გოცაძე მბეჭდავთა შორის მოიხსენიებს ვ. დუბოვს.

ნ. ტაბიძის აზრით, თანამშრომლებად, შეიძლება ვიგულისხმოთ საქართველოს ცალკე კორპუსის მთარგმნელი კაპიტანი ნაზარაშვილი (ნაზაროვი). აღმასრულებელი ექსპედიციის მთარგმნელი გიორგი ჩიქოვანი, სასამართლო პალატის მთარგმნელი თომა ყორღანაშვილი, მთარგმნელი „ ეკატერინე მეორის განაწესისა“ მიხ. ფალავანდიშვილი.

რადგან მასალები ხელმოუწერლად ქვეყნდებოდა და ავტორთა ვინაობის დადგენა, შეუძლებელი თუ არა, მეტისმეტად გაძნელებულია, მკვლევარებს ჰგონიათ, რომ ნომრებს ჯერ რუსულად ადგენდნენ და მერე თარგმნიდნენ ქართულად. თუმცა, ეს მოსაზრება მთლად სწორი არ უნდა იყოს.

პ. გუგუშვილის აზრით: „საქართველოს გაზეთის“ გამომცემელნი თავიანთი მდგომარეობითაც თვით ცენზორებს წარმოადგენდნენ, თუმცა, ცენზორის თანამდებობა, იქნებ არც ერთ მათგანს არ ეჭირა.“

გ. ლეონიძე ვარაუდობდა, რომ გაზეთს რუსული ტექსტის საშუალებით კონტროლს უწევდა გენერალი ერმოლოვი.

სამწუხაროდ, იმდროინდელ ცენზურაზე უფრო საიმედო ცნობები არ მოგვეპოვება. (კალანდაძე 1977: 58-60)

პირველ ქართულ გაზეთში მოთავსებული მასალა თავის შედგენილობის ხასიათის მიხედვით სამგვარი იყო: პირველი - მასალა, რომელიც საქართველოს სინამდვილიდან იყო აღებული, მეორე - მასალა, რომელიც რუსეთის სინამდვილეს ეხებოდა და მესამე - მასალა, რომელიც უცხოეთის ცხოვრებას ასახავდა.

გაზეთს მრავალი მასალა სჭირდებოდა. ამიტომ კორესპონდენტთა ქსელის შექმნა და ადგილებიდან სხვადასხვა ცნობების მიღება მეტად სერიოზული საქმე იყო. გაზეთის შინაარსი კარგ ავტორთა და კორესპონდენტთა მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული. გაზეთისათვის საჭირო მასალების შეგროვება, მნიშვნელოვანი ცნობების მიღება, თავის მხრივ, საკუთარ წესსა და ჩვევას მოითხოვდა. ყოველივე ეს ბევრად იყო დამოკიდებული ქართული გაზეთის რედაქციის უნარსა და მოქნილობაზე.

მაშინ საგაზეთო მასალების მიღება გაცილებით ძნელი საქმე იყო. რაკი საქართველოში გაზეთი ახალი წამოწყება იყო და ამასთან კორესპონდენციისათვის ჰონორარს არავინ იძლეოდა, ცხადია, გაზეთის იმდროინდელ მესვეურთ სათანადო მასალების მიღებისათვის დიდი შრომა დასჭირდებოდათ.

საქართველოს სინამდვილის შესახებ კორესპონდენციებს გაზეთი სხვადასხვა გზით ღებულობდა. როცა თბილისიდან ადგილებზე გაზეთზე ხელმომწერთა მომრავლებას ითხოვდნენ, იქვე იმასაც წერდნენ, რომ ადგილზე მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ ცნობები მიეწოდებინათ გაზეთისათვის.

1819-21 წლებში ქართულ გაზეთს მასალებს აწვდიდა „აღმასრულებელი ექსპედიცია“, „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექცია, „საქართველოს კეთილშობილ დეპუტატთა შეკრებილება“ და სხვები. (გოცაძე 1954: 67-68)

პირველი ქართული გაზეთი საკმაოდ მდიდარ ადგილობრივ, რუსულ და საგარეო ინფორმაციას აწვდიდა თავის მკითხველს. ეს იყო: სამეფო კარის ცნობები, რომელიც დღეს კურიოზად გვეჩვენება, მაშინ კი სავალდებულო, საცნობისმოყვარო მასალას წარმოადგენდა. მაგ: ეკატერინე პავლეს ასულის

გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთი წერდა: „ერი მოაკლდა ყოვლად ნარნარსა დედასა. თჳითოეული ცხოვლად ჰგრძნობს სამწუხაროსა ამას ყოველთათჳს დაკლებასა“. ავტორი ცდილობს დედოფლის დაკარგვით გამოწვეულ ურვას საყოველთაო კვალიფიკაცია მისცეს. ამიტომაც მიმართავს საკმაოდ გავრცელებულ ხერხს - ბუნების გასულიერებას და მისი „გლოვის“ ჩვენებას. (ტაბიძე 2012: 86-87)

„საქართველოს გაზეთში“ ვხვდებით იმპერატორისა და საერთოდ, ხელისუფლების კეთილშობილების ჩვენებისთვის განკუთვნილ მასალებს.

პირველ ქართულ გაზეთში ყველაზე ხშირად პეტრე დიდის სახელი ფიგურირებდა, უფრო მეტად, ვიდრე ცოცხალი ხელმწიფისა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პეტრემ უდიდესი ამაგი დასდო რუსეთს, არამედ ახალი კალაპოტით წარმართა ქვეყნის ცხოვრება. აქ სხვა მოტივიც შეინიშნება, პეტრეს პირადი თვისებები თითქმის გააბსტრაქტირებულია და იმპერატორთა ზოგად ნიშნებად არის მიჩნეული.

პეტრე წარმოჩენილია როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, განათლებული მონარქი და სამართლიანი მსაჯული, გონებამახვილი მოსაუბრე და ერთგული მეგობარი. ამასთანავე, არცთუ იშვიათად, ხელმწიფის ღირსებები ახსნილია მისივე ღვთისმოსაობით, ხოლო ომებში გამარჯვება ქრისტეს დახმარებით.

1819-20 წლებში იმერეთ-გურიაში იფეთქა აჯანყებამ, რომლის მიზეზთა და მსვლელობის შესახებ რედაქციას სიტყვაც არ დასცდენია. ქართველ თავად-აზნაურთა მნიშვნელოვან ნაწილს აქტიური მონაწილეობა მიუღია ამბოხების ჩახშობაში და აი, ერთი წლის შემდეგ მთელი ნომერი ეთმობა მათი დაჯილდოების ცნობებს. გაზეთში ფიგურირებს მამია გურიელისა და ლევან დადიანის, აბაშიძეების, ერისთავების, ჩხეიძეების, ნაკაშიძეების, წულუკიძე-ჯაფარიძეების და სხვათა სახელები.

პირველ ქართულ გაზეთში არის მსჯელობა საერთაშორისო საკითხებზეც. აქ გამოქვეყნებულია ცნობები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, საბერძნეთის, ესპანეთისა და სხვათა შესახებ.

გაზეთი თავის მკითხველს ამცნობდა, თუ რა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა ამერიკასა და ინგლისს, რა ხდებოდა საფრანგეთში და ა.შ.

გაზეთი მსჯელობდა სხვადასხვა ქვეყნის კოლონიალურ მიზნებზე და ამახვილებდა მკითხველის ყურადღებას ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობაზე. მაგ; ერთგან გაზეთი ამერიკა-ინგლისის ურთიერთობაზე ამბობდა: „ანგლია აცხადებს მეგობრობის მოყვარეობასა ამას მართლად არა ერთგულებისათვის ისპანიის, არამედ მისთვის რათამცა დააყენოს იგი დამტკიცებისაგან ზავისი ჩრდილოეთის ამერიკასთან, რომელიც ნამდვილ არა დაანებებს მას ფლორიდასა და რომელიცა თვინიერ იჭვისა გამოუცხადებს მას ბრძოლას.“

გაზეთი თავის ფურცლებზე განსაკუთრებით ბევრს ჩერდება საბერძნეთის საკითხზე. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ საბერძნეთის საკითხი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში იდგა. თურქთა ბატონობის წინააღმდეგ 1821 წელს აჯანყება დაიწყო საბერძნეთში და მთელი მოწინავე კაცობრიობა ბერძენ პატრიოტებს მხარს უჭერდა, ბერძნებს მხარს უჭერდნენ დეკაბრისტები, ინგლისის უდიდესი პოეტი ბაირონი და სხვები. მაგრამ საქართველოსათვის ამ აჯანყებას ჰქონდა კიდევ სხვა მნიშვნელობაც, თურქ ბარბაროსთა ხაზით ბერძნები ებრძოდნენ საქართველოს საერთო მტერს.

პირველი ქართული გაზეთის დამოკიდებულება საბერძნეთის ამბებისადმი დადებითია, გაზეთი სიყვარულს გამოთქვამს ბერძენი ხალხის მიმართ და მის ბრძოლას აქებს.

გამომცემელნი გაზეთში ადგილს უთმობდნენ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეების ცხოვრებასაც. გარდა ამისა, გაზეთში მოთავსებული იყო კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის სიტყვაც, რომელიც მას საჯარო გამოცდის დროს წარმოუთქვამს და სადაც საუბარია გაკვეთილებზე მოწაფეთა დასწრების ირგვლივაც. ხოლო თვით 1819 წლის საჯარო გამოცდა გაზეთში დაწვრილებით იყო აღწერილი. აქ ნათქვამი იყო, რომ 1819 წლის ივნისში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ჩატარდა საჯარო აქტი, რომელსაც მოწაფეებისა და მასწავლებლის გარდა, მშობლებიც ესწრებოდნენ. მოწაფეებმა უჩვენეს კარგი ცოდნა ფორტიფიკაციისა, სიტუაციისა, პოეზიისა და თათრულისა, ასევე სპარსული ენების. მშობლები აღტაცებულნი იყვნენ და საჯარო აქტის უკანასკნელ დღეს მოწაფეებს დაურიგეს რა საჩუქარი წიგნებისა და სხვათა სახით, მათ სამადლობელი სიტყვები წარმოთქვესო.

გაზეთი საუბრობდა, აგრეთვე პეტერბურგში არსებულ ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა სასწავლებელსა და სხვა ამგვარ საკითხებზე .

პირველი ქართული გაზეთი ათავსებს მასალას ქალაქ თბილისის შესახებაც. თბილისზე აქ ძვირფასი ცნობებია თავმოყრილი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთში მკითხველი ვერ იპოვის ამდენ მასალას ქალაქ თბილისზე.

გაზეთში ლაპარაკია თბილისში საბინაო მშენებლობის, სისუფთავის, წყლისა და სხვათა შესახებ. აგრეთვე მიუთითებენ, რომ შეუცვალონ ადგილი და ქალაქგარეთ გადაიტანონ საპნის სახარშავები, ტყავის ქარხანა, სამღებროები და მისთანანი, ვინაიდან ისინი ქალაქში ცუდ სუნს აყენებდნენ, აფრთხილებდნენ ყასბებს, მეთევზეებს, რათა დაიცვან სისუფთავე, მჭედლებს -მორიდებულად იმუშაონ, რომ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელნი ნაპერწკლებით არ დააზიანონ.

ქართული გაზეთი აქვეყნებს ცნობებს სახლების, ბაღების, ვენახებისა და წისქვილების იჯარით გაცემის შესახებ, „ორაგულის დაჭერაზე არაგვის მდინარეში“, ორბელიანების მიერ თბილისში ბაჟების აღების შესახებ ცხვარსა და ძროხაზე და ა.შ

ამგვარად, პირველი ქართული გაზეთი თავის ფურცლებზე სხვადასხვა ხასიათის მასალას აქვეყნებდა და, თანახმად დაპირებისა, მთელი სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა. (გოცაძე 1954: 75-76)

ცალკეული პუბლიცისტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთი განათლების გავრცელებისათვის იღვწის. მას განათლება მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ერთ-ერთ ფაქტორად. „... კაცსა საშუალებითა განათლებისათა არა თუ ოდენ უპოვნია ღონე სრულიად მრთელთა და არა ვითართამე ბუნებითგან მქონებელთა კაცთ ნაკლულევანებათა შრომათ აღმსუბუქებისა, არამედ მას რომელითამე სახითა უპოვნიაცა შემძლეობა აღმსუბუქებად ხვედრისაცა მათისა, რომელნიცა შობილ არიან ბრმად, ყრუდ და მუნჯად“. (ტაბიძე 2012: 110-111)

რედაქციის ღრმა რწმენით, განათლება ხელს უწყობს მრეწველობა-ტექნიკის პროგრესს და ადამიანის სულიერ ფორმირებას. გაზეთში ტექნიკური აზრის გამარჯვების არა ერთი და ორი მაგალითია მოტანილი: ინგლისში გამოიგონეს მანქანები, რომელთა დახმარებითაც ერთი წლის განმავლობაში 100 კაცი იმდენ ბამბას რთავს, რამდენსაც მილიონი მუშის 40 წლის ხელით შრომა დასჭირდებაო.

მეორე ადგილას აღნიშნულია, რომ ამერიკაში ზღაპრული საქმის გაკეთება განუზრახავთ - მდინარე მისისიპის დაკავშირება კანადის ტბასთან არხით.

მსგავსი მაგალითები მოხმობილია, როგორც განათლებული დასავლეთის სიდიადის არგუმენტები.

რედაქციას უფრო მნიშვნელოვანი კონკრეტული საზრუნავი ჰქონდა. ის დაინტერესებული იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ნორმალური მუშაობით. 1819 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა რ. ხოვენის განცხადება. გუბერნატორი სთხოვდა მშობლებს, არდადეგების დამთავრებისთანავე გაეგზავნათ ყმაწვილები სასწავლებელში.

„საქართველოს გაზეთში“ დროდადრო ქვეყნდებოდა მოზრდილი მასალები. 1819 წელს დაიბეჭდა „შერთული ამბავი“ ეს არის ეთნოგრაფიული თხზულება ლაფლანდიელთა ზნე-ჩვეულების შესახებ. ავტორი მიმზიდველად და დეტალურად გადმოგვცემს თეთრ დათვზე ნადირობის წესებს, რომლის საშუალებითაც მკითხველის ცოდნის არე ფართოვდებოდა. ამასთანავე, თხზულების კრიტიკული გააზრების საფუძველზე ქართველი კიდევ უფრო რწმუნდებოდა საკუთარ კულტურულობასა და ცივილიზებულობაში.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქართული წიგნის ბეჭდვას საკმაოდ მდიდარი ისტორია ჰქონდა, გაზეთის გამოცემის მომენტში აქ ერთადერთი სტამბა არსებობდა, რომელიც ცალკე კორპუსის შტაბს ეკუთვნოდა. იგი დააარსეს 1816 წელს.

„საქართველოს გაზეთი“ ყოველკვირეული გამოცემა იყო, გამოდიოდა პარასკეობით, თბილისიდან ფოსტის გასვლის დღეს.

პირველ ქართულ გაზეთს 1820 წლამდე „საქართველოს გაზეთი“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა. სულ სამი წელი იარსება და 1821 წელს არსებობა შეწყვიტა. მისი გამოცემა 1822 წლისათვის ყოფილა განზრახული, მაგრამ არცერთი ნომერი აღარ გამოსულა. დახურვის მთავარი მიზეზი ხელისმომწერთა სიმცირე იყო. დასაწყისში ხელისმომწერთა რიცხვმა 500-ს მიაღწია, ეს რაოდენობა გამოცემის აუცილებელ პირობად იქნა გამოცხადებული, მაგრამ ხელისმომწერთა ნაწილს პირველსავე წელს გაუჭირდა თანხის შეტანა და შტაბში მომუშავე ქართველებმა „იწყეს გამოცემა ქართული გაზეთისა, თუმცა დაეხარჯოსთა საკუთარი თეთრი.“

მომდევნო წლები ხელისმომწერთა რიცხვმა უფრო და უფრო იკლო. სამხედრო ხელისუფლებაზე დამოკიდებულ გამოცემას საზოგადოების დაინტერესება, ეროვნული სულის ანთება, ცნობისმოყვარეობის აღძვრა უჭირდა, ხოლო მთავრობა ფინანსურ დახმარებაზე უარს ამბობდა.

როგორც ჩანს, ფოსტაც გულგრილად ეკიდებოდა ამ საქმეს, ნომრები იკარგებოდა და პროვინციელ ხელისმომწერთ, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ გული უცრუვდებოდათ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1819-21 წლების ქართულ გაზეთს თანამედროვენი კარგ პერიოდულ ორგანოდ თვლიდნენ და სწამდათ, რომ იგი თავისი მოთხოვნილების სიმაღლეზე იდგა.

მაშასადამე ქართულ გაზეთს, თვლიდნენ სასარგებლო გამოცემად და იგი მიაჩნდათ სასიამოვნო საკითხავადაც.

პირველ ქართულ გაზეთს, მართლაც, ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, იგი აფართოებდა საზოგადოების ცოდნის არეს და, ამასთან, ხელს უწყობდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.

მაგრამ პირველ ქართულ გაზეთს ბევრი ნაკლიც ჰქონდა. გაზეთი თავს ვერ ართმევდა ზოგიერთ იმდროინდელ საკითხს. მაგალითად, იგი სრულიად უმნიშვნელო ცნობებს ბეჭდავდა სოფლის მეურნეობასა და საქართველოს ეკონომიკური სიმდიდრის გამოყენებაზე და სხვა. თუმცა სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ამ გამოცემამ სათავე დაუდო რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნულ ჟურნალისტიკას, კავკასიურ პრესას. ამიტომ, მისი დაკნინებაც ისეთივე უმადურობა და უსამართლობა იქნება, როგორც მეტისმეტი ქება. ის არც „კოლონიური პოლიტიკის ბრმა იარაღად“ ჩაითვლება და არც ცხოველმყოფელ ეროვნულ გამოცემად. როგორც ინფორმაციულ-პოლიტიკურმა გამოცემამ, თავისი სიტყვა თქვა აზროვნების ჩამოყალიბებაში და საკუთარი ადგილი დაამკვიდრა ქართულ ჟურნალისტიკაში.

დიდია „საქართველოს გაზეთის“ (ქართული გაზეთის) მნიშვნელობა, როგორც ისტორიული თვალსაზრისით ისე სადღეისოდაც, რამდენადაც ჩვენთვის ცხადი ხდება, რა სიძნელეები შეიძლება შეხვდეს გაზეთის გამომცემელს, რაზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას პუბლიკაციებში და როგორ უნდა იბრძოდეს მკითხველის მოსაზიდად, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქართული გაზეთი რუსულ ენაზე გამოდიოდა, იგი აქტუალურ ზეგავლენას ახდენდა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ლიტერატურა:

1. გოცაძე 1954 მ. გოცაძე „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, თბილისი, 1954.
2. კალანდაძე 1977 ა. კალანდაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, „განათლება“, თბილისი, 1977.
3. ტაბიძე 2012 ნ. ტაბიძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, „უნივერსალი“, თბილისი, 2012.

ფილოსოფიის წარმოშობა

დარეჯან ივანიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** პროფესორი

ფილოსოფია ადამიანური ცოდნის და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VI სს. ძველ ჩინეთში, ძველ ინდოეთში და ძველ საბერძნეთში თითქმის ერთდროულად წარმოიშვა ფილოსოფია, ადგილი აქვს კაცობრიობის ინტელექტუალური ენერგიის აფეთქებას. იასპერსი ამ ეპოქას უწოდებს კაცობრიობის ისტორიის ღერძულ დროს. ეს ის დროა, როდესაც წარმოიშვა ის წინამძღვრები, რომლებმაც ადამიანი აქციეს იმად, როგორც დღეს იგი წარმოგვიდგება. ამ დროს ფანტასტიკური სისწრაფით ხდება ადამიანური ყოფიერების წესის ჩამოყალიბება და მკვეთრი შემობრუნება კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის კონფუცისა და ლაო-ძის, უპანიშადებისა და ბუდას, ზარატრუსტას, ილია, ესაია, იერემია წინასწარმეტყველების ეპოქა. ეს მოაზროვნეები მოღვაწეობდნენ თითქმის ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამ დროს აღმოცენდა სინამდვილის ფილოსოფიური გააზრების ყველა სახე დოგმატიზმიდან - სკეპტიციზმამდე. ადამიანმა გააცნობიერა ყოფიერების, სამყაროს მთლიანობა, საკუთარი თავი და საკუთარი არსებობის საზღვრები. ადამიანმა გააცნობიერა სიკვდილის ფენომენი, როგორც ადამიანის ყოფიერების ძირითადი გამოცანა და საკუთარი პრინციპული სასრულობა.

ძველ ინდოეთში ფილოსოფიამ გზა გაიკაფა ბრაჰმანიზმთან ოპოზიციურ ბრძოლაში, რომელმაც მოახდინა ტომების ტრადიციებისა და რწმენის ასიმილირება, და დაფიქსირდა ორ ვედაში (ვედა-ცოდნა). ეს იყო ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნების კრებული. ყველა ვედა გაფართოვდა კომენტარებით, აღწერებით, უფრო მოგვიანებით კი არანიაკებით (ტყის წიგნები), რომლებიც განკუთვნილი იყო განდეგილებისათვის. მათ ბოლოს დაემატა უპინიშადები. ვედური ტექსტების მთელი კორპუსი მიჩნეული იყო წმინდა გამოცხადებად. ამ ტექსტების ჭეშმარიტ მცოდნედ და განმმარტებლებად

მიჩნეული იყვნენ ბრაჰმანები, ისინი უმაღლეს კასტას წარმოადგენდნენ. ძველ ჩინეთშიც ანალოგიური პროცესები ვითარდებოდა: ტომობრივი და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ცოდნის განვითარება ქმნიდა საფუძველს სულიერი გარდაქმნისათვის. ძველ ჩინეთშიც არსებული რელიგია და ტრადიციების პირველი ოპოზიციონერები იყვნენ ასკეტი-ბრძენები, რომლებიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. ასკეტებმა შეამზადეს ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანა. თუმცა ფილოსოფიური იდეები შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ძველი ჩინეთის კულტურის ისეთ ძეგლებში როგორიცაა „ლექსთა კანონი“ და „ცვლილებათა წიგნი“.

ფილოსოფიის დანიშნულება მაშინაც და ახლაც არის მსოფლმხედველობრივი საკითხების დასმა და მათზე პასუხის ძიება, რომლებიც იქმნებოდნენ ადამიანის ყოფიერების განხორციელებისათვის. ფილოსოფია ახდენს ადამიანის მიერ არაცნობიერად მიღებული, შემუშავებული სამყაროს სურათის გაცნობიერებას.

მითიდან - ფილოსოფიისაკენ. თითოეული ადამიანი ფილოსოფიასთან საკუთარი გზით მიდის. მის გვერდით არსებობს კიდევ ერთი გზა, რომლითაც კაცობრიობა მივიდა ფილოსოფიასთან. ეს გზა მითოლოგიაზე გადის. ეს იყო ბუნებრივი და ლოგიკური გზა. რადგან ისინი ჰგვანან და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მითი არის გაგების თავისებური ფორმა, რომლითაც ადამიანი პასუხს სცემს მსოფლმხედველობრივ კითხვებს.

1. სამყაროს წარმოშობისა და დასასრულის შესახებ.

2. მითებით ახსნილი იყო ყველა ბუნებრივი და კულტურული მოვლენა.

3. მითები ქმნიდნენ ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ერის ტრადიციის და კულტურის ერთიანობას.

4. იგი განსაზღვრავდა ერის ყოველდღიური ცხოვრების წესს.

მითი არის სამყაროს ინტელექტუალური ათვისების ისეთი ფორმა, სადაც ცნებითი და ხატოვანი აზროვნება ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად გამიჯნული. მითში აზრი გამოიხატება ემოციონალურ-ხატოვანი სახეებით. მითი ჰყვება თუ რა მოხდა, მაგრამ არ ახდენს იმის ახსნას თუ რატომ მოხდა. ამიტომ სამყაროს და მის ძალებს წარმოადენს ანთროპომორფულ და სიმბოლურ სახეებში. მითი არის ცოდნისა და ფანტაზიის, ბუნებრივისა და ზებუნებრივის, რწმენისა და აზრის, ცოდნისა და ემოციის მთლიანობა. მითს ხშირად ჰქონდა მოთხრობის ხასიათი, სადაც უბრალოდ მოყოლილი, გადმოცემული იყო ამა თუ იმ გმირის, დიდი წინაპრის, ღმერთის რაიმე თავსგადამხდარი ისტორია. მითების სიმრავლე და მისი მხატვრული თავისუფლება ადამიანს ათავისუფლებდა დასაბუთების, ახსნის აუცილებლობისაგან, მსმენელს უნდა მიეღო მითი, როგორც ნამდვილი. მითს აქვს ახსნის ფუნქცია. იგი ადამიანს ეუბნება რა არსებობს და როგორი უნდა იყოს ადამიანის არსებობის წესი. მაგრამ ახსნას აქვს დესრიბციის, კონსტანტაციის ხასიათი. მითი არის ადამიანის, ერის ცხოვრებისეული გამოცდილების კრისტალიზაციის ფორმა. ფილოსოფიის წარმოშობა იყო გონითი და სულიერი გადატრიალება კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში. ფილოსოფიაში გამოვლინდა პრინციპულად ახალი დამოკიდებულება ადამიანისა მის გარემომცველ სამყაროსთან. ფილოსოფიის ფენომენში გაცნობიერდა ერთის მხრივ ადამიანის გონების აბსოლუტური პრეტენზია - აბსოლუტური ცოდნის მოპოვების სურვილი და მეორეს მხრივ ადამიანების გონების სასრულობა. ამიტომ არის ადამიანი ფილოსოფოსი და არა ბრძენი, რაც ადამიანის უმაღლესი, მიუღწეველი მიზანია.

მითიდან ამოიზარდა სიბრძნის სიყვარული. სიბრძნე ყოველდღიური განსჯითი პრაქტიკული ცოდნისაგან განსხვავებული ცოდნა იყო. სიბრძნე იყო ყოველდღიური ცხოვრების საზღვრების გადალახვა., მარადიულის და უმთავრესის ცოდნა. ფილოსოფია იყო უანგარო მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ. ფილოსოფოსობა იყო არა უბრალოდ ახალი ცოდნის მოპოვების სურვილი, არამედ უმთავრესის და მარადიულის ცოდნის სურვილი. საინტერესოა თვითონ სიტყვის „ფილოსოფია“ შექმნის ისტორია. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს. ამრიგად, ფილოსოფოსს ეძახდა საკუთარ თავს ის, ვინც აცხადებდა, რომ იგი არის სიბრძნის მოყვარული, რომ იგი ესწრაფვის სიბრძნეს ან ემსახურება სიბრძნის მოპოვებას. არა მარტო ფილოსოფიაა პარადოქსი, არამედ თვითონ ფილოსოფოსები გამოირჩევიან თავისი აზროვნების, მსოფლმხედველობისა და პირადი ცხოვრების წესის ღრმა ინდივიდუალობით. ფილოსოფოსებს ხშირად მიიჩნევდნენ სწორი, სათნო ცხოვრების მასწავლებლად, რადგან თავიანთი პირადი ცხოვრებით ხშირად იძლეოდნენ ამის მაგალითს. ცნობილი დიოგენე სინოპელი, მიიჩნევდა, რომ ფილოსოფოსი უნდა ცხოვრობდეს თავისი ფილოსოფიური მრწამსის მიხედვით, ფილოსოფიამ ადამიანს უნდა ასწავლოს ბუნებრივი, უბრალო ცხოვრება. დიოგენეს აზრით, ადამიანი თვითონ ირთულეს ცხოვრება რასაც ადამიანისათვის უბედურება და ტანჯვის მეტი არაფერი არ მოაქვს. ადამიანის ცხოვრება წარმართული პატივმოყვარეობიდან, სიხარბით, სიძუნწით არის უბედურების მიზეზი. ბედნიერება უბრალო ცხოვრებაშია. სოკრატე იყო პირველი, რომელიც თავისი

ფილოსოფიისათვის სიკვდილით დაისაჯა. ეს ცხადყოფდა თუ რამდენად სახიფათოა ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც მიიჩნევდნენ ყველაზე არაპრაქტიკულ და ცხოვრებისაგან დაშორებულ აზროვნებად. მან საკუთარი პრინციპების ერთგულების გამო მიიღო სასიკვდილო სასჯელი. უკვე არისტოტელემ (384-322) გამოყო პირველი და მეორე ფილოსოფია, როგორც თეორიული ცოდნის განსხვავებული სფეროები. მას შემდეგ ბევრჯერ დაისვა კითხვები: რა არის ფილოსოფია? არისტოტელემ ფილოსოფია მეცნიერებათა დედოფლად გამოაცხადა. შუა საუკუნეებში ფილოსოფია გამოცხადდა თეოლოგიის მსახურად. ფილოსოფიას დაევალა დახმარებოდა თეოლოგიას ღმერთის არსებობის დასაბუთებასა და სხვა ღვთისმეტყველური საკითხების გადაწყვეტაში. ფილოსოფიას აინტერესებს ბუნება, მისი წესრიგი და ჰარმონია, საზოგადოება და მისი ფუნქციონირების მექანიზმი. ფილოსოფოსები ყოველთვის ფიქრობდნენ იდეალური საზოგადოების აგების შესაძლებლობაზე. ფილოსოფიის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო თვითონ ადამიანი, მისი უნარები და ყოფიერების წესები. ფილოსოფია ცდილობდა გაეაზრებინა ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ხასიათი. ფილოსოფია, როგორც ადამიანის სულიერი კულტურის განსაკუთრებული სფერო იარსებებს მანამ სანამ იარსებებს ადამიანი და ის რაც ადამიანის გონებას მღელვარებითა და გაკვირვებით აღავსებს.

თავისუფლების ქრისტიანული გაგება

ავთანდილ მეცხვარიშვილი, თამარ ლომიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი**, პროფესორი

ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს იდეას წარმოადგენს თავისუფლების იდეა. „შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ მოგვიწოდებს მაცხოვარი.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს: „სადაც სულის ბატონობაა, იქაა - თავისუფლება (2. კორინთ. 3:17).

ქრისტიანული გაგებით თავისუფლება ადამიანის ზნეობრივი ანუ სულიერი თავისუფლებაა.

ცოცხალ არსებათა შორის ადამიანია ერთადერთი, რომელიც გონებითა და თავისუფალი ნებითაა დაჯილდოებული. ბიბლიაც ხომ ამას გვასწავლის: „ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად იქმნა გონებისა და თავისუფალი ნების გამო.“ ეს ღვთიური ნაპერწკალია ადამიანში, რომელიც სინათლედ იქცევა მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანს შეუძლია თავისთავზე დაპატრონება, თუ ის ხდება თავის თავის ბატონი, თავისი თავის უფალი, „ხოლო თუ გონება სხეულის, სხეულიდან მომდინარე ვნებების მონაა და მსახური, ასეთი გონება საშიშს ხდის მის მატარებელ სიცოცხლეს. აკი ადამიანს, როგორც მოაზროვნე ცხოველს ვერც ერთი ცხოველი ვერ შეედრება სისასტიკეში. თუ ცხოველს მოთხოვნილებები აქცევენ ეგოისტად, ეს ეგოიზმი სიცოცხლის შენარჩუნების ამოცანას არ სცილდება, ადამიანის, როგორც მოაზროვნე ცხოველის შემთხვევაში ეგოიზმის უსაზღვრო ხდება, თვითმიზნად იქცევა და ბოროტდება გარდაიქმნება.

სულიერი, ანუ ზნეობრივი თავისუფლება გულისხმობს ადამიანის ბატონობას თავისი სხეულებრივი მოთხოვნილებებზე, თავისი ვნებებზე, ქვეცნობიერიდან მომდინარე იმპულსებზე.

იმისთვის, რომ განვთავისუფლდეთ, უნდა დავიმორჩილოთ, და დავთრგუნოთ და დავიმორჩილოთ საკუთარი თავი. რაც მეტად დავიმორჩილებთ და დავეუფლებით თავს, მით მეტად თავისუფლებას მოვუპოვებთ სულს. ადამიანებს თავისუფლებაში ესმით ყველაფრის კეთების უფლება, რაც მოუნდებათ, მაგრამ ეს არ არის თავისუფლება, ეს არის ცოდვის ძალა უფლება ჩვენზე, ანუ როგორც მაცხოვარი ამბობს: „რომელმაც ქნა ცოდვა, მონაა ცოდვისა.“ ვნების მონად ქცეული გონება იქცევა ვნებათა მსახურად. ვნებათა ტყვეობაში ჩავარდნილი ადამიანი არის ნამდვილი მონა. პავლე მოციქული ასე აღწერს ამ მონობას;’ „ვერ გამიგია რას ვაკეთებთ, რადგან ვაკეთებთ არა იმას რაც მინდა არამედ იმას, რაც მძულს. სიკეთე, რომელიც მინდა არ ვაკეთებ, ბოროტება, რომელიც არ მინდა, იმას ვაკეთებ. ჩემს ასოებში ვხედავ სხვა კანონების მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება გონების კანონს და მაქცევს ცოდვის კანონის ტყვედ.

იესო პირველად ნაზარეთის სინაგოგაში ქადაგებისას განუცხადებს ებრაელებს, რომ ის მესიაა. ხალხი სიხარულით ხვდება მაცხოვრის ნათქვამს. ისინი ხომ დიდი ხანია ელიან მესიას, რომელიც იხსნის მათ მონობისაგან, მაგრამ იესო ამბობს: „მე მოვსულვარ არა რომელთა მონობისაგან, არამედ ყველაზე საშინელი და სასტიკი ბრძანებლის მონობისაგან, თქვენი ცოდვების მონობისაგან თქვენს განსათავისუფლებლად. იესოს ვერ გაუგეს ებრაელებმა. მას თავიდან ვერც მოწაფეებმა გაუგეს. მათში ნელ - ნელა ხდება გაცნობიერება მაცხოვრის, როგორც მარადიული მესიისა რომელიც ადამიანის გულებში გამეფდება, ოღონდ არა ფიზიკურად არა ხილული სახით. იესო ამბობს: „ სასუფეველი მოვა უხილავად, თქვენს გულებში, რომელიც ცოდვებისაგან გაგათავისუფლებთ.“

ქრისტე მოდის როგორც ახალი მოსე, რომელსაც ებრაელი ხალხი არ გამოჰყავს ეგვიპტელთა ან რომაელთა მონობისაგან, არამედ კაცობრიობა გამოჰყავს ცოდვების მონობისაგან, ათავისუფლებს სულში მყოფი ფარაონისაგან, რომელიც არის ეშმაკეული ძალა.

ძალა, რომელსაც შეუძლია იხსნას ადამიანი არის იესო, რომელსაც თუ მიიღებ მთელი არსებით ხდები თავისუფალი. ჩვენს გულებში ქრისტეს შემოსვლით ჩვენში მოქმედებას იწყებს მადლი, ჩვენში იბადება სინდისის გრძნობა, რომელიც იმ უცნაურობით ხასიათდება, რომ ჩვენ აღარ გვემორჩილება, ჩვენზე ბატონდება, ჩვენზე მაღლა დგება. ამით ადამიანი ხდება როგორც სრულიად თავისუფალი, ისე სრულიად პასუხისმგებელი თავის საქციელზე. თავისუფლების განხილულ სახეთაგან ადამიანის უმაღლესი მიზანი უნდა იყოს სულიერი თავისუფლება, რადგან მხოლოდ ეს თავისუფლება გვაძლევს ნამდვილ ადამიანური ცხოვრების საშუალებას.

პავლე მოციქულს შეიძლება თავისუფლად ვუწოდოთ თავისუფლების ქრისტიანული იდეის პირველი და უდიდესი მაუწყებელი, ხოლო მის ეპისტოლეებს „თავისუფლების სახარება“, რომლებიც, ყველაზე ღრმად და ნათლად გადმოგვცემენ ქრისტეს მოძღვრებას.

„მტკიცედ იდექით იმ თავისუფლებაში, რომელიც გვისახსოვრა ქრისტემ და ხელახლა არ დაიდგათ მონობის უღელი.“ (გალატელთა მიმართ 5:1) მოგვიწოდებს მოციქული. პავლეს მიხედვით თავისუფლება მაცხოვრის საჩუქარია და ჩვენ გვმართებს მისი ერთგულად დაცვა.

ქრისტეში გაცხადდა ღვთის ახალი ნება, გაუქმდა სჯულის კანონი, გავთავისუფლდით მისგან, რომ განახლებული სულით და არა სჯულის კანონის მიხედვით ვემსახუროთ ქრისტიანის ცხოვრებას, უკვე მადლითაა განათებული, ხოლო რწმენა - მოქმედი სიყვარულ.

ნათლობის შემდეგ ქრისტიანი კვდება ცოდვისთვის და იბადება ახალ ცხოვრებისთვის, მსგავსად მაცხოვრისა, რომელიც ჯვარცმის შემდეგ აღსდგა. ცოდვათა მონობისაგან განთავისუფლება აქცევს ქრისტიანს ჭეშმარიტად თავისუფალ არსებად. ქრისტეს მიერ ღვთიური მადლი მთლიანად გარდაქმნის ადამიანს და აქცევს მას ახალ ადამიანად. „თავისუფლებისთვის ხართ მოხმობილნი ძმანო და სიყვარულით მსახურებდეთ ერთ-ურთს, გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც თავი თვისი.“ (გალატელთა მიმართ 5:13-15)

კატასტროფული, სულიერი და ზნეობრივი დეგრადაცია ადამიანებისა თანამედროვე დასავლეთში გამოწვეულია მათთვის განუსაზღვრელი მოქმედების თავისუფლების მინიჭებით. ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ევროპასა და ამერიკაში ადამიანის თავისუფლება გაიგივებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ სოციალურ, რელიგიურ და ა.შ. თავისუფლებასთან. მოქმედების თავისუფლება მიჩნეულია თავისუფლების ერთადერთ სახედ ამ საკითხში ქრისტიანობა და თანამედროვე დასავლეთი რადიკალურად შორდებიან ერთმანეთს ქრისტიანობისთვის უმთავრესია - სულიერი თავისუფლება. ევროპისა და ამერიკისთვის კი - მოქმედების თავისუფლება. ევრო-ამერიკულ ცივილიზაციაში სულიერი თავისუფლება ზედმეტია, გაუგებარი და უშინაარსო ცნებაა. ქრისტიანისთვის ის უმაღლესი ღირებულებაა. ადამიანი შეიძლება საპყრობილეში იჯდეს, მაგრამ სულიერად იყოს თავისუფალი. ევროპელი და ამერიკელი ამას ვერ გაიგებს. ქრისტიანობაში ყველაფერი ფასდება ერთ იდეის შუქზე - ღმერთი სიყვარულია. ღმერთი სიყვარულია, ეს უღრმესი ჭეშმარიტება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ყოფიერების ძირითადი და უპირობო და აბსოლუტური კანონი არის სიყვარული. თავის ცხოვრების მანძილზე რაც უფრო მეტი ხარისხით ახორციელებს ამ კანონს ადამიანი, მით უფრო მეტადაა თავისუფალი, ხოლო ამ კანონისაგან დაშორება, მისი დარღვევა მიზეზი ხდება ადამიანის ტანჯვისა, ბოროტებისა. ამ კანონიდან გამომდინარე, მხოლოდ ის უფლებები და თავისუფლებაა მისაღები, ქრისტიანობის თვალსაზრისით, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანში ჭეშმარიტი სიყვარულის გაღვივებას. ის, რაც ანგრევს ადამიანში სიყვარულის სულს, ესაა ვნებების აღზევება, ხოლო ის ფესვები, საიდანაც იღებს ვნებები სასიცოცხლო ძალას და ენერგიას, არის დიდების მოყვარეობა, ვერცხლის მოყვარეობა, მუცლობა, ეს ტრიადაა ამქვეყნად ყოველგვარი ბოროტებისა და ტანჯვის დასაბამი. ეს სამი ვნება თავის განვითარებაში ბადებს, სხვა ვნებებს და ისინი კლავენ ადამიანში სიყვარულის სულს. შეუძლებელია იქ იყოს სიყვარული, სადაც ამ ვნებათა ზეიმია.

თავისუფლება მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტად ღირებული მოვლენა, როცა ის ხორციელდება სიყვარულის საზღვრებში. სადაც არ არის სიყვარული, იქ თავისუფლება, რომელიც არ არის სიყვარულით განსაზღვრული - საშინელია. საშინელი კი იმიტომაა, რომ სადაც არ არის სიყვარული, იქ ვნებათა ბატონობაა. სადაც არ არის ქრისტიანული სიყვარული, სადაც არ ხდება ეგოიზმზე გამარჯვება, იქ ჩვენ ვნახულობთ ვნებებისა და ეგოიზმის კულტს. ვნებები ყოველთვის უგუნურნი არიან, ისინი ანადგურებენ ადამიანში ადამიანს, სტანჯავენ და ღუპავენ მას, მოაქვთ მისთვის უბედურება. ესაა უმთავრესი ქრისტიანული იდეა, რომელიც არ ესმის უღმერთო და არაქრისტიანულ ცნობიერებას. მხოლოდ იქ, სადაც სიყვარულია, სიყვარული კი იქაა, სადაც გულის სიწმინდეა, თავისუფლება იქცევა ნამდვილ თავისუფლებად, სადაც არ არის ბრძოლა ვნებებთან და ეგოიზმთან, იქ ვნებათა ბატონობა ადამიანს აქცევს ურჩხულად.

ქრისტიანული თვალსაზრისით ჭეშმარიტად თავისუფალია ის, ვინც მოიპოვა შინაგანი თავისუფლება, ვინც სულითაა თავისუფალი, თუნდაც ის სხეულებრივად არ იყოს თავისუფალი (აქ იგულისხმება ყველა სახე გარეგანი თავისუფლება). ის რაც ადამიანს ადამიანად ხდის, ეს შინაგანი თავისუფლებაა, თავისუფლება ყოველგვარი ბოროტებისაგან, თავისუფლება ვნებების ბატონობისაგან.

თავისუფლება ქრისტიანობის არსია. ქრისტიანული რწმენა არა მხოლოდ გვათავისუფლებს ჩვენ შიშისაგან, სიკვდილისაგან და ამ ქვეყნის უძლურთაგან - იგი თავად წარმოადგენს თავისუფლების უმაღლეს აქტს. ჩვენ მივდივართ ქრისტესკენ, რადგან გიყვარს ის. არაფერი გვაიძულებს ამ გზის გარდა მის სიყვარულს, მაგრამ ეს სიყვარული კი არ გვავალდებულებს, არამედ გვათავისუფლებს. ქრისტიანული ეკლესიის მთელი გზა უნდა გადიოდეს სიყვარულიდან თავისუფლებისაკენ. მან უნდა შვას თავისუფალი ადამიანები, თავისუფლად რომ შექმნან თავისი ცხოვრება, სულიწმინდის ნათელში.

ლიტერატურა:
1. ი. კანტი, რჩ. ფილ. თხზ., ტ. 4, მოსკოვი, 1965.
2. პავლე მოციქული, ეპისტოლე რომაელთა მიმართ
3. პავლე მოციქული, ეპისტოლე გალატელთა მიმართ
4. პავლე მოციქული, ეპისტოლე კორინთელთა მიმართ.

ნარდობის ხელშეკრულება

ალექსანდრე მოსიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ქეთევან მჭედლიძე,** მოწვეული სპეციალისტი

„არსებობს ერთი რამ, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის
ყველა მოთხოვნაზე მაღლა დგას. ეს არის ქმედუნარიანი
ადამიანის მიერ ხელშეკრულების დადების თავისუფლება,
რომლის მიხედვითაც თავისუფალი ნების გამოვლენის
საფუძველზე შეთანხმებული ყველა სახელშეკრულებო
პირობა უდა იქნეს წმინდად დაცული საჭიროების
შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს მიერ აღსრულებული.“
სერ ჯორჯ სესსელი.[1]

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში და აგრეთვე ძველი რომის და სხვადასხვა ქვეყნების სამოქალაქო სამართალში ვალდებულებით სამართალს უდიდესი მნიშვნელობა უჭირავს. იგი სამოქალაქო სამართლის უდიდესი ნაწილია. სწორედ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს სახელშეკრულებო სამართალი, რომელშიც ფართოდ არის გავრცელებული ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებების რიცხვს მიეკუთვნება ნარდობის ხელშეკრულება.

[1] Printing end Numericl Registering co.v Sampson LR.19 eq 462,465, (1875)

ნარდობის ხელშეკრულებას, როგორც ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ჯერ კიდევ ძველი რომის სამოქალაქო სამართალში. ეკონომიკური ურთიერთობისა და სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, ჩნდება საჭიროება, რომ ამ ურთიერთობაზე დამყარებული ტრანსაქციების მომწესრიგებელი სამართლებრივი ინსტიტუტებიც განვითარდეს და მოერგოს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს. ნარდობის ხელშეკრულების წარმოშობასაც მსგავსი საწყისი ჰქონდა ძველი რომის კერძო სამართალში, როდესაც გაჩნდა საჭიროება, გარკვეული ურთიერთობების მექანიზმი შექმნილიყო, რამაც გამოიწვია ისეთი ინსტიტუტის წარმოშობა, რომელიც რომის სამართალში locatio conductio-ს სახელით იყო ცნობილი. ეს ინსტიტუტი თავის თავში აერთიანებდა სამ სამართლებრივ ცნებას[1], მათ შორის - locatio conductio operis[2], რომელსაც შესაძლოა პირველყოფილი ნარდობა ეწოდოს. ის მართლაც შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ნარდობის იდენტური იყო.

თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსს საფუძვლად ბერძნულ-რომაული კერძო სამართალი უდევს, რის შედეგადაც ნარდობის ინსტიტუტი დღეისათვის საკმაოდ ხშირად გამოიყენება ქართულ სამართლებრივ რეალობაში და შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დიდი ადგილი უკავია. ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ნარდობის ხელშეკრულება ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი კუთხით სამშენებლო საქმიანობაში გამოიყენება.

ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ყველა ხელშეკრულება, რომელსაც შესაძლებელია ნარდობის ხასიათი ჰქონდეს გაერთიანებულია ერთი ცნების ქვეშ და წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის 629 - 656-ე მუხლებით, თუმცა არის ქვეყნები, სადაც საკანონმდებლო მოწესრიგების დონეზე გამოყოფილია ნარდობის ცალკეული სპეციალური სახეობები - საყოფაცხოვრებო ნარდობა, სამშენებლო ნარდობა და სხვა.

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული სამუშაო - შექმნას/დაამზადოს პროდუქტი, შემკვეთი კი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს ამისათვის შეთანხმებული თანხა[3]. მენარდე თავის თავში გულისხმობს პირს, რომელიც კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს კონკრეტული სამუშაო, რის საფუძველზეც დებს პირობას, „შექმნას“, მიიღოს სპეციფიკური შედეგი. ნარდობის ხელშეკრულება თავისი იურიდიული ბუნებით, ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია ხელშეკრულების საგანი - მენარდის სამუშაოს შედეგი და საზღაური. ამ ხელშეკრულების ყოველი მხარე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. საზღაური ნარდობის ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სასყიდლიანობის ფაქტორი. ცნებიდან გამომდინარე ნარდობის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია[4], რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან ყველა ჯერზე მენარდე ვალდებულია შეასრულოს სამუშაო და მიიღოს შეთანხმებული შედეგი, ხოლო შემკვეთის მთავარი ვალდებულებაა გადაიხადოს შეთანხმებული ანაზღაურება/საზღაური. ამასთან აუცილებელია ნარდობის ხელშეკრულების საგანი იყოს მენარდის შრომის შედეგი. ნარდობის ხელშეკრულების დადების საფუძველზე მენარდეები იბოჭებიან მოქმედებებში, რაც დაბალანსებულია წინასწარ განსაზღვრული შედეგის მიღების სურვილით, ეს შეიძლება იყოს რაიმე მატერიალური ნივთი, ერთი შედეგი რომელზეც მენარდემ უნდა განახორციელოს სამუშაოები, მენარდე ვალდებულია მიაღწიოს შედეგს. თუ არ არის შედეგი, მაშინ ადგილი აქვს ხელშეკრულების შეუსრულებლობას. ნარდობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ეთმობა იმას, რომ შემკვეთისაგან ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოკიდებულმა მენარდემ სამუშაო პირადად და საკუთარი რისკით შეასრულოს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი რომ ნდობის მთელი პროცესის განმავლობაში მენარდე სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალია შემკვეთის მითითებებისგან, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული. ამ შემთხვევაში მენარდეს აქვს ვალდებულება, შეთანხმებული სამუშაო შეასრულოს პირადად, მაღალი ხარისხით, უფლებრივად და ნივთობრივი ნაკლის გარეშე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მხარეებს შორის ხარისხი არ არის შეთანხმებული, შეასრულოს მინიმუმ საშუალო ხარისხით. მენარდეს უფლება აქვს სხვას მიანდოს

[1] Locatio Conductio - ამ ტერმინის ჩამოყალიბება და შექმნის იდეა ეკუთვნით რომაელ იურისტებს, რომლებმაც ერთი ცნების ქვეშ გააერთიანეს სამი სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და სრულიად განსხვავებული სფერო. Locatio Conductio Rai (ნივთის ქირავნობა, იჯარა), Locatio Conductio Operarum (მომსახურება) და Locatio Conductio operis (ნარდობა), რაც დღევანდელი ნარდობის ინსტიტუტთან არის გათანაბრებული.

[2] Zimmermann R. The Law of Obligation, Roman foundation of Civilian Tradition, Johannesburg, 1990, 338-339.

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი.

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, თბილისი, 2001.

გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაც ხორციელდება ე.წ. სუბნარდობის[1] ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში მენარდე გამოდის შემკვეთი, ხოლო სუბმენარდე (ქვემენარდე) მენარდის სახით. ამ შემთხვევაში სამუშაოს შესრულებაზე შემკვეთის წინაშე მენარდე აგებს პასუხს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ მენარდემ სამუშაო პირადად უნდა შეასრულოს. ნარდობის ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას მენარდის მასალით, ან გვაროვნული ნივთის დამზადებას. ამ შემთხვევაში მენარდემ საკუთრებაში უნდა გადასცეს ნაკეთობაც და ნივთიც. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნარდობის ხელშეკრულება მეტად მნიშვნელოვანი იმითაა, რომ ის შესატყვისობაში მოდის სხვადასხვა ხელშეკრულებებთან, როგორებიცაა შრომის, მომსახურების და ნასყიდობის ხელშეკრულებები. უპირველესად ნარდობის ხელშეკრულება უნდა განვასხვავოთ შრომის ხელშეკრულებისაგან ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე ასრულებს სამუშაოს მეორესათვის მაგრამ განსხვავება მდგომარეობს შემდგომში: ა) ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი. ბ) ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება (დამსაქმებელს). გ) ნარდობის ხელშეკრულების მხარეები, ანუ მენარდე და შემკვეთი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი მაშინ როდესაც შრომის ხელშეკრულებაში, მუშაკის სახით შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. შრომის ხელშეკრულების დადებისას, მომავალი დასაქმებული თითქმის ყოველთვის დამოკიდებულია დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ პირობებზე და მას ამ ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე დიდი წვლილის შეტანისა და თავისი ინტერესების გატარების შესაძლებლობა არ გააჩნია. ბევრად განსხვავდება სიტუაცია იმ შემთხვევაში როდესაც საქმე ნარდობის ხელშეკრულებასთან გვაქვს ამ შემთხვევაში მხარეები თანასწორნი არიან. შრომის ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირი ასრულებს სამუშაოს სხვა პირისათვის და ამისთვის იღებს ანაზღაურებასა, რაც ნარდობის ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის. ასევე ნარდობის ხელშეკრულებასთან ახლოს დგას მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე ასრულებს სამუშაოს მეორე მხარისათვის, განსხვავება ამ ხელშეკრულებებს შორის მდგომარეობს შემდგომში, ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი. რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას, მის საგანს წარმოადგენს მომსახურება რომელსაც საერთო წესის მიხედვით არ აქვს შედეგი, ანდა მისი შედეგი ატარებს არამატერიალურ ხასიათს, მაგალითად, სანახაობითი მუზეუმების მიერ მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულება რომელიც ერთჯერადი გამოყენებისაა და მისი შედეგი არ ჩანს.

ნარდობის ხელშეკრულება, რაც ყველაზე მთავარია, აგრეთვე ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან უნდა განვასხვავოთ: ა) პირველ რიგში ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს როგორც წესი ინდივიდუალურად განსხვავებული ნაკეთობების დამზადება, რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს იგი უმრავლეს შემთხვევაში არის გვაროვნული ნივთი. ბ) ნარდობის ხელშეკრულების პირობები უპირველეს ყოვლისა მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში, მხარეების ურთიერთობის განსაზღვრისკენ, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის გადაცემა მეორე მხარისათვის - მყიდველისათვის. ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რომელითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოცემულ სიტუაციაში, მდგომარეობს შემდგომში, გამყიდველი რეალიზაციას უკეთებს ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი მასალით, ხოლო მენარდე კი იმ ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი ან შემკვეთის მასალით. ვენის 1981 წლის კონვენციით გადაწყვეტილია შემდეგნაირად: კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ იმ საქონლის წარმოება ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ პირობით თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს თუ დამამზადებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან საწარმოებლად. მაშასადამე, თუკი შემკვეთმა შეუკვეთა განსაზღვრული რაოდენობის ნივთები ვალდებულია უზრუნველყოს ნივთების დამზადება მის მიერ მიწოდებული მასალით. ხელშეკრულების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მასალის რაოდენობაზე თუ ეს მასალა არ არის საკმარისი და არის არსებითი ხასიათის, მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება, აქედან დასკვნა, რომ ნარდობის ხელშეკრულება მოიცავს სამუშაოს შესრულების მიმდინარეობას ნასყიდობაში ასეთი რამე კი არ არის. 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში ნარდობა და ნასყიდობის ხელშეკრულებები გამიჯნა და განსაზღვრა, უზენაესი სასამართლოს განმარტებით „ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის

[1] სუბნარდობა - ქვენარდობა, როდესაც მენარდე სხვას აძლევს უფლებას შეასრულოს გარკვეული სამუშაო.

ხელშეკრულების საგნის გადაცემა“, ხოლო ნარდობის შემთხვევაში კი - „სამუშაოს პროცესის დასახვა, და მისი შედეგის განსაზღვრა“.

მოძრავი ნივთი რომელიც მენარდემ შეაკეთა ან დაამზადა და ეს ნივთი შეკეთების ან დამზადების მიზნით მის მფლობელობაში გადავიდა მაგალითად: როდესაც ავტომანქანა შესაკეთებლად იმყოფებგა მენარდესთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად მენარდეს თავის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება იმ შემთხვევაში თუ შემკვეთმა არ გადაიხადა შესრულებული სამუშაოს საზღაური, ნარდობის ხელშეკრულება ხორციელდება უძრავ ნივთებზეც ამ შემთხვევაში მენარდეს უფლება აქვს გამოიყენოს იპოთეკის, რის გამოსყიდვაც მეპატრონეს საზღაურის გადახდის შემდეგ შეეძლბა. რაც შეეხება ნარდობის ხელშეკრულების მოშლას იგი შეიძლება სხვადასხვა გარემო პირობებმა გამოიწვიოს. ხელშეკრულების მოშლა ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, იგი აღმჭურველი უფლებაა რომელიც მხარეს აძლევს შესაძლებლობას მის მიმართ არსებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შეწყვიტოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა, შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლის ცალკეული შემთხვევები, როგორც კანონით ასევე ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული, მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება. გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. შეკვეთის სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ შესრულებამდე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს ხელშეკრულების მოშლამდე სამუშაო და ხელშეკრულებით მიყენებული ზიანი.

ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ მას ხარჯთაღრიცხვის ფართო წრე აქვს. ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს რთულ სამუშაოებს. მაგალითად მრავალბინიანი საცხოვრებლების აშენებას რაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში კი ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული, მუშის ხელფასზე, მასალის ღირებულებაზე სახელმწიფო სავალდებულო გადასახადზე და სხვა.

ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ არსებობს ორი სახის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი 1. ეს არის მყარი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი რომელშიც ისე მყარად არის ხელშეკრულება დაცული რომ არცერთ შემთხვევაში არ მოხდება ხარჯის გაზრდა, შემცირება და სხვა. 2. კი მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტია რომელშიაც შეიძლება შეიცვალოს პირობები. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას. მენარდემ დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთმა ამის შემდეგ შეწყვიტა ხელშეკრულება ვალდებულია აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, მიახლოვებით ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თუ მენარდე მიახლოვებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. როდესაც რაიმე საქონელი გაძვირდება და მენარდე არ აცნობებს ამის შესახებ შემკვეთს იგი კარგავს მასზე მოთხოვნის უფლებას, მაგალითად შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა 100 გრამი ოქროს ნაკეთობის დამზადება ხელშეკრულების დადებისას მისი ფასი იყო 50 ლარი შემდეგ კი გაძვირდა და 1 გრამი ოქროს ფასი გახდა 100 ლარი, მან დაკარგა მოთხოვნის უფლება ნახევარ თანხაზე. ასევე მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის მიერ მიწოდებულ მასალის არასწორ გამოყენებაზე.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადებს იგი შემდეგნაირია, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება - ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან.

ამრიგად, ნარდობის ხელშეკრულება არის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება, რომლის არსია შესრულებული სამუშაოს შედეგი, იგი სასყიდლიანი და კონსენსუალურია. მისი არსი ძველი რომის სამართლიდან მომდინარეობს და თანამედროვე სამოქალაქო სამართალშიც უდიდესი მნიშვნელობით სარგებლობს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2015 წლის 22 აპრილის მდგომარეობით.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001.
3. ზურაბ ახვლედიანი, „ვალდებულებითი სამართალი“, 1999.
4. ავთანდილ გეგენავა, „ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება სხვა შეცვლილ გარემოებებისადმი“, 2015.
5. ზურაბ ჭეჭელაშვილი, „სახელშეკრულებო სამართალი“, 2004.

ჩუქების ხელშეკრულება

გიორგი მღებრიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და ძალიან საინტერესო ხელშეკრულებას, რომელსაც ჩვენს ყოველდღიურობაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით და ალბათ ყველა ადამიანი ვყოფილვართ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, მისი მონაწილე. თუმცა ეს ხელშეკრულება, ერთი შეხედვით იმდენად ჩვეულებრივი და ბუნებრივი გვეჩვენება, რომ ნაკლებად ვფიქრობთ თუ რას წარმოადგენს იგი სამართლებრივად და როგორია მასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი.

ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით შევეხოთ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ძირითად სამართლებრივ საკითხებს.

პირველ რიგში, საყურადღებოა ის, თუ როგორ განმარტავს მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ცნების სახით მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი აყალიბებს შემდეგნაირად, რომ *ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.* ეს გულისხმობს იმას, რომ მჩუქებელი ყოველგვარი შემხვედრი ანაზღაურების, დაკმაყოფილების გარეშე გადასცემს მეორე პირს (დასაჩუქრებულს) ქონებას, მისი თანხმობით. ,,მისი თანხმობა'' ხაზს უსვამს იმას, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია დასაჩუქრებულის თანხმობაც. (რაც ძირითადად დასაჩუქრებულის მოქმედებით, საჩუქრის მიღებით ან შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით გამოიხატება ხოლმე). ხელშეკრულების მთავარი აზრი იკვეთება იმაში, რომ ხდება მჩუქებლის ქონების შემცირება და დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა უანგაროდ, უსასყიდლოდ. ეს ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალშივე ერთგვარი კეთილი გრძნობის, გულუხვობის გამოხატულებას წარმოადგენდა. გულუხვობის გამოჩენის მიზნითვე გამჩუქებლის ქონების ხარჯზე გადაეცემოდა დასაჩუქრებულს რაიმე ფასეულობა, ქონება, ნივთი ძველი რომის სამართალში. რომელსაც pactum donationis ეწოდებოდა.

ჩუქების ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

მოძრავი ნივთის ჩუქებისას ხელშეკრულება დადებულად ითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან. (მაგ: A ჩუქნის კალამს B-ს, ჩუქების ხელშეკრულება სახეზეა კალმის გადაცემის მომენტიდან). ხოლო უძრავი ნივთის ჩუქების შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულად ითვლება განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ჩუქების ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, როგორც სანოტარო წესით, ასევე მარტივი წერილობითი ფორმით. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები დამოწმდეს იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასაჩუქრებული დაიბეგრება საჩუქრად მიღებული უძრავი ქონების 20%-ით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის არის მჩუქებლის პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე (შვილი, მეუღლე, მშობელი, და-ძმა). ხოლო, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის მესამე ან მეოთხე რიგის მემკვიდრეს წარმოადგენს (ბებია, პაპა, ბიძა, მამიდა), იგი დაიბეგრება იმ შემთხვევაში თუ უძრავი ქონების ღირებულება, რომელიც საჩუქრად გადაეცემა პირს, შეადგენს 150 000 ლარს ან მეტს.

სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს საჩუქრის დაპირებას (შესაძლებელია დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით). რაც, თავის მხრივ, წინარე ხელშეკრულების ნაირსახეობაა, რომელიც წარმოშობს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. *(იურიდიული შედეგების წარმოშობის მიხედვით გამოიყოფა ძირითადი და წინასწარი ხელშეკრულებები. წინასწარი ხელშეკრულება შეთანხმებაა ძირითადი ხელშეკრულების დადების შესახებ).*[1] აქედან გამომდინარე, წერილობითი ფორმით საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას. მაგრამ, შესაძლებელია დამპირებელმა განაცხადოს უარი ჩუქებაზე, თუმცა თუ მისი უარი გამოიწვევს მეორე მხარის ზიანს, ვის სასარგებლოდაც შეპირება დაიდო, დამპირებელს დაეკისრება პირობის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანაზღაურება უსპობს საარსებო წყაროს და შესაძლებლობას არჩინოს თავისი თავი და თავის კმაყოფაზე

[1] ვალდებულებითი სამართალი - ზურაბ ახვლედიანი 1999, გვ. 30

მყოფი პირები). სხვა შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია დაპირების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ჩუქების ხელშეკრულების განხორციელების მოთხოვნა. გამჩუქებელს მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს და ამით განპირობებული იქნება კონკრეტული ზიანი.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც დაუშვებელია ჩუქება. სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევას წარმოადგენს პირის მდგომარეობა, როცა ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს თვითონ მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

კანონი, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლი ითვალისწინებს იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ მხარეებმა ჩუქების ხელშეკრულება დამოკიდებული გახადონ ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შესაძლებელია იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა). ასეთ შემთხვევაში პირობის შესრულება შესაძლებელია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული. იმ შემთხვევაში თუ დასაჩუქრებული არ შეასრულებს განსაზღვრულ პირობას, მჩუქებელს ეძლევა შესაძლებლობა უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

კანონი ასევე ითვალისწინებს ჩუქების შეზღუდვას (მაგალითად, როდესაც ჩუქების ობიექტს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელიც საერთო თანაზიარ საკუთრებაშია, გაჩუქებისათვის აუცილებელია თანამესაკუთრის ნებართვა) და გაუქმებას, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ჩუქების გაუქმების შემთხვევაში გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ჩუქების გაუქმება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა სხვა შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს.

1. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. *გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.*[1]

ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა, ხომ არ ლახავს სამოქალაქო კოდექსის 529-ე, 530-ე მუხლები საკუთრების კონსტიტუციით აღიარებულ და დაცულ უფლებას? *(საკუთრების უფლება არის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა).*[2]

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი საკუთრებას, ადამიანის ბუნებით უფლებად, ხელშეუვალად აცხადებს და განმარტავს საკუთრების უფლებაში ჩარევის ორ საფუძველს. საკუთრების უფლების შეზღუდვას, დადგენილი წესით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და ჩამორთმევას გადაუდებელი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი აუცილებლობის შემთხვევაში. ჩუქების გაუქმების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო საფუძვლები კი არანაირად არ წარმოადგენს საზოგადოებრივ აუცილებლობას და მჩუქებელს შეუზღუდავი ვადით ანიჭებს დასაჩუქრებულის საკუთრების უფლებაში ჩარევის საშუალებას. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი საკუთრების თავისუფლად ფლობასთან ერთად, მე-3 პუნქტით, მისით (საკუთრებით) სარგებლობის უფლებასაც ითვალისწინებს, რაც ასევე მოიცავს შესაძლებლობას პირმა არ ისარგებლოს თავისი ქონებით/ნივთით. გამჩუქებელმა კი, კანონიერად შეძენილი ეს უფლება შესაძლოა შეუზღუდოს დასაჩუქრებულს ნებისმიერ დროს, განსაზღვრული საფუძვლით, თუმცა მაინც. რამაც, შესაძლოა გააჩინოს ეჭვი საკუთრების უფლებასთან ამ ნორმის წინააღმდეგობის შესახებ. ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს მუხლები არათუ ეწინააღმდეგება საკუთრების უფლებას, არამედ მის განმტკიცებას ემსახურება. პირველ რიგში გამომდინარე იქედან, რომ გამჩუქებელს (როგორც ნივთის მესაკუთრეს) საშუალება ეძლევა უკიდურეს შემთხვევებში დაიბრუნოს გაჩუქებულ ქონებაზე საკუთრება (ასე ვთქვათ დაიცვას თავისი საკუთრების უფლება) ერთ შემთხვევაში პატივისა და ღირსების შელახვის საფუძვლით (მძიმე შეურაცხყოფა ან დიდი უმადურობის გამოჩენა დასაჩუქრებულის მხრიდან), მეორე შემთხვევაში კი უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობის შემთხვევიდან თავის დაღწევის მოტივით (როდესაც ისეთ მძიმე მდგომარეობაში ვარდება დამსაჩუქრებელი, რომ არ შეუძლია თავისი და თავის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა). ამ შემთხვევებში

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამომცემლობა ,,ბონა კაუზა'' 2015, გვ.135

[2] ქართული სამართლის საფუძვლები. გამომცემლობა ,,მერიდიანი'' 2004, გვ.147

კანონი რაღაც კუთხით იცავს დამსაჩუქრებლის საკუთრების უფლებას, დასაჩუქრებულის უფლების შეზღუდვის ხარჯზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ცალსახად, სრულად შეუზღუდავი უფლება. თან უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდვა ხდება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში (რომლის საფუძვლიანობას შემდგომ სასამართლო გადაწყვეტს) და მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებითაც. ვინაიდან ნივთი რეალურ არსებობაში უნდა იმყოფებოდეს ხოლო მისი გამოთხოვა დასაჩუქრებულს არ უნდა აყენებდეს მძიმე მდგომარეობაში (რაც ასევე შეფასებით საკითხს წარმოადგენს). ანუ კანონი ამ რეგულაციებით განახორციელებს დამსაჩუქრებლის საკუთრების უფლების დაცვას რიგ შემთხვევებში, თუმცა დასაჩუქრებულის უფლების დაცვის ფარგლებში და გათვალისწინებით. განხილული მუხლები ვფიქრობ იძლევა საშუალებას საკუთრების უფლებასთან ერთად არ შეილახოს სხვა არანაკლებ ღირებული და მნიშვნელობანი უფლებები (თუნდაც როგორიცაა პატივისა და ღირსების უფლება).

ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩუქების ხელშეკრულება სულ რამოდენიმე მუხლითაა განსაზღვრული, ვფიქრობ, იგი ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და ამომწურავად პასუხობს დღევანდელობაში არსებულ ჩუქებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების სამართლებრივ მოთხოვნებს.

ლიტერატურა:

1) სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2014.
2) ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა ,,სამართალი'', 1999.
3) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, გამომცემლობა შპს ,,პეტიტი'', თბილისი, 2013.
4) ქართული სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი'', 2004.
5) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა ,,ბონა კაუზა'', თბილისი, 2015.

ინტერნეტ-რესურსები:

http://napr.gov.ge/p/304
http://library.court.ge/
https://elawjournal.wordpress.com/2012/01/21

პატივი და ღირსება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება

თამარ ქერდიყოშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე,** მოწვეული სპეციალისტი

ადამიანის უფლებები კაცობრიობის ისტორიულ და სოციოკულტურულ განვითარებას ერთგვარად აჯამებს. ის ასწლეულებს ითვლის და ძველთაგანვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეთნიკური, რელიგიური და ფილოსოფიური მსჯელობის ყურადღების ცენტრში დგას. ადამიანი დაბადებიდანვე ფლობს გარკვეულ უფლებებს იგი თავისუფალი და, ამავე დროს სოციალური არსებაა. მისთვის საზოგადოებრივი ყოფა უმნიშვნელოვანესია. ყოველი ადამიანი იძულებულია ხანგრძლივი წესრიგის სანაცვლოდ გარკვეული უფლებები დათმოს, რათა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამყარებული წესრიგით საკუთარი სიცოცხლე, უსაფრთხოება და საკუთრება დაიცვას.

უფლებებისა და თავისუფლებების ხარისხი კი ადამიანის ღირსეული ყოფიერების მაჩვენებელია. ადამიანის უფლებები თანდათან ვითარდებოდა. იგი კაცობრიობის ბრძოლის შედეგია. ფორმალურ თანასწორობაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციების იდეოლოგიურ ქვაკუთხედად იქცა და მასთან ერთად ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა მთელი სისტემაც. [1]

[1] „დემოკრატია და მოქალაქეობა" ლ. იზორია, ზ. რუხაძე....USAD 2011.

ადამიანის უფლებები არასდროს იყო აბსოლუტურად გარანტირებული. როცა სახელმწიფო ხელისუფლება სუსტდებოდა, ამ დროს ძლიერი იყო ადამიანის უფლებათა მოქმედება და გავლენა, მაგრამ ხელისუფლების გაძლიერებისთანავე ხდებოდა მათი შეზღუდვა და ხშირი უგულებელყოფა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ინგლისში მიღებული ორი დოკუმენტი: act of habeas korpus (1679) და bill of Rights (1689). პირველი მათგანი ადგენდა ადამიანის საპროცესო უფლებებს, თავისუფლების აღკვეთის დრო პირდაპირ მიუთითებდა, რომ ადამიანი დაკავებისთანავე უნდა წარედგინათ მოსამართლისათვის. დოკუმენტის მეღება გამოიწვია რამდენიმე შემთხვევამ, რომლებსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდათ მთელ ინგლისში.

პირველი ყველაზე ცნობილი შემთხვევა მოხდა 1621 წელს ლონდონში. ინგლისელ არისტოკრატთა წრეში. ზღვარგადასული გართობითა და დროსტარებით ცნობილი ქალბატონის ალისა რობინსონის ვილაში მიმდინარეობდა ხმაურიანი საღამო. ვილაში პოლიციელი შევიდა ორდერის გარეშე, მისი გაფრთხილების მიუხედავად ხმაური არ შეწყდა, რის გამოც მან დააპატიმრა ქალბატონი: ალისა რობინსონი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ წარუდგინეს სასამართლოს. სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა ციხეში მის მიმართ სასტიკი მოპყრობის დეტალები. გაირკვა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას საკვებად მხოლოდ მშრალი პური და წყალი ეძლეოდა, ეძინა სველ მიწაზე. ერთხელ კი, როზგითაც სცემეს შიშველი. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის იყო, რომ ქალბატონი ფეხმძიმედ იყო. საზოგადოების პროტესტი იმდენად მწვავე იყო, რომ ალისა უდანაშაულოდ სცნო სასამართლომ. პოლიციელი დააპატიმრეს და ორდენის გარეშე ადამიანის საკუთრებაში შესვლის გამო საპყრობილეში მოათავსეს. მეცნიერ - იურისტთა გაბატონებული შეხედულებით ძირითად უფლებათა აღიარებულ პირველ სრულყოფილ დოკუმენტად ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაცია (virjinia bill of rights) ითვლება.[1] (**ვირჯინია** — შტატი აშშ-ში, მდებარეობს სამხრეთ ატლანტიკურ რეგიონში. სახელი ეწოდა ელისაბედ I - ის პატივსაცემად. 1606 – ჯეიმზთაუნი ინგლისელთა პირველი დასახლება იყო ამერიკაში; 1619 – შემოღებულ იქნა მონობა, დასახლდნენ პლანტატორები, რომელთაც თამბაქო მოჰყავდათ; 1624 – სამეფო საკუთრება. 1776 – მიღებულ იქნა ვირჯინიის უფლებათა დეკლარაცია)

ძირითად უფლებათა სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის ფრანგ განმანათლებელთა იდეებზე აგებულ საფრანგეთის 1789 წლის ,,ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას'', რომელმაც ევროპაში ძირითადი უფლებების დამკვიდრებას მძლავრი ბიძგი მისცა.

ადამიანი საზოგადოების უდიდესი სიმდიდრეა. ადამიანი, გარდა იმისა, რომ ფსიქოფიზიოლოგიური და ბიოსოციალური არსებაა, საერთო საზოგადოებრივი სტატუსით, ამავე დროს პიროვნება და მოქალაქეა, რის საფუძველზეც იგი მონაწილეობს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში და გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.[2]

ადამიანის უფლებები მოიცავს ცხოვრების ყველა ასპექტს. მათი სათანადო რეალიზების შემთხვევაში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ საშუალება საკუთარი ცხოვრება თავისუფლების, თანასწორობისა და ადამიანური ღირსების პრინციპიდან გამომდინარე დაგეგმონ.

ადამიანის უფლებები განუყოფელია იმ კუთხითაც, რომ დაუშვებელია პირს ჩამოერთვას უფლებები, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც ნათლად განსაზღვრულია სამართლებრივი გარემოებები.[3]

ყოველგვარი უფლება, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეს გარანტირებული შესაძლებლობაა, თავისი ნებით, თავისი შეხედულებისამებრ და თავისი ინტერესების მიხედვით შეასრულოს განსაზღვრული მოქმედებები, წამოაყენოს განსაზღვრული კანონიერი მოთხოვნები სხვა პირების მოქმედებების მიმართ, დაიცვას საკუთარი ინტერესები. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები ქმნის ერთიან სისტემას. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისათვის დაკისრებული ყოველი მოვალეობის უკან დგას სახელმწიფოს, საზოგადოების ან ცალკეული პირების სასარგებლოდ რაიმე მოქმედებების შესრულების აუცილებლობა.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია სამ ჯგუფად: 1) პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები. 2) სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები. 3) პირადი უფლებები და თავისუფლებები. [4]

ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში კანონებისა და დადგენილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილია სპეციალიზირებული კომისიები. კომისიების უმეტესობა ფუნქციონირებს მთავრობის სხვადასხვა ორგანოებისგან დამოუკიდებლად, თუმცა მათ

---

[1] „ძირითადი უფლებები" კ. კუბლაშვილი. ჯისიაი, 2003.

[2] „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი" ზაზა რუხაძე. ბათუმი 1999, თავი 21

[3] „ადამიანის უფლებები, სახელმძღვანელო პრლამენტარებისათვის" საპარლამენტთაშორისო კავშირი. 1889, გვ. 3-4

[4] „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი" პაატა ცნობილაძე. თბილისი 2001, გვ.27, 125

შეიძლება ჰქონდეთ ვალდებულება რეგულარულად მოახსენონ ცნობები საკანონმდებლო ორგანოს. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები ძირითადად შექმნილია მოქალაქეთა დისკრიმინაციისაგან დაცვის მიზნით და მათი სამოქალაქო და სხვა უფლებების უზრუნველსაყოფად.[1]

ზოგადად კონსტიტუციონალიზმი ადამიანებს თავისუფლად ცხოვრების, ან ყოველ შემთხვევაში, თვითნებობისაგან გათავისუფლების საშუალებას აძლევს. გონება კი ადამიანს ათავისუფლებს ცრურწმენებისაგან, ხოლო სხვადასხვა წყაროებიდან ცოდნის შეძენა დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას იძლევა, რაკიღა გონება ყველაშია, ამდენად ყველას აქვს დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობის უფლება და თავისუფლება.[2] კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოებრივი თვითნებობის შეზღუდვის სისტემა მოწოდებულია ადამიანთა თავისუფლების უზრუნველსაყოფად „სამართლის მიზანი თავისუფლების არა გაუქმება ან შეზღუდვა არამედ შენარჩუნება და გაფართოებაა“[3] იერემია ბენტამი მიიჩნევდა, რომ:

უფლებამოსილებანი კანონის პირმშოა; ნამდვილი კანონებიდან წარმოიშობა ნამდვილი უფლებები, წარმისახვითი „ბუნების კანონებიდან“ წარმოსახვითი უფლებები... ბუნებითი უფლებები უბრალოდ შეუსაბამობა, ბუნებითი და განუყოფელი უფლებები - ამერიკული გამოთქმა, რომ გამოვიყენოთ „რიტორიკული აბლაბუდა, ოჩოფეხებიანი ნონსენსია “ [4]

კონსტიტუცია ადამიანისადმი განსაკუთრებული ზრუნვითაა განწყობილი (მუხლები - 15,17,18) და ადასტურებს, რომ ხელშეუვალია ადამიანის სიცოცხლე, მისი თავისუფლება, პატივი და ღირსება. კანონი გარკვეულ ფარგლებში იცავს ყოველ მათგანს.[5]

ადამიანის ძირითად უფლებებზე საუბარი თითქმის უსასრულო და ამოუწურავია, ამიტომ საუბარი მინდა განვავრცო კონსტიტუციით და არა მარტო კონსტიტუციით აღიარებულ სამართლებრივ სიკეთეზე, ადამიანის პატივსა და ღირსებაზე. აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასევე საქართველოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსებში.

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 217 A (lll) რეზოლუციით მიიღო და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საყოველთაო დეკლარაცია საერთაშორისო პაქტებთან ერთად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ბილს, რაც გვევლინება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძვლად. აღნიშნული დეკლარაციის პირველი მუხლის მიხედვით: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი ასევე ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“

საქართველოს კონსტიტუციის მე-17, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლები ერთხმად აღიარებენ, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“ [6]

თანამედროვე ეპოქაში წამების აღმოსაფხვრელ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. წამება - არის ადამიანის ფიზიკური და გონებრივი თუ მორალური შეურაცხყოფა. ტერმინი „წამება“ დაკავშირებული იყო წინასწარი განზრახვით განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობასთან, რომელსაც თან მოსდევს მეტად სერიოზული და სასტიკი ტანჯვა

ტერმინი „წამება“ უმთავრესად გამოიყენება არაადამიანური ღირსებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის ყველაზე სერიოზული შელახვის შემთხვევაში.

არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი - არ არსებობს უნივერსალური სისტემა იმისა, თუ რა ფარგლებში შეიძლება ექცეოდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა/სასჯელი,

---

[1] „ცნობების ამაღლება ადამიანის უფლებებში საქართველოში“ „გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები“ (წიგნი მეორე) თბილისი 1999. GYLA გვ. 115. 116

[2] „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ „კონსტიტუციონალიზმის შესავალი“ ანდრაშ შაიო. თბილისი, 2003, გვ. 303

[3] John locke “ The second Treatise of Government ” Cambridge university press

[4] Teremy bentham, the works of Jeremy Betham

[5] „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“ ოთარ მელქაძე. პოლიტიკურ - სამართლებრივი ლიტერატურის სერია III “ უფლება “ თბილისი, 1996, გვ. 68

[6] „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი“ თ. ტუღუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე. საქართველოს ხალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბილისი 2013, გვ. 117

გარდა იმ საერთო აზრისა, რომ არაადამიანური მოპყრობის ქვეშ იგულისხმება უფრო ნაკლები ხარისხის სიმკაცრე, ცუდად მოპყრობის ინტენსივობა და სისასტიკე, ვიდრე წამებისას.[1]

1990 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე - სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (selmouni v. France) - ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: „გარკვეული უფლებები რომლებიც წარსულში კვალიფიცირდებოდა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა“ და არა „წამება“, მომავალში შეიძლება სხვაგვარად იქნება კლასიფიცირებული... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტი შესაბამისად და გარდაუვლად მოითხოვს უფრო მეტ განუხრელობას დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური ფასეულობების შეფასებაში''.[2]

„წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების 1984 წლის კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1994 წლის 22 დეკემბერს. საქართველომ კომიტეტის უფლებამოსილება, კონვენციის 21-ე და 22-ე მუხლების თანახმად 2002 წლის 7 ივლისს ცნო. „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“ 1987 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის პირველ ოქტომბერს. პირველი და მეორე ოქმები საქართველოსათვის 2002 წლის პირველი მარტიდან არის ძალაში.

ღირსების უფლება - კონვენციით გარანტირებული ერთადერთი აბსოლუტურად დაცული ძირითადი უფლებაა, ზოგადი დეფინიციის თანახმად, ღირსების უფლება ირღვევა მაშინ, როდესაც ადამიანი საჯარო ხელისუფლების მიერ არა სუბიექტურად, არამედ ობიექტურად განიხილება. ადამიანის ღირსების დარღვევის გამოვლინებებია - მონობა, ადამიანებით ვაჭრობა, წამება, ადამიანების განსაკუთრებით უხეში დისკრიმინაცია და ა.შ. ისევე, როგორც სიცოცხლის უფლება ღირსების ძირითადი უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება. [3]

თავისუფლების აღკვეთა და პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. აგრეთვე დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, ისევე, როგორც საერთოდ დაუშვებელია ადამიანის წამება და სხვა ღირსების შემლახველი მოპყრობა. ადამიანის პიროვნებას უფლებები აქვს იმ ძალით, რომ იგი მთლიანი პიროვნებაა, თავადაა საკუთარ ქმედებათა ბატონი და შესაბამისად, საშუალება კი არ არის რაიმე მიზნის მისაღწევად არამედ თავად მიზანია და ასეთად უნდა განიხილებოდეს.

ადამიანური ღირსება! ეს გამოთქმა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმის მითითებას, რომ ბუნებითი სამართლის შესაბამისად, ადამიანს აქვს უფლება პატივისცემაზე, იმაზე, რომ იყოს უფლებების სუბიექტი და რომ ჰქონდეს უფლებები ეს ყველაფერი ადამიანს ეკუთვნის იმის გამო, რომ ის ადამიანია. არსებობს ბუნებითი სამართლის ალბათ, ერთადერთი მითითება, რომელიც უპირობოდაა აკრძალვა - ესაა წამების აკრძალვა. ამ აკრძალვას კი ზოგჯერ დროებით უგულებელყოფენ ხოლმე. [4]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი კი აღწერილია, როგორც „საკვანძო მოვლენა ადამიანის უფლებათა დაცვის ისტორიაში, ჭეშმარიტად თავისუფლებათა დიდი ქარტია, რომელმაც კაცობრიობა მიიყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაზამდე: ადამიანის ღირსებისა და მნიშვნელობის გააზრებამდე “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არაორაზროვნად გამოხატავს ყველა ადამიანის თანასწორობის გარანტიას. აღნიშნული დეკლარაციის მუხლი 1: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანაბარი ღირსებისა და უფლებების მქონე, მათ გააჩნიათ აზროვნება და ნება და უნდა იმოქმედონ ერთმანეთის მიმართ მეგობრული განწყობით“ [5]

ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა პიროვნების თავისუფალი განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. კონსტიტუციის მე - 17 მუხლის პირველი პუნქტი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი,

---

[1] „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“ რონა კ.მ სმიტი მეორე გამოცემა. (ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა) 2005, გვ. 310, 311, 318.

[2] „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მისი ოქმების სტანდარტებთან“ კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი. გამომც. ევროპის საბჭოს საიფორმაციო ბიურო საქართველოში 2005, გვ. 46

[3] „კონსტიტუციური სამართალი“ ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძ. 2011 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით. თბილისი 2011, გვ. 68

[4] „ხელისუფლების თვითშეძღუდვა“ „კონსტიტუციონალიზმის შესავალი“ ანდრაშ შაიო. თბილისი, 2003, გვ. 303, 304.

[5] „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“ რონა კ.მ სმიტი მეორე გამოცემა. (ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა) 2005.

თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი და მთავარი ფასეულობა.

„წამებისა და სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის სამართლებრივი და მორალური საფუძველი აბსოლუტური იმპერატიული და დაუშვებელია; არა აქვს მნიშვნელობა რა გარემოებების დროს არის იგი ჩადენილი თუ რა ინტერესებიდან გამომდინარეობდა.“ (თეო ვან ბოვენი, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებელი)

„წამება მიზნად ისახავს დაამციროს, შეურაცხყოფ მიაყენოს და ღირსება შეულახოს ადამიანს და აქციოს იგი, ნივთად“ (ანტონიო კასესე).

ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია, ადამიანის უფლებათა აღიარებაც სწორედ ღირსების აღიარებას გულისხმობს. ადამიანი, რომელიც უღირს საქციელს ჩადის არ კარგავს ღირსებას. სახელმწიფოს არ შეუძლია ჩამოართვას ადამიანს ღირსება. ვერც ადამიანი იტყვის უარს მასზე. ღირსების უფლება ვრცელდება გვამზეც და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე. ღირსება გააჩნია აგრეთვე ემბრიონს, ფეტუსს და ზოგიერთი მეცნიერის აზრით ფეტუსის სიცოცხლის უფლება არაა აბსოლუტურად გარანტირებული ხოლო მისი ღირსების აბსოლუტურად დაცვა უზრუნველყოფილია. მეცნიერთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აგრეთვე ევთანაზიისა (ადვილი სიკვდილი) და ღირსების უფლების ურთიერთკავშირი, მათი ნაწილი თვლის, რომ ადამიანს აქვს ღირსეული და ადვილი სიკვდილის უფლება, რადგან სასიკვდილოდ განწირულს არ სურს ხედავდნენ მძიმე მდგომარეობაში და ეს მის ღირსებას მნიშვნელოვნად ლახავს, ხოლო მეორენი სიცოცხლის უფლებას აყენებენ უპირველეს ადგილას, თუმცა ვინაიდან ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110 - ე მუხლით ევთანაზია, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით დასჯად ქმედებად ითვლება და ამ ნორმას გვერდს ვერ ავუვლით, უპირატესი მართლაც, რომ სიცოცხლის აბსოლუტური უფლებაა...[1]

ხოლო სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე - 15 მუხლით გარანტირებული უფლებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე ადამიანის პატივი და ღირსება ანუ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში გვევლინება და საკმაოდ მყარი პოზიციით, მაგალითად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით , დაცულია (მუხლები) 144^1, წამება, 144^2 წამების მუქარა, 144^3 დამამცირებელი მოპყრობა. ყველა აღნიშნული ქმედება დასჯადი ქმედებაა სისხლის სამართლის კოდექსით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი საუბრობს პირად არაქონებრივ უფლებაზე, კერძოდ მოხმობილი კოდექსის მე - 18 მუხლის მიხედვით „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე“ (მუხლი 18^1)

„პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“ (მუხლი 18^2)

„პირს, რომლის პატივის და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში“ (მუხლი 18^3) რაც შეეხება გარდაცვლილის ღირსების საკითხს, ასევე დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

სსკ - ის მე - 18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც (სსკ - ის მე - 19 მუხლი) [2]

პატივისა და ღირსების უფლებისადმი მიმართული დანაშაულები ძირითადად ლატენტური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ მჟღავნდება და სამართლებრივი შედეგებიც არ მოსდევს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილმა 2015 წლის სტატისტიკამ ცალკეულ რეგიონებში და არა მარტო, აღნიშნული უფლების შელახვის შემდეგი შედეგი გვიჩვენა:

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბილისი 2014 წლის 10 მარტის მდგომარეობით.

გორი - 17 შემთხვევა, ქუთაისი - 98 შემთხვევა, ბათუმი - 185 შემთხვევა, ზუგდიდი - 22 შემთხვევა, ახალქალაქი - 101 შემთხვევა, მარნეული - 49 შემთხვევა, თელავი - 8 შემთხვევა. (ვრცლად ეს სტატისტიკა დართულია თემას.) რეგიონების მიხედვით აღნიშნული რიცხვები, რომ შევადაროთ ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება ბათუმში, მიზეზი შესაძლოა მრავალგვარი შეიძლება იყოს თუმცა ვფიქრობ უმთავრესი სხვადასხვა ეთნოსის მიმართ შეგუებლობაა, ვინაიდან ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალეთნიკური ქალაქია. საქართველოში ჩატარებული 2002 წლის აღწერის მიხედვით, ბათუმის მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტი არაქართული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანისგან შედგება. თუმცა პრობლემა უფრო მეტად ნაკლები განვითარებულობაშია და არა სხვადასხვა ეთნოსის ერთად თანაცხოვრებასთან.

აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე ანუ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებით მწირია სასამართლო პრაქტიკა, თუმცა არის რამდენიმე საქმე და ერთ-ერთ მათგანს შევეხები:

მოსარჩელე: კ.ყ. მოპასუხე: ზ.ჩ. დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე - 10 მუხლით, საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე - 18 მუხლით. აღნიშნული მუხლი საკმაოდ ვრცლად იქნა განხილული ზემოთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით:

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე - 10 მუხლის მიხედვით „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე“ აღნიშნული ვითარება წარმოშობს კლასიკურ კონფლიქტს ადამიანის უფლებების (გამოხატვის თავისუფლების) და პიროვნების დაცვას შორის. „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო; ის განცხადება, რომელიც არის არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, მოხმობილი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით არის ცილისწამება. ამავე კანონის მე-14 მუხლის მიხედვით პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ ცნობილი იყო ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა ან უხეში დაუდევრობა.

განსახილველ შემთხვევაში სადავოდ გამხდარი (ინფორმაცია) დროებით საგამოძიებო კომისიაზე გაავრცელა ზ. ჩ - მ, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნულ კომისიას ზ. ჩ - მ მიმართა თავისი ინიციატივით, მიიჩნევდა, რა მისი, როგორც ბიზნესმენის უფლებებს შელახულად მოხელის ქმედებით. კომისიის სხდომაზე ზ. ჩ. საუბრობდა ფაქტების შესახებ.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, ასევე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსვლის სადავო ნაწილით მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები.

მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური ფაქტების გავრცელებით მოსარჩელეს შეელახა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ ეს განცხადებები შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და არის მისთვის, როგორც პროფესიონალისათვის, დასაქმებულისათვის, პიროვნებისათვის (ფიზიკური პირისათვის) ზიანის მიმყენებელი - სახელის გამტეხი განცხადება.[1]

იმისათვის, რომ სრულად განისაზღვროს პიროვნების უფლებრივი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს მოქალაქეობა, რაც ნიშნავს პირის პოლიტიკურ სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსთან.

ადამიანის უფლება და თავისუფლება ის ფენომენია, დემოკრატიის იდეის ის გამოხატულებაა, რომელმაც ჰერაკლეს დროინდელი ათენიდან მოყოლებული დღევანდლამდე მძლავრად დაიპყრო ადამიანის გონება და ინტელექტი.

ლიტერატურა:

1. ლ. იზორია, ზ. რუხაძე, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, USAD, 2011.
2. კ. კუბლაშვილი, „ძირითადი უფლებები“, ჯისიაი, 2003.
3. რონა კ. მ სმიტი, „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“, მეორე გამოცემა (ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა), 2005.

[1] თბილის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 03.12.2014 წლის გადაწყვეტილება საქმე #2/18261-13

4. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი. „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მისი ოქმების სტანდარტებთან“, გამომც. ევროპის საბჭოს საიფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005.
5. ო. მელქაძე, „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია III, გამომც. „უფლება“, თბილისი, 1996.
6. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ „კონსტიტუციონალიზმის შესავალი“ ანდრაშ შაიო. თბილისი, 2003.
7. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“ 2011 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2011.
8. „ცნობების ამაღლება ადამიანის უფლებებში საქართველოში“ „გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები“ (წიგნი მეორე), თბილისი, 1999. GYLA
9. პ. ცნობილაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, თბილისი, 2001.
10. „ადამიანის უფლებები, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის“ საპარლამენტთაშორისო კავშირი, 2009.
11. ზ. რუხაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, ბათუმი, 1999.
12. შტეფან ტრექსელი, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009.
13. თ. ტუღუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2013.
14. John Locke “The second Treatise of Government” Cambridge university press
15. Teremy Bentham, the works of Jeremy Betham.
16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით
17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2014 წლის 10 მარტის მდგომარეობით.
18. თბილის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 03.12.2014 წლის გადაწყვეტილება საქმე #2/18261-13

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
შემოსული განცხადებების/საჩივრების საერთო რაოდენობა	569	711	726	589	627	3222
დასაშვებობა გაიარა	419	587	644	496	476	2622
დაუშვებელად იქნა ცნობილი	81	92	74	72	100	419
ხარვეზი დადგინდა	35	52	34	31	48	200
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა	1	6	3	7	9	26
პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნა	6	9	3	3	8	29
ვიზიტორების რაოდენობა	272	350	369	290	369	1650
ელ.ფოსტაზე მოსული წერილების რაოდენობა	21	45	40	35	41	182
სატელეფონო ზარების რაოდენობა	403	510	505	510	590	2518
მდედრობითი სქესის მომართვიანობა			151	114	90	355
მამრობითი სქესის მომართვიანობა			557	465	537	1559
დეპარტამენტების მიხედვით						
სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი	184	256	242	224	207	1113
სპეც.უფლებების დაცვის დეპარტამენტი	31	63	72	44	40	250
პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	1	3	2	0	1	7
ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი	17	32	33	27	24	133
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	10	13	13	4	9	49
შშმპ უფლებების დაცვის დეპარტამენტი	5	10	11	14	20	60
რეგიონული სამმართველო	158	178	233	162	153	884
ანალიტიკური დეპარტამენტი	10	4	9	0	6	29
თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი	0	0	1	6	4	11
თანასწორობის დეპარტამენტი	14	28	28	15	12	97
ტალავერი რეგიონები				496		
რეგიონები საერთო	72	87	145	105	71	480
ქუთაისი	16	26	26	20	10	98
ბათუმი	30	34	51	38	32	185
ზუგდიდი	6	5	3	5	3	22
გორი	1	7	1	5	3	17
ახალქალაქი	11	10	59	13	8	101
მარნეული	8	5	3	20	13	49
თელავი	0	0	2	4	2	8
[illegible]						
პატიმართა უფლებები	147	205	212	204	214	982
პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა	52	65	83	50	52	302
მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობა	1	2	0	1	1	5
სამოქალაქო უფლებები	26	36	37	31	24	154
პოლიტიკური უფლებები	0	0	2	0	2	4
სოციალური უფლებები	54	69	57	61	73	314
ეკონომიკური უფლებები	0	0	48	14	8	70
კულტურული უფლებები	0	1	2	0	0	3
სისხლის სამართლის საქმე	58	80	126	101	112	477
ეთნიკური საკითხები	0	1	0	0	1	2
რელიგიური საკითხები	1	1	3	2	2	9
ბავშვის უფლებები	17	18	27	24	23	109
გენდერული თანასწორობის საკითხები	10	7	7	0	0	24
შშმ პირთა უფლებები	5	5	12	8	16	46
სასამართლო მეგობარი	0	0	0	1	0	1
საკანონმდებლო საკითხი	3	1	2	0	6	12
დისკრიმინაცია	14	16	20	7	6	63
კონფლიქტური რეგიონებიდან შემოსული განცხადებები	0	1	0	0	0	1
დამატებითი განცხადება და სხვა	181	203	88	85	87	644
[illegible]	748	885	726	589	627	3540

ქართული ენა

„რა ენა წახდეს“...

ლამარა დოლიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** პროფესორი

სამი ღვთაებრივი საუნჯიდან ერთ-ერთი რომ ენაა, თითქოს არავის უნდა სჭირდებოდეს ამის შეხსენება. ამიტომაც მას თვალისჩინივით უნდა მოუაროს, გაუფრთხილდეს, უპატრონოს, განვითარებისა და არსებობის საუკეთესო პირობები შეუქმნას ხალხმა, სახელმწიფომ, ერმა, მაგრამ მრავალქარტეხილ და საუკუნეებგამოვლილ ქართულ ენას დღეს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს თავისუფალ საქართველოში, მისადმი გულგრილი, უპატივცემულო, მომხმარებლური დამოკიდებულება დიდ საფრთხეს უქმნის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ ქართული ენის დღევანდელი სრული სურათის დახატვას, თუმცა შევჩერდებით ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: დედაქალაქის მეტყველებაზე, ე.წ. თბილისურ დიალექტზე და გასაანალიზებლად ვირჩევთ ჩვენი თანამედროვე ქართველი მწერლის, ლაშა ბუღაძის პიესას **„სულიერი არსებები, სულიერი პროცესები და უსულო საგნები“.**

ეს არჩევანი შემთხვევით არ გაგვიკეთებია. პიესა ხომ თეატრში უნდა დაიდგას, სცენაზე ამეტყველდეს და ასე მივიდეს მაყურებლამდე. თეატრის უპირველესი ამოცანა, მისი ძირითადი დანიშნულება, ი. ჭავჭავაძის აზრით „ისაა, რომ ხალხს ქართული სიტყვა გააგონოს, სუფთა ქართული სიტყვა მოასმენინოს სცენიდან“.

ეს პიესა მართლაც დაიდგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შემოკლებული სათაურით: „სულიერი არსებები“, მაგრამ სცენიდან (როგორც თვითონ პიესიდან) სუფთა ქართულის ნაცვლად უწმაწური ფრაზების და გამოთქმების უსამანო ნიაღვარი ისმის.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ მოქმედება თბილისში ხდება, მოქმედი პირები ჩვენი თანამედროვენი არიან: მშობლები - გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის დროის სტუდენტები და მათი შვილები - ომში, უშუქობაში, სიცივესა და სიბნელეში გაზრდილი თაობა.

მშობლები და შვილები ერთნაირი ლექსიკით მეტყველებენ - თბილისურად, თბილისური დიალექტით, ხოლო, როცა შვილები ყველანაირ ზღვარს გადადიან, მშობლებს მხოლოდ მაშინღა ახსენდებათ მოსთხოვონ მათ ზრდილობა და ხეირიანი ქართული. ზრდილობა კი, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „ერთი ციური ნიჭთაგანი“, თითქოს სადღაც დაკარგულა. მისი პერსონაჟები მოურიდებლად ანთხევენ უხამსობას, აგრესიას, ბოღმას და აბინძურებენ ღვთისაგან ბოძებულ საუნჯეს.

პიესაში მხოლოდ ერთადერთი პერსონაჟი მეტყველებს სწორი, გამართული ქართულით -ბაბუა-პაპების თაობის წარმომადგენელი - წიგნიერი, განათლებული, ნიჭიერი კაცი, პროფესორი, რომელიც შვილებისა და შვილიშვილების თაობის მიერ მოტაცებული მძევალია, მის გასათავისუფლებლად სოლიდურ გამოსასყიდს ითხოვენ, თუმცა გამოხსნაზე არც არავინ ფიქრობს.

„-არ მომკლავთ... კაცს ვერც შენ მოკლავ და ვერც თამილა.“

„-რამდენ ხანში ავიწყდებათ გარდაცვლილი ადამიანი.?“

„-ცუდად ვარ.. ღამეები არ მძინავს.. ასე არასოდეს ვყოფილვარ.. გუშინ ძილში ვბოდავდი კიდეც..“

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თბილისური დიალექტი არ არის უბრალოდ დიალექტი. მართალია, ყველა ერთად ქმნის უნისიონს, „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველა,“ მაგრამ დედაქალაქის ენა - ქართლური კილო - მაინც ბურჯი და ბალავერია და უნდა იყოს მომავალშიც თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენისა.

და თუ ის, რაც ნაწარმოებიდან და სცენიდან გვესმის, მართლაც დედაქალაქის მეტყველებაა, მაშინ ასე დაშორებული იგი არასოდეს ყოფილა სალიტერატურო ქართულისგან. რა ჰქვია სკაბრეზული ლექსიკის, ბარბარიზმების, ვულგარიზმების, ჟარგონების ასეთ მოზღვავებას ენაში.? - ქუჩური მეტყველება - სამწუხაროდ, მას სხვას ვერაფერს დავარქმევთ..

მართლაც, ტექსტი სავსეა უწმაწური, უცენზურო, სკაბრეზული სიტყვებით. იგინება ყველა. გინება და უცენზურო მიმართვები ყოველდღიური ურთიერთობების თანმდევი გამხდარა.

ამ პიესაში უამრავია ისეთი სიტყვა და გამოთქმა, რომელთა განმეორება ჩვენ აქ შეუძლებლად მიგვაჩნია. საილუსტრაციოდ ასეთი გამოთქმებიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე მსუბუქი ფორმები შევარჩიეთ, თუმცა პიესის ავტორი არ ერიდება, თითქმის ყველა პერსონაჟის მეტყველებაში უხვად გამოიყენოს ისინი, შემდეგ კი თეატრის სცენიდან იფრქვევა ეს ამაზრზენი ლექსიკა.

1. „ბიჭები მომინდომეს აქ, **ჩათლახებმა** ამათმა!“
2. „ამის **ნაბიჭვარს** კბილებს დავაძრობ!“
3. „დიდი **გოთვერანი** ბავშვია, სხვათა შორის..“

ეს როგორც აღვნიშნეთ მხოლოდ ძალიან მცირე და მსუბუქი მაგალითებია ტექსტიდან იმ ფორმებისა, რომელიც საფრთხეს უქმნის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ უმთავრეს კულტურულ მემკვიდრეობას, ქართულ სალიტერატურო ენას და მისი განვითარების ნორმალურ პროცესს, ხოლო წრეგადასული სკაბრეზულობით, არანორმატიული ლექსიკით გატაცებას, ჩვენი აზრით, მკრეხელობამდე მიჰყავს პიესის ავტორი.

მართლაც ბარბაროსულად შეჭრილან პიესის პერსონაჟთა მეტყველებაში ბარბარიზმები, მათ უხვად ვხვდებით თითქმის ყველა მათგანის საუბარში.

1. „**სანტეხნიკთან** საუბარს არ კადრულობს“
2. „თუ გულიც გერევა, **ზნაჩიტ** ორსულად ხარ“
3. „**ვაფშე** არ მეზარება“
4. „იმ დღეს, **პროსტა**, ისე ვინერვიულე, რო არ აიღე, მეთქი მორჩა“
5. „**დაჟე** დარაჯსაც..“
6. „**რეზბალნიცაზეც** მოლანდებია ვიღაცას-რეიბანები ეკეთა და კედლებში გადიოდაო..“
7. „ხო იცი, რანაირი **კლაუზნი** ასაკი აქვთ..“
8. „მაინც არ **ასტოპებს**...“
9. „გამოვიდნენ, არა, ბოლო-ბოლო, **პადპოლიედან**?!..“
10. „გაიყვანე ეხლა ესენი, **ლუბოი პრედლოგით**..“
11. „ერთ რიგით ქართველ **მეშჩანს**..“
12. „არ **გამაფსიხო** ეხლა!..“
13. „ჩემი აზრით, ბარემ რო რაღაცეები **გაიასნოთ**, დროა რა... დაკიდე, **ვაფშე** არ მინდა ეხლა სადღეგრძელოს თქმა.. დაგრუზული თამადა ვის გაუგია..“
14. „ესე იგი, **ცვეტში** რაღაც **პონტია**..“

პიესაში ასევე უხვადაა ჟარგონები, ენის დამახინჯების ერთ-ერთი ყველაზე უხეში და საზიანო ფორმა.

1. „მაინც როგორ **შეგაბი**, არა?...“
2. „მეთქი, ავალ, **დავშვონავ**, იქნება სახლში არა ხართ...“
3. „არ **ევასება** რა მაგას ის ოჯახი!...“
4. „**ბაითიც** მაქვსო..“
5. მაყუთს **გაჩითავ**?..“
6. „არა **მიტყდება**..“
7. თემიკოს **ნაშის** დედაა..“
8. **„ეგეთ პონტში მიტყდება** მაიკოზე ლაპარაკი..“
9. „ცოლზე ვაფშე **არ ყოფილა ბაზარი.!“**
10. აუ **რიჟას ნუ ბაზრობ რა..“**

ჟარგონი, საზოგადოდ, ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველება, სოციალური დიალექტის სახეა. პიესაში კი ჟარგონებით საუბრობს ყველა, დედა, შვილი, გოგო, ბიჭი, საზოგადოებაში ცნობილი ადამიანები.

ჟარგონების ამ სიჭარბით გამოყენება, ამძიმებს და ანაგვიანებს ენას და ვფიქრობთ, რომ იგი არც ნაწარმოებს ჰმატებს რაიმე ღირსებას.!

ვულგარიზმი ლათინური სიტყვისგან - vulgarus - წარმოსდგება, რაც ბრბოს, გაუწვრთნელს, გაუნათლებელს, გაუზრდელს ნიშნავს. მაგრამ რით შეიძლება აიხსნას, როცა პიესაში ვულგარიზმებით საუბრობენ სხვადასხვა ასაკის, სოციალური წრის წარმომადგენელი პერსონაჟები?

„დედაჩემმა რო გარეკა, რაღაც პონტში, მაგარი მაიზმენებს, მარა ბოლო-ბოლო მკიდია, რა...“

ამ ერთ ფრაზაში ყველა „მარგალიტს“ მოუყრია თავი - ჟარგონს, ბარბარიზმს, ვულგარიზმს. ამ და ამდაგვარი ფრაზების წაკითხვის თუ გაგონების შემდგომ, თენგიზ აბულაძის „მონანიების“ ფრაზა მახსენდება: „დოქსოპულო! შენ დედა გყავს!?“

ვულგარიზმის მაგალითებია:

1 „შე **მამაძაღლო**,რატო მომკალ,რატო გამიხეთქე გული...“

2 „ხოდა, მოკიდეთ **მაგ ღოროს** ხელი,ქალბატონს ბოდიში მოუხადეთ, შემოიყვანეთ აქ და დანებდით...“

3 **„ფეხებზე დავიკიდებდი** ირინას და ცოლად მოგიყვანდი, რა...“

4 „რა დროს ესაა შე **შობელძაღლო**, სულმთლად **გააფრინე**, არა?!“

5 „შვილი მოგტაცეს, **შე ერთუჯრედიანო,** გაანძრიე ტვინი, ასე რამ **გამოგაქლიავა** ამხელა ქალი!...“

6 „ეს იყო ერთი **უწამპლესი,** ყველაფრის მკადრებელი ქუჩის ბიჭი..“

7 „გააფრინე **შე შობელძაღლო?..“**

8 **„შე ცხენო“**

9 „ფოტო გამომიგზავნა და პროსტა, **ისეა გაძროხებული,** გული გამისკდა..“

მსგავსი და უფრო მძიმედ მოსასმენი მაგალითები პიესიდან დაუსრულებლად შეგვიძლია მოვიტანოთ. ილუსტრაციას კი ვერ ვახდენთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ ყოველგვარ ზღვარგადასულ უწმაწურობის გამო. ჩვენი აზრით, სურათი სავალალოა, თავად პერსონაჟები კი თვლიან, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი, ყოველდღიური სასაუბრო ენაა, რომლითაც დღეს მთელი საქართველო საუბრობს. პიესაში სხვა სახის ენობრივი დარღვევებიც გვხვდება, ყოველ მეორე, მესამე სიტყვასთან გხვდება რომ კავშირის უაზრო, უადგილო დაქვემდებარება.

თანაც არასწორი ფორმით წარმოდგენილი. იგი თითქმის ყველგან „რომ“ ის ნაცვლად „რო“-ს სახით გვხვდება:

ა) “იცით, რას მინდა, რო გაუმარჯოს?: აიასე **რო** ვზივართ და ერთმანეთი **რო** გვიყვარს, პატივს **რო** ვცემთ ერთმანეთს და ერთმანეთს **რო** ვუგებთ..“

ბ) „უპოვართა თავშესაფარი **როა**, დიღომში, უპატრონო ბავშვები, მოხუცები, მათხოვრები - რა ვიცი ათასი უბედური **რო** ცხოვრობს, ირინას თითქმის ყოველ დღე მიაქვს საჭმელი.“

გ) „თემიკო, ვერ ვიტან ოჯახის წევრებს **რო** აქებენ ხოლმე, მაგრამ ესენი **რო** არა...

დ) „იმიტო არ ვამბობ, **რო** ჩემი ტოლია.“

ასევე არაერთგან გვხვდება უმართებულო ფორმით გამოყენებული: **იმიტომ, ხომ, თორემ** კავშირები.

ა) **იმიტო** არ ვამბაობ, რო ჩემი ტოლია

იმიტო კი არ ვამბობ, რო ჩემია

ბ) რეზომ **ხო** მაჩუქა პისტოლეტი

გააგიჟე **ხო** ეს ბიჭი

გ) კიდე კაი დამირეკეთ, **თორე** გასვლას ვაპირებდი.

თუ ისევ ილიას დავესესხებით: „სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს.“ ქართული მწერლობაც ხომ სწორი მეტყველების მასწავლებელი იყო ოდითგან. მსგავსი სიტყვები, ფრაზები და დიალოგები კი არ წვრთნის, არამედ ებრძვის ადამიანს და მასში კლავს სიყვარულს, მისსავე მამოძრავებელ ძალას. მაშ რა მოგველის? თუკი ყველგან - სცენაზე, რეალურ ცხოვრებაში, მწერლობაში ასეთი ბილწსიტყვაობა და უხამსობა გამოიფინება, რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს კაცობრიობის მთელ ისტორიას! ენისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულებით გამოუსწორებელი ზიანი ადგება ყოფით კულტურას, ტრადიციულ ეთიკას, ქუჩური მეტყველების წესად ქცევა ამაზრზენია და საზოგადოება ასეთი ქცევით თავის აღსასრულს იმზადებს.

ჩვენთვის გაუგებარია, რისი თქმა სურდა ავტორს ორი თბილისური ოჯახის ამდაგვარი ყოფის ჩვენებით, სარკეში ახედებს მკითხველსა და მსმენელ-მაყურებელს და სურს გამოაფხიზლოს თუ მართლაც ყველას სმენა შეაჩვიოს პრესაში გამოყენებული უხამსი ფორმების ხმარებას?

ქართული ენა, მდიდარია შინაგანი თვისებებით, იგი მაღალმხტვრულად გამოხატავს, დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს ყოველ აზრს. ღმერთმა ასეთი ენა გვიბოძა, ქართველმა ხალხმა კი უნიკალური ანბანი შექმნა, ჩვენ კი საკადრისად არც ერთს ვექცევით და არც მეორეს.

ჩვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე საკუთარი სიცოცხლის და სისხლის ფასად იცავდნენ ჩვენს ენას სხვა სულიერ ღირებულებებთან ერთად და ჩვენც ვალდებულნი ვართ მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ და საყოველთაო ზრუნვის საგნად ვაქციოთ იგი.

ლიტერატურა:

1. ლაშა ბუღაძე, „სულიერი არსებები, სულიერი პროცესები, უსულო საგნები“, თბილისი, 2006.
2. ალექსანდრე ღლონტი, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი, 1980.
3. შოთა ძიძიგური, „სიტყვის ცხოვრება“, თბილისი, 1988
4. ბიძინა ფოჩხუა, „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, თბილისი, 1974

კავშირები და ნაწილაკები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მიხედვით

ნანული ეცადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართული სიტყვის დიდოსტატი ნიკო ლორთქიფანიძე მეოცე საუკუნეში აღიარებულია ლაკონური ფრაზის, სხარტი, გამართული დიალოგების დიდოსტატად. ის გვევლინება, როგორც ნოვატორი, რომელმაც ინდივიდუალური, განსხვავებული ლიტერატურული ფენომენი დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში.

მწერლის შემოქმედების მაგალითები მოგვყავს მისი თხზულებათა რჩეულის I ტომიდან, რომელიც გამომცემლობა „პალიტრამ“ 2012 წელს გამოსცა.

მწერლის შემოქმედებაში ძირითადი აქცენტი გადატანილია დიალოგებზე, რომელიც პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთი სახეობაა. ამასთან დამახასიათებელია, რომ ყველა ელემენტი მოწოდებულია შექმნას სასაუბრო ატმოსფერო მოკლე ფრაზებით, სადაც კავშირები და ნაწილაკები დიალექტური მეტყველებითაა წარმოდგენილი და, ამ შემთხვევაში, იმერულში ლოგიკურ საფუძველზე არიან გაერთიანებულნი.

თხზულებაში დადასტურებულია მაერთებელი კავშირის თითქმის ყველა სახეობა: მაცალკევებელი, მაპირისპირებელი, მაიგივებელი, მაჯგუფებელი.

საყოველთაოდ გამოყენებულია „და“ კავშირი:

მასპინძელმა ვერ მოითმინა და მიაძახა ფრანგულაშვილს.
დასტკბები და სხვასაც დაატკბობ.
განათლდი და გაანათეო.
თუ გინდა გეგონოს, მაგი ჩემკენაა.
მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?
შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი.

დიალექტებში ხშირად ორივე კავშირი ერთად გვხვდება.

ვის უნდა მივმართო ავლადიდებისგან გაცლილმა და სიკვდილის მომლოდინემ, თუ არა თქვენ.
მოუჭირა და ჩაეკითხა, მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?

„მაგრამ“ კავშირი გავრცელებულია, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ დიალექტებში;

მაგრამ, რადგან მიბრძანებ, ვინანიებ.
მაგრამ მე მიყვარდა უფალო.
მაგრამ დედა მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

მაქვემდებარებელი კავშირი, რომელიც გვხვდება ზემოხსენებულ თხზულებებში:

მიახალა არჩილმა ფილიპეს, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.
მიაძახა არჩილმა, რომელიც გარეთ გადიოდა.
იყვნენ გლეხები, რომელნიც ახლაც ჩემთან არიან.

„რომ“ კავშირი საყოველთაოდ ყველა კილოში დასტურდება:

მეფე, რომ დაინახა ერთი იკივლა.
მეფემ ვერ შეამჩნია, რომ ქინძისთავებს ერთი აკლდა.
მას მხოლოდ ახსოვდა, რომ რაღაცაზე წალაპარაკდნენ.

ვინც-რაც:

ვინც არ მოსწონს, მის სიტყვებს ყურს არ უგდებს....
რაც დღეს ოხრად დარჩენილი ყორნებს აძღებს.
რაც კი ხიბლავს და ახარებს გოგონას.
ვიცი, ვინც არის.
რაც უნდა აჭამო არა ჰხედავს...

მაპირისპირებელი კავშირებიდან აღსანიშნავია - ნუ, ნუთუ

შორი გზა მაქვს და ნუ დამაგვიანებ.
ნუ წაჰკრავ ფეხს, ნუ გაავერანებ.
კაცო, ნუ გმობ ღმერთს;

ძალიანაც ნუ ცხარობ კნეინა.

ცნობილია, რომ დამხმარე მეტყველების ნაწილები და მათ შორის ნაწილაკები უმეტეს შემთხვევაში მიღებულია სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისაგან, მათი თანდათანობით გაცვეთის გზით. ხშირად ნაწილაკებს დროთა განმავლობაში ერთი და იგივე ფონეტიკური სახე აქვთ მიღებული. ხშირად ბევრი ნაწილაკის თავდაპირველი სახის აღდგენა ძნელია, მისი გაცვეთის გამო და თავდაპირველი სახე, საერთოდ, დაკარგულია.

საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არის ნაწილაკთა შესახებ, მაგრამ ამოსავალია აკაკი შანიძის კლასიფიკაცია, რომელიც მერე საფუძველი გახდა სხვა ჯგუფების დაყოფისათვის. ეს ეხება ლ. კვაჭაძისა, შ. კეკელიასა და დავითიანის სახელმძღვანელოებში გამოყოფილ ჯგუფებს.

ამ ჯგუფებზე დაყრდნობით გამოვყავით ნაწილაკები ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში.

კითხვითი ნაწილაკი ა დასტურდება მწერლის თხზულებებში:

-ა, უკაცრავად! არ იფიქროთ, დამავიწყდა.

-დედილო;

-ა, -შვილო!

-ა, ხვალ დედილოურში უნდა ვიქნე ნათვლაში მიმელიან.

-სერგო!

-ა, - რა გინდა? და სხვები.

ცნობილია, რომ კითხვითი ა ნაწილაკი მიჩნეულია საერთო ქართველურ, კუთვნილებად. მას მოეპოვება ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

აკაკი შანიძის აზრით, ა ერთვოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უდეტრს) უმეტესად კი მაინც ზმნას (ა. შანიძე, 1980: 608).

განა ნაწილაკი შესაძლებელია მომდინარეობდეს ძველი ქართული გარნა სიტყვისაგან, რომელიც სხვადასხვა ხასიათის ძეგლებში არის დადასტურებული. დღეისათვის განა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით ჩანს, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია, მაინც კითხვა–გაკვირვების გამოხატვაა. მაგალითად:

განა უფლება არა მაქვს?

დაგადგამ განა მე მონა ფრთხილი?

განა მეც არ ვხედავდი?

მწერლის თხზულებების მთელ რიგ მაგალითების ბოლოს კითხვის ნიშანი გვხვდება.

აკაკი შანიძის დაკვირვებით კითხვითი ნაწილაკი ხომ – ხო მომდინარეობს ჰომ II ჰოსაგან (ა. შანიძე, 1980:609).

ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში გამოიყენება ხომ, ჰო ნაწილაკები, რომლებიც დადასტურებულ სიტყვას აღნიშნავენ.

ასეთის თვალებით, ხომ ყველა უყურებდა.

სანადიროდ ხომ არ მიგყავართ?

ისე ხომ ვერ მოიცდი?

ხომ იცი მისი ხასიათი?

ჰო, მაგისათვის მოვედი.

ჰო, დეიდა, ჰო.

ჰო, ჩემო კარგო და სხვა მაგალითები.

მიგებითი ნაწილაკებიდან აღსანიშნავია კი, დიახ, რომლებიც კითხვის პასუხად გამოიყენება დიალოგის დროს. პასუხიც შეიძლება დადებითი იყოს ან უარყოფითი. დიახ მწერლის თხზულებებში დადასტურებით ნაწილაკია, ასევე კი ნაწილაკიც.

დიახ, უფალო, დიახ, ბატონიშვილო.

მიეცი, რაც კი წაიღოს.

მე აღვსდგები, შენ აღსდგები

კი, კი, კი!

გამორჩევითი ნაწილაკებიდან აღსანიშნავია მხოლოდ, რომელსაც გამორჩევითი ფუნქცია აქვს. ისინი გამოყოფენ იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის:

ყოველ ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, მხოლოდ

ღრუბელი მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ მოტრფიალეთ არ დაჰკრას მზემა.

ავაშენოთ მხოლოდ ჩვენ სამმა და სხვა.

უკუთქმითი ნაწილაკების ფუნქციაა უარყოფითად გადმოსცეს წინადადებებში გამოთქმული აზრი.

მას პასუხი არ გაუცია.

საქმეში არ ერეოდა.
არ დაუბარებიხარ?
ბატონი არ მომიკვდეს.
შენი რისხვა არ მომეცეს.
არ შეგარჩენ და სხვა.
„ვერა“:
ვერ უშველა ქვეყანას.
ვერ მოითმინა ქალმა
მეფემ ვერ შეამჩნია.
ნიჭი სარბიელს ვერ პოულობს.

„ქე“ ნაწილაკი ჩანს, რომ დამახასიათებელია იმერული დიალექტისათვის, რომელსაც მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს და აძლიერებს რაიმეს შესრულებას.

ჩვენ იქნება ქე გვიყიდო!
ახლა ქე იქნება დამდგარი.
ქე უმუშავნიათ მუყაითად
ამას ქე ვუყურებ.

თხზულებებში პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვა–სიტყვითი ნაწილაკები:

– თქო, –თქვა, – მეთქი, ისინი გამოხატავენ თავისი ან სხვისი ნათქვამის გამეორებას:

დაგვიწყებია თქო.
ვიფიქრე, ახლა დავიბადე თქო.
თქვა და გაქრა.
მაგრამ ვისზე თქვა?
მეთქი: ნუ შემოიტან მეთქი.
პეტერბურგი ვერ დაგაკმაყოფილებდათ-მეთქი.
გამაცალე ამყრალებული ტყავი-მეთქი.
ღამის ქურდი ხარ-მეთქი! და სხვა.

მოძიებული ნაწილაკები ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში საინტერესოა სალიტერატურო ენისა და დიალექტური თვალსაზრისით. მათ მოეპოვებათ ანალოგიური ფორმები სხვა დიალექტებთან, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა კიდევ ბევრ ფაქტს ახლებურად გამოავლენს.

ლიტერატურა:

1. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხ. III, 1973.
2. ბასილაია ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
3. ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.
4. ძიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.

სოფელ ხოვლეს ანთროპონიმები და ტოპონიმები

მარიამ ლელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

სოფელი ხოვლე ერთ-ერთი ხალხმრავალი და დიდია კასპის რაიონში, რომლის გარშემო მრავალი ნასოფლარია, არის თორმეტი საგვარეულო სალოცავი, მათ შორის: კვირიკეწმინდა, იისციხის წმინდა გიორგი, წმინდა თევდორე, პეტრე-პავლე, წმინდა მარინე, წმინდა ნინო და სხვა.

სოფლის შემოგარენშია გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლი ,,ხოვლეგორა“, აქვეა ძველი წელთაღრიცხვის მთელი რიგი ნიმუშები, რომლებიც მიუთითებს მოსახლეობის ეთნიკურ ერთიანობასა და თანმიმდევრულ კულტურაზე.

ვახუშტი ბაგრატიონის ,,საქართველოს გეოგრაფიის“ შრომას დართული სოფლების სიაში სახელწოდებით ,,ხოვლის ხევი“ დასახლებულია სოფელი ხოვლე (ბაგრატიონი ვ. საქ. გეოგრაფია, 2. 02).

მეცნიერი წერს: „თეზის დასავლეთი არს ხევი ხოვლესი, გამოსდის რაზმითის მთას“, სადაც მდებარეობს დიდი სოფელი ხოვლე.

ასევე მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის იოანე ბაგრატიონის ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“, სადაც სათაურით ,,მდუღრის ხევი აწ ხოვლეს ხევად წოდებული“, სათაურის ქვეშ დასახლებულია სოფელი ,,ხოვლე მოსახლენი“ (ბაგრატიონი. აღწერა. 31).

საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა მოძრაობდა მხარეში და თავის კვალი დაამჩნია სოფლის ონომასტიკას. ჩვენ შევეცადეთ და აღვწერეთ სოფლის, როგორც ტიპონიმები ისე ანთროპონიმები, რომლებიც ერთი სათაურის ქვეშ მოვაქციეთ. ისინი მრავალფეროვანი წარმოებით გამოირჩევიან თუმცა ანალოგს პოულობენ ქართლის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებთან. ძიებას კვლავ ვაგრძელებთ.

ანთროპონიმებს ძე და შვილი დაბოლოება ეკვეცებათ, მაშინ, როცა მათგან - იან სუფიქსის დართვისას იწარმოება ამ გვარის წარმომადგენელთა კრებითი სახელი, როცა შტო გვარის ერთ კონკრეტულ წარმომადგენელზე (ან-ის წარმოებისას) ბოლოს ერთვის კიდევ მრავლობითს თ სუფიქსი და ვღებულობთ ასეთ ფორმებს:

გვარები და შტოგვარები

ალფეზაანი - ედიშერაშვილი
ალფეზაანთი
ასონაანი - ყურაშვილი
ასონაანთი
აჯაანი - კოშაძე
აჯაანთი
არუნაანი - ედიშერაშვილი
არუნაანთი
ამფარაანი - ჯანანაშვილი
ამფარაანთი
ბერძნიაანი - ბიჭიკაშვილი
ბერძნიაანთი
ბოქსაანი-ბახტაძე
ბოქსაანთი
ბესიაანი - შეშაბერიძე
ბესიაანთი
ბურხუნიკიაანი-ბიჭიკაშვილი
ბურხუნიკიაანთი
ბატკაანი-ხორგუაშვილი
ბატკაანთი
ბულბულმიტაანი-მიქუტიშვილი
ბულბულმიტაანთი
ბუგლურიაანი-გიორგაშვილი
ბუგლურიაანთი
ბეციანი - ბახტაძე
ბეციაანთი
ბუღიტაანი-ბიჭიკაშვილი
ბუღიტაანთი
ბიჭიკაანი-ბიჭიკაშვილი
ბიჭიკაანთი
ბოტალაანი-ბაისონაშვილი
ბოტალაანთი
ბერიაანი-ედიშერაშვილი
ბერიაანთი

გალოაანი-ჯაჯანაშვილი
გალოაანთი
გუმბრაძეაანი-მეცვხარიშვილი
გუმბრაძეაანთი
გაბინიანი-ბახტაძე
გაბინიაანთი
დუდღლუბუაანი - დუდღლუბუაანთი
დუდიაანი - ლელაშვილი
დუდიაანთი
დალაქიაანი - დალაქიშვილი
დალაქიაანთი
ვასკაანი-ილარიონი
ვასკაანთი
ვანუქაანი - ხუციშვილი
ვანუქაანთი
ვანკიაანი - ხათაშვილი
ვანკიაანთი
ვანტურაანი- ჯაჯანაშვილი
ვანტურაანთი
ზემლაანი-ლელაშვილი
ზემლაანთი
თოკაანი-კოშაძე
თოკაანთი
თაბაქაანი-მერაბიშვილი
თაბაქაანთი
თათოაანი- ლელაშვილი
თათოაანთი
თათოაანი - ლელაშვილი
თათოანთი
ისიდორიაანი - ნინიაშვილი
ისიდორიაანთი
კოდმანაანი-კოდმანაანთი
კაკაჩაანი - კაკაჩაანთი
კრეჭინაანი- კრეჭიაანთი

კვებულაანი -ბიჭიკაშვილი
კვებულაანთი
კატინიაანი-მერებაშვილი
კატინიაანთი
კუდუხაანი - კუდუხაშვილი
კუდუხაანთი
კოხაძეაანი-ხათაშვილი
კოხაძეაანთი
კოკოზაანი- კოკოზაშვილი
კოკოზაანთი
კავსაძეაანი- კავსაძეები
კავსაზეაანთი
კრილოაანი - ედიშერაშვილი
კრილოაანთი
კურტუმაანი- ბახტაძე
კიკვილაანთი
კრუაანი - ყურაშვილი
კრუაანთი
კურელაანი-ჯაჯანაშვილი
კურელაანთი
კოკლაანი-ჯალალი
კოკლაანთი
ლომიტაანი-ლომიტაშვილი
ლომიტაანთი
ლაბრიაანი- ჯაჯანაშვილი
ლაპრიაანთი
ლაზარეაანი - ბიჭიკაშვილი
ლაზარეაანთი
მუსაანი-ლელაშვილი
მუსაანთი
მიტრაანი-ჯანანაშვილი
მიტრაანთი
მეცხვარიაანთი-მეცხვარიშვილი
მეცხვარიაანთი
მეტიაანი-ბიჭიკაშვილი
მეტიაანთი
მიქუტაანი-მიქუტიშვილი
მიქუტიაანთი
მახაანი-ლელაშვილი
მახაანთი
ნალბანდიაანი-მამასახლისი
ნალბანდიაანთი
ნინიაანი-ნინიაშვილი
ნინიაანთი
პაპინაანი-პაპინაშვილი
პაპინაანთი
პახაანი-მექუტიშვილი
პახაანთი
პიტნაანი-ლელაშვილი
პიტნაანთი
პრიწკნაანი-ჯანანაშვლი
პრიწკნაანთ
რირუაანი-გალუსტაშვილი
რირუაანთი
რუსიაანი-გალუსტაშვილი-
რუსიაანთი
ტანგოაანი-კოშაძე
ტანგოაანთი
ტიღაანი-მერებაშვილი
ტიღაანთი
ტლაპოაანი-ბიჭიკაშვილი
ტლაპოაანთი
ტალახაანი-ედიშერაშვილი
ტალახაანთი
ტიღურაანი-ბახტაძე
ტიღურაანთი
ფედიაანი-კოშაძე
ფედიაანთი
ფაშაანი-ჯანანაშვილი
ფაშაანთი
ფანტიაანი-ფანტიაანთი
ფხუკოაანი-ედიშერაშვილი
ფხუკოაანთი
ფეფიაანი-ბიჭიკაშვილი
ფეფიაანთი
ქვაჩახაანი-გალუსტაშვილი
ქვაჩახაანთი
ქარქუსაანი-ქარქუსშვილი
ქარქუსაანთი
ქაქოლაანი-ლაგრაძე
ქაქოლაანთი
ქშუტუაანი-კოშაძე
ქშუტოაანთი
ქოსაანი-ბახტაძე
ქოსააანთი
ქოლგაანი-ლომიძე
ქოლგაანთი
ქრისტოაანი-გალუსტაშვილი
ქრისტოაანთი
ქარსაძეაანი-ჯანანაშვილი
ქარსაძეაანთი
ქუტაანი-ხუციშვილი
ქუტაანთი
ხუციშვილი-ხუტაანთი
ღიკლაანი-ედიშერაშვილი
ღინკლაანთი
ღოდუაანი - მიქუტიშვილი
ღოდუაანთი
ყოყოლიაანი-ბახტაძე
ყოყოლიაანთი
ყვავიაანი-ბიჭიკაშვილი
ყვავიაანთი
ყაპიაანი-ყურაშვილი
ყაპიაანთი
შიოაანი-ბიჭიკაშვილი
შიოაანთი
შირნიაანი-შირნიაშვილი
შირნიაანთი

შამანაანი-მერებაშვილი
შამანაანთი
ჩაჩანაანი-გალუსტაშვილი
ჩაჩანაანთი
ჩლატიაანი-ლაგრაძე
ჩლატიაანთი
ჩოხელაანი-ჩოხელი
ჩოხელაანთი
ჩუპაანი-ედიშერაშვილი
ჩუპაანთი
ჩუმაანი-კოშაძე
ჩუმაანთი
ჩიუქაანი-ბახტაძე
ჩიუქაანთი
ჩიპიტოაანი-ჯანანაშვილი
ჩიპიტოაანთი
წრიკიაანი-მერებაშვილი
წრიკიაანთი
წიკოაანი-ბითაძე
წიკოაანთი
ჭუკოაანთი-კოშაძე
ჭიპინიაანი-ყურაშვილი
ჭიპინიაანთი
ჭიტაანი-კოშაძე
ჭიტაანთი
ჭუკიაანი-ბახტაძე
ჭუკიაანთი
ჭიჭიაანი-გოგინაშვილი
ჭიჭინაანთი
ჭაღარაანი-ედიშერაშვილი
ჭაღარაანთი
ჭაჭალაანთი-ედიშერაშვილი
ჭაჭალაანთი
ჭირიაანი-ხუციშვილი
ჭირიაანთი

ციცაანი - კოშაძე
ციციაანთი
ცარელაანი-ჯანანაშვილი
ცარელაანთი
ციცნაანი-ჯანანაშვილი
ციცნაანთი
ცოტაანი-კოშაძე
ცოტაანთი
ცუცნაანი-ყურაშვილი
ცუცნაანთი
წაპლაანი-ჯავახიშვილი
წაპლაანთი
წიპრუტატოაანი-ჯანანაშვილი
წიპრუტატოაანთი
ხუციაანი-ხუციშვილი
ხუციაანთი
ხელმწიფეაანი-კოშაძე
ხელმწიფეაანთი
ჯაგლაგიაანი-მიქუტშვილი
ჯაგლაგიაანთი
ჯავახიაანი-ბაისონაშვილი
ჯავახიაანთი
ჯღანაანი-ბიჭიკაშვილი
ჯღანაანთი
ჯღანულოაანი-გოგინაშვილი
ჯღანულოაანთი
ჯიქიაანი-ჯანანაშვილი
ჯიქიაანთი
ჯიმაანი-კოშაძე
ჯიმაანთი
ჯიყიაანი-ედიშერაშვილი
ჯიყიაანთი
ხახოლაანი-კოშაძე
ხახოლაანთი

სოფლის ტოპონიმები და მათი ლოკალიზაცია

1. კოშკები - მამულები სოფლის აღმოსავლეთით;
2. სიონები - მამულები სოფლის აღმოსავლეთით;
3. აბანოები - მამულები სოფლის აღმოსავლეთით;
4. დუბე - მამულები სოფლის აღმოსავლეთით;
5. ხოვლეგორა - არქეოლოგიური ძეგლები, ნასოფლარი;
6. ჯანანიგორი, აღმოსავლეთით;
7. წანწალები - აღმოსავლეთით;
8. ნაფუძარი - სოფლის დასავლეთით;
9. ზესური - სოფლის დასავლეთით;
10. ლარები - დასავლეთით;
11. ალკეთი - ნასოფლარი, დასავლეთით;
12. კუს წყაროები;
13. ეკლესაია - დასავლეთით;
14. კალოები სამხრეთ დასავლეთით;
15. გვერდა - სამხრეთ-დასავლეთით;

სოფლის უბნები

1. ბიჭიკაანთ უბანი - ბიჭიკაშვილი;
2. ბუღიტაანთ უბანი - ბიჭიკაშვილი;
3. გალუსტაანთ უბანი - გალუსტაშვილი;
4. თაგვაანთ უბანი - ლელაშვილები;
5. ხუციაანთ უბანი - ხუციშვილები.

აქ წარმოდგენილია არასრული სია.

ლიტერატურა:
1. ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 202
2. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 31.
3. ოთინაშვილი ნ., ლიახვის ხეობის ონომასტიკა, ც.ს.უ. 2002.

სიტყვათწარმოება ნუგზარ შატაიძის პროზაში

ციური მეზვრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ შატაიძის პროზა საინტერესოა თემათა მრავალფეროვნებითა და თხრობის ორიგინალური მანერით. მწერალი უკვე ცნობილ ინტერპრეტაციებს კი არ სთავაზობს მკითხველს, არამედ იზიარებს ადამიანის ყოფითი საკითხების მოუგვარებლობას და მას თანაუგრძნობს. ამიტომ არის მისი შემოქმედება ორიგინალური, რომელსაც მკითხველი იზიარებს და მას არაერთხელ უბრუნდება.

თემის დამუშავების დროს ვისარგებლეთ მწერლის ერთტომეულით „ნოემბრის წვიმა (ნოველები, მინიატურები, მოთხრობები, რადიოპიესები)“, რომელიც გამოიცა 2004 წელს.

პროზაულ ნაწარმოებში დავაჯგუფეთ წარმოქმნილი სახელები და გამოვყავით ამ ასპექტით წამოჭრილი მთავარი თავისებურებანი.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით
კნინობითი სახელები

„კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული“ (აკაკი შანიძე). თანამედროვე ქართულში მაწარმოებელი აფიქსები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ესენია: ა, აკ, ილო, იკო, ელა, უნა, იკელა, იკა, ია, ულა, ნია, და სხვები. მათი მოხმარების სიხშირე შედარებით ნაკლებია დასახელებულ მწერლებთან. მოგვყავს შესაბამისი მაგალითები წინადადებებით:

წრუტანა, რამაზა და დავითა არყის ჭიქებს უჭახუნებდნენ.
გოგიამ მანქანა დაძრა და წავიდა.
გულიკო მეძახდით?.
ელიკო გაიღვიძე.
ვანიკო წინ დაუცუცქდა.
კოლა სუფრას უჯდა.
ნოდარა იდგა ბუტკაში.
სიხუა ჩემს მაზლს ეძახდა.
შალიკო იყო და კიდევ სხვები.

ყოლა-ქონების სახელები

ყოლა-ქონების სახელებს აწარმოებს ძირითადად იან, იერ, ოსან. მწერლის თხზულებებში გამოყენებულია -იან სუფიქსი.

მართალია, -იან სუფიქსი ყოლა-ქონების გამომხატველია, ასევე იგი გვხვდება გვარის ერთ-ერთ დაბოლოებად, ან აღმოსავლეთ საქართველოში შტოგვარის სახელების საწარმოებლად. ასევე ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად. მწერალთან კი მისი ფუნქცია ყოლა-ქონების გამომხატველია, მაგალითად:

ალერსიანი ხმით შემოვიდა.
თეთრწინსაფრიანი გოგია.
თხილიანი გზა იყო და თეთრად ჩაქნილი.

მათრახიანი ხელი ზემოთ გაიშვირა.
ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა.
პირსისხლიანი ჯალათი იყო.
ეცვა ტალახიანი რეზინის ჩექმები.
ხუთჩარექიანი ხელადიდან ღვინოს ასხამს.

უქონლობის სახელები

მათი მწარმებლები უ-ო და უ-ურ ერთნაირი წარმომავლობისანნი არიან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოყვანილი მაგალითები უ-ო კონფიქსებით არის ნაწარმოები:

მოდიოდნენ უხმოდ, უსიტყვოდ.
მოდიოდნენ უგზოდ, უკვლოდ.
უდედოდ იყო გაზრდილი.
უსიტყვოდ განაგრძობდა.
უხმოდ გაეცალნენ.
სვამენ უხმოდ, უსიტყვოდ.

მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უქონლობის სახელთა წარმოება თითქმის ერთფეროვანია, ძირითადად ფუნქციონირებს უ-ო კონფიქსი, რომლის სინტაქსური ძალა გაფართოვდა.

ხელობის სახელები

ხელობის ანუ მოსაქმეობის აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად მწერლის თხზულებებში ძირითადად გამოყენებულია მე-ე კონფიქსები:

აფხაზი მესაზღვრე.
მემუზეუმე ეთნოგრაფი.
მენაყინემ თავისი მაცივარი გამოიტანა.
მეწისქვილე დროს წისქვილში ატარებდა.
მონადირემ დაჭრა წერო.
მონავარდე, მოჭიკჭიკე მერცხალი.
სოფელში უნდა აერჩიათ მეველე, მენახირე.

ასეთი სახელების მაწარმოებლები მო-ე და მე-ე კონფიქსთა ფუნქციურ იდენტობაზე მეტყველებს ერთი და იმავე სიტყვის პარალელური წარმოების არსებობაც.

დანიშნულების სახელები

ასეთი სახელების საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია სა-ე და სა-ო კონფიქსები. მაგალითად:

სამზარეულოში იჯდა.
საარაყე და სალუდე ალაოც იფქვებოდა წისქვილში.
უკვე სამშვიდობოს იყო გასული.
სანაპიროზე ხალხს უმატია,
სანახირო დაცარიელდა სარიტუალო საჭმელი იყო.
ჩაუვლიდა გაყინულ საქვაბეს.
სასაუზმეს კარი მოღიავებული იყო.
საქორწინო ბეჭედი ეკეთა.

გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელები სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობისაა, მაგრამ სიტყვათწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა გეოგრაფიულ სახელთა სადერივიაციო აფიქსების გამოყენების შემთხვევები. ასეთი სახელები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მწერალთან დასტურდება -ეთ სუფიქსიანი სახელები: გარეკახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, სვანეთის უბანი, თრიალეთი. ფშავ-ხევსურეთი, თურქეთი.

ეთ დაერთვის საზოგადო სახელის ფუძეს, ხან კი ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს. ასევე სა-ო: საქართველო, სა-ე: სამცხე, გარეჯის მონასტერი, აღბულახი. აღნიშნული გეოგრაფიული სახელები დაკავშირებულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებასა და მისი რაზმელების მოძრაობასთან.

ხარისხის ფორმები

მწერლის თხზულებებში ხარისხის სახელთა წარმოება არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

უფროობით ხარისხს აწარმოებს უ-ეს:
უძველეს დროში მარცვალს ქვით ნაყავდნენ.
ფეტვი უძველესი კულტურული მცენარეა.
უმთავრესი საქმე სამშობლოს ბედთა.
ოდნობითის ფორმებიც შეზღუდულია:
მისი მომცრო ხელები.
მოვარდისფერო სისხლი.
მომჟავო სიგრილე გამოიჭრა.

თხზულებებში ბევრია დადებითი ხარისხის ფორმები ნებისმიერი წლის დროის აღწერისას, რასაც მწერალი დიდი ოსტატობით გვთავაზობს.

წარმომავლობის სახელები

წარმომავლობის აღსანიშნავად გამოყენებულია -ელ, -იერ სუფიქსები. -ულ - გამოხატავს ადამიანთა სადაურობის გეოგრაფიულ სახელებზე დართვით , მაგალითად:
თბილისელი, კასპელი, თელაველი, მეტეხელი, კახელი, სართიჭალელი, ზემოუბნელი, ქვემოუბნელი.
-ურ - სუფიქსი ძირითადად გვარებშია გამოყენებული:
დომბური, გინტური, მუხური, ამავე დროს გამოხატავს თვისებებს, მასალას: მეძნეური, მესვეური, ხელეური.

აბსტრაქტული სახელები

ამ სახელების საწარმოებლად გამოყენებულია -ობა და სი-ე; დღეობა, ძეობა. ნათლობა. სიბერე, სიჩქარე.

ნუგზარ შატაიძის შემოქმედების სიტყვათწარმოების ძირითადი მოდელი უახლესი ქართულისაა. გამოვლენილი ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებსაც აქ წარმოგიდგენთ, ნაწილობრივ, შეიძლება, მოტივირებული იყოს მწერლის სტილის მიხედვით, რომლებიც სამომავლოდ უფრო ფართოდ შეიძლება წარმოვაჩინოთ.

ლიტერატურა:

1. ნ. შატაიძე, ნოემბრის წვიმა, თბ., 2004;
2. ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
3. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჰ, ს პრეფიქსებთან დაკავშირებული სირთულეები ქართულ სალიტერატურო ენაში

მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

ცნობილია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნის სამივე პირი მარკირებულია. პირის ნიშანთა ცხრილი ასე წარმოგვიდგება.

სუბიექტური პირის ნიშნები.

	მხ. რ.	მრ. რ
1.	ვ-, (0-)	ვ-, (0-)---თ.
2.	0-, ხ-, (ჰ-, ს-)	0-, ხ-, (ჰ-, ს-)----თ
3.	-ს, -ა, -ო.	-ენ, -ან, -ნ, -ნენ, -ეს.

ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	მ-	გვ-
2.	გ-	გ- ----თ
3.	0-, (ჰ-, ს-)	0-, (ჰ-, ს-)----(-თ)

როგორც პირის ნიშანთა ცხრილიდან კარგად ჩანს მეორე სუბიექტურ პირსა და მესამე ირიბობიექტურ პირს ერთი და იგივე პრეფიქსები გამოხატავენ 0-, ჰ-, ს-. ანუ ეს პირები ერთნაირად ერთი და იმავე ნიშნით არიან მარკირებულნი. რას უნდა გამოეწვია რომელობისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირების ერთნაირად მარკირება, ამის ახსნა ერთობ ჭირს.

ამ პრეფიქსთა დღევანდელი ვითარების ანალიზისათვის საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ ამ ნიშანთა ისტორიას. მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირის ნიშანთა სისტემამ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში რთული გზა განვლო. ამ პირთა განხილვისას ცალკე უნდა განვიხილოთ ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი ძეგლების ფორმები, რადგანაც მათ სხვადასხვაგვარი წარმოება აქვთ. მე-5-7 საუკუნეებში მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირი გამოიხატებოდა ერთი პრეფიქსით ხ-. ამ ეტაპს აღვნიშნავთ ტერმინით „ხანმეტობა," რომელიც პირველად გიორგი მთაწმინდელთან გვხვდება. ხ- პრეფიქსი გვქონდა როგორც ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან: ხ-იცი, განა-ხ-ატფე, ხ-აქე, ხ-უთხრა..... ისე, თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან: ხ-წერ, ხ-კლავ, ხ-ტირი, ხ-კითა, მო-ხ-გვარა, მი-ხ-პარა, მი-ხ-წერა, ხ-თხოვა. სწორედ ამ ვითარების ნაშთია, რომ დღესაც დაუცავს ორიოდე ზმნას მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ხ- პრეფიქსი: ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი. რამ გამოიწვია ამ ორ ზმნაში პრეფიქსის შემონახვა, აუხსნელია. ეს ფაქტი დასტურდება სალიტერატურო ენის ისტორიის ყველა ეტაპზე. ძველ ქართულში ხ-, პრეფიქსი გვქონდა ასევე ინიან ვნებითში: ხ-იყო, და ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებთან ხ-უდიდეს, ხ-უფროის.

მომდევნო ეტაპზე მე-7-9 საუკუნეებში ხ-, პრეფიქს ენაცვლება ჰ-, ამ ეტაპს აღვნიშნავთ ტერმინით ჰაემეტობა. ხანის ჰაეთი ჩანაცვლება ხდება ოთხივე ფუნქციის შემთხვევაში. მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ სალიტერატურო ენას სანნარევს ვუწოდებთ. იქ, სადაც თავსართი ხ- ან ჰ- იყო, ზოგან სანი ჩნდება, ზოგან ჰაე რჩება და ზოგანაც იკარგება პრეფიქსი. ე.ი. ჰ- პრეფიქსს გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში მისი ფონეტიკური ვარიანტები ჩაენაცვლა: ს- და 0-. ხმოვანთა წინა პოზიციაზე პრეფიქსი იკარგება, ინიანი ვნებითები და უფროობითი ხარისხის ფორმები პრეფიქსს აღარ დაირთავენ. საილუსტრაციოდ მოგვყავს ამ დროის ტექსტები.

სახარება მათესი

5-7 სს.	9-11 სს.
1. ნუ დახჯით, რაითა არა დახისაჯნეთ.	1. ნუ და[ჰ]შჯით რაითა არა დაისაჯნეთ.
2. რამეთუ რიმლითა ხშჯით, მითცა ხისაჯნეთ და რომლითა საწყაულითა მიხუწყვიდეთ, მოგეწყოს თქუენ.	2. რამეთუ რომლითა (ჰ)შჯით, მითცა ისაჯნეთ და რომლითა საწყაულითა მიუწყვიდეთ, მოგეწყოს თქუენ.

სახარება მარკოზისა

5-7 სს.	9-11 სს.
ამოიღე იგი. ხუმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესვლად სასუფევალსა ღმრთისასა ვიდრე ორითა თუალითა და შთაგებად გეჰენიასა.	ამოიღე იგი. უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თუალითა და შთაგებად გეჰენიასა.

ჩვენთვის ასევე ძალზედ საინტერესოა ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს შორის დამოკიდებულება, რომელიც აკაკი შანიძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე.ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქებს კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს, ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი, ჰაემეტი - მეორეზე. ხანმეტი და ჰაემეტი კილოების განლაგებისა და მათი საზღვრების შესახებ ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო უნდა ყოფილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მცხეთასა და ბოლნისში, ჰაემეტი კილო კი უნდა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ა. შანიძის აზრით, ძველი ქართულისათვის საორიენტაციო დიალექტის ცვლილების

მიზეზი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დასავლეთით გადანაცვლება უნდა ყოფილიყო, რაც თავის მხრივ არაბების შემოსევით იყო განპირობებული.

ზურაბ სარჯველაძეს მიაჩნია, რომ:,, ა. შანიძის ამ მოსაზრების დასადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ხანმეტი წარწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშია (ბოლნისი, უკანაგორა, მცხეთა) აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი ჰაემეტი წარწერა ქვეყნის სამხრეთ დასავლეთში (წყისე) არის ნაპოვნი“ (სარჯველაძე, 1984, გვ. 40).

ძველ ქართულში მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტური პრეფიქსების განაწილებას საკმაოდ მკაცრი წესები ჰქონდა. მე-9 საუკუნიდან მოყოლებული, ჰ-/ს- პრეფიქსები ზმნებში აღნიშნავდნენ მეორე სუბიექტურ და მესამე ირიბობიექტურ პირს. ამასთან, მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელი ბგერით იწყებოდა ზმნის ფუძე: ბ ფ პ, გ ქ კ, ღ ხ ყ, ვ ზ ს, ჟ შ, ლ მ ნ რ სულ 19 თანხმოვნის წინ იხმარებოდა ჰ- თავსართი, ხოლო დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, სულ 9 თანხმოვნის წინ ს- თავსართი (ს- თავსართი დღესაც ამ თანხმოვნების წინ იხმარება). ხმოვნების წინ თავსართი არ იხმარებოდა (დაკარგულია ჰ).

როგორც ცნობილია ძველი ქართული მკაცრად ნორმირებული ენაა, მაგრამ ჰ-, ს-, პრეფიქსების ხმარების წესი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებშივე ირღვევა, ამ ძეგლებში ვხვდებით ანომალიებს მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირების მარკირების საკითხში. განსაკუთრებით კი ეს ეხება მესამე ირიბობიექტური პირის მარკირებას. მეორე სუბიექტური პირის მარკირებაში შეცდომები ნაკლებია. შესაძლოა ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი ამ პირის მორფემა, როგორც ლ. ციხელაშვილი აღნიშნავს, ამ ტიპის დარღვევები მხოლოდ ხანმეტ ოთხთავსა და ჰაემეტ ლექციონარში დასტურდება. ხანმეტ ლექციონარში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ხ- პრეფიქსი ხუთ შემთხვევაში ამოფხეკილია: (ხ)ტირ,(62,12,20), აღ(ხ)იღე(61, 22-23), და(ხ)დევ(61, 23), შე(ხ)იპყრნეთ(62,24). საინტერესოა, რომ ამოფხეკილი ხ-ს ნაცვლად არც ჰ- ჩაუწერიათ. როგორც ჩანს, ამის საჭიროება არ მდგარა, წაკითხვისას უპრეფიქსო ფორმები არ ეუცხოებოდათ (ლ. ციხელაშვილი, 2005, 256). გაცილებით მეტი დარღვევა გვაქვს მესამე ობიექტური პირის მარკირებაში, კერძოდ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში შესაძლოა მესამე ობიექტური პირის ნიშნად გვქონდეს 0-. მიყო (მათე 12,49), შეწირეს (ლუკა 21, 4), განუყო (ჰაემ., 379, 15).....

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს ჯერ კიდევ ძველი სალიტერატურო ენის ძეგლებშივე ვხვდებით ჰ-/ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. თუმცა რიგი დარღვევების მიუხედავად ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში საკმაოდ მკაცრადაა დაცული ჰ-/ს- პრეფიქსების ხმარების წესი. სამაგიეროდ, ამ პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს ახალი ქართული მწერლობის ძეგლებში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დადგენილია ამ პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებული ნორმები, მაინც ხდება ნორმებიდან გადახვევა და არამართებული ფორმების გამოყენება.

თანამედროვე ქართული ენის ნორმათა კრებულში ვკითხულობთ:

1) არ იქნეს ხმარებული ჰ-/ს- პრეფიქსები მეორე სუბიექტური პირის აღსანიშნავად.

2) იხმარებოდეს ჰ- და ს- პრეფიქსები მესამე ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად (1986, 193). წესი ზუსტდება: ,,ჰ- დატოვებულ იქნეს, ბ ფ პ, გ ქ კ, ყ თანხმოვნების წინ. ს- მესამე ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად უნდა იხმარებოდეს დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, თანხმოვნების წინ.“

ჰ- და ს- პრეფიქსები არ იხმარება:

1) სუბიექტის მეორე პირის აღსანიშნავად არც ერთპირიან და არც ორპირიან ზმნებში. მაშასადამე ზმნა, რომელსაც ეწყობა სუბიექტად შენ ან თქვენ, დაიწერება უპრეფიქსოდ. ერთპირიანი ზმნები: შენ- გმინავ, ბრუნავ, ცურავ... თქვენ- გმინავთ, ბრუნავთ, ცურავთ. ორპირიანი ზმნები: შენ- გრეხ, სვამ, ქსოვ, კრეფ, წნავ... თქვენ გრეხთ, სვამთ, ქსოვთ, კრეფთ, წნავთ...

2) ერთპირიან ზმნათა მესამე პირის ფორმებში. მაშასადამე ზმნა, რომელსაც ეწყობა მხოლოდ სუბიექტი ის ან ისინი, ჰ- ან ს- თავსართს არ დაირთავს. ის- ბრუნავს, გმინავს, გორავს, ცურავს.... ისინი- ბრუნავენ, გმინავენ, გორავენ, ცურავენ.....

3) პირდაპირობიექტიან ზმნებში მესამე ობიექტური პირის აღსანიშნავად. მაშასადამე, უპრეფიქსოდ დაიწერება ყველა ორპირიანი გარდამავალი ზმნა. ვბარავ მე მას, ბეჭდავს ის მას, ლეწავს ის მას, ხატავს ის მას.....

4) ირიბობიექტიან ზმნებში მესამე ირიბი ობიექტის აღსანიშნავად. თუ ზმნის ფუძე იწყება: ზ, ს, ჟ,შ, ღ, ხ, ვ, რ, ლ, მ, ნ თანხმოვნებით, სულ 11 თანხმოვნით. მაშასადამე ზმნა, რომლის ფუძე ზემოაღნიშნული თანხმოვნებით იწყება, მიუხედავად იმისა, რომ ირიბი ობიექტი ექნება, დაიწერება უთავსართოდ. ამისდა კვალად, თუ ზმნა რომელიმე ზემოდასახელებული თანხმოვნით იწყება, უპრეფიქსო ფორმები გვექნება. მო-ღრღნის, შე-მატებს, მო-აკლებს, გადა-სახავს, მო-ხლეჩს, გა-ჟლეტია, და-მალვია.....

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ირიბი ობიექტის ჰ-/ს- ნიშნები პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან აღარ გამოიყენება, ანუ ირიბობიექტური პირის ნიშანი იკარგება: შე-ვ-წირავ.

მო-ვ-პარავ, მო-ვ-წყვეტ, და-ვ-კარგივარ... დასტურდება ხუთიოდე ისეთი ზმნა, რომელთაც ირიბი ობიექტი არ უჩანს, მაგრამ პირის ნიშანი ს- აუცილებელია. ასეთებია: გასტანს- გასტანა გასტანოს, ასწევს- ასწია -ასწიოს, გამოსცემს- გამოსცა-გამოსცეს, გასცემს-გასცა-გასცეს, დასძე სნს- დასძინა-დასძინოს. დაშვებული გამონაკლისების ახსნა ჭირს. მიუხედავად საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული განაწილების წესისა ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარებაში ხშირია ნორმების დარღვევა. ლიტერატურის, პრესის, ტელევიზიის ენაში, ასევე ყოველდღიურ მეტყველებაში უხვად დასტურდება ისეთი შემთხვევები როცა:

ა) პრეფიქსები გვხვდება ორპირიან გარდამავალ ზმნებში: მო-ჰ-კლა, შე-ს-ძლო, გამო-ჰ-ყოს, ჰ-კლავს, შე-ჰ-კრიბა, ს-თქვა, და-ს-წერა....

ბ) პრეფიქსები არ გვაქვს მესამე ირიბობიექტიან ფორმებში: გამო-კითხა, მი-წერა, და-კარგვია, გა-ყინვია, გა-კაწვრია.....

გ) პრეფიქსებს დაირთავს ერთპირიანი ფორმები: სჩანს, ჰყვავის, სდგას, სჭკნება, ჰკლავს....

დ) დასტურდება ორმაგი პრეფიქსებიც: ჰსჩანს, მიჰსწერა მიჰსცა.....

როგორც პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი წერს, ამგვარი ვითარება გვაქვს იმ კლასიკოს მწერლებთან, რომელთაც თავიანთი ენობრივი პოზიცია აქვთ. ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი ჰ-/ს- პრეფიქსების ხმარებას მოითხოვენ ორპირიან გარდამავალ ზმნებსა და ერთპირიან ფორმებში. ამის დამადასტურებელ მაგალითებს უხვად ვხვდებით მათ ნაწერებში:

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა ჰ-/ს- პირის ნიშნებს იყენებს ერთპირიან ზმნებთან, ანუ ისეთ ზმნებთან, რომელთაც მხოლოდ მესამე სუბიექტური პირი შეეწყობა. ეს მოვლენა დასტურდება როგორც მის პროზაში, ასევე პოეზიაში და პუბლიცისტურ წერილებშიც: 1) ,, იქვე ქალაქის ტოლა, დიდი, მეტად დიდი სასაფლაო **მოსჩანდა**“ („დედამიწამ რა სთქვა?“ 159). ,,ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე **დასტკბება** ვეფხისტყაოსნით“ და გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდაც კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც ქართველი? არას დროს“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, 398). „გენიოსი **სდუღს,** იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც **სდუღს** და ნახევრად მოხარშულიცაა იმის გულში“ („ნიჭიერი მწერალი,“ 402). „ერთხელ **სჯობია** სიკვდილი

შავს ყოფნას ქვეყანაზედა!“(,, ხმა სამარიდამ,“ 12)

,,ხსოვნა კი ჩემის ქვეყნისა

აქვე, ჩემთანა **ჰმარხია“.** (,,ხმა სამარიდამ,“ 12).

,, რაც **ვსდუმდი** აქამომდისა,

ამაში გამიბარეთა“.(,,საახალწლოდ,“ 18).

ჰ- და ს- პრეფიქსები გვხვდება აგრეთვე ორპირიან გარდამავალ ზმნებთან, რაც ქართული სალიტერატურო ნორმების მიხედვით შეცდომად ითვლება.

,,დღევანდელ ნათესს ხვალ **მოჰმკის,**

თუკი რამ დაუთესია.“(,, საახალწლოდ,“ 13).

,,შენ სხვა **მოსძებნე** მხედარი,

მე წელს მოვიდრეკ ძალადა.“ („დანაბარები,“ 21).

,,ღმერთმა **დასწყევლოს** დიაცი,

მემრე ლამაზი ქალიო.“ („ფშავლის სიყვარული“, 69).

,,კარგა ხანია რაც ბ. იპ. ვართაგავა ჟურნალ „განათლებაში“ **ჰბეჭდავს** ჩემი ნაწერების შესახებ კრიტიკულ წერილებს...“ („კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, 406).

კონსტანტინე გამსახურდია

ჰ- და ს- პრეფიქსები ერთპირიან გარდამავალ ზმნებთან: ,, ქარაფზე გადადგა, უძახა უშიშარაისძეს, აღარსად **სჩანდა** იგი“. („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, გვ. 374). ,,ნეკერჩხლის შტოებს ლეწავდა ირემი, მოანგრევდა ტყეს და **მოჰქროდა** გამალებული, **სჩანდა** მადევრები მოსდევდნენ ფეხდაფეხ“. (იქვე, გვ. 20). ,, ხევის ყელთან **შესდგნენ** ორივენი“.(იქვე გვ. 22). ,,ახლა კი ეჭვი შეეპარა გიორგის ეგებ **სტყუოდნენ** მსტოვრები..“(იქვე, გვ. 21). ,, ჯერ მშვიდად **მისცურავდნენ** ცხენები.“ („მთვარის მოტაცება“, გვ. 38). ,, მე მეტწილად თავქვე ვიწექი და **ვსტირო- დი.“** (იქვე, გვ., 358). ,,ჩრდილო ჰორიზონტზე მწვანე ხავერდის მთები **სთვლემენ,** რბისფერი ნისლებით თავდახურულნი“(იქვე, გვ. 397). ორპირიანი გარდამავალი: ,,ჭაბუკმა მეფემ ხმლით **გაჰკვეთა** ბერძენთა მთავარსარდალი.“(დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა,“ გვ. 17). ,, იმ დათვის ტყავი უნდა მიმერთმიაო საახალწლოდ მეფისათვის, ამად **გავსწირე** თავი.“ (იქვე, გვ. 24). ,, ისევ **გამოსცალა** არაყი და ისე მოეჯღანა სახე..“ („მთვარის მოტაცება“, გვ. 35). „დაშა იქვე დაცუცქულიყო, ჭყინტ სიმინდებს **სწვავდა.“** („მთვარის მოტაცება“, 387).

„ტოლ-ამხანაგები დასცინოდნენ, ზურგს უკან ჰკიცხავდნენ“ („ეშმაკის ქვა“, გვ. 236). „არც მუშაობდნენ, არცა ჰხნავდნენ, არცა სთესავდნენ, მაგრამ ახლო-მახლო მათზე უკეთესად ბევრი აზნაურიც ვერა ცხოვრობდა.“ (იქვე, გვ. 237). „ორივენი შეჰბოჭეს და ციხეში ჩასვეს“ (იქვე, გვ. 238). „ფეხებით იბრძოდა ჰღმუოდა და რაღაცას ჰბუტბუტებდა, მაგრამ ყურს აღარავინ უგდებდა.“ (გვ. 245). „აჩქარებით ჰსუნთქავდა და ხანგამოშვებით პირში მომდგარ ნერწყვს ჰყლაპავდა“ (გვ. 242). „ის ერთი სიტყვა კვლავ ჰგრგვინავდა და ჰქუხდა.“ (გვ. 243).

ეს გახლდათ ის მაგალითები, რომლითაც ნათელი გახდა ამ მწერალთა პოზიცია ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით. მათი პოზიცია არ ემთხვევა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს არნოლდ ჩიქობავას ერთი გამონათქვამი მწერლის ენის მიმართ. „მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსს შენიშნოს და ხალხსა მიიღოს მწერლის ნათქვამი, ხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის.“ ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც მიგვაჩნია, რომ საჭიროა ყველა მწერალმა დაიცვას ის ნორმები, რაც დღეს ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობს, რათა თავიდან ავიცილოთ, ის უხეში დარღვევები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰ-/ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით არსებობს. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პრეფიქსიანი და უპრეფიქსო პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობა არ არის. აღსანიშნავია, რომ მათი კლება ან ზედმეტად ხმარება არ იწვევს მნიშვნელობის დაბნელებას. ენას არ ეუცხოება არც ნორმების მიხედვით მართებული და არც მცდარი ფორმები.

როგორც ჩანს, თუ ძველ ქართულში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების განაწილების მკაცრი წესებია, შემდგომ პერიოდში ვითარება შეიცვალა. საკმაოდ ჭრელი სურათი რომ გვაქვს ახალი ქართული მწერლობის ძეგლებში, ამას განხილული მწერლების საილუსტრაციო მაგალითებიც გვიჩვენებენ. საინტერესოა ა. შანიძის შეხედულება: „ერთადერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თითოეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისა როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიც და წერაშიც.“ სიტუაცია ქაოსურ შთაბეჭდილებას ქმნიდა ამიტომაც საჭირო გახდა ზემოთ ნახსენები ნორმის მიღება.

ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში გვეჩვენებინა მეორე სუბიექტურ და მესამე ირიბობიექტურ პირის ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებული სირთულეები, წარმოგვედგინა ამ პირის ნიშანთა მდგომარეობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მიგვაჩნია, რომ საჭიროა გამახვილდეს ყურადღება ამ საკითხებზე, რადგან ნორმებიდან გადახვევა, არამართებული ფორმების გავრცელება და გამოყენება იქნება ეს მწერლობაში, პრესასა თუ ტელევიზიაში საფრთხეს უქმნის ქართული ენის მთლიანობას, მონოლითურობას. ენა ცვალებადია, ცვალებადია მისი კანონებიც, შეიძლება ერთ დროს ნორმად ქცეული წესი მეორე დროისათვის უმართებულოდ ჩაითვალოს. აკი თავად ილია ამბობდა: „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ამიტომ ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავს.“

ლიტერატურა:

1) ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი მეორე, თბ., 1981.
2) ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი მეორე, თბ., 1981.
3) ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 3, 1923.
4) ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
5) გ. გოგოლაშვილი, ქართული ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა, თბ., 2013.
6) ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990.
7) ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მშობლიური ლიტერატურა 8 კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2004.
8) თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, (სალიტერატურო ენა), თბ., 2011.
9) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1986.
10) ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი 1, მაინის ფრანკფურტი, 1996.
11) კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება, თბ., 1990.
12) კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 1990.
13) ლ. ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. 19, თბ., 2005.

„დიდი გოდების მცირე ნაკადი“
(ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებების მიხედვით)

მარიამ კვაღნიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე**, უფროსი მასწავლებელი

„1912 წელს ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან. ზაფხულის ცხელი დღე იყო. ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე შორიდან თვალი მოვკარი ნიკოს... თეთრი გაქათქათებული კოსტიუმი ეცვა. ისეთი ფაქიზი იყო, საერთოდ, რომ მეშინოდა... მენანებოდა, ქუთაისის მტვრიან ქუჩებში რომ დადიოდა“ [5,14]. ცნობილი მწერლის ეს მოგონება ნიკო ლორთქიფანიძის არა მხოლოდ გარეგნული სინატიფის, არამედ მისი სულიერი სისპეტაკის აღმნიშვნელია, იგი 1880 წლის 17 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში დაიბადა, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შემდეგ სწავლობდა ხარკოვისა და ავსტრიის უნივერსიტეტებში. 1907 წლიდან, სამშობლოში დაბრუნებული მწერალი, ეწევა აქტიურ სამწერლო-პედაგოგიურ საქმიანობას. ნიკო ლორთქიფანიძე - ეს სახელი უძვირფასესია ყოველი ქართველისათვის. მასთან და მის თანამოკალმეებთანაა დაკავშირებული ქართული მწერლობის განახლების, ახალი ფორმებისა და მიმართულებების საკითხი. „იყიდება საქართველოს“ ავტორის სამწერლო სტილი იმპრესიონისტულია. „იმპრესიონიზმი“ ფრანგული სიტყვაა და შთაბეჭდილებას ნიშნავს (იგი საფრანგეთში წარმოიშვა). მწერალი ავსტრიაში გაეცნო ამ მიმართულებას და მისაღები გახდა მისთვის. მის მიერ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ მინიატურულ-ნოველურ, დეპეშურ სტილს კარგად მოერგო წერის იმპრესიონისტული მანერა, რომელიც დაფუძნებული იყო არა ხელოვანის წინასწარი ნაფიქრის გადაწყვეტაზე, არამედ წამიერ აღქმაზე, უეცარ გრძნობებზე, სიტყვის მომჭირნეობაზე. იმპრესიონისტული სტილის ნაწარმოები თითქოს დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. მწერლის აზრით, ასეთი თხზულება უკეთესია, რადგან „მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის“ [1, 71]. ტრდიციულ გაბმულ თხრობას ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებში ენაცვლება მთელი ამბის, მოვლენის ერთი ნაწილის ფრაგმენტული გადმოცემა, რომლებშიც ღრმა ფსიქოლოგიზმი და ემოციურ-მგრძნობიერი მხარეა წამოწეული. ავტორი ახერხებს ერთი შეხედვით მარტივი ამბავი განაზოგადოს და მას ეროვნულ-საკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭოს. ნიშანდობლივია, რომ მწერლის მხატვრულ ქმნილებებში არ ჩანს დრო, პერსონაჟებს არ აქვთ სახელი და გვარი. უმეტესად არ სახელდება მოქმედების ადგილი. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ევროპული მიმდინარეობა არ გადმოიღო ბრმად. იგი მდიდარ სამწერლობო ტრადიციებს, ქართული ენის ბუნებას შეუხამა, ქართულ ნიადაგზე გაახარა და უხვი მოსავალიც მიიღო.

ეროვნული და სოციალური თემატიკა არის ნიკო ლორთქიფანიძის ქვაკუთხედი. იგი მწვავედ განიცდის სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობას, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს მწერლის თანამედროვე ქართული საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სიმდაბლე, უკიდურესი სიღატაკე. „...სული დაკნინდა, სული... სული აშენებს... სული ქმნის... აპოხიერებს მიწას, ეს სული დაიკარგა...“ [9, 23]. იგი გაყიდული თუ გასაყიდი, ბუდემონგრეული სამშობლოს, უცხო მიწაზე დაღუპული შვილების, უგმირო ტრაგედიების ერთი უპირველესი ჭირისუფალია.

მწერალი სერგო კლდიაშვილი იგონებს: „ნიკო ლორთქიფანიძე გამოვიდა: „საქართველო იყიდება“ - თქვა და დარბაზი გაინაბა. ეს იყო მეტად გაბედული, დამაჯერებელი, შთამაგონებელი სიტყვები. თანაც ისეთ რიტმში დაწერილი, რომ თითქოს ზარის რეკვა გვესმოდა, ახალი ზარის რეკვა“ [5, 15]. მინიატურა - „იყიდება საქართველო“ ქართული პროზის შედევრია. იგი შეიძლება მწერლის შემოქმედების მეთაურ ნაწარმოებად ჩაითვალოს. ეს მცირე თხზულება თავისი ღრმა და უნაპირო განცდა-ტკივილით, შემზარავი სიმართლით, მის ქმნილებებს ერთ მთლიანობად ჰკრავს. ჩვენი, თითოეული ქართველის გულს უნდა ჰზარავდეს ეს სიმართლე, ტკივილს და თანაგრძნობას იწვევდეს ჩვენში. დამნაშავედ უნდა ვიგრძნოთ თავი - შეიძლება თავადაც ვყიდდეთ ჩვენი დუმილით და უმოქმედობით სამშობლოს. პარალელი შეიძლება გავავლოთ ილია ჭავჭავაძის „ბედნიერ ერთან“, რომელიც ასევე უაღრესად გულახდილია და პირდაპირ ამცნობს „უძლურ ჭირისუფლებს“ სიმართლეს.

სამშობლოსადმი სევდა და სიყვარული ორიგინალურად არის გადმოცემული მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“. ნაწარმოებს სათაურის ქვეშ ასეთი მინაწერი აქვს - „დიდი გოდების მცირე ნაკადი“, რომელიც ჩვენი ნაშრომის სათაურიცაა. ნიკო ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება, მართლაც, სხვადასხვა ცრემლიანი ნაკადისაგან შემდგარი ერთი დიდი მოთქმა-გოდებაა. ეს ეპიგრაფი არსებითად განსაზღვრავს მწერლის ტრაგიზმით სავსე თხზულებების სევდიან პათოსს. „შელოცვა რადიოთი“ ამ დიდი ტკივილის ერთი „მცირე“ შენაკადია. მოთხრობის პერსონაჟი, ქართველი ქალი, ელი ბედმა ათასი გზით ატარა. არ გაუმართლა ორმა ქორწინებამ... იცვლებიან სატრფოები, კავალერები. ბოლოს მიუნხენში ხდება ორი უცხოელის - ინგლისელი ჰექსლეის და ამერიკელი ბრომლეის მეტოქეობის საგანი. ელის სამშობლოს ნახვა მოეძალა. ამერიკელი ჰპირდება საქართველოში წაყვანას, მაგრამ ელიმ ეს უნდა დაიმსახუროს... გველებთან ცეკვით. მას გველი ჰკბენს. ელი მოითხოვს თბილისიდან შელოცვას რადიოთი, მაგრამ ქართული ხმა დაგვიანებით აღწევს მომაკვდავთან. ელი საქართველოს სიყვარულს შეწირული ემიგრანტი ქართველი ქალია, მშვენიერების სიმბოლოა, რომელმაც ცოდვა-მადლით სავსე გზა გაიარა და სამშობლოს სპეტაკი სიყვარულით განწმენდილი, თავისი ნაწამები და დამწვარი სხეულის ფერფლით მოეფერა დედა-თბილისს. ქართული რადიოს შელოცვით განკურნება სიმბოლურად ნიშნავდა მომაკვდავი ქალის სამშობლოსგან დალოცვას. მწერალი ასეთ თვითშეწირვაში ხედავს ქვეყნის ხსნას.

ქართველი ემიგრანტის მძიმე ყოფას, ეროვნულ-პატრიოტულ თემატიკას ეხმიანება ასევე ნოველა „გული“. ამ პატარა თხზულების გმირი - ქართველი კაცი უცხოეთში გარდაიცვალა. ექიმისგან გაკვეთილ სხეულში გული არ აღმოჩნდა. ყველა გაკვირვებული იყო. თავზარდაცემული დედა ქვითინებდა:

„სადაა შენი კარგი გული?...

მე დავაჭკნე!

მე დავწვი!“ [1, 7]

- გადმოსძახა კედლიდან პატარა რუკამ.

ჩვენ არ ვიცით ამ ადამიანის ვინაობა, როგორ, რა მიზეზით მოხვდა უცხოეთში, რით ცხოვრობდა და სხვა, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ მისი გული სამშობლოს სიყვარულმა დაფერფლა. რუკა - სიმბოლოა საქართველოსი. „გული“ პირდაპირ განსაზღვრავს ავტორის პატრიოტიზმსა და გულის ფეთქვას: „სიმძიმეს გირვანქით ზომავენ, სიგრძეს - ადლით, დროს - წუთით, მაგრამ ამ პატარა გულში გამეფებული ტრავმა რით გაიზომება? ჩემს მწუხარებას შემოდგომის ცაც ვერ გამოიტირებდა“ [9, 330].

დიდი გოდების ნაწილია სულისშემძვრელი ნოველა „ტრაგედია უგმიროთ“. გმირი არ ჰყავს ნაწარმოებს. „გმირი“ ის საშინელი სიღატაკე და შიმშილია, რომელიც მგლად აქცევს ადამიანს, საზოგადოება, სადაც ერთეულები ფლობენ მილიონებს, მასა კი ლუკმა-პურის ძიებაშია. ეს ნოველაც იმპრესიონისტულია, უჩვეულო ამბით, ღრმა ფსიქოლოგიზმით, მძაფრი განცდებით. ერთი კალმის მოსმითაა დახატული შიმშილის გრძნობით გამოწვეული ტრაგედია. შიმშილის გრძნობისგან გათანგული მამა დამშეულ ბავშვებს სცემს და მჭადს შეუჭამს: „შიმშილის ალქაჯმა მხეცად აქცია მამა: ბავშვები გალახა და გაყარა...“ [2, 390]. ბავშვების კვნესა აფხიზლებს მშობელს, თუმცა აქ იწყება ტრაგედია - სინდისი ჰქენჯნის, სულიერი ტკივილი ანადგურებს: „...მე შევჭამე... რა ვქენი! რა ვქენი! ღმერთო, რა მომივიდა?...“ [2, 390]. სულიერად განადგურებული მამა თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს.

დრო არც აქაა დასახელებული, რადგან მნიშვნელოვნად არ მიაჩნია ავტორს. მწერალს უფრო აინტერესებს, რა გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე ყოფითი, მძიმე ცხოვრებისეული ტრაგედია. ადამიანს დაბადებიდანვე დაჰყვება ორი საპირისპირო ძალა - კეთილი და ბოროტი, ყოველ ჩვენგანშია მიძინებული მხეცი, რომელსაც თუ შესაბამისი პირობები შეექმნება, მეტ-ნაკლებად მოსალოდნელია მისი გაღვიძება. ამის ტიპური ნიმუშია „ტრაგედია უგმიროთ“, სადაც ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა მგლად აქცია ოჯახის მამა.

„თავსაფრიანი დედაკაციც“ ოჯახური რკალის კიდევ ერთი ტრაგედიაა, უფრო განსხვავებული. აქ ოჯახის დედა, რომელმაც უამრავ განსაცდელს გაუძლო, უქმროდ, დიდი გაჭირვებით გაზარდა შვილები, მათივე უმადურობის მსხვერპლი შეიქნა. შვილიშვილისთვის მოქსოვილი წინდა ვერ გაიყვეს რძლებმა და შვილებმა და ამაგდარი მოხუცი დაამცირეს: „რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! ... ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?...“ თავზარდაცემულ დედას „წინდები ხელთ გავარდა. სიტყვა არ ამოუღია, შეისწორა თავსაფარი...“ [2, 81]. ამ რამდენიმე სიტყვაში ჩანს უზომო გულის ტკენა და ერთგვარი სიამაყე დედისა, ტრაგედია და სევდა უმადურობისა. შვილებმა ვერ გაიგეს დედის დაკარგვა, არც მოძებნეს - ეძვირათ. წავიდა თავსაფრიანი დედაკაცი, ილიას ოთარაანთ ქვრივის დარი და ტოლი. გაიღო ყველაფერი შვილებისათვის, იცხოვრა რწმენითა და სიყვარულით, მარადიულ გზაზე გაიყოლა ეს ორი გრძნობა. ავტორი კიდევ უფრო ამძაფრებს ტრაგიზმს სიტყვებით: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან...“ [2, 83]

„მე ჩემი სამშობლოს ავადმყოფობით ვარ ავად მორჩება ის და მეც მოვრჩები“ [10, 23] -წერდა ნიკო ლორთქიფანიძე 1908 წელს. მისი შემოქმედება - ესაა მოთქმა-გოდება სამშობლოს ბედზე, ადამიანებზე.

თავისი ორიგინალური შემოქმედებით მოგვიწოდებს, მოვუაროთ საქართველოს, მოვუფრთხილდეთ ადამიანურ სინდისსა და ზნეობას.

ლიტერატურა:
1. ნიკო ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტომი I, თბილისი, 1958;
2. ნიკო ლორთქიფანიძე, ერთტომეული, თბილისი, 1981;
3. ოთარ ჩხეიძე, ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა, „რკალი“, თბილისი, 1986;
4. დემნა შენგელაია, წერილები, თბილისი, 1985;
5. სერგო კლდიაშვილი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1955;
6. ქართველი მწერლები სკოლაში, ნიკო ლორთქიფანიძე, მეცხრე წიგნი, თბილისი, 2000;
7. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტომი I, გამომცემლობა „მოწამეთა“, ქუთაისი, 1994;
8. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998;
9. სერგი ჭილაია, ოცწლეული, თბილისი, 1986;
10. ჟურნალი „ნიშადური“, N49, 1908.

რამდენიმე ქართულ-უცხოური (აფრიკული) ზღაპრის ტიპოლოგიური ანალიზისათვის

ნათია ტერტერაშვილი, ნათელა საზანდრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ქეთევან ბარბაქაძე,** ასოცირებული პროფესორი

ზღაპარი ხალხური პროზის წამყვანი ჟანრია. მასში ასახულია ხალხის სანუკვარი იდეალები. აქ, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი: კეთილი და ბოროტი. მათი ბრძოლის ფონზე ნაჩვენებია მთელი ცხოვრება და მისი რეალიები. ზღაპარი უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულია ხალხის ყოფაში და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. იგი მარადიული მშვენიერების, ნათელი მომავლის, სიცოცხლის, სიკეთის, თავისუფლების, სიყვარულის, შრომისა და ბრძოლის ჭეშმარიტი ქებათა ქებაა. ზღაპარი ერთ-ერთ იმ უმშვენიერეს სიტყვიერ ქმნილებათაგანია, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუქმნია. მის საფუძველში ძევს ფართო მხატვრული განზოგადოების უნარი, რაც ზღაპარს წარუვალ ფასეულობათა რიგში აყენებს. „დრომ, ყველაფრის დამთრგუნველმა და ფერშემცვლელმა, ვერ მოახერხა ზღაპრის დაბერება. ზღაპარი უძველესი დროიდან მოდის და, მიუხედავად გარკვეული სიმყარისა და კონსერვატულობისა, კულტურის სხვა დანარჩენ მონაპოვართა მსგავსად ისტორიულ ცვალებადობას ექვემდებარება. ამიტომაცაა იგი მუდამ თანამედროვე, რომ ახალ ეპოქათა მოთხოვნილებების კვალობაზე შეივსება - გამდიდრდება ხოლმე ახალი ენერგიით“ (5 :3)

ზღაპარი ბავშვობიდან თანაცხოვრობს ადამიანებთან და ისეთი ხიბლი აქვს, მრავალგზის შეგვიძლია მოუწყენლად მოვისმინოთ. განუმეორებელია მისი სამყარო, პერსონაჟები, მაგრამ უფრო ფასეულია ის იდეალები, რომელთაც ზღაპარი ამკვიდრებს. ხალხის მორალურ-ესთეტიკური წარმოდგენებიდან, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება იდეათა გარკვეული შინაარსი, ყურადღებას იქცევს ქვეყნად სიკეთისა და მატერიალური კეთილდღეობის, სიმართლისა და სამართლიანობის, ადამიანურ ურთიერთობათა სილამაზისა და, მათ შორის, თანხმობის დამკვიდრება.

ზღაპარი ხალხის სულიერი კულტურის ნაწილია. მასში სიმბოლურ დონეზე მშვენიერი და ამაღლებული დაპირისპირებულია მახინჯსა და მდაბალთან. მშვენიერია ის ოცნებები, რომელთა ცხოვრებაში დამკვიდრებას ცდილობენ გმირები, ისინი, ვის სახეებშიც ჩაქსოვილია ხალხის სული და ხასიათი, მსოფლაღქმა და ფსიქოლოგია, უკვდავი ოპტიმიზმი. ზღაპარი მოწოდებულია ხალხის მასების ესთეტიკური და პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს განსაზღვრავს მის

მნიშვნელობასა და ადგილს ერის კულტურაში. „ხალხის გამოცდილება და გარესამყაროზე დაკვირვების შედეგები აქცევს ზღაპარს ერის სულიერ საზრდოდ, მისი ისტორიის გათვალისწინების საშუალებად“ (5:4)

რაც შეეხება ზღაპრის გავრცელებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ადვილად გადადის კუთხიდან კუთხეში და ქვეყნიდან ქვეყანაში. მის მოძრაობას ხელს უწყობს ხალხთა შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი. ვარაუდობენ, რომ ამით აიხსნება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა შორის ერთნაირსიუჟეტიანი ზღაპრების დამკვიდრება, თუმცა, ქართული ზღაპრის ფორმა, სტრუქტურა ბევრ რამეში ენათესავება როგორც მეზობელ ხალხთა ეპოსს, ისე ისეთ ხალხთა ზეპირსიტყვიერებას, რომლებთანაც ქართველებს არავითარი ამგვარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამასთანავე, მკვლევარები იმასაც ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მსგავსებამ დამოუკიდებლად წარმოშვა მსგავსი სიუჟეტები. ყველა ხალხის ზღაპრებში ის თემები, მოტივები და იდეებია წამოწეული, რაც მისი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და ყოფისათვის არის დამახასიათებელი.

ამჟამად, ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს აფრიკული ხალხური ზღაპრების ურთიერთობის საკითხი ქართულ ხალხურ ზღაპრებთან.

ქართული ზეპირსიტყვიერება ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ხალხური შემოქმედებაა. საუკუნეებს გაუძლეს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს წინაქრისტიანულმა, წარმართობისდროინდელმა ქართულმა ზღაპრებმა. დიდი ხნის წინათ იხსენიებენ ქართული წერილობითი წყაროები ზღაპარს, მას არაერთგზის ვხვდებით, აგრეთვე, ძველ ქართულ მწერლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟანრის მნიშვნელობა ძირითადად დღესაც იგივეა, რაც მას უძველეს წარსულში ჰქონია. ჩვენს წინაპრებს ზღაპარი ესმოდათ, როგორც ფანტაზიის მეშვეობით შექმნილი, მოგონილი ამბავი და მას ყოველთვის სინამდვილის საპირისპირო მნიშვნელობით ხმარობდნენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ზღაპარი „არს მოგონებულ ტყუილი ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით“, ე.ი. ზღაპარი მოგონილია და არა ნამდვილად მომხდარი ამბავი. ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოძრავი ჟანრია. იგი იმთავითვე ძალიან იოლად გადადიოდა კუთხიდან კუთხეში და ქვეყნიდან ქვეყანაში. ქართულ ზღაპარში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ბედუკუღმართი წარსული, სოციალ-პოლიტიკური თუ ეროვნული გასაჭირი, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, სოციალური უთანასწორობისა და შიმშილ-სიღატაკისაგან თავდაღწევაზე ოცნება, ანუ ხალხურ ზღაპრებში ჩვენი ხალხის წარსულია არეკლილი. ყველა ხალხის ზღაპრებში ის თემები, მოტივები და იდეებია წინ წამოწეული, რაც მისი შემქმნელი ისტორიისა და ყოფისათვის არის დამახასიათებელი. ქართული ზღაპრები მდიდარი და მრავალფეროვანია. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში გავრცელებულია ცხოველთა ზღაპრის 130 ტიპი. აქედან, საერთაშორისო ფოლკლორში ცნობილია – 64, ორიგინალურია – 66.

ხოლო აფრიკის ხალხთა ზღაპრები ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც თვით აფრიკის მოსახლეობა. ერთი შეხედვით პრიმიტიული და ჩვენთვის უჩვეულო ზღაპრებისა და ლეგენდების გვერდით გვხვდება როგორც ფორმით, ისე შინაარსით სრულყოფილი ზღაპრები. ცხოველთა ზღაპრების გვერდით - ჯადოსნური და საყოფაცხოვრებო ხასიათის ზღაპრები. აფრიკის მოსახლეობაში ფოლკლორს დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ზღაპარია მათი ნებისა და სურვილის გამომხატველი, მასწავლებელი წინაპართა გამოცდილებისა და ცოდნისა; დამრიგებელი, ტრადიციებისა და ძველი ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების შემომნახველი.

აფრიკულ ზღაპრებს ხშირად გადავყავართ ჩვენთვის უცნობსა და გაუგებარ სამყაროში. ყველაფერს, რაც კი ძნელი გასაგებია, რასაც ადამიანის გონება ვერ სწვდება და ვერ ხსნის, აფრიკელი ხალხი უკავშირებს რაღაც განსაკუთრებული ძალის არსებობას, ძალებისა, რომლებიც უჩინრად, ადამიანის გარეშე კი არ არსებობს, არამედ მათ გვერდით არიან. აფრიკელი ხალხი ასულიერებს მთებს, მდინარეებს, კლდეებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ყველაფერი ცოცხლობს, მოძრაობს, ადამიანივით მოქმედებს. აფრიკულ ზღაპრებში გამოიყოფა შემდეგი ზღაპრები: ბუშმენთა, ჰოტენტოტების, ხაძაპების, ირაკუს, მასაების, ზულუსების, ლუნდთა, სუტო-ჩვანთა, ლამბთა, სუაჰილების, განდების, კოსაების, აკამბათა, ბასუმბას, კიკუიუების, იორუბათა, დაგომელების და სხვათა.

აფრიკული ზღაპრის „მოჩუანას ანდერძი“, რომელიც სუტო-ჩვანთა ზღაპრების მიეკუთვნება, ქართული ხალხური ზღაპრის ანოლოგია, მისი სახელწოდებაა ქართულში „მამის ანდერძი“. აფრიკულ ზღაპარში მოთხრობილია: ბელადი მოჩუანას სიკვდილის ჟამი. სანამ გარდაიცვლებოდა მან შეკრიბა თავისი ტომის ხალხი და უთხრა: „მე მივდივარ, ახლა თქვენ იცით, იცხოვრეთ მეგობრულად და შრომაშიც მუდან ერთად იყავითო“. მერე აიღო თავისი კვერთხი და ბრძანა, ყველამ თქვენ - თქვენი მოიტანეთო. კვერთხები რომ შეაგროვეს, ერთი ცალი იქვე მდგომ კაცს მისცა და უთხრა, გადატეხეო. კაცმა კვერთხი ადვილად გადატეხა.

შემდეგ მოჩუანამ ერთად შეკრა ყველა კვერთხი და უბრძანა ხალხს, ახლა ეს გადატეხეთო. ხალხი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ თქვა მოჩუანამ: „აი, რა ძალა აქვს ერთობას. ერთი კვერთხის

გადატეხა ადვილია, ყველა ერთად კი ვერავინ გადატეხა. ასევე მოგივათ თქვენ, თუ ცალ-ცალკე იცხოვრებთ, მტერი ადვილად დაგამარცხებთ. ეს ამბავი სამუდამოთ უნდა დაიმახსოვროთო.“

„მამის ანდერძშიც“ იგივე შინაარსის რამ არის მოთხრობილი. აქ უფრო ოჯახური სცენაა. მამა სანამ გარდაიცვლება ამ ყველაფერს შვილებს დაუბარებს მსგავს სიტუაციაში. მამა სიკვდილის წინ მოიხმობს თავის ხუთ შვილს, უფროს ვაჟს ეტყვის: „შვილო, შენი ისარი მომაწოდეო, უფროსი მიაწოდებს ისარს და მამა თვალის დახამხამებაში გადატეხავს, შემდეგ ეტყვის: შვილებო, თვენი ისრები მომაწოდეთო, მამას გაუჭირდება ისრების გადატეხვა, ამის შემდეგ შვილებს ეტყვის: აი ხომ ხედავთ, ჩემო შვილებო, თუ ერთად იქნებით, მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ხოლო თუ ერთმანეთს დაკარგავთ, მტერი მალევე გაგტეხთო .“

აფრიკული ზღაპარი „ხარბი ქალი“ იორუბათა ხალთა ზღაპარს მიეკუთვნება. ამ ზღაპრის სიუჟეტი ძალიან ჰგავს ქართულ ხალხურ ზღაპარს „დედინაცვალი და გერი“. ორივე ზღაპარში წარმოდგენილია ხარბი და სათნო ადამიანი. აფრიკული ზღაპარი მოგვითხრობს ღარიბი გოგონას და ხარბი გოგონას ამბავს, რომელშიც ღარიბი გოგონა მაიმუნის დახმარებით და ჯადოსნობით გამდიდრდა და თავი დააღწია სიღარიბეს. ხარბი გოგონა თავისი შურით და სიბოროტით კი არ გაამდიდრა მაიმუნმა, არამედ, საერთოდ, ისიც დააკარგინა, რაც ჰქონდა. ქართულ ზღაპარში კი, გოგონა თავისმა სიკეთემ იხსნა. მას მოხუცი დედაბერი დაეხმარა და თავისი ჯადოსნობით იხსნა სიღარიბისგან და დედინაცვლისგან, ხოლო დედინაცვლის ხარბი შვილი მოხუცმა დედაბერმა ურჩხულად აქცია.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აფრიკის ხალხთა ზღაპრებში ადამიანებს ყოველთვის აქვთ სახელი, ქართული ხალხური ზღაპარი კი ამით განსხვავებულია. თითქმის ყველა ზღაპარში ადამიანები „ქალად“, „კაცად“, „მოხუცად“ მოიხსენიება, გამონაკლისებია „ზღაპარი ივანე ცისკრისა“ და „საკვირველის ზღაპარი“, რომელშიც ნახსენებია ვინმე გიორგი ბეჯითაშვილი: „ი, ი, ი! შვილოო! ეგ რა საკვირველიაო, საკვირველები გიორგი ბეჯითაშვილმა იცისო“ (4:191). აგრეთვე, ადგილის სახელწოდებები გვხვდება აფრიკულ ზღაპრებში, ხოლო ქართულში არა. ამ მხრივ ქართულ ზღაპრებში ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ზღაპარი „კირბალელისა და ზერტელის ამბავი“.

„ჰაუსების“ და „ეთიოპიის“ ზღაპრები ძირითად ისე მთავრდება, რომ მისი დასასრული კეთილი არ არის, რაც ნამდვილად არ ახასიათებს ქართულ ხალხურ ზღაპრებს. აქ ცხოველთა ზღაპრები ძირითადად გაურკვევლად მთავრდება. სიკეთე და ბოროტება ბათილდება და ზღაპარში ახლად გამოჩენილი გმირი ამთავრებს ზღაპარს. მაგალითად: „გველი და მორიელი“; „გომბეშო და თაგვი“ და ა.შ.

არის ისეთი ზღაპრები, რომლებიც სიკეთის გამარჯვებით არ მთავრდება. მაგალითად: „მელა და არწივი“; „ცოდვილი ვირი“ და ა.შ.

საყურადღებოა ის, რომ რამდენიმე აფრიკულ ზღაპარში, ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად, მოთხრობილია მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გაჩენის ამბავი. მათში მოთხრობილი ისტორიები თითქმის იდენტურია. მაგალითად, აფრიკული ზღაპრები: „როგორ აისროლეს ბავშვებმა ცაში მზე“, „როგორ გააჩინა ქალიშვილმა ცაზე ვარსკვლავები“ ემსგავსება ქართულ ზღაპრებს.

ქართულ ხალხურ და აფრიკულ ხალხურ ზღაპრებს შორის ყველაზე დიდი მსგავსება ჩანს ცხოველთა ზღაპრების კატეგორიაში. ქართულ ზღაპრებში, როგორც ცნობილია, მელია არის ცბიერების სიმბოლო, აფრიკულ ზღაპრებში მის პროტოტიპს განასახიერებს ტურა. მაგალითად, ზღაპარში „როგორ ნადირობენ ერთად ტურა და ლომი“. ეს ზღაპარი ჰოტენტოტების ზღაპართა რიგში შედის. მასში ტურა თავისი მოხერხებულობით ატყუებს ლომს და ბოლოს დასცინის კიდეც და დაამარცხებს მოწინააღმდეგეს. მისი მსგავსია ქართული ხალხური ზღაპარი „დათვის, მგლისა და მელიის ამბავი“. ასევე, ზღაპარში „ლეოპარდი და ტურა“ ტურა კვლავ თავისი ცბიერებით ცდილობს გამარჯვებას, მაგრამ თვითონვე გაებმება საკუთარ მახეში. მისი ანალოგია ქართული ზღაპრები: „დათვი, მელია და მგელი“, „მელია და კაკაბი“, „მელია და მწყერჩიტა“, რომელშიც ჩართულია ხალხური ლექსი:

„კაკბისა მოსატყუარსა
ვაი-ვაგლახი მელსაო,
ჰქონდა მშიერი მუცელი,
რაღა დიდება ღმერთსაო!..“(5:253)

ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება ცხოველზე ქალის მითხოვების ფაქტები. ასევეა აფრიკულ ზღაპარშიც „ქალი და სპილო“, რომელიც ჰოტენტოტების ზღაპრებს მიეკუთვნება. ქალი ცოლად გაჰყვება სპილოს, მაგრამ, ქართული ხალხური ზღაპრების მსგავსად, მათი შეუღლება მთავრდება ცხოველის დაღუპვით. ამ ზღაპარშიც სპილო ქალის, საკუთარი ცოლის, მიზეზით იღუპება. ქართულ ხალხურ ზღაპარშიც „სამი და“ ქალი ცოლად მიჰყვება გველეშაპს, რომელიც სინამდვილეში ადამიანი ყოფილა. აქ ვკითხულობთ: „წამოიყვანა გველეშაპმა ეს ქალი და წამოვიდა. წინ გველეშაპი მიცურავს და უკან ქალი მისდევს. იმ სოფელს რომ გასცდნენ, გადაიძრო გველეშაპმა ტყავი და ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდა, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა“ (5:33).

აფრიკულ ზღაპრებში ხშირია ადამიანის ცხოველად ქცევის შემთხვევები. მაგალითად, ხაძაპების ზღაპრებიდან ერთ-ერთში, „სპილობანას თამაშში“, მოთხრობილია შემდეგი ამბავი: დიდი ხნის წინ ბავშვებმა სპილობანას თამაში აიჩემეს. ისინი ყურებს უცნაურად, თითქოს ფრინველების ფრთებიაო, ისე აქანავებდნენ - ხან მაღლა ასწევდნენ, ხან ძირს დაუშვებდნენ. მათ თამაშში მშობლებიც აჰყვნენ მოხუცების რჩევის მიუხედავად. მალე დედამიწაზე ჩამოვიდნენ, იშოკო და ხაინე და დასაჯეს ყველა მოთამაშე და გადააქციეს სპილოებად, ხოლო, ვინც არ თამაშობდნენ, იმათ ნება დართეს, რომ დაეხოცათ ისინი. ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც გვაქვს მსგავსი შემთხვევები, მაგალითად, ზღაპარში „იხვი - მზეთუნახავი“ ქალები გადაიქცნენ იხვებად: „(მონადირემ) ნახა, - სამი მზეთუნახავი ქალი ზის და ბანაობს. რო გაათავეს ბანაობა, ჩაიცვეს იხვის ტყავი და გაფრინდნენ“ (4:200).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სუაჰილებს ერთ-ერთმა ზღაპარმა „ამბავი კაცისა, ცხოველების ენა რომ იცოდა“. იგი შინაარსით ძალიან ახლოს დგას ქართულ ხალხურ ზღაპართან „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რო იცოდა“.

ქართულ-აფრიკული ზღაპრების შედარება-შეპირისპირების საქმეში საინტერესოა ისიც, რომ რამდენიმე ჩვენ მიერ შესწავლილი აფრიკული ზღაპარი იწყება ასე: „იყო და არა იყო რა“. ასეთთა რიგს განეკუთვნება: „უჭკუო ქმარი“, „ორი ბრიყვი“, „ორი მეგობარი“, „ამბავი ოთხი ძმისა“ და ა.შ. ეს ქართული ზღაპრებისათვის დამახასიათებელი დასაწყისი, ვფიქრობთ, მთარგმნელების სუბიექტური გადაწყვეტილებაა.

ქართული ხალხური ზღაპარი მსოფლიო ხალხთა ზღაპართა რიგში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ჩვენი მიზანი იყო, შეგვედარებინა იგი აფრიკულ ზღაპრებთან. ჩვენ საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ზღაპრებსა და აფრიკულ ზღაპრებს შორის არსებობს რამდენიმე სახის მსგავსება: სიუჟეტური, გმირის ხასიათის, მოტივების, ფაქტობრივი, იდეური.

ლიტერატურა:

1. თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ., 2002.
2. თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2001.
3. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, აფრიკული ზღაპრები, 1974.
4. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1949.
5. ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1986.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო იარაღები და ობიექტები („დავითფერული“, „ორმო“, „მარანი“, „ქვა–კლდე“)

მარი ტოტიკაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უხსოვარი დროიდან გავრცელებული იყო და დღესაც გვხვდება საკულტო იარაღები და ობიექტები. მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ხმალი, „დავითფერულის“ სახელწოდებით.

ამ ხმლის სახელის წარმომავლობა დღეისათვის შეუსწავლელია. „დავით ფერული“ ნაწარმოებია ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან - „დავითისა“ და „ფერულისგან“. სიტყვა „ფერული“ შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ „ფერ“-ძირად და „ულ“-სუფიქსად. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ფერი“ ასეა განმარტებული: შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე.

ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: ფერი საღებავი (სახე, ხატი, გვარი, ნაირი). ხოლო მრავალი ფერის აღსანიშნავად იხმარება „ათასფერი“ და სხვ. გვხვდება გამოთქმები მაგ: „ამ კაცს ცუდი ფერი ადევს“. კაცის ცუდი ფერი მის შინაგან განწყობაზე მიუთითებს, „ბავშვს შიშისგან

ცუდი ფერი დაედო“, გვაქვს გამონათქვამები „მწიფე მსხლის ფერი“ და სხვ. ბევრ შემთხვევაში ფერს ამბობენ და ვხვდებით საგნის არსს. მაგ.: „მსხალი მწვანეა“, იგულისხმება, რომ მსხალი მკვახეა.

სიტყვა „რა ფერ“? კონტექსტში გვანიშნებს ძალაზეც, როგორ? რა უნარით? და სხვ. ამ ფორმით კი იგი იძლევა ფერის სხვა გაგებასაც, მაგალითად: „ბაჭყურას ღიმილი უცბად გაუქრა სახიდან და მგლის ფერი გადაეკრა“ [1; 80]. ასეთ შემთხვევაში ნახსენები მგლის ბეწვის ფერი არ არის ნაგულისხმევი, აქ მგლის შინაგანი განწყობილებაა ნავარაუდევი - მგელი მრისხანე, დაუნდობელი.

სიტყვა „ფერიდან“ ვიღებთ სიტყვა „მოფერებას“; მოფერების სინონიმებია მოსიყვარულება, მოალერსება, მოსათუთება. ასეთ შემთხვევაში სიტყვა „მოფერება“ ნიშნავს კარგი განწყობის გადაცემას მეორე პირზე. ასეთი უნარის „გადაცემა“ ადვილად შესაძლებელია აღნიშნულ ხმალზეც: დავითის ფერებული, ე.ი დავითის ნაქები, შექმნილი, ან დავითისგან ძალამოცემული ნივთი. აქედან გამომდინარე შეიძლებოდა აღნიშნულ ხმალს შერქმეოდა „დავით ფერული“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში სიტყვა „ფერს“ ხშირად ცვლის „იერიც“, ბევრ შემთხვევაში „ერი“ და „ძალაც“, მაგალითად:

„ხთის კარზე შავიყარენით სამას სამოცდა შვიდნია
სამას სამოც ფუთ რკინასა ძირ ვინ გაუდენს ქარია?
ყველას ბოლოში მე ვზივარ, ყველას ჩემზე აქ თოლია;
მაგას იახსარ აიღებს , მაგას აქვს მაგის ერია.“ [2;343]

ქართული ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი გმირის ორმოში, ქვესკნელში ჩასვლა და იქ საგმირო თავგადასავლების გადახდაა. მაგალითად, ზღაპარში „ასლანის გაზრდილი“ ჭაბუკის გმირობის უმეტესი ნაწილი ორმოში ჩასვლის შემდეგ იწყება. ასლანის გაზრდილს მზეთუნახავს ართმევენ, მიდის საძებრად. გზაში უამხანაგდებიან კამეჩების მომთვინიერებელი, ზღვის კაცი და ბოგირის კაცი. ღამის გასათევად ტყესთან ჩერდებიან. ორი მათგანი სანადიროდ მიდის, ხოლო მესამე ნანადირევს ხარშავს, რომელსაც იქვე, ორმოში დამალული დევი წაართმევს. ასლანის გაზრდილი მისდევს დევს, ჩაჰყვება ორმოში, სადაც მზეთუნახავს წააწყდება, მზეთუნახავი მას დევის მოკვლაში ეხმარება, ორმოდან ამოსვლის დროს გმირი პირველად მზეთუნახავს ამოსვამს, ამხანაგები ღალატობენ, მზეთუნახავი მიჰყავთ, ხოლო ასლანის გაზრდილს ორმოში ტოვებენ, იგი თეთრი ერკემლის დაჭერას ცდილობს, რომ ზევით ამოვიდეს, მაგრამ ვერ ახერხებს, შავ ერკემალს იჭერს და უფრო ღრმად ჩავარდება. აქ, ასლანის გაზრდილი გველეშაპს ჰკლავს, რომელიც ხალხს წყალს არ აძლევს, ხოლო ხელმწიფე მადლობის ნიშნად ზემოთ ქვეყანაში დააბრუნებს. ზღაპარ „ყარაბ-ოღლშიც“ მეგობრები ჰკარგავენ მოპოვებულ მზეთუნახავს: „თურმე მას ცეცხლპირიანი დევი ემტერებოდა“. წავიდნენ საძებრად. „ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ ალაგას. ნახეს მაღალი ორმო. ძმებმა გადაწყვიტეს ორმოში ჩასვლა. ყარაბოღლის შვილმა უთხრა: მომაბი თოკი და მე ჩავალო. მოაბა მეწისქვილის შვილმა წელზე თოკი და ჩაუშვა ქვევით. როცა ნახევრამდე მივიდა ყარაბოღლის შვილმა დაუყვირა: - ვიწვი, ვიწვი ამწიეთო! მეწისქვილის შვილმა მაშინათვე ამოიქნია და ამოიყვანა ზევით. მოხსნა წელიდან თოკი, მოიბა თვითონ და უთხრა:- მე რამდენსაც ვიტყვი „ვიწვი“, შენც იმდენი ჩამწიეო და ჩაეშვა ქვევით. აქაც, როგორც სხვა ზღაპრებში, ჭაბუკი გმირული თავგადასავლების შემდეგ გამარჯვებული უბრუნდება თავის ქვეყანას.

ბევრ შემთხვევაში მთქმელს ორმო გრძნეულად მიაჩნია, მაგ: „ბროწეულის ზღაპარში“. ბროწეულის ნაყოფის სადარაჯოდ მამა აგზავნის თავის შვილებს რიგრიგობით, უფროს ძმებს ჩაეძინებათ, ხოლო უმცროსი შეამჩნევს ბროწეულის ნაყოფის მპარავ დევს და ისრით დაკოდავს. ბიჭი შეატყობინებს ძმებს და დევს გამოეკიდებიან. შეიარაღდნენ და წავიდნენ. მინდორში ერთი ორმოსავით კვალი იყო და იმაში ჩავიდა. უნდა ჩავიდეთო, თქვეს ბიჭებმა. მოიტანეს თოკი. თურმე ორმო გრძნეული ყოფილა, როგორც თორნე, ისეთი სიმხურვალე ამოდიოდა. უმცროსმა ძმამ შეძლო ძირამდე მიღწევა; ჰკლავს დევს, ათავისუფლებს დევისგან მოტაცებულ სამ მზეთუნახავს და აგზავნის ძმებთან. ძმები მას ორმოში ჩატოვებენ, რის შემდეგაც იწყებს ახალ გმირულ თავგადასავლებს, გველეშაპის მოკვლას და სხვ.

როგორც ვნახეთ, ქართულ ზღაპრებში ორმო ყოველთვის უცნაური თავგადასავლების ადგილია. ორმოში ჩასვლა ყველას არ შეუძლია. გმირს დიდი გაჭირვების დაძლევა უხდება, საწადელს რომ მიაღწიოს. ორმოდან მშვიდობით ამოსვლა ჭაბუკის გონებამახვილობაზე, გმირობაზე და კეთილშობილებაზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ სიტყვა ორმო „ნაწილიანი“ სიტყვაა და იგი საყურადღებო ნიშანს შეიცავს. ზოგ ზღაპარში სიტყვები „ხარო“ და „ორმო“ ერთმანეთს ენაცვლებიან. ზღაპარში „ცხრა ძმა“ ორმოც იხმარება და ხაროც: ამოუხტნენ ძმები დევს, აკუწეს და ჩაჰყარეს ორმოში, თვითონ სანადიროდ წავიდნენ. ზოგ ზღაპარში ქვესკნელი ცვლის ხაროსა და ორმოს.

როგორც აღვნიშნეთ, ზღაპრებში ორმო ისეთი ადგილია, სადაც ჭაბუკი იბრძვის, ჰკლავს გველეშაპს, დევს, ათავისუფლებს მზეთუნახავს, უბრუნებს სოფელს წყალს.

ქვესკნელი (ორმო) მითური წარმოსახვისთვის ავი ძალების სამყოფად ითვლებოდა, ამიტომ ხვდებოდნენ იქ გამორჩეული, მამაცი, კეთილი ძალები, რათა მოესპოთ ბოროტება და გამოეხსნათ მზეთუნახავი.

თვალი გავადევნოთ სიტყვა „ორმოს“ შინაარსობრივ სახეცვლილებას.

უძველეს დროშივე ადამიანებს დასჯის მიზნით სვამდნენ ორმოში. სხვადასხვა სახის ტექსტებში ხშირად გვხვდება მსგავსი მაგალითები. მაგალითად, ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ იერემია წინასწარმეტყველი ორმოში ჰყავდათ დამწყვდეული.

ბიბლიურ აბესალომსაც ებრაელები დასჯის მიზნით ორმოში აგდებენ.

შემდგომ ხანებში „ორმოში“ ყოფნა აზრობრივად გარკვეულ ინტერპრეტაციას განიცდის. მაგალითად: „ბიბლიური დავითის ფსალმუნებში ორმო გაიაზრება, როგორც ადამიანის „სულის ჩასაკლავი“ ანუ „სულის სამწუხრე“ ადგილი.

მხატვრულ ლიტერატურაში და ზეპირსიტყვიერების ზოგიერთ ჟანრში დასჯის ადგილად ქვესკნელს არ ასახელებენ, დასჯის მიზნით ადამიანს მხოლოდ ორმოში აგდებენ, მაგრამ ზღაპრებში ორმო ხშირად ცვლის ქვესკნელს. ორმო ხშირად იხმარება გერ გოგოებთან კავშირში, გერ გოგოებს ორმოში უხდებათ მითურ ძალებთან ბრძოლა.

ზოგი ზღაპრის მიხედვით, ორმოში არწივი გვხვდება, სადაც გერ გოგოს არწივის შესაჭმელად აგდებენ. გერს გარდაცვლილი დედის სული არიგებს როგორ მოიქცეს, რომ არწივმა არ შეჭამოს.

სხვა ვერსიით, ორმოში გერ გოგოს გველის წლოკს საჭმელად უგდებენ. გოგო სიზმარში დედას ხედავს, რომელიც არიგებს, როგორ მოიქცეს.

მსგავსი თავგადასავლები ზღაპრების მითურ ნაწილში ხშირად გვხვდება, რაც გვაიძულებს, გერი გოგოების შესახებ არსებული ზღაპრული მითოსი პირველ რიგში წარმართულ კულტებში ვეძიოთ.

ახლა შევეხოთ კლდესა და ქვაზე არსებულ არქაულ მითურ თქმულებებს.

უძველესმა ხალხებმა მითური ცოცხალი ენერგია კლდეში, ქვაში გადაფარა. მას „ეყო ქვეყნად სიარული“. ამირანის ენერგიაც კლდეშია გამომწყვდეული, მითრაც, ქრისტიანობამდელი უდიდესი რელიგიის პირველი ღვთაებაც, კლდიდან იშვა.

ასევე გვხვდება გადმოცემები, სადაც კლდის გამოქვაბულის ღვთაებად ადგილის დედა იგულისხმება, სვანურ ხალხურ პოეზიაში კლდეები და ადგილის დედა (დალი) გაიგივებულია, მაგალითად: „დალი კლდეში მოსთქვამს , უფრო კი კლდეები მოსთქვამენ“.

კიდევ: „მისი (დალის) კივილი მთელს ტვიბრს ედება, უფრო კლდეები მშობიარობენ“. ამ მხრივ საინტერესოა რაჭული სამონადირეო ლექსი:

„კლდემ გადასძახა კლდესაო,
მონადირეო ჩვენსაო,
ვაჩუქოთ მსუქანი ჯიხვი
თვარა მოგვიკლავს მჭლესაო“. [3;221]

მოყვანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ კლდე, ქვა გამოქვაბულის შინაგანი ძალა, ქალური ენერგიაა. ნართების ეპოსიდან ზემოთ მოყვანილ ტექსტს შემდეგი გაგრძელება აქვს: სათანა, ურიზმაგის ცოლი, რომელიც მაგიაში განსწავლულია ქალია, ცხრა თვის შემდეგ მიდის კლდესთან, ურიზმაგის შვილის წამოსაყვანად და ამ დროს იბადება კავკასიის ცნობილი მითური გმირი ნართი სოსლანი, გამოქვაბულის ქალღვთაების შვილია ამირანიც.

გამოქვაბულის ღვთისმშობელს მამაკაცთა გამრავლებას სთხოვენ. მითურ თქმულებებშიც კლდის გამოქვაბულის ქალღვთაებანი მხოლოდ ჭაბუკებს შობენ, ამიტომ გამოქვაბულის ღვთისმშობლისადმი მამაკაცთა გამრავლების თხოვნა უძველეს ნატურ-მითურ მომენტის ქრისტიანული პერიოდის ვარიანტად უნდა ვიგულისხმოთ.

მეორე მხრივ, გერი გოგოების კულტ-სალოცავების ფუნქციაც ნაწილობრივ იკვეთება. შევადაროთ თვით სიტყვა „გერი“ საკულტო ტოპონიმებს: „გერისთავის წმ. გიორგის“ იგივე გერისთაობას, არბოობას და გერის წმ. გიორგის.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი გაოცებით შენიშნავს სოფ. გერის წმ. გიორგის სახელობის სალოცავის შესახებ:

„საკვირველი ის არის, რომ, არც ერთ წმ. გიორგის არა სწყინს ქურდობა, მაგრამ გერის წმ. გიორგი კი არ ყაბულობს. ეკლესიის ახლო-მახლო ჯერ ქურდობა არ მომხდარა,თუ დაჰკარგავს ვინმე რასმე, ნაპოვარსაც კი მაშინვე ეკლესიის კარებზე მიიტანს და „დასდებს“-ო. [4;72]

ეს მასალა გვაიძულებს გერის წმ. გიორგის სახელობის სალოცავი განვასხვავოთ წმ. გიორგის სახელობის სხვა სალოცავებისგან. უნდა ვიფიქროთ, რომ, აღნიშნული ფუნქცია შემორჩა გერის წმ. გიორგის სალოცავის იმ კულტიდან, რომელიც ამავე ადგილზე უნდა არსებულიყო.

მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სიტყვა „თავს“, რომელიც ქართულ მითოლოგიაში საკულტო შინაარსის სიტყვებთან ურთიერთობაში გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მკვლევარს მოჰყავს უამრავი მასალა მსოფლიო მითოლოგიიდან და ასკვნის, რომ „თავი“ წარმოადგენს უძველესი მითოსის „ნაშთს“, რომ მას ჩვენშიც განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონია, რომ „თავი“ გარკვეულ საკულტო მოვლენას წარმოადგენს. ის უამრავ მაგალითს შორის ასახელებს საკულტო ადგილებს, სადაც გამოყენებულია „თავი“ , მაგალითად: „წყაროსთავის“ და „გერისთავის“ სალოცავები. [5;304]

საკულტო ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე მარანი:

„იაგუნდის მარანშია შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, ნორჩია და შტოსა შლისო,
ზედ ბულბული შემომჯდარა, გასაფრენად ფრთასა შლისო“.

ვ. ბარდაველიძემ პირველმა შეისწავლა მარანი, როგორც საკულტო ობიექტი. მან აღნიშნული ლექსი საგანგებოდ დეტალურად განიხილა და წურის თავთან და მარანთან დაკავშირებული ხის მითოლოგიური ხატება განსაზღვრა, როგორც სიცოცხლის ხის ერთერთი ნაირსახეობა. აღნიშნული ლექსის შეკუმშული ფორმა საკრალურის ახსნა-განმარტების პრინციპით ცოდნის დღევანდელ დონეზე შემდეგ ინფორმაციას იძლევა. ერთგვარი სულიერი ლანდშაფტი, რომელიც აღნიშნულ ლექსშია და ხატისთვის დამახასიათებელი სიმდორით გამოსჭვივის, არსებობის უფრო მაღალ სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება. მარანი - გარედან საიმედოდ შემოფარგლული (სხვა შემთხვევაში ხეებით ან შენობით) საკრალური ტერიტორიაა, რომელშიც ღვთაებრივი ძალა სუფევს. მკვლევართა აზრით, მარანში ხილული ნიშნები ასე იშიფრება: ა. წითელი ღვინო = ლალი („პატიოსანი ქვა“, შდრ. აპოკალიფტური მინერალოგიის სიმბოლიზმთან) = მსხვერპლი = ქრისტე; ბ. ალვის ხე - ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მამის პრინციპთანაა დაკავშირებული, ხოლო შტო - ძესთან; გ. ბულბული - სული წმიდის ადგილობრივი გამოვლინებაა. [6;7-12]

ამრიგად, წარმართი ჭაბუკებისა და ქრისტიანი წმინდანების ბრძოლა ბოროტებასთან მხოლოდ ბრძოლის ხერხებით განსხვავდება. წარმართი ჭაბუკები მაგიური მახვილითა და კეთილი ძალების მიერ მიცემული ღონით იბრძვიან, ქრისტიანი წმინდანები კი არანაკლებ მაგიური ცნობილი ლოცვით. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ზღაპრულ გერებთანაც. გერების ბრძოლის ხერხები ძირითადად - სათნოება, მორჩილება და სიყვარულია, რითაც ისინი საზოგადოების ყურადღებას იმსახურებენ.

გერი გოგოები ხდებიან კეთილშობილთა, მეფეთა ცოლები, შობენ ოქროსთმიან ჭაბუკებს.

ზემოთ მოტანილი მასალა გვაფიქრებინებს, რომ ქართველმა ხალხმა გოგო ქრისტიანულ-კულტურულ ღვთისმშობლის სახეში განაზოგადა. გერ გოგოს მხარში უდგანან კეთილი ძალები, რომელთაც ცხოვრების მაღალ საფეხურზე აჰყავთ ისინი.

ასევე, ქართულ მითოლოგიაში ქვა, კლდე საკულტო ობიექტებთან არის დაკავშირებული. ქვის მაგიური ძალა დამოკიდებულია ქვის ხარისხზე, ამიტომ ძვირფასი ქვები ხშირად არის გამოყენებული სალოცავებში.

ქართულ მითოლოგიაში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, ქვები სულიერ ძალათა სამყოფად ითვლებოდა. ქვა ბუნებაში გარკვეული პოტენციალური ენერგიის მატარებელია.

საკულტო ქვებს თავისი სახელიც აქვს, მაგალითად გვხვდება: „ძუძუქვა“, „ქალქვა“ და სხვა. ქვისადმი თხოვნა ქვის შინაგანი ძალის დახმარებას ვარაუდობს. მთხოვნელი ქვის თაყვანისცემის პერიოდში ქვას ხედავდა, როგორც სულიერ არსებას, რომელიც თავის ძალას შემატებდა, თუ იგი მის გულს მოიგებდა.

ქვის კულტი, როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანებამდე შემოგვრჩა, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომ პერიოდშიც მლოცველის უნარზე იყო დამოკიდებული, რაზე ილოცებდა ქალ-დედის სახელზე თუ შვილ-ჭაბუკის სახელზე. ქალ-დედა ქვა სხეულია, შვილ-ჭაბუკი კი ქვიდან გათავისუფლებული მოქმედი ენერგია.

ლიტერატურა:

1) ჟურნალი „ცისკარი“, 1972. N7, გვ. 80.
2) ქართული ხალხური პოეზია, 1, თბ., 1974, გვ. 343
3) ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 221
4) აბაშიძე ბ., „მითოლოგიის საკითხები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“, თბ., 1978, გვ. 72
5) კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 304
6) აბაკელია ნ., „მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში“, ვებ-გვერდი, http:\\www.saunje.ge

ბიბლიური დავითი და ქართველი მწერლები

მარიამ ღვინიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

იერუსალიმის მეფე, ბიბლიური დავითი (ძვ. წ. 1030-990 წწ.) ჩვენთვის კარგად ცნობილი ფსალმუნების ავტორი, ღვთის თვალში მოსაწონი პიროვნება იყო. ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით, დავითის შთამომავალი იქნებოდა მესია, კაცობრიობის მხსნელი - იესო ქრისტე.

დავითი უძველესი დროიდანვე ასოცირდებოდა ქართველი მწერლების თვალში, როგორც წინასწარმეტყველი, ღვთისთვის სასურველი პიროვნება, თავმდაბალი და სხვა მისაბაძი თვისებების მქონე, რამაც შემდგომში განაპირობა ის, რომ დავითის ფსალმუნები არაერთმა ქართველმა ავტორმა გამოიყენა თავის ნაწარმოებებში.

ყველა ქრისტიან ერს, რომელსაც მშობლიურ ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია „საღმრთო წერილის“ ან ბიბლიის, ქართულად - დაბადების თარგმნით. როგორც მიუთითებენ, ყველაზე ადრე ძველი აღთქმის წიგნებიდან უნდა გადმოთარგმნილიყო „დავითნი'', ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნური სჭარბობდა, ღვთისმსახურება უმეტესწილად ფსალმუნთა გალობიდან შედგებოდა. IX საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს პაპირუსზე დაწერილი ნუსხა „დავითნისა“, რომელიც ყველაზე უძველესად ითვლება. მეორე უძველესი რედაქცია ქართული „დავითნისა“, რომელიც 904 წელსაა გადაწერილი ასომთავრულით, ინახება საქართველოს ხელნაწერთა მუზეუმში (ხელნაწერი A38). ყოფილა კიდევ მესამე განსხვავებული რედაქცია „დავითნისა“ ქართულ ენაზე, როგორც ეს ჩანს შატბერდის კრებულში (X ს.). მაშასადამე, უკვე X საუკუნეში ცნობილი ყოფილა რამდენიმე სხვადასხვა რედაქციის „დავითნი“, რომელთაც ქართული „დავითნი“ ეწოდებოდათ.

ქართული ლიტერატურული ტექსტების შესწავლამ ამ თვალსაზრისით იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელე (ბერძ. სიტ. ქართ. სახარება) ან სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლენი და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი „დავითნი“. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, სადაც დასახელებული წიგნებიდან იაკობს ციტატები მოჰყავს. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს საბა განწმედილის ცნობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ თავის ენაზე სახარება-სამოციქულოს და ჟამთა შედეგის, ანუ „დავითნის“ კითხვისა. ამრიგად ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ უპირველესი და უძველესი ნაშთი ჩვენი მწერლობისა რამდენიმე საღმრთო წერილთან ერთად არის დავითის ფსალმუნები.

ქართულ მწერლობაში დავითის ფსალმუნები, როგორც ვთქვით, გამოყენებულ იქნა ქართული მწერლობის პირველივე ძეგლში, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“. აქვე უნდა ვთქვათ, რომ, თუმცა „შუშანიკის წამება“ ასახელებს დავითის ფსალმუნებს, არ მოაქვს ციტატები ამ წიგნიდან.

შემდეგი ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია დავითის ფსალმუნები, არის იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობა“, სადაც ავტორი თავისი აზრის გასავრცობად დავითის სიტყვებს იყენებს: „ქუეყანა ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: ,,ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თვისი, მაკურთხენინ ჩუენ ღმერთო, ღმერთო ჩუენო“ - ამბობს იგი.

მის ნაწარმოებში დავითი კიდევ ორჯერ არის მოხსენიებული. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ავტორი კარგად იცნობს დავითის ფსალმუნებს და მის ცხოვრებას. იოანე გადმოგვცემს: ,,ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათვის წამებს მეფსალმუნე დავით: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაი მის“.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი „აბო თბილელის მარტვილობაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა“. ამავე ფსალმუნს „დავითნში“ ასე ვკითხულობთ:

„ნეტარ არიან გზაკეთილნი,
რომელნიც დადიან უფლის სჯულზე.“

აბომ ეს ფსალმუნი წარმოსთქვა, როცა საპყრობილედან გამოიყვანეს და დასასჯელად მიჰყავდათ იგი. აბო თბილელის ეს ნათქვამი, მეტყველებს იმაზე, რომ იგი ბედნიერია, რადგან მან თავისი გზა

უბიწოდ განვლო, ღვთის კანონით დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა სასჯელი გარდაუვალი იყო სულაც არ თვლიდა იგი თავის თავს უბედურად, პირიქით იგი „ნეტარი“ ანუ ბედნიერია ამით.

დავითის ფრაზები გამოყენებული აქვს გიორგი მერჩულესაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. იგი გვიამბობს, რომ მოვიდა დრო, როცა გრიგოლი უნდა ეკურთხებინათ ,,ხუცად“, გრიგოლს მშობლები შემდეგნაირად მიმართავენ: „შვილო... აჰა მოიწია ჟამი წინაისწარმეტყუელისაი დავითის თქმულისაი რომელსა იტყვის: ,,ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსაწმიდასა მისსა, არამედ უბრალოი ხელითა და წმისაი გულითა“. და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა“. იმისათვის, რომ გრიგოლი დაერწმუნებინათ, მშობლების შემოთავაზებული წინადადება ყურად ეღო, ბიბლიური დავითის სიტყვები გამოიყენეს. თავისი აზრი განამტკიცეს დავითის ფსალმუნის მოხმობით.

შეიძლება ვთქვათ, რომ დავითის ფსალმუნები გრიგოლის ცხოვრების აღწერისა, მოხმობილია არა მხოლოდ სხვათა მიერ, როგორც ზემოთ მოყვანილ აბზაცში განვიხილეთ, არამედ თვით გრიგოლიც არაერთხელ იყენებს დავითის თქმულს. მაგალითად ავტორი გადმოგვცემს, რომ საბა, გრიგოლის დედის დის წული და იშხნის მეორედ მაშენებელი, ეპისკოპოსი, თევდორე ნეძვისა მაშენებელი, ქრისტეფორე კვირიკეთის მაშენებელი და გრიგოლი „ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან ...“ და ამ დროს „გრიგოლ თქუა სიტყუაი იგი დავითისი, ვითარმედ: „რაი-მე კეთილ ანუ რაი-მე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაი ძმათაი ერთად“.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებში დავითის ფრაზის მოშველიებას არც ავტორი ერიდება. ნაწარმოებში ვკითხულობთ: ,,არამედ ღამე იყო ფსალმუნებაი და დღისი წიგნის - კითხვაი და ლოცვაი მარადის ვითარცა იტყვს დავით: ,,დღისი ამცნო უფალმან წყალობაი მისი და ღამე გალობაი მისი“.

როგორც ვნახეთ, ავტორმა გადმოგვცა არსებული ვითარება, თუ როგორ აღევლინებოდა ღვთისმსახურება და ეს მომენტი დაუკავშირა ბიბლიური დავითის თქმულს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ფსალმუნები კიდევ ექვსჯერ არის გამოყენებული. ფსალმუნებს ამ ნაწარმოებში იყენებს არა მხოლოდ ავტორი, არამედ თავად გრიგოლი, მისი მშობლები და ა. შ.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დავით წინასწარმეტყველი სხვა კონტექსტშიც არის მოხსენიებული, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

შემდეგი ძეგლი, რომელშიც ბიბლიური დავითის ფსალმუნებია გამოყენებული არის „ცხორებაი მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისაი ჩუენისაი გიორგი მთაწმინდელისაი“ რომელშიც ვკითხულობთ: „კუალად ეტყოდა მსჯავრთათვის და სამართალთა სამეუფოთა და რათა უშჯიდეს ობოლსა და ქვრივსა სიტყვისაებრ დავითისა: „მდაბალი და გლახაკი განამართლოს“. ანუ გიორგი მთაწმინდელმა ობლებისა და ქვრივების განსჯის საკითხი სასამართლო ხელისუფალთა წინაშე წამოჭრა ისე, როგორც მას დავითი ამბობდა.

არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ, არამედ სხვა კონტექსტშიც არაერთგზის ჰყავს წარმოჩენილი დავით წინასწარმეტყველი ქართველ მწერლებს. მაგალითად ,,გობრონის წამების“ ავტორი თავისი ნაწარმოების პერსონაჟს, გობრონს, დავითს ადარებს: ,,ვითარცა იგი სამოელის მიერ სათნო იყო ღმერთმან დავით ცხებულად თვისა, ხოლო ჩინებულნი იგი აზნაურნი დაეყენნეს, მსგავსად მისა, რომელნი ადარნერსე მეფემან გამოიხსნა“.

მსგავს ხერხს მიმართავს გიორგი მერჩულე ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, როდესაც აშოტის უმცროს ვაჟს ბაგრატს დავით წინასწარმეტყველს ადარებს: „ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა ყოვლითა ღმრთისა. მსახურებისა სისრულითა, რამეთუ მსგავსი იყო წინაისწარმეტყუელისა დავითისი...“

ბიბლიურ დავითთან ასოცირდება სიმშვიდე, ნაწარმოებში ,,მეფესა დავითს მინაზონი არსენი“ სადაც ასევე ვკითხულიბთ: ,,არსენ... მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის“.

ქრონოლოგიურად მივადექით IX საუკუნეს, საიდანაც სათავეს იღებს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველი მეფეები-ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან. ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის-ძე (რომელსაც მეთერთმეტე საუკუნის შუაწლებში დაუწერია საგანგებო ისტორია ბაგრატიონებისა)თავის თხზულებაში ,,ბაგრატიონთა ცხოვრება“ ბაგრატიონებს ბიბლიური მეფეების იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად მიიჩნევს. სუმბატ დავითის-ძეს ბაგრატიონები საქართველოში მეექვსე საუკუნეში მოჰყავს და მათ სახელთან აკავშირებს ჩვენი ქვეყნის მთელ მომდევნო ისტორიას.

ბაგრატიონთა ბიბლიური დავითისაგან წარმოშობის შესახებ ცნობები გვხვდება V საუკუნის სომეხი ისტორიკოსოს მოვსეს ხორენაცისა და X საუკუნის ასევე სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტის ,,სომხეთის ისტორიაში“. ლეგენდის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით ოდნავ

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მკვლევართა შორის, ძირითადად, VIII-IX საუკუნეების მიჯნა ფიგურირებს.

რასაც ეხმიანება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც გრიგოლი ასე მიმართავს აშოტს: „დავით წინაისწარმეტყუელისაი და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან დავითი ებრაელთა მეფის დავითის 78-ე შთამომავლად არის მიჩნეული: „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგმამან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვით სამეოცდამაეთურამეტემან შვილმანამის დავითისამან დავით“.

ბაგრატიონთა წარმომავლობის იდეამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში, რაც გამოწვეული იყო იმ კულტურულ-ეკონომიკური წინსვლით, რაც ამ მოღვაწის სახელს უკავშირდება. „ვახტანგიანის“ შესავალში პოემის ავტორი ოტია ფავლენიშვილი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სწორედ ამ გარემოებას:

„არიან ქართლის მემკვიდრე მეფენი დავითიანი,
ღმრთის ზეცით გვირგვინოსანი, ძირთაგან იესიანი,
პანკრატომობით ჩენილნი, სახელის ძებნით ხმლიანი.
რჯულსა და ქვეყნის ერთგულნი, მოწყალე სამართლიანი“.

დავით წინასწარმეტყველი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენიებული ჩახრუხაძეს თავის პოემაში როგორც სიმამაცის, სიძლიერის, სიდიადის განმასახიერებელი. ვინაიდან ამ ნაწარმოების მთავარი საქებარი არის თამარი და იგი ბრწყინავს და ღვთაებად არის მოხსენიებული მის გვერდით წარმოაჩენს ბიბლიურ დავითს.

და ასევე მეორე ნაწარმოებია ,,აბდულმესია“, მას დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებასაც უწოდებენ. როგორც შენიშნულია, ამ ნაწარმოებში შექებულ პირთაგან ქალი ეს არის თამარ მეფე, ხოლო მამაკაცი არა დავით სოსლანი არამედ დავით აღმაშენებელი, რომელსაც პოეტი უწოდებს ,,ცხებულს“, ან ,,ზეთიცხებულს“, ,,გვირგვინოსან-პორფიროსან-სკიპტრა-მპყრობელს“. და, რა საკვირველია, ისევე როგორც ,,თამარიანში“, აქაც აქტუალურია დავით წინასწარმეტყველის თემა. ,,აბდულმესიაში“ ვკითხულობთ:

,,მწადს აქ ქებანი
და, ვით ის დავით,
ვსჯდე მუსიკობად“.

ეს ნიშნავს: მე მწადს ებანი (მუსიკალური ინსტრუმენტი) და თუ ის მექნება მე, „ვით ის დავით“, ან როგორც ის, დავით, იგულისხმება წინასწარმეტყველი, რომელიც ებანზე მღეროდა თავის ფსალმუნებს, დავჯდები და ვიწყებ მუსიკობას ან ქებასო.

რადგანაც ეს ორი ნაწარმოები მიზნად ისახავს წარმოაჩინოს დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლიერი და შეუპოვარი მეფობა, დავით წინასწარმეტყველის მოხსენიება მათ გვერდით ამას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის, რადგან მეფსალმუნე დავითი იყო მამაცი, რეფორმატორი და კარგი სახელმწიფო მოღვაწე.

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დავით წინასწარმეტყველის სახელი და მისი ფსალმუნები არა მარტო ცნობილია ძველი ქართველი მწერლებისათვის, არამედ ბიბლიური დავითის სახე ერთგვარი იდეალია, რომელსაც ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით სცნობენ. ამავე დროს, ბუნებრივია, წარმომავლობა ბიბლიური დავითისაგან გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ის განსაკუთრებულად ახლობელია ბიბლიური პერსონაჟებიდან.

ლიტერატურა:

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I ტომი, შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, 1946.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II ტომი. შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, 1949.

მურად მთვარელიძე, „ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ლეგენდა და ქართველი მწერლები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 4, 1981.

ახალი ათთქმა და ფსალმუნი, მესამე გამოცემა, თბ., 1990.

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ., 1980.

ქადაგის ინსტიტუტი საქართველოში

ლელა ცხოვრებაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ქადაგის ინსტიტუტი ისტორიულად საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა და მასში მოიაზრებოდა ღვთაების ნება–სურვილის მაუწყებელი, ხალხსა და ღვთაებას შორის შუამავალი პიროვნება. ძველ ქართულ ლიტერატურაში ქადაგი სხვაგვარადაა წარმოდგენილი, იგი არამარტო ღვთაების ნება–სურვილის გამომხატველს, არამედ ვინმეს მაგიერ მთქმელს, რაიმე ამბის მაუწყებელსაც გულისხმობდა.

სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით, ქადაგი არის „მაღალ მძახებელი სწავლისა“, ნიკო მარი სიტყვა ქადაგს ადგილობრივად წარმოშობილად მიიჩნევდა და უკავშირებდა ღვთაება ხალდს, რომელიც, თავის მხრივ, ხატის ტოლფასი იყო. არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა ქადაგი სპარსულიდან მომდინარეობს და მისი ძირის მიხედვით სახლის აღმნიშვნელია... [სულხან–საბა ორბელიანი; 1928].

ქადაგს და მის საქმიანობას ძირითადად საქართველოს მთიანეთში ვხვდებით. ხევსურეთში ასევე არსებობდა მკადრე, მეენე და ქანდარა. მათ აიგივებდნენ ქადაგთან, მაგრამ ქართულ მითოლოგიაში ეს გამოიყენებოდა ღვთაებათა წმინდა ენის მნიშვნელობით. საქართველოში ქადაგი (ხალხური გაგებით) პირველად ვახუშტი ბაგრატიონთან გვხვდება. იგი ახსენებს ფშაველ ქადაგს და წერს: „რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი და ღაღადებს მაგიერად წმიდისა გიორგისა“... [ვახუშტი ბაგრატიონი, 1941]. აქედან ჩანს, რომ ქადაგი ძირითადად ფშავ–ხევსურეთსა და მთიან საქართველოში იყო მიღებული და მათ წეს–ტრადიციაში ერთ–ერთ წამყვან როლს ასრულებდა. აშკარად ჩანს, თუ რამდენად დიდი დატვირთვა ჰქონდა ქადაგის თქმულს მისი მსმენელისათვის.

ქადაგის რელიგიური და საზოგადოებრივი ფუნქციები მნიშვნელოვანია მთა–თუშეთსა და ხევსურეთში. მისი ფუნქციები ვრცელდება როგორც სახლის ინტერესების ფარგლებში, ასევე ჯვარში. ჯვარში ქადაგის დასმა მიმართული იყო რელიგიური და სოციალური საქმეების მოსაწესრიგებლად და საგანგებო წესით სრულდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა არხოტი და შატილის ხეობა. ამის შესახებ ალ. ოჩიაურის მასალებში არის სათანადო განმარტებები. იგი წერს: „მხოლოდ წელიწად დღეს, ყველა ჯვრებში რჯულის საქმე და სხვადასხვა საქმეები მუშავდებოდა, ზოგან ქადაგს სვამდნენ, ზოგან ყრილობის სახეს აძლევდნენ. მაგალითად, მკითხავს სვამდნენ ლიქოკში, გუდანში, როშკაში, ხახმატში და ძალიან ძველად არხოტში და შატილშიც. მერე არხოტში და შატილში აღარ იცოდნენ მკითხავის დასმა, მხოლოდ სხვა ჯვრებში გვიანობამდე გრძელდებოდა“...[თ.ოჩიაური; 1954].

არხოტისაგან განსხვავებით, მოიპოვება ცნობები ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარში, სადაც ქადაგის დასმით წყდებოდა ჯვარში წამოჭრილი ის მოსაწესრიგებელი საკითხები, რომელსაც ვერ წყვეტდა ხალხი. ქადაგს ჯვარში ტრადიციულად დაკანონებული დღეობის დროს დასვამდნენ, უფრო ხშირად ასეთ დღედ ახალი წელი მიიჩნეოდა, ზოგიერთ ჯვარში ქადაგს ამაღლებასაც სვამდნენ. გუდანის ჯვარში ქადაგის დასმა დაწესებული იყო ახალ წელს, რომელსაც ასევე თავისი წესი ჰქონდა. თუ ქადაგი ადგილობრივი იყო, ბეღელში დასვამდნენ, ხოლო თუ სხვა ადგილიდან მოიყვანდნენ, ამ შემთხვევაში გარეთ სვამდნენ, რომელსაც „საბერო სკამი“ ეწოდებოდა. როდესაც ქადაგი მოემზადებოდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად, დაანთებდნენ სანთლებს, შეიკრიბებოდა ხალხი, ზარს დარეკდნენ და იწყებოდა ქადაგობის რიტუალი. ქადაგობის შემდეგ მქადაგებელი და მსმენელი ერთად წყვეტდნენ რელიგიურ თუ სოციალურ დავებს.

ქადაგად დასმას წინ უძღოდა ქადაგის შემზადება: რამდენიმე ხნით ადრე იგი „საწმინდარ გავიდოდა“, წყვეტდა მეუღლესთან ურთიერთობას, ქალის მიერ გაშლილ ლოგინზე აღარ იძინებდა, საჭმელსაც საგანგებოდ იმზადებდა, ჯამ–კოვზიც თავისი ჰქონდა, პირადულადაც მოწესრიგდებოდა და გადასახლდებოდა ჯვარში... [ვაჟა–ფშაველა; 1937]. ქადაგი ქადაგების დროს გამოაცხადებდა თავისი ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებსაც ჩააბარებდა თავის ნივთებსა და განძეულს, მათ „მეგანძურნი“ ეწოდებოდათ. ქადაგისაგან ასევე ელოდნენ იმის მოსმენას, თუ როგორი ამინდები და მოსავალი იყო მოსალოდნელი, იყო თუ არა მტრის შემოსევის საშიშროება, ხალხის ზიანი, სიკვდილიანობა, ავადმყოფობა, ასევე ქადაგი ამცნობდა ხალხს დღეობის წესის ამა თუ იმ

ცვლილებას. ჩამონათვალიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქადაგობას ჯვარისათვის. გამომდინარე აქედან, ქადაგისადმი ნდობა ძალიან დიდი იყო. ქადაგის ფუნქციებში ასევე შედიოდა მოსალოდნელ ამბავთა წინასწარმეტყველება. ხევსურეთის მასშტაბით დიდი მნიშვნელობისა იყო გუდანის ჯვარი. იქ მჯდარი ქადაგი მთელი ხევსურეთისათვის მოსალოდნელ ამბავთა შესახებ ქადაგებდა. ქადაგობის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა სოფლებში კითხულობდნენ, თუ რა ითქვა გუდანის ჯვარში. გუდანის ჯვარის ქადაგის სიტყვის ასეთი ძალიდან გამომდინარე იყო გუდანის ჯვარის სახევსურეთო მნიშვნელობა. იგი ითვლებოდა ხევსურეთის რელიგიური და სოციალური ყოფა–ცხოვრების მნიშვნელოვან სუბიექტად.

რაც შეეხება საქართველოს სხვა კუთხეებს, ქადაგის შესახებ ცნობა სამეგრელოში მოიპოვება, მაგ. სოფელ სუჯუნაში „წმინდა გიორგის დღესასწაულზე წმინდა კაცთაგან ერთ–ერთს ეკლესიაში ჩაკეტავდნენ, დილით გამოიყვანდნენ და ამაღლებულ ადგილზე დასვამდნენ, საიდანაც იგი ხალხს მთელი წლის განმავლობაში მოსალოდნელ ამბავთა შესახებ ამცნობდა.“... [ალ. ცაგარელი; 1977]. ქადაგის ჯვარში დასმა, მართალია, ხდებოდა საგანგებოდ შერჩეულ დღეს, მაგრამ შესაძლებელი იყო ქადაგი ჯვარში ჩვეულებრივ დღესაც დაესვათ, თუკი ხალხს რაიმე გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ქადაგის დასმა შესაძლებელი იყო ლაშქრობის დროს, ცხოვრებისეული საკითხების მოგვარების მიზნით და სხვა... [ვ. ბარდაველიძე; 1952].

ჯვარის შენობების აგება ქადაგის უფლება იყო, ამასთანავე ქადაგები განაგებდნენ მამულების შემომტკიცებასაც. შატილში აღმოჩენილი იქნა მასალა ცრუ მქადაგებელთა შესახებაც, რომლებმაც „ახალი ჯვარი“ ააშენეს და ხალხს მისი რწმენის შესახებაც მოუწოდეს. ასევე მოიპოვება მასალა იმის შესახებაც, თუ როგორ მოითხოვდა ჯვარი ქადაგის პირით ქონების დამტკიცებას.

მსგავსად ძველი აღმოსავლეთისა (ეგვიპტეში ქურუმები), ხევსურეთშიც ქადაგებს შეთავსებული ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციები, თემში თუ გვარში წამოჭრილი სადავო საკითხები განსახილველად და განსასჯელად საბოლოოდ ქადაგის პრეროგატივა იყო. ჯვარში ქადაგის დასმა და მისი ფუნქციები ხევსურული თემის მმართველობის სისტემის ორგანულ მხარეს შეადგენდა.

პირადი ან საოჯახო საქმის დროს ქადაგს მიმართავდნენ სახლში. აქ ვხვდებით ძირითადად ქალ მქადაგებლებს, თუმცა არც მამაკაცის ქადაგება იყო გამორიცხული. მათი დასმის წესი არ განსხვავდებოდა, მამაკაცის პრივილეგია ჯვარში ქადაგების უფლება იყო, სახლში კი ქალების დასმა და მათი ქადაგება იყო შესაძლებელი. სახლში ქადაგება, პირველ რიგში, ავადმყოფობისა და საქონლის ზარალის შესახებ იცოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სახლში ავადმყოფი ჰყავდათ, ან იქვე მიიყვანდნენ ქადაგს, ან მასთან მიდიოდნენ. ის ავადმყოფობა, რომელიც თვალით არ ჩანდა, რომლის მიზეზიც გაუგებარი იყო, ჯვარის მიზეზით აიხსნებოდა; ხოლო რაც თვალსაჩინო იყო, მას სპეციალურად მომზადებული წამლებით მკურნალობდნენ და ხატს აღარ აწუხებდნენ. ეპილეფსიით, შეშლილობით, უძილობით დაავადებულ ავადმყოფს ღმერთს ავედრებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მას ეშმაკი ჰყავდა დაპატრონებული... ჯვრის წინაშე დამნაშავეს ქადაგი „დააჯურუმებდა“ და ჯვარისათვის ძღვენ–სამსახურის გაღებას დააკისრებდა, შემოწირულობა ავადმყოფის პატრონსაც უნდა გაეღო. ქადაგს იმ შემთხვევაშიც მიმართავდნენ, თუ ვინმე რაიმე საქმის წამოწყებას დააპირებდა, რათა გაეგოთ მოემართებოდა თუ არა ხელი საქმიანობაში. ასეთი საკითხები ქადაგის მიერ სახლში წყდებოდა. აქ იგი შესაწირს იღებდა სანთლისა და ვერცხლის სახით. ამგვარ მოვლენას ჯვარში ადგილი არ ჰქონია, აქედან გამომდინარე სახლში ქადაგება და ჯვარში ქადაგება განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავებულია როგორც ქადაგების რელიგიური, ასევე სოციალური ფუნქციებიც, ჯვარში ქადაგად დასმისას არ ვხვდებით არანაირ მატერიალურ სარგებელსა და გასამრჯელოს, რაც მიღებული იყო სახლში ქადაგისათვის.

მთის ქადაგისაგან განსხვავებული ფუნქციები იკვეთება საქართველოს ბარში. აქ ხატში ქადაგის დასმა საზოგადო საქმისათვის არ ხდებოდა, ქადაგი–მონა მიდიოდა ხატის კარზე, ეცემოდა ქადაგად და საკუთარი ცოდვების ხატის წინაშე შემცოდველების და ხატის წინაშე შელახული უფლების აღდგენის შესახებ ქადაგობდა. ხევსურეთისაგან განსხვავებით, ბარში ქადაგად დაცემა ხდებოდა ხატის კარზე: იქ მისული მონა ცუდად ხდებოდა, თმებს იგლეჯდა, ტიროდა და უგრძნობლად ეცემოდა, ხატის წინ დაცემისას აუცილებელ რიტუალს წარმოადგენდა ცეკვა და სიმღერა. ქართლში საკმაოდ შემორჩა მასალა ამ საკითხის ირგვლივ, რაც ძალზე წააგავს ეგვიპტელ ქურუმთა რიტუალს, რომელთა მოვალეობა იყო სიმღერა მსხვერპლის მიტანის დროს, რომელიც არ გვხვდება ხევსურეთში, ამ მხრივ ხევსურული ქადაგობა ბართან შედარებით განსხვავებულია... [თ. ოჩიაური; 1954].

ქადაგის ენით გადმოცემული ტექსტი საყმოსთვის სანდოა და სარწმუნო. ნაქადაგარი მათთვის ეჭვშეუტანელი სიმართლეა, რადგან ის ჯვრის სიტყვაა და ნამდვილი, საყმო ენდობა

ნაქადაგარს. მისი ჭეშმარიტება ჯვრის რწმენითაა განმტკიცებული. ნაქადაგარის წარმოთქმის დროს ქადაგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, მას მთლიანად ჯვარი ეუფლება და თავის სათქმელს ალაპარაკებს... [ხ. მამისიმედიშვილი; 2008].

ქადაგის დასმა ჯვარში, ისევე როგორც ქადაგის დასმა სახლში, იმდროინდელი საზოგადოებისათვის, მათი რელიგიური და სოციალური ყოფა–ცხოვრების განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ამის შესახებ შემონახული ცნობების და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ცხადყოფს, რამდენად მოწესრიგებული იყო ქადაგობის ინსტიტუტი ქართველი ხალხის ყოფა–ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. ცაგარელი; 1977 – ცაგარელი ალ. მოგზაურობა კავკასიის მხარეში, განათლების სამინისტროს ჟურნალი; 1977; გვ. 217–218.
2. ოჩიაური; 1954 – ოჩიაური თ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1954, გვ. 64–97.
3. ბარდაველიძე; 1952 – ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, თბ., 1952, გვ. 627–628.
4. ვაჟა–ფშაველა; 1937 – ვაჟა–ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937, გვ. 131–132.
5. სულხან–საბა ორბელიანი; 1928 - ქართული ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 42–43.
6. ვახუშტი ბაგრატიონი; 1941 - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბ., 1941, გვ. 86–87.

სულიერების დეფიციტი და უღმერთობის ნაკადი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

მარიამ ხმიადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი ხორბალაძე,** ასოცირებული პროფესორი

ქართულმა სამწერლობო სარბიელმა ბევრ კრიტიკასა და რეპრესიებს გაუძლო. ლიტერატურაში ყოველთვის მიმდინარეობდა და დღემდე მიმდინარეობს სხვადახვა პროცესები თუ ამ პროცესების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ სხვა და სხვა დროს ლიტერატურაში გამოკვეთილი ტენდენციების კვალდაკვალ იბადება კვლევისათვის დამახასიათებელი ახალი ინტერესებიც. ამ ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თანამედროვე ლიტერატურაში, განსაკუთრებით უკანასკნელ ოცწლეულში, გამოკვეთილმა ერთგვარმა თემატურმა ნაკადმა, რომელსაც პირობითად „უღმერთობის პრობლემა“ შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან თანამედროვე მწერლები ძალიან ხშირად და პრაქტიკულად ტენდენციის ფორმით, ლიტერატურულ ასპარეზზე წარმოაჩენენ ადამიანებში სულიერების გაქრობას და, რადგანაც შეუძლებლად მიგვაჩნია მსგავსი ზოგადი ტენდენციის ასეთი ფართო მასშტაბებით განვითარება, ფაქტობრივი გარემოებების ესკალაციის გარეშე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ დასახელებული საკითხი გახდეს კვლევის საგანი, რათა საზოგადოებამ სწრაფად მოახერხოს საკუთარი ანარეკლის გარედან შეთვალმზერება, მწერლობა ხომ სწორედ ერთგვარი სარკის ფუნქციას ასრულებდა საუკუნეების მანძილზე.

აკაკი ბაქრაძე წერს: „კრიტიკას მაშინ აქვს ფასი, თუ კრიტიკოსმა ნაწარმოებში წაიკითხა ის, რაც სხვამ ვერ წაიკითხა. ეგ სულერთია უარყოფითი თვალსაზრისით იქნება წაკითხული თუ დადებითით. იმიტომ, რომ კრიტიკამ ნაწარმოებს რაღაც უნდა შემატოს“. ამდენად, ვეცადეთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ჩვენი დაკვირვების შედეგად წარმოგვეჩინა და წინა პლანზე გამოგვეტანა, ის ტენდენციები თუ უბრალოდ ხშირი დამთხვევითობის პრინციპიდან გამომდინარე დამახასიათებელი

ნიუანსები, რომელიც საკითხის კომპლექსური კვლევის გარეშე შესაძლოა მკითხველის კონცენტრირებული ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი აზრით, ერთგვარი პარტიზანული ზემოქმედება ამ ტენდენციებისა მკითხველზე სულ უფრო ფესვს იდგამს და მკითხველიც და ავტორიც თანდათან ეჩვევა ამ რეალობას. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მწერლობა ყოველდღიურობას ფეხს არ უნდა უწყობდეს და არ უნდა ასახავდეს არსებულ მოცემულობას, თუმცა ასევე ღრმად გწამს, რომ ის მოდური ელემენტები, რომელიც ერთ დროს მარკეტინგის მოთხოვნებიდან გამომდინარე უხვად შემოიჭრა მწერლობაში, სადღაც აუცილებლად უნდა დაიწმინდოს და დარჩეს როგორც გავლილი ეტაპი და არა მუდმივი აწმყო. აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა ერთი ფაქტი გავიხსენოთ: ოთხი-ხუთი წლის წინ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში საკმაოდ ცნობადი ავტორი ასე მოძღვრავდა ტელემაყურებელს: ,,მწერლობაში პეპლების დრო წავიდა და ახლა ჰამბურგერერბის დროაო" სულიერების დრომოჭმულობა ჰქონდა მხედველობაში და ყოველდღიური პრაგმატული მშრალი რეალობის გაცოცხლება და გასულიერება მწერლობაში. დანამდვილებით ვერ ვიტყვით რამდენად მიიღო მაშინ ეს რჩევა მკითხველმა, თუმცა თანამედროვე მწერალთა უდიდესმა ნაწილმა, რომ დიდად განსხვავებული გზა არ აირჩია ეს ფაქტია. ჩვენ კი როგორც რიგით მკითხველს ეს ყოველივე ღია კარის მტვრევას გვაგონებს, რადგან გაუგებარია, რა საჭიროა ლიტერატურა, თუ მას მხოლოდ მშრალი პრაგმატიზმით გაავსებ და მკითხველს თავისუფალ სივრცეს არ დაუტოვებ სწორედ სულიერად ამაღლებისათვის. ამ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილავთ რამდენიმე, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული თანამედროვე ქართველი მწერლის შემოქმედებისთვის დამახასიათებელ საერთო ტენდენციას და გავიაზრებთ, თუ როგორ არის უღმერთობის პრობლემა გამძაფრებული თანამედროვე ლიტერატურაში, თუმცა ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენს მიერ განხილული ყველა ავტორი უდაოდ ნიჭიერი მწერალია და უმრავლესობა მათგანი არაერთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული, შესაბამისად ის საკითხი, რომლის წინა პლანზე გამოტანაც ჩვენ გვსურს ამ ნაშრომის ფარგლებში არაფერ შუაში არ არის ამ ავტორთა ნაწარმოებების დაკნინებასთან, უბრალოდ, ჩვენი აზრით, ეს არის ტენდენცია, რომელიც უდაოდ უნდა ასახულიყო მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის მწერლობაში, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა ამოიწუროს ან ჩანაცვლდეს ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში.

ჩვენი კვლევის თემა გახლდათ დაგვეძებნა უღმერთობის ელემენტების ასახვა, თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში, საკვლევ არეალად კი განვსაზღვრეთ ზურაბ ქარუმიძის, ლაშა ბუღაძის, ბესო ხვედელიძის, თეონა დოლენჯაშვილის და ანა კორძაია-სამადაშვილის ნაწარმოებები. საკითხის მიმოხილვას კი ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებით დავიწყებთ. თვალშისაცემია, რომ ზურაბ ქარუმიძეს უარყოფით კონტექსტში ჰყავს დახატული არაერთ ნაწარმოებში მენელსაცხებლები. მათ უწოდებს შარლატანებს, რომელთაც საკუთარი სუნი არ გააჩნიათ და ყველაფრიდან სუნი გამოჰყავთ: „იმ მენელსაცხებლეს დაემსგავსება, რომელიც ყველაფრის მაცერირებით ყველაფრიდან სუნამოსა ხდის, თავად კი საკუთარი სუნი არ უწყის, და არც სხვებმა უწყიან მისი სუნი" („ვულვას წინასწარმეტყველება", გვ. 60). ეს ხაზი ბუნებრივია, რომ პირდაპირი რემინისცენციაა და საწყისს ქრისტიანობისთვის წამებული, მენელსაცხებლე ჰაბო ტფილელიდან იღებს, შემდგომში ავტორი პირდაპირ ასახელებს და კიცხავს ჰაბოს რჯულის დატოვების გამო და ბრალს სდებს კულტურათა შეღრევაში, რომელიც გამოწვეული იყო ქრისტიანობის მიღებით და მისი საქართველოში ჩამოსვლით. მწერალი ირონიული ტონით მოიხსენიებს წმინდანს და „პანტომიმის მსახიობს" უწოდებს.

„- ერთი ის წითელქუდა ვინ იყო, ძუ მგლად რომ იქცა, და მგლების ხროვას რომ გაჰყვა უსიერ ტყეში?

- ეგ ჰაბო ტფილელი იყო, მაჰმადის სჯული, რომ მიატოვა და ქრისტესათვის რომ ეწამა".

(„ღვინომუქი ზღვა", „ ჰაბოს წამება", გვ. 226,) აღნიშნული ციტატიდან ჩანს მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება არა მარტო ქრისტესათვის წამებულის, არამედ თვით ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ. მწერალი თავის ნაწარმოებში აღნიშნავს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მრევლს ღალატი და ორგულობა ახასიათებთ, რაც გამოხატულია ნერსე ერისთავის მიერ ხრიკების ხლართვით ხალიფას მიმართ.

„ქრისტეს მიმდევართ ღალატი სჩვევიათ და ორგულობა" - წერს ქარუმიძე. („ჰაბოს წამება", გვ. 224) ბუნებრივია ღალატი არ არის რომელიმე სარწმუნოების ან ეროვნების ან სქესის ცალსახა მახასიათებელი, მოღალატე და უღალატო ყველა რწმენას ჰყავს და, ჩვენს ლოგიკას რომ თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში, ავტორი თავისსავე ლოგიკას ეწინააღმდეგება - აბო გაქრისტიანების გამოა მოღალატე - ნერსე არ გამაჰმადიანებისთვის? ცოტა უცნაურია, როცა ერთად განიხილავ ამ ორ კონტექსტს, ხომ არ გამოდის რომ აქ მხოლოდ თავისუფალი ნებისთვის და რწმენისთვის ბრძოლაა და არა ღალატი? ჩვენ ასე გვგონია.

მწერლის კალამს ეკუთვნის ასევე სამოთხის ცნების უგულებელყოფა. მას დახატული აქვს სურათი, სადაც სამოთხე არის ამქვეყნიური ცხოვრების ბოჰემური ანალოგი: „მსოფლიო ისტორიის აღმწერელს

დაესიზმრა სამოთხე, სადაც სულ ჭამენ და....., ჩინებულთაგან რჩეულთა შორის გადი-გამოდიან მასლაათით, ისევ ჭამენ და სვამენ და ისევ და ისევ.... ასე რომ - არ გირჩევთ, დიდი ვერაფერი ხვითოა". („ვულვას წინასწარმეტყველება", გვ. 75.) რადგან სამოთხე არის ქრისტიანული მოძღვრების განუყოფელი ნაწილი, აქაც სახეზეა რწმენის დეფიციტი. საინტერესოა, რომ ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად ქარუმიძის გმირები არ სწყალობენ არც სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, მაგალითად, მკვეთრად დამცინავია დამოკიდებულება ბუდისტური რელიგიისადმი: „ჰო - მართლა, ბუდა თუ შეგხვდა, სიტყვა არ წამოგცდეს, განზე გადექი და ტყვია დაახალე" („ალქაჯის სამზარეულო", გვ. 126). ეს კი, ჩვენი აზრით, ხაზს უსვამს ზოგადად უღმერთობის განცდას ქარუმიძის გმირებში, რაც კიდევ უფრო რთული ფსიქოლოგიური დამოკიდებულებაა ვიდრე ერთი რომელიმე სარწმუნოების არ ან ვერ გაზიარება, რაოდენ მშობლიურიც არ უნდა იყოს იგი. ქარუმიძის გმირები ვერ ხედავენ რწმენის აუცილებლობას და, პირიქით, ყველაფერი წარმოუდგენიათ ისე, თითქოს რწმენა ანგრევს ადამიანის შინაგან სამყაროს და არასწორ გზაზე აყენებს მას. „ოდითგანვე საკუთარი მრწამსის მსხვერპლია კაცი". („ალქაჯის სამზარეულო", გვ. 135) ამ ფონზე, რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი, რომ სასულიერო მოღვაწეთა სახე მკვეთრად უარყოფითი კონტექსტითაა დახატული ქარუმიძის პროზაში, სადაც გახაზულია მხოლოდ მანკიერი მხარეები სასულიერო წრისა და ყველა შეფასება ცალსახადაა გაკეთებული. განსაკუთრებით მწვავედ არის შემოტანილი აღნიშნული თემატიკა მოთხრობაში „ალქაჯის სამზარეულო", ავტორი გვიხატავს ეპისკოპოსს როგორც მარტოოდენ უხამს გრძნობებზე დამოკიდებულ ადამიანს და ეს, თითქოსდა, ჩვეულებრივ მოცემულობად უნდა რომ წარმოაჩინოს, სიტუაციის გასამძაფრებლად კი შიშველი ქალი შემოჰყავს ასპარეზზე: „ქურქიანი ქალი წინ გადაუდგება ეპისკოპოსს, ქურქს გადაიხსნის და შიშველ ხორცებს მიუშვერს...

...ნიმფეტი ზურგიდან დაუდგება ეპისკოპოსს და მათრახს უტლაშუნებს. ეპისკოპოსი ტკივილისგან იგრიხება, მაგრამ ქურქიან ქალს თვალს არ აშორებს". („ალქაჯის სამზარეულო", გვ 135)

იქნებ არც არის მორალურად გამართლებული მაგრამ მაინც, აქვე გვინდა პარალელი გავავლოთ ილიას პოემასთან „განდეგილი", სადაც სათნო, თითქმის წმინდანობამდე ამაღლებულ ბერს გარკვეულ მომენტში ქალის სილამაზის აღქმის უნარი ცოდვად ერაცხება, უფრო სწორედ, ბერი თავად იღებს პასუხისმგებლობას და, ვფიქრობთ, გადაჭარბებითაც კი აღიქვამს ადამიანური ცდომილების სიმძაფრეს, თუ დავაკვირდებით ამ ორ ნაწარმოებში, მიუხედავად დიამეტრალური განსხვავებებისა, სწორედ ერთი და იგივე ადამიანური სისუსტეა აქცენტირებული, მაგრამ ილიას მიერ დახატული ეს ფენომენი არის მეტად ზომიერი და საკითხი განხილულია ფილოსოფიურ ჭრილში, სასულიერო პირებისადმი პატივისცემის და მოკრძალებული დამოკიდებულების შეურყევლობით, ხოლო ქარუმიძე ამას რადიკალური და უხამსი ელემენტების გამოყენებით აკეთებს, კონტრასტი, ვფიქრობთ, ნათელია და რომელი სჯობს ამ ორი არჩევანიდან საზოგადოებამ ისედაც შესანიშნავად უწყის, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით.

საინტერესოა ღმერთისა და კაცის სიშორის ქარუმიძის გმირებისეული წვდომა, ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ კაცისთვის ღმერთის იდეებია მიუწვდომელი ხოლო ღმერთს კი კაცის არ ესმის. ეს ყველაფერი იმთავითვე აღიარებს ღმერთსა და ადამიანს შორის დაშორებულობის პრობლემას და თითქოს მისი გმირები ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ჩვენში აღარც არის საჭირო ღმერთის ცნების არსებობა: „ჩვენ ჩვენივე თავისუფალი ნების კალმით ნაწერი თხზულებანი ვართ. ესეგვარ ნაწერთა ენა უცხოა ღმერთისათვის, ისევე, როგორც ჩვენთვის უცხო არს ენა ნიშანთა მისთა" („ალქაჯის სამზარეულო", გვ. 119).

ამავე იდეის მატარებელია და ღმერთის თვითმკვლელობას უსვამს ხაზს არაერთი მისი ნაწარმოები: „ქალი ქურქში: თვითმკვლელი ღმერთის თაყვანისმცემელი კაცი: ასეთ კაცს ქალი კი არ უნდა, მათრახი უნდა." („ალქაჯის სამზარეულო", 132 გვ.) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ღმერთის თვითმკვლელობა გაიგივებულია ჯვარცმასთან, ეს გაიგივება შეუძლებელია იყოს სწორი დამოკიდებულება, ვინაიდან ჯვარცმა რწმენისათვის, იდეისათვის თავგანწირვაა და ჯვარცმის შინაარსი რადიკალურად განსხვავება თვითმკვლელობისგან. გარდა ამისა ამავე მოთხრობაში მოყვანილია ორი უხამსი შედარება, პარალელები გავლებულია ერთმანეთთან მიმართებაში სრულიად ალოგიკურ ცნებებს შორის. ადამიანის ღმერთისკენ წვდომა შედარებულია კაცის ქალთან წვდომაზე. ეს ყოველივე მიმართულია ღმერთის სახის გაუბრალოებისკენ და არა შეუცნობლის წვდომისკენ. ერთ კონტექსტშია მოხსენიებული რელიგიური და ეროტიკული ცნებები, რაც, მიუხედავად ჩვენი ღრმა პატივისცემისა ბატონი ზურაბ ქარუმიძისადმი, ყოვლად დაუშვებლად და უსარგებლოდ მიგვაჩნია.

განიხილავს რა ადამიანთა ქცევას, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შურისძიება არის აუცილებელი მოვლენა და შესაბამისად მისი პროპაგანდაც ჩნდება შემოქმედებაში, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ მორალს, რომელიც ვერ გუობს და, უფრო მეტიც, არათუ შურისძიების გრძნობას გმობს, არამედ ქადაგებს, რომ ერთ ლოყაში თუ გაგარტყამენ, მეორე უნდა მიუშვირო.

თანამედროვე ლიტერატურისთვის მძაფრად არის დამახასიათებელი სისასტიკე, მოთხრობაში „მღვდლის ცოდვა" ლაშა ბუღაძე აღწერს პასაჟს, სადაც სწორედ ჩვენს მიერ აღნიშნული ტენდენციაა დასურათებული. პერსონაჟი რედაქტორი ითხოვს პერსონაჟი ავტორისგან გვამს, რითაც სწორედ სისასტიკის მოდურობაა ხაზგასმული: „იმ დღეებში ტრილოგიის მესამე ნაწილზე ვმუშაობდი. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომეკლა ბოშათა ბარონი და მთავარი გმირები მშვიდობიანად ჩამეყვანა ვალემდე. ამჯერად ერთი მიცვალებული უნდა მეკმარა. მეორე ნაწილმა („მგლის ცოდვამ") როკორდულ მაჩვენებელს მიაღწია გვამების სიჭარბით. დავითვალე კიდეც: ხუთასგვერდიან რომანში 134 გვამია. ჩემს გამომცემელს კი, პირიქით, სულ ეცოტავება - ფაქტობრივად, ყველა გვერდზე მიცვალებულს მოითხოვს. ნამდვილი სისხლისმსმელია. მისი საყვარელი ლოზუნგია: „თითო გვამი - ყოველ გვერდზე". (ლაშა ბუღაძე, „მგლის ცოდვა" - გვ. 21)

ბესო ხვედელიძის მოთხრობის პერსონაჟი კი რომელიც ძაღლს მანქანით გაიტანს, ასეთ კომენტარს აკეთებს: „ძაღლია ადამიანი ხომ არა?" (ბესო ხვედელიძე, ძაღლური ცხოვრება, გვ. 74) რაც იმას ნიშნავს რომ სისასტიკე და შეუბრალებლობა ყველას და ყველაფერს სწვდება, ადამიანსაც ცხოველსაც, სულიერსაც და უსულოსაც, რადგან თანამედროვე მწერლის რაკურსით საყოველთაო სისასტიკე უფრო საინტერესოა ვიდრე ერთი კონკრეტული გამეტება. თუმცა, ყოველივე ზემოთქმულს კარგად აჯამებს თეონა დოლენჯაშვილის რომანის „Animal Planet"-ის პროლოგში გამოყენებული მარკუს ტულიუს ციცერონის ფრაზა, რომელიც ამართლებს თვით ამ რომანის სახელწოდებას: „ბრძენთა ქცევა ნაკარნახევია გონებით, ნაკლებად საზრიანთა - გამოცდილებით, უმეცართა - აუცილებლობით, ცხოველთა ბუნებით". („Animal Planet", გვ. 3)

აღსანიშნავია თეონა დოლენჯაშვილის ერთ-ერთი ნაწარმოები „რეალური არსებები", რომელსაც წამძღვარებული აქვს სიორენ კირკეგორის შემდეგი ფრაზა: „მოთმინება არ მყოფნის ცხოვრებისთვის". მოთხრობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალი თაობის წარმომადგენელი დათუნა, რომელსაც საშუალება რომ ჰქონდეს, ყველას გაისტუმრებდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, მათ შორის, მშობლებსაც, იმდენად სძულს ეს სამყარო და ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია. ამით ავტორს შესაძლოა სურდა ჩვენთვის ეჩვენებინა ახალი თაობის სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი და მისწრაფებები, სადაც ღმერთი და სულიერი ზნეობა არ არსებობს.

აქტუალურად არის გამახვილებული ყურადღება უღმერთობის პრობლემატიკაზე თეონა დოლენჯაშვილის რომანში „Animal Planet", სადაც ავტორი გვიხატავს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას, იმ რეალობას, რომელშიც, სამწუხაროდ, აღარც დრო და აღარც მზაობა აღარ დარჩა ღმერთისკენ წვდომაზე. ამით შესაძლოა ავტორს სურს დაგვანახოს დღევანდელი რეალობა და გარკვეულწილად გამოგვაფხიზლოს კიდეც, რამეთუ ჩვენი ცხოვრებაც არ ჰგავდეს ამ წიგნის პერსონაჟთა ცხოვრებას, რეალურ სამყაროში კი ხშირად ადამიანები მათდა უნებურად ცხოველებს ემსგავსებიან, ივიწყებენ სულიერებას და სრულიად სხვა - უსულო სამყაროში ცხოვრობენ. სწორედ ეს აწუხებს მთავარ გმირს და სძულს ის ადამიანები, რომელთაც ყოველდღე ერთი და იგივე უშინაარსო, ცხოველურ ინსტინქტებზე დამყარებული ცხოვრება აქვთ: „სახლები და ადამიანები ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მე მძულდა მათი კეთილმოწყობილი, ბიურგერული ყოფა, დღესასწაულებსა და კურორტებზე გადაღებული ყალბი ფოტოებით." („ცარიელი ცა", გვ. 94)

ამავე აზრის შემცველია ბესო ხვედელიძის მოთხრობა „ძაღლური ცხოვრება". ავტორი, განიხილავს რა ადამიანთა ყოველდღიურობას და ქმედებებს, ასევე იმ ცხოველურ ინსტინქტებს, რომლებიც გარკვეულწილად დევს ადამიანის ცნობიერებაში, გვიხატავს სიტუაციას, როდესაც ხშირად ადამიანები ემსგავსებიან ცხოველებს.

უღმერთობის თემაზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ ანა კორძაია-სამადაშვილის რამდენიმე მოთხრობას, სადაც ავტორი თავადვე აღწერს დღევანდელ რეალობას და იმ ცვლილებებს, რომლის შედეგადაც ადამიანში ღმერთის ცნება დაიკარგა. მისი ერთ-ერთი მოთხრობა „რიტუალები", კარგად აღწერს ადამიანთა ღირებულებებს. ჩვენ ხშირად არ გამოვხატავთ იმას, რასაც ვგრძნობთ, ჩვენი საქციელი და ქმედება მორგებულია სხვა ადამიანის მიერ ჩვენს აღქმაზე, რაც ხშირად სიყალბემდე მიდის, კორძაია-სამადაშვილის გმირი ასე ყვება ამ პრობლემის შესახებ: „ფილოსოფოსმა ვახშამზე მიმიწვია. ჩემს გამოწყობაზე სამი ქალი ზრუნავდა, იმის ასახსნელად, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ორმა მამაკაცმა მოიცალა. ერთი მათგანი საკიდად გამოვიყენე: ფაქტია, რომ პალტოს ჩასაცმელად მომაწვდიდნენ და კარგა ხანს ვივარჯიშე." (5, 197) მწერალს გაშარჟებული აქვს დამოკიდებულება ამ რიტუალებისადმი და ირონიულ კონტექსტში გადმოგვცემს მას: „მე მამაცურად ვხმარობდი დანა-ჩანგალს, ცოტას ვლაპარაკობდი და ბევრს ვიღიმოდი." (5, 198)

თავისთავად რიტუალი შესაძლოა სხვა სახისაც იყოს, ემსახურებოდეს კონკრეტულ იდეას ან სარწმუნოებას, ემსახურებოდეს სულიერი ცხოვრების გაძლიერებას რასაც საუკუნეების ტრადიცია გააჩნია, მაგრამ ამ შემთხვევაში, დოლენჯაშვილის გმირის რიტუალები ზედმეტად პირადულია და

ირონიითა თუ ცინიზმით გაჯერებული. ადამიანი თავის მოგონილ რიტუალებში ცხოვრობს და ეს არის ზოგადი ადამიანური პრობლემა, რომელსაც მივყავართ არასასურველ შედეგამდე, საკუთარ თავში მოქცეული, სხვის დასანახად მცხოვრები ადამიანი შორდება ნატურალიზმს და შესაბამისად სულიერებასაც.

„ჩემი საყვარელი რიტუალები! მათი გადამკიდე საერთოდ ვეღარაფერს ვხედავ და მერე ძალიან მიკვირს, რომ დიდი სიხარული და დიდი განსაცდელი უფერული, არაფრისმომცემი ხდება"(5, 197). - ჩივის გამორკვეული მთავარი გმირი.

ამავე თემას ეხება ანა კორძაია-სამადაშვილი მოთხრობაში „მე მომკლეს, დე...", სადაც პერსონაჟი რელიგიური რიტუალის ასოციაციით, სრულიად გაუკუღმართებულ რიტუალს ხედავს სიზმარში და თავადვე უსვამს კითხვას თავის თავს, ნორმალურია თუ არა ეს.

„ცუდ სიზმარს ვხედავ, ძალიან ცუდს. აჰა, ა, ახლა ეს ნორმაა? ჯაჭვი დგას, ჯაჭვში - ტრანსვესტიტები, და გულზე აწერიათ: I am Georgia. გესმით რას ყვირიან? გვფარავდეს წმინდა პროხორ მუხოსრანსკელი! ჯაჭვი ერთხმად ლოცულობს და მერე მიკროფონში აცხადებენ: „მეტანია, მეტანია, მეტანია.

ვითომ ნორმალურია ასეთი სიზმრები? ნეტა, გამეღვიძება?" (5, 273)

ვფიქრობთ, ამ პასაჟით ავტორი ხაზს უსვამს ადამიანთა ზოგადად გაუკუღმართებულ ცხოვრებისეულ გზას, ანა კორძაია-სამადაშვილის პერსონაჟი იმდენად არის უღმერთობის გზაზე დამდგარი, რომ მისი სიზმარშიც კი სატანური ნაკადი შეედინება. პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს ასახვით კი გამოაშკარავებულია ავტორის განცდა სწორედ თანამედროვე ლიტერატურაში წინა პლანზე წამოწეული უღმერთობის პრობლემატიკისა, რომელიც არის კიდეც ჩვენი კვლევის საგანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

შესაძლოა ითქვას, რომ ლიტერატურა ცოცხალი ორგანიზმია, ის მუდმივ ცვლილებას და განვითარებას განიცდის და პერიოდულად მასში ჩნდებოდა და ჩნდება ახალ-ახალი თემები, პრობლემები თუ ტენდენციები, ჩვენ გვსურდა ამ შემთხვევაში განსხვავებული რაკურსით დაგვენახა თანამედროვე ლიტერატურაში ჭარბად შემოჭრილი ტენდენცია სულიერების დამუხრუჭებისა და შესაბამისად უღმერთობის ზომაზე მეტი დოზით დემონსტრირებისა. ჩვენ თუმცა აქვე ვადასტურებთ ჩვენს ღრმა პატივისცემას დასახელებული მწერლებისადმი და მიგვაჩნია, რომ უმეტესი მათგანის საწუხარიც სწორედ ის პრობლემაა, რაზეც ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ლიტერატურაში ამ ტენდენციის დიდი დოზით შემოტანამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ახალბედა მკითხველზე და პირდაპირ მაგალითის მიმცემი შეიქმნას, საკითხის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბების გარეშე. ამიტომ ვთვლით, რომ ჩვენი კვლევა აქტუალურია, ხოლო აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა საკითხის შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა:

1) ზ. ქარუმიძე, „ღვინომუქი ზღვა", გამომცემლობა „პალიტრა", თბილისი, 2012.
2) ლ. ბუღაძე, „ერთზე მეტი, ორზე ნაკლები", თბილისი, 2012, გამომცემლობა პალიტრა
3) ბ. ხვედელიძე, „მინდვირს ყვავილები", გამომცემლობა „პალიტრა", თბილისი, 2011.
4) თ. დოლენჯაშვილი, „Animal Planet", გამომცემლობა „პალიტრა", თბილისი, 2011.
5) ა. კორძაია-სამადაშვილი, „მარიაეტას გზა", „ზღვა", გამომცემლობა „პალიტრა", თბილისი 2012.
6) ა. ბაქრაძე, სკოლას, გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2013.

თვალი პატიოსანი და ფერთა სიმბოლიკა ოსკარ უაილდის ზღაპრების მიხედვით

ნათია ბეგლარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია ბოლაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ოსკარ უაილდი 1854 წლის 16 ოქტომბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში დაიბადა. ოსკარის მამა სერ უილიამ რობერტ უაილდი არა მხოლოდ ირლანდიაში, არამედ მთელ გაერთიანებულ სამეფოში სახელმოხვეჭილი ოფთალმოლოგი და ოტოლარინგოლოგი იყო. ოსკარის დედა - ლედი ჯეინ ფრანჩესკა უაილდი (ქალიშვილობისას ელჯი) - ირლანდიელი მაღალი წრის ცნობილი ქალბატონი გახლდათ. ის თეატრის გულმხურვალე თაყვანისმცემელი და პოეტი იყო, პატრიოტულ ლექსებსაც წერდა ფსევდონიმით „სპერანცა“. მამისგან ოსკარს საოცარი შრომისმოყვარეობა დაჰყვა, დედამ კი მეოცნებე და ოდნავ ეგზალტირებული ბუნება დააყოლა.

1864-1871 წწ. დუბლინთან ახლოს, დაბა ენისქილენში, პორტორის სამეფო სკოლაში სწავლობდა. თრინითი - კოლეჯში ოსკარი (1871-1874) ანტიკურ ისტორიასა და კულტურას სეუფლებოდა, სადაც ძველი ენებისადმი მიდრეკილებით თავი არაერთხელ ისახელა.

1874 წელს უაილდმა ოქსფორდის მაგდალენას კოლეჯში კლასიკურ განყოფილებაზე სწავლის სტიპენდია მოიგო.

ოსკარ უაილდს დაწერილი აქვს მრავალი პიესა, მოთხრობა, მისი ცნობილი რომანია „დორიან გრეის პორტრეტი“. ის ავტორია არაერთი ზღაპრისაც. ყველაზე ცნობილია ზღაპართა კრებული „ბროწეულის სახლი“.

ოსკარ უაილდი გარდაიცვალა 1900 წლის 30 ნოემბერს.

უაილდის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ამაღლებული, პოეტური, ნაზი ორნამენტებით მორთული ზღაპრები, რომლებიც მახვილგონივრული, ფერადოვანი ფიქრით სავსე და კომპოზიციურად შეკრულნი არიან. მისი ზღაპრები ფანტასტიკური ფორმით გვაცნობენ უაილდის ხელოვნების საუკეთესო მხარეებს. ეს არც საბავშვო ზღაპრის და არც ხალხური ზღაპრების ვარიაციაა. ზღაპრების გარეგანი ფორმა უაილდის ხელში დეკორაციული და ორნამენტული ხელოვნების ნიმუშად ქცეულა. ზღაპრებში სრულყოფილებას აღწევს ფორმა - ისეთი მოხდენილი, ისე ნატიფად ჩამოქნილი, რომ თითოეული ზღაპრის ღრმა აზრი თითქოს უკან იხევს და უმშვენიერეს საბურველში ეხვევა.

„ბედნიერი უფლისწულის“ (''The Happy Prince'') გმირი უკეთილშობილესი ადამიანია, როგორც მისი თვალების ქვები ადასტურებს, რომლებიც საფირონისანი არიან, ხოლო საფირონის ქვა უმანკოების სიმბოლოდ ითვლება. იგი იცავს სულს შურისა და ბოროტებისაგან. თანაც გამოიყენება, როგორც სიყვარულის ამულეტი, რადგან ექვს სხივს ირეკლავს, ხოლო ციფრი ექვსი ვენერას საღვთო რიცხვად იგულისხმება. „ელვარე საფირონი“, პრინცის თვალები ხომ ლურჯად ელვარებდა, ეს აღნიშნავს მის უღალატობას, რადგან თუ საფირონს მოღალატე პიროვნება ატარებს, იგი ფერს იცვლის და იბურება.

რაც შეეხება ლალს, რომელსაც მწერალი სისხლის ფერს ამსგავსებს, მას შინაგანი ალი აქვს, რომელიც იცავს სიცოცხლეს, მოაქვს მშვიდობა და ჯანმრთელობა. მართლაც, ლალის ქვა უფლისწულმა მერცხალს მომაკვდავი ბიჭის დედასთან გაატანა. მართალია, ბოლომდე არ ჩანს ბიჭის გამოჯანმრთელება, მაგრამ, წითელი ლალის თვისებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მომაკვდავი ბიჭი სიცოცხლეს უთუოდ დაუბრუნდება.

ოსკარ უალდი მრავალჯერ ახსენებს ოქროსფერ ქარვას, რადგან ეს ქვა აღიარებულია, როგორც ადამიანის ასტრალური და ფიზიკური სხეულების განმწმენდი. მას ოდითგანვე შემოქმედების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ის ხელს უწყობს ფიზიკური ძალისა და სიმხნევის მომატებას.

ყვითელი ვარდი თავის ყვავილს სირინოზის თმებს ამსგავსებს, რომელიც ქარვის ტახტზე ზის: ,,My roses are yellow, as yellow as the hair of the merrmaiden who sits upon an amber throne.'' (The Nightingale and the rose. P. 14). ,,The young king had sent away many merchants, some to traffic for amber with the rough fisher folk of the north seas.'' (The young king. P. 85). ზღვის ქალი უმღეროდა: ,,of the palace of the king which is all of amber, with roof of clear emerald and a pavement of bright pearl.'' (The Fisherman and his sole. P. 116).

„დაზამთრდა, ყინულის გრძელი, გამჭვირვალე ლოლოები ბროლის მახვილივით ეკიდა სახურავზე“ ,,The cold, crystal Moon leaned down and listened to the nightingale.” (The nightingale and the rose. P. 15). ,,In to the second chamber I saw an idol standing on a lotus of jade hung with great emeralds. In one hand it held a crooked sceptre of jade and in the other a round crustal.” - უამბობს მებადური თავის სულს (p. 131).

რაც შეეხება ზურმუხტს, ძვირფასეულობათა შორის იგი არის ერთგულების, ბედნიერების, მარადიული ახალგაზრდობისა და სიმშვიდის სიმბოლო.

ბუმბული ამბობს: ,,Suraly love is a wonderful thing. It is more precious than emeralds, and dearer than fine opals.” (The Nightingale and the Rose. p. 12). ილელის კერპი ზურმუხტის თვალებით მორთული ნეფერტიტის ლოტოსზე იჯდა, ვაჭრები ყიდიდნენ ოქროში ჩასმულ ვეფხვისა და ავაზას კლანჭებს, ზურმუხტის დახვრეტილ საყურეებსა და ნეფრიტის ღრუ ბეჭდებს.

ზღაპრებში სხვა მრავალ ძვირფას ქვებთან ერთად მოხსენებულია ძოწი, მარგალიტი, გემა და სხვა.

,,And delicate flush of pink came in the leaves of the rose, like the flush in the face of the bridegroom when he kisses the lips of the bride. But the thorn had not yet reached her heart, so the rose's heart remained white, for only a Nightingale's heart's blood can crimson the heart of rose. And soon the marvelous rose became crimson, like the rose of eastern sky. Crimson was the girdle of petals and crimson as a ruby was the heart.“ (The Nightingale and the rose. P. 16).

ოსკარ უაილდის გარშემო ყველაფერი ლამაზია და მრავალი ფერითაა სიმბოლიზებული: „ცის დასალიერზე მომაკვდავი დღის კოცონი გიზგიზებს, ქარიშხლიან ყურეში დამმჭკნარი ფოთოლივით მიფრიალებს მთვარე - ყვითელი მარმაშით შებურვილი. სხვა დროს ეს მთვარე ზამთრის ცაზე განრისხებული ლომის თვალივით ელავს ბრინჯაოს ფერი ღრუბლების ფაფრიდან. აქ, გრძელ და გარინდულ ქუჩაში მფრთხალი ასულივით მიიპარება ვერცხლისფერ სანდლება ალიონი „სქელი ნისლი სანაპიროზე ყვითელი აბრეშუმის შარფივით ჰკიდია”. ბულბული გამიჯნურებულ სტუდენტს მთვარის შუქის ჰანგებით შექმნილ და საკუთარი სისხლით შეფერილ ძოწისფერ ვარდს უსახსოვრებს (The Nightingale and the Rose). თავკერძა გოლიათის ბაღში ზაფხულობით თორმეტი ატმის ხე იფეთქებს ვარდისა და სადაფისფერ ყვავილებად, ბრინჯაოსფერ ნარცისს მძიმე ქუთუთოები ელულება“ (The Selfish Giant).

ლიტერატურა:

1. ჯონ კიტსი, „რა თქვა შაშვმა“, ინგლისურიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა. (ეპიგრაფი), 1981.
2. მ. კვესელავა. „ფაუსტური პარადიგმები“, თბილისი, 1961.
3. ნ. ქაჯაია, „ცხოვრება - მშვენიერების ანარეკლი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №32 (3085) 9-16/VIII. 1996.
4. Oscar Wilde ,,Complete Short Fiction” – Penguin classics. ,,Fairy Tales”, 1975.
5. Oscar Wilde ,,selections”, volume one, Moscow, Progress publishers. 1979.
6. The Portable Oscar Wilde, Revised Edition. Edited by Richard Aldington and Stanley Weintraub. Penguin Books. 1962.
7. ჟურნალი ,,ჰოროსკოპი“, აგვისტო, თბილისი, 2000.
8. Pure Inspiration by H. Samuel 2002.
9. გაზეთ „ახალი ეპოქის“ ლიტერატურული ჩანართი „ჩვენი მწერლობა“, №19, 16/III, 2001.

ПРОЦЕСС ЗАИМСТВОВАНИЯ КАК ИСТОЧНИК ПОПОЛНЕНИЯ СОВРЕМЕННОГО РУССКОГО ЯЗЫКА НА ПРИМЕРЕ ИНФОРМАЦИОННО-АНАЛИТИЧЕСКОГО АГЕНТСТВА «ГРУЗИНФОРМ»

Анна Тиникашвили
ст. 3 к. спец. рус. филология гуманит. фак.
научн. рук. докт. **Н. Пацация**

Процессы всемирной экономической, политической и культурной интеграции и унификации (глобализации) все больше входят в нашу жизнь. В язык попадает огромное количество иностранных слов, большую часть которых нужно отсеивать за ненадобностью. Но в СМИ в погоне за престижем и «красным словцом» стараются использовать иностранную лексику (хотя имеются русские эквиваленты), что приводит к

непониманию со стороны публики, варваризации языка и ошибкам в употреблении заимствований. Таким образом, изучение данной темы как никогда актуально в наше время. Цель нашего исследования — проанализировать использование заимствований в современных СМИ и выявить закономерности их использования. Поставленная цель определила следующие задачи:

1) определить состав заимствованной лексики в СМИ;
2) изучить причины, пути проникновения и основные этапы заимствований;
3) выявить роль использования заимствованной лексики в СМИ;
4) на конкретных примерах выявить целесообразность употребления заимствований в СМИ.

При исследовании нами были были использованы методы анализа и обобщения. Объектом исследования является заимствованная лексика в современных СМИ на примере «Грузинформ» (официальный сайт http://ru.saqinform.ge/). Теоретическая значимость работы состоит в том, что исследование может послужить основой для прогноза дальнейшего развития лексики СМИ. Практическая значимость результатов исследования можно использовать для решения проблем культуры речи.

Заимствования – важнейший источник пополнения лексики СМИ и один из способов развития языка. Множество заимствованных слов очень быстро воспринимаются уже как исконно русские.

Заимствования в СМИ вызваны политическими, экономическими и культурными контактами. В Грузинформе (выпуски января – апреля) мы обнаружили заимствования из английского, французского, тюркского, немецкого, голландского, греческого, латинского и языков.

По степени освоения на сайте мы выделили следующие типы:

- полностью заимствованные – слова, которые ассимилировались в языке-преемнике графически, фонетически (орфоэпически), семантически, слообразовательно, морфологически и синтаксически;
- интернационализмы – получившие распространение во многих языках мира, в том числе и русском (философия, телефон, такси);
- экзотизмы – национальные названия предметов быта, домашней утвари, одежды, обычаев, обрядов того или иного народа или страны (кус-кус, фунт, акр);
- иноязычные вкрапления (варваризмы) – слова, словосочетания и предложения, находящиеся в чужом языковом окружении, которые не освоены или неполно освоены принимающим языком, в данном случае - русским (уикэнд, стенд-ап).

Следующим этапом нашей работы было определить внутренние и внешние причины заимствований в «Грузинформе». Они, естественно, совпали с общей тенденцией процесса заимствования в языке.

К внешним причинам мы отнесли:

1) политические, экономико-промышленные и культурные связи между народами;
2) заимствование наименований вместе с заимствованием вещи, понятия.

К внутренним причинам мы отнесли:

1) стремление к устранению полисемии исконного слова;
2) потребность уточнить или детализировать понятие;
3) заимствование новых слов, структурно аналогичных уже освоенным в языке заимствованиям (например, слова на –мен: полисмен, шоумен);
4) тенденция к замене исконного словосочетания одним словом.

Далее мы попытались классифицировать зафиксированные в «Грузинформе» заимствования.

Существует множество различных классификаций заимствований, приводимых различными исследователями этого феномена. Среди этого многообразия можно выделить основные признаки, по которым идет классификация: это источник, время заимствования и тематика.

Мы проиллюстрировали эту схему на материале выпусков «Грузинформа».

1. По источнику в выпусках нами были зафиксированы славянские и неславянские заимствования.
2. По времени заимствования — (исследователи обычно выделяют заимствования периода общеславянского единства (до IX века), древнерусского периода и собственно русского периода) отмечены заимствования более позднего времени – в основном, XX века.

Наиболее интересна и разнообразна была работа над классификацией по тематике. Мы выделили следующие тематические группы:

1) общественно-политическая лексика (либерализм, спикер, скинхед, холдинг, брифинг);
2) финансово-экономическая лексика (дефолт, дистрибьютор, дилер, тендер, франчайзинг);
3) административно-правовая лексика (рэкет, рэкетир, шериф, копирайтер, гангстер, киллер);
4) спортивная лексика (кикбоксинг, рафдинг, дайвинг, серфинг);
5) рекламное дело / журналистика (директор, имиджмейкер, лейбл, прайс-лист);
6) техническая лексика (тостер, миксер, пейджер, монитор, компьютер);
7) лексика из области искусства и культурной жизни (бестселлер, блюз, стрейч, пирсинг, пилинг);
8) кулинарная лексика (крекер, гамбургер, чизбургер, фри);
9) лексика моды (пиджак,кутюрье).

Процесс заимствования имеет и негативную сторону. Ещё в 19 веке Иван Серегеевич Тургенев писал: «Берегите чистоту языка, как святыню! Никогда не употребляйте иностранных слов. Русский язык так богат и гибок, что нам нечего брать у тех, кто беднее нас».

То есть, великий писатель предостерегал нас от слепого копирования, неоправданного нуждами русскоязычной коммуникации. Это наносит ущерб художественной речи, которая обесценивается, если разнообразным русским ярким словам предпочитаются невыразительные иноязычные слова.

Немотивированное использование иностранной речи приводит к:

- Неясности речи широкому кругу читателей.
- Затрудненности восприятия.
- Перегруженности текстов заимствованиями.
- Нарушению стиля речи.

Нужно сказать, что подобным, порой грешит и «Грузинформ». Хотя, справедливости ради, нужно отметить, что по сравнению с некоторыми русскоязычными СМИ это явление протекает более умеренно (мы просматривали материалы газет «Аргументы и факты» и «Комсомольская правда»).

Подведём итоги сказанному:

- Причины укоренения заимствованных слов в русском языке заключаются в формировании дополнительных семантических компонентов – поэтому слово закрепляется в языке (например, паника – не просто страх, а «крайний, неудержимый страх»).
- Иноязычное наименование нередко оказывается короче собственного, лаконичнее, а значит, более удобное в использовании, например, «снайпер» – вместо «меткий стрелок».
- По степени освоения в СМИ («Грузинформе») были выделены полностью заимствованные слова, интернационализмы, экзотизмы и варваризмы.
- Классификация заимствований в СМИ основывается на источнике, времени заимствования и тематике.
- Слепое заимствование лексики, так характерное для современных СМИ, обедняет русскую речь, приводит к нарушениям культуры речи, делает текст малопонятным, а значит, и менее интересным для читателя.
- И последнее – пожалуй, единственное крупное русскоязычное издание в Грузии – «Грузинформ» – ярко иллюстрирует лингвистическое явление, именуемое заимствованием, что подтверждается сделанным нами анализом использования заимствований и выявлением закономерностей их использования в издании.

ЛИТЕРАТУРА:

1. http://ru.saqinform.ge - сайт информационно-аналитического агентства «Грузинформ»
2. Л.П. Крысин. 1000 новых иностранных слов: Тысяча новых иностранных слов: происхождение слов, толкование значений, грамматическая характеристика, употребление в речи. М., 2009.
3. Вл. Новиков. Словарь модных слов: языковая картина современности. М. 2011.
4. Большой словарь иностранных слов. М. 2007.
5. http://www.durov.com/linguistics2/dyakov-03.htm – А.И. Дьяков. Причины интенсивного заимствования англицизмов в современном русском языке

ძველი ინგლისური ენის ō-ხმოვანფუძიანი სახელების დეკლინაციური თავისებურებანი

ლანა ლომინაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანა მესხი,** პროფესორი

თემის აქტუალობა: დღევანდელი მსოფლიოს ექვსი ათასამდე ენით შექმნილ ლინგვისტურ მრავალფეროვნებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი – კვდომა და გლობალიზაცია მიმდინარეობს. ცოცხალი ენების კლასიფიკაცია სხვადასხვა პრინციპს ემყარება: გენეტიკური, მორფოლოგიური, ტოპოლოგიური დ სხვ. მოხსენებაში განსახილველი ქართული და ინგლისური ენები არც ერთი აღნიშნული კლასიფიკაციით (გენეტიკური, მორფოლოგიური, ტოპოლოგიური) არ უკავშირდებიან ერთმანეთს. ქართული იბერიულ-კავკასიური ოჯახის აგლუტინაციური ენაა, ინგლისური კი ინდოევროპული ოჯახისა; პირველი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, მეორე

კი ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში. მეტიც, თუ მე-17 საუკუნეში არსებობდა არც თუ უსაფუძვლო მოსაზრება ქართულისა და ინდოევროპული ოჯახის სხვადასხვა ენის ნათესაობის შესახებ, დღეს ამის შესახებ არავინ საუბრობს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მეცნიერი დღესაც აშკარად საუბრობს ქართულსა და ინდოევროპულს შორის არსებულ გენეტიკურ (ა. მესხი) თუ ტოპოლოგიურ (გ. მელიქიშვილი, ი. მელიქიშვილი, გ. კლიმოვი) კავშირებზე. ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა პროფესორი ანა მესხის შეხედულება ინგლისური ენის ქართველური სუბსტრატის შესახებ, რომელზეც მკვლევარი არაერთი წელია რაც მუშაობს (მესხი 2013, 2012, 2011, 2010, 1996). მკვლევარი ეყრდნობა უახლოეს გამოკვლევებს გენეტიკურ (Oppenheimer 2007) და ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში (Forster, Toth 2003). კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში დაბადებული მამრი (R1b, I) და მდედრი (HV) ჰაპლოჯგუფების მიგრაციას პალეოლითში და ბრიტანეთის კუნძულებზე ბასკურის მსგავსი თავდაპირველი ენის გავრცელებას. დღეს ბასკურისა და ბრიტანელების პირველი ენის კავშირებზე ძველი ინგლისური ენის სახელმძღვანელოებიდანაც გვესმის: „ენა, რომელზეც ეს ხალხი საუბრობდა, მკვდარია; თუმცა ესპანეთის პირენეის მთებში შემორჩენილია პატარა თემი, რომლის ენა ამჟამად ცნობილ არც ერთ ენასთან არ ამჟღავნებს მსგავსებას. ამ თემის ხალხია ბასკები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბასკური ენის კვლევამ შესაძლოა ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრები ერთ-ერთი ჯგუფის ენასთანაც კი მიგვიყვანოს“ (Cable 2007: 45).

ა. მესხის შეხედულებას ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებული პირველმოსახლეების ქართველური ენებზე მეტყველების შესახებ სხვა ფაქტებიც ადასტურებს:

- ბასკურისა და ქართველურის უკვე დადასტურებული ნათესაობა (ბრაუნი 1998; ქურდიანი 2007: 441-500);
- რედინგის უნივერსიტეტის მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნა, რომლის მიხედვით ევროპის პირველი ენა ქართული იყო (ა. მესხი 2012: 82).

ბრიტანეთის კუნძულების ლინგვისტური სურათი. „ენათმეცნიერების და გენეტიკის უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, ქართულ ენას ევროპის გავლით, ბრიტანეთის კუნძულებამდე ზედა პალეოლითის ეპოქაში უნდა მიეღწია“ (მესხი 2013: 255), რის შემდეგაც იწყება მისი დამოუკიდებელი განვითარება და შესაბამისად, ცვლაც. აღნიშნული ვითარება გაგრძელდა რომის მიერ ბრიტანეთის დაპყრობამდე, რომელსაც მის (ენის) განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა. სხვა ენების (გერმანიკულის) გავლენა გაგრძელდა მე-5 საუკუნეში მოსული გერმანიკული ტომების შედეგადაც, რომელსაც მოგვიანებით ინგლისური ენა დაეყრდნო. მართალია, ენა ძლიერ შეიცვალა, მაგრამ მოსახლეობა ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა. ბრიტანეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს დღესაც პალეოლითის ხანის გენეტიკის ხალხი შეადგენს. ყველაზე კარგად ამ გენის არსებობა ჩანს ირლანდიაში (88 %), უელსში (81%), კორნეულში (79%) და შოტლანდიაში (70 %).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველურ ენებს ინგლისური ენის წარმოქმნაში სუბსტრატის როლი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა ეთამაშათ. ა. მესხის აზრით 16 000 (ა. მესხი 2012: 81), ხოლო რედინგის უნივერსიტეტის მკვლევართა აზრით 15 000 წელი (http://www.foxnews.com/science/2013/05/07/before-babel-ancient-mother-tongue-reconstructed).

ძველი ინგლისური ენის მოკლე მიმოხილვა. ინგლისური ენის ისტორია სამ ეტაპს მოიცავს: 1. ძველი ინგლისური პერიოდი ანუ Old English (OE); 2. საშუალო ინგლისური პერიოდი ანუ Middle English (ME); 3. ახალი ინგლისური პერიოდი ანუ New English (NE). წარმოდგენილი კვლევისთვის მხოლოდ ძველი ინგლისური ენის პერიოდია საინტერესო და ამიტომ მოკლედ შევეხებით მას. ძველი ინგლისური ენის ხანა იყოფა *ადრეულ* ანუ *წინადამწერლობითსა* და *დამწერლობის* ხანად. პირველი ანუ Pre-Old English უშუალოდ უსწრებდა ძველი ინგლისური ენის წერილობით ფიქსაციას. იგი მოიცავს ახალი წელთაღრიცხვის 450-700 წლებს. ძველი ინგლისური ენის მეორე ნახევარი მე-8 მე-11 საუკუნეებს იტევს (700-1066 წწ.). ესაა დამწერლობის ხანა (Late Written Old English Period), როდესაც შემოდის ლათინური ანბანი და კულტურა და განათლება სწრაფად იწყებს განვითარებას. მე-9 საუკუნიდან, ძლევამოსილი მეფე ალფრედის მეფობისას, დასავლეთ საქსონური წამყვანი დიალექტი გახდა და ამ პერიოდის ენობრივ სტანდარტს წარმოადგენდა.

ძველი ინგლისური ენის არსებითი სახელის ბრუნების მოკლე მიმოხილვა. ძველი ინგლისური ფლექსიური სისტემა გახლდათ, კარგად განვითარებული მორფოლოგიური კატეგორიებითა და მარკირების აფიქსალური ფორმებით. შესაბამისად, სახელადი მეტყველების ნაწილების სისტემური ფორმაცვალება მკვეთრად არის გამოხატული. ძველ ინგლისური ენის არსებით სახელს მდიდარი მორფოლოგიური სისტემა გააჩნდა. მასში ყოველი გრამატიკული კატეგორია სინთეზური გზით იწარმოებოდა, რაც მოიცავს აფიქსაციას (სუფიქსაცია და პრეფიქსაცია), ბგერათმონაცვლეობას (ხმოვნის და თანხმოვნის ცვლილებები) და სუპლეტურ (მთლიანი სიტყვის ცვლა) წარმოებას. ფორმის მაწარმოებელი დაბოლოებები მიუთითებდა ბრუნვაზე, რიცხვსა და სქესზე. ინგლისური ენის ისტორიის

მანძილზე მომხდარი ცვლილებების გამო ენაში ძირეული გარდაქმნები მოხდა და პირველ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული სინთეზური ენიდან იგი სრულიად განსხვავებულ, ანალიზურ ენად იქცა.

ძველ ინგლისურში არსებით სახელს სამი გრამატიკული კატეგორია გააჩნდა: სქესი (მამრობითი, მდედრობითი, საშუალი), რიცხვი (მხოლობითი, მრავლობითი) და ბრუნება. ბრუნება საკმაოდ რთულ კატეგორიას წარმოადგენდა, რადგანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ენის სამელემენტიან სტრუქტურასთან: სიტყვის ძირი + ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი + გრამატიკული დაბოლოება. ენის განვითარებასთან ერთად, ფუძის მაწარმოებელმა სუფიქსებმა ბევრი ცვლილება განიცადა, რის გამოც დღესდღეობით პირვანდელი ელემენტის ამოცნობა შეუძლებელია. ძველ ინგლისურ ენას ოთხი ბრუნვა გააჩნდა და ბრუნვის სისტემა რამდენიმე პრინციპს ემყარებოდა: სქესი, ფუძისეული ხმოვნის სიგრძე, ბოლოკიდურ მარცვალში მიმდინარე ფონეტიკური ცვლილებები და ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი.

ფუძის მაწარმოებელი ელემენტის მიხედვით არსებითი სახელის ბრუნება ორ – ძლიერ და სუსტ ბრუნებად იყოფოდა. ძლიერ ბრუნებას განეკუთვნება ხმოვანფუძიანი (-a, -i, -ō, -u) არსებითი სახელები, ხოლო სუსტ ბრუნებას თანხმოვანფუძიანი სახელები (-n, -nd, -s, -t) და ფუძე-ძირისმიერნი. ა. მესხის მტკიცებით, „ძველი ინგლისური ენის არსებითი სახელის ფუძისმიერი სტრუქტურიზაცია ძველი (ისევე როგორც ახალი) ქართული ენის არსებითი სახელის მორფოლოგიის იდენტურია“ (მესხი 2013: 317).

დღესდღეობით არსებული ქართული ენის არსებითი სახელის ბრუნება საკმაოდ რთულია, ასეთივე იყო ის 1500 წლის წინაც და ფაქტობრივად ცვლილება არ განუცდია. ისევე როგორც ძველ ინგლისურ ენაში, ქართული ენაც სახელებს ფუძისმაწარმოებელი სუფიქსების მიხედვით ორ ჯგუფად ყოფს: ა) ხმოვანფუძიან არსებით სახელებად, რომლებიც -a, -u, -o, -e-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებს აერთიანებს და ბ) თანხმოვანფუძიანებად, რომლებიც -i-ზე ბოლოვდებიან. თანხმოვანფუძიანთა განსაზღვრა არსებით სახელზე სახელობითი ბრუნვის დაბოლოების მოშორებით ხდება. მაგ: „თავ-ი“, „ხელ-ი“ „ფეხ-ი“ და სხვა. თავის მხრივ, ხმოვანფუძიანები ორ ქვეჯგუფად იყოფა: პირველი ა- და ე-ხმოვნიანი, ანუ კვეცადი არსებითი სახელებია (ლაქა, დანა, ყურე, საქმე...), ხოლო მეორე კი ო- და უ-ხმოვნიანები ანუ უკვეცელი არსებითი სახელები (უთო, ხურო, ყრუ, ბუ...).

ძველი ინგლისური ენის ō - ხმოვანფუძიანი სახელების დეკლინაციური თავისებურებანი. ძველ ინგლისურში განასხვავებდნენ არსებითი სახელის ბრუნების ორ სახეს: ძლიერსა და სუსტს. ძლიერი ბრუნების არსებით სახელებს მიეკუთვნება ხმოვანფუძიანები, რომელთა შორის ჩვენი უშუალო კვლევის ერთეულები (*ō*-ფუძიანები) შედის. *ō*-ფუძიანი არსებითი სახელების ჯგუფი მოიცავდა მდედრობითი სქესის არსებით სახელებს და *a*-ფუძიანების მსგავსად ორ ქვეჯგუფად – jō- და wō-ფუძიან არსებითი სახელებად იყოფოდა. *ō*-ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი 1

o-ფუძიანების ბრუნება

მხ.	*gift* საჩუქარი	*learning* სწავლა
Nom.	ġiefu	lār
Acc.	ġiefe	lāre
Gen.	ġiefe	lāre
Dat.	ġiefe	lāre
მრ.		
Nom.	ġiefa (-e nW-S)	lāra (-e nW-S)
Acc.	ġiefa, -e	lāra, -e
Gen.	ġiefa, -ena	lāra
Dat.	ġiefum	lārum

ō-ფუძიანი არსებითი სახელები ერთი ფრიად საინტერესო თვისებით გამოირჩევიან ბრუნების დანარჩენი ტიპებისგან; კერძოდ, ეს ჯგუფი ერთადერთია, რომელიც მკვლევრების აზრით გრძელი ხმოვნის მეშვეობით (ō) აწარმოებდა ფუძეს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ძველ ინგლისურში მოკლე და გრძელი ხმოვნები თვისებრივად არ განირჩეოდნენ. მათ შორის განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივი იყო. მსგავს ვითარებაში, ბუნებრივია, მოკლე და გრძელ *ō*-ხმოვნიან სახელთა გარჩევა გაძნელდებოდა, რის გამოც ერთი, გრძელი ვარიანტით ყველა *ō*-ფუძიანის აღნიშვნა სავსებით შესაძლებელი გამოსავალია. ა. მესხის კვლევის მიხედვით, აღნიშნული ხმოვანიც (*ō*) მოკლე უნდა ყოფილიყო, რაც ფუძისმაწარმოებელი ელემენტების სისტემას უფრო სრულყოფილს გახდიდა.

ნათქვამს ამყარებს *o*-ბოლოხმოვნიანი სახელებში *o*-ს *u*-თი ჩანაცვლების შემთხვევებიც. სხვაგვარად, გრძელი ხმოვანი კი არ იცვლებოდა მოკლეთი, არამედ თვისებრივად ანალოგიური (მოკლე)

ხმოვნების ჩანაცვლება ხდებოდა. კვლევის შედეგად, ა. მესხი მიდის დასკვნამდე, რომ ინგლისური ენის ისტორიაში დამკვიდრებული ტერმინი – ფუძის მაწარმოებელი გრძელი *ō* მოკლე *o*-მ უნდა ჩაანაცვლოს (მესხი https://www.youtube.com/watch?v=wq1j7Ie8Vu0). წარმოდგენილ ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული დებულების გადამოწმების მცდელობა და არსებითი სახელების ბოლოკიდური ō-ს გამოყენების სიხშირე.

ძველი ინგლისური ენის *ō*-ხმოვანფუძიანი სახელების ხვედრითი წილი. არსებითი სახელების ფუძიანობაზე საუბარი უშუალოდ ინგლისური ენის მონაცემების მიხედვით რთულია, რადგან ინგლისურში ფუძისმაწარმოებელი ნიშანი ან საერთოდ გაქრა ან ფორმაცვალება განიცადა. არსებითი სახელების ამა თუ იმ ფუძისადმი მიკუთვნება გოთური ენის მონაცემების მიხედვით ხდება, ვინაიდან მხოლოდ აქ გვაქვს ფუძის ნიშნები შემორჩენილი. საანალიზო ერთეულების არჩევისას ვხელმძღვანელობდით ფუძისმაწარმოებელი ელემენტების პოზიციით (ფუძის ბოლოს) და /o/ ბგერის მატერიალური გამოხატულებით დიფთონგებისგან დამოუკიდებლად. *ō*-ფუძიანთა შერჩევა ხდებოდა ინდივიდუალურად, ხოლო მათი პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა რამდენიმე საფეხურს მოიცავდა: 1) განისაზღვრა სიტყვათა რაოდენობა თითოეული ასო-ნიშნის თითოეულ ელექტრონულ გვერდზე; 2) გამოითვალა *ō*-ფუძიანთა რაოდენობა როგორც ცალკეული ასო-ნიშნის შიგნით, ისე მთლიან კორპუსში; 3) გამოთვლა წარმოებდა ფორმულით: *ō*-ფუძიანთა რაოდენობა გაყოფილი სიტყვათა ჯამზე და გამრავლებული 100-ზე. მაგალითად, Bosworth and Toller Anglo-Saxon Dictionary-ის თითოეული ელექტრონული გვერდი შედგება რვა სვეტისგან. სვეტებში მეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდება 12-13 სიტყვა. თუ ასო-ნიშნის ლექსემათა საერთო მოცულობა 8 სვეტია, გვერდზე სიტყვათა რაოდენობა უდრის 13 x 8 = 104. მიღებული რაოდენობა გადამრავლდა ასოთა გვერდების რაოდენობაზე (მაგ. 38 გვერდი), რამაც ამა თუ იმ ასოზე დაფიქსირებული სიტყვების ჯამი მოგვცა. მაგალითად, გვერდების რაოდენობა 38 x 104 = 3952 სალექსიკონო ერთეული.

ინდივიდუალურად დათვლილი საანალიზო ერთეულების (*o*-ბოლოკიდურხმოვნიანი სახელები) პროცენტული წილის გამოსათვლელად მათი რაოდენობა, მაგ. A-ზე დაფიქსირებული 15 ერთეული გაიყო ლექსემათა საერთო რაოდენობაზე (3952) და გამრავლდა 100-ზე: 15 ./. 3952 x 100 = 0,38%. ერთნიშნულიანი ციფრის შემთხვევაში, რაც ჩვენი მიზნებისთვის საკმარის ობიექტურ სურათს იძლევა, *o*-ბოლოკიდურხმოვნიანი სახელები შეადგენს 3952-ის 0.4%.

წარმოდგენილ ნაშრომში რვა სალექსიკო ასო-ნიშანში (A = 3758; Æ = 1458; B = 5084; C = 2958; D = 1720; E = 2759; F = 5879; G = 9638) სიტყვების საერთო რაოდენობით 33 254 დაფიქსირებულია სულ 82 *o*-ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელი, რაც მთელი რაოდენობის მხოლოდ 0, 24%. გამოვლენილი რაოდენობრივი მონაცემი ძლიერ დაბალი მაჩვენებელია ტრადიციულად ისეთი დიდი ჯგუფისთვის, როგორიც *ō*-ფუძიანებია. ეს დასკვნა წამოჭრის მეტად საინტერესო საკითხს ტრადიციული *ō*-ფუძიანებისა და ჩვენ მიერ გამოვლენილი *o*-ბოლოხმოვნიანების ხვედრითი წილის შეფარდებას ძველი ინგლისური ენის მთელს ლექსიკონში. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავიხედოთ ძველი ინგლისური ენის არსებითი სახელის ბრუნების სისტემის ჩამოყალიბებასა და ჩამოქნაში, რაც მომავლის გადაუდებელ პრობლემად გვესახება. *o*-ბოლოხმოვნიანების რაოდენობრივი მაჩვენებლები ბოსვერთ-ტოლერის ანგლო-საქსური ლესიკონის A - G ასო-ნიშნების მიხედვით:

ცხრილი 2

A ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

A(3758)	მამრ.	მდედრ.	საშუალი	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō			1				
o	1	1					
%	0,02	0,02	0,02 Total 0,07				

ცხრილი 3

Æ ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

Æ (1458)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ.	სამივე
ō							
o	1	1	2				1
%	0,06	0,06	0,13				0,06

ცხრილი 4
B ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

B (5084)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō		1	2				
o	3	7	5				
%	0,05	0,15	0,13				

ცხრილი 5
C ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

C (2958)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō		2	2				
o		2	1				
%		0,13	0,10				

ცხრილი 6
D ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

D (1720)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō							
o		1	2				
%		0,05	0,11				

ცხრილი 7
E ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

E (2759)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō							
o		2	1			1	
%		0,07	0,03			0,03	

ცხრილი 8
F ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

F (5874)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō	1	2	2				
o		12	3	1			
%	0,01	0,23	0,08	0,01			

ცხრილი 9
G ასო ნიშნის რაოდენობრივი და გრამატიკული სქესის სურათი

G (9638)	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ-საშ	მამრ-მდედრ	მდედრ-საშ	სამივე
ō	1		1				1
o		10	5				3
%	0,01	0,10	0,06				0,04

ლიტერატურა:

მესხი ა., *ინგლისური ენის ისტორია იბერიული პრეისტორიის ფონზე*, თბილისი, 2013.
მესხი ა., *ინგლისური ენის ისტორია იბერიული პრეისტორიის ფონზე*, თბილისი, 2012.

მესხი ა., *ინგლისური ენის ისტორიის სწავლების ახალი ამოცანები*, საქართველოს უნივერსიტეტის მე 3 ყოველწლიური ეროვნული კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011.
მესხი ა., *ინგლისური გრამატიკის ქართველური სუბსტრატი*, საქართველოს უნივერსიტეტის მე-2 ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
მესხი ა., ქართველური მემკვიდრეობა. "Kartvelian Heritage" ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ქუთაისი 1996.
ქურდიანი მ., *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*, თბილისი, 2007.
Baugh A. C., **Cable Th.**, *History of the English language*, Fifth edition, *Routledge*, 2010.
Braun J., *Euscaro-Caucasica*, *Historical and Comparative Studies on Kartvelian and Basque*, Dialog, Warszawa, 1998.
Finegan E., *Language, its structure and use*, Second edition, University of South California, *Harcourt Brace Collage Publishers*,
Forster P., Toth A., Toward a phylogenetic chronology of ancient Gaulish, Celtic, and Indo-European, Proceedings of the National Academy of Sciences of the USA, 100: 9079-84.
Algeo J., *The origins and development of the English Language*, Sixth Edition, Based on the original work of Thomas Pyles, 2005.

ელექტრონული წყაროები:
http://www.bosworthtoller.com/
https://www.youtube.com/watch?v=wq1j7Ie8Vu0 http://www.thehistoryofenglish.com/history_old.html
https://en.wikipedia.org/wiki/Old_English_Latin_alphabet
http://www.foxnews.com/science/2013/05/07/before-babel-ancient-mother-tongue-reconstructed

წარმართული და ქრისტიანული მსოფლმხედველობების შერწყმა ანგლო-საქსურ პოემაში „ბეოვულფი"

მთვარისა სადაღაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

ადრინდელი შუა საუკუნეების ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია ანგლო-საქსური პოემა „ბეოვულფი". იგი სავარაუდოდ მერვე საუკუნეში შეიქმნა და, მოგვიანებით, მეათე საუკუნეში ჩაიწერა. პოემა შემორჩენილია ერთადერთი ხელნაწერის სახით, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. „ბეოვულფი" შუა საუკუნეების საგმირო ეპოსის ნიმუშია. მას საფუძვლად დაედო წარმართული პერიოდის ძველი გერმანული თქმულებები, რომლებიც ხალხში მანამდე გავრცელდა, ვიდრე ბრიტანეთში გადასახლდებოდნენ. ამიტომაც ნაწარმოებში მოქმედება სკანდინავიაში მიმდინარეობს, ხოლო ინგლისი მთლიანად იგნორირებულია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ანგლო-საქსურ პოემა „ბეოვულფში" ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის - წარმართულისა და ქრისტიანულის - განსაზღვრა-წარმოჩენა.

ნაწარმოების სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ამ კუთხით ქართულ ენაზე სათანადოდ არ გამოკვლეულა პოემა „ბეოვულფი". შესაბამისად, არ არსებობს დამოუკიდებელი შრომა ამ თემაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შ. რევიშვილის (1959), ნ. თხილავას (2006), ქ. ტოროტაძის (2013) კვლევებში მოცემულია მსჯელობა ნაწარმოებში ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის არსებობის თაობაზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, საგანგებოდ შეგვესწავლა ეს საკითხი.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ დანიშნულებას, იგი დახმარებას გაუწევს სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, ან დააინტერესებს მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთ.

პოემა ორი ნაწილისგან შედგება და მოგვითხრობს მამაცი გითი რაინდის - ბეოვულფის ამბავს, რომელმაც ჯერ დანია და შემდეგ საკუთარი ქვეყანა იხსნა საშინელი უბედურებისგან. პოემა იწყება შესავლით, რომელშიც მოთხრობილია დანიის მეფის - სკილდე სკეფინგის და სკილდინგების სახელოვანი გვარის შესახებ. ამ გვარის წარმომადგენელია პოემის ერთ-ერთი მოქმედი პირი მეფე ჰროთგარი. თავისი მეფობის დროს ჰროთგარმა ააგო ვრცელი პალატი ჰეროთი, სადაც თავის მეომრებთან ერთად ნადიმობდა და ილხენდა ხოლმე, მაგრამ შეეჩვია მას ურჩხული გრენდელი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე თავს ესხმოდა ჰეროთს და მოსვენებას არ აძლევს დანიელ ხალხს. მეფის დასახმარებლად თოთხმეტი მეომრით მიდის ბეოვულფი. ღამით, როცა მეფე ჰროთგარი და მისი ხალხი დარბაზიდან გადიან, ბეოვულფი გრენდელთან საბრძოლველად ემზადება. ბეოვულფის სურვილია, რომ უიარაღოდ ხელჩართულ ბრძოლაში შეებას გრენდელს. საბედისწერო დაპირისპირებაში მამაცი რაინდი დაამარცხებს გრენდელს. სასიკვდილოდ დაჭრილი გრენდელი თავისი სამალავისკენ გაემართება. ნადიმზე მეფე ჰროთგარი ბეოვულფს და მის თანმხლებ პირებს უხვად დაასაჩუქრებს. მეორე დღეს შურის საძიებლად მას თავს დაესხმება გრენდელის დედა. უშიშარი რაინდი დაედევნება და მასაც დაამარცხებს. ამით სრულდება პოემის პირველი ნაწილი.

მას შემდეგ, რაც ჰიგლაქი და მისი ვაჟი ჰერდრედი შვედებთან ბრძოლაში დაიღუპებიან, ბეოვულფი გითების მეფე ხდება. პოემის მეორე ნაწილში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შეებრძოლა ორმოცდაათწლიანი მეფობის შემდეგ ბეოვულფი ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს, რომელიც თავს ესხმოდა მის სამფლობელოს. ბრძოლის დროს მოხუც ბეოვულფს ეხმარება ვიგლაფი. ბრძოლაში ბეოვულფი იმარჯვებს, მაგრამ ჭრილობები, რომელიც მან მიიღო, სასიკვდილო აღმოჩნდა. პოემის დასასრულს მამაც რაინდს პატივით კრძალავენ. ამგვარად სრულდება პოემის მეორე ნაწილიც.

ეპიკურ პოემებს არ ჰყავს ერთი ავტორი. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ შექმნა „ბეოვულფი“. როგორც აღინიშნა, ჩაწერამდე იგი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ზეპირი ფორმით არსებობდა. სავარაუდოა, რომ ტექსტმა არაერთი ცვლილება განიცადა, დროდადრო მდიდრდებოდა ეპიზოდებით, თუმცა დღეს იგი აღიქმება როგორც ერთი, მთლიანი ნაწარმოები. ყველაზე თვალშისაცემი ცვლილება თუ სიახლე ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. ასე აღმოჩნდა ერთი ნაწარმოების ფარგლებში ორი მსოფლმხედველობა, რომელნიც, იმავდროულად, ერთმანეთს უპირისპირდება. პოემის წარმართულ-მითოლოგიური საფუძველი აშკარაა. როგორც ეპიკურ ნაწარმოებში ზოგადად, აქაც ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტი რეალურთან არის შერწყმული.

„ბეოვულფში“ იკვეთება ქრისტიანობისა და წარმართობის, ბოროტებისა და სიკეთის დაპირისპირების თემები. „ქრისტიანული ელემენტი არამარტო შედის პოემაში, არამედ მთელ ენასა და მხატვრულ მხარეს მოიცავს“ (2, 217-218). პოემაში წარმართული იდეოლოგიის ფესვები იჭრება შედარებით ახალ ეთნოსში იმგვარი მნიშვნელობით, რომ ხანდახან ბედისწერას ღმერთში ურევს. ქრისტიანობამდელ ეპოქაში სწორედ ბედისწერა იყო ადამიანის ცხოვრების წარმმართველი. ბეოვულფი არ არის წარმოდგენილი, როგორც სპეციფიკურად ქრისტიანი ან წარმართი გმირი. მაგრამ არაერთხელ ვხვდებით ტექსტში მინიშნებას იმის შესახებ, რომ გმირი გამარჯვებებს სწორედ ღვთის შეწევნით აღწევს. დანიელებს სჯერათ, რომ ბეოვულფი მათ ღმერთმა მოუვლინა მხსნელად და უცნობი ავტორიც ირწმუნება, რომ გრენდელზე სწორედ უფლის დახმარებით გაიმარჯვა გმირმა ბეოვულფმა. „ღმერთს მადლი ვუძღვნათ!“ - შესძახებს ჰროთგარი, როცა დანიელები შეიკრიბებიან ბეოვულფის გრენდელზე გამარჯვების საზეიმოდ.

„როცა უფალი მოიწადინებს,
სასწაულებს სჩადის უფალი,
საოცრებებს, საკვირველებებს,
ეს ქვეყანა ხელში უპყრია“ (1, 171).

გრენდელის დედასთან ბრძოლისას გაუჭირდა ბეოვულფს, მართლია, ის აცხადებს, რომ სურს თავად იყოს თავისი თავის შემწე, მაგრამ კვლავ ღმერთის შეწევნით აღწევს საწადელს, იმ ღმერთის, რომელიც „ყველაფერს ხედავს“, რომელიც „განსჯის მრუდსა და მართალს“ და „კეთილს ანიჭებს გამარჯვებას“.

ურჩხულის ბუნაგი განძით სავსე ნახა ბეოვულფმა, მაგრამ მან მხოლოდ გრენდელის თავი წამოიღო მეფე ჰროთგარისთვის მისართმევად. როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, მას არ იზიდავს სიმდიდრე, მხოლოდ სახელის მოხვეჭას ლამობს. სიმდიდრის მიმართ ბეოვულფი მხოლოდ ერთხელ იჩენს ინტერესს, სიკვდილის წინ, როცა ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს დაამარცხებს. ბედნიერია, რომ მოიპოვა განძი, რომელსაც საკუთარ ხალხს დაუტოვებს:

„ამ ოქროსთვის, ძვირფას თვლებისთვის
მადლობას ვწირავ
ზეციურ მამას, მწყემსს ამ ქვეყნისა -

ყველაფრისთვის, რაც მიბოძა,
შემაძლებინა, მიმეტანა ჩემი ხალხისთვის,
ვიდრე სუნთქვა ამომხდებოდა. მე გავიღე ჩემი სიცოცხლე
ამ განძისთვის და კარგი ვქენი“ (1, 142).

ვიგლაფი კი ისევ რელიგიური მოსაზრებით ანადგურებს აღნიშნულ განძს:

„განძს თავის კოშკში ღრმად რომ მალავდა,
ღმერთის კანონი დაარღვია ამით ურჩხულმა
და სასჯელიც მიტომ იწვნია“ (1, 155) - ამბობს იგი.

წარმართული მსოფლმხედველობა განსხეულებული წარმოგვიდგება გრენდელის, მისი დედისა და ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის სახით. მათი მოქმედებაც შესაბამისია. ამ უკეთურ, ბოროტ არსებებს სიკვდილი და შიში მოაქვთ. შურისძიება და სისხლის აღების ვალდებულება, რაც მათ ახასიათებთ, ცნობილია წარმართულ საზოგადოებაში. გრენდელის დედა, მოკლული შვილის გამო შურისძიების სურვილით შეპყრობილი, მიდის ჰეროთში. მეორე შემთხვევაშიც, როცა მონა ძვირფასი თვლებით მოოჭვილ თასს მოიტაცებს გველეშაპის საგანძურიდან, ურჩხული ხანგრძლივი ძილიდან მაშინ გამოფხიზლდება, დაედევნება და რადგან ვერ დაიბრუნებს მოპარული ნივთს, აღივსება შურისძიებით, ყოველი შებინდებისას გარეთ გამოდის, ყველაფერს წვავს და ანადგურებს. გრენდელი თორმეტი წელი მუსრს ავლებდა ჰეროთს. მისი ბოროტებისთვის თითქოს საზღვარი არ არსებობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიწმინდის წინაშე უძლურია „არასდროს გაუბედავს, ღმრთისგან დაცულს - მეფე ჰროთგარის დიდებულ ტახტს გაჰკარებოდა“ (1, 13) - მოგვითხრობს ავტორი.

წარმართული და ქრისტიანული მსოფლმხედველობების კონტრასტი მეტაფორულად სინათლისა და სიბნელის, იგივე ნათელისა და წყვდიადის ანტინომიას უკავშირდება. ქრისტიანი ადამიანები დღე მოქმედებენ, წვეულება და ნადიმები დღისით ეწყობა ჰეროთში, ურჩხულები კი ღამე გამოდიან სისხლიანი საკბილოს საძებნელად. თუმცა არც დადებითი გმირები არიან თავისუფალნი წარმართული გავლენებისგან. ნამდვილად ზღაპრულ-მითოსურია დანიელების დიდი მეფის - სკილდეს გამოჩენა, მშობლების მიერ მიტოვებულმა თუ როგორ შეცვალა საკუთარი ბედისწერა, გახდა ძლევამოსილი ხელმწიფე, გარდაცვლილი კი აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად ზღვას გაატანს - არსაიდან მოსული არსაით წავიდა. გმირულად დაღუპული ბეოვულფიც ხომ არაქრისტიანული წესით კოცონზე დაწვეს.

წარმართულ ხანაში შექმნილმა პოემამ ქრისტიანიზაცია განიცადა - პოემის ტექსტში აღარ გვხვდება წარმართი ღმერთების სახელები, სამაგიეროდ, ნახსენებია ბიბლიური პერსონაჟები. გრენდელი მოხსენიებულია, როგორც კაენის შთამომავალი, თავად ბეოვულფი ქრისტიანული მორალის განსახიერებადაა წარმოდგენილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბეოვულფს უკანასკნელ გზაზე აცილებს 12 რაინდი - ქრისტესა და თორმეტი მოციქულის ანალოგიით.

ცხადი ხდება, რომ ქრისტიანული და წარმართული მსოფლმხედველობების ანტაგონიზმში დადებითი ქრისტიანულს უკავშირდება და უარყოფითი წარმართულს. პერსონაჟებიც შესაბამისად გამოიკვეთა. ბეოვულფი დადებითი გმირია, კეთილი საწყისის მატარებელი. გრენდელი, მისი დედა და გველეშაპი უარყოფითი პერსონაჟებია, ბოროტი საწყისის მქონე. ნაწარმოების სიუჟეტიც ბეოვულფისა და ურჩხულების დაპირისპირების გარშემო ვითარდება, სადაც ყოველთვის კეთილი იმარჯვებს.

ბეოვულფი გამოირჩევა ისეთი თვისებებით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის რაინდის იდეალის შესახებ. იგი ობოლთა და ჩაგრულთა დამცველია. არის სანიმუშო მეგობარი თანამებრძოლებისთვის, დახმარებისთვის მზადმყოფი გაჭირვებულთათვის, ერთგული ქვეშევრდომი თავისი ხელმწიფის და მზრუნველი მეფე მშობელი ხალხისა და ქვეყნისათვის. მწარედ დაიტირებენ გითები ბეოვულფს, რომლის მსგავსი ხელმწიფე არასდროს ჰყოლია მათ ქვეყანას:

„მოთქმით ტიროდნენ, უკეთეს მეფეს არასოდეს
რომ არ უცხოვრია,
არც უფლისწულს ასე მოწყალეს, არც კაცს,
ასე გადაგებულს
თავის ხალხისთვის, ღირსს ყოველგვარი
ხოტბა-დიდების" (1, 161).

„სახელის მოხვეჭს იდეა ყველაზე უფრო ძირფასი რამაა, რაც კი ადამიანს უნდა ჰქონდეს, რადგან მხოლოდ ეს რჩება წარმავალ წუთისოფელში“ (2, 223-224). ბეოვულფმა ბოროტებასთან ბრძოლას შესწირა საკუთარი სიცოცხლე, თუმცა ამით გმირმა გვიჩვენა, რომ ბოროტებამ კი არ გაიმარჯვა სიკეთეზე, არამედ სიკეთემ სძლია ბოროტებას. „ბეოვულფში“ ავტორი აღწერს ეპოქას, როდესაც გმირისთვის ბრძოლა ცხოვრების წესია, გმირი არ წუხს, მამაცურად იბრძვის და სიკვდილის შემდეგ კი მისი სახელი უკვდავია. პოემის მრავალმხრივ ღირსებათაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ავტორმა გადმოგვცა თავისი

დამოკიდებულება ანგლო-საქსური ზნეობისადმი, რომელიც ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის ძველი ინგლისის სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაზე.

უარყოფით გმირს უცნობი ქრისტიანი ავტორი ისევ რელიგიის პრიზმაში წარმოგვიდგენს. ასე გვაცნობს გრენდელსა და მის წინაპართ:

„ო, ის დემონი,
ო, ის სატანა,
გრენდელი, ჭაობთა ბინადარი,
გავერანებულ ალაგთა მკვიდრი,
ბუნაგად ჰქონდა ჯოჯოხეთი. წკვარამში შობეს ორთა
ურჩხულთა,
კაენის თესლთა, შემზარავთა და ღვთით დაწყევლილთა,
დასჯილთ მარადის,
ცოდვისათვის აბელისა მოკვდინებისა“ (1, 10).

გრენდელის, მისი დედისა და გველეშაპის ბოროტება სცილდება ყოველგვარ საზღვარს, ამიტომ, ბუნებრივია, ავტორმა ისინი ბოროტების განმასახიერებლებად წარმოგვიდგინა.

პოემა „ბეოვულფი“ - ეს არის ტიპიური კელტური თქმულება, სადაც სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე. მითოლოგიური ამბები და ზღაპრული არსებები, რომლებიც მრავლად არის პოემაში, სიმბოლური მნიშვნელობისაა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ წარმართული და ქრისტიანული ელემენტების თანხვედრა ანგლო-საქსურ პოემა „ბეოვულფში“, რაც ცხადად მიგვითითებს ერთ ნაწარმოებში ორი ანტაგონისტური მსოფლმხედველობის არსებობაზე. ეს თავისებურება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბეოვულფის შესახებ ისტორია შეიქმნა წინარექრისტიანულ ეპოქაში, ხოლო მისი ტექსტის სახით გაფორმება მოხდა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ. ასე აღმოჩნდა ერთ ნაწარმოებში ერთმანეთის გვერდიგვერდ წარმართული და ქრისტიანული მოტივები.

ასევე სრულიად აშკარაა, რომ წარმართული ელემენტი ნეგატიური, ხოლო ქრისტიანული პოზიტიური შინაარსის შემცველია. ქრისტიანული სულისკვეთების გმირებს ღმერთი სწყალობთ და დადებით პერსონაჟებს განასახიერებენ, რომელნიც ბოროტებას უპირისპირდებიან. ამიტომაც პოემაში ბეოვულფი მოხსენიებულია, როგორც აბელის შთამომავალი. მეორე მხარეს კი დგანან მითიურ-ზღაპრული პერსონაჟები, რომელთაც მხოლოდ ბოროტების ჩადენა ძალუძთ. შესაბამისად, გრენდელი კაენის შთამომავლად არის შერაცხული.

მიუხედავად იმისა, რომ პოემა წარმართულ ხანაშია შექმნილი, ჩვენთვის უცნობი ავტორ-რედაქტორისთვის სწორედ ქრისტიანობა იქცა მთავარ მამოძრავებელ ძალად და ტექსტი ახალი ეპოქის შესაბამისად გადაამუშავა.

„ბეოვულფი“ თავისთავად დიადი პოემაა. იგი ასწავლის ადამიანს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, როცა უიმედოდ რჩება. ეს აძლებინებს მას, როცა ყველაფერი წარმავალია - სიცოცხლე, ბედნიერება და თვით ძალაუფლებაც კი. ადამიანები უნდა შეეცადნონ იმის აღდგენას, რაც წარსულში დაკარგეს. ღმერთის ძიება, ჭეშმარიტების გზაზე სიარული არის თითოეულის ცხოვრების კრედო.

ლიტერატურა:

1. ბეოვულფი, ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი, თბ., 1989.
2. რაიტი დ., „ბეოვულფის“ პროზაული გამოცემის წინასიტყვაობა, წ-ში: „ბეოვულფი“, ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი, თბ., 1989.
3. თხილავა ნ., ევროპის ლიტერატურის ისტორია შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე, თბ., 2006.
4. ტოროტაძე ქ., ინგლისური ლიტერატურის ისტორია, 2013 (წიგნი არსებობს მხოლოდ ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია ლინკზე: https://saba.com.ge/books/details/1171.
5. ხავთასი გ., რევიშვილი შ., ორლოვსკაია ნ., გაჩეჩილაძე გ. საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, მეორე გამოცემა, ნაწ. I, თბ., 1977.
6. Алексеева М. П., Анисимова И. И., Дживелегова А. К., Елистратовой А. А., Жирмунский М., История английской литературы, Том I, Выпуск первый, М.-Л. 1943.

რომან „ჯინჯერ კოფის წარმატების“ კომპოზიციური თავისებურებები

მარიამ ქარელი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია დარასელია,** პროფესორი

ბოლო წლებში ფსიქოლოგების სულ უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს მწერლის ინდივიდუალური სტილის, ცალკეული ნაწარმოებების ენისა და სტილის კვლევის საკითხები, ამგვარი კვლევები, გარდა ინფორმაციის დაგროვებისა კონკრეტულ ტექსტებზე, მათი თხრობის საშუალებებზე, მწერლის დიალექტზე მთლიანობაში, ხსნიან გზას ზოგადხალხურის და ინდივიდუალურის შეპირისპირებისათვის მწერლის ენაში, ტრადიციების და ნოვატორობის შეფასებებისთვის მის შემოქმედებაში. ასეთ კვლევებს უდავოდ აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა, ისინი ეხმარებიან მკითხველს მხატვრის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეღწევას, ასწავლიან მას ჩანაფიქრის სწორ გაგებას, რომელიც რეალიზებულია მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში, მწერლის იდეურ-ესთეტური იდეალის ჩაწვდომას.

ბრაიან მურის შემოქმედებაში თხრობის საშუალება გვევლინება იმ კომპოზიციურ-ორგანიზაციულ დომინანტად, რომელიც განსაზღვრავს ენობრივი საშუალებების არჩევას ნაწარმოებში.

ტრადიციულად გადმოცემის ტიპების როლში მხატვრულ ნაწარმოებში გამოყოფენ ავტორის თხრობას, დიალოგს, არასაკუთრივ-პირდაპირ მეტყველებას (შინაგანი მონოლოგების ჩართვით ან უკანასკნელის გამოყოფით თხრობის განსაკუთრებულ ტიპად).

არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველება ეს არის ორხაზოვანი მეტყველება ავტორის და მეტყველება გმირის (3, 125) შეთავსებულია ერთდროულად ხედვის ორი წერტილი: ავტორის „ყოვლისმხედველი“ და გმირის „ვიწრო“. არასაკუთრივ-პირდაპირ მეტყველებაში თანმიმდევრობით შეგვყავს სასაუბრო ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია პერსონაჟისთვის (სამუშაო ლექსიკა, სასაუბრო სინტაქსის სპეციფიკური კონსტრუქციები და ა.შ.) და ასახავს მის ხედვის წერტილს. არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველება ამგვარად წარმოადგენს სუბიექტირებულ თხრობას. (ოდინცოვი, 1973, 31).

მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება არა მხოლოდ სუბიექტივირებული თხრობის სხვადასხვა სახეობები, არამედ თხრობის განსაკუთრებული ტიპიც (ფორმის მიხედვით ობიექტური, მაგრამ სუბიექტური პერსონაჟის აზრის გადმომცემი). თხრობის ასეთმა ტიპმა, ფორმით ობიექტურმა, მაგრამ სუბიექტურმა პერსონაჟის აზრის გადმომცემმა, ბოლო წლის ლინგვისტურ ლიტერატურაში მიიღო „არასაკუთრივ ავტორის თხრობის“ სახელწოდება (კუხარენკო, 1988, 172).

ხდება ავტორის და გმირის ხმების ნონტამინაცია. უკანასკნელი აზრი დომინირებს, თუმცა მისი სამეტყველო სიგნალები რაოდენობით ყოველთვის უთმობენ ავტორის ტექსტს და შეიძლება იყვნენ დაყვანილი პერსონაჟის ერთ-ორ ციტატურ სიტყვებამდე ან სასაუბრო კონსტრუქციებამდე. თხრობის ამგვარი გადართვა გმირის მხარეზე, მეტყველების ფორმალური აღნიშვნის გარეშე, პირველად იყო აღწერილი 1919 წელს და მიიღო სახელწოდება „ Uneigentliche erlebte Rede“ (სიტყვა-სიტყვით თარგმანში ეს ჟღერს ასე: არასაკუთრივ - განცდილი საუბარი). ათი წლის შემდეგ ვ. ნ. ვოლშინოვი განიხილავდა მას, როგორც არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებას.

მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობისას არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველების სახეობების კლასიფიკაციაში და XIX-XX საუკუნეების პროზაში მისი ადგილის განსაზღვრისას ყველა მკვლევარი ეთანხმება იმას, რომ მისი ძირითადი ფუნქციაა სიტუაციის გამოსახვა შიგნიდან იმ პირის პოზიციიდან, „რომელიც მას უშუალოდ განიცდის და მისი ენობრივი გამოხატვა წარმოადგენს პერსონაჟის და ავტორის სიტყვების შენადნობს.

ვ. ა. კუხარენკო (ციტ. თხზ. 173) გამოყოფს არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველების რამოდენიმე სახეობას: არასაკუთრივ-ავტორის თხრობა, ირიბად-პირდაპირი მეტყველება და გამოსახული მეტყველება (ან შინაგანი მეტყველება).

როგორც აღნიშნავს ვ. ა. კუხარენკო (კუხარენკო, 1988, 175) ავტორის ხმას და პერსონაჟის ხმას შორის მკაფიო საზღვრის გაკეთება არასაკუთრივ-პირდაპირ მეტყველებაში ხანდახან ძალიან რთულია. ისინი იმდენად მჭიდროდ არიან ხოლმე გადაჯაჭვული, რომ მცირე მიზიდულობისას საკუთრივ ავტორის ფრაზასთან გამოსახული საუბრის მასივში ის შეიძლება სრულიად შერწყმული იქნას თხრობის საერთო პირადულ-სანდო ტონთან. ამის მიუხედავად გამოსახული საუბრის მორფოლოგიური განმეორება და ავტორის ხმის გარღვევები ქმნიან განსაზღვრულ დისტანციას გმირის შინაგან სამყაროსთან და მკითხველს შორის. მესამე პირის, ავტორის, ეს უხილავი არსებობა გამოთქმის მოცემულ ფორმას ანიჭებს

შეგნებულად ორგანიზებულ ხასიათს, რაც არ არის მხატვრის მიერ შინაგანი მეტყველების გამოყენების დროს. მიუხედავად არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველების განსაზღვრული დისტანციებისა პერსონაჟისაგან, იგი მაინც საჭიროა გავაერთიანოთ თხრობის ტიპებთან, რომლებიც უშუალოდ აცხადებენ მის აზრს - დიალოგიურთან და შინაგან მეტყველებასთან. აქედან გამომდინარე გმირის პოზიცია, მისი თვითგახსნა ვარაუდობს ტექსტში მეტ რაოდენობრივ გამოხატულებას, ვიდრე ავტორის მეტყველება, რაც კარგად უთანხმდება პერსონაჟის ცენტრალურ მდგომარეობას ნაწარმოების მთელ სახოვან სისტემაში.

კონტრმინირებული, სინთეტიკური ხასიათი არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველებისა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ გარკვეულ იზომორფიზმს მასსა და თხრობის სხვა ტიპებს შორის. ასე თავისი ფუნქციებით, აზრობრივი შინაარსით, ლექსიკური შევსებით და გამოხატვის სინტაქსური ორგანიზაციით არასაკუთრივ-პირდაპირი სიტყვა შეეთავსება შინაგან სიტყვასთან, წარმოთქმული (ირიბად-პირდაპირი) სიტყვა - დიალოგთან, არასაკუთრივ - ავტორის თხრობა ავტორის გადმოცემასთან.

ავტორის ფრაზის წიგნის სინტაქსური წყობის შენარჩუნებისას არასაკუთრივ-ავტორის თხრობა წარმოდგენილია სპეციალური ლექსიკური საშუალებებით, რომლებიც ასახავენ პერსონაჟის აზრს. ცალკეული ჩართვების სახით. მას შეუძლია ადვილად გადავიდეს არასაკუთრივ-პირდაპირ მეტყველებაში ან შეიწოვოს იგი. თუ არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველება ვარაუდობს პერსონაჟის სამეტყველო სისტემებს და აუცილებელი წესით ავლენს პერსონაჟის სამეტყველო სისტემებს და აუცილებელი წესით ავლენს პერსონაჟის სამეტყველო ფორმებს, მაშინ არასაკუთრივ ავტორის თხრობაში არეგულირებენ ავტორის სამეტყველო ფორმები, რომლებშიც პერიოდულად ვლინდებიან პერსონაჟის აზრის სამეტყველო სიგნალები. არასაკუთრივ ავტორის თხრობაში მჭიდროდ გადაჯაჭვულია გადმოცემის ორი ტიპი არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველება და საკუთრივ-ავტორის თხრობა. მოვიყვანოთ მაგალითი:

Pp. 33. He finished the supper and wiped his plate with a bit of bread. What did Vera know about money anyway? An only child, brought up by a doting mother, pretty, with plenty beaux, until she met and married him. And, even so, in all those years of marriage, the army years, he years at Kylemore and in Cork, had she ever bloody starved? Had she? Give him credit for something. And remember, Vera, you married me for better or for worse. This is the worse. Ah, but supposing she won't put up with the worse?

ობიექტური ავტორის თხრობა ასახავს გარეგნულ, ავტორის ხედვას მომხდარზე; არასაკუთრივ-ავტორის თხრობა დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე პერსონაჟის შინაგანი ხედვის გადმოცემასთან. ასევე რომანის პირველ გვერდზე არაობიექტურის თხრობა ხდება სუბიექტური იმ მნიშვნელობით, რომ ასახავს ჯინჯერ კოფის აზრს.

მაგალითი: p.p 7. Fifteen dollars and three cents. He counted it and put it in his trouser pocket. Then picked his Turolean hat off the dresser, wondering if the two alpine buttons and the little brush dingus in the hatband weren't shade jaunty for the place he was going. Still, they might be lucky to him. And It was a lovely morning, clear and crisps and clean. Maybe that was a good augury. Maybe today his ship would come in.

Pp. 21: "And yet. String now at the altar, he remembered the missionary's warning. Supposing it were not all nonsense? Suppose his brother Tom, worrying about the Moslems atheling his African converts, was right after all? Just suppose. Suppose all the prayers, the penances, the promises were true? Suppose the poor in spirit would inherit the kingdom of heaven? And not he ".

Pp. 184 - 185: "He sat down, his trousers loose around his hips. It was dark. He was afraid. But oh! He knew something now, something he had not known before. A man's life was nobody's fault but his own. Not God's, not Vera's, not even Canada's. His own fault. Mea culpa.

ლიტერატურა:

1. Brian Moore. "The Luck of Ginger Coffey". Bantam Books. Toronto. New York. London. Sydney. 2008;
2. В. А. Кухаренко. Интерпретация текста. М., 2006;
3. В. В. Одинцов. О языке прозы (Повествование и диалог). М., 2000.

ისტორია

საბჭოთა ყოველდღიურობა

დემურ ბიძინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ახლოური,** ასოცირებული პროფესორი

საბჭოთა წყობილებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს სოფლად შექმნილი ვითარება წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების პოზიციები სოფლად სუსტი იყო იმიტომ, რომ მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების მთავარ პრინციპს - კერძო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად. ქალაქად ვითარება შედარებით სტაბილური იყო. ფაბრიკა-ქარხნები, ასევე რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაში იყო გადასული. ბურჟუაზიის წინააღმდეგობაც დათრგუნული იყო. თუმცა ცხოვრების დონის დაქვეითებას შეიძლებოდა ქალაქშიც დაეძაბა ვითარება. გარდა ამისა თუ მრეწველობა არ განვითარდებოდა, საჭირო დონეს ვერ მიაღწევდა ქალაქის თავდაცისუნარიანობა, რაც გარესამყაროსთან დაპირისპირებულ საბჭოთა კავშირისთვის ძალზე საშიში იყო.

სტალინის მიზანი, სწრაფად გადაექცია საბჭოთა კავშირი ინდუსტრიალიზებულ ქვეყნად, უკავშირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის აუცილებლობას, როგორც მზარდი რაოდენობის მუშების გამოსაკვებად, ისე ვალუტის გამოსამუშავებლად, რათა უცხოური ტექნოლოგია შეეძინათ მარცვლეულის ექსპორტის მეშვეობით. პრობლემის მოგვარების გზად მან კოლექტივიზაცია გამოაცხადა - გლეხების იძულება უარი ეთქვათ თავიანთ მიწებზე და სახელმწიფოს კუთვნილ, სახელმწიფოს მიერ მართულ უზარმაზარ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ემუშავათ.

საბჭოთა წყობილების მიერ სოფლად გატარებული რეფორმები ცნობილია „სოფლის კოლექტივიზაციის“ სახელით. ამ რეფორმის მიზანი იყო სოფლად კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და კოლექტიური მეურნეობის შექმნა. 20-იან წლების დამდეგს სოფლად მემამულური და მსხვილი მიწისმფლობელობის სხვა ფორმების ლიკვიდაციამ საბჭოთა ხელისუფლებას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. მიწის მესაკუთრე გლეხობისთვის, ბოლშევიკების მიერ შეთავაზებული სოციალური იდეები მიუღებელი აღმოჩნდა. მართალია საბჭოთა ხელისუფლება კერძო საკუთრების წინააღმდეგი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება ერთ დროს პოლიტიკური მოსაზრებით გლეხებისთვის მის მიერვე ნაჩუქებ მიწებს უკანვე ვერ წაართმევდა. ასეთი ნაბიჯი გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდა, რასაც სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა, არადა თუ მიწები კერძო მესაკუთრე გლეხობის ხელში დარჩებოდა, ცხადია, მათ ხელშივე დარჩებოდა პურით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქალაქის მოსახლეობის და უზარმაზარი არმიის მომარაგების საქმე. ამას კი საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას გლეხობისთვის მიწის წართმევა არ შეეძლო, შემუშავდა სოფლად კერძო საკუთრების ლიკვიდაციის სხვა ფორმა. ვითომდა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისთვის წვრილი გლეხური მეურნეობები გააერთიანეს, კოლექტიურ მეურნეობებში. კოლმეურნეობაში შესული გლეხის მიწა და სხვა ქონება ხდებოდა მთელი კოლექტივის საკუთრება. მიღებული მოსავალიც კოლექტივის წევრებზე ნაწილდებოდა. თავდაპირველად სახელმწიფო კოლმეურნეობის საქმეებში ნაკლებად ერეოდა. შემდგომ წლებში კოლმეურნეობები ვალდებული გახადეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმები შეესრულებინა და ამასთანავე ეს ყველაფერი სახელმწიფოს დაუქვემდებარეს. ღარიბი გლეხობა, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა ნებაყოფლობით გაერთიანდა კოლმეურნეობებში. საშუალო გლეხობა მერყეობდა, ხოლო მდიდარი გლეხობა სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი საკუთრების კოლექტიურად გადაქცევის.

სტალინმა კოლექტივიზაციის გეგმის განხორციელება მოლოტოვს დაავალა. მოლოტოვმა 1930 წელს დაგეგმა კულაკების განადგურება. ისინი სამ კატეგორიად დაყვეს: „პირველი კატეგორია დაუყონებლივ უნდა განადგურებულიყო, მეორე კატეგორია საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა დაეტყვევებინათ, ხოლო მესამე კატეგორია უნდა აეყარათ თავიანთი მამულებიდან და შორს გადაესახლებინათ. მოლოტოვი თავად აკონტროლებდა სიკვდილმისჯილთა ბრიგადებს, სარკინიგზო ვაგონებსა და საკონცენტრაციო ბანაკებს. საბოლოო ჯამში, ამ კატეგორიაში ხუთიდან შვიდ მილიონამდე

ადამიანი შედიოდა, თუმცა რა პრინციპით არჩევდნენ კულაკს, გაუგებარი იყო. თვეების მანძილზე განხორციელებულმა სტალინისა და მოლოტოვის გეგმამ გამოიწვია 2200 აჯანყება, რომლებშიც 800 000 ადამიანზე მეტი იყო ჩაბმული, თუმცა საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით მოახერხა კულაკობის წინააღმდეგობის დაძლევა და სოფლად კოლმეურნეობები დაამყარა.

1929-1939 წლებში 5%-დან 99%-მდე გაიზარდა იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც კოლექტიური ფერმები აკონტროლებდნენ. გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა სტალინის ამ კამპანიას - კოლექტივიზაციას გმობდნენ, როგორც „მეორე ბატონ-ყმობას“ და ბოლშევიკური რევოლუციის ღალატს, რადგან რევოლუცია გლეხებს „მშვიდობას და მიწას“ ჰპირდებოდა. ამას ემატებოდა მორწმუნე გლეხებში გავრცელებული შეხედულება, რომ საბჭოთა მთავრობა ანტიქრისტე იყო და კოლექტიურ ფერმებში გაწევრიანება სულის ჯოჯოხეთისთვის გაწირვას უდრიდა. კოლექტივიზაციის დესპოტურად და არასწორად მართვას და გლეხების აქტიურ წინააღმდეგობას საზარელი შიმშილობა მოჰყვა 1930-იანი წლების დასაწყისში. მარტო უკრაინაში გარდაიცვალა 3,5 მილიონამდე ადამიანი. შიმშილობას მსხვერპლი მოჰყვა რუსეთის ევროპულ ნაწილშიც, ციმბირში, ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში. შიმშილმა და სასოწარკვეთამ 1,5 მილიონამდე ადამიანს აიძულა მეზობელ ჩინეთში ემიგრაცია. გლეხებმა იფიქრეს, რომ თუკი საკუთარ შინაურ პირუტყვს გაანადგურებდნენ, ამით აიძულებდნენ მთავრობას, შეჩერებულიყო. ეს გაუსაძლისი ვითარება, რამაც გლეხები საკუთარი საქონლის ამოწყვეტამდე მიიყვანა და საკუთარ ქვეყანაში სახლები გადააწვევინა ამგვარი მასშტაბით, მიუთითებს იმაზე, თუ სასოწარკვეთის როგორ ზღვარზე იმყოფებოდა ხალხი. 26,6 მილიონი სული შინაური პირუტყვი და 15,3 მილიონი ცხენი გაიჟლიტა.

საქართველოში კოლექტივიზაციისთვის მზადება 1927-1928 წლებში მიმდინარეობდა. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა საბჭოთა ხელისუფლებამ 1932 წლისათვის დაასრულა სოფლების კოლექტივიზაციის პროცესი, მოსპობილი იქნა კერძო საკუთრება. კოლმეურნე გლეხობაზე დაყრდნობით საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლად სერიოზული დასაყრდენი ნახა. კოლექტივიზაციის პროცესში უამრავი უსამართლობა იქნა დაშვებული, ამ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემა კატასტროფულად დაეცა.

საბჭოთა კავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლები ხშირად იყენებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას, როგორც სტანდარტს, რომლის მიხედვითაც თავიანთ ეკონომიკურ წარმატებას ზომავდნენ. ამით კომუნისტური სისტემის აღმატებულების დამტკიცება სურდათ.

მთლიანი ეკონომიკური პროდუქტი ერთ კაცზე, მიუხედავად პერიოდული სწრაფი ზრდისა 1960-70 წლებში, საბჭოთა კავშირში ბევრად დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში. მთლიანი ეკონომიკური მდგომარეობით დასავლური კაპიტალისტური ქვეყნები სსრკ-ს საკმაოდ უსწრებდნენ.

ჯანდაცვა საბჭოთა კავშირში ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და უფასო იყო. აშშ-სგან განსხვავებით, სადაც სადაზღვევო სისტემა მუშაობდა და კერძო სექტორიც იყო ჩართული. თუმცა: არსებობდა კვალიფიცირებული პერსონალის ნაკლებობა და არასაკმარისი დაფინანსება, რაც საერთო ხარისხს დაბლა სწევდა. ამასთანავე, კლინიკები ხშირად იყო მოუწესრიგებელი და გადაჭედილი, ხოლო წამლები რთულად ხელმისაწვდომი. შედარებით კარგი ხარისხის ჯანდაცვა იყო პარტიის მაღალი რანგის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი. დანარჩენ მოსახლეობას კი ხშირად ქრთამის გადახდა უწევდა მაღალკვალიფიციური დახმარების მისაღებად. ამასთანავე:

- 1960-70-იანი წლების მონაცემებით, აშშ-ში ჯანდაცვის ხარჯი ბიუჯეტის 5-8%-ს შეადგენდა, როცა სსრკ-ში იგივე მაჩვენებელი 2%-ს არ აღემატებოდა.
- მაშინ, როცა დასავლეთში ბევრი კვლევა ტარდებოდა დაავადებების პრევენციის მიზნით, საბჭოთა მედიცინა დაავადების მკურნალობაზე იყო ფოკუსირებული. ამიტომ ეპიდემიური დაავადებები უფრო ხშირი იყო სსრკ-ში.

კაპიტალისტურ სამყაროში ბინების და საცხოვრებლები საშუალო კლასის მოსახლეობას თავად უნდა შეეძინა, რაც ხშირად დიდ ხარჯებთან ან კრედიტებთან იყო დაკავშირებული როგორც დღეს, ყველას არ შეეძლო, საკუთარი თავისთვის კარგი საცხოვრებელი პირობები შეექმნა.

ამისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში უსახლკაროების პრობლემა თითქმის არ არსებობდა. თუმცა: ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ან იძულებული იყო, საკუთარი ბინა ვინმესთვის გაეყო, თუნდაც უცხოსთვის. არქიტექტურა და კონსტრუქცია ხშირად ღარიბული და უხარისხო იყო. ბევრ მოქალაქეს კი ათწლეულები უწევდა ოჯახში დარჩენა და ლოდინი, სანამ საცხოვრებელ ფართს გამოუყოფდნენ.

სამომხმარებლო საქონელი:

- ყოველდღიური სამომხმარებლო საქონლის ხარისხი საბჭოთა კავშირში ბევრად დაბალი იყო, ვიდრე დასავლურ ქვეყნებში, რაც ხარისხის კონტროლის ნაკლებობითა და შეთავაზების სიმწირით იყო

გამოწვეული. დასავლეთში გაყიდვადი ტექნოლოგიური პროდუქცია მხოლოდ გვიან აღწევდა საბჭოთა წარმოებაზე. ეს იწვევდა მომხმარებელთა უკმაყოფილებას.

- თუმცა არსებობდა საქონლის ტიპები, რომლებშიც საბჭოთა კავშირი მოწინავე იყო, როგორიცაა ცემენტის, მექანიკური ხელსაწყოებისა და ელექტრო-გენერატორების წარმოება.
- სტატისტიკის მიხედვით, ამერიკის თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა მაცივარი და ტელევიზორი. საბჭოთა კავშირში ასეთი ოჯახების რაოდენობა საერთო რაოდენობის 2/3-მდე იყო.

კვება:

- საკვების შემთხვევაში, პროდუქტები არც თუ ისე მრავალფეროვანი იყო, რადგან დახლებზე იმას სთავაზობდნენ, რისი მოყვანაც შესაბამის სეზონზე ხდებოდა. თუმცა საბჭოთა სოფლის მეურნეობა და მასში ჩაბმული ადამიანების რაოდენობა მკვეთრად აღემატებოდა ამერიკულ მოდელს. მიუხედავად ამისა, პროდუქციის მიწოდება ვერ ფარავდა მასზე მოთხოვნას.
- მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ კვების საერთო მდგომარეობით თითოეულ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირი აშშ-ს არ ჩამოუვარდებოდა. მიუხედავად არც თუ ისე მრავალფეროვანი შემოთავაზებისა, შიმშილის პრობლემა არ იყო.

ტექნოლოგია და მრეწველობა:

- აღსანიშნავია, რომ მრეწველობისა და თავდაცვის ტექნოლოგიების სფეროში საბჭოთა კავშირი დასავლეთს ხშირად უსწრებდა.
- თუმცა კომპიუტერულ ტექნოლოგიების განვითარებაში საბჭოთა კავშირი დასავლეთს დაახლოებით 8 წლით ჩამორჩება.

განათლების სიტემის სტრუქტურა:

- მთელ სსრკ-ში ანალოგიური სასწავლო პროგრამა - 10-წლიანი სასკოლო განათლება.
- ასევე არსებობს 4, 7 და 10-წლიანი სკოლები (80-იანი წლებიდან დარჩა 10-წლიანები)
- 10-წლიანი ზოგადი განათლების შემდეგ იყო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდები, რომლებიც ტარდებოდა წელიწადში ერთხელ ზეპირი და წერითი სახით. აღსანიშნავია, რომ გამოცდის დასაძლევად მოსწავლეები ხშირად კერძო რეპეტიტორებს მიმართავდნენ, ამავე დროს კი უნივერსიტეტში მოსახვედრად ხშირად იყენებდნენ პირადი კავშირების, კორუფციულ და არაპატიოსან მეთოდებს.
- 7-წლიანი სასკოლო განათლების შემდეგ ტექნიკუმში წასვლის შესაძლებლობა, რომლის შემდეგაც საინჟინრო განათლების მიღებაა შესაძლებელი
- განათლება კონტროლდებოდა ცენტრალიზებულად და იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი.

უმაღლესი განათლება:

უმაღლესი განათლებისთვის არსებობდა სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომელთა რიცხვიც 1987 წელს 69 იყო. თუმცა პედაგოგიურ, ტექნიკურ და სხვა ინსტიტუტებთან ერთად უმაღლესი განათლების დაწესებულებების რიცხვი 800-ს აღემატებოდა. მაღალდისციპლინირებულ სასწავლებლებს აქცენტი უმეტესად ცოდნის მიღებაზე ჰქონდათ და ნაკლებად ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარებაზე. საბჭოთა საგანმანათლებლო დაწესებულებები სამეცნიერო სფეროში მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებდნენ. სტუდენტური ცხოვრება გახალისებული იყო სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებით, ოლიმპიადებით და ა.შ.

ახალგაზრდული ორგანიზაციები:

- კომუნისტური პარტია ზრუნავდა, რომ ერთგული პარტიის წევრები ადრეული ასაკიდანვე აღეზარდა, რისთვისაც ახალგაზრდა ორგანიზაციებს იყენებდა.
- 9 წლამდე გამორჩეულ მოსწავლეებს შეეძლოთ ახალგაზრდა ოქტომბრისტები გამხდარიყვნენ.
- 9-14 წლების ასაკში - პიონერები
- ყველაზე გამორჩეულ პიონერებს შეეძლოთ შეერთებოდნენ კომსომოლებს - ახალგაზრდა კომუნისტთა ლიგას (14-26 წლის ასაკში).
- კომსომოლობიდან კიდევ ერთი შერჩევის შედეგად შესაძლებელი იყო პარტიის წევრად გახდომა.
- ახალგაზრდული ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ახალგაზრდების გადაბირებაში „ეროვნული მიზნებისთვის“

ლიტერატურა:

1. ტიმოთი სნაიდერი, „სისხლიანი მიწები, ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის“, 2014.
2. ვასილ ერნუ, „დაბადებული საბჭოთა კავშირში“, თბ., 2011.
3. რევაზ გაჩეჩილაძე, „ჩემი XX საუკუნე“, II ტომი, თბ., 2011.
4. ს. კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსეკი, ჟან-ლუი მარგოლენი, „კომუნიზმის შავი წიგნი - დანაშაულები, ტერორი, რეპრესია“, თბ., 2011.

ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა

ნანი დანიელოვი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი,** პროფესორი

ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მეფე 1606-1614 წლებში - ლუარსაბ II დაბადებულა 1592 წ. გამეფებისას 14 წლის ჭაბუკი იყო. წყაროები ლუარსაბს ახასიათებენ, როგორც წარმოსადეგ და ლამაზ ვაჟკაცს, უშიშარსა და მამაც მებრძოლს, მაგრამ გამოუცდელ პოლიტიკოსს და სუსტი ხასიათის ადამიანს. შესაძლოა, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, წინაშე უაღრესად რთული და დიდი ამოცანები იდგა და ძალზე რთულ დროს მოუხდა მოღვაწეობა.

ლუარსაბის გამეფებისთანავე შაჰ-აბას I-ს მისი და ცოლად შეურთავს, როგორც საფიქრებელია, შაჰმა ქართლის მეფის ირანის ტახტთან უფრო მტკიცედ მიმაგრებისათვის [48,49][4] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამ ქალს თინათინი რქმევია: „...სთხოვა შაჰმან ლუარსაბ მეფესა დაი თვისი ცოლად თინათინი. ამან მისცა და წარიყვანა დიდითა დიდებითა და ნიჭითა.“თუმცა, ზოგიერთი წყაროდან ჩანს, რომ ამ ქალს ლელა ერქვა [55][2].

ელ. მამისთვალიშვილი თავის ნაშრომში იმოწმებს ისქანდერ მუნშს, რომელიც არაფერს ამბობს შაჰის მიერ ლუარსაბისათვის დის გამორთმევის შესახებ, მაგრამ მათ შორის ურთიერთობის „მოწესრიგებას“ კი აღნიშნავს.

რაც შეეხება თეიმურაზისა და ლუარსაბის ქრისტიან მეფეებად დანიშვნას შაჰ-აბასის სურვილითა და ნებართვით მოხდა.

მას აღწერილი აქვს ის ზეიმი, რომელიც შაჰ-აბასმა ქართველებს მოუწყო ყარაბახში და ნება მისცა თეიმურაზის მეფედ კურთხევა თავიანთი, ქართული წესის მიხედვით ჩაეტარებინათ. ზეიმში შაჰიც მონაწილეობდა.

ლუარსაბისა და თეიმურაზის ქრისტიანობით გამეფება ქართველობას თავის დიდ გამარჯვებად მიაჩნდა. ორივე მეფე, წინაპრების მსგავსად ფიქრობდნენ, რომ მიუხედავად ქვეყნის დაშლისა და ქართული მიწების მეზობელი სახელმწიფოების მიერ ანექსიისა, ასრულდებოდა ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ოცნება და საქართველოს გაერთიანება და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მოხდებოდა. ამის მიღწევა შეიძლებოდა, მხოლოდ მტაცებელი მეზობლების - ირანისა და ოსმალეთის ერთმანეთთან დაპირისპირებით და ქართული საქმის გაკეთებით, მაგრამ ამის განხორციელება ამ პერიოდში, გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელი იყო.

შაჰს კი სულ სხვა გეგმა ჰქონდა. ქართლ-კახეთის დამორჩილება, რადგან ამის გარეშე იგი სამხრეთ კავკასიაში გაბატონებას ვერ მოახერხებდა. [47,48,49,50,51][4]

ლუარსაბ II საქართველოს სამეფო ტახტზე ისეთ მძიმე ვითარებაში ავიდა, როცა საქართველო მაჰმადიანი ქვეყნების ოსმალეთსა და ირანს შორის იხლიჩებოდა. იგი შაჰ-აბასის შემოსევების დროს გამეფდა. კერძოდ, როდესაც შაჰმა განჯა აიღო და ქართლში შემოიჭრა, დაიჭირა თბილისი და თავისი მოხელე დასვა. სწორედ იმ ხანებში უეცრად გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი X მეჯვრისხევს. ქართლის დიდებულთა ერთი ჯგუფის თხოვნით, შაჰმა ქართლის მეფედ გიორგის პირმშო, 14 წლის ლუარსაბი დაამტკიცა და ქართლიდან შირვანისაკენ წავიდა. ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფოები ირანის ვასლებად ითვლებოდნენ. ორივე სამეფო ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში ირანის მხარეზე ჯარით გამოსულიყო. [253,254][3] [48,19,50,51,52][2]. [48,49,50][4]

1609 წლის ივნისში ქართლში ოსმალთა მრავალათასიანი არმია შემოიჭრა, რომელთა რიცხვში ორი ათასი ყირიმელი თათარი ერია. ამ დროს ლუარსაბ II მეფე საზაფხულო რეზიდენციაში - ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირე ამალით. მათ სწრაფად გამოვლეს ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისს მიადგნენ. როგორც ჩანს, მტერმა იცოდა ლუარსაბის ადგილსამყოფელი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ცხირეთისაკენ სწრაფად გაჭრილიყვნენ, რათა მეფე ხელთ ეგდოთ. მათ შეიპყრეს გზად თევდორე მღვდელი, რათა მეფის ადგილსამყოფელი ეჩვენებინა. მან მტერი მოატყუა და სხვა გზით წაიყვანა. მტერი მიუხვდა ეშმაკობას მღვდელს, აწამეს და მოკლეს, მაგრამ მეფე და ქართველთა ჯარი გადარჩა. მაშინ ცხირეთში მეფესთან ერთად იმყოფებოდა თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და სარდალი ზაზა ციციშვილი, რომლებმაც ჯარი სასწრაფოდ შეაგროვეს და ოსმალთა წინააღმდეგ აამხედრეს. ისინი მტერს ეკვეთნენ მათ გატეხეს მტერი, ამიტომ ოსმალებმა პირი იბრუნეს და მტკვრის დინებას აუყვნენ. ოსმალები

გორში შეჭრას ცდილობდნენ, მაგრამ მათი მოძრაობა შენიშნა გორელმა სომეხმა ტერტერამ (მღვდელმა), იგი მიხვდა რა საშიშროება მოელოდა გორს თუ ოსმალები ხიდს გადავიდოდნენ, არ დაიბნა, უკან გაიქცა, ხიდის ფიცრები აჰყარა და მტერს გაღმა გასვლის საშუალება მოუსპო. ამასობაში გ. სააკაძის რაზმებიც მიუახლოვდნენ ოსმალებს. ოსმალების მიზანი - მეფის დატყვევება და შიდა ქართლის დაკავება ჩაიფუშა. ოსმალებსა და ქართველების გადამწყვეტი ბრძოლა ტაშისკარის ველზე მოხდა.

ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბირი გაიმართა. თათბირს, რომელსაც ლუარსაბ მეფე მეთაურობდა, გარდა სააკაძისა, ესწრებოდა ქართველთა ყველა გამოჩენილი სარდალი. ომი გარიჟრაჟზე დაიწყო. საშინელი სისხლის ღვრა გაიმართა. ომში პირადად მონაწილეობდა და მამაცობით თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ლუარსაბ მეფემ. გარიჟრაჟზე დაწყებული ომი საღამოს ცხრა საათამდე გაგრძელდა და ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მტრის უზარმაზარი რაზმები მთლიანად განადგურდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. ქართველებმა დიდძალი ქონება და ტყვეები იგდეს ხელთ, მათ შორის ოსმალთა ჯარის ორი სარდალი - ფერჰად ფაშა და მუჰამედ-ფაშას შვილი. ამ შემთხვევით ისარგებლეს, დამარცხებული მტრის მოჭრილი თავები და ორი ტყვე შაჰ-აბასს გაუგზავნეს და გამარჯვება ახარეს. ამით ქართველები, ერთი მხრივ, ვასალურ „ერთგულებას“ უმტკიცებდნენ შაჰს და მეორე მხრივ, ოსმალეთის მოსალოდნელი ხელახალი შემოსევის დროისთვის მოკავშირეს იძენდნენ. ამ ომის შემდეგ გ. სააკაძის ავტორიტეტი და ლუარსაბ მეფის ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა. [60,61,62,63,64,65-65 გვ][2]

1610 წ. შაჰ აბასი აზერბაიჯანში იმყოფებოდა. მას ქართლისა და კახეთის მეფეები, ლუარსაბი და თეიმურაზი, თავისთან დაუბარებია. პირველი ლუარსაბი ეახლა შაჰს დიდი ამალით. მას თან ახლდა დედამისი, დედოფალი თამარი. აქ ისინი ექვს თვეს დარჩნენ. მალე შაჰს მეფე თეიმურაზიც ეახლა.

ლუარსაბსა და თეიმურაზს, შაჰისათვის თხოვნით მიუმართავთ. თეიმურაზს შაჰთან ზოგიერთ ურჩ კახელ ფეოდალზე უჩივლია და მათი დასჯა უთხოვია, ლუარსაბს კი თბილისის ციხის დაბრუნება უთხოვია. შაჰმა გარკვეული მიზეზების გამო მათი თხოვნა დააკმაყოფილა. ლუარსაბს ციხე დაუბრუნა. [257,258][3] [66,67,68,69][2]

შაჰ-აბასის კარზე ექვსი თვის ყოფნის შემდეგ, ლუარსაბი და თეიმურაზი საქართველოში გამოისტუმრეს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ „თხოვნა მოთხოვნის“ და „წყალობის“ შედეგებით შაჰ-აბასი დარჩენილა უკმაყოფილო.

ეს უკმაყოფილება შაჰმა მალე გამოამჟღავნა. როგორც ქართული წყაროები მოგვითხრობდნენ, მანყაზახის პროვინციის მმართველს მოჰამედ-ხან ყაზაყლარს წერილი მისწერა და ლუარსაბის მოკვლა და მისი ქვეყნის აოხრება დაავალა. ანალოგიური წერილი შაჰს ლუარსაბ მეფისთვისაც გამოუგზავნია. ეს წინადადება ქართველებს მისაღებად ეჩვენათ, რადგან „ყაზაყლარის ტომი, - მუდამ არბევდა და ძარცვავდა ქართველებს და ტყვედ მიჰყავდათ ქალები და ბავშვები“. მართლა, ქართველებმა შაჰის მეორე წერილის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ ამ ლაშქრობას მათთვის თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა და ამდენად გამართლებაც. ლუარსაბმა დაასწრო, ლაშქრით შეესია და მოკლა ხანი „მისი მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნა. შაჰი ეტყობა, ფიქრობდა, დავალებას ხანი უფრო ადრე შეასრულებდა და ლუარსაბის თავს მიართმევდა, მაგრამ მოტყუვდა.

ნაწყენი შაჰ-აბასი იძულებული იყო მადლობით მიეღო ლუარსაბის „საჩუქარი“ და სამაგიერო ძღვენი გაეგზავნა.

შაჰ-აბას I ასეთ მზაკვრობებს და ინტრიგებს არაერთხელ უწყობდა ლუარსაბს. მაგალითისათვის, გ. ჯამბურიას თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ცნობა, შაჰ-აბასს ანალოგიური ხერხი ლუარსაბისა და თეიმურაზის წასაკიდებლადაც უხმარია. მას ლუარსაბისთვის წერილი მიუწერია: „თეიმურაზი მოჰკალ და კახეთიც შენ დაიჭირეო“. საპასუხო წერილი თეიმურაზისათვისაც გაუგზავნა, მათ ერთმანეთის დახოცვისაკენ უბიძგებდა, მაგრამ ქართველები დროზე მიხვდნენ შაჰის მზაკვრულ გეგმას და შაჰი კვლავ გააწბილეს. [67,68,69][2]

შაჰი ამგვარი მეთოდით მოქმედებდა, ვიდრე ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა. იგი გარეგნულად თითქოს ითმენდა თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის თვითნებობას, რაც კახეთის მეფის შაჰთან გამოუცხადებლობით გამოიხატებოდა. თუმცა მაინც შეძლო თეიმურაზის ორი ვაჟისა და დედის - ქეთევანის ხელში ჩაგდება. მის ხელში იყო თავისი ცოლი, ლუარსაბის და თინათინიც. [49, 50, 51 გვ][4]

შაჰმა თავისი გეგმის განხორციელება დაიწყო მიზეზის მოდებით და ეს მიზეზი ქართლ-კახეთზე თავდასასხმელად თეიმურაზისა და ლუარსაბის დის ქორწინება იყო. თეიმურაზ I-მა და ლუარსაბ II-მ შეკრეს კავშირი. ეს მოხდა ლუარსაბის დის ხორეშანის თეიმურაზზე მითხოვების შემდეგ. მართალია თეიმურაზს უკვე ჰყავდა ცოლიც და მისგან ვაჟიც, მაგრამ მას მაინც შეურთავს ხორეშანი, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, ლუარსაბი ამ ქორწილის მოწინააღმდეგე ყოფილა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან საქმეში ვერაგი შაჰ-აბასი ჩაერთო და სწორედ მისი ნება-სურვილით იქორწინეს

თეიმურაზმა და ხორეშანმა, ეს მოხდა 1612 წ. სწორედ ეს ქორწინება გამოიყენა შაჰმა ქართლ-კახეთში შემოჭრის მიზეზად.

ამ ფაქტის გადმოსაცემად ელ. მამისთვალიშვილი იმოწმებს ნაშრომში პიეტრო დელა ვალეს მონაცემებს, თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინებას შაჰ-აბასის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად მიიჩნევს. ვითომც ხორეშანი მას ნდომია ცოლად, არადა ეს ქორწინება სწორედ შაჰის ზეწოლით ხდებოდა. [52.53.54.55][4].

ამ ყოველივეს ისიც მოჰყვა, რომ გ. სააკაძესა და ლუარსაბს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეს უთანხმოება განპირობებული იყო ლუარსაბ მეფისა და გ. სააკაძის დის ქორწინებით.

1611 წ. შემოდგომაზე ლუარსაბ მეფემ ცოლად შეირთო გ. სააკაძის და. როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, გ. სააკაძეს თავის რეზიდენციაში, სოფ. ნოსტეს, დიდი ნადიმი მოეწყო. ნადიმზე საპატიო სტუმრად მიუწვევია ლუარსაბ მეფე.

გ. ჯამბურიას თავის ნაშრომში აქვს დამოწმებული ქართული და უცხოური წყაროები, ისინი ერთხმად აღნიშნავენ სააკაძის დის დიდ სილამაზეს და მისი სილამაზით დატყვევებულა ლუარსაბიც და შეჰყვარებია იგი. თუმცა, სააკაძის მოწინააღმდეგე ბანაკის ისტორიკოსთა აზრით, მოურავის მიერ მოწყობილი ნადიმის მიზეზიც ეს იყო, მაგრამ სომეხი მემატიანეს თქმით, „ამ დროს მეფე ლუარსაბი გატაცებული იყო მოურავის დით, თავდავიწყებით უყვარდა ის და ფარულად დადიოდა მასთან“. ეს ამბავი გამჟღავნებულა და გიორგის ყურამდე მიუღწევია. ამის გამო მოურავი თურმე სიკვდილსაც კი ნატრობდა და იმუქრებოდა: ,,ლუარსაბი უნდა მოვკლა, რადგან ასეთ შეურაცხოფას ვერ ავიტანო“. ამ ფაქტს „დიდმოურავიანის“ ავტორი იოსებ თბილელიც ადასტურებს. ამ ქორწინებამ აღაშფოთა დიდებულნი და სამეფო კარი, მათ შორის ლუარსაბის დედაც. სააკაძემ სიფრთხილე გამოიჩინა და მეფეს ქალის დაუგდებლობის გარანტია მოსთხოვა. საფიცრის წიგნის მიღების შემდეგ, საქმე საბოლოოდ გადაწყდა და 1611 წ. ნოემბრის ბოლოს, ქვათახევის სამეფო მონასტერში ჯვარი დაიწერეს. ახალი დედოფალი თბილისში გადაუყვანიათ. დიდებულთა მოთმინების ფიალა აივსო, ამიტომ ამ ქორწინების შემდეგ მოეწყო შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. შეთქმულთა მიზანი დედოფლის გაძევება და სააკაძის მოსპობა იყო. გიორგის სამშობლოს და მეფის ღალატი ბრალდებოდა და გადაწყდა მისი სიკვდილით დასჯა და მამულების ჩამორთმევა. ლუარსაბი გიორგის მოღალატეობაში დაურწმუნებიათ, ან იძულებული გაუხდიათ „დარწმუნებულიყო“. გადაწყდა დედოფლის გაშვება და სააკაძის სიკვდილი. რა ბედი ეწია დედოფალს, ცნობილი არ არის. რაც შეეხება მისდამი ლუარსაბის გრძნობას, ის ზერელე და ხანმოკლე არ უნდა ყოფილიყო. შემდეგ ლუარსაბს ცოლი აღარ შეურთავს. ქართლის სამეფო ტახტს კი პირდაპირი მემკვიდრე აღარ ჰყავდა. მართალია, 1615 წ-დან ლუარსაბი ტყვედ იყო ირანში, მაგრამ ცოლის დაგდებიდან მის დატყვევებამდე სრული 3 წელი იყო გასული. გ. სააკაძე სამშობლოდან გაიქცა და თავი შაჰს შეაფარა. [261][3], [74.75.76.77.78.79.80][2].

1612 წ. ზაფხულში შაჰმა ლუარსაბი და თეიმურაზი ნადირობის საბაბით მაზანდარას დაიბარა. მეფეები არ ენდვნენ მას და არც წავიდნენ. ეს უკვე შაჰის წინააღმდეგ აჯანყებას უდრიდა და ირანის ვასლობაზე უარს ამბობდნენ. ქართლ-კახეთშიც ანტიირანულ ორიენტაციას გაემარჯვა; და სწორედ ამ ჯგუფის წაქეზებით თეიმურაზმა და ლუარსაბმა „დადეს ხელშეკრულება და ფიცი, რომ იქნებიან ერთსულოვანნი და ერთაზროვანი“. კახეთიც და ქართლიც ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. ლუარსაბ მეფე დიდ ფეოდალთა ნება-სურვილების მორჩილად ქცეულიყო. შაჰი კახეთში შეიჭრა და ამიტომ თეიმურაზი გაიქცა.

მუხრანში თეიმურაზს უკვე ელოდებოდა ქართლის მეფე ლუარსაბი ამალითა და მცირე ჯარით. მუხრანში თათბირი გაიმართა, გაირკვა, რომ არც ქართლს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მათ გადაწყვიტეს თავი იმერეთისთვის შეეფარებინათ. ორივე მეფე თავისი ოჯახებით იმერეთში გადავიდნენ. გიორგი მეფემ სტუმრები დიდი პატივით ქუთაისში მიიღო. [262.263.264.265.266][3] [92.93.94][2]

1615 წ. გაზაფხულის დამდეგს შაჰი ჯარით ქართლში შეიჭრა და გორში დაბანაკდა. აქედან კი იგი გიორგი იმერთა მეფეს დაუკავშირდა და მასთან მყოფ მეფეებს მოითხოვდა. ცბიერი შაჰი თითქოს მზად იყო მათთვის „დანაშაული“ ეპატიებინა, თუ ისინი მას ეახლებოდნენ. შაჰმა რამდენჯერმე სცადა ტკბილი სიტყვითა და დაპირებებით თეიმურაზისა და ლუარსაბის გადმოყვანა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს აბასმა ხელი აიღო თეიმურაზის ხელში ჩაგდებაზე და იერიში ლუარსაბზე მიიტანა. ეს საქმე შადიმან ბარათაშვილს დაავალა და დიდ საჩუქრებსაც დაპირდა. შადიმანმა მეფის გადმოყვანა იკისრა და იმერეთში გაემგზავრა.[266][3].

შადიმანი დიდი ხნის განმავლობაში ელაპარაკა ლუარსაბს ლმობიერი, დამარწმუნებელი და მოსაწონი სიტყვებით მანამ, ვიდრე მისი მტკიცე განზრახვას შეარყევდა. მან დაითანხმა ლუარსაბი შაჰთან წასვლაზე. მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბს წაუსვლელობას ურჩევდნენ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს. რაინდ მეფეს, არაქელ თავრიზელის სიტყვით, შემდეგი განუცხადებია: ,,თუ მე არ წავალ, იგი (შაჰ-აბასი) მთელ ქვეყანას ააოხრებს, ეკლესიებს დაანგრევს, ქრისტიანებს დახოცავს და დაატყვევებს.

ეს ყველაფერი ჩემი მიზეზით იქნება. რამდენიმე ხანს ასეთი სინდისით ცხოვრებას და იმდენი ადამიანის ცოდვაში ჩადგომას მირჩევნია წავიდე შაჰთან, მთელი ქვეყანა ვიხსნა, რათა ჩემი მიზეზით არ ააოხროს ქვეყანა. „უეჭველია ლუარსაბს ხლებამ რამდენადმე დააცხრო შაჰ-აბასის მრისხანების ცეცხლი და ქართლიც შედარებით იოლად გადარჩა შაჰის ამ „სტუმრობას“. ლუარსაბმა დედა და ოჯახი იმერეთში დატოვა, თავად კი მცირე ამალით ქართლში გადმოვიდა. შაჰი მას იმერეთის საზღვრებთან ახლოს შეეგება. ლუარსაბი დიდი პატივით იქნა მიღებული. მალე გორში მობრუნდნენ და რამდენიმე ხანს იქ დარჩნენ. ლუარსაბს აქ იმერეთში გაქცევა უცდია, მაგრამ შეუტყვეს. შაჰმა ამ გარემოებას გარეგნულად ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ფარულ მცველთა რაზმი კი გააძლიერა. [97.98][2] [301][1].

თუმცა, ლუარსაბის იმერეთიდან ქართლში წასვლა და შაჰთან მიახლება სხვადასხვა ისტორიკოს სხვადასხვა მიზეზით აქვთ დასახელებული. ელ. მამისთვალიშვილი თავის ნაშრომში ამ ფაქტის წარმოსაჩენად იყენებს მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებს. ისქანდერ მუნშის მიხედვით, იმერეთის დედოფალს და მეფეს შაჰისთვის, მისივე ელჩის ხოჯა მოჰამედ-რეზას პირით შეუთვლიათ, რომ ქართლის სამეფოს ის ტერიტორიები, რომლებიც იმერეთს ემეზობლებოდა, მათი შვილი ალექსანდრესთვის გადაეცა. ეს, რომ შეიტყო შაჰმა ჭკუაში დაუჯდა და თავისი გადაწყვეტილების შესატყობინებლად ლუარსაბს იაყუბ ხან-ბეგი გაუგზავნა. შეშფოთებული ლუარსაბი ქართლში გადავიდაო.

ფარსადან გორგიჯანიძეც ლუარსაბის ასეთ ქცევას სამეფოს დაკარგვის შიშს ასახელებს, მაგრამ ამ ინტრიგის მოწყობას შაჰს აბასს მიაწერს. [81][4]. გ. ჯამბურია იშველიებს არაქელ თავრიზელის გადმოცემით თითქოს ხმა გაუვრცელებია: ,,თუ ლუარსაბი მოვა, ქვეყანას მას მივცემ, თუ არა და აი მოურავი, რომელიც ქართველთა და ქართლის ქვეყნიდან არის, ჩვენთანაა, მას მივცემ ქართლის ქვეყანას, თვით კი წავალ ჩემს ქვეყანაშიო“. ახლა ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომელ ვერსიას უფრო ავრცელებდა შაჰ-აბასი. ერთი კი ცხადია: ის არც ერთ თავის დაპირებას არ შეასრულებდა, რადგან შესაძლოა ორივეს საქართველოს გაძლიერება გამოეწვია, ამას კი ის რა თქმა უნდა არ დაუშვებდა. [97][2]

ქართული საისტორიო ლიტერატურა ლუარსაბის შაჰთან მისვლის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. როდესაც შაჰმა გორში იმერეთის ნეფის უარყოფითი პასუხი მიიღო მეფეების გაცემის შესახებ, ამის შემდეგ მან ვერაგობას მიმართა. იმერეთის მეფის წარმოგზავნილებს უთხრა, მე ლუარსაბს არ ვემდური, თეიმურაზია ჩემი მტერი. თუ მოვა წყალობას ვუზამო. ამის შემდეგ მოიხმო შადიმან სუფრაჯი, ლუარსაბის გამზრდელი და ტირილით უთხრა: მე მეფე სვიმონის შვილიშვილს როგორ წავახდენ, ის თეიმურაზმა შეაცდინა. შაჰმა „მისცა საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“ შადიმანმა დაიჯერა შაჰის სიტყვები, რომელმაც თავისი ერთგული კაცი ხოჯა მათ ლუარსაბი დაითანხმეს შაჰთან წასვლაზე. მეფემ ლუარსაბის განზრახვის შესახებ, გაიგეს თუ არა ყველამ ურჩია შაჰთან არ მისულიყო, ისინი აფრთხილებდნენ, რომ მან ბევრი ტყუილი იცის და დაუნდობელი არისო და არც შენ დაგინდობსო. მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა ლუარსაბმა არ შეისმინა და შაჰს ეახლა. [81,82,83][4]. ასეა თუ ისე იგი მოტყუვდა და შაჰის მახეში გაება.

გორიდან შაჰი თავისი ჯარით თბილისს მივიდა. ლუარსაბიც თან ჰყავდა. დიდხანს არც აქ გაჩერებულა. თბილისის ციხეში გარნიზონი ჩააყენა და ყარაბაყისაკენ გასწია. ლუარსაბი მოელოდა, რომ შაჰი მას თბილისში დატოვებდა, მაგრამ ამაოდ. შაჰმა იგი ყარაიში ნადირობის საბაბით თან გაიყოლა და ყარაბაღში მიიყვანა. ყველაფერი ცხადი იყო: ლუარსაბი უკვე ტყვე იყო.

საქართველოში ლაშქრობის დაწყების წინ შაჰის მიერ ოსმალეთში გაგზავნილი ელჩი დაბრუნებულიყო და ყარაბაღში ეახლა შაჰს და ოსმალეთის სულთანის კმაყოფილების ამბავი ჩამოუტანა. თეიმურაზსა და ლუარსაბს წერილები მიეწერათ სულთანისათვის: „თქვენი ყმობა გვინდა და შაჰ-აბასის წინააღმდეგ ომში მოგვეხმარეო. ამ ყოველივემ ლუარსაბის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. განრისხებული შაჰი ირანში დაბრუნდა, ლუარსაბიც გაიყოლა.

შაჰმა ლუარსაბს რჯულის შეცვლა მოსთხოვა, რაზედაც მან მტკიცე უარი განაცხადა. არავითარმა მუქარამ და ტკბილმა სიტყვამ არ გაჭრა. ლუარსაბი შინაური „საპატიო“ პატიმრობიდან ნამდვილ პატიმრობაში გადაიყვანეს. იგი გულაბის ციხეში გამოამწყვდიეს. [100][2]. ამის შემდეგ შაჰი 1615 წ-დან 1617 წ ჩათვლით ყოველ წელს იჭრებოდა საქართველოში.

აღნიშნული ოთხი შემოსევის დროს (1614-1617 ყოველ წელს) კახეთმა გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თეიმურაზი არ ნებდებოდა ამიტომ ოსმალეთში იყო და დახმარების მიღებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ.

ამჯერად თეიმურაზმა დახმარების თხოვნით რუსეთს მიმართა (1618,1623 წწ.), მაგრამ ვერც იქიდან მიიღო სასურველი პასუხი.

თეიმურაზის გაუტეხელობის გამო, შაჰმა მის ოჯახის წევრებზე იძია შური. 1620 წ. თეიმურაზის ვაჟები დაასაჭურისებინა, რის შედეგად უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა.

უფრო გვიან, 1624 წ. დიდი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზის დედა დედოფალი ქეთევანიც.

შაჰ-აბასმა 1622 წ. სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეფეც, [267-დან 177][3], [180,181,182,183][5], [110,111,112][2] რომელიც ირანში გულაბის ციხეში იყო პატიმრად, იგი საბელით დაახრჩვეს [113][2], [121][2], [301][1].

ლუარსაბმა თავი გაწირა თავისი ქვეყნის და ხალხისათვის, ქრისტიანობისათვის, რომელმაც ქრისტეს სჯული არ დათმო თავისი კეთილდღეობისათვის, გმირულად შეეწირა რწმენასა და თავის სამშობლოს. ის ნამდვილად გმირი მეფე იყო. მას ისტორიკოსები (უნებისყოფო) სუსტი ხასიათის და სუსტ პოლიტიკოსად მოიხსენიებენ, რაც ჩემის აზრით მცდარია. ეს მათი მოსაზრება, რადგან თუ ის სუსტი ადამიანი იყო შაჰს არ ეახლებოდა, მან კარგად იცოდა შაჰის ვერაგობა და მისი სიტყვის უნდობლობა, მას თავისი დედა თამარი და და ხორეშანი ეხვეწებოდნენ და არწმუნებდნენ შაჰს არ ხლებოდა, მაგრამ მან თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა, რაც მის სიმტკიცესა და გაბედულებაზე მეტყველებს. შეგვიძლია პარალელი გავავლოთ მის მეფობას თეიმურაზის მეფობასთან. მართალია თეიმურაზი არ დრკებოდა შაჰის წინაშე და არ ეახლა მას, მაგრამ მან მთელი თავისი ოჯახი, შვილები და დედა, თავისი ქვეყანა კახეთი, თავის თავისუფლებას ანაცვალა. ლუარსაბმა კი თავისი სიცოცხლე დათმო თავისი ქვეყნის - რწმენისა და ოჯახისათვის. (მისი და თინათინი ხომ შაჰის ხელში იყო). ამრიგად იგი მართლაც რომ გმირი მეფე იყო და ერისათვის სამაგალითო.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VI ტ., თბ., 1983.
2. გ. ჯამბურია, „გ. სააკაძე“, თბ., 1964.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV ტ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
4. ელ. მამისთვალიშვილი, „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, II ტ. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.
5. საქართველოს ისტორია, II, ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, წგნ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. 4, თბ., 1973.

დირბის ისტორიიდან

სოფიკო დოლიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

სოფელი დირბი მდებარეობს ქართლის ვაკეზე, აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირზე, ქ. ქარელიდან 16 კმ-ში, ზღვის დონიდან 735 მეტრზე.[1]

რამდენადაც სოფელი არქეოლოგიურად საკმაოდ მდიდარია, შესაბამისი სამუშაოები რამდენჯერმე ჩატარდა, მაგ., 1955 წელს დირბის მიდამოებში დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი - დ. მუსხელიშვილი), ხოლო 1973-1974 წლებში კი იმავე ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. გ. ცქიტიშვილი).

დირბში სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძეგლია აღმოჩენილი: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით ზენაჯვრის გორაზე, სადაც აღმოჩნდა შავპრიალა და ლეგა ფერის თიხის ჯამები, ხელსაფქვავის ქვები. ასევე გამოვლენილია გვიანი შუა

[1] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ., 1990, გვ. 367.

საუკუნეების ნასოფლარი და სამარხი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ ,,ნაფუძნარში". ნასოფლარზე (ფართ. - 2,5 ჰა) აღმოჩნდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭის ნატეხები, ქვევრის პირგვერდის ფრაგმენტები, აქვეა მარანი ჩამტვრეული ქვევრებით. სამარხი თარიღდება ფეოდალური ხანით, თიხის კუბოში ჩასვენებული იყო თავით აღმოსავლეთისკენ დამხრობილი ერთი მიცვალებული. აღნიშნული მასალა ინახება ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[1].

ცნობილ მისიონერს დონ კრისტოფორო დე კასტელის, ქართველთა მეფე ალექსანდრემ[2] 1646 წელს სარეზიდენციო ადგილები უბოძა, მათ შორის იყო დირბი.

დირბში იჯდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი, რომელსაც ქართველი მეფეები ნიშნავდნენ, ხოლო შემოსავალს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გზავნიდნენ. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ,,არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა, ყოველსა საქართველოსა შინა არს მამული მისი და ჰფლობს ესე და მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალემს".[3]

1650 წლის 10 აპრილს შედგენილ იქნა ,,სოფლის სითარხის წიგნი მოცემული როსტომ მეფის მიერ ჯვარის მამისადმი".[4] როსტომ მეფემ (1633-1658) განუახლა დირბის მონასტერს შეუვალობის წიგნი, გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისგან, გარდა ლაშქრობა-ნადირობის მოვალეობისა და დაუტოვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადასახადი - 6000 თეთრი.

როგორც ჩანს, ეს მონასტერი ქრისტეს საფლავისთვის პირველად როსტომ მეფეს არ შეუწირავს, იგი ქართველთა მეფეებს დიდი ხნით ადრე უბოძებიათ. სერგი მაკალათიას მიხედვით, დირბში ჩამოდიოდა იერუსალიმის არქიმანდრიტი თავისი კაცებით, იგი განაგებდა დირბის ეკლესიას და მამულს, იღებდა გადასახადს: ვენახიდან კულუხს - 1/5 და ღალას 1/5. ამ მიზნით არქიმანდრიტი 6 წლით ჩამოდიოდა. იგი თბილისში ცხოვრობდა, დირბში კი მოურავი ჰყოლია. 5 წლის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, რიგის მიხედვით კი ახალ არქიმანდრიტს აგზავნიდნენ.[5]

1785 წელს ერეკლე II-ის ბრძანებით დირბს კვლავ განუახლდა შეუვალობა.

ჯვრის მონასტრისთვის ღალის მიცემა დირბელებს 1917 წლიდან შეუწყვეტიათ.

,,დირბის ქვეყანა" შედიოდა რუისის საეპისკოპოსოს (მროველის) სამწყსოში[6], ხოლო მამულების მმართველი იყო ჯვარის მამა ნიქოზელი, (ნიქოზის ეპისკოპოსი).

XVII-XVIII საუკუნეებში ქვეყნისთვის უმძიმესი ძნელბედობა იყო ლეკთა თარეში. ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არცერთი სოფელი, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ და გაეძარცვათ.

ერეკლე II-ემ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული ფორმები გამოიმუშავა,[7] თავისი სამეფო გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად, სამხედრო ოლქებად დაჰყო, ეს ოლქები კი ცალკე უბნებად ანუ სამდევროებად ნაწილდებოდა. მეოთხე უბანში ქარელსა და ცხინვალს შორის მოთავსებული ტერიტორია იგულისხმებოდა, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და დირბის ხევის სანაპირო სოფლებითურთ. ეს ოლქი ქსნის საერისთავოსა და საამილახვროში შედიოდა, ამიტომ მისი ხელმძღვანელობა ერისთავებსა და ამილახორებს ჰქონდათ მინდობილი.

1772 წლის 28 აგვისტოს ერეკლე II-ემ ზემო ქართლის სადროშოს ინსტრუქციების მსგავსი მიწერილობა გაუგზავნა, რომელიც 16 მუხლისგან შედგებოდა. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, თუ მდევარს ქარელიდან მოიხმობდნენ ,,მაშინვე ქცხინვალს ქვეითი კაცი დიდი ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფლები" (დვანი, დირბი, ბრეთი, არადეთი და სხვ.) ყველა უკლებლივ უნდა წასულიყო, ცხენოსანიც და ქვეითიც. მას, შემოსული მტრის რაოდენობის მიხედვით, დახმარებას დიდი და პატარა ლიახვის მონაპირე სოფლები (შესაბამისად, მეორე და მესამე სამდევროები) უწევდნენ[8].

1736 წელს ლეკები ქართლში შემოიჭრნენ, სურამამდე აიკლეს და დირბში დაბანაკდნენ,[9] ოსმალთაგან დანიშნულმა გორის ნაცვალმა - აბდულა ბეგმა გორიდან ჯარი წაიყვანა, ყელქცეულთან

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. III ტ., 1978, გვ. 184.

[2] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ,,ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ" თბ., 1977, გვ. 187.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თბ., 1941, გვ. 81.

[4] დავით გვრიტიშვილი, ,,მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის", 1951, ნაკ. 29.

[5] სერგი მაკალათია, ,,ფრონეს ხეობა", 1963, გვ. 27.

[6] საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 367

[7] დავით გვრიტიშვილი, ,,ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", 1955, გვ. 300.

[8] იოსებ ალიმბარაშვილი, ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამდევროები), გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №3, თბ., 2012, გვ. 11.

[9] სოსო ალიმბარაშვილი, ,,ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში", 2011, გვ. 63.

შეება ლეკებს და დაამარცხა. თბილისიდან სეფი-ხანი დიდი ჯარით წამოვიდა და ღვლიღვს მივიდა, ლეკებმა შებმა ვერ გაბედეს, დირბი, ხვედურეთი, ღვლევი, ბებნისი გადაიარეს და დუშეთი წაახდინეს.

როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, 1754 წელს „ხმა დავარდა, ერანის ქვეყნიდან დიდი ხაზინა მოდისო",[1] ლეკთა ჯარი 3 ნაწილად გაიყო, ერთი ერევნის მხარეს წავიდა, მეორე სომხითის მხარეს და მესამე ჯარი ზემო ქართლისკენ. ქართლის მეფე თეიმურაზი (1744-1762) და კახეთის მეფე ერეკლე (1744-1762) ზემო ქართლის მისაშველებლად წამოვიდნენ და ჯარის შეკრებამდე გორში დაბანაკდნენ. ლეკის ჯარმა მოაოხრა ტინისხიდი და დირბის ციხეს მიადგა, ამასობაში ქართველთა ჯარი შეიკრიბა და დირბის დასახმარებლად წავიდა. პირველივე შეტაკებაში ლეკებმა დიდი ზარალი ნახეს, დამარცხდნენ და გაიქცნენ. დირბელები გადარჩნენ, მაგრამ უკვე ძალიან უჭირდათ და ლეკები ციხეს კიდეც აიღებდნენ, ომან ხერხეულიძემ მოასწრო ციხის გამაგრება, ხოლო როცა ქართველი მეფენი მივიდნენ „ვითა შევარდენთა გუნდი ტრედთაგან, ეგრე დაფანტეს ჯარი ლეკთანი", წამოვიდნენ გამარჯვებულნი და გორში ლხინი გამართეს. დირბის ომში 42 ქართველი და 140 ლეკი მოიკლა.

1756 წლის ივლისში ლეკები კვლავ დაესხნენ ქართლს, ამავე წელს თეიმურაზ II-მ ბრძანება გაუგზავნა იასაულ ნიკოლოზს და ზურაბ ნახუცრიშვილს ჯარის შეკრების შესახებ,[2] დირბიდან უნდა გასულიყო 2 ცხენოსანი და 2 ქვეითი, ბრძანების მიხედვით ,,ამირეჯიბის თაბუნი არის ეს დირბი". ლეკებმა კარალეთის ციხე აიღეს, ქართლის და კახეთის მეფეები მათ სკრაში დაეწიენ, დაამარცხეს, ნადავლი დააყრევინეს და მათი მოკვეთილი თავები მეფეებს მიართვეს. გამარჯვებული მეფენი დირბის ბოლოს ჩამოსხდნენ. ლეკები კვლავ მოვიდნენ, მინდვრებიდან საქონელი წაასხეს და ტყეს შეეფარნენ, თუმცა გამარჯვება ამჯერადაც ქართველებს ხვდათ წილად.

ოთარ თუმანიშვილი დეტალურად აღწერდა ლეკთა შემოსევებს XVIII საუკუნის 50-იან წლებში, მისი ცნობით, 1756 წლის 18 აგვისტოს ლეკები დირბს დაეცნენ, აქ მოკლულთა და ტყვედ წაყვანილთა რაოდენობამ 40 კაცი შეადგინა[3].

1798 წელს ლეკები ცხინვალს დაეცნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, უკუქცეულებს დირბთან იოანე გიორგის ძე დაუხვდა და დაამარცხა[4], ბრძოლაში დაიღუპა დაღესტნელების ბელადი ალი ფოლადად წოდებული.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის იოანე ბატონიშვილი თავის ცნობილ პროექტში 8 სასარდლოს წარმოგვიდგენს. აქედან ოთხი ქართლში იყო და ოთხი კახეთში.

ქართლის სადროშოებში მთავარი ფუგურა ამილახორი იყო, მას ერთ-ერთ სარდლად უნდა ხლებოდა აბაშიძე - ,,სააბაშოთი და საქეფინისხეოთი, სურამით და მის გარშემო ადგილებით - ვიდრე დირბამდინ".[5]

თითოეულ სასარდლო სოფელს საკუთარი ბაირაღი უნდა ჰქონოდა, ხოლო წვრილი სოფლები ორი-სამი ერთად უნდა შეერთებულიყვნენ ერთი დროშის ქვეშ, ამასთანავე დროშები სხვადასხვა ფერის უნდა ყოფილიყო, ერთმანეთისგან გასარჩევად, რაც საომარ წყობას გააადვილებდა.

საქართველოში ლეკიანობის პრობლემა აისახა იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781) მოგზაურობაზეც. იგი მონაწილეობდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციაში და წილად ხვდა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო. გიულდენშტედტი 1771 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა და აქ იმყოფებოდა 1772 წლის ოქტომბრამდე. თავისი მოგზაურობის დასასრულს 1771 წლის 11 სექტემბერს მივიდა ერეკლე მეფის სამფლობელოში, სურამის ციხეში, საიდანაც სოლომონ მეფემ დაცვის სახით 300 იმერელი გამოაყოლა, რადგან, როგორც თავად გიულდენშტედტი წერს, უნდა გაევლო ძალზე სახიფათო გზა, სადაც მუდამ ჩასაფრებულნი არიან ლეკები. სურამიდან დირბის გავლით იგი ცხინვალში მივიდა, იქიდან კი მდ. ქსანზე მდებარე ლარგვისის მონასტერში[6]. მისივე აღწერილობის მიხედვით, გიულდენშტედტს სოფელი დირბი 13 სექტემბერს უნდა გაევლო.

მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა რუსული ჯარის შენახვაც. 1797 წლის 4 იანვარს მეფე ერეკლე ნინია ფავლენიშვილს სწერდა: ,,ქ. ჩვენი ბრძანება არის ფავლენიშვილო ნინიავ: მერმე შენ უნდა გაუძღვე ცხენიანსა და ქვეითს რუსის ჯარს და ამ სიით ეს ჯარები ასე უნდა დააყენო: თივასა და ბზეს თეთრით იყიდიან, სურსათი თავიანთი ექნებათ, შეშა და სანათი სახლის პატრონისა უნდა იყოს და სხვა რაც ხორაგი მოუნდეს ისიც თავისი ფასით მიჰყიდონო". ამ საბუთის მიხედვით, სოფელ დირბს უნდა შეენახა 30 რუსი ჯარისკაცი.[7]

---

[1] პაპუნა ორბელიანი - ,,ამბავნი ქართლისანი". გვ. 213.

[2] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 406.

[3] სოსო ალიმბარაშვილი, ,,ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში", გვ. 189.

[4] თეიმურაზ ბაგრატიონი, ,,ახალი ისტორია", 1983, გვ. 66.

[5] სოსო ალიმბარაშვილი, ,,აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს-ის II ნახევარში. 2008, გვ. 138.

[6] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II ტ., 1962, გვ. 155.

[7] სოსო ალიმბარაშვილი, ,,აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს-ის II ნახევარში", გვ. 124.

XIX საუკუნიდან წყაროებში დირბი ინტენსიურად აღარ იხსენიება.

1902 წლის 6 აგვისტოს და 1903 წლის გაზაფხულზე დირბში მოხდა აგრარული ხასიათის რევოლუციური გამოსვლები[1]. მემამულეებმა გლეხებს მოსთხოვეს, მოუსავლიანობის გამო ღალა ფულით გადაეხადათ, ამან კი გლეხების უკმაყოფილება გამოიწვია. მდგომარეობა გაამწვავა გზის დაკეტვამ და საძოვრების სახნავად გამოყენებამ. გლეხები თავს დაესხნენ მონასტერს, იერიში მიიტანეს კანცელარიაზე და გამოიხსნეს იქ დაკავებული თანასოფლელები. სოფელში შეიარაღებული რაზმის თანხლებით ჩავიდა მაზრის უფროსი და დააპატიმრეს 17 გლეხი.

დირბი მდიდარია მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ძეგლებითაც. აქ რამდენიმე ეკლესიაა: ღვთისმშობლის ეკლესია, წმ. თევდორეს, ზედა ჯვრის, წმ. გიორგის და ყველაწმინდის.[2]

ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, ადგილ სერებში და თარიღდება X საუკუნით. ღვთისმშობლის ეკლესია თავდაპირველად მცირე ზომის დაბრაზული ნაგებობა იყო, ამჟამად სამნავიანი ბაზილიკაა, ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით, გადაკეთების დროს გამოყენებულია აგური. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთის მინაშენიდანაა. ეკლესიის კედლები შელესილი და მთლიანად მოხატული ყოფილა. საკურთხეველში შემორჩენილია ფეოდალური ხანის მოხატულობა - მოციქულთა ზიარება, ადგილის სიმცირის გამო მოციქულები მუხლს ზევით არიან გამოსახულნი, რის გამოც კომპოზიცია სიმჭიდროვის და დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შემორჩენილია გამოსახულება - ეკლესიის მამანი გრაგნილებით ხელში და სხვა. საკურთხევლის სამრეკლოს ზედა არე ჩუქურთმებითაა მორთული. საკურთხევლის ერთ პატარა ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა ქართულ-ბერძნული წარწერა: ,,ჩყიე (1815 წ.) იერუსალიმის არქიმანდრიტი ბენედიქტი”[3]. სამხრეთ მინაშენის აღმოსავლეთის კედელზე ჩატანებული აქვს მოჩუქურთმებული სომხური ჯვარი ე.წ. ხაჩკარი, XV საუკუნის II ნახევრის სომხური წარწერით.

ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის წინ არის აგურის და რიყის ქვით ნაშენი ორსართულიანი სამრეკლო. პირველი სართულის დასავლეთ ფასადის კუთხეში ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. მეორე სართული ღია ფანჩატურს წარმოადგენს.

კომპლექსს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რომელიც აღდგენილია, გალავნის შიგნით მოთავსებულია დედათა მონასტერი.

წმ. თევდორეს დარბაზული ეკლესია დგას სოფლის ცენტრში, აშენებულია XIX ს-ის II ნახევარში. ნაგებია აგურით და ბაზალტის ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში სამ-სამი სარკმელია. დღეის მდგომარეობით იგი არ ფუნქციონირებს.

ყველაწმინდის დარბაზული ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო აღმოსავლეთით. ნაშენია რიყის ქვითა და აგურით XIX საუკუნის ბოლოს. კუთხეები ამოყვანილია შირიმისა და ბაზალტის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. ეს ეკლესია სომხურია.

წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით და რიყის ქვით. შესასვლელი დასავლეთიდა და სამრეთიდანაა.

წმ. გიორგის ზედა ჯვრის ეკლესიაც დარბაზულია. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის, სასაფლაოზე. ნაგებია პირგათლილი მოზრდილი ლოდებით, შესასვლელი სამხრეთიდანაა. აქ იყო განვითარებული ფეოდალური ხანიდან შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები[4], ახლა შელესილი და მოხატულია. ეკლესია თარიღდება X საუკუნით. საკურთხევლის ცაზე გამოსახული იყო ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, რომელსაც ხელში უჭირავს სახარება, გარშემო ლამაზი ასომთავრული წარწერით.[5]

დირბში ამჟამად სამი მოქმედი ეკლესიაა.

მნიშვნელოვანი ობიექტი იყო **დირბის ციხე,** რომელსაც მტრის შემოსევისას მოსახლეობა აფარებდა თავს. ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთაზე. თარიღდება XVIII ს-ით. აგებულია რიყის ქვით კირდუღაბზე. მის ვიწრო ბოლოებში თითო კოშკი დგას, შუა ნაწილი სამსართულიანია, ამ ნაგებობის ბანი ეზოდ იყო გამოყენებული, რომელსაც ჰქონდა ერთადერთი შესასვლელი აღმოსავლეთიდან. პირველ სართულზე მხოლოდ სარკმლებია, ზედა ორ სართულში კი სათოფურები და ბუხრებიც. შენობა ერთდროულად საცხოვრებელიც ყოფილა და თავდასაცავიც. კედლის სისქე 1 მეტრია.

---

[1] საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, 1990, გვ. 367.

[2] სერგი მაკალათია, ,,ფრონეს ხეობა”, გვ. 27; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გვ. 184; საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 368.

[3] სერგი მკალათია, ,,ფრონეს ხეობა”, გვ. 28.

[4] საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 369.

[5] სერგი მაკალათია, ,,ფრონეს ხეობა”, გვ. 27.

ციხეს ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, რომელიც მდ. ფრონეს სანაპიროზე გადიოდა. დირბის ციხესიმაგრემ იხსნა მოსახლეობა ტყვეობის და გაძარცვისგან 1745 და 1753 წელს ლეკებთან ბრძოლისას.

დირბში დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925 წწ.), რომელმაც არაერთი მოთხრობა და სიუჟეტი მიუძღვნა მშობლიურ სოფელს.

ათონის სამონასტრო ცხოვრება და ქართველები

ეთერ პავლიაშვილი, ნანა კასრაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ათონის სამონასტრო ცხოვრების ისტორია ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებიდან იღებს სათავეს. მის შესახებ ცნობები გვხვდება მითოლოგიაშიც, საიდანაც ვიგებთ, რომ ათონი ბერძნული სახელია გიგანტი კაცისა, რომელიც გადმოცემით ღმერთს ებრძოდა. ამ ბრძოლის დროს მას თესალიიდან მთა მოუწყვეტია და გადმოუსროლია ეგეოსის ზღვაში. ამ მთისათვის ათონის მთა უწოდებიათ.

ათონს ბერების რესპუბლიკას ეძახიან. მთაზე 21 დიდი მონასტერია, 11 სავანე, 250 სენაკი და 150 დიდი დასახლება. აქ მონასტრები ჰქონდათ: ქართველებს, რუსებს, სერბებს, ბულგარელებს, ბერძნებს, მცირე აზიის ხალხებს. ამ „ბერთა რესპუბლიკაში“ 8000-მდე ბერი მოღვაწეობდა. მის ბიბლიოთეკებში კი 13000-ზე მეტი საინტერესო ხელნაწერი იყო დაცული. მე-18 საუკუნეში ე. ბარსკიმ ორჯერ იმოგზაურა ათონზე და დაწვრილებით გაეცნო ივერთა მონასტრის წერილობით ძეგლებს, იგი აღნიშნავდა, რომ ივირონის ბიბლიოთეკა აღემატებოდა სხვა მონასტრების ბიბლიოთეკებს, როგორც წიგნთა რაოდენობით, ასევე მრავალფეროვნებით. იმავეს მეტყველებს შემდეგი ფაქტი: 1880 წელს ათონის მთაზე პროფესორ სპირიდონ ლამბროსის ხელმძღვანელობით გაგზავნილი იყო დელეგაცია, ათონის მონასტერთა ბერძნული კატალოგის შესაქმნელად, ათონის 20 მონასტრიდან ყველაზე მდიდარი ბერძნული ხელნაწერებით აღმოჩნდა ივერთა მონასტერი.[1]

პირველი დიდი მონასტერი ათონზე ათანასემ დააარსა 963 წ. სტუდიელთა სავანის მიბაძვით, სახელი ამ სავანემ მალე გაითქვა და სხვებს გადააჭარბა სიდიდითაც და გავლენითაც. წმ. ათანასეს დედა ქართველი ყოფილა, ლაზი. ამიტომაც ათანასეს ქართველები გამორჩეულად ჰყვარებია. წმ. ათანასემ მისცა იოანე მთაწმინდელს მონასტრის აშენების ნებართვა, რომელიც ამჟამადაც შენახულია. ათანასეს ლავრა განთქმულია თავისი ბიბლიოთეკითა და მუზეუმით.

X-XI საუკუნეებში ათონი უკვე კარგად იყო ორგანიზებული. აქ იყო: სხვადასხვა ტიპის მონასტრები, ცენტრალური ადმინისტრაცია, განსხვავებული ეროვნების ბერები, რომელთაგან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ბერძნები, შემდეგ – ქართველები, ბულგარელები, რუსები და სერბები. ლათინებსაც კი ჰქონდათ წმ. მარიამ ამალთიელის სახელობის მონასტერი, რომელიც, მართალია, ლათინური ტიპიკონისა იყო, მაგრამ კონსტანტინეპოლელი პატრიარქის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა მას შემდეგაც, რაც დასავლეთი აღმოსავლეთის ეკლესიას გამოეყო.

ეს პერიოდი მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე, ანუ, ლათინთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამდე (1204 წ.) და თესალონიკში ლათინური სამეფოს დაარსებამდე გრძელდებოდა. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ხანა ათონის მონაზვნობის ისტორიაში. წმიდა მთის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი მონასტერი იყო მიმოფანტული.[2]

ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი და ორგანიზატორი იყო ტაო-კლარჯეთის მკვიდრი, დიდი ოჯახის შვილი იოანე (ერისკაცობაში ვარაზ ვაჩე) ჩორჩანელი - ხურსიძე, რომელსაც ეხმარებოდნენ მისი შვილი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელი. იოანეს მიუტოვებია სახლი, დიდება, სიმდიდრე,

[1] გეორგიკა, ტ.VIII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, ათონის ივერთა მონასტრის აქტები, გვ. 124.
[2] მღვდელმონაზონი ბასილი, ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტერი, თარგმნა თამარ შენგელიამ, 1952.

ნათესავები და ჩუმად აღკვეცილა ბერად, შემდეგ მცირე აზიაში ულუმბოს მთაზე გადასახლებულა, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ. იქიდან კი ათონის მთაზე დამკვიდრებულა ათანასე დიდის ლავრაში. ცოტა ხნის შემდეგ მასთან მივიდა ცნობილი თორნიკე (ერისთავი), მას მიჰყვნენ სხვებიც. ათანასეს ლავრამ ვერ დაიტია მრავალრიცხოვანი ქართველი ბერები და ქართველ ძმათათვის ლავრის მახლობლად იოანე მახარობლის ეკლესია და სენაკები ააშენეს. ათონის ივერთა მონასტერი აშენებულია 980-983 წწ. მონასტრის მთავარი შენობის აშენებასა და კეთილმოწყობას ხელი შეუწყო ცნობილმა ფაქტმა: საბერძნეთის ახალგაზრდა იმპერატორებმა ბასილმა და კონსტანტინემ დავით კურაპალატს დახმარება სთხოვეს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. დავით კურაპალატმა 12.000 ქართველთა ჯარი გაუგზავნა დასახმარებლად, რომელსაც ყოფილი მთავარსარდალი და იმჟამად ბერი თორნიკე სარდლობდა. გამარჯვებულმა ქართველებმა დამარცხებული ქვეყნიდან წამოღებული დიდძალი ქონება ნადავლის სახით თორნიკეს მიაკუთვნეს. თორნიკემ მთელი ქონება ათონზე წაიღო და ქართველებისათვის საგანგებო მონასტერი ააშენეს. ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთს არ ემორჩილებოდა. იგი ქართველი მეფეებისა იყო და მათი შეწირულებით არსებობდა. 1874 წლის 28/ IX №2697 საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყისის მიხედვით, მას 200-ზე მეტი კომლი გლეხი ჰყავდა შეწირული თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით, ქუთაისიდან, ასკანიდან, გორიდან, ცხინვალიდან, დიდ და პატარა საქობოდან, ნუკრიანიდან და სხვ. თავიანთი სახნავ-სათესი მიწებით, ვენახებით, ხილის ბაღებით, წისქვილებით. მონასტერს მარტო სიღნაღში 246 ნაკვეთი ბაღი ჰქონდა[1]. შემოსავალი განსაზღვრული იყო, როგორც ფულადი რაოდენობით, ისე ნატურით: ღვინო, პური, სიმინდი, ლობიო; თაფლი და სხვ. გარდა ამისა, ათონის მახლობლად ქართველებმა შეიძინეს ადგილები 42 კომლი ქართველისათვის, რომელიც ივერიის მონასტერს და ღვთისმეტყველ სკოლას უნდა მომსახურებოდა. ათონის მონასტერი მალევე იქცა სამწერლობო - სამეცნიერო დაწესებულებებად. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხდებოდა წიგნის თარგმნა, რომელსაც სამასი ბერი ემსახურებოდა. მთარგმნელთა შორის იყვნენ გამოჩენილი მოღვაწეები; იოანე გრძელიძე, იოანე - მამა წმ. ექვთიმესი, წმ. არსენი - ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, ღირსი იოანე ხახულელი - ქართველ ოქროპირად წოდებული, ზაქარია მირდატის ძე, არსენი, გიორგი მესვეტე - გიორგი მთაწმინდლის მოძღვარი, ილარიონ დიდი თულალელი - მასწავლებელი და მოძღვარი წმ. ექვთიმესი, წმ. გიორგი მთაწმინდელი, იოანე - ყოფილი პატრიკი, სტეფანე გიორგი ოლთისარი, ბაგრატ მეფის შვილი - ვასილი, იოანე ფილოსოფოსი - ცნობილი პეტრიწონელი, ნეტარი ეფრემ მცირე, ღირსი თეოფილე, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭის ძე და სხვები.[2]

ივერონის მონასტერს, ქართველი მესვეურების გარდა, ბიზანტიაც დიდ ანგარიშს უწევდა, ბიზანტიის კეისრები ივერიის მონასტრებს მამულებს ჩუქნიდნენ, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობს: მაგ. 980 წლის ხრისობულით ბასილი მეორემ ივერთა მონასტერს აჩუქა: ლეონტიას მონასტერი თესალონიკში, წმ. იოანეს სახელობის მონასტერი კოლოვუში იერისოს მახლობლად, წმ. კლიმენტის სახელობისას მთაწმინდაზე[3].

„ნეტარხსენებული მეფის ბასილი პორფიროგენეტის“ მიერ 980 წელს იოანე ბერისა და თორნიკე სინგელოზისადმი გაცემული ოქრობეჭედით (ხრისობულით) მეფე აღუთქვამდა, რომ უბოძებდა ლეონტიას მონასტერს თესალონიკში, კოლოვუს მონასტერს იერისოში და კლემენტის მონასტერს, რომელიც დაარსებულია პატიოსანი წინამორბედის და ნათლისმცემლის იონეს სახელობაზე, მათ სანაცვლოდ კეისარი ითხოვდა ორი მონასტერს: ერთი - იბერისისა და მეორე წმინდა ფოკას მონასტერს, რომელიც მდებარეობდა ტრაპეზუნტში.[4]

984 წლის ათანასი ლავრელის იოანე იბერისადმი გაცემული სიგელით ვიგებთ, რომ ბასილი II უფლებას ანიჭებს იოანე იბერს ჰქონდეს ხომალდი, ხოლო 995 წლის იოანე ხალდის სიგელით იმპერატორი ექვთიმეს, იოანე იბერის შვილს, კოლოვუს მონასტრს, მისი საბეგრო გლეხების გადასახადებისგან ათავისუფლებს.“ ეს გლეხები რაოდენობით 40 არიან, ზოგნი ქალაქ იერისოს საბეგრო უბანს ეკუთვნიან, სხვებს მონასტრის მამულები უჭირავთ იერისოს მხარეში. ისინი განკუთვნილი უნდა ყოფილიყვნენ მონაზონთა სამსახურში, რათა შეძლონ კეისრისთვის და სახელმწიფოსთვის ლოცვა[5].“

მიწების ჩუქება ხდებოდა ბერებს შორისაც, მაგ. 1000 წლის (ანუ 1012) ჩუქების აქტით, ექვთიმე ბერი თავის შვილობილს იოანე ბერს მიწებს აძლევს, იმ პირობით, რომ იოანემ აქ რამდენიმე მონაზონი

[1] ბორის კანდელაკი - ათონის ივერთა მონასტერი, ,,ძეგლის მეგობარი“, 1970, კრ. 22, გვ. 56.
[2] ბორის კანდელაკი, ათონის ივერთა მონასტერი, ძეგლის მეგობარი, 1970, კრ. 22, გვ, 53 -60.
[3] გეორგიკა, ტ. VIII, 980 წ. ხრისობული გვ. 168.
[4] გეორგიკა, ტ. VIII, 984 წ. ათანასე ლავრელის სიგელი იოანე ბერისადმი გვ. 171.
[5] გეორგიკა, ტ. VIII, 995 წ. იოანე ხალდის სიგელი გვ. 185.

დაასახლოს, ოღონდ, არც მათ და არც მათ მემკვიდრეებს ამ მიწების გასხვისების უფლება არ ჰქონდათ. თუ ისინი მონასტრის დაცვას არ ისურვებდნენ, მიწები მონასტერს უნდა დაბრუნებოდა[1].

იყო შემთხვევები, როცა მიწების განაწილება და საზღვრები დავის საგანიც ხდებოდა, მაგ: 1017 წლის ნიკიფორე პროტოსის და რამდენიმე წინამძღვრის დადგენილების მიხედვით, სამიჯნო დავა ატყდა მონაზონ ევსტათი მაგულელისა და გაბრიელ პტერელის მამულებისა. ნიკიფორე პროტოსუ სხვადასხვა მონასტრების წინამძღვართა მონაწილეობით, ადგენს მიწის საზღვრებს და აღიარებს ჭირნახულის უფლებას ლავრის და უფალ გაბრიელის მამულებზე კოზმა ტორნარის სასარგებლოდ. ნიკიფორეს მიერ მოწვეულ პირებს შორის არიან ექვთიმე მთაწმინდელი და გიორგი მონაზონი ქართველი[2].

1073-1083 წლებში ნიკიფორე მესამე ბოტანიატეს და ალექსი პირველი კომნენოსის მიერ რამდენიმე ხრისობული ყოფილა გაცემული გრიგოლ ბაკურიანისძისადმი, ამ ხრისობულებით გრიგოლის მამულები თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადების ერთი ნაწილისგან. ამის შესახებ თვითონ გრიგოლი ლაპარაკობს „პეტრიწონის წესდების“ სხვადასხვა ადგილას, თვით სიგელები ჩვენამდე მოღწეული არაა.[3]

საკმარისად გვაქვს ქართული მასალები ივერთა მონასტრის მამულების შესახებ. მონასტრის აღაპებში მოიპოვება ცნობები, რომლებიც ზედმიწევნით ადასტურებენ ბერძნულ საბუთებში ხრისობულებში, პრაქტიკონებში მოყვანილ ცნობებს ივერთა მონასტრის კუთვნილი მამულების შესახებ. მაგ., 1104 წლით დათარიღებულ პრაქტიკონში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 1102 წელს დავა ატყდა ივერთა მონასტრის ბერებსა და კონსტანტინე ვურცას შორის მამულის გამო. საკითხი კეისრის კარზეც იქნა მიტანილი და დავა იმით გადაწყდა, რომ მოდავეებმა მამულები გაცვალეს. ამ აღაპებში მოხსენიებული ივერთა მონასტრის მამულები და ადგილები (როდოლივი, კარია ბოლბოლი, კალამ კოპი, მელინმა, დობროიკი) იხსენიება არა მარტო ზემოთ მოყვანილ პრაქტიკონში, არამედ მრავალ სხვა აქტშიც. ამ მამულებიდან საგანგებო ადგილი უჭირავს როდოლივს.

როდოლივი ათონის მონასტრისათვის შეუწირავს მარიამ ბასილაკის ასულს, სუმბატ კურაპალატის მეუღლეს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „და კუალად კურთხეულმან ამანვე დედაკაცმან ჟამსა მიცვალებისა თვისისა ანდერძი ქმნა და შემოსწირა წმიდასა ამას ეკლესიასა სოფელი როდოლოვი სახსენებლად და სალოცველად სულისა თვისისა“. მე-14 საუკუნის დასაწყისში ეს სოფელი წარმოადგენდა ივერთა მონასტრის ყველაზე მნიშვნელოვან სამფლობელოს, ჰყავდა 230 საგლეხო კომლი და წლიურ შემოსავალს იძლეოდა 400 პერპერას[4].

მოგვიანებით, ათონის ივერთა მონასტრის ქონება და ხელნაწერები ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 1880 წელს ქართველი მოგზაური ბარკალაია შესწრებია ფაქტს, როდესაც ქართულ ხელნაწერთა ფურცლებს ბერძენი ბერები ბოთლების დასაცობად ხმარობდნენ. მასვე უნახავს კონსტანტინოპოლში ბაზარზე ათონის მთიდან გამოტანილი ქართული ხელნაწერები. ლ. მენაბდის ცნობით, 1849 წ. პლატონ იოსელიანს ათონიდან თბილისში ჩამოუტანია 987 წლის ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი და ორ ცალად გადაუწერია; ერთი - სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისთვის უბოძებია, მეორე - თბილისის სიონის ტაძრისთვის. შემდეგ ეს ბიბლია ისევ ათონზე დაუბრუნებიათ. ათონზეა 913 წ. ოპიზის სახარება. აქვეა ტაო -კლარჯეთის ქართულ მონასტრებიდან წაღებული ქართული ხელნაწერები და სხვ.

1927 წ. ბერძნული კონსტიტუციის მიხედვით, ათონის ნახევარკუნძულზე საბერძნეთის უზენაესობაა გამოცხადებული, მაგრამ ათონის შინაგან მმართველობაში საბერძნეთი ვერ ერევა, ასე რომ ათონი არსებითად თეოკრატულ რესპუბლიკას წარმოადგენს, მას ოთხი ბერი განაგებს. ისინი ყოველწლიურად იცვლებიან. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტზე ოთხი მონასტრის ბეჭედი უნდა იყოს დასმული. ბერად რომ შედგეს, ახალგაზრდამ აქ სამი წელიწადი მიწაზე უნდა იმუშაოს მუშად, ზეთისხილის ბაღებში, შემდეგ სამი წელი სკოლაში ისწავლოს და მხოლოდ 6 წლის შემდეგ, (თუ დაიმსახურებს) შეიძლება მიღებულ იქნას ბერად. ათონის მთაზე არა თუ ქალებს, მდედრობითი სქესის ცხოველსაც კი არ უშვებენ. სამუშაოდ იყენებენ ჯორებს. ცნობილია ასეთი ფაქტი: იმპერატორ იუსტინიანეს მეუღლე თეოდორა, ძვირფასი ძღვნით დატვირთული ესტუმრა ათონის მთას, მაგრამ ბერებმა არ შეუშვეს და გაწბილებული დედოფალი უკანვე გამოაბრუნეს, იმ ადგილზე კი, სადაც მან ფეხი დაადგა, ბერებს კირი მოუსხამთ და ჯვარი აღუმართავთ. ათონზე ცივილიზაციის მიღწევები არ იგრძნობა და ცხოვრება შუა საუკუნეების დონეზეა გაყინული. ბერებმა ამერიკელების მიერ შეწირულ საბარგო ავტომანქანებზეც კი უარი თქვეს. ერთადერთი პროგრესი აქ ტელეფონია. მხოლოდ გუბერნატორს

[1] გეორგიკა, ტ. VIII, 100 (ანუ 1112) წელი ჩუქების აქტი გვ. 197.
[2] გეორგიკა, ტ. VIII, 1117 წ. ნიკიფორე პროტოსის და რამდენიმე წინამძღვრის დადგენილება გვ. 205.
[3] გეორგიკა,ტ.VIII, 1078-1083 წ. გრიგოლ ბაკურიანისძისადმი ბოძებული სიგელები, გვ. 233.
[4] გეორგიკა, ტ.VIII, ქართული მასალები ივერთა მონასტრის შესახებ, გვ. 251-255.

შეუძლია მათთან უშუალოდ დაკავშირება. არ იყენებენ ელექტროენერგიას და სანთლებსა და ნავთის სანათურებს ხმარობენ.[1]

1903 წელს გამოცემული გერასიმე სმირნაკის წიგნის მიხედვით, სადაც იმ დროისათვის ბერების ზუსტი რაოდენობა იყო აღწერილი, ქართველები მხოლოდ ივერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ და მათი რაოდენობა მხოლოდ 48 იყო, მონასტერში ამ დროისათვის აღრიცხულია 948 ბერძენი, 3243 რუსი, 279 ბულგარელი, 10 რუმინელი[2] .

1981 წელს ათონზე იმოგზაურა მანგლელმა მიტროპოლიტმა ანანიამ. იგი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი ათონის შესახებ „ათონზე ერთი მონასტრის მოლოცვისას გზაზე შემოგვხვდა ბერი, რომელმაც არ იცოდა ჩვენი ვინაობა. ავუხსენით, მაგრამ ვერ გაიგო. შემდეგ ვუთხარით, რომ იმ ქვეყნიდან ვართ, საიდანაც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მაშინვე მიხვდა, რომელ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი და ჩვენს მიმართ აშკარა მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა."

ივერონის მონასტრის ათასი წლის აღსანიშნავად მოიჭრა სამახსოვრო მედალი, რომელზეც გამოხატულნი არიან ქართველი წმიდა მამები: – იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მთავარი ადგილი ათონზე ივერონის მონასტერს უკავია. იგი ქართული კულტურის ცენტრია უამრავი ქართული ეროვნული, ისტორიული, საეკლესიო ნივთით, შენობით, წიგნებით. საგულისხმოა ქართული დრო, რომელსაც ივერონი იყენებს. ესაა დროის სადღეღამისო აღრიცხვის სისტემა, რომელსაც ქართულ დროს ეძახიან. ეს მოდის ძველთაგანვე. საერთოდ, ათონის მონასტრებში დროის აღრიცხვა განსხვავებულია საბერძნეთისა და მთელი ევროპის დროისაგან. ათონის მონასტრები მუშაობენ ბიზანტიური დროით. მათგან განსხვავებით მხოლოდ ივერონი მუშაობს, როგორც აღვნიშნეთ, დროის საკუთარი აღრიცხვით – ქართული დროით. ეს დრო, როგორც გვითხრეს, მიღებული ყოფილა ძველ საქართველოში.

ივერონის შორის გამორჩეულია მისი სამი სიამაყე – ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი – „პორტაიტისა", ბიბლიოთეკა – ქართული ხელნაწერი წიგნებით და მუზეუმი – ქართული ნივთებით.

მონასტრის მუზეუმში დაცულია სიგელები ქართული მინაწერებით. მათი უმრავლესობა ისეა გამქრალი, რომ მათი ფოტო, ან კინოფიქსაცია თითქმის შეუძლებელია.[3]

ქართველებს ივერონის მონასტერი მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგამდე ეკუთვნოდათ. იგი ნელ-ნელა გადავიდა ბერძნების ხელში. 1919 წლის 9 მარტს, ათონის მთის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის 18 ქართველი ბერი და რამდენიმე მორჩილი ბერძენ ბერებთან უთანხმოების გამო ძალადობით გამოიდევნენ მონასტრიდან და სამუდამოდ აეკრძალათ იქ დაბრუნება. ქართველი ბერების მცირე ჯგუფი, რომელთა შორის იყო წმიდა იოანე აღმსარებელი (მაისურაძე), სამშობლოში დაბრუნდა. 9 ბერი პანტელეიმონ მკურნალის სახელობის რუსული მონასტრის კუთვნილ წმიდა სტეფანე პირველმოწამის სენაკში დაბინავდა. დანარჩენი მოღვაწეები კი ათონის წმიდა მთის სხვადასხვა მონასტრებს შეეკედლნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ გაწყდა ყოველგვარი კავშირი საზღვარგარეთ მყოფ ქართველებთან. ათონზე დარჩენილი ბერების ნათესავებს ამ დროიდან აღარ მოეწოდებოდათ ცნობები საბერძნეთიდან.

1935 წელს ათონი მოილოცა წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძემ. იგი შეხვდა ათონელ ქართველებს და აღწერა იქ დაცული უნიკალური ბიბლიოთეკა: ბიბლიური ტექსტები, აპოკრიფული და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, ლიტურგიკული და სიმბოლური ტექსტები, საეკლესიო კანონები, მათ შორის, ისეთი მნიშვნელობის, როგორებიცაა: „წმ. ანდრია მოციქულის მიმოსვლათათჳს და ქადაგებათა", „თარგმანებაÎ მათეს სახარებისაÎ", ,,მაქსიმე აღმსარებლის სწავლანი", „წმ. ათანასე დიდის ცხოვრება", „ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა", „თარგმანი იოანე ოქროპირისაÎ", „წამებაÎ წმინდისა და დიდისა მოწამისა გიორგისი", „წმ. იოანესა და წმ. ექვთიმეს ცხოვრება" და სხვ."[4]

ათონის ივერიის მონასტერს გამორჩეული ადგილი ეკავა საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს შორის. ქართველი მეფეები თუ ფეოდალები მას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რის გამოც ეს მონასტერი უმდიდრესი იყო ათონის მთაზე და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა მონასტერი დაკარგეს, ინტერესი მის მიმართ დღესაც დიდია.

ლიტერატურა:

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. VIII, თბ., 1970.

[1] ბორის კანდელაკი - ათონის ივერთა მონასტერი, ძეგლის მეგობარი, 1970, კრ. 22, გვ. 59

[2] გეორგიკა, ტ. VIII, ივერთა მონასტრის აქტების შესწავლის ისტორიიდან, გვ.126

[3] ჯვარი ვაზისა # 2, 1981 წ. მეუფე ანანია, მოგზაურობა ათონზე, 1981.

[4] წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული (წიგნი პირველი), გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2012, გვ. 133-145.

2. მღვდელმონაზონი ბასილი, ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტერი, თარგმნა თამარ შენგელიამ, 1952.
3. ბორის კანდელაკი, ათონის ივერთა მონასტერი, ძეგლის მეგობარი, 1970.
4. ჯვარი ვაზისა №N2, 1981. მეუფე ანანია, მოგზაურობა ათონზე, 1981.
5. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული (წიგნი პირველი), გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა, 2012.

იოსებ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა

თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** პროფესორი

XVIII საუკუნის ცნობილი დიპლომატი იოსებ ქართველი (აბესალამიან-აბესალამაშვილები) დაიბადა 1687 წელს თბილისში. მისი მშობლები ანა და გასპარ, თბილისელი კათოლიკეები იყვნენ. იოსების მამას ქალაქის ნაცვლის თანამდებობა ეკავა. ამდენად, მათი ოჯახი მოქალაქეთა დაწინაურებულ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, თუმცა 1697-1698 წლებში თბილისში კათოლიკე პატრების წინააღმდეგ გამოსვლისას ქალაქის ნაცვალის გაკათოლიკებით უკმაყოფილო მოქალაქეებმა იგი ოჯახითურთ თბილისიდან გააძევეს. 10-11 წლის იოსები მამასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა. ის იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოდან შორს მოუხდათ.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იოსების ეროვნების შესახებ. ინგლისელი ისტორიკოსი ლოკჰარტი მას სომხური წარმომავლობის პირად მიიჩნევდა. იგი ეყრდნობოდა სომეხი მემატიანის სარგის გილანეცის დღიურის 1723 წლის 28 ივლისით დათარიღებულ ცნობას, რომლის მიხედვითაც იოსებ აბესალაამანი კათოლიკობაზე მოქცეული სომეხი იყო, თუმცა ამ ცნობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს XVII-XVIII საუკუნეების მრავალი თბილისური დოკუმენტი, რომლებშიც დამოწმებულია ამ გვარის არა ერთი წარმომადგენელი. გარდა ამისა, იოსები ქართველად მოიხსენიება მის თანამედროვე ავტორთა თხზულებებშიც. (1, 112)

იოსებს დაწყებითი განათლება მიუღია თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში, სადაც მას შეუსწავლია იტალიური და ლათინური ენები და საქრისტიანო (კათოლიკური) მოძღვრება (მ. თამარაშვილი). მამასთან ერთად ევროპაში ჩასულ იოსებს სწავლის გაგრძელება რომში ურბანოს კოლეჯში მოუწადინებია, მაგრამ ურბანოს კოლეგიაში ადგილის არქონის გამო იგი არ მიუღიათ, სამაგიეროდ გაუგზავნიათ მონტეფიასკონის სემინარიაში, თუმცა 1703 წლის 11 ოქტომბერს კი ის მაინც ჩარიცხულა ურბანოს კოლეჯში. აქ მას შეუსწავლია ფილოსოფია და საღვთისმეტყველო დარგები.

იოსებ ქართველს ურბანოს კოლეჯში 1703 წლიდან 1709 წლამდე უსწავლია, მაგრამ კოლეჯი ვეღარ დაუმთავრებია და ოჯახური პირობების გამო რომიდან საქართველოში დაბრუნებულა. ევროპაში სწავლას იოსებ ქართველისათვის უქმად არ ჩაუვლია. მას მრავალმხრივი განათლება მიუღია და ფართო ერუდიციის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბებულა. იოსების თანამედროვე და მასთან დაახლოებული ფრანგი ისტორიკოსი ლუი ანდრე ლა მამიე-კლერაკი იოსებს ახასიათებს, როგორც მდიდარი მეხსიერების, ცოცხალ, საღი გონების, ფართო ერუდიციის პატრონს. რამდენადმე განსხვავებულია იოსებ ქართველის ურბანოს კოლეჯის დავთარში შეტანილი დახასიათება: „ჭეშმარიტად მშფოთვარე და დაუმორჩილებელი სულისა, ღმერთმა უწყის რა დაემართება მას“ (მ. თამარაშვილი) ასეთი შეფასება, როგორც ჩანს, გამოიწვია იოსებ ქართველის დაუინტერესებლობამ კათოლიკე მისიონერის კარიერით, რისთვისაც ურბანოს კოლეჯი ამზადებდა თავის მსმენელებს.

1716-1717 წლიდან იწყება იოსებ ქართველის დიპლომატიური სამსახური. ამ წელს იგი კონსტანტინოპოლში ხვდება საფრანგეთის ელჩს, გარდანს და მის საელჩოსთან ერთად გაემგზავრა ისფაჰანს.

გარდანი ორჯერ მიიღო ირანის შახმა, სადაც თარჯიმნობდა იოსებ ქართველი. მან ზედმიწევნით იცოდა თურქული და სპარსული ენები. იმ დროის სეფიანთა სამეფო კარზე თურქული იყო სალაპარაკო ენა, სახელმწიფო დოკუმენტები კი იწერებოდა სპარსულად. ასე რომ თარჯიმნისათვის ორივე ენის ცოდნა იყო აუცილებელი.

ძნელი სათქმელია, რომელი ენები უფრო კარგად იცოდა იოსებმა: ევროპული თუ აღმოსავლური. გარდანთან ფრანგულად საუბრობდა, იტალიელ მისიონერებთან იტალიურად. კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა ლოცვას ისმენდა ლათინურ ენაზე. შესაძლოა არაბულიც, ბერძნულიც, სომხურიც სცოდნოდა.

უბრალო თარჯიმანი როდი იყო იოსებ ქართველი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის საბუთებში იგი კონსულ გარდანის მდივან-თარჯიმნად არის მოხსენიებული. იგი აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ირანსა და საფრანგეთს შორის. (4, 109)

გარდანის ელჩობის უმთავრეს მიზანს 1715 წელს ირანსა და საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია წარმოადგენდა. ამასთანავე საფრანგეთის ელჩს დავალებული ჰქონდა ირანში მყოფი ვახტანგ VI-ის მდგომარეობის გარკვევა და შესაძლებლობის ფარგლებში მისთვის დახმარების გაწევა. იოსებ ქართველი, ერთი მხრივ, მონაწილეობდა საფრანგეთ-ირანის მეტად მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შუამავლობით გარდანს უნდა დაემყარებინა კავშირი ირანში მყოფ ქართველებთან. გარდანისათვის ქართველებთან ურთიერთობა იმ მხრივ უნდა ყოფილიყო სასურველი, რომ მათ ირანში ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობები. იოსებ ქართველმა, როგორც ჩანს, შეძლო ისპაჰანში მყოფ ქართველებთან კავშირის დამყარება, რის შედეგადაც გარდანი საფრანგეთის უმაღლეს ხელმძღვანელობას ვახტანგ VI-ის შესახებ ცნობებს აწვდიდა.

სპარსეთში ყოფნისას იოსებ ქართველი მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის თვითმხილველი და თანამონაწილე გამხდარა.

სპარსეთში მოვლენები ასე წარიმართა 1722 წლის ოქტომბერში, როდესაც სეფიანთა სატახტო ქალაქი სულს ღაფავდა. შიმშილი დღითი დღე აცარიელებდა ალყაშემორტყმულ ისპაჰანს. სასოწარკვეთილმა შაჰ-ჰუსეინმა კაპიტულაცია გადაწყვიტა და 23 ოქტომბერს მორჩილად ეახლა ავღანთა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს,თვით შახ ჰუსეინის მიერ აგებულ უბრწყინვალეს სასახლეში.

სეფიანთა ხელმწიფემ გვირგვინი მოიხადა და ავღანთა სარდალს ამანოლს გადასცა შაჰ-ჰუსეინი იძულებული გახდა საკუთარი ხელით დაედგა საკუთარი გვირგვინი ავღანთა წინამძღოლის თავზე. საიდან ვიცით ასე ზუსტად ყოველივე ზემოთთქმული?

მირ-მაჰმუდი, რა თქმა უნდა, დღიურებს არ წერდა, ხოლო სპარსელი ისტორიკოსები, გასაგებ გარემოებათა გამო, ერთობ ძუნწად აშუქებდნენ მოცემული პერიოდის ამბებს და ალბათ უცნობი დარჩებოდა ჩვენთვის ამ საბედისწერო შეხვედრის დეტალები. მაგრამ ესოდენ იშვიათ ცერემონიალს ესწრებოდა კაცი, რომელმაც დაწვრილებითა აღწერა სეფიანთა დინასტის უკანასკნელი დღეები, ისპაჰანის ალყა და ირანის შაჰის კაპიტულაცია. (4, 224)

სეფიანთა დინასტიის დამხობის ყველაზე დეტალური და უტყუარი სურათი ისტორიას შემოუნახა ქართველმა დიპლომატმა.

ეს კაცი იყო იოსებ ქართველი. მან თავისი თხზულებანი ე.წ „სპარსეთის რევოლუციების“ შესახებ შეადგინა ქართულ, იტალიურ, ფრანგულ და თურქულ ენებზე.. იოსების სხვადასხვა მასალებით სარგებლობდნენ XVIII საუკუნის ისტორიკოსები: ფრანგი ლუი მამიკლერაკი, ინგლისელი ჯონ ჰანვეი, სომეხი სარგის გილანეცი. ხშირად იმოწმებდნენ იოსების ცნობებს მისი თანამედროვე ინგლისელი მეცნიერები ლ. ლოკარტი და დ. ლენგი. იოსებ ქართველის სახელი, ვინაობა და მოღვაწეობა პირველად გააცნო ქართველ მკითხველს მკვლევარმა ვ. გაბაშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, 1722 წ. ავღანელებმა ისპაჰანი აიღეს. გამარჯვებულ ავღანთა მეთაურმა მირ-მოჰამედმა შაჰ-ჰუსეინი ტყვედ ჩაიგდო. იოსებ ქართველი ამ ამბების უშუალო თვითმხილველი გახდა. გარდანმა ის მირ-მოჰამედთან მოციქულად გაგზავნა, რათა ახალი შაჰისაგან მფარველობა ეთხოვა. იოსებმა დაკისრებული მისია წარმატებით შეასრულა. მირ-მოჰამედმა შეიწყნარა გარდანის თხოვნა და მას მფარველობა აღუთქვა. იოსებ ქართველი კიდევ ერთი ისტორიული ფაქტის მომსწრე გამხდარა, ის შაჰის სასახლეში დასწრებია შაჰ-ჰუსეინის მიერ გამარჯვებული მირ-მოჰამედისათვის გვირგვინის საკუთარი ხელით თავზე დადგმის ცერემონიას. ფრანგი დიპლომატის მიერ იოსებ ქართველის ნიჭისა და უნარის მაღალი შეფასების მიუხედავად, ის ბოლოს უმუშევარი დარჩა. იოსები თავს ირჩენდა საფრანგეთის საელჩოსა და ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მიწოდებული ინფორმაციის საფასურით. ეს თანხა მას საარსებოდ გაჭირვებით ჰყოფნიდა. მიუხედავად ამისა, იოსები საფრანგეთის ელჩ დ. ანდრეზელს საკმაოდ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. 1725 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში დ. ანდრეზელი აღნიშნავს, რომ იოსებ ქართველმა უზრუნველყო მისი აუდიენცია ოსმალეთის დიდ-ვეზირთან. ამ დიპლომატიური შეხვედრისას მას საქართველოს პატრიარქთან დაკავშირებულ საკითხებზეც ესაუბრა. როგორც ცნობილია, 1725 წელს კონსტანტინეპოლს ჩავიდა საქართველოს

კათალიკოსი დომენტი IV, სადაც ის ფაქტიურად ოსმალთა საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა. კათალიკოსს თარჯიმნად დაუნიშნეს იოსებ ქართველი. როგორც ჩანს, ამ ორ ქართველს შორის ხშირად იმართებოდა ხანგრძლივი საუბრები საქართველოს იმჟამინდელი ყოფისა და მისი მომავლის შესახებ. იოსები აშკარად (რა თქმა უნდა დომენტი კათალიკოსთან კონფიდენციალური საუბრების დროს) გამოთქვამს ანტიოსმალურ თვალსაზრისს და უპირატესობას საფრანგეთს ანიჭებს... უნდა ვიფიქროთ, რომ იოსებ ქართველმა დომენტის შესთავაზა სამშობლოში დაბრუნება საფრანგეთის ელჩის შუამავლობით... საფრანგეთის ჩარევა კი დომენტი კათალიკოსის საქმეებში, დომენტის მდგომარეობას სულთნის კარზე კიდევ უფრო ართულებდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ვერ მალავს იესე ტლაშაძე „კათალიკოზ-ბაქარიანში“ თავის უარყოფით დამოკიდებულებას იოსებ ქართველისადმი:

„ამ ეშმაკისა გიამბობ ამისი გვარი რაც არი,
გაფრანგდა მამა ამისი იყო ქალაქის ნაცვალი,
გააგდეს მოქალაქეთა დაუნიავეს ნაცარი,
და მისი შვილი იოსება - სულ ეშმაკია, რაც არი!
ამან დაგვჩხუბა კარზედა აგვაღებინა რა გალი,
და ამან დაგვმართა, რაც რამე გადაგვხდა გადასავალი“.

როგორც ჩანს, იესე ტლაშაძე, როგორც მართლმადიდებელ მღვდელი, მტრულ განწყობას ამჟღავნებდა გაფრანგებული იოსების მიმართ. (7)

იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ყველაზე უხვი ცნობები დაგვიტოვა ფრანგმა ისტორიკოსმა მამი-კლერაკმა.

მამი-კლერაკი მოგვითხრობს, რომ ირანში მომხდარმა სენსაციურმა ამბებმა ისეთი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია კონსტანტინეპოლში, სხვა არაფერზე აღარ ლაპარაკობდნენო, თუმცა ისიც კი არ იცოდნენ წესიერად აიღეს თუ არა ავღანელებმა სეფიანთა სატახტო ქალაქი.

მამი-კლერაკს უკვე ხელთ ჰქონდა ზოგიერთი მასალა ისპაჰანის ალყაზე მაგრამ განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი იოსების თხზულების წაკითხვამ და მერე თვით ავტორის გაცნობამ. მამი-კლერაკი პროფესიით სამხედრო ინჟინერი იყო და გადაწყვიტა ისტორიული ნაშრომის დაწერა.“ ამის შესახებ ვესაუბრე ბატონ იოსებს, - გვიამბობს იგი, - რომელმაც მომიწონა ეს აზრი.“

ნახევარი წლის განმავლობაში იოსებ ქართველი თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მამი-კლერაკს და აძლევდა ვრცელ შენიშვნებსა და ახსნა განმარტებებს. ამიტომაც უწოდებს მას ფრანგი ისტორიკოსი თავის „მეგზურს“ და იოსების მასალებს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ თავისი გამოკვლევებისათვის. ამასთან ერთად აღნიშნავს რომ „ამ ქართველმა“იცოდა მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა, ჰქონდა მდიდარი მეხსიერება, ფართო ერუდიცია ისტორიასა და გეოგრაფიაში.

მამი-კლერაკის სამტომიან წიგნში „სპარსეთის ისტორია ამ საუკუნის დამდეგიდან“ დიდი ადგილი ეთმობა ნაწყვეტებს იოსებ ქართველის მიერ იტალიურ და ფრანგულ ენებზე დაწერილი თხზულებებიდან. ასე გააცნო იოსების კალამმა ევროპელ მკითხველს ქართველ მეფეთა (გიორგი XI, ქაიხოსრო, ვახტანგ VI) სახელები და საქმენი.

რა დაემართა იოსებ ქართველს? საფიქრებელია, რომ იოსები დაბრუნდა ირანში გარდანის დასახმარებლად. თვით გარდანის სიტყვით, როდესაც იგი გამოემგზავრა ისპანიდან 1730 წელს საფრანგეთის კონსულის რეზიდენციაში დარჩენილან კაპუცინი მისიონერი და ქართველი თარჯიმანი, რომელიც უთუოდ იოსები უნდა იყოს. მაგრამ მისი შემდგომი ბედი გაურკვეველია. (4, 233)

სამწუხაროდ როდის, სად და როგორ გარდაიცვალა შესანიშნავი დიპლომატი და ისტორიკოსი იოსებ ქართველი ჩვენთვის უცნობია. თუმცა ამ ნიჭიერი პიროვნების საქმიანობა დღემდე ერთ-ერთ საინტერესო ფაქტად რჩება დიპლომატის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. გაბაშვილი ვ., იოსებ ქართველი ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია V, თბილისი, 1965.
2. გაბაშვილი ვ., იოსებ ქართველი XVIII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბილისი, 1955.
3. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკებისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902.
4. ნატროშვილი თ., „მარშიყით მაღრიბამდე“, თბილისი, 1974.
5. ნატროშვილი თ., იოსებ ქართველის ბიოგრაფისათვის, მაცნე, სსრ.მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, №5, თბილისი, 1969.
6. ტლაშაძე ი., ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1962.
7. ტაბაღუა ი., იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.